

114  
1972



# გეოგრაფია

114

**1**

74

**1972**

# ენათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და სასოფლისმშენებლობის-კოლმეურნეობის მინისტრის განკარგულებაში

წელიწადი 47-ე

№ 1

იანვარი 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ქართული პერიოდიკის ფლაგმანი	3
ალექსანდრე ბრეხტის — დიდი და პატარა ეპატორინე. რომანი. ნაწილი პირველი	15
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები	54
გრიგოლ ჩიქოვანი — ამოცანა. ოდიშური ციკლიდან	57
შალვა ფორტოხიძე — ლექსები	90
ნოდარ შამანიაძე — მზე დედაა ჩვენი, მოთბობა	94
თეიმურაზ ჯანსუღაშვილი — ლექსები	108
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	110

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი ნატოშვილი — სიტყვა და დედამეფა	112
ნოდარ ჯინჯიფიაშვილი — ხელოვნების განვითარების ლოზიკისათვის	130
მ. მუხაშვიანი — ლიტერატურის სახელმწიფოებრივობისათვის	147
სირა ვიციანიაძე — გიორგი მთაწმიდელის ანდერძის უცნობი ვარიანტი	151
ა. გელაშვილი, მ. კუპრაძე — აჭა ამბავი კანთარინისტაუსენისა	154

### ფაქტები, მოვლენები

მიხეილ კვიციანი — ას ერბანის დღე, გაგრძელება	160
--	-----



საქართველოს კვლევითი-კრიტიკული კომიტეტის გამომცემლობა



რამაზ პატარიაძე — ქართული ასომთავრული

ნახევარი საუკუნე მაცნეში რედაქცია და ხელმოწერისათვის

შერეულ „მნათობის“ 1971 წლის ნომრების შინაარსი

169  
182  
ქართული  
მეცნიერებათა  
188



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გავიზარდაშვილი, მ. ლეზანიძე, ბ. ძლანდი, ა. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მე. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შანგიანი, ვ. წულუკიძე, ო. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტიქრედაქტორი რ. ნაკვებავა

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.  
პ/მე. მდივნის — 93-55-13, ვანოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწეობად 7/XII-71 წ., ხელმოწერილია დისპეკტად 8/II-72 წ., ანაწეობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-სავამოყვებლო თაბახი 12.

უე 01738. ტირაჟი 13,150. შეკვ. № 4242. საქ. კბ ცვ-ის გამოშვებლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## ქართული პერიოდიკის ფლაგმანი

ყოველდღიურ ქართულ გაზეთს, „კომუნისტს“ არსებობის 50 წლისთავი შეუსრულდა. ქართულ პერიოდიკის ისტორიას არ ახსოვს, რომ ქართულ გაზეთს, ერთი და იმავე სახელწოდებით გამოშავალს, ნახევარსაუკუნოვანი ხანდაზმულობისთვის მიეღწიოს. ეს ხანგრძლივობა იმით აიხსნება, რომ გაზეთ „კომუნისტის“ ბედი თავიდანვე განუყრელად დაუკავშირდა იმ პარტიის არსებობას, რომლის მთავარ ბეჭდვითს ორგანოს თვითონ წარმოადგენს. იგი პარტიის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ის იყო და არის პარტიის მთავარი იდეოლოგიური იარაღი მილიონიანი მასების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. განაგრძო რა ლენინურ-ისკრული მიმართულების ქართული გაზეთის „ბრძოლის“ სახელოვანი ტრადიციები, გაზეთი „კომუნისტი“ გახდა მშრომელთა კოლექტიური ორგანიზატორი, შეუპოვარი მებრძოლი იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთაც პრესას უსახავდნენ დიდი ლენინი და მისი პარტია. გაზეთი „კომუნისტი“ იყო პარტიის დასაყრდენი ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარების ყველა ეტაპზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შთაგონებით და ხელმძღვანელობით გაზეთი „კომუნისტი“ თანმიმდევრულად და განუხრელად იღწევოდა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ჯერ აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის, შემდეგ ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, კულტურული რევოლუციის ძღვევამოსილებისათვის, მშრომელთა დარაზმისათვის სურგში და ფრონტზე ფაშისტურ ურჩხულზე გამარჯვების მოსაპოვებლად დიდ სამანულო ომის წლებში; სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი პროგრესისათვის, ომის დამთავრების შემდეგ პერიოდში. გაზეთი „კომუნისტი“ მუდამ იყო და არის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის და ძმობის დაუცხრომელი პროპაგანდისტი. და თუ საბჭოთა საქართველო ისტორიულად ძალიან მოკლე ხანში იქცა მეტალურგიის და დიდი ქიმიის, მძლავრი ენერგეტიკის და მანქანათმშენებლობის, კიბერნეტიკისა და ტელემექანიკის, მეზაიეობის და მეციტრუსეობის, მექანიზებული მგვენახეობა-მელენეობის, მოწინავე მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების რესპუბლიკად, — ყველა ამ უდიდეს გარდაქმნაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული პერიოდიკის ფლაგმანს გაზეთ „კომუნისტს“. ამ ისტორიულ მისიას, ამ დიდ როლს გაზეთი „კომუნისტი“ ვერ შეასრულებდა, რომ იგი არ ყოფილიყო მასების უნარიანი ორგანიზატორი, მათი დამრავლებელი პარტიის და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გარშემო, რომ „კომუნისტს“ არ აღეზარდა და არ გამოეწრთო მუშგლეხკოროთა მრავალათასიანი არმია, საგაზეთო მუშაკების — ეურნალისტების და პუბლიცისტების მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც ამჟამად წარმატებით მოღვაწეობენ როგორც დედაქალაქის, ასევე პერიფერიული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში.

საზგასმით აღსანიშნავი და დასაფასებელია გაზეთ „კომუნისტის“ ღვაწლი ქართული ენის გამდიდრების, დამუშავების და დახვეწის საქმეში. ქართული პერიოდიკის არსებობის მთელს მანძილზე არასოდეს ასე ნორმირებული, უნიფიცირებული და

დაწმენდილი არ ყოფილა ქართული საგაზეთო მეტყველება, როგორც დღეს, ქართული საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების, უწინარეს ყოვლისა, თვით „კომუნისტის“ ჟურნალებზე. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ამ საქმეში თავის უახლოეს თანამშრომლებად გაიხადა ქართული ენის საუკეთესო მცოდნე მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები; საყოველთაოდ გავრცელება და მოქალაქეობა მოუპოვა მათ მიერ დამუშავებულ ცნებებს, ტერმინებს, გამოთქმებს.

ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომელთა აქტიური უღრმესი მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ რა გაზეთ „კომუნისტის“ საშვილიშვილო დასახურებას ქართული ბეჭდვითი სიტყვის, ქართული ჟურნალისტების, საერთოდ, მთელი ქართული კულტურის წინაშე, მზურვალედ მიესალმებიან და უსურვებენ გაზეთ „კომუნისტის“ მთელ კოლექტივს — ხანგრძლივ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ქართული პრესის საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია



# დიდი და პატარა პეატერიანი

რომანი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ძველი სახლი. წითელი აგურით ნაშენი. მესამე სართული.

კარი რუსუდანის დედამ, ქალბატონმა თეკლემ გაუღო.

ვრცელი დარბაზი. მაღალი, ძალიან მაღალი ჭერი.

ქალბატონმა თეკლემ ჩინებულად იცის, რომ ეს კაცი რევან ჩაფიჩაძე გახლავთ, დიასამიძეთა მომავალი სიძე, ამიტომაც არაფერი ჰკითხა და პირდაპირ რუსუდანის ოთახში შეიყვანა.

დაბალი, ფართო ტანტი. ტახტზე რუსუდანი წევს. შინდისფერი თხელი საბანო ხურავს. სასთუმალი — ცისფერი მუთაქა და პატარა, ძალიან პატარა თეთრი ყურთბალიში. რუსუდანი პირადმა წევს, ვითომ შინავს და ღრმად სუნთქავს. ნელნელა ახელს თვალს, ოდნავ ილიმება, ისევ ხუჭავს თვალს და ჩურჩულით ეკითხება — „მოხვედი“?

რუსუდანის ტახტთან პატარა ცისფერი სავარძელი დგას, რევანმა სავარძელი რუსუდანის სასთუმალთან მიართხა, ხელები მოიფშვნიტა და სავარძელში ჩაჯდა.

„ძალიან კარგია, რომ მოხვედი,“ — ისევ ჩურჩულით თქვა რუსუდანმა.

რევანს კი ხელებს იფშვნიტს და არ-

აფერს ამბობს. მეორე ოთახში თეკლეა და მისი ერიდება. მარტო თეკლე? დღეს კვირადღეა და მთელი ოჯახი შინ არის: რუსუდანის დედა — თეკლე, რუსუდანის მამა — ნიკო, რუსუდანის ძმა — ზვიადი, რუსუდანის რძალი — ლილი.

— „სადილობის დროა, სადაცაა სუფრას გაშლიან და სადილზე მიმიწვევენ. რუსუდანმა განგებ დამიბარა კვირა დღეს და ისიც სადილობისას, თავისიანებს გამაცნობს, გამომესაუბრებიან, შემეფასებენ და გადაწყვიტენ“...

რუსუდანი გამოფხიზლდა და რევანს მუშტრის თვალთ შეათვალიერა, — მოეწონა რევანის ჩაცმულობა: შავი ფესსაცმელები (ცოტა ზომაზე მეტად გაპრიალებული), შავი კოსტუმი, თეთრი პერანგი, თეთრწინწკლებიანი შავი პალსტუხი.

„დღეს ნამეტანი ლამაზი ხარ.“ — ღიმილით თქვა რუსუდანმა, საწოლში შემალდდა, მარცხენა ხელისგულსა დასველებს. მოუხვა რევანს, მარჯვენა კისერზე შემოავლო, მიიზიდა და ტუჩებში აკოცა.

„ცხელი, აღმურიანი ტუჩები აქვს რუსუდანს.“

რევანსი შუბლზე ადებს ხელს

„შუბლი გრილი აქვს, ტუჩებზე — კი ცეცხლი უკიდია: ასე რომ მეხვევა და მკოცნის, ხომ შეიძლება კარი გაიღოს და ქალბატონი თეკლე შემობრძანდეს?“

რევაზი კისერს იღრეცს და კარისკენ ახედება.

— არაინ შემოვა.

ოღნავ გასაგონად თქვა რუსუდანმა. უფრო წამოიწია, ახლა მხრებზე შემოხვია ხელები და მკერდით მაგრად მიეკრა.

რევაზი სავარძლიდან ადგა, რუსუდანი თოჯინასავით აიტაცა ხელებში, დაარწია, ისევ ლოგინში ჩააწვინა და ტახტს მოშორდა.

— დარბაზში გადი, ჩავიცვამ! — თქვა რუსუდანმა და ფეხები თეთრ ქოშებში შეჰყო.

— ავი ავად ვარო? — ვითომ გაბრაზებით, განგებ ხმამალა თქვა რევაზმა და დამცინავად გაუღიმა.

„ვიყავი. მოხვედი. მოვრჩი!“

რევაზი სასტუმრო დარბაზში გავიდა. კარი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიიხურა, მაგრამ ეს სიფრთხილე ზედმეტი იყო, — ქალბატონი თეკლე რუსუდანის ოთახის კართან იჭდა, მუხლებზე წიგნი ედო და კითხვით თითქოს ისე იყო გართული, რომ დარბაზში რევაზის შემოსვლა არც კი შეუმჩნევია.

რევაზ ჩაფიჩაძე გაშრა, ნაბიჯი გაიქვავა და მორიდებით გახედა ქალბატონ თეკლეს... ქალბატონი თეკლე სავარძელში გაქვავებულა, გადამოილი წიგნი უდევს მუხლისთავეებზე, წიგნს ჩასცქერის და დარბაზში შემოსულ სტუმარს ზედაც არ შეხედა. გულმოსული სახე აქვს ქალბატონ თეკლეს და რევაზ ჩაფიჩაძე შეუმცდარად კითხულობს.

„თავს ნუ იკატუნებ! ვიცი, შენ ჩემს ქალიშვილს კოცნიდი. ჰო, კოცნიდი და ვხვეოდი ეს ჭერ ნაადრევია... კარგი ეშმაკი ბრძანებულხარ — ჩემს წინ გასუსული დგებარ, იატაკს დასჩერებოხარ, თითქოს გრცხვენია და გერიდება ჩემი; შენი დანაშაულის გამო გრცხვენია, თავს კი ისე მაჩვენებ, თითქოს

მორცხვი ყმაწვილი იყო, აქაოდა პირველად ვარ ამ უცხო ოჯახში. უკუ-რაფერსაც ვერ გამომაძახებდნენ, ანა-რომ ყველაფერი ვიცი! ვითომ შენ და რუსუდანი მარტონი იყავით ამ სახლში? კარი ხომ მე გაგიღე? ეს უნდა დაგბსომებოდა! რუსუდანის მამაც შენ ბრძანდება! მისი სახელი გეცოდინება — ნიკო! შენ მას ბატონ ნიკოს დაუტახებ, მე კი ქალბატონ თეკლეს, — დიახ, ეს ასეა საჭირო. რუსუდანის მამა ზვიადი და მისი მეუღლე ლილიც შენ გახლავან! აჰა, ამდენი ხალხი შენ ვართ, შენ — კი პირდაპირ რუსუდანის ოთახს მიაშურე და რაც მოიმოქმედე“...

რევაზ ჩაფიჩაძეს ტანში ცრის, ხმას ვერ იღებს და კედელთან აშოტილა. ქალბატონი თეკლე სავარძელში ზის, მუხლისთავეებზე წიგნი უდევს, ერთ წერტილს დასჩერებია, ეტყობა წიგნს არ კითხულობს, სახეზე რაღაცნაირი ზიზლი გამოსახვია. „თქვენნი აუღიენცია დამთავრებულთა, ყმაწვილო! შეგიძლიათ წაბრძანდეთ!“ ოღონდ როგორღაც თავს იკავებს, თქმა ერიდება, მაგრამ დარწმუნებულია — სტუმარი მიუხვდება და წავა.

რუსუდანიც რომ არ გამოდის ოთახიდან? არც ბატონი ნიკო, არც ზვიადი და მისი მეუღლე! თეკლემ დაიმარტოხელა სტუმარი და სტუმრის ცოდვებს თანდათან ფურცლავს.

„რამდენი დამე გამიტეხია რუსუდანის მოლოდინში და ამის მიზეზი შენ ხარ!“

„ეს — კი მართალია, ქალბატონო თეკლე! რუსუდანს კინოს შემდეგ, სეირნობა უყვარს და ჩვენც ესეირნობთ. რუსთაველის გამზირს ხომ აუცილებლად ავზომ-ჩავზომავეთ, მერე ელბაქიდის დაღმართს დაუყვებით ნელა-ნელა, ვერის ხილზე შევეყოვნდებით და სანაპიროზე როცა გავალთ, რუსუდანი ნაბიჯს უფრო დაიმძიმებს... საათს დავხედავ, ორს არაფერი უკლია. ახლა კი აჩქარდება რუსუდანი და ორიოდ წუთში ლენინგრადის ქუჩაზე გავჩნდებით“

ღიასამიძეთა სადარბაზომდე სულ მცირე მანძილი რომ დარჩება, რუსუდანი მკლავზე ხელს მომიჭერს და შემაჩერებს, ცერებზე შედგება, თვალში ჩამაცქერდება, ტუჩებში მაკოცებს და გაიქცევა... მე ხეს მოვეფარები და ვიცი, ვიდრე რუსუდანი სადარბაზოში შევა. მერე ზევით ავიხედავ — მესამე სართულზე — ერთი ფანჯარა განათებული, ფანჯარასთან ქალბატონი თეკლე დგას და რუსუდანს ელოდება... ჰოდა, ეს ყმაწვილი, გოცებულთა ქალბატონი თეკლე, ახლა ანგელოზივით გასუსულა, იატაკს დასცქერის, შემოხედვაც ვერ გაუბრუნია, ცხადია, სრულიადაც არ ფიქრობს ბოდიში მოიხადოს და პატიება მიხზოვს..."

ქალბატონმა თეკლემ სათვალე მოიხსნა და წიგნი დახურა.

— მამატიეთ, ასე რატომ დგებართ? დაბრძანდით!

ისეთი თბილი, მოსიყვარულე ხმით თქვა ქალბატონმა თეკლემ, რომ რევანს ჩაფიჩაძეს გული აუჩუყდა, ავი ფიქრები უმალვე მოიშორა, თავი ასწია და თვალეებში ჩახედა ქალბატონ თეკლეს.

თეკლეს სავარძლის გვერდით ისეთივე ცისფერი სავარძელი დგას, როგორც რუსუდანის ოთახში, მაგრამ რევანს სავარძელში ჩაჯდომა ეუხერხულა და როიალთან ახლოს, პატარა შავ სკამზე დაჯდა.

— უკრავთ? — ისეთივე მოსიყვარულე ხმით ჰკითხა ქალბატონმა თეკლემ.

— ხანდახან. — დარცხვენით თქვა რევანმა.

— ოო, ეს ჩინებულია. როიალი, მე რომ მკითხონ, მამაკაცისათვისაა გამოგონილი.

— რატომ? ქალებიც კარგად უკრავენ.

— მამაკაცის ხელი მაინც სხვაა. მამაკაცის ხელები იოლად იმორჩილებენ კლავიშებს და კლავიშებიც სხვანაირ ბგერებს გამოსცემენ, როცა მამაკაცი უკრავს. — დაბეჯითებით თქვა თეკლემ და თითქოს გაიღიმასავით.

„ხედავთ? ქალბატონი თეკლე მუსიკის

არა მარტო მოყვარული, ცოტათუნ მიკონდნეც ყოფილა“.

ქალბატონმა დასრულდა ნიკო შემთვინდა: მალალი, ხმელხმელი, ფერმკრთალი, ოღნავ ავადმყოფური სახე. შეთხლებული თეთრი თმა და შეჭალარაგებული ულვაში. „ნამდვილი ისტორიკოსია“, — გაიფიქრა გულში რევანს ჩაფიჩაძემ, — სკამიდან წამოიჭრა და ნიკოს შეეგება.

— რუსიკოს მეგობარია, — დამარცხებით თქვა თეკლემ.

ნიკომ მსუბუქად ჩაახველა, საგულდაგულოდ აჰხედ-დაჰხედა რევანს ჩაფიჩაძეს, ხელი ჩამოართვა, თეკლეს გვერდით სავარძელში ჩაჯდა და რალაც ჩუმად წაიბურტყუნა. რაც ნიკო ბატონმა ჩუმად წარმოთქვა, რევანმა ვერ გაიგონა და რატომღაც მაინც გაიღიმა, მის ღმილს თვალი მოჰკრა ნიკო ბატონმა და წარბები შეჰყარა. მიხედა რევანს ჩაფიჩაძემ, — ღმილი უადგილო იყო და გულში გაჰკრა.

და ნიკო ღიასამიძეს დამწვიდებული სახე უცებ აემღვრა, თვალები დაუწერილდა, თანდათან ცხვირი და შეჭალარაგებული ულვაშიც... არა, ცხვირი და შეჭალარაგებული ულვაში კი არა, მთელი სახე წაიშალა და ნიკო ღიასამიძის მხრებზე ქალბატონ თეკლეს სახე გამოიხატა. ნიკოს მუხლისთავეებზე გადაშლილი წიგნი გაჩნდა, თვალეებზე სათვალეები, თვალის უხეებთან ნაოქები და სათვალემორგებული თვალეები წიგნს ჩამაცქერის და წიგნს კი არ კითხულობს, რევანს ჩაფიჩაძის ცხოვრებას ფურცლავს:

„ვიცი, ძალიან კარგადაც ვიცი, ვინცა ბრძანდებით: ჩემი სასიძო რევანს ჩაფიჩაძემ, ოცდაათორმეტი წლისა და სადოქტოროდ გამოადებული (ჩემი ექიშვილი ზვიადიც — ოცდაათორმეტი-საა და ჯერ კანდიდატობის ხარისხიც არ დაუცავს, ასპირანტი ვახლავთ). ჰიაზე, ღიას, აბრეშუმის ჰიაზე იცავთ დოქტორის ხარისხს, დიდი, ერთობ დიდი პრობლემაა (ნიკო ბატონის თეკლესეულ სახეზე დამკინავი ღმილი გამოისახა და ეს შეუმჩნეველი არ დარჩა რევანს



ჩაფიჩაძეს). ქართულ აბრეშუმს დიდი წარსული აქვს, უფრო დიდი მომავალი, ეს კარგად იცის ისტორიკოსმა ნიკო დიასამიძემ. ჰო, აბრეშუმის პატარა ქია ღონიერია, ისეთი ღონიერი, თუ გაქირდა... აბრეშუმის ქია და მისი ღონე თავისთვის იყოს, ანლა შენთან მაქვს საქმე, — აქოდა სადოქტოროდ ვარ გამზადებული და ქალს არაეინ დამიკავებდსო, ნურას უკაცრავად! რას მიქვია დოქტორობა! კარგად უნდა გავიცნოთ ყმაწვილო... დიახ, კარგად უნდა გავეცნოთ ერთმანეთს“...

ჯერ სათვალე მოეხსნა ნიკო დიასამიძის თვალბს, მერე შექალარავებული უღვაში გამოესახა, თავზე შეთხელებული თეთრი თმა...

რევაზი როილთან დგას, ნიკო და თეკლე სავარძლებში სხედან, ოთახში სიჩუმეა და უხერხულობა და უთუოდ ამ სიჩუმისა და უხერხულობის ვასაფანტავდ ნიკომ მსუბუქად ჩაახველა და რევაზს შეეკითხა:

— თქვენი შშობლები თბილისში ცხოვრობენ?

— მამაჩემი სოფელში ცხოვრობს.

— დედა? — ეს უკვე ქალბატონმა თეკლემ ჰკითხა.

— ომში ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა.

— და მამათქვენი მარტო ცხოვრობს სოფელში? — გაიკვირვა ნიკომ.

— დიახ.

— მარტოხელა კაცის ცხოვრებაა, — თქვა პატივცემულმა ნიკომ, — მარტოხელა კაცის ცხოვრება, ისიც ხანმოყრილისა, ძნელია, ძალიან ძნელი; ახლონათესავი არაეინა გყავთ?

— არაეინ.

— როგორ, საქმელსაც თვითონ იკეთებს მამათქვენი? — გაკვირვებით ჩაჰკითხა ქალბატონმა თეკლემ.

— თვითონ, — დარცხვენით თქვა რევაზმა.

— ძნელია, ძალიან ძნელი; ვერც კი წარმომიდგენია! — ნაღვლიანად თქვა ბატონმა ნიკომ, კედლის საათს გახედა და მეუღლეს რალაც ანიშნა.

ქალბატონი თეკლე ოთახიდან გავიდა.

— ისტორიულად, — ხმა დაიბნახა ნიკომ, — დიახ, ისტორიას დამტკიცებული აქვს, რომ ოჯახში უმთავრესი ქალი ვახლავთ, დედა. მეც სოფლიდან ვარ, ქვემოხვითი გავიგონიათ?

— ეგ სოფელი ვიცი.

— ჰოდა, ქვემოხვითში ეცხოვრობდით. მეც ერთი შვილი ვყავდი დედმამს. მამაჩემი ურმის ოსტატი იყო — შორეული სოფლებიდანაც მასთან მოდიოდნენ. ნამდვილი ოსტატი იყო და ოჯახიც ღონიერი გვქონდა. მამა რომ გარდამეცვალა, დედაჩემის თბილისში წამოყვანა გადაწყვიტე. გაგიყდიო? — შემომიქტია, სოფელში დარჩა და კერა არ მოშალა. მაგარი ქალი იყო დედაჩემი. მე ხელი რომ ავიღე სოფელზე, ერთი დარიბი მეზობლის გოგონა იშვილა, დეიძლ შვილივით შეიყვარა, მერე ისე მოახერხა, რომ ის ქალიშვილი ურმის ოსტატს მიათხოვა და სიძე შინ შემოიყვანა. ერთხელ ავად გახდა და მიხმო. ჩავედი. ლოგინში იწვა და აკვანს არწევდა. ჩემი შვილიშვილიაო, — მითხრა, სიბერე მომერია, სადაცაა მოვკვდები, მარა გულდაწყვეტილი არ მივდივარ ამ ქვეყნიდან, ჩვენი სახლი მაგრად დგას, კერა არ ჩაქრებაო.

...ოთახში ზვიადი შემოვიდა. ზვიადი და რევაზი კარგა ხნის ნაცნობები არიან, სტუმარს შინაურტულად მიესალმა ზვიადი, გაუღიმა და მხარზე დაჰკრა ხელი, მერე რუსიკოთ — დაიძახა და რუსულდანის ოთახში შევარდა.

— დიახ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში, — შეწყვეტილი სიტყვა გააგრძელა ნიკო ბატონმა, — ქალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ეს ისტორიულად დამტკიცებულია.

— ჩვენი ისტორიკოსები იმას წერენ, რაც თვითონ იციან, მაგრამ ეს არ არის საქართველოს და ქართველი ხალხის სრული ისტორია, — რალაც არაბუნებრივად, მჭახედ თქვა რევაზმა და ნიკოს თვალი გაუსწორა.

— ცდებით, ნამდვილად ცდებით, ყმა-

წვილო, — შემოუტია ნიკომ, — ასეა, თუ ისე, საქართველოს ისტორია შესწავლილია და დაწერილი. ზოგი საყურადღებო მოვლენა, სამწუხაროდ, მივიწყებულია და გამოორჩენილი, მაგრამ ძირითადად, დიახ ძირითადად, ჩვენ ვიცით ქართველი ხალხის მიერ გავლილი გზა უძველესი დროიდან დღემდე... სამწუხაროდ თქვენსავით ბევრნი ფიქრობენ და ცდებიან.

როგორც იქნა რუსულადნი შემობრძანდა. მამამისს დიდხნის უნახავივით მიესალმა, მერე რევას ქვეშევეშად გაუღიმა და ხელი ისე ჩამოართვა, თითქოს იმ დღეს პირველად ხედავსო.

ქალბატონმა თეკლემ ბრძანა სუფრა გაწყობილიყო და ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ.

რევასის დღეგრძელობისას ზვიადი ადგა, დედამამს გაუღიმა, რუსულდანი თვალი ჩაუკრა და ჭიჭურად თქვა.

— ჩვენს სიძეს გაუმარჯოს..

რევასს ელდა ეცა, ვაშეშდა და თითქოს დარეტიანდა.

რუსულადნი სუფრიდან წამოიჭრა და ოთახიდან გავარდა.

ქალბატონი თეკლე და ნიკო-ბატონი მშვიდად სხედან. ზვიადის მეუღლე ლილი კი ეშმაკურად ზღივება და ზვიადს ისე მისჩერებია, თითქოს მის სულში ჩადვრომა სწადია.

რევას ჩაფიჩაძე ადგა და მხარზე ქალბატონ თეკლეს ხელი იკრძნო.

— დაჯექი, შვილო, — ჩვენ ყველაფერი ვიცით.

სული დაუმშვიდდა რევას ჩაფიჩაძეს, გული გაუხალისდა და ახლა თვითონ გაუღიმა ლილის და სასიამაოროს თამამად შეხედა.

ნიკო-ბატონმა ვრცელი სადღეგრძელო წარმოთქვა. თეკლე და ზვიადიც კი დაილაღნენ ნიკო-ბატონის გრძელი სადღეგრძელოთი, რევასი კი გულსწყურით უსმენდა სასიამაოროს და ნიკო-ბატონის მიერ წარმოთქმულ იმ სადღეგრძელოს მთავარი აზრი ახლაც კი ასსოვს.

„ოჯახი იყო და ოჯახი არის ჩვენი

ცხოვრების ფუძეთაფუძე, მაგარი ოჯახი და ციხე-ბურჯად დგას. საქმეწიფო. შერყეულია ოჯახი და მაშინ საქმეწიფოსაც უჭირს. — ეს ჩინებულად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და მათთვის ოჯახი წმიდათაწმიდა, ხელშეუხებელი და სათაყვანო იყო და ისტორიულად იმ ოჯახებს განამტკიცებდა უმწიკველი სიყვარული... დიახ, ასე იყო ისტორიულად — ქმარს უყვარდა ცოლი, ცოლი ეთაყვანებოდა ქმარს და ხარობდნენ სიყვარულიანი ოჯახები“...

...ზვიადმა რუსულადნი შემოიყვანა და რევასის გვერდით დასვა.

ახლა რუსულდანი გაუღიმა ლილიმ. თვალი ჩაუკრა და რაღაც ანიშნა.

— ქორწილის დღე დავნიშნოთ, — თქვა ლილიმ და რევასს შეაკერდა.

სუფრაზე უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ნიკო-ბატონმა მსუბუქად ჩაახველა. რატომღაც იფიქრა — რევასს ქალბატონ თეკლესი ერიდებო, მეუღლეს თხოვა ჩაი დაშისხიო და როცა ქალბატონი თეკლე ოთახიდან გავიდა, გადაწყვეტილივით ბრძანა.

— ჰო, მართალია ჩემი რძალი, ქორწილის დღე დავნიშნოთ.

...რევას ჩაფიჩაძე ვაკეში, იმერეთის ქუჩაზე, საკუთარ სახლს აშენებს. შარშანწინ ეზო შემოლობა, შარშან სახლი დასაძირკვლა, წელს — კი კედლები ამოკაყავთ ოსტატებს, — კიდევ ერთი წელი და სახლის მშენებლობა მოთავდება და რუსულდანი და რევასს გადაწყვეტილი აქვთ ახალ სახლში იქორწილონ.

რევასმა ჩუმად, ძალიან ჩუმად უჩურჩულა ყურში რუსულდანი და თვლითაც ანიშნა — ჩვენი აზრი მოახსენე მშობლებსო, რუსულდანი — კი ენა გაიქვავა და პასუხად ფეხზე მაგრა დააკირა ფეხი.

როგორც იყო რევასმა ამოიღვა ენა.

— სახლს ვაშენებ ნიკო-ბატონო!

— მერე-და ვინ გიშლით? ააშენეთ! და როცა რევას ჩაფიჩაძემ სახლის მშენებლობის სურათი დაუხატა სასი-

მამროს, ნიკო-ბატონმა ჯერ მსუბუქად ჩაახველა, მერე — კი გულთანად გადაიხარბარა.

— ბინა, ღვთის წყალობით, დიდი გვაქვს, ბრძანა პატივცემულმა ნიკომ, — ჩვენი მშენებლების ამბავი კარგად ვიცო — წელს შეპირებულს, იმერგაისადაც არ გაღირსებენ. ამ ჩვენს ბინას ერთ თვეში გავირემონტებთო, შეგვიპირდნენ და ორი წელიწადი ნაგავში ვეყარეთ! დიახ, ბინა დიდი გვაქვს. სახლის ამენებამდე ჩვენთან იცხოვრებთ, ქორწილის გადადება — კი, არ ღირს.

ნიკოს ყველა დაეთანხმა და ქორწილიც მომავალ კვირისთვის დაინიშნა.

მერე ყველაფერი უბრალოდ წარიმართა.

ოვეზ ჩაფიჩაძე დიასამიძეების ოჯახში გადმოვიდა საცხოვრებლად და დიასამიძეთა ოჯახში სტუმრიანობაში იმატა.

ქალბატონმა თეკლემ სამკითხველოში მუშაობას თავი დაანება.

„ამ ერთ ბინაში სამი ოჯახი ცხოვრობს და სამ ოჯახს ერთი „განთავისუფლებული დიასახლისი“ უთუოდ სჭირდება“.

ასე გადაწყვიტა ქალბატონმა თეკლემ, სამკითხველოს თავი დაუტყრა და ოჯახში მტკიცე წესი დაამკვიდრა:

საუბმე დილის რვა საათზე.

სადილი ექვს საათზე.

მსუბუქი ვახშამი და ჩაი, რომელ ოჯახსაც როდის და როგორც მოუხერხდება.

სასაუბროდ ყველაზე ადრე ბატონი ნიკო ცხადდება. ჩართავს რადიომიმღებს, სუფრის თავში დაბრძანდება და საუბრის მოლოდინში გუშინდელ ვაზეთს უხალისოდ ათვალიერებს.

რუსულდანი დედასთან ერთად სამზარეულოში ტრიალებს, სიძე-ბატონი რევაზ ჩაფიჩაძე სააბაზანოში წვერს იპარსავს, ზვიადი აივანზეა და დედის ნამალევად უხმოზე სიგარეტს ქაჩავს. ლილი ლოგინში წამომჯდარა, მუხლისთავებზე პატარა სარკე დაუღვია და... ბატონი ნიკო — კი ზის სუფრის თავში.

ვაზეთი უკვე გადაუკითხავს, კედლის საათს მოსჩერებია, სადაცაა ქოთმინებას დაკარგავს — და სწორედ ამ დროისათვის ბატონი შემობრძანდება, მორჩილად დაუტყრავს თავს და გვერდით დაუჭდება.

— ხომ მშვიდად გეძინათ!

— არც ისე... უხალისოდ მიუგებს ნიკო და კედლის საათს ვახედავს.

— ათი წუთით წინ არის... იტყვის რევაზი და წამოდგება. —

— ნუ გაასწორებთ! ჩვენი დიასახლისი ათი წუთით განგებ აყენებს წინ, თავისი ანგარიში აქვს.

— კამპანიას გაუმარჯოს! — თმის ვარცხნით შემოდის ზვიადი და რევაზის გვერდით ჯდება. — მამაკაცები წესრიგიანი ხალხი ვართ, რვაც არ შესრულებულა და უკვე ადგილზე...

— ცდები! — მწყრალად ვახედავს ნიკო, — ახლა ცხრის ხუთი წუთია და შენ ორი ლერი სიგარეტი გაქვს მოწეული. აივანზე ჭაიბარები, ვითომ ვარჯიშობ და სიგარეტს ქაჩავ, ჩვენ — კი არა, თავს იტყუებ... თეკლე და რუსულდანი საუბრეს გვიმზადებენ, ხოლო შენი მეუღლე ჯერ კიდევ ლოგინში წევს.

ლილი ყურს მოჰკრავს მამათლის საყვედურს. სწრაფად, წამოხტება ლოგინიდან, საშინაო ხალხს მოიგდებს და თმადუფარცხნელი სამზარეულოში შევარდება, აქაო და მეც ვშველი რუსულდანს და თეკლესო.

სამი ქალბატონი შემობრძანდება სასადილო ოთახში, წინ თეკლე მოდის, მას რუსულდანი მოჰყვება, რუსულდანს ლილი. ნიკოს ქალბატონი თეკლე დიდ თეფშზე ძებვიან ერბოკვერცხს დაუღებს პატარა ტაფით და პატივცემული ნიკო უღვაშებში ჩაიღიმებს, ასეთსავე კერძს რუსულდანი რევაზს მიართმევს, ხოლო ლილი, არც ისე ხალისიანად, უფრო მოზრდილ ტაფას ხელში მიიჩეჩებს ზვიადს. ზვიადის ტაფაზე მარტო ძებვია, თითქოს საოცარია, ზვიადს ქათმის ხორცი გაგიყებით უყვარს, ქათმის კვერცხი კი — ჭირვით ეჯავრება.

მერე ქალბატონი თეკლე შიშინა სა-

მოვარს შემოდგამს სუფრაზე და ქალეზიკ საუზმედ დასხდებიან.

დიდ სასადილო ოთახში, დიდ სუფრას უზის დიასამიძეთა ოჯახი და საუზმობს.

სუფრიდან ყველაზე ადრე ლილი დგება. და მას მაინც ყოველთვის აგვიანდება სამსახურში, სარკეს დიდი დრო მიჰქვს. მართალია მუსიკალური სასწავლებელი, სადაც ლილი მსახურობს, არც ისე შორსაა, სიარულაც სწრაფი იცის ლილიმ, მაგრამ დათქმულივით ათი წუთი ყოველთვის აგვიანდება სამსახურში. სასწავლებელში ამას ყველა შეეჩვია და იმ კლასის მოსწავლენიც, რომელთაც პირველი გაკვეთილი ლილისა აქვთ, ათ წუთს იგვიანებენ.

რუსულად, რევზი და ზეიადი ავტობუსით ერთად მიდიან სამსახურში. რუსულადი სასტუმრო „საქართველოსთან“ ჩამოხტება სამხატვრო ტექნიკუმის იქვეა, ქუჩიშვილის ქუჩაზე. რევზი და ზეიადი კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდე აგრძელებენ გზას. მართალია ორივენი ერთი ხნისანი არიან, მაგრამ რევზი უკვე მეცნიერების კანდიდატია, ინსტიტუტის ლექტორი გახლავთ და სადოქტორო შრომაც მზადა აქვს. ზეიადმა კი — შარშანწინ დაამთავრა ასპირანტურა, უკვე ორი წელია ასისტენტად მუშაობს და მხოლოდ წელს, ისიც წლის მიწურულში, დაიცავს კანდიდატის ხარისხს.

საუზმეს ყველაზე გვიან თვალე და ნიკო შემორჩებიან. ნიკოს შეგრილებული ჩაი უყვარს და სვენებ-სვენებით სვამს. თვალე უხმავუროდ, ნაწილ-ნაწილ აალაგებს სუფრას, ხანდახან მეუღლეს შეეშველება ხოლმე, მაშინ ქალბატონი თვალე გახალისდება და სიმღერასაც კი წამოიწყებს.

ნიკო დიასამიძე თორმეტ საათზე მიდის ისტორიის ინსტიტუტში. მისი პორტფელი ერთობ დიდია, მოზრდილ ჩემოდანს ჰგავს. ნიკოს კაბინეტი მესამე სართულზეა და ნიკოს ეძნელება პორტფელის ატანა მესამე სართულზე, ამიტომაც პორტფელს შესასვლელშივე,

პირველ სართულზე, მორიგესთან ტოვებს და, მორიგემ ჩინებულად ეცქერს რომ პატივცემული პროფესორის მხურვალე ტფელში გამოსაცემად გამზადებული წიგნის დედანია, მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი.

„მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში“. ბარე ათი წელი წერდა ამ შრომას ნიკო დიასამიძე და ორი წლის წინ დედნის ორი ცალი წარუდგინა გამომცემლობას. ისტორიის ინსტიტუტის შუამდგომლობა და კათედრის რეცენზიაც თან ახლდა შრომას. გამომცემლობის რეცენზენტმა, რომელიც ღრმად იყო ჩახედული საქართველოს ისტორიაში, საეჭვოდ მიიჩნია ინსტიტუტისეული შეფასება და დიასამიძის შრომა განსაკუთრებულის გულისყურით შეისწავლა. რეცენზენტის დასკვნა მოკლე იყო: „მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში“ მეტად საყურადღებო შრომაა, მაგრამ სამწუხაროდ ავტორის სწორ მოსაზრებებს და შეხედულებებს აკლია ისტორიული წყაროებით დასაბუთება; ნიკო დიასამიძემ სწორად მიიჩნია რეცენზენტის მოსაზრება, შრომა არქივებიდან ამოკრეფილი ისტორიული წყაროებით გაამდიდრა, და დედნის თითქმის ყოველ გვერდზე გაჩნდა ციტატები და სქოლიოები.

გამომცემლობის მეორე რეცენზენტმა, რომელმაც პირველი რეცენზენტის მსგავსად, საფუძვლიანად შეისწავლა ნიკო დიასამიძის შრომა, მოკლე დასკვნა წარუდგინა გამომცემლობას: „მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში“ ფრიად საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევაა და ავტორი ახალ სიტყვას ამბობს ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოღონდ სამწუხაროა, რომ ავტორის მოსაზრებები შთაკარგულია უამრავ ფაქტიურ მასალაში. ერთი, უაღრესად სწორი მოსაზრების დასაბუთებლად, ავტორი ისტორიული წყაროებიდან რამდენიმე მასალას იმორჩმებს. ამიტომაც წიგნი უფრო ციტატებისა და შენიშვნების კრებულს წარ-

მოადგენს. ეს შრომა ავტორს მუზეუმში უნდა მიეტანა და არა გამომცემლობაში“.

ახლა ამ რეცენზიის მიხედვით გადაკეთა შრომა ნიკო დიასამიძემ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ორივე რეცენზენტის შენიშვნები „გააბალანსა“, უგულისყუროდ არ დატოვა არც პირველი და არც მეორე რეცენზენტის მოსაზრება და პირველი და მეორე დედნისგან სრულიად განსხვავებული, მისივე შეფასებით, „სავსებით ახალი შრომა“ გამოვიდა.

ნიკო დიასამიძის შრომის სამივე ვარიანტის ორ-ორი ცალი გამომცემლობის პორტფელშია, ხოლო ერთი ცალი დიასამიძის პორტფელშია, ყოველ შემთხვევისთვის ავტორს შრომის სამივე ვარიანტის თითო პირი თან დააქვს, ხომ შეიძლება მოულოდნელად დაურეკონ გამომცემლობიდან — შრომის ერთერთი ვარიანტის ერთი პირი კიდევ წარმოადგინეთო და ნიკო დიასამიძე დაუყოვნებლივ შეასრულებს გამომცემლობის მოთხოვნას; არა, ამ მხრივ არ დაბრკოლდება საქმე... ავტორი ერთი წელია ამ მძიმე პორტფელს ყოველდღე დაათრევს სამსახურში პატივცემული ნიკო, მაგრამ გამომცემლობა, თითქოს ენა ჩაუვარდათ, დუმს...

...შინ პირველი დიასამიძეთა რძალი ბრუნდება, ლილის სულ ოთხი ვაკვეთილი აქვს და პირველ საათზე სახლშია. ცოტას დაისვენებს და მერე დედამთილს ეხმარება. ოთხ საათზე ნიკო დარეკავს ზარს, კარს რძალი გაუღებს და კარშივე გამოართმევს მძიმე პორტფელს, უსაყვედურებს — რატომ არ დამიძახე, ჩამოგვეგებოდი და პორტფელს მე ამოვიტანდიო. ნიკოს ზვიადი მოჰყვება, მსაიც ლილი გაუღებს კარს და საყვედურით შეხედავს „— რატომ დაიგვიანე, აკი ვიცი — სამი საათიდან თავისუფალი ხარ“.

ზვიადი გაუღიმებს ლილის, ლოყაზე მიუთათუნებს ხელს ვითომ უჩქმობისათვის და „კონფლიქტი“ ამოწურულია. რუსუდანს სამხატვრო სასწავლებელ-

ში მხოლოდ ორი ვაკვეთილი აქვს. სასწავლებლიდან იგი საკუთარ სახლში მიდის, ვაკის ახალ უბანში, დემეტრის ქუჩაზე. სახლის მშენებლობის დამთავრებას არაფერი უკლია. ოსტატებმა კარ-ფანჯარა უკვე შეღებეს, ახლა პარკეტს აგებენ და ოსტატებს დაისახლისი ჰშველის და თან მეთვალყურეობს... პო, სადაცაა ყველაფერი მოთავდობა: პირველ სართულზე სამზარეულოში გაზის ქურა დგას, ჩართულია სინათლე და გამოყვანილია წყალი.

ხუთ საათზე რევაზი მოაკითხავს რუსუდანს, ცოტას წახეხარება ოსტატებს, ხოლო ექვს საათზე რუსუდანი და რევაზი აუცილებლად შინ არიან და დიასამიძეთა ოჯახი სადილად სხდება.

დაბ, საუზმისა და სადილის საქმე ჩინებულად მოაგვარა ქალბატონმა თეკლემ, ვახშამს — კი ვერაფერი მოუხერხა.

რუსუდანი და რევაზი, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც კინოში დადიან, ხშირად ლილიც და ზვიადიც აედევნებიან და დიასამიძეთა დიდ სუფრას ვახშამდ მარტო თეკლე და ნიკო უსხედან.

„ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, მაგრამ“...

„მაგრამ ისა, რომ ქალბატონო თეკლე, ჩვენი ახალგაზრდობა სხვა იყო“; დაყვავებით ეტყვის ნიკო და სუფრიდან ადგება, გაივლ-გამოივლის, მერე რადიოს ჩართავს და „უკანასკნელ ცნობებს“ ბოლომდე მოისმენს.

„პო, ჩვენი ახალგაზრდობა სხვა იყო: შედარებით ნაკლები ცოდნა, სანაცვლოდ დიდი რომანტიკა და დიდი გატაცება! ახლანდელმა ახალგაზრდობამ ყველაფერი იცის, ვარსკვლავებთან ახლოს ფრენს და ოკეანის ფსიქერზე ცურავს, ამიტომაც სხვანაირი ხასიათი აქვს. ასეთი ქალბატონო თეკლე, ნამდვილად ასეთა“...

მერე რადიოს ჩაიხუმებს ნიკო, სამუშაო მაგიდას მიუჯდება, თავისი შრომის ხელნაწერს გადაშლის და თანდათან ჩაულრმავდება ფიქრს:

„ასეა... ადამიანი იბადება, თვალს აახვებს და ფეხს აიდგამს, სიარულს ისწავლის, თვალი ხედვად და ყური სმენად — შეიარაღებულია! წინ გადაშლილია ცხოვრების გზა და გაუდგება ამ გზას, მიდის და მიდის, მიდის აღმართებსა და დაღმართებზე, ბილიკებსა და ორშარახზე, ხევეებსა და უფსკრულებზე. თანდათან დაიღლება გზებზე ხეტიალით, ძალიან დაიღლება, თავის წილ გზას ვავლილად მიიჩნევს და ამ ქვეყნიდან წავა...“

გზები კი ისევ რჩებიან...  
და ეს აღმართ-დაღმართები, ვიწრო ბილიკები და ორშარები ახალ მგზავრს ელოდებიან. და ახალი მგზავრი მოვა.

ცოცხალი, ბევრით ნაბიჯებით შეუქცება აღმართს, მერე ისიც დაიჭანცება გაუთავებელ გზებზე ხეტიალით და დასვენება მოესურვება.. ზოგადად მოსწონებს პატარა გარჯით დიდი გზის გავლას ახერხებს, ადვილად აღის აღმართზე! ჩვენ კი — უბანწყვეტით გავიარეთ ჩვენი ცხოვრების გზა, ქალბატონო თეკლე, მძიმე გზა გავიარეთ, დავიჭანცენით და ახლა მოსვენება გვინდა. ამიტომაც ვზივართ შინ.

სიჩუმე და მყუდროება გვინდა და ამიტომაც ვზივართ შინ.

ყუჩად ეუზვართ სუფრას, ესეამთ ჩაის და სიჩუმე გვართობს...“

თავი მორა

სექტემბერმა მოატანა და დიასამიძეთა ოჯახი აწრიალდა. ოჯახის დედამ კარგა ხანია დაჰკარგა ძილი, თვალები დაუწვრილდა, დაპატარავდა, მხრებში მოიხარა, ნაოკებმა დაუფარა სახე. ყოველდღე თეფში გაუტყდება, ან ჭიქა, ან რაღაცას წამოტყარავს ფეხს, შფოთიანი და მოუსვენარი შეიქმნა ქალბატონი თეკლე.

მეუღლე რომ იცავდა დოქტორობის ხარისხს, მაშინ ასე არ ლეღავდა თეკლე. ამოდენა შიში არ ჩაჭრია გულში; პირიქით, მხიარულად იყო, მშვიდად ეძინა, ოხუნჯობდა და ამყობდა... ჰო, სხვა ყოფილა შვილის განსაცდელი. დედის გულთან ახლოს კი არა, შიგ გულში ტრიალებს შვილის სატკივარი და შფოთავს, მოუსვენრობს დედის გული.

ოჯახის მამაც ლელავს, მთელი ზაფხული სიცხიან თბილისში გაატარა ნიკომ. ინსტიტუტის საქმეები მოიმიზეზა, ნამდვილად კი ინსტიტუტში არაფერი ესაქმებოდა, ტყუილებრალოდ მიდიოდა ყოველდღე, მარტო იჯდა ოთახში და ზვიადის სადისერტაციო შრომას უკატკიტებდა.

„ზვიადი — კი, ჰო, ზვიადი და ლილიჯერ ბორჯომში იყვნენ, მერე სოქას მიამურეს და მხოლოდ გულში ინებეს თბილისში ჩამობრძანება. კარგი საქმეა მე და ჩემმა მზემი სწორედ ასე უნდა: თეკლე და ნიკო შფოთავენ და მოუსვენრობენ, ლილი და ზვიადი აღმადაღმა დასეირნობენ... რუსუდანი ორსულადაა, პირვეულობს, ყველას სახეს არიდებს და ზვიადი... ჰო, ზვიადის დისერტაცია არ აწუხებს რუსუდანს. ჩემი პირველი შვილი უსათუოდ ქალიშვილი იქნებოდა უთქვანს დედამისისთვის, მოქარგული პერანგი შეუკერია და ახლა ჩაჩებასა ქსოვს. რევანი მოსკოვს გაემგზავრა და მხოლოდ დისერტაციის დაცვის დღეს ჩამობრძანდება.“

დიდი, ძალიან დიდი იმედია მე და ჩემმა მზემ.“

...დიასამიძეთა სახლში მხოლოდ ზვიადისა და ლილის ოთახში ანთია შუქი. საწოლში, ზვიადისკენ ზურგშექცევით, წევს ლილი. ზვიადი სამუშაო მაგიდას უზის და წიგნს დაყოვნებით ფურ-

ცლავს. თითქოს მიაყვლია რასაც ეძებდა, წიგნი დახურა, ხელებით სახე მოისრისა, წამოდგა, სინათლე ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა.

სასადილო ოთახში თეკლე შემოვიდა. მკრთალი შუქი ანთო, ზვიადისა და ლილის ოთახს მიაყურადა, მერე სასადილო მაგიდას მიუჭდა, სათვალე მოირგო, ხალათის ჯიბიდან რვეული და ფანქარი ამოიღო და რაღაცას ანგარიშობს.

უხმაუროდ შემოდის რუსუდანი, მაგრამ თეკლე მაინც ანიშნებს უფრო ფრთხილად იყავიო. რუსუდანი ცერებზე შედგება.

— ძინავთ?

თეკლე თავის დაქნევით უდასტურებს. რუსუდანი დედის გვერდით ჯდება. უცაბედად სკამი გაიხმაურებს. უხერხულობა. სიჩუმე.

— რამდენია, დედი?

თეკლე რვეულში ჩაიხედავს და წაიჩურჩულებს.

— სამოცდაოთხი!

რუსუდანი თვალს მიმოაყვებს ოთახს.

— დაეტევა?

— გაძნელდება.

რუსუდანი ყურში ჩაუჩურჩულებს.

— შევამციროთ!

თეკლე გულმოსულად გამოხედავს.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდე ეს სია რამდენჯერ არის გაცხრილული და გადაწერილი! თეკლე რვეულს რუსუდანს მიუგდებს. რუსუდანი ჩუმად კითხულობს გვარებს, ხან ეღიმება, ხანაც წყენა გამოეხატება სახეზე. რვეულს ისევ დედას დაუბრუნებს, ცერებზე შედგება და ოთახის სიგრძეს ნაბიჯებით გაზომავს.

— ოცდაოთხი. ორჯერ ოცდაოთხი — ორმოცდარვა. გვერდი-გვერდით კიდევ ორ-ორი მაგიდა და დაეტევა. ნამდვილად დაეტევა!

ოთახში ნიკო შემოვიდა, გულმოსულია, მაგრამ თავი მაინც შეიკავა და დაყვავებით ეუბნება დედა-შვილს.

— მაგ სიასმოეშვით, ქალბატონებო,

შემოწმებას არ საჭიროებს, გამოზომილია და აწონ-დაწონილია, რამდენსაცურსათზე იფიქრეთ.

თეკლე ფრთხილად წამოდგა და ნიკოს თვალებში შეაჩერდა.

— ვითომ არ იცოდე, ყველაფერი გვაქვს.

— ცოცხალი?

— ზაქარია დაგვიპირდა.

— კარგია. ამბობენ მინისტრის მოადგილე ცოცხალის გეგიაო. ხიზილალა?

— დილით ეუუენა გამოივლის ავლაბრის ბაზარში.

— რომ ვერ იშვოვს?

— ისტორიას არ ახსოვს!

ახლა კი აენთო ნიკო-ბატონი.

— ისტორიას მოეშვით! თავი გაანებეთ ფაცი-ფუცს, ერთი პირი მაინც წავიძინოთ!

ნიკომ სინათლე ჩააქრო და სამივენი უხმაუროდ გავიდნენ ოთახიდან.

...სათამა ოთხჯერ ჩამოჰკრა.

ზვიადი ადგა. შუქი ჩართო, უხმაუროდ გავიდა სასადილო ოთახში. ფანქარა გააღო და ფარდა გადასწია.

თენღება.

„ამ დილით მე, ზვიად დიასამიძე რიგითი ასპირანტი ვარ, მაგრამ დღეს მე სამეცნიერო ხარისხს დავიცავ და სალამოთი მეცნიერების კანდიდატი გავხდები... და ჩვენი ოჯახი დელავს! გუშინ დედაჩემის ბრძანებით ჩვეულებრივზე აღრე დაწვექით, მაგრამ ძილის რა მოგახსენოთ: მამაჩემი, როგორც ყველა ისტორიკოსი, მოუქანცველი მოსაუბრეა, მაგრამ წუხელ მუნჯივით იყო — ძილი არ გაუერთეს ზვიადსო, თან, ვგრძნობდი, გულმოსული იყო ჩემზე — ხვალ როგორი განსაცდელი მოვლის. ეს კი არხეინად გამოტილა ლოგინშიო... მე მხოლოდ თვალეში მქონდა დახტული და ისე ვფხიზლობდი, დედაჩემის ფიქრიც — კი მესმოდა, დედაჩემი ღვთისმორწმუნეა და ჩემი თავი სამჯერ შეავეღრა მამაზეციერს, — ყოვლადძლიერო, ხვალ გაუმარჯვე ჩემს ზვიადს, — შეიბრალე დედაძინისი...“

„უკვე აღექი, შვილო“. დედის ხმა შე-  
მოესმა ზვიადს.

ზვიადი დაიბნა. ფანჯარა მიხურა.  
ფარდა გადასწია.

„არა, არ ავმდგარვარ“.

„აბა სასადილოში რა გინდა?“ ეკი-  
თხება დედა.

„წყალი. წყალი დავლიე“. იცრუა  
ზვიადმა.

„დაწექი! ნუ დაბორილობ, ძილს  
ნუ გეიტეხ!“ ვითომ საყვედურით ამ-  
ბობს ქალბატონი თეკლე.

მაგრამ ზვიადმა იცის — დედამისი  
გალურსული წევს ლოგინში და ძილი  
არ ეკარება.

„ეშინია და ცდილობს არ შევამჩნიო,  
მაგრამ ხმამ გააჩხილა. როგორი  
მორთოლვარე ხმით დამიძახა — „უკვე  
აღექი, შვილო?“ ეეპ, ღელავს ოჯახის  
დედა...“

ზვიადმა შუქი ჩააქრო და სიბნელეში  
რუსუდანის ხმამ შეაერთო.

„ზვიად, უკვე აღექი?“

„თუთ, რა დროს ადგომაა!“ შეუტია  
ზვიადმა.

რუსუდანის ხმა: „აბა, სასადილოში  
რას აკეთებ.“

„ვეჭიდობ“. უფრო გაჯავრებით პა-  
სუხობს ზვიადი.

რუსუდანის ხმა: „მარტო?“

„პო, მარტო და შენს სადღეგრძელოს  
გიახლები“. ჩურჩულთ, მაგრამ მუქა-  
რით უთხრა ზვიადმა.

რუსუდანის ხმა: „არ მესმის, უფრო  
ხმამაღლა, ზვიადიკო!“

ზვიადი ფეხაკრეფით მიუახლოვდა  
რუსუდანის ოთახს.

„დედა არ გამოაღვიძო, თორემ ზვი-  
ადიკოს გიჩვენებ მე შენ! თუთ! ერთი  
ამას დამიხედეთ?“

...ესეც ღელავს და ამასაც ეშინია...  
უთუოდ ვერ ვერძნობ, თორემ რაღაც  
ვაი უშველებელი ტრიალებს ჩემს თავ-  
ზე! განა ხვალაც მე ისეთი ზვიად ღია-  
სამაძე არ ვიქნები, როგორიც დღესა  
ვარ? არა! ვცდები! ხვალ მე მეცნიერე-  
ბის კანდიდატი მერქმევა და, ცხადია,  
სხვანაირი. თვალთ შემომხედდავენ ინს-

ტიტუტში, სამინისტროში და მეზობ-  
ლებიც სხვანაირად გამილიმებენ. ამხა-  
ნაგებიც... ჰო, ამხანაგებით უფრო მო-  
მეკრძალებიან, აი რა ძალა აქვს ქა-  
ლადს, რომელსაც მე სამეცნიერო  
საბჭო მიბოძებს! მაშაჩემიც ასე ამბობს  
— დოკუმენტს, დოკუმენტაციას უპირ-  
ველესი მნიშვნელობა ენიჭებაო და აი  
ინებეთ დოკუმენტი: მეცნიერების კან-  
დიდატი ზვიად ნიკოლოზის ძე ღიასა-  
მიძე“.

ზვიადი თავის საძილე ოთახში შე-  
მოვიდა და მაგიდას მიუჯდა. ლილის  
გამოეღვიძა და მთქნარებით ეკითხება  
ზვიადს.

„რომელი საათია?“

თითქოს არ გაუგონიაო, ზვიადი არ  
პასუხობს.

„რომელი საათია?“ განმეორებით  
ეკითხება ლილი.

„ვერ გეტყვი!“

„რატომ? საათი დაკარგე?“

„არ ვიცი!“

„კარადის მარცხენა უჯრაში ჩემი საა-  
თია, მომაწოდე!“

ზვიადი უკმაყოფილოდ ადგა, გამოა-  
ლო კარადის უჯრა, ლილის საათი მი-  
აწოდა და ისევე მაგიდას მიუჯდა.

„მხოლოდ ექვსი. რომელ საათზე  
დაწექით წუხელ?“

„არ მახსოვს!“ თითქოს გაჯავრებით  
პასუხობს ზვიადი.

„სამაგიეროდ მე მახსოვს: თერთმე-  
ტი იყო. მერე ერთი საათი ხომ ვისა-  
უბრეთ?“

„შესაძლოა“.

ლილი ამთქნარებს და ლოგინში წა-  
მოკდება.

„ცოტა მძინებია. შენ დიდი ხანია  
აღექი?“

„მგონი“. — უხალისოდ თქვა.

„არ ვარგა, უმიზეზოდ ნერვიულობ“.

„უმიზეზოდ რატომ?“ გაცხარდა  
ზვიადი.

ლილი იღიმება.

„დელო უ ტეზია ვ შლიაპე“.

„ვინ მოგახსენათ, ქალბატონო?“



„ოტყევიან პო რუსკი, მეტყველებას ვაიმართავ“.

„ვინ მოგახსენათ-მეტყვი?“ ზვიადი ზეზე წამოდგა.

ლილი ისევ იღიმება და ამყად ამბობს:

„...ბიძაჩემმა მომახსენა ლუტიკო!“

ზვიადს დამცინავად გაეღიმა. თვალი გაუსწორა მეუღლეს.

„თქვენი ბიძა სამეცნიერო საბჭო არ გახლავთ“.

„სამეცნიერო საბჭო მის მოსახრებას წინ ვერ აღუდგება, ლუტიკო...“

„ასე უწინ იყო, ახლა ასე არ გახლავთ, ქალბატონო ლილი, და ბიძა-თქვენსაც ის წონა აღარა აქვს, რაც უწინ ჰქონდა“.

„ვითომ რა შეიცვალა?“ გაიოცა ლილი.

„სამეცნიერო საბჭო!“ დამარცხლულად ამბობს ზვიადი.

„ლოც, წევრები შეიცვალა, საბჭო იგივეა“. ლილიმ საწოლიდან ფეხები გადმოდგა, საწოლის თავთან დაკიდებულ სარკეში ჩაიხედა და თმა გადაივარცხნა.

„რამდენი მოვლა უნდა ამ შერვენებულს... ეშხადებიან?“

„ყველაზე უფრო შენ ეშხადები!“

ლილიმ სარკეს სახე მოარიდა და ლილით თქვა.

„ზუნებრივია. მე იუბილარის მეუღლედ ვარ. იუბილარის მეუღლე ყველაზე უკეთ მოირთვება. ნუ გეშინია, პაექრობას არ დავესწრები. დღეს მთავარი დიასახლისი მე ვარ, პირველი მე შევეგებებუ სტუმრებს... არ გესახელება?“

„ძალიანაც მესახელება“.

ლილიმ ისევ გაიღიმა და სარკეს მიუმარჯვა სახე.

„პოდა, თუ გესახელება... შეხედე, რა ულაზათოდ გამკრიქია ნამდვილი დალაქია“.

„აჯობებდა სამართებლით გადაგელო“.

ლილის არაფრად ეპიტნავა ზვიადის წინმეტყვიანი პასუხი, მაგრამ თავი შეიკავა. გრძნობდა, ზვიადი საოცრად ღე-

ლავდა და თან ცდილობდა მღელღეფებდა დაეფარა, მაგრამ არაბუნებრივად ხმა ამხელდა.

„პოდა, თუ გესახელება. მომეშველე, აი ამ ნაწნავს ასე მოაქიდე ხელი!“ და ზვიადის დახმარებით ლილი ლითონის ქინძისთავეებს იმაგრებს თმაში და თან ენამახვილობს.

„ხედავ, ლუტიკო, როგორ განვითარდა ტექნიკა? ეს ლითონი ქსოვილზე უფრო მსუბუქია“

„და უფრო მძიმე, ვიდრე ზოგიერთის ტვინი“.

ეს კი მეტისმეტი იყო და ლილი უცებ აენტო, სწრაფად მოიშორა ზეიადის ხელი და თმაში წვალეებით ჩაბნეული ქინძისთავეები იატაკზე დაჰყარა.

„ეგებ მოისურვო, დედაშენივით შემოვიგრაგნო თმა და ფაჩუჩები ჩავიცვა, პა' ან იქნებ იმ ქალებივით მოვიერთო, მამაშენის წიგნებში რომ არის ჩახატული! შენ გავიწყდება, რომ მე ოცდაექვსი წლისა ვარ!“

ასეთ შემოტყვას არ მოელოდა ზვიადი, მაგრამ უკანდახევა დაგვიანებულად მიიჩნია.

„პო, მავიწყდება, რომ შენ ოცდაექვსი წლისა ხარ, ოცდაექვსი წლის ქალს რვა საათი მიანც უნდა ეძინოს. შენ ძილი გაკლია და დაიძინე“.

ზვიადმა სინათლე ჩააქრო, ერთი ბნელში შეუბღვირა მეუღლეს, სასადილო ოთახში გამოვიდა და გაოცდა — ოთახში თუკლე დახვდა.

„რას ნიშნავს ეს?“ შიშნარევი ხმით იკითხა თუკლემ.

ზვიადი უცებ მოეგო გონს, თავი მოიმხიარულა, თუკლეს გამოეჭიმა, ხმა დაიბოზა და მსახიობური სიყალბით თქვა:

„ეს იმას ნიშნავს, ჩემო საყვარელო დედი, რომ შენი შვილი — ზვიად ნიკოლოზის ძე დიასამიძე მზად გახლავთ დაიცვას სამეცნიერო ხარისხი! დიახ, ჰუმეარტებას მოგახსენებთ, ქალბატონო თუკლე, თქვენი ვაჟიშვილი!“

„მთელი ღამე ზეზე იყავი? — თუკია

კითხვა რა საჭიროა, სახეზევე გეტყობა — ღამე თერთად გაგიტენებია“.

თეკლე მოიღუშა, მხრებში მოიხარა, ჰო, სადაცაა ატირდება და ზვიადს შეე-ბრალა დედა.

„ვიწევი. მეძინა. სიზმარიც ვნახე“... თეკლე თვალეზში შეაჩერდა.

„სიზმარიც ნახე? რა გესიზმრა?“

ახლა კი დაიბნა ზვიადი და ღიმილით მიუგო:

„სიზმარი არ მინახავს, მაგრამ ნამ-ღვილად მეძინა“.

ოთახში რუსულდანი შემოვიდა, თვა-ლები მოიფშვინტა, კედლის საათს ახ-ედა, შერე დედასა და ძმას გაოცებუ-ლად შეაქებრა, თეკლე აენტო:

„შენდა გვაცლი! რა დროს შენი ადგომია?“

შეშინებულ რუსულდანს რომ შეხედა, თეკლე უცებ მოლბა, წელზე მოხვია ხელი და თავის ოთახში გააბრუნა.

ზვიადმა ფანჯარა გააღო და ეზოში გადაიხედა. კარისმეზობელი შადიმან შარანგია ონკანთან იდგა. წელზევით შიშველი იყო და ცივი ტილოთი ტანს იხელდა.

„ჩემი და შარანგიას ცხოვრება ერთ-მანეთსა ჰგავს. მან ისტორიულ-ფილო-სოფიური ფაქულტეტი დაამთავრა, მაგ-რამ სასადილოს გამგედ მუშაობს, ცხოვრების ავკარზე ერთობ ორიგი-ნალური შეხედულება აქვს, ხოლო მა-მაჩემი ამაოდ ცდილობს საწინააღმდე-გო დაუმტყიცოს... მე ფიზკულტურელი ვიყავი, — მორბენალი! ფიზკულტურის ინსტიტუტში მინდოდა შესვლა, მაგრამ ჩემმა ნათლიამ „იწინასწარმეტყველა“

— სოფლის მეურნეობის მექანიზაციას დიდი მომავალი აქვს საქართველოში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამომაყოფიეს თავი. მორბენალბა აქაც დიდად შეიშველა! — ღმერთმა და-ლოცოს ფიზკულტურა!“

„უკვე ხარისხს იცავ?“

„დედის ხმა შემოესმა ზვიადს.“

„ღიან, — ხმას აუწია ზვიადმა — მე რეპეტიციას გავდივარ დედაჩემო, შენი კი — მიკვირს, დიდიდანვე რომ მოუს-

ვენრობ! შენც ხომ არ ამირებ, ჩემთან ერთად, ხარისხის დაცვაზე“

ქალბატონი თეკლე მანძახსსურს. კე-ავს, სოფლის მეურნეობის მექანიზაცი-ის საკითხებში ვერ ერკვევა ქალბატონი თეკლე, მას თავისი საზრუნავი აქვს.

„ვითომ არ იცი, მე რაც მალეღვებ?“

„ვიცი, კარგადაც ვიცი: ვითომ ვახ-შამი, ვითომ სტუმრები... ახლა შენ ცდილობ მომატყუო, მაგრამ ვერ ახერ-ხებ! შეილსა და დედას სიმაართლე ვერ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ხედავ რა დაგრეხილი და მიკიბულ-მოკიბულია ცხოვრება! დღეს შენი შვილი ცხოვრე-ბის გზაზე წინ წაიწევს, ერთის საფეხუ-რით ამაღლდება, შენ ეს გიხარია და თან შიშობ — ვაი თუ ფეხი დაუცდეს-სო და ამ შიშმა რომ არ შემაყროს, ცდილობ დამიმალო... გავიწყდება, რომ მე უკვე ბაღლი აღარა ვარ, დედი!“

ნიკომ ხმაურით შემოაღო კარი. ჩანს კარგახანია ადგარა, თმა კონტად აქვს დავარცხნილი, დედა-შვილს გაუღიმა და საათს გახედა.

„მშვიდობის დილა მისურვებია... ოღონდ დილა აღრიან რა საჭიროა ეს პეექრობა, სალამომდე დიდი დრო არის!“

თეკლემ მწყყრალად გახედა მეუღლეს და სკამიდან ადგა.

„ერთნაირად ღალადებ ყოველთვის: დრო დიდი დავერჩა!“

„უნდა ვილაღადო, ქალბატონო თეკ-ლე, — დინჯად და დამარცვლულად პა-სუხობს ნიკო, — დიან, უნდა ვილაღა-დო, არ მიყვარს გადამეტებული ფა-ციფუცი! შაბატიე და — ქალებს ხომ მოსვენება არ შეგიძლიათ: ეს ნივთი სად დავდგათ, ეს სად ჩამოვიდოთ, სუფრის თავში ვინ დავსვით... ყოვე-ლივე ეს წერილმანია! უმთავრესი და თავიდათავი სიმშვიდეა, დიან, სიმშვი-დე! სიმშვიდემან დიდმან სძლია საქმე-ნი ძნელნი და დიდნი“...

გულმოსული თეკლე ოთახიდან გა-ვიდა. ნიკო სავარძელში ჩაჯდა და მის-თან მისული ზვიადი მოაბრუნა.

„შენ ხომ მშვიდად ხარ?“

246



„მშვიდად, მამაჩემო!“

ნიკომ თვალი მოაჩინა, არ ესიაოვ-  
ნა შვილის ასეთი „სიმშვიდე“.

„კარგია... ცოტა ხმა კი გოკანკალებს“.

ზვიადი შეერთა. მიხვდა, მამამ სიც-  
რულეში დაიჭირა.

„ხმა? სიზარულის გამო“. ვითომ უდ-  
არდელად თქვა ზვიადმა.

„შესაძლოა... რაიმე გაუფებრობას არ  
უნდა მოველოდეთ?“

„არა მგონია, მამი!“

ნიკომ თვალი გაუყარა, ხელით ანიშნა  
— ახლოს მოდიო; მერე ირგვლივ მი-  
მოიხედა და როცა დარწმუნდა ოთახში  
მათ გარდა არავინ იყო, სავარძელიდან  
წამოდგა და ზვიადს ყურში ჩაუჩურჩუ-  
ლა.

„უთუოდ რამიშვილის წყალობით!“

„წყალობა? — გაიკვირვა ზვიადმა,  
— წყალობა რატომ? რამიშვილი ადას-  
ტურებს, რომ ჩემი განგაარიშება სწო-  
რია და, რამიშვილის აზრს ხომ იცი,  
როგორი წონაც აქვს!“

ნიკომ უხალისოდ გაიღიმა.

„რამიშვილის აზრის სიმძიმეს, მოკე-  
თეობა ამსუბუქებს“.

„მოკეთეობა შუბლზე არ აწერია  
პროფესორს“.

„ჩვენ ხომ ვიცით? მე, შენ, დედაშე-  
ნმა, შენმა მეუღლემ? დარწმუნებული  
იყავი, სხვებმაც იციან და თუ დასჭირ-  
დათ, ჩინებულადაც გამოიყენებენ“.

უცებ შიშმა აიტანა ზვიადი. უთუოდ  
მამაჩემმა რაღაც იცის და მიკიბულ-  
მოკიბულად მელაპარაკება, მე კი —  
ვერაფერი გავუგეო. მაინც თამამად  
დაუდგა.

„აქ ანგარიშთან, განგაარიშებასთან  
გვაქვს საქმე. აქ ციფრები მეტყველე-  
ბენ და ეს ისტორია არ გახლავთ!“

ახლა კი აენთო ნიკო, შვილს დამცი-  
ნავად გაუღიმა, თითქოს დაცხაო, პე-  
რანგის საყულოზე დიდი შეიხსნა, ხა-  
ლათის ჯიბეში ცხვირსახოცი მოიძია,  
ვითომ ოფლიანი შუბლი შეიმშრალა,  
ჩაახველა და დაიბუბუნა.

„საცოდავი ისტორია! ისტორია ქეშ-  
მარიტ ფაქტებზეა დაფუძნებული, მას

ისტორიე კანონები აქვს, როგორც  
თქვენს მექანიზაციას და გაანგაარიშე-  
ბას! ისტორია... დიას, ისტორიამქმქმქმ

ბოლთას სცემდა. თვალები აემღვრა.  
ნიკაბი აუტაცხვდა. შუბლზე ოფლმა  
გამოეონა და მუდამ მშვიდი და ღიწი  
ნიკო დიასამიქე გულს ასკდებოდა.

ისევ შიშმა აიტანა ზვიადი. მობოდი-  
შება სცადა.

„მე ამ აზრით... მამაჩემო!“

„ვიცი. ვიცი, რა აზრითაც, — შემო-  
უბღვირა ნიკომ, — ეს მართო შენი  
აზრი არ არის, შენი პროფესორიც ასე  
მსჯელობს და დიდადაც სცოდავს! მან  
რომ თავისი ქვეყნის ისტორია კარგად  
იცოდეს, ცოტა სხვანაირად აწონ-და-  
წონიდა შენს დისერტაციას... შენს  
პროფესორს მოახსენე, რომ წარსულში  
სილოვან რამიშვილი არ დასტრიალე-  
ბდა თავს ქართველ გლეხს, მაგრამ მას  
ხორბალიც უხვად მოჰყავდა და ვაზიც  
ჩინებულად ჰქონდა გაზარებული... აი  
ამას ამბობს ისტორია“.

კარში შეშინებული თეკლე გამოჩ-  
ნდა, ეტყობა ყურს უგდებდა მამა-შვი-  
ლის კამათს, მაგრამ ვითომ აქ არაფე-  
რიაო, ღიმილით მიმართა ნიკოს.

„მშვიდობის დილა მისურვებია, ოლ-  
ონდ დილა აღრიან რა საჭიროა პაექ-  
რობა, საღამომდე დიდი დრო არის!“

„პაექრობის დრო ყოველთვის არის  
ქალბატონო თეკლე, — თავშეკავებით  
მიუგო ნიკომ, — ოღონდ პაექრობის  
საგანს გააჩნია“.

თეკლემ მამა-შვილი საუზმეზე მიიწ-  
ვია. ზვიადი დედას გაჰყვა, ნიკომ ხე-  
ლით ანიშნა თეკლეს — მერე მოვლო,  
სავარძელში ჩაჯდა, თვალები მილულა  
და ახლა უფრო ხმადაბლა შეუტია სი-  
ლოვან რამიშვილს. „საწყალი ისტო-  
რია! ჰო, რამიშვილის მექანიზაცია მეც-  
ნიერებაა, ჩვენი ისტორია — კი ქოსატ-  
ყუილას ზღაპარი! დამიხედეთ ამ ვაჟ-  
ბატონს!“

ოთახში კარისმეზობელი შადიმან შა-  
რანგია შემოვიდა. ნიკო სავარძლიდან  
წამოდგა, ხალისიანად შეეგება.

„სალამი დილისა — პურმარლისა!“  
დაიბუხუნა შადიმან შარანგამ.

ნიკომ ხელი ჩამოართვა და გაუღი-  
მა.

„იციცხლე! ახირებული კაცი ხარ  
ჩემო შადიმან, დილიდანვე პურმარი-  
ლი გაკერია პირზე“.

„ღლით პურმარილი უნდა დავიბე-  
დოთ, ნიკო ბატონო, ისტორიული წყა-  
როები, მერე“... ისევ დაიბუხუნა შა-  
დიმან შარანგამ.

„შენც შეუტეე ისტორიას?“ ვითომ  
შეუზღვირა ნიკომ.

„როგორ გეკადრებათ? — ხელები  
გაასაფსავა შადიმანმა, — ჩემი აზროვ-  
ნების საძირკველი ისტორია და ფილო-  
სოფია გახლავთ, ნიკო ბატონო! თქვენი  
საყვარელი ებიკურე მოგვახსენებს: ყო-  
ველი სიკეთის საწყისი და ფუძეთაფუძე  
გახლავთ კუჭის სიამოვნება, — სიბრ-  
ძნეს და ყველა სხვა სათნობას მასთან  
აქვს კავშირი“.

შადიმანს თითონვე მოეწონა თავისი  
ნათქვამი. თამამად გაუღიმა ნიკოს და  
ხელები გაშალა.

„აა, როგორ ფიქრობთ, ნიკო ბატო-  
ნო, ისტორია უარყოფს ამ მოსაზრე-  
ბას?“

„ნამეტანს აწვრილმანებ, ჩემო შადი-  
მან!“ სხვათაშორის მიუჯო ნიკომ.

„ყოველი ადამიანი, — უფრო გათა-  
მამდა შადიმანი, — მატერიალისტია  
ბუნებით. — ხორცის ხმა — არ გვმი-  
ოდეს, არ გვწყუროდეს — არ გვციო-  
დეს, — და ჩვენი სული ყურს უგ-  
დებს ამ ხმას: უბირველესად იმისათ-  
ვის ვიღწვით, რომ გვჭონდეს საქ-  
მელ-სასმელი, შესამოსელი და სი-  
თბო. და როცა ესენი გვაქვს, ცხოვრება  
ლამაზი გვეჩვენება“...

ნიკომ დამკინავად გაუღიმა კარისმე-  
ზობელს, რაღაც ისეთი უნდოდა ვთქვა,  
რომ შადიმანს აუდიენცია დამთავრებუ-  
ლად მიეჩნია, ეგრძნობინებია — ამ დი-  
ლით შენთან პაექრობის ხასიათზე არ  
ვარო. მაგრამ უპასუხოდ მაინც არ და-  
ტოვა გათამამებული შადიმანი.

„კუჭის ხმას აპყევი, ამიტომაც ის-

ტორიას ზურგი შეაქციე და სასადილოს  
მიაშურე, არა?“

მარკინეშვილი

„უფრო ღრმა მიზეზისი გამორჩეულ-  
ლში შევიდა შადიმანი, — მე რეალის-  
ტი გახლავართ, ნიკო ბატონო! ვიგრძე-  
ნი — ისტორიას ახალს ვერაფერს ვეტ-  
ყოდი და გზა ვუტეე. ზოგიერთი თქვე-  
ნი პატივეცემული კოლეგაც ასე რომ  
მოიქცეოდეს, ისტორია არ დაზარალ-  
დება“.

ნიკოს არაფრად ეტაშნიკა სასადილოს  
გამგის ასეთი თამამი აზრი ისტორიკო-  
სებზე და შეუწყრა.

„ნამეტანი მალლა ფრენ, ჩემო შადი-  
მან!“

„თქვენ რომ გგონიათ, არც ისე მა-  
ლლა, — დარწმუნებით თქვა შადიმანმა,  
— ზოგიერთ ისტორიკოსს ისტორია კი  
შეუსწავლია, თავისთავი კი ვერა... მაგ-  
რამ მე ამ დილით საკამათოდ არ მოე-  
სულეარ თქვენთან, ნიკო ბატონო! დღეს  
თქვენს სახლში დიდი ზემოდა და თქვენ-  
მა კარისმეზობელმა ერთი ფუთი ცოც-  
ხალი კალმახი მოგართვათ!“

ნიკო — (უაღრესად შინაურული კი-  
ლოთი) მართლა?

შადიმანი — კალმახები თქვენს  
სამზარეულოში ფართხალევენ.

ნიკო — ჩინებულია! სად იყიდეთ?

შადიმანი — ბაზარში.

ნიკო — რომელ ბაზარში?

შადიმანი — ჩვენს ბაზარში.

ნიკო — ვერის ბაზარში?

შადიმანი — ვერის ბაზარი —  
თქვენი ბაზარია. მე მოგახსენეთ ჩვენს  
ბაზარში-მეთქი.

ნიკო — სადაა ეს თქვენი ბაზარი?

შადიმანი — თქვენ მას ვერ მიაგ-  
ნებთ!

ნიკო — რატომ? მე თბილისის ყვე-  
ლა ბაზარი ვიცი!

შადიმანი — მაგრამ სასადილოების  
გამგეთა ბაზარს მაინც ვერ მიაგნებთ,  
პატივეცემულო ნიკო! უმისამართოა...  
მყიდველებმა, რომ გაიგონ მისი ად-  
გილსამყოფელი — კედელს შეუნგრე-  
ვენ. და შადიმანი უფრო თამამად გას-  
წორდა წელში, განიერი მხარბეტი ოდ-

ნავ შეარხია და ნიშნისმოგებით გახედა კარისმეზობელს.

„დიას, კალმახს დიდი, ძალიან დიდი ძალა აქვს, პატივცემულო ნიკო, ერთ ისტორიულ ამბავს შეგახსენებთ: ერთ-ერთ ომში ჯარი, რომელიც ციხეს უტევდა, ძლიერ მოიქანცა, დამშეულიც იყო და იერიში ჩაიშალა. ჯარის სარდალმა ზერხი იხმარა — მემორებს მოახსენა: ამ ციხეს მტერი იმიტომ იცავს ასე თავგამოდებით, რომ ციხეში წყლის დიდი აუზია, ხოლო აუზი კალმახებით არის სავსეო და მაშინ ისხვლა ჯარმა, ძალა მოიცა, მუხლი გაიმავრა, ეკვთა ციხეს და ყიყინით აიღო... და ეამთაღმწერელმან აღბეჭდა: ძალა კალმახისა, აღუმატების ძლიერებას ციხე-ბურჯისას! გახსოვთ ეს ადგილი, ნიკო ბატონო, „ქართლის ცხოვრებიდან“?

ნიკო — (ძალიან გაჯავრებული) ყალბისმქნელები ჩასწერდნენ!

შადიმანი — (ღიმილით) ისტორიკოსებს ეხერხებათ ყალბისმქნელობა!

ნიკო — ცოტა გადაკრულში ხარ, პატივცემულო შადიმანი!

შადიმანი გულიანად გაიღიმა. მკლავები ისე გაშალა, თითქოს ნიკოს გულში ჩაბუტებას უპირებსო, მიუახლოვდა კარისმეზობელს და ყურში უჩურჩულა.

„მართალსა ბრძანებთ, დილის ვარჯიში შევასრულე — ორასი გრამი... სხვათაშორის, რადგანაც დღეს თქვენთან ფრიალ პატიყსაცემი ხალხი მოიყარის თავს, არაყსაც მე გამოგიგზავნიო“...

„რატომ? არაყი მაინც იყიდება მაღაზიებში!“ გაოცებით თქვა ნიკომ.

ისევ გაიღიმა შადიმანი და ცოტა არ იყოს დამცინავად გახედა კარისმეზობელს.

„ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო ნიკო, მაგრამ არაყი, რომელსაც თქვენ მაღაზიაში იყიდით, მოჭარბებულად წყალნარევია. მე პირდაპირ ქარხნიდან გამოვიტან... თუმცა ქარხნიდანაც წაწყვილებილი გამოდის, მაგრამ მე იქ ნაცნობი მყავს“.

ნიკომ პირვეარი გარდაისახა.

„დიას, ჩვენც — ბუხუნებს შადიმან შარანგია, ბატონო ისტორიკოსო, მორწმუნენი გახლავართ, მაგრამ ისეთი მორწმუნენი, რომლებიც ხორცს თვითონ მიირთმევენ, ხოლო მამაზეციერს ძელეხსა სწირავენ“.

და შადიმან შარანგია პირვეარი გარდაისახა. მერე ორივე თვალი სანახევროდ მოჭუტა, ღიმილიანად გახედა კარისმეზობელს, ჩახველა და მოუბოდიშა.

„მაპატიეთ, ნიკო ბატონო, ახლავე წავალ, ოღონდ წაწყვილებილად ნუ მიმიჩნევთ: — სასადილოების გამგეთა ბაზარი მე არ დამიარსებია. როცა თქვენი მონამორჩილი სასადილოს გამგედ აკურთხეს, იმ ბაზარს უკვე სამტომიანი ისტორია ჰქონდა:“

\* \* \*

დილით რევაზი ჩამოფრინდა მოსკოვიდან და დიასამიძეთა ოჯახი ცოტათი დაშოშმინდა. თითქოს ნაპირმოსხნილი მდინარე უცებ ჩადგა კალაპოტში და დაიწმინდა.

თორმეტ საათზე რუსუდანი, რევაზი და ზვიადი ინსტიტუტში წავიდნენ და ისევ აწრიალდა დიასამიძეთა ოჯახი.

ნიკომ შინ ვერ მოისვენა, რადაც მიმიზეზა და სახლიდან წავიდა. თეკლემ არაფერი ჰკითხა ქმარს, დარწმუნებული იყო ნიკო ინსტიტუტს მიაშურებდა. დათქმით კი — დაითქვა — შეიღის დისერტაციის დაცვას არ დავესწრები, უხერხულიაო, მაგრამ ეტყობა გულმა არ მოუთმინა და წავიდა. ჰო, შეუმჩნევლად შეიპარება ნიკო დარბაზში, საღაც კუთხეში მიიმალება და მორიდებულად დაჯდება მერხზე. წიგნი ხომ წაიღო? იმ წიგნს გადაშლის, სათვალეს მოირგებს და იკითხავს და იკითხავს, ვითომ მოვალეობის გამო მობრძანებულა, თორემ დისერტაციას და დისერტანტს რა ბედი ეწვევა, ოღნავადაც არ აინტერესებს... კი, თეკლეს და ლილის გაეპარა ნიკო, ნამდვილად გაეპარა, არც კი გამოუტყდა — აღრინდელი გადაწყვეტილება შეეცვალა, არ შემოი-

ლია პეჭრობას არ დავეწროო. ჰოდა დიასამიძეთა სახლში თეკლე, ლილი და მზარეულები დარჩნენ. სადაცაა რუსუდანიისა და ლილის მეგობრები მოვლენ, ისინი დიღმისა და წავკისის შემოდგომის ყვავილებს მოიტანენ და დიასამიძეთა ბინა გამხიარულდება და გაიცინებს.

ზარმა დარეკა. კარი თეკლემ გააღო — და გაოცდა, როცა ქალიშვილების ნაცვლად გულმოსული ნიკო შემოედგა.

„ქუქუნამ ზიზილალა მოგიტანათ?“ დაიცინით ჰკითხა ნიკომ.

„ჯერ არა, მაგრამ მოიტანს“. დაბნეულად უპასუხა თეკლემ და ნიკომ იფეთქა.

„არ მოუტანია და ვერც მოიტანს! დიახ, ვერც მოიტანს და აელაბრის ბაზართან, სსაადილოთა გამგეების ბაზართან ისტორიას ნუ ახსენებთ! ყველამ თავისთავს მოუაროს, თავისი ადგილი მოიძიოს! დიახ, ასეა ეს!“ და ნიკომ პერგამენტის ქაღალდში შეხვეული შავი ხიზილალა თეკლეს გაუწოდა, მერე გაოცებულ მეთულეს თვალი ჩაუკრა და ცერად გახედა. — მაცივარში შედევო“.

„ჰო, ისტორიას მოეშვით! თუ ვინმემ მიკითხოს, შინ არა ვარ“.

და ნიკო თავის ოთახში ტახტზე ტანთგაუხდელად წამოწვა. მკლავები კისრისქვეშ ამოიდო და თვალი ჰერს გაუყარა.

„...ახლა უკვე მეორე ოპონენტი ლაპარაკობს. პატივცემული და ღვაწლმოსილი პროფესორი სილოვან რამიშვილი. დარბაზი სულგანაბული, გულისყურით უსმენს პროფესორს და დარბაზში ეღერს რამიშვილის ტენორი: დიახ, მექანიაციკა თანდათან უფრო ღრმად დანერგება ქართული სოფლის მეურნეობაში, ამაღლდება მიწათმოქმედების კულტურა, უფრო გაიმართება წელში გლეხი და ნაკლებს ჯაფით უწინდელზე მეტს მოიჭირნახულებს, ამას გვიდასტურებს დისერტანტის ეს, მე ვიტყვი, ბრწყინვალე შრომა...“

აქა იქ ჩაიციანებენ, ისე ჩაიციანებენ, ვითომ არაფერიაო, მაგრამ რეპეტიციონის ფიზიკური სმენა აქვს და მასობრივად ამ ჩუმ ჩაიციანებასაც დაინახავს და გაიგონებს და თვითონვე დაიცინით ვადმოხედავს ვითომ მორიდებულად მოლიმართ, აზრს არ გაწყვეტს და დაჯერებით დაასკვნის.

„...და ამის გამო შრომის ავტორი დირსია მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მინიჭებისა“.

უმთავრესია დასკვნა და ზომ გაიგონეთ მთავარმა ოპონენტმა რაც ბრძანა. ყველაფერი დანარჩენი ფორმალბაა. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე დამსწრეთ მიმართავს — ზომ არავის სურს აზრის გამოთქმაო. დარბაზი დუმს. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე განმეორებით მიმართავს დარბაზში მსხდომთ და რადგანაც დარბაზი განმეორებითაც დუმილით უპასუხებს, თავმჯდომარე სამეცნიერო საბჭოს სხდომას დროებით შეწყვეტს და საბჭოს ათწევრებს თხოვს დარბაზი დროებით დატოვონ. დარბაზში მსხდომი სტუმრები აიშლებიან, ყველანი დისერტანტს ელიმილებიან და ამ დროებით წინასწარ ულოცავენ გამარჯვებას, დარბაზი თანდათან დაიკლება. დისერტანტიც სტოვებს დარბაზს და დერეფანში მორიდებულად დგას... მერე ყველაფერი წესის მიხედვით: კენჭისყრა და დათვალი, სამეცნიერო საბჭოს ოქმის შედგენა სულ ოციოდე წუთს გაგრძელება. მერე დარბაზის კარი გაიღება, ხალხს დარბაზში მიიწვევენ, დისერტანტი კათედრაზე დადგება, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ხალხს დააწყნარებს და საბჭოს მდივანი ოქმს წაიკითხავს, ტაში, მილოცვები, კოცნა. ხმაური.

ნიკომ საათს დახედა. სრული ოთხი საათია. ახლა უთუოდ დამთავრებულია სამეცნიერო საბჭოს სხდომა. რუსუდანი და რევაზი სტუმრებს ეპატივებიან, თუმცა დაპატივება რაღად უნდა — მთელი საბჭო გეახლებათ და დიასამიძეთა ოჯახი მზად უნდა დახედეს.

ტახტიდან წამოიჭრა, სსაადილო ოთ-

ახში ქალიშვილების გუნდი დახვდა. მთავარ სუფრას, რომელიც ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე იყო გაშლილი, ნაბიჯნაბიჯ შემოუარა, მერე კმაყოფილების გამოსახატავად ქალიშვილებს ალერსიანად გაუღიმა და სამზარეულოში თეკლეს და ლილის ეჭვია.

„ხიზილალა ჯერ მაცივარში იყოს, კალმახიცი!“ ბრძანების კილოთი თქვა ნიკომ, მეუღლეს და რძალსაც გაუღიმა და ისევ სასადილო ოთახში შემოიჭრა.

„სადაცაა სტუმრები მოვლენ“.

„მობრძანდნენ ნიკო ბატონო, მობრძანდნენ და დავხვდებით“.

ნიკომ კიდევ კარგაბანს იბორილა ოთახიდან — ოთახში, რამდენჯერმე ქუჩაშიაც გაიხედა, მაგრამ სტუმრები არ გამოჩნდნენ და არა.

მეექვსე საათი დაიწყო. ეს უკვე მეტისმეტია. არა, ნიკო დიასამიძეს ამდენის მოთმენა არ შეუძლია, ჯობი მოიხელთა და ქუჩაში გავიდა.

ხალხი სამუშაოდან ბრუნდება შინ და ქუჩაში მანქანების ქედვია, ტროტუარებიც სავსეა ხალხით და ნიკო დიასამიძე ამ მოზიზიშივე ხალხს შეერია, მიჰყვება ქუჩას, არა, ქუჩას კი არა, ხალხის დენას მიჰყვება ნიკო დიასამიძე. მიდის, წინ მიდის, რომ დიასამიძეთა სახლში მომავალ სტუმრებს შეეგებოს და ვერის ხიდზე ამოჰყო თავი.

„საით ნიკო ბატონო?“ შემოესმა შარანგიას ხმა და ნიკო შედგა, თვალები დააფახულა, ვითომ გაუღიმა კარისმეზობელს.

„ცოტა საქმე მაქვს, შალიმანი!“

„გამოგყვებით!“

„არა. შენ სახლში წადი, ქალებს მიეშველე... მეც მალე მოვბრუნდები“. დაბნეულად თქვა ნიკომ, შალიმანის პასუხისათვის არ დაუცდია და ელბაჭიძის აღმართს შეუყვია.

...მერე ისევ ვერის ხიდზე აღმოჩნდა ნიკო დიასამიძე. ჰო, აღმართზე სიარული ეწინააღმდეგება ნიკოს, ელბაჭიძის აღმართი ნახევრადაც ვერ აიარა და დაიქანცა, სუნთქვა გაუხშირა, მუხლები მოეკვითა, ქადარს მიეყრდნო, ქარი ამ-

ოილო მუხლებიდან და ნელნელა დაეშვა დაღმართზე. შინ ბრუნდებოდა ნიკო დიასამიძე, სტუმრები კი უკვე მოვიდნენ და მასპინძელს კითხულობენ. ჰოდა, მასპინძელიც ახლავე გეახლებათ, აპატიეთ პატივცემულო სტუმრებო, მცირე შეგვიანება ნიკო დიასამიძეს.

ძალა მოიცა და ნაბიჯს აუჩქარა. სახლს მიახლოვებულმა თავის ბინას ახედა. ფანჯრის რაფას ისე გადმოყრდნობია დიასამიძის რძალი. სადაცაა გადმოფრინდება და ნიკო დიასამიძე შეკრთა და შეშინდა.

„ჩანს ჯერაც არ მოსულან“.

ლასლასით აიარა კიბე. ღია კარი და სიჩუმე შემოეგება. შეშფოთებული ლილი ფანჯარასთან დგას და ისევ ქუჩაში იმზირება, ქალიშვილები ზვიადის ოთახში შეკეტილან, სამზარეულოში და ბალსკამზე დაპატარავებული და გაოგნებული თეკლე ზის, მაცივართან შალიმან შარანგია გაგვიმულა.

არავინ ესალმება, არავინ უღიმის, ხმა დაკარგვით, გაოგნებულან და გაშეშებულან, სიჩუმე და შიში დაუფლებია ნიკო დიასამიძის ოჯახს.

გაწყობილ სუფრას ნაბიჯნაბიჯ შემოუარა, სორავით დაზვიანული და უცაყო სუფრა მოწყენილად მოეჩვენა, თითქოს ძილი შემოპარვია სუფრას და თვლემს, გულში რომელიღაც ძაფი ჩაუწყდა და სავარძელში ჩაჭდა.

სასადილოში თეკლე შემოვიდა, სავარძელში ჩათვლემილი მეუღლე რომ ნახა, იწყინა — კაი დრო და ადგილი კი უზოვნია ძილისათვისო — გაიფიქრა და განგებ ჩაახველა, მერე სკამებიც ხმაურით გადაადგილა, ელექტრონიც კი ჩართო, სინათლე გამოაფხიზლებსო, მაგრამ ნიკო ისევ უძრავად იჯდა სავარძელში და ნებიერთად თვლემდა.

რძალს მოუხმო თეკლემ.

„სადაცაა სტუმრები მოვლენ, გამოაფხიზლე, სირცხვილია...“

ლილი მამამთილის გვერდით ჩაჭდა სავარძელში.

„ჩვენ ხვალვე წავალთ“.

ცოტა არ იყოს ხმამაღლა და გაჭიანჭურებულად თქვა ლილიმ. კი არ თქვა, ყურში ჩაუმარცვლა ნიკოს. თითქოს მართლა ეძინა და რძლის ხმამ გამოათხიზლაო, — ნიკო შეიშმუშნა, ოდნავ გაახშორა, მერე თვალები გაახილა და უგუნებოდ თქვა.

„ვერ გავიგონე“...

„ზვიადი და მე ხვალვე წავალთ-მეთქი“. ნიკომ თვალები ისევ მილულა.

„პოო, წადით“.

„მე ყველაფერი მოვამზადე“.

„კარგია. ძალიან კარგია, რომ ყველაფერი მოგიმზადებია“. უხალისოდ მიუგო ნიკომ.

კედლის საათმა შეიღჯერ დაპკრა.

„სადაცაა მოვლენ“ — თქვა ლილიმ და ფანჯარასთან მიიჭრა.

თეკლემ სამზარეულოდან გამოსძახა, — მოდიან? გვეშველა! აბა, შეეგებეთ!“

„მე ვთქვი — სადაცაა მოვლენ მეთქი“ — ლილიმ სუფრას შემოუარა — „აქ სამინისტრო დაბრძანდება (სამინისტროს ტერიტორიაზე თრიოდე სკამი გამოწყული იყო და ლილიმ „გაასწორა“). აქ, აი ასე გაყოლებით, სუფრის ბოლომდე, სამეცნიერო საბჭოს წევრები დაბრძანდებიან. სამეცნიერო საბჭოს წევრების პირდაპირ — პარტკომი და პროფკომი, მორჩა. საპატიო სტუმრები მაგიდას უსხედან. თუ ადგილი დარჩა, შემთხვევით მოსულ ხალხსაც მათ გვერდით დავსვამ. თუ არ დაეტევა და აგერ, ჩემს ოთახში! მორჩა და გათავდა. ყველანი სუფრას უსხედან. საჭიროა თამადის არჩევა“.

ლილი ისევ ნიკოს გვერდით დაჯდა. ნიკო ისევ თვლემდა და სავარძელში ოდნავ შეირბა. აგრძნობინა — ვიცი ჩემს გვერდით რომ დაჯექიო.

„ჩვენი მგზავრობის გეგმა შევცვალე“ — ხმამაღლა თქვა ლილიმ.

„კარგია“.

„რა არის კარგი?“

„მგზავრობის გეგმა რომ შევიცვლია“.

„მეგონა ყურს არ მიგდებდით, მაპატიეთ“. დარცხვენით თქვა ლილიმ და

მგზავრობის ახალი გეგმა გადაუშალა: „ლენინგრადიდან რიგაში ჩავალთ, რიგიდან კიევიში, კიევიდან ლუბინში“.

„ჩინებულა“.

„ოღესიდან გავრავი. გავრავი დავი-სვენებთ“.

„გავრა არ მომწონს“ — დაბეჭითით თქვა ნიკომ.

„რატომ?“

„სიცხე... ხმაური“...

„სამაგიეროდ მთელი თბილისი გავრავია!“

„პოო, ესეც მართალია“. ვითომ ძალიან მოუწონა ნიკომ რძალს მგზავრობის გეგმა და სრულიად მოულოდნელად დამცინავად გაუღიმა.

„ეგებ ინსტიტუტში დაგერეკათ!“

ლილი შეკრთა. თითქოს ახლა იგრძნო, რომ დისერტაციის დაცვა ძალზე გაჭიანურდა.

„სააქტო დარბაზში ტელეფონი არ არის... უთუოდ მოდიან, თორემ თვითონ დაგვირეკავდნენ“. და ფანჯარას მიახლოვებულმა ლილიმ ხელები ჰაერში შეისროლა და ისტერიულად შესძახა.

„მაზარბელი მოდის! რუსიკო მოდის!“

ნიკო სავარძლიდან წამოიჭრა, თეკლე სამზარეულოდან გამოფუსფუსდა — ლილის ოთახიდან ქალიშვილები ტყრცხალით გამოცვიდნენ.

კარის გაღება ყველას ლილიმ დაასწრო.

რუსუდანი სვენებ-სვენებით და უხალისოდ ამოდიოდა კიბეზე, ფეხები უკან რჩებოდა, თითქოს არ სურდა სახლში შემოსვლა. კარის ზღურბლზე მამას რომ მოჰკრა თვალი, გული შეუტოკდა და შედგა.

„დამთავრდა შეილო“ შიშნარევი ხმით ჰკითხა ნიკომ.

რუსუდანი შეირბა, კიბის დარჩენილი საფეხურები ლასლასით ამოათავა, უღიმღამოდ მიმოიხედა გარშემო და მამის შიშინ თვალებს რომ შეეფეთა, ისევ შეტოკდა და შედგა.

„ყველაფერი დამთავრდა, „მამი!“ ჩა-



წყვეტილი, უმწეო ხმით თქვა რუსუ-  
დანმა.

დისერტაციის დაცვა, თავდაპირვე-  
ლად, ზუსტად ისე წარიმართა, როგ-  
ორც ტახტზე წამოწოლილმა ნიკო დი-  
ასამიძემ წარმოისახა.

სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭე-  
დილი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-  
ტის უკანასკნელი კურსის სტუდენტე-  
ბი. ასპირანტები, ახალგაზრდა მეცნიერ-  
მუშაეები, უკვე ხანში შესული პროფე-  
სორ-მასწავლებლები, ღვაწლმოსილი  
მეცნიერები, — დიახ, მთელი ინსტი-  
ტუტის რჩეული საზოგადოება სააქტო  
დარბაზში იყო, თავმოყრილი.

...და სამეცნიერო საბჭოს სხდომაც  
დანიშნულ დროზე დაიწყო. დისერტან-  
ტი დასაწყისში ღელავდა, მერე თანდა-  
თან დადინჯდა და სამეცნიერო საბჭოს  
სადისერტაციო შრომის ძირითადი  
იდეა მოკლედ გააცნო, და პასუხი გასცა  
პატივცემული ოპონენტების რეცენზი-  
ებში გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას.  
შემდეგ ოპონენტების ჯერი დადგა. ჯერ  
მეცნიერების კანდიდატი ილარიონ ცხა-  
დაძე გამოვიდა. დისერტანტზე უფრო  
ცხადაძე ღელავდა. გადაწყვეტილი  
ქონდა სიტყვა ზეპირად წარმოეთქვა,  
მაგრამ დასაწყისშივე უჩვეულოდ და-  
იბნა და ხელნაწერი მოიშველია. სიტ-  
ყვა მიანიც გაუგებრდა, ამის მიზეზი  
ის იყო, რომ გზადაგზა ცდილობდა  
ხელნაწერი ტექსტისათვის თვალი აე-  
რიდებია, სათვალეს მოიხსნიდა აუდი-  
ტორიას ამაყად გადახედავდა. თითქოს  
ანიშნებდა — ნაწერში მხოლოდ ჩვე-  
ულების გამო ვიციკირებით, მაგრამ  
თქვენც არ მომიკვდით, როგორც-  
კა ნაწერს აარიდებდა თვალს, აზრი უწყ-  
დებოდა, დარცხენილი ისევ სათვალეს  
მოირგებდა და ადრელებული და დაბ-  
ნეული კითხულობდა.

ცხადაძის გამოსვლამ დამსწრეთა  
თვალში დისერტანტი აამაღლა. დარ-  
ბაზს ჩურჩული მოეფინა, თავშეკავებუ-  
ლი სიცილიც კი ვაისმა აქა-იქ, მაგრამ  
თავმჯდომარემ ზარი დარქვა, ხალხი მი-

ჩუმდა და პროფესორი სილოვან რამი-  
შვილი წამოიმართა, <sup>კაფარაე</sup> თმაზე  
დინჯად გადაისვა ხელო, <sup>სათვალე</sup> მოიხ-  
სნა, აუდიტორიას ღიმილით გადახედა,  
ჩაახველა.

დიახ, პროფესორი რამიშვილი მრავა-  
ლი შრომის ავტორია და მომხიბვლელი  
ორატორი, საქართველოს სოფლის მე-  
ურნეობის თითქმის ყველა დარგი მან  
„ხუთი თითივით“ იცის, მის შრომებზე  
სოფლის მეურნეობის მუშაკთა თაობე-  
ბია აღზრდილი და ეს ღვაწლმოსილი  
მეცნიერი იხილავს ქართულ სოფლებში  
შრომის მექანიზაციის საინტერესო სა-  
კითხს და დიდად იწონებს დისერტან-  
ტის შრომას.

...ოფიციალური პაექრობა დამთავრ-  
და. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ  
წესისამებრ წარმოთქვა — დამსწრეთა-  
გან ხომ არ მოისურვებს ვინმე აზრის  
გამოთქმასო და რადგანაც მოხალისეე-  
ბი იშვიათად აღმოჩნდებიან, თავმჯდო-  
მარეს დარბაზში მსხდომთათვის არც  
კი გადაუვლია თვალი და სხდომის  
დროებით შეწყვეტა გამოაცხადა.

„მე ვითხოვდი სიტყვას“. ვაისმა  
დარბაზში ხმა.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე  
შეცბა. ზარი დარქვა და მოიბოდიშა.  
დარბაზს გახედა — რუსუდანს გვერ-  
დით ფეხზე იდგა ინსტიტუტის ყოფი-  
ლი სტუდენტი არჩილ ჯინორიძე. თვა-  
ლის შევლებისთანავე იცნო თავმჯდო-  
მარემ არჩილ ჯინორიძე, მაგრამ თით-  
ქოს პირველად ჰყავდეს ნახულიო, ცო-  
ტა არ იყოს მკაცრად და ოფიციალუ-  
რად ჰკითხა.

„თქვენ რომელი ორგანიზაციის წარ-  
მომადგენელი ბრძანდებით?“

„აგრონომი გახლავართ“.

„მე თქვენ გკითხეთ — რომელი ორ-  
განიზაციის წარმომადგენელი ხართ-  
მეთქი? ისევ მკაცრად და ოფიციალუ-  
რად ჰკითხა თავმჯდომარემ.

„კოლმეურნეობის აგრონომი გახ-  
ლავართ. თუ გაგეგონებათ, შემოიმერე-  
თის ითხვისიდან. არჩილ ჯინორიძე“.

დარბაზში გადაჩურჩულება, ხმაური, გაკვირვება.

„ჩვენი ინსტიტუტი დაამთავრეთ, ამხანაგო ჭინორიძე?“

„ღიახ, თქვენი ყოფილი სტუდენტი ვარ!“

„არ მახსოვს! თუმცა საქმისათვის ამას არაერთგვაროვნად მნიშვნელობა არ აქვს. მობრძანდით ამხანაგო ჭინორიძე!“

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ზარი დაჭყა, დარბაზი დაშოშმინდა და ითხვისელი აგრონომი არჩილ ჭინორიძე კათედრაზე ავიდა.

„...ჩემი შენიშვნები მე დისერტანტს წერილობით გამოუგზავნე. შესაძლოა მას ჩემი ბარათი არ მიუღია, ან ეგებ მიიღო, მაგრამ ჩემი შენიშვნები ყურად არ იღო. ამიტომაც სამეცნიერო საბჭოს მოგახსენებ ჩემს მოსაზრებას ამხანაგ დიასამიძის სადისერტაციო შრომაზე. არაფერს ვიტყვი შრომის პირველ ნაწილზე, რომელიც უსწოროდ გვიხატავს შრომის მექანიზაციის სურათს დღევანდელ ქართულ სოფელში, მთავარზე, სადისერტაციო შრომის დასკვნით ნაწილზე მოგახსენებთ: აშკარად მცდარია სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საკუთრივ ტრაქტორისა და კომბაინის სიმძლავრის გაანგარიშებანი. ამ საქმეში

სცდება არა მარტო დისერტანტი, არამედ პატივეცემული პროფესორი სილოვან რამიშვილი და სოფლის მეცნიერების სამინისტროც. ამ შეცდომის წყალობით ტრაქტორსა და კომბაინს ერთნაირი ნორმა აქვს დაწესებული მუხრანის ველზე და მთავორიან სოფლებში. პროფესორი რამიშვილი და დისერტანტი დიასამიძე ამტკიცებენ, რომ მანქანები მხოლოდ აღმართზე ჰკარგავენ სიმძლავრეს, ნამდვილად კი დაფერდება, სულ მცირედი დაფერდება უმცირეს სიმძლავრეს აგრეგატს. კომბაინერები და ტრაქტორისტები დიდი ხანია ამაზე დაობენ, მაგრამ სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო დღემდე ჭიჭივით დგას თავის მოსაზრებაზე. სავალალოა, რომ სპეციალისტებიც კვერს უკრავენ სამინისტროს, ამის დასტურია დისერტანტის შრომაც“.

არჩილ ჭინორიძემ დაფა მონიშველია და სულ მარტივი ფორმულებით დაუმტკიცა სამეცნიერო საბჭოს სადისერტაციო შრომაში წარმოდგენილ გაანგარიშებათა სიყალბე.

დისერტანტს პასუხი არ გაუცია ჭინორიძისათვის, რატომღაც სილოვან რამიშვილმაც თავშეკავება არჩია.

**ოთხი მისხმი**

...დიასამიძეთა დიდი ოთახი მკრთალადაა განათებული. გაწყობილი სუფრა თვლემს. ზვიადის ოთახში ტახტზე წამოწოლილა თეკლე. შორიახლო რუსუდანი და ლილი სხედან და ხმადაბლა საუბრობენ. გაწყობილი სუფრის თავთან, სავარძელში ნიკო ზის, ერთადერთი სტუმარი შადიმან შარანგია ოთახის კუთხეში მიმჯდარა, მალულად გასცქერის სუფრას — რა ღმერთივით ბურმარილი ფუჭდება ფიჭობს და წკიპზეა — სადაცაა ადგება და წაეა. ასე გაწყობილ სუფრას დაუქმებულად პირველად ხედავს შადიმანი და ბოღმა ხელში აწევება. ჰო, ადგება და წაეა ეს ერთადერთი სტუმარიც, მაგრამ სტუ-

მარს მასპინძლისა ერიდება, — მასპინძელი სავარძელში ზის და თვლემს. ჭერსტუმრების ლოდინმა დაღალა მასპინძელი... მერე? რუსუდანი მოვიდა და სისხლი აემღვრა ნიკო დიასამიძეს. სისხლი აემღვრა, თვალეში და სახეზე მოაწვა, ტეინში აუვარდა და ვერაფერი თქვა, ვერავის გაუჭავრდა, ვერ მოიოხა გული... ერთი ამოიგმინასავით და სავარძელში ჩაჯდა. მას შემდეგ თითქმის ერთ საათი ვავიდა და ნიკო დიასამიძე ისევ იმ სავარძელში ზის. სუნთქავს — კია, თვალეში დაუხუჭავს, ზურგით მიყრდნობია სავარძელს და არაფერს ამბობს.

ყველანი რომ გაიკრიფნენ ოთახიდან,

ნიკომაც რომ სავარძელში ჩაიძინა, შადიმანმა დრო იხელთა და პატარა თეფშებზე დატყეპებული ხიხილალა სუფრიდან აალავა და მაცივარში შედო, მერე კალმახებს ჩამოუარა, მომცრო ქვაბში მოწინებით ჩააწყო და კალმახსაც მაცივარში უბოვნა ადგილი... მერე ხმაურიანი ნაბიჯით შემოუარა სუფრას, ერთი ბოხად ჩაახველა, შავრამ ნიკომ ხმა არ გასცა, ოდნავაც არ შერხეულა სავარძელში ნიკო და შადიმან შარანგია კარის გაღების მოერიდა, პატივცემული ნიკო გამოიღვიძებდა და ოთახის კუთხეში ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე.

ერიპაა, სიძე-ცოლისძმა ჩაფლავების შემდეგ სიძის სახლში გაპარულან, ქალბატონი თეკლე, რუსუდანი და ლილი ცალკე შეეკტილან ოთახში, ვიღაც-ვიღაცებს კიდევ ხედავდა შადიმან შარანგია დიასამიძეთა სახლში მოფუსფუსეთ, ისინიც აორთქლდნენ, პატივცემული ნიკო სავარძელში თვლემს და შადიმან შარანგიამ გაწყობილ სუფრას უდარაჯოს? შადიმანს შია და ლუკმა ვერ ჩაუდგია პირში, შადიმანს სწყურია და ერთი ჭიქა რაა, ერთი ჭიქა ლენოც ვერ დაუღვია... ჰაიდა, ადგა და მიღის შადიმან შარანგია.

...და ნიკო წამოდგა, ოთახს მიმოავლო თვალი.

„შადიმან, შენ აქ ხარ?“

„აქ ვახლავართ, ნიკო ბატონო!“

„კარგია, ძალიან კარგია რომ შენ აქ ხარ! მე შეძინა?“

„ცოტა, ძალიან ცოტა გეძინათ.“

„როგორ მომივიდა! მარტო რატომ დაგტოვეს? ზეიადი არ მოსულა?“

„ჯერ არ მოსულა.“

„რუსუდანი!“ უჩვეულოდ ხმამაღლა შესძახა ნიკომ.

რუსუდანი და ლილი ერთად შემოვიდნენ.

„რატომ ბეუტავს სინათლე? აანთე ყველა ჭილი. თეკლეს მიხმეთ!“

„მამი, დედა შეუძლოდაა, წევს.“ ჩურჩულით თქვა რუსუდანმა.

„არაფერია, ლილი ააყენებს და აქ

მოიყვანს, შენ როიალზე სამხიარულო დაუქარ, ოღონდ ხმადაღლა მტყუნებლემაც რომ გაიგონონ“...  
...  
„სირცხვილია, მამი!“

„ეგ მე ვიცი. შენ დაუქარი, სამხიარულო დაუქარი, ჰო, საცეკვაო დაუქარი, ლილი და დედაშენი დაგვიტამუნებენ, შადიმანი და მე ვიცეკვებთ! მწუხარება ამიკრძალია, ლხინი მიბრძანებია ნიკო დიასამიძის ოჯახში, დიახ, ლხინი მიბრძანებია!“

ოთახში თავწაქრული თეკლე და ლილი შემოვიდნენ, ნიკომ შადიმანი, თეკლე და ლილი სუფრასთან დასვა, რუსუდანს კი უბრძანა როიალთან დამჯდარიყო და დაეკრა.

„ერთი ის აგრონომი მომცა აქ!“ გულწრფელად ინატრა ნიკომ.

„რომელი აგრონომი, მამი!“ წამოენთო რუსუდანი.

„რომელი და ჭრელი... ჭინორიძე გვარად, ზომი?“

„თავხედი!“ უკმხედ თქვა რუსუდანმა და ნიკო დიასამიძე აიფოფრა:

„რამიშვილი და ცხადაძე შენი ძმის მოსაზრებებს აქებდნენ, ჭინორიძემ დაამტკიცა, რომ შენი ძმაც შემცდარია და მისი მაქებარი რამიშვილი და ცხადაძეც, ამიტომ არის ჭინორიძე თავხედი?“

„ნეტავ მოგესმინა მისი სიტყვა! ისეთი ქედმაღლური კილო!“

„დიახ კილო! — თანდათან უფრო აიფოფრა ნიკო, — მოწინააღმდეგეს კილოს ვუწუნებთ! არ გვეხამუშება მოწინააღმდეგის კილო! სიმართლეს, ჭეშმარიტებას გვეუბნება, ამჟამად ვხედავთ მისი აზრის სისწორეს და რადგანაც სამაგიეროს ვერაფერს მივუგებთ, კილოს ვუწუნებთ, ქედმაღლობას ვწამებთ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი აზრის უსწორობა დამტკიცია. ჰაი დედასა, კარგი გამოსავალია...“

სიტყვა ვერავენ შეუბრუნა. გაწყობილი სუფრის გარშემო შეღერებულად დააბიჯებს ნიკო და თითქოს თავისთავს ეკამათებოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოსურის დაუმათავრებელ ფრაზებს —

„ისტორია! დიახ, ისტორია!“ „კილო!“  
მადლობა მომიხსენება.“ „ესეც თქვე-  
ნი დოკუმენტაცია“...

ზარმა დარეკა. ყველა ერთმანეთს შე-  
აკქერდა და ერთმანეთის თვალბეჭდში  
მხოლოდ გაკვირება ამოიკითხეს.

„ზვიადია“ — თქვა ნიკომ და კარის-  
კენ დაიძრა, მაგრამ შადიმანმა დაას-  
წრო.

სილოვან რამიშვილი და ილარიონ  
ცხადაძე შემოვიდნენ, შადიმანმა კარი  
ღიად დატოვა და სადარბაზოში გავი-  
და — დანარჩენ სტუმრებს შეეგებებ-  
ნო, მაგრამ სადარბაზოში არავინ იყო  
და შადიმანი გულნატყენი მობრუნდა.

სილოვან რამიშვილი არავის მისალ-  
მებია. ქუდი და პორტუგელი სავარძელ-  
ში მიადგო და სუფრის გარშემო დაიწყო  
სიარული. ცხადაძემ მორჩილად  
დაუქრა თავი მასპინძლებს, ქალბატონ  
თეკლეს ხელზე ეამბორა, მოწიწებით  
დაჯდა სკამზე, ქუდი და პორტუგელი  
მუხლებზე დაიწყო და მოწრიალე რამი-  
შვილს აადევნა თვალი.

„მე მხოლოდ ორიოდვე წუთით. ზვი-  
ადის მიხმეთ!“ ამოისროლა რამიშვილმა  
და ნიკოს გაუყარა თვალი.

„შინ არ გახლავთ“. მშვიდად მიუგო  
ნიკომ.

რამიშვილმა მაჯის საათს დახედა.

„ზვიადი შინ არ არის? კეთილი, იყოს  
ასე! გადაჭრით ვაუხადებ — უსწოროა  
სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება.  
მოსკოვში წავალთ, იქ წარვადგენთ  
შრომას და იქ დავიცავთ ხარისხს!“

„მოსკოვში? რატომ, პროფესორო?“  
გაიოცა ნიკომ.

რამიშვილი სულ ახლოს მივიდა ნი-  
კოსთან, ისე ახლოს, რომ ნიკოს ეუხერ-  
ხულა და ცოტათი უკუდგა.

„სწორედ მოსკოვში! — ხმას აუწია  
სილოვან რამიშვილმა, — დიახ, მოსკოვ-  
ში იქ გაგვიგებენ, იქ გამოჩნდება ვინ  
არის მართალი — სამეცნიერო საბჭო,  
თუ ჩვენ! არაოღიციალური ოპონენტის  
აზრს მეტი ფასი დასდეს, ვიდრე ჩემ-  
სას, გესმით ბატონო ნიკო, რას ნიშნავს  
ეს? გესმით თქვენ ამ ანგარიშის გასა-

გისი? სადისერტაციო შრომა აქ არა-  
ფერ შუაშია, აქ ნიჭია მთავარი მიზე-  
ზი! დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ზვიადი-  
სამიძე ნიჭიერია და ნიჭს ყოველთვის  
მტერი და მოქიშვე ჰყავს! ყოველ დრო-  
ში ასე იყო, ახლაც ასე გახლავთ! დიახ,  
ასე გაცემული ნუ მიცქერით, მე სი-  
მართლეს მოგახსენებთ!“

ნიკო დიასამიძემ კიდევ ერთი ნაბიჯით  
დაიხია უკან.

„ნიჭს ვერავინ წაგვართმევს, ჩემო სი-  
ლოვან!“

„გზას გადაულობავენ, ფრთებს შეაქ-  
რიან, მარწუხში მოიმწყვდევენ, მორჩი-  
ლებას შეაჩვევენ და მორჩილება და ნი-  
ჭი შეუთავსებელია! დიახ, ნიჭი და მორ-  
ჩილება ერთ ღამესაც ვერ გაათვის ერთ  
ქერქვეშ, ასეა ეს, ჩემო მეგობარო...  
და მერე ვინ დაამტკიცა, რომ რამიშვი-  
ლის გონება უსწოროდ სჯის, დიასამი-  
ძის თვალი ელაშია, ხოლო აგრონომის  
გონება და თვალი“...

„არჩილ ჭინორიძემ და... ცხოვრებამ,  
დიახ, ცხოვრებამ!“ გადაჭრით აქვა  
ცხადაძემ და ზეზე წამოდგა.

ახლა ილარიონ ცხადაძეს მიეჭრა რა-  
მიშვილი, დამცინავად გაუღიმა, ჰაერში  
აისროლა ხელები:

„მერე და ვინ არის ეს ცხოვრება, პა-  
ტიცემულო დოცენტო? თქვენ და  
თქვენს კოლეგებს რატომ გგონიათ  
რომ ეს ცხოვრება არ ვარ მე და არ  
არის სხვა ვინმე, თუნდაც თქვენი ჭინო-  
რიძე? ვისაც ბარი და ნამგალი აქვს მო-  
მარჯვებელი, მაინცდამაინც ის არის  
ცხოვრება? ჩემი ცოდნა, ჩემი ფიქრი,  
ჩემი გამოკვლევანი, ჩემი შრომები და  
უძილო ღამეები არ არის ცხოვრება?  
დოცენტ ცხადაძეს და მის კოლეგებს  
კი უნდა მოეხსენებოდეს, რომ სილო-  
ვან რამიშვილს თავის დროზე ნამგლით  
უცელია, ბარით უბარია, სასხლავით  
გაუხსლავს, და ტრაქტორზედაც მჯდა-  
რა... და რატომ არ არის სილოვან რამი-  
შვილი ცხოვრება? და მაინცდამაინც  
კოლმეურნეობის აგრონომი რატომ  
არის ცხოვრება? მიპასუხეთ, დოცენტო  
ცხადაძე?“

რამიშვილი ცეცხლს ჰყრიდა თვალ-ბიდან, ზომოქრობდა, ღმუილივით ის-მოდა მისი სიტყვები. ცხადად არ მოე-ლოდა ასეთ გააფთრებულ შემოტევას, რამიშვილს პასუხი ვერ ჰკადრა და წას-ვლა დააბირა.

ზარმა დარეკა, ისევ შადიმანმა გაა-ლო კარი და როცა რამიშვილმა სამეც-ნიფრო საბჭოს მდივანს — ლევან დო-ჰვირს მოჰკრა თვალი. მასთან მიიჭრა.

„აა, სწორედ დროზედ მობრძანდით კოლეგა! წარმოიდგინეთ, ვერ დაეპო-წმუნე პატივცემული ნიკო, რომ სამე-ცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უს-წორია, რომ შეცდომასთან, გაუგებრო-ბასთან გვაქვს საქმე. თქვენ, თქვენ რო-გორ ფიქრობთ?“

„მგონი ყველაფერი ცხადია და ნა-თელი“. ცივად თქვა დოჰვირმა.

რამიშვილს გულს არ მოეგო დოჰვი-რის პასუხი და გამომწვევად ჰკითხა.

„მინც რა არის ცხადი და რა არის ნათელი?“

„განა თქვენ არ იცით?“

„არა! მე არაფერი არ ვიცი!“

„სამეცნიერო საბჭო სწორად მოიქცა, პატივცემულო პროფესორო!“

და კვლავ იფეთქა პროფესორომა, გა-დაიხარხარა, გულიანად გადაიხარხარა, მერე გესლივით შეანთხია ლევანს.

„თქვენ სხვისი თავით დადებართ ამ ქვეყანაზე!“

ყველა შეცბა. არავინ მოელოდა ას-ეთ უკემხობას რამიშვილისგან. ლევან-მა იგრძნო, რომ რამიშვილის აღელვე-ბა უკვე ისტერიკაში იყო გადასული და წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც თავშეკავე-ბით, დინჯად მიუგო.

„ვინ მოგახსენათ, პატივცემულო პროფესორო, რომ მე სხვისი თავით დაედივარ ამ ქვეყანაზე?“

„მოხსენებითი ბარათი არ მჭირდე-ბა! შევხვდეთ ადამიანს და უმალ მივ-ხვდები როგორი ჰქვია აქვს — თა-ვისთავადი თუ მიმბაძველი“. მერე ლე-ვანს ჩააქტერდა თვალეში და დასკვნა — „თქვენ მიმბაძველი ჰქვია გაქვთ!

ღიბს, სწორედ მიმბაძველი ჰქვია!“

ეს უკვე მეტისმეტი იყო და ლევანმა თავი ვერ შეიკავა.

„გამბოროტებული ხართ და ზრდილო-ბას ჰკარგავთ!“

„მიმბაძველობა უპირველესი უზო-რდობაა — უკემხად მიუგო რამიშვი-ლმა, — ჭინორიძის გამოსვლამდე თქვენ ჰქვია ასე (ხელებით უჩვენა სწორად!) გქონდათ, მისი სიტყვის შემდეგ — კი უცებ გადაგიტრიალდათ, მიდით ურ-ნასთან და თეთრის ნაცვლად შავი კენ-ჭი ჩაადგეთ... ახლა აქ გამოცხადდით, რომ შშობლებს მოუსამძიმროთ! მოგ-ხვდათ გულში? დიხაც რომ სიმართ-ლეს მოგახსენებთ და ამიტომ მოგხვ-დათ გულში!“

...მასპინძლები უხერხულად გრძნობ-ენ თავს. ყველაზე უფრო ნიკოა აწრია-ლებული, რამდენჯერმე სცადა რამი-შვილის დაშოშმინება, მაგრამ ვერა-ფერს გახდა და დარბაზიდან გავიდა. მალე თეკლე და ლილიც მას მიჰყვნენ...

„არ დაეშალავ, — ისევ თავშეკავე-ბულად პასუხობს ლევან დოჰვირი, — რომ შავი კენჭი ჩავგადე. ჭინორიძის გამოსვლის შემდეგ, გულში რომ ჩაგე-ხვდათ, თქვენც ასე მოიქცეოდით...“

„მუხანათურად გადაუქერით გზა ახ-ალგაზრდა მეცნიერს, — როგორღაც დაეცხრა სილოვან რამიშვილი და ხმას დაუდაბლა, მაგრამ გესლს არ ანელებს,

— გული ჩაუქოლეთ. ნიჭის დასამარება მოიწადინეთ, მაგრამ არ გამოვა, დიხს, არ გამოვა, ამხანაგო დოჰვირო! განაარ ვიცი, ვინ უმტრო? დიდაც რომ ვიცი, ხუთმეტი შავი კენჭი იყო, არა? ხუთ-მეტი ზომ? ხუთმეტივე შავი კენჭის ავ-ტორებს ჩამოგიფიქვით! ჩამოგიფიქ-ვით? არ ჩამოგიფიქვით? გეუხერხულე-ბათ? კეთილი და პატიოსანი! მე იმასაც კარგად ვგრძნობ, ამხანაგო დოჰვირო, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები სანაგ-ვე ყუთისთვის მამზადებთ, მაგრამ ნაა-დრეგია! ურამიშვილოდ თქვენ არარა-ობას წარმოადგენთ და ბოლოსდაბო-ლოს რას წარმოადგენს თქვენი ჭინო-რიძე?“

„თქვენ მას იცნობთ“. მიამიტად მიუვო ცხადადემ.

„მე? შე ვიცნობ ჭინორიძეს?“ გაიოცა რამიშვილმა.

„ღიას, თქვენ მას იცნობთ! იგი თქვენი ყოფილი სტუდენტია“. დარწმუნებით თქვა ცხადადემ.

„ჩემი სტუდენტი? — უფრო გაიოცა რამიშვილმა, — არა... არ მაგონდება ეტყობა უნიჭო და ინტრიგანი იყო, ყოველი უნიჭო ღვარძლიანი და ბოროტია. მე ასეთებს ვერ ვიმასსოვრებ!“

„ეს კი მეტისმეტია!“

„დაჩუმიდით! — შეუტია ცხადადემ რამიშვილმა, — როგორ მიზედავთ, თქვენც ჭინორიძე გამიხდით?“

„თქვენმა აღზრდილმა ბევრი სიმართლე მოგახსენათ დღეს“. შეეშველა ცხადადემ ლევანი.

სილოვან რამიშვილი თვალეზში ჩააცქერდა ლევანს და მერე დამარცვლა.

„ამასაც უთუოდ ვინმეს წაბაძვით ამბობთ!“

„ყოველშემთხვევაში არა თქვენი წაბაძვით!“

„თქვენ, — კიდევ უფრო დამარცვლა სილოვან რამიშვილმა, — თქვენ მე მაშინ მზაძვდით, ამხანაგო დოქვირო, როცა მე კათედრას განვაგებდი, ახლა მე რაგითი პროფესორი ვარ!“

„სიტყუა!“ წამოიყვირა ლევანმა, და რამიშვილმა, თითქოს ძალა მოიცაო, უფრო გაცხარებით და გაწიწმატებით შეუტია.

„ჭეშმარიტება! სრული ჭეშმარიტება! თქვენ თანამდებობის პირებს მზაძვთ! თანამდებობის პირთა აზრი და გადაწყვეტილება თქვენთვის ბეჭედი და თქვენ კათედრის მდივანი კი არ ბრძანდებით, არამედ კათედრის გამგის აზრების მდივანი!“

„ნებას არ მოგცემთ!“...

„არ ესაჭიროებ! — შეაწყვეტია რამიშვილმა სიტყვა დოქვირის, — არავითარ ნებართვას არ ესაჭიროებ... თქვენი ნებართვა თქვენთანვე დარჩეს, ამხანაგო მდივანო! რაც მე მოგახსენეთ, ალალი სიმართლეა, ყველანი გრძნობენ

ამას, მე, ის (ცხადადემ მიუთითა), სხვები და სხვები, მაგრამ შენ ერთდებათ და ეშინიათ, რადგან შენ ერთდებაროდაუფრო დამარცვლა რამიშვილმა, სხვისი საქმის გაკეთება არ გეხერხება, მაგრამ სხვისი საქმის გაფუჭების ოსტატი ბრძანდები. ეს დღესაც ჩინებულად დაამტკიცეთ!“

„უსირცხვილოდ სცროობთ!“ მიახალა ლევანმა და ზურგი შეაქცია რამიშვილს.

„როგორ კადრულობთ, პროფესორო? ეს მეტისმეტია“. შეუტია ცხადადემ და სილოვან რამიშვილი ორივეს დააცხრა.

„მეტისმეტი? მეტისმეტი თქვენ ბრძანდებით და ჭინორიძის სიმართლე თქვენ დაიჭდიეთ გულზე! მე და ზვიადი როგორმე გვერდს ავუქცევთ პატივეცემულ აგრონომს. მოსკოვში წარვადგენთ დისერტაციას.“

„საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ“. — დარწმუნებით თქვა ცხადადემ.

„არავითარი გადამუშავება! სწორედ ამ სახით.“

„ჩვენს ინსტიტუტს გადმოუგზავნიან დასკვნისათვის“. ყრულ ჩაილაპარაკა ლევანმა, მაგრამ რამიშვილმა მაინც გარკვევით გაიგონა და დაციინვით მკითხა.

„თქვენს ინსტიტუტს რატომ, პატივეცემულო მდივანო?“

„იმიტომ რომ შრომა საქართველოს სოფლის მეურნეობას ეხება!“

„მერე—და საქართველო მართო თქვენ ბრძანდებით? დოქვირი და ცხადადმა საქართველო? რამიშვილი არსად სწერია საქართველოში? არხენად ბრძანდებოდეთ, მოსკოვში იცნობენ სილოვან რამიშვილს... რამიშვილი ქართულ სოფელსაც იცნობს, ქართულ სოფელში უცხოვრია რამიშვილს!“

„თქვენ დროს სხვა იყო ქართული სოფელი“.

„მიჰპარავთ! — კიდევ უფრო იფეთქა რამიშვილმა, — ღიასაც მიჰპარავთ! ჩემი დრო — დღევანდელი დღეა! მე და ჩემმა კოლეგებმა შეექმენით დღევანდელი დღე! ღიასაც რომ ჩვენ ვართ დღევანდელი დღის ხუროთმოძღვარნი,

ხოლო ზოგიერთნი — ანთებული თვალები შეანათა ცხადაძესა და დოქვირს რამიშვილმა, — დიახ, ზოგიერთნი მხოლოდ იმისათვის იღწვიან, რომ მოხერხებულად მოიხმარონ დღევანდელი დღე! ნუ მაყვედრით, რომ მე წარსულში მიცხოვრია, — სწორედაც ამიტომ ვხედვ დღევანდელ დღეს თქვენზე უფრო ხილულად!“

„მეტისმეტად სარგებლობთ თქვენი სიბერით“. ისევ ყრუდ. თითქმის ფუჩუნით თქვა ლევანმა, მაგრამ რამიშვილმა მანც გაიგონა.

„ბოდიში მოიხადეთ, ჰაბუკო! მე ხნიერი ვარ და არა ბებერი! და ზოგიერთი ბებერი, კარგად მოგეხსენებათ, ზოგიერთ ახალგაზრდაზე უფრო ახალგაზრდაა...“

...ოთახში ხმაურით შემოიჭრნენ ნიკო, თეკლე, შადიმანი, რუსუდანი და ლილი. ეტყობა ესენი მეორე ოთახში ყურს უგდებდნენ სტუმართა პაექრობას და მოთმინების ფილა აევსოთ.

„მეგობრებო, — დაიბუხუნა ნიკომ, ქვეყანათა შორის მყარდება მშვიდობა, საჭიროა, მშვიდობა უპირველესად ადამიანთა შორის დაემაყაროს! შემოიწყვეტია ომი და მშვიდობა გამოიციხადებია! გთხოვთ სუფრას შემოუსხდეთ! დიახ, ძალიან დაგვიანდა, პატიებას გთხოვთ...“

შადიმან შარანგიამ ხელმოჩრდილულად ვახედა სუფრას.

„რა ღმერთივით პურმარული ფუჭდება!“

ყველამ უხერხულობა იგრძნო და სილოვან რამიშვილმაც-კი თანაგრძნობით შეხედა ცხადაძეს და დოქვირს.

„ახლავე, ახლავე, ჩემო შადიმან, — უხერხულობის გასაფანტავად შეეხმიანა ნიკო. ნუ მოიწყენთ, მეგობრებო, ლბინი ლბინია და ლბინს თავისი წესი აქვს! რუსუდან, შენ დაუკარი, ლილი იმღერებს, დანარჩენები დაგვიტაშუნებენ და შადიმანი და მე ვიცეკვებთ... მაგრამ ჭერ ყელი გავისველოთ, ჭირ სადღეგრძელო შევსვათ! აბა ცოცხლად, მხიარულად! თქვენ აქ, ჩემს

ვედრით დაბრძანდით, პატივცემულო სილოვან... თამალობას მტე მტე ვაგაგნწვეთ, მოადგილედ შადიმანი და მინაშინა...“

„მე მერიტიფედ ვიქნები, მოადგილედ პატივცემული პროფესორი დანიშნეთ, ნიკო ბატონო!“

„პატივცემული პროფესორი დადლილია... მერიტიფედ მე ვიქნები, ჩემო შადიმან“. — თქვა ნიკომ და დოქს წაავლო ხელი, მაგრამ შადიმანი მიეჭრა და დოქი გამოართვა.

მეგობრებო, — დაიბუხუნა ნიკომ და სუფრას გადაავლო თვალი, მეჩხერმა სუფრამ გული ატკინა მასპინძელს. მაგრამ არ შეიმჩნია, თითქოს არაფერი იყო და ცალ-ცალკე შეეღიმილა ყველას; ჰო, თეკლესაც გაუღიმა და მეუღლის ღიმილმა გული ამოვინა თეკლეს, ნიკომ ლილის და რუსუდანს თვალი ჩაუკრა, მერიტიფეს უბრძანა ჩაის ჭიქა შემოეცეო და როცა შადიმანმა პირთამდე საფეე ჭიქა მიაწოდა, თამადამ ჩაახეღა და ხმა დაიწმინდა.

„მეგობრებო, თქვენის თანხმობით, ამ პირველი ჭიქით მინდა შემოგთავაზოთ დღევანდელი დღის სადღეგრძელო. — და სილოვან რამიშვილს შეაკტერდა. —“

„დიახ, დღევანდელი დღის სადღეგრძელო, პატივცემულო პროფესორი!“

„დღევანდელი დღის სადღეგრძელო?“ გაიოცა რამიშვილმა.

„მაპატიეთ პატივცემულო პროფესორ, ვადღეგრძელებ სწორედ დღევანდელ დღეს...“

ზარმა დარეკა. თამადას ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის. კარის გასაღებად რუსუდანი წავიდა.

„მამი, ჭინორიძე გეახლათ!“ ცივად თქვა რუსუდანმა.

რამიშვილი სკამიდან აიჭრა და ყველამ უხერხულად იგრძნო თავი.

„ჭინორიძე? ჭინორიძე მოვიდა? სთხოვე, ახლავე სთხოვე!“

„მე მივდივარ!“ მკვახედ თქვა რამიშვილმა.

„შეუძლოდ ბრძანდებით, ბატონო

პროფესორო?“ ჰკითხა ცხადაძემ და ცხადაძე და დოქვირიც აღგნენ.

რამიშვილმა ჯერ ნიკოს გაუსწორა თვალი, მერე დამკინავად გადახედა ცხადაძესა და დოქვირს: „არა! მე თქვე-

ნსავით ნაქაობარზე ამოსულ ბაღახი არ ვარ“.

და ვიღერე ჯინორიძემ შემოვიტოვდა დიასამიძეთა ოჯახში, სილოვან რამიშვილმა დიასამიძეთა ოჯახი დატოვა.

**თავი მეოთხე**

ახეთი ზამთარი დიდი ხანია ხემაღალში არა ყოფილა.

ოცი დეკემბერი თოვამი გათენდა, დღეს ოცდაცხრა დეკემბერია და ავერ მეცხრე დღეა გადაუღებლად თოვს. ხემაღალას წყაროები თოვლმა დაჰფარა: თოვლმა წაშალა გზები და ბილიკები, აბესალომ კიკნაველიძის ჰაც ამოავსო თოვლმა.

სკოლის სახურავის ჩალეწვის შეეშინდა ეკატერინეს და მოწაფეები ახალი წლის დადგომამდე დაითხოვა.

ადრე უნდა წასულიყო ალექსანდრე ჩაფიჩაძე თბილისში, თოვა რომ დაიწყო, იმავე დღეს. აბესალომ კიკნაველიძის შვილიშვილი კოკი შეეშველებოდა. ზეგანზე გადაატარებდა, მერე სულ დაღმართთა ხერგამდე და დაღმართზე ალექსანდრესაც არ გაუჭირდებოდა. მაგრამ ხერგამდე რატომ? უფრო ახლოს, პლატფორმაზე ჩავიდოდა. სატეველაზე სამ წუთს ჩერდება თბილისში მიმავალი მატარებელი და მე შენ გეტყვი, ბევრი ხალხი იქნება სატეველაზე ასეთ ამინდში! შეაგდებდა ამ ხურჯინს მატარებელში... და იქნებოდა ახლა თათისთან და სანდროსთან, რუსუდნთან და რეზოსთან. ჰო-და, ახლა რომ ვერ ჩავა, რას იფიქრებენ? საახალწლოდ ყოველთვის თბილისშია ალექსანდრე ჩაფიჩაძე და ახლა რომ ვერ ჩავა, რას იფიქრებენ? ავად გამბდარა ალექსანდრეო, იფიქრებენ და შეეშინდებათ, აწრიალდებიან და წამოსვლას დააბრებენ... ეგებ, კიდეც წამოვიდნენ, ჰა? მეტი არაა ჩემი მტერი — ალექსანდრემ დათოვლილი დაღმართი ვერ ჩაიარა და ბავშვები აღმართის ამოვლას შეძლებენ? ვერა, ვერ ამოვლენ დათოვლილ აღმართს, ვერც ალექსანდრე ჩავა თბი-

ლისში და ამ საახალწლოდ დარჩებიან ასე ცალ-ცალკე.

იმედი მაინც არ გადაუწურავს ალექსანდრეს.

ფრთხილად, სინჯვა-სინჯვით ჩაიარა კიბის საფეხურები და ეზოში ჩავიდა, ღონიერად წადგა ნაბიჯი წინ, მუხლები ჩაემალა თოვლში და საბიჯგი მოიშველია, მაგრამ ჭიშკრამდეც ვერ მიაღწია. დაიქანცა, სუნთქვა შეეკრა და ჭირის ოფლმა დაასხა.

დაღონებული ამოვიდა ოღამში, თბილისში წასაღები ხურჯინი აიგნის კუთხეში მიაგდო, მერე რიხით გამოაღო ზალის კარი, ბუხარში ცეცხლი გააღვია, ხელები მოითბო და უხალისოდ გააწყო ყალიონი.

ტარციალეზს ხმელი წიფლის ნაპობი, ლუის ბუხარი, ზალაში თბილა, ბუხართან თავჩაქინდრული ალექსანდრე ზის და გულს ასკდება.

მოუწეველი ყალიონი მუხლზე დაიბერტყა და ბუხარისთავე შეაგდო. ასე შეგდებული ყალიონი შესაძლოა გატყდეს, მაგრამ ახლა, ასე საყვარელ ყალიონსაც არად აგდებს ალექსანდრე.

გულმოსული გამოვიდა აივანზე და შეცბა: ათიოდე წუთის წინ გაკვალული გზა უკვე დაუფარავს თოვლს; ჰო, ნაკვალევს ვერ პოულობს. ვერა, ჭიშკრამდეც ვერ მიაღწევს და ჭიშკრის მიღმა თვალიც ვერ იხედება.

ალექსანდრე ჩაფიჩაძის ჭიშკართან გათავებული ქვეყანა. აბესალომ კიკნაველიძის სახლი ვერ უპოვნია, ვერც დიდი ეკატერინეს სკოლა, და ხემაღალის მთებიც გაპარულან სადღაც...

კი, ხემაღალის მთებიც ამდგარან და შორს გადაკარგულან.

თოვს. ერთნაირად თეთრია ცაც და



მიწაც, თეთრი ცა თეთრ მიწას შვერ-  
თებია, ერთმანეთში არეულა ცა და მი-  
წა და ამ თოვაში თეთრწვერებიანი  
ალექსანდრე ჩაფიჩაძე ნამდვილად  
ჭგავს თოვლის ბაბუას, ოღონდ საა-  
ხალწლო საჩუქრებით სავსე ხურჯინი  
აივანზე გდია, შვილიშვილები კი —  
თბილისში ელოდებიან ალექსანდრეს,  
ფანჯარას მოსდგომია თათია და სან-  
დრო, ჭიშკრისკენ უჭირავთ თვალი და  
სჯერათ, სადაცაა ჭიშკრის ზარი დარე-  
კავს, სულმოუთქმელად მიირბენენ  
ჭიშკართან, ფართოდ გააღებენ და  
ფართოდ გაღებულ ჭიშკარშიც ხურჯი-  
ნიანად ძლივს შემოეტევა ბაბუა ალექ-  
სანდრე.

ალექსანდრე კი — აგერ, ოდის აი-  
ვანზე ღვას და ცისა და მიწის შემაერ-  
თებელ სითეთრეში აბესალომ კიკნავე-  
ლიძის სახლს ეძებს და ვერ უბოვნია,  
ვერც დიდი ეკატერინეს სკოლა უბოვ-  
ნია ალექსანდრეს და მთელი ქვეყანა  
აგერ, მის ჭიშკართან გათავებულა.

მთელი დღე არავის აუვლ-ჩაუვლია  
ალექსანდრეს ჭიშკართან, ჰო, არავინ  
გაჭაჭანებულა. ჩიტებიც სადღაც გაიკ-  
რიფნენ, დღეს აბესალომ კიკნაველიძის  
ღორებმაც მოიძულეს; აკი დილაადრიან  
ყოველდღე მოადგებიან ჭიშკარზე და  
ღრუტუნებენ; ღრუტუნებენ — კი არა,  
ის შტერი და გაუმამღარი ღორები  
ყურისწამლებად ჭყვიან და ხრიალე-  
ბენ, ვიდრე სალაფავს არ დაუყრის  
ალექსანდრე, მერე, თითქოს მადლობას  
უხდებოდნენ, ღრუტუნ-ღრუტუნით და კუ-  
დების ქიციანით წაებეტებიან. დღეს კი  
— თოვლმა დაამინა აბესალომ კიკნა-  
ველიძის გაუმამღარი ღორები და ვერ  
მოვიდნენ. ეს ჩიტებიც თოვლმა დააფ-  
რთხო, სახლები და მთები უბეში შეი-  
ბურა თოვლმა, ნისლში გაახვია ხემა-  
ღალი, სატევალას ტალღებს ხმა წაა-  
რთვა და ალექსანდრე სახლში მოამ-  
წყვდია.

უხალისოდ შეათრია ხურჯინი ზა-  
ლაში.

ბუხარში ცეცხლი ჩანავლულა.

მოუწყენია ბუხრისთავზე დადგმულ  
ჩიჩილას.

ალექსანდრე ჩაფიჩაძეს უხანაურწლო  
ნაძვის ხე არ უყვარს, ზიზილა-პაილუ-  
ბით გაწყობილი და გაქუჩუჩებული  
ნაძვის ხე.

ჩიჩილაკი სხვაა. ჩიჩილაკის თავი  
ჯვარივითაა და ალექსანდრეს უზარია,  
ჯვრისთავიანი ჩიჩილაკი რომ უდიშის.  
ჩიჩილაკის ძალა სწამს ალექსანდრეს  
და ამიტომაც წაუეღია საქმე კარგად.  
მისი შვილი პროფესორია, თბილისში  
საკუთარი სახლი უდგას და ჯანმრთელი  
ცოლშვილი ჰყავს. ასეა და, ჩიჩილაკს  
ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ამაში.

...თბილის მომსხო ჯოხს გაღულუნე-  
ბულ ბუხართან ახლოს მიაყუდებს, ოდ-  
ნაე მოაერობს, მერე ფეხებშუა მოიმ-  
წყვდევს, ფრთხილად, ანა-ანა შემოაც-  
ლის დამკრალ კანს და დანარჩენს ალე-  
ქსანდრეს დანა იოსტატებს — გრძელი  
და თანაბარი ზომის ბურბუშელები გა-  
მოესხმება ტანზე თბილის ჯოხს და  
ჩიჩილაკიც მზად გახლავთ, თეთრი, აბ-  
რეშუმივით შრიალა, სიხარულისა და  
ბედნიერების დამბედებელი ჩიჩილაკი.

მერე ჩიჩილაკის ჯვრიან თავს შეამ-  
კობს: ჯვრის ერთ თავზე წითელ ვაშლს  
ჩამოაცობს, მეორეზე — ბროწეულს  
და ჩიჩილაკს კურკანტელიან სუროს  
შემოაქსოვს.

ჯანმრთელობა, გამრავლება, ხეავი.

ეს ასეა. ასე სწამს ალექსანდრე ჩა-  
ფიჩაძეს და ამ რწმენამ დააბერა ბედ-  
ნიერად.

თქვენ არ გიყვართ ჩიჩილაკი და არც  
მისი კეთილბედობა გწამთ? ნუ იწა-  
მებთ! ღმერთმა კარგად გამყოფოთ,  
ოღონდ ალექსანდრეს ნუ შეეკამათე-  
ბით, მშვიდად ამყოფეთ თავისთვის —  
და კიდევაც რომ შეეკამათოთ, ტყუილ-  
უბრალოდ დაიხარჯებით — თავის რწმე-  
ნას არ გადავა ალექსანდრე.

თქვენ დაიდგით ოთახის შუაგულში  
სახალწლო ნაძვის ხე, ნაირნაირი სამ-  
კაულებით მორთეთ და ბრჭყვიალა ელ-  
ნათურებით გააჩახჩახეთ, ვითომ თოვ-  
ლიათ — ბამბა დაუფინეთ ძირში, შო-

რიახლოს მუყაოს „თოვლის ბაბუა“ დააყუდეთ. უცქირეთ და გაიხარეთ. დაუტავუნეთ და იცეკვეთ... ბაბუა ალექსანდრე თავისი ხელით გამოთლილ თხილის ჩიჩილაცს ირჩევს, ჯვრისთავიან ჩიჩილაცს. ლაქლაქებს ჯვრისთავებზე ჩამოცმული ვაშლი და ბროწეული, ბზინავს კურკანტელა, აბრეშუმით შრიალებს ჩიჩილაცი და სიხარულსა და ბედნიერებას ელიმილება ალექსანდრე ჩაფიჩაძე.

...წიფლის მსხვილმსხვილი ნაპობები შეაწყო ბუხარში. ლამა აანთო და ბუხრისთავზე დადგა.

განათდა და გათბა სახლი.

მაგიდაზე თეთრი სუფრა გადააფარა და მაგიდის შუაგულში ჩიჩილაცი დადგა.

საათი არა აქვს ალექსანდრეს, მაგრამ შეუმცდარად იცის — ორი, დიახ სრული ორი საათის შემდეგ კარზე ახალი წელი დააკაუნებს.

ხურჯინს თავები მოუხსნა. განჯინიდან თეფშები გამოალაგა. თორმეტი თეფში. თითო კაცზე ორ-ორი. მაგიდას ექვსი სკამი შემოუდგა. სუფრის თავში — თითონ ალექსანდრე დაბრძანდება (ოჯახის უფროსი ყოველთვის სუფრის თავში ჯდება ხოლმე). ხელმარჯვნივ რეზოს მოისევამს, ხელმარცხნივ — რუსულდანს... რევაზის გვერდით სანდრო დაჯდება (ვაჟიშვილმა მამას უნდა დაუმშვენოს მხარი), რუსულდანის გვერდით — თათია (ქალიშვილი დედის კალთასაა შეფარებული), — ხოლო აი აქ, სუფრის მეორე თავში (სუფრის ბოლოს არ აკადრებს ალექსანდრე ეკატერინეს) ქალბატონი ეკატერინე დაბრძანდება — ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოჯახის მუდმივი მეგობარი და რეზოს პირველი მასწავლებელი.

ოჰ, ბოდისში! დიდი ეკატერინეს პატარა ეკა გამორჩა ალექსანდრეს. დიდ ეკატერინეს პატარა ეკატერინე მოჰყვება უსათუოდ; ცხადია, პატარა ეკატერინეს ამ ახალწლის ღამეს მარტო როგორ დატოვებს შინ! ჰოდა, ღმერთო კი მომკალი, რატომ გამოტოვა პატარა

ეკატერინე ალექსანდრემ? ასე, პატარა ეკაც მოვიდა და შვიდნი გახდნენ; სად დასვას პატარა ეკატერინე? საათიან გვერდით დასვამს, მაგრამ არა, არ მოტყუვდება ალექსანდრე. მართალია თათია ჯერ პატარაა, მაგრამ მაინც ქალია და ორი ახალგაზრდობილი ქალი გვერდიგვერდ რომ დაჯდება საახალწლო სუფრაზე, ყურთასმენამ მოგჭამა ჰირი, რიტინს გააბამენ. ამიტომ და სწორედ ამიტომ პატარა ეკატერინე ა გვერ, რეზოსა და სანდროს შუა, დიახ, მამაშვილს შუა დაბრძანდება და მორჩა და გათავდა...

რეზოსა და სანდროსათვის მიჩენილი სკამები ალექსანდრემ დააშორიშორა, პატარა ეკატერინესათვის მეშვიდე სკამი შემოუდგა მაგიდას და განჯინიდან კიდევ ორი თეფში გამოიტანა.

ხურჯინიდან ჯერ ხილი ამოალაგა. ვაშლი, ბროწეული, კომში და ლეღვის ჩირი ჩიჩილაცის ირგვლივ შემოაწყო. შვიდი თეფში თითო ჩურჩხელით, თითო წითელი ვაშლით და ლეღვის ჩირით დაამშვენა. ერთი ბოთლი არაყი სუფრის თამადას დაუდგა, ერთიც დიდ ეკატერინეს. (დიდი ეკატერინე მაგარი ქალია და მსუბუქ იმერულ ღვინოს ლეღვის არაყს ამჯობინებს, მხოლოდ ცოტას, სამ პატარა ჭიქას მიირთმევს). ჭიქები? ჰო, ამ ფაციფუცში ჭიქები დაავიწყდა ალექსანდრეს და დიდი ბოდისში, ახლავე მოგართმევთო. ქალებისათვის ძველებური, მაღალყელიანი გათლილი ჭიქები გამოიღო განჯინიდან, მამაკაცებისათვის — კი წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქები და ორი ყანწი (სანდრო ჯერ პატარაა და მას ყანწით სმა არ შეუძლია და არცაა საჭირო). სუფრის თამადა და ოჯახის უფროსი — კი ახალი წლის მობრძანებას აუცილებლად ყანწით დალოცავს.

აქლია ახლა ამ საახალწლო სუფრას ვინმე? ღმერთო — კი მომკალი, როგორ არ აქლია? გულასპირი და ქალბატონი კესარია! მაგრამ გულასპირ ჩაფიჩაძე ჯიქთავანია — ახალი წლის ღამე სახლში მინდა გავითენოვო და

ალექსანდრეს რუსული ატკაზი დაარტყა. მაგარი ცეცხლი კი უნთია გულასპირს ბუხარში. იქვე, ბუხართან უდგას პატარა მაგიდა, კესარია უზის პირდაპირ და აწამებს საწყალ დედაყვს: „აბა, აილე ჩემო კესო, ესეც ჩვენი მეზობლების სადღეგრძელო შევესვათ! ჰე, აილე ქალო ჭიქა, ვერა ხედავ — მოგაჯახუნე და ალავერდსა ვარ!“ მძინარე კესარია შეკრთება და უხალისოდ წაატანს ჭიქას ხელს, დაღვეით—კი, ვერ დაღვეს, სად შეუძლია კესარიას ამდენი ღვინის დაღვევა? გულასპირიც კარგად ხედავს — კესარიამ ერთი ჭიქა შესვა და ის იყო და ის, მერე ტუჩი არ დაუკარებია ჭიქისათვის. მაინც ყოველ სადღეგრძელოზე ალავერდს გადადის და გადადის; დალიე ქალო, ახალი წლის ღამეა, მტერს გული მოგუტლათ და ჩვენი გული გვაგებართ, აბა მოისაშველე, მოისაშველე და გადაჰკარი! და მოითავებს განა სადღეგრძელოებს გულასპირი? ჩემი მტერი არაა მეტი. ა, მოთავაო იფიქრებ და ახალ-ახალს იტყვის და იტყვის, ჩაალამაზებს სადღეგრძელოებს, — ჯინორიძეთა გადაშენებულ უბანსაც არ გამოტოვებს... ხერგას ბაზარს? ოპო, ხერგას ბაზარს როგორ არ დალოცავს, ხერგას ბაზრით უდგას სული, ყოველ კვირა დღე ხერგას ბაზარში არ დაბრძანდება?

...ამ გულასპირს გადაჰყვია ალექსანდრე და სუფრის გაწყობა მიატოვა. პო, რამე აკლია ახლა ამ საახალწლო სუფრას? რაჲა არა? მარა რაც აკლია, სამზადში მზადდება... შუაღვეცხლია გაჩალებული, ნელი შუაღვეცხლი კია, — რუსუდანს დიდი შუაღვეცხლისა ეშინია — თავს მატყეებს ეს ოხერიო... ეება, ცხონებულ ჩემს მელიკს არ ეშინოდა დიდი შუაღვეცხლისა, პირიქით, ეხალისებოდა, აყრიდა და აყრიდა ფიჩხებს, ტარციალებდა და გუთგუთებდა ცეცხლი, დიდი სინათლე იდგა სამზადში, ისეთი დიდი სინათლე, რომ ჭუჭრუტანებიდან გამოპარული შუქი მთელ ეზოს ანათებდა... მოსახარშავე მალე ის-

არშებოდა, შესაწყვავიც შნოიანად შეშინებდა და პიწკინდებოდა.

...ცოტა ხელგვიანი ვიპოვე ჩემს ჩამალო! ხაქაჭურები კი დააცხო, მარა ქათმები არაა შემწვარი, არც შაშხი მოუხარშავს ჯერ, მერე—და ქმარიც ეხმარება. ბიჭიცა და გოგოც... ეება, ჩემი მელიკი — კი მარტო ასწრებდა ყველაფერს მე ხელს ეუშლიდი მხოლოდ და ვეჭუჭლურებოდი... ოო, რა ქალი იყო ცხონებულში! მე ვეჭუჭლურებოდი და ის—კი მიცინოდა — მაკალე პატარა ხანს შე არ სასიკვდილო... როგორ კონტად ჩამოხსნიდა ნაჭიდან ქვებს და ჩანაირად გამტყიცულ ქადს ააგდებდა კეციდან... ჩემმა რძალმაც კაი იწკიპინტო ხაქაჭურები გამოაცხო, ქალაქური, ერთი მაგრად რომ შეუბერო სული, აბესალომ კიენაველიძის ეზოში გადაფრინდება.

...კაცმა რომ თქვას, ბავშვებს კი უნდა ეძინოთ ამ დროს. მარა ახალი წლის ღამეა და ნუ დაიძინებენ, რომც მოსიურვილონ, არ უნდა დაიძინო, პო, ახალი წლის ღამეა და ახალ წელს. დიდიც და პატარაც ფხიზელი და ღიმილიანი ეგებება. მარა სამზადში რა ესაქმება თათიას და სანდროს? რეზომ კი უნდა იტრიალოს: ქათმები კი შეწვა, მარა გოჭი არაა ჯერ შემწვარი, ცოტა უკლია კიდეც და შამფურს უფრო სწრაფად ატრიალებს; მერე მოხარშულ შაშხს ამოიღებს ქვაბიდან და გობზე დადებს გასაგრილებლად... მერე მარანში შევა, საახალწლო ჭურს მოხდის და ღვინოს დოქებში ჩამოასხამს. თათია ქალია და აქედანვე ეჩქევა ქალის საქმეს, უყურებს დედამისს და სწავლობს! სანდროს კი — არაფერი ესაქმება სამზადში და ბაბუა ალექსანდრე ახლავე გამოიხმობს.

კარი გააღო და გასძახა.

— სანდრო! სანდრიკელა! ბაბულითი! და სანდრო სირბილით ამოიჭრა ოდაში.

აბა, რაჲა გეგონათ თქვენ? ასეთი გამგონე შვილიშვილი ჰყავს ბაბუა ალექსანდრეს.

— მალე გეპირდებიან ბაბული, ვახ-  
შამს?

მალე.

— შენ ზომ არ გეძინება?

— კი, მაგრამ არ დავიძინებ!

— ყოჩაღ! შენ უკვე პატარა არა ხარ,  
რვა გისრულდება.

სანდრო თავს იწონებს და წელში  
იპართება.

ჰოდა, პატარა სანდროს რომ არ დაე-  
ძინოს ახალი წლის დადგომამდე, ბა-  
ბუა ალექსანდრე ზღაპარს მოუყვება.

ბევრი, ძალიან ბევრი ზღაპარი იცის  
ბაბუა ალექსანდრემ და სანდროც ყო-  
ველთვის სულგანაბული უსმენს, მაგ-  
რამ, საოცარი-კია, თბილისში მოყო-  
ლილი ზღაპრები მალე ავიწყდება სან-  
დროს: ტელევიზორია ჩართული და სან-  
დრო მალულად, ცალი თვალით ტე-  
ლევიზორს უმზერს, ეკრანზე ომია, ყუ-  
მბარები სკდება და სახლი ირწყევა...  
ხემაღალში ტელევიზორი არაა, ყუმ-  
ბარები არ სკდება და სახლი არ ირ-  
წყევა. გარეთ უხმებროდ თოვს, ნელა  
ღუღუნებს ბუხარი, ოდაში მყუდროე-  
ბაა და სიჩუმეში მოყოლილს სხვა ლა-  
ზათი აქვს. ჰო, უფრო ლამაზია სიჩუ-  
მეში მოყოლილი ზღაპარი.

ნელა, სულ ნელა ღუღუნებს ბუხარი,  
ხანდახან რომელიმე მეტიჩარა მუგუ-  
ზალი ამოშინდება და პატარა, სულ პა-  
ტარა აღს ამოავდებს, ბაბუა ალექსან-  
დრე ფეხს წაჰკრავს იმ მეტიჩარა მუ-  
გუზალს და მუგუზალი უმალევე ჩა-  
ჩუმდება.

სანდრო დაბალ სამფეხა სკამზე ჯდებ-  
და, მიუჩინდება ბაბუას, კისერს გა-  
დასწევს და თავს ალექსანდრეს მუხ-  
ლისთავეებს მიაღებს. გარეთ თოვს, და  
თოვს, ბუხართან თბილად სხედან ბა-  
ბუა და შეილიშვილი, შეილიშვილი უს-  
მენს და ბაბუა ჰყვება ზღაპარს:

...იყო შაშვი მგალობელი,

ღმერთი ჩვენი მწყალობელი...

იყო და არა იყო რა,

ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!

იყო ერთი ხელმწიფე.

ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი.

სახელად ვაჟიშვილს მზეჭაბუკი ერ-  
ქვა.

— კარგი სახელია მზეჭაბუკი, <sup>ერქვა</sup> ~~მზეჭაბუკი~~

— ეკითხება სანდრო.

— ჰო, მზეჭაბუკი კარგი სახელია.

— მზეჭაბუკი ლამაზი ბიჭი იყო და  
ვაჟაკი, ხომ?

— კი, ლამაზი ბიჭი იყო მზეჭაბუკი და  
ვაჟაკიც იყო.

სანდრო ალექსანდრეს მუხლებიდან  
თავს იღებს და სახეში აცქერდება.

— მე რატომ არ დამარქვეთ მზეჭა-  
ბუკი? ვაჟაკი არა ვარ, ხომ?

— ვაჟაკი? ჯერ შენ პატარა ხარ, ბა-  
ბული. გაიზრდები და შენც მზეჭაბუ-  
კივით ვაჟაკი გახდები — სანდროც  
კარგი სახელია, ვაჟაკური!.. თუ გინდა,  
— თავზე გადაუსვა ხელი ბაბუამ შვი-  
ლიშვილს, — იმ ხელმწიფის ვაჟიშვი-  
ლს სანდროს დაეარქმევა.

— არა, ერქვას მზეჭაბუკი.

ჰოდა, გავიდა ხანი.., ხანი გავიდა და  
იმ ხელმწიფეს მეუღლე გარდაეცვალა.  
ჰო, გარდაეცვალა ხელმწიფის მეუღლე  
და მზეჭაბუკი დარჩა ობლად. კიდევ  
გავიდა ხანი და იმ ხელმწიფემ მეორე  
ცოლი შეირთო.

— მეორე ცოლი? — გაიოცა სან-  
დრომ.

— ჰო, მეორე ცოლი! მზეჭაბუკს აღ-  
მზრდელი სჭირდებოდა, ჰეყვანას დე-  
ლოფალი, თითონ ხელმწიფეც ახალგაზ-  
რდა იყო და შეირთო მეორე ცოლი,  
აბა რა უნდა ექნა?

სანდრო შეკრთა და უფრო მიეკრა  
ბაბუა ალექსანდრეს მუხლისთავეებს.

— დედაჩემი რომ მოკვდეს, მამა მე-  
ორე ცოლს შეირთავს?

— სუ, გარუმდი! — აენთო ბაბუა  
ალექსანდრე, — დედაშენი არ მოკვ-  
დება.

— რატომ?

— იმიტომ არ მოკვდება დედაშენი,  
რომ... ჰო, იმიტომ, რომ... ჰო, ახალგა-  
ზრდა ქალია დედაშენი და არ მოკვ-  
დება!

პასუხით კმაყოფილია ბაბუა ალექ-  
სანდრე და ბებერი თითებით შეილი-

შვილს ქოჩორს უვარცხნის. აბა რა ეგონა სანდროს, ბაბუა ალექსანდრემ ყველაფერი იცის და აკი კარგადაც უკასუბა კვიპატ შეკითხვაზე.

სანდრო თითქოს დამშვიდდა, თავი აიღო ალექსანდრეს მუხლისთავეებიდან, პატარა, თბილი თითები წვერებში შეაპარა, თვალში შეაკცერდა და გაუღიმა.

— მზეჭაბუკის დედა ბებერი იყო, ბაბული?

ახლა კი იფეთქა ალექსანდრემ. გაგონილა — ზღაპრის მოყოლას არ აცლის შვილიშვილი! მაინც საიდან გამოუხტა ასეთი ზღაპარი ამ ახალწლის ღამეს? და ახლანდელი ბალები რაგორები არიან, ჰა? ყველაფერი იციან და არაფერს არ შეგარჩენენ, ერთი ამას დამიხედეთ? რვა წლისა ძლივს ზდება და რანაირ შეკითხვებს ატანტალებს? კი არ მეკითხება, მეკამათება! ჰო მეკამათება ეს ღლაპი!

მაინც ახალწლის ღამეს საიდან ამოქექა ასეთი ზღაპარი?

...სიკვდილზე ბრმა და მართლა რომ მოკვდეს რუსუდანი? არა, რუსუდანი არ მოკვდება! მაინც რატომ წამოცდა სანდროს? ხომ შეიძლება ყოვლადძლიერი შემოწყერეს ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოჯახს და რძალი მოუკლას? მაშინ? ჰო, მაშინ რას იზამს ალექსანდრე ჩაფიჩაძე? არა, მეორე ცოლს მაინც არ მოაყვანიებს რეზოს, თათიასა და სანდროს დედის მაგიერს შინ არ შემოუშვებს! ჰო, დიხაც არ შემოუშვებს! რეზო ახალგაზრდა კაცია და თუ მაინც დამაინც გაუწყრა ღმერთი, მოიყვანოს მეორე ცოლი. მოიყვანოს მეორე ცოლი და იყვნენ თავისთვის, შვილიშვილებს არ დაანებებს მეორე რძალს ალექსანდრე, თითონ მოუვლის, დიხაც რომ თითონ მოუვლის თათიასა და სანდროს, — ღმერთო კი მომკალი!

...ჰოო, — აგრძელებს ზღაპარს ალექსანდრე. — მზეჭაბუკის დედა ახალგაზრდა ქალი იყო, მარა... მარა უკურნებელი სენი შეეყარა, ის ოხერი!

სანდროს თავი გადაუწია და თვალბში ჩახედა.

— არ მკითხო ახლა იმ სენის სახელი! არ მახსოვს! ჰო, არ მახსოვს, და გათავად! ავად ვახდა ხელმწიფის ცოლი, მამა ფემ ნაზირ-გეზირები შეჰყარა, ბევრი, ძალიან ბევრი მკურნალი მოიწვიეს, უცხო ქვეყნიდანაც — კი ჩამოიყვანეს ჯაღოქარი მკურნალი, მარა სენი უკურნებელი იყო, ის ოხერი და... ხელმწიფის ცოლი მოკვდა. ჰო, მოკვდა ხელმწიფის ცოლი, მარა დედაშენთან რა ხელი აქვს სიკვდილს, ბაბული! ჩემი რძალი ახალგაზრდა და ჯანმრთელი ქალია, მას ის ოხერი უკურნებელი სენი არ შეეყრება და არ მოკვდება... ჰო, იყავი ასე ჩუმად, ჩუმად ყოფნა კარგია, სიჩუმეში კაცი ისვენებს... მგონი გვეღირსა, დედაშენი ამოდის კიბუზე, დააყურადე ბაბული... ჰო, მძიმედ ამოდის, აბა რა ქნას, ხაჭაპურები, დამრავული ქათმები და გოზინაყი მოაქვს ჩვენთვის... ადუ, კარი გაუღე, ბაბული.

სანდრო დგება, კართან მიიჭრება, ალებს კარს და ზალაში რუსუდანი შემოდის, ორივე ხელით დიდი გობი უკავია რუსუდანს, გობზე ხაჭაპურები, შაშხი, ქათმები და გოზინაყი ალაგია, მძიმე და სავსე გობს სუფრაზე დადებს რუსუდანი და დაილოცება.

„ტანის სიმრთელე და გამრავლება ჩვენს ოჯახს“.

რუსუდანი თითონვეა თავისი ოჯახის მეფეხური და რუსუდანი ფეხბედნიერია.

რუსუდანს რეზო შემოჰყავა და რეზო იღიმება, მარჯვენა ხელში ღვინით სავსე დოქი უჭირავს, მარცხენათი მძინარი თათია აუტატებია. „არ რცხვენია ამხელა გოგოს! დამძინებია და მძინარი ეგებება ახალ წელს, მარა მისი ბრაღია, რა უნდოდა სამზადში? მე შენ გეტყვი, დედას ეშველებოდა! წამოკყოლოდა სანდროს ოღამში. ვითომ ქალიშვილობს და ზღაპრის მოსმენას თავილობს, არა? ჰო, ითაკილოს და იყოს ასე, მძინარე შეეგებოს ახალ წელს... მაგრამ ბაბუა ალექსანდრეს მაინც ებრალება თათია. რეზო თათიას ტახტზე დაწვეს, მე-

რე მაჯის საათს დახედავს, ჭიქებს შეავსებს და დაილოცება.

„მომილოცავს მამაჩემო, ახალი წელი! ტანის სიმართლე და გამრავლება ჩვენს ოჯახს!“

მამა და შვილი ჭიქებს შეაჯახუნებენ, სვამენ ახალი წლის საღებურქელის და ერთმანეთს ჰკოცნიან.

საიდანღაც ნიავეა გამოიჭროლა და ჯვრისთავიანი ჩიჩილაკი შეაშრიალა, ბზინავს ჯვარზე ჩამოცმული ბროწეული და წითელი ვაშლი, შრიალებს კურკანტელებიანი სურთ.

ალექსანდრე რძალს მოეხევევა და გადაკოცნის, ფრთხილად, ცერებზე შემდგარი მივა ტახტთან, ნელა, სულ ნელა აკოცებს მძინარე თათიას და წითელ ვაშლს ჩაუდებს ხელში. როცა გამოეღვიძება, გაუბარდება, მიხვდება რომ ვაშლი ბაბუა ალექსანდრემ ჩაუდო ხელში. ეგებ გული მოიყვანოს — რატომ არ გამოამღვიძა ბაბუამო, მარა მისი ბრალია, მძინარი რომ შეეგება ახალ წელს. რა უნდოდა სამზადში? ჰო, რა უნდოდა? ვითომ დედამისს შეელოდა? აჰა, თქვენც არ მომიკვდეთ! ეძინოს ახლა მშვიდად, მრავალშემრავალ ახალ წელს გაუთენებს ბედნიერად ყოვლადძლიერი...

სუფრის თავში ჯდება ალექსანდრე, ყანწს აიღებს, შვილს ანიშნებს — მეორე ყანწი აიღეო, ორივეს შეავსებს, პირჯვარს გადაისახავს, დაილოცება, ყანწს გამოსცლის და დიდ ეკატერინესთან გადავა ალავერდს, რეზო — კი რუსუდანთან გადადის ალავერდს და რუსუდანს ეღიმება, ჩემი მეუღლე ფიქრობს ამ ყანწს ვერ გამოვცლიო და აჰა,

ნახოს! ყანწი მამამთილმა შეუწყო, — „ტანის სიმართლე და გამრავლება ჩვენს ოჯახსო“, — თქვა რუსუდანმა და ყანწი გამოსცალა. შეუსვენებლივ გამოსცალა. მერე გადმოაპირქვავა და ყანწიდან წვეთიც არ გამოდინდა. „ასე მტერი დაეცალოს ჩვენს ოჯახსო“ — ღიმილით თქვა და ყანწი მეუღლეს დაუბარუნა.

პატარა ეკატერინე და სანდრო ჩუმად სხედან. სანდრო გოზინაყს დაეხარბა, პატარა ეკატერინე — კი არაფერს არ აკარებს პირს და დედას შესცქერის თვალეზში.

...ბუხარში ცეცხლი ტყრცილებს, ოდნავ ირხვევა სუფრის შუაგულში აღმართული ჯვრისთავიანი ჩიჩილაკი, ბზინავს ჯვარზე ჩამოცმული ვაშლი და ბროწეული.

საახალწლო სუფრას შემოსხდომია ალექსანდრე ჩაფიჩაძე შეილებითა და შვილიშვილებით.

ღიმიება და ილოცება ჩიჩილაკი, — და ალექსანდრე ჩაფიჩაძეც ილოცება და იღიმება.

...ახალი წლის დილამ შემოატანა ხალაში.

ბუხარში ცეცხლი ჩანავლულა. ცივ ბუხართან, დაბალ სამფეხა სკამზე, მოკუნტული ზის ალექსანდრე. ბუხრისთავზე მოწყენილი დგას ჯვრისთავიანი ჩიჩილაკი. არ ბზინავს ჯვარზე ჩამოცმული ვაშლი და ბროწეული.

თოვს. ალექსანდრე ჩაფიჩაძის კიშკართან გათავებულა ქვეყანა.

ნაწილი მორკი

თავი პირველი

ამ პატარა ორსართულიან სახლში, რომელიც ვაკეში, იმერეთის ქუჩის და საწყისში დგას და პატარა ბაღ-ვენახიანი ეზო ამშვენებს, ჩაფიჩაძეთა ოჯახი ცხოვრობს.

რევაზ ჩაფიჩაძე — მამა ოჯახისა. რუსუდან დიასამიძე ოჯახის დედა.

ამათი შვილები —

თათია

და

სანდრო,

და ცქრიალა გოგონა დაჩეჩან მამუცელი, შორეული ნათესავი რუსუდანიისა, თავდაპირველად შვილად აყვანილი,

მერე — კი შინამოსამსახურედ ქცეული. ყველა სამახსოვრო და მნიშვნელოვანი თარიღი ჩაფიჩაძეთა ოჯახში, როგორღაც აპრილის თვემ დაისაკუთრა: რუსუდანი და რევიაზი აპრილის თვეში დაქორწინდნენ.

ერთი წლის შემდეგ, სწორედ აპრილის თვეში, ქალიშვილი შეეძინათ და რუსუდანის დიდიღედის სახელის უკვდავყოფად ქალიშვილს თათია დაარქვეს.

თათიას დაბადებიდან ორი წლისთავე, ისიც აპრილის თვეში, ჩაფიჩაძეთა ოჯახს ბუთუზა ბიჭი შეემატა, ახლარევიაზის მამის სახელი უკვდავყვეს და გაეიშვილი ალექსანდრედ ჩაწერეს დაბადების წიგნში.

დარეჯანიც, სოფელ ქვემო ზეითიდან, აპრილის თვეში ჩამოიყვანა რუსუდანმა ამიტომ აპრილის პირველი შაბათი და კვირა ზეიმის დღეებია ჩაფიჩაძეთა ოჯახში.

შაბათი — ბავშვების დღეა,

კვირა — დიდთა.

ჩაფიჩაძეთა სახლის მშენებლობა ძალიან გაკვირვებულა; თათიაც და სანდროც რუსუდანის დედმამისეულ ბინაზე დაიბადნენ და წამოიჩიტნენ, მხოლოდ სამი წლის წინათ, აპრილის თვეში, გადმოვიდა ჩაფიჩაძეთა ოჯახი იმერეთის ქუჩაზე და ამ სახლში ერთად იზვიამეს ახალმოსახლეობა.

თათიასა და სანდროს დაბადების დღე,

რუსუდანისა და რევიაზის ქორწინების მერვე წელი.

სახლი აგურითაა ნაშენი, ეზოს შემოვლებული დაბალი გალავანიც აგურისაა.

ეზოს უმეტესი ნაწილი ხეზილს და ბოსტნეულს უკავია, ხოლო ეზოს ერთ ყურეში ხემალლიდან ჩამოტანილი თაკერის ორმოციოდე ძირი ჩაჰყარა რევიაზმა და ვაზმა ჩინებულად გაიხარა. ეზოს მშვენიერება მაინც ლელვის ხეებია. თეთრი, კესმა და წულა ლეღები. თეთრი ლეღვი ივლისის მიწურულში მწიფს, კესმა — აგვისტოში, წულა ლეღვი —

კი სექტემბერსა და ოქტომბერში. რუსუდანს უფრო კესმა ლეღვე უყვარს, კიას არ იყიდებს, ხეწივე წიხინდებია და შამთარშიც კარგად ინახება.

სასადილო დარბაზი, სამზარეულო და აბაზანა სახლის პირველ სართულზეა გამართული.

ყველაზე დიდი ოთახი ზედასართულზე, თათიას და სანდროს უკავიათ. დარეჯანი ყოველდღე რამდენჯერმე ჰვეის და ალაგებს თათიასა და სანდროს ოთახს, მაგრამ ოთახი ყოველთვის აწეწილ-დაწეწილია: ქალაღის ნახევები წვეწოტები, ფანჯრები, წინდები და ფეხსაცმელები ჰყარია იატაკზე, ფანჯრის მინები შეოთქლილია და მიმოწერილი, ჩამოჩაჩულია ტახტზე გადაფარებული ფარდავი და ყოველთვის ღრიჭოთაა დატოვებული კარი, რომელიც დარეჯანის პატარა ოთახში გადის.

რუსუდანს სახელოსნო სახლის ბანზე მოუწყო რევიაზმა. სახელოსნოს კედლებად მინები აქვს, ირგვლივ ჩინებულო სამხერია და რუსუდანი, როგორც კი ღროს მოიხელთებს, სახელოსნოს მიამშურებს, მაგრამ ხატვით, იშვიათად ხატავს. და თითქოს თავისთვის ხატავს რუსუდანი. რამდენჯერმე შესთავაზეს, მაგრამ არცერთ გამოფენაში არ მიიღო მონაწილეობა. ოჯახის მხატვარი ვარო ამბობს რუსუდანი. დედ-მამის პორტრეტი, რევიაზის პორტრეტი, თათიასა და სანდროს პორტრეტები... კი, ეს სურათები განსაკუთრებულის სიყვარულით დახატა რუსუდანმა, მერე საგანგებო ჩარჩოებში ჩასვა, თათიასა და სანდროს პორტრეტები სასადილო ოთახში ჩამოჰკიდა, დედ-მამისა და რევიაზის — საძილე ოთახში.

კი. „ოჯახის მხატვარიც“ იოლად დახატავს დედ-მამის, მეუღლის და შვილის პორტრეტებს. სხეულის ყოველი ნაკვთი სწორადაა გადმოვლებული ტილოზე: ცხვირი, ტუჩი, თვალები, შუბლი და თმის ფერიც კი. პო. ეს დედნის ნამდვილი ასლია, მაგრამ ეს არ არის მხატვრობა. და რუსუდანმა ჩინებულად იცის, რომ მხატვრობა რაღაც

უფრო მეტია, რაღაც სხვაა და ეს „სხვა“ ალბათ ნიჭია, მოწოდება, „თვალი მხატვრისა“, შესაძლოა ეს ისეთი რამ არის, რასაც სახელი არ მოეპოვება და რაც თავისთავად არის ნიჭიერ მხატვარში. რუსუდანი გრძნობს, რომ ეს მოწოდება, ეს „რაღაც სხვა“, ის, რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქმევია, მაგრამ თავისთავად არის ყოველ შემთხვევაში მხატვარში, რუსუდანი არ ვაანია. ვერც თანატოლ მხატვრებში პოულობს რუსუდანი ამ „სხვას“.

მეგობარ მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ მძიმე შთაბეჭდილება დაუტოვა: „ზღვისპირი და ჩაის პლანტაციები“, „ძველი თბილისის ხედები და მტკვრის სანაპირო“; „განახლებული სამგორი“; „გზის გაყვანა ზევსურეთში“, „კოლხეთის ჭაობების ამოშრობა“, „მწყემსები და ცხვრის ფარა ზამთრის საძოვრებზე“... — არა, ეს სურათები არ ხიბლავენ თვალს, არ გებაასებნიან, თავს ვერ გვაყვარებენ, არ გვიბადებენ სურვილს — ხელახლა მოვიდეთ გამოფენაზე და მათ ისევ შევავლოთ თვალი. ამ ტილოებზე ჩაის ბუნჩუები ხასხასებენ, მაგრამ ჩაის ამ ბუნჩუებს არა აქვთ ბუნებრივი სიმწვანე; მწყემსებს არ სცივათ ზამთრის საძოვრებზე და არაბუნებრივია მათი ღიმილი. ბუღდოზერები და ექსკავატორები შესევნიან კოლხეთის ლაქაშებს, შორს, ჭაობისათვის წართმეულ მიწაზე, ნარიჯონებია გახარებული... არა, კოლხეთის დაბლობში თითონ იყო რუსუდანი და ახალი კოლხეთი უფრო დიდია, და უფრო საოცარი, ვიდრე რუსუდანის მეგობარი მხატვრის ტილოზეა ასახული.

გაახსენდა — ახალგაზრდა მხატვრებმა ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარეს კოლხეთის თვალუწვდენელი დაბლობი. მერე სოფელ ყულევს ექვიენ და ისინი განაცვიფრა თვითნასწავლი ყულეველი მხატვრის სურათებმა, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამ დღისათვის საგანგებოდ გამოეფინა სოფლის კლუბში.

ეს თვითნასწავლი მხატვარი ყულე-

ველი მეზადურის ოდიშარისა შევლი ყოფილა — ლონგი. ბავშვობიდანვე ხატავდა. შეიღწლიანი სკოლა დაუშავრებია და თბილისში წასულა სასწავლებლად. სამხატვრო ტექნიკუმში შესულა. სწორედ იმ სასწავლებელში, სადაც რუსუდანი მასწავლებლობს, ერთი წელი დაჰყო სასწავლებელში, მერე გული აუცრუვდა... გული აუცრუვდა კი არა, თურმე ჩამორჩა სწავლაში;

გასაოცარი—კია, ნატურიდან ვერ ხატავდა თურმე. ჰო, ერთი ჩვეულებრივი ბებერი კაცი ვერ იქნა და ვერ დახატა. იოლი დასახატი კი ყოფილა ის ბებერი: მოგვძო პირისახე, ჩაცვნილი თვალები, კეხიანი ცხვირი, თეთრი წვერები, თავზე ბუხრის ქუდი. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დახატა. მაშინ დაუბარებია სასწავლებლის დირექტორს ოდიშარის ბიჭი და პირდაპირ უთქვამს — შენგან მხატვარი არ გამოვა, გიჯობს სხვა სასწავლებელში შეხვიდე, მე თვითონ დაგვმარებო.

გული მოსვლია ოდიშარისა ბიჭს, იმავე დღესვე დაუტოვებია სასწავლებელი და ყულევში ჩამოსულა. ყულევში ჩამოსულს მამა აუხიარდა, — რა ღმერთი გაგოწყრა, მთელი ყულევის ბებრები ჩაქარტიჩებული გყავს და ის ერთი თბილისელი ბებერი როგორ ვერ დახატო.

— ისე ახლოს არ ვიცნობდი იმ თბილისელ ბებერს, რომ დამეხატაო,— განუმარტა შევილა ფილიმონს, მაგრამ ფილიმონი განმარტებას რა თავში იხლიდა, გულს ასკდებოდა: — რა ჭირად გინდოდა იმ ბებრის ახლო ნაცნობობა, დაგეხატა და ის იქნებოდაო.

ლონგი ოდიშარია მამის კვალს ვაჰყვა. ბაღე შეიყვარა. ახლა უკვე მეზადურთა ბრიგადირია. ბრიგადის მოტორიანი ნავი ჰყავს და დილაუთენია თუხთუხი რომ მოისმის ყულეველთა ნევსაყუდელიდან — ლონგი ოდიშარის მოტორიანი ნავია. ახლაც ზღვაშია. იცოდა, დღეს ყულევში მხატვრები ჩამოვიდოდნენ, მაინცდამაინც სათევზაო ამინდიც არაა, მაგრამ მაინც დილაუთე-



ნია გასულა ზღვაში და თან დაუბარე-  
ბია — ღამეს ზღვაზე გავათევთ და  
ხვალ გამოვბრუნდებითო.

ხუთი წელი ხელი არ უბლია ფუნჯი-  
სათვის ლონგი ოდიშარიას, მერე, ეტ-  
ყობა, გულმა დაუძახა. სახლის სარდა-  
ფში მიყრილ-მოყრილ ძველ ნახატებს  
მტვერი მოაცილა, თვალში რომელიც  
მოუვიდა, სარდაფიდან გამოიტანა და  
ოთახებში დაჰკიდა.

...დილით, მზე ოდნავ რომ შემადლ-  
დება და ზღვის ფერი ათამაშებდა, ნიჩ-  
ბებიან ნავს შეაცურებს ზღვაში და ასი-  
ოდე მეტრით მოშორდება ნაპირს. ნავს  
რალაც ღუზისმავგარი დაჰკიდა, რელ-  
სის ნატეხი, რკინის იმ ნატეხს ჩაუშე-  
ვებს წყალში და ნავი ღია ზღვაში დაბ-  
მულივითაა, ოდნავადაც არ ირწყევა,  
მით უფრო, ყულევთან ზღვა ყოველ-  
თვის მშვიდია. რალაც უცნაური დაზვა  
გაიკეთა. ნავში მოხერხებულად დგას  
ის დაზვა. დაზვაზე ფირფიცარს ამა-  
გრებს, ზედ ქაღალდს ვადაჯრავს, გა-  
მოსცქერის ყულევის სანაპიროს და  
ხატავს. თუ ბრივად ისვენებს, მაშინ  
აუცილებლად ზღვაზე დაიღამებს ლონ-  
გი ოდიშარია.

ყულეველი მხატვრის ორი დიდი  
ტილო განსაკუთრებით მოიწონეს თბი-  
ლისელმა მხატვრებმა — „ახალი ყუ-  
ლევი“ და „ღამე ზღვაზე დარჩენილი  
მენავე“. მეორე სურათი მუქი, ძალიან  
მუქი ფერებითაა შესრულებული  
ზღვაზე ისეთი ქარიშხალი და ღელვა,  
იფიქრებთ, ტალღები ნაპირს გადმოხე-  
თქავენ და ხმელთს ნიაღვრად მოედე-  
ბიანო. ორკეცად ავარდნილ ტალღას  
ნაფოტივით მოუქცევია დაბლა პატარა  
ნავი, თავზე წამოფაფრვია და სადაცაა  
გადმოაპირქვევებს, მაგრამ მენავეს მო-  
ხერხებულად მოუშარჯვებია ნიჩბები  
და ცდილობს ტალღას თავზე მოექ-  
ცეს... ღრუბლიან ციდან ოდნავ გამო-  
კრთის მთვარის შუქი.

— ის მენავე მე ვარ, — უთხრა მხა-  
ტვრებს კოლმეურნეობის თავმჯდომე-  
რემ. იმ დროს ასეთი პატარა ნავეები  
გქონდა. ცალცალკე ვთევზაობდით. ახ-

ალგაზრდა ვიყავი და არაფრის შემწი-  
და. წვიმიანი დღე იყო, ცოტას ღელავ-  
და ზღვა, მარა არ შეეჭმინდი, თევზიც  
გამოლუღლიყო სახლში. ავედქი და  
ზღვაში შევაცურე ნავი, დედამ და მეუ-  
ღლემ დამიშალეს, მე არ დაუეჭრე-  
მერე — კი სანანებელი შემექნა... გაშ-  
ლილ ზღვაში გავედი. ერთი ორჯერ  
ჩავაფინე ბადე ზღვაში და ისეთი ქა-  
რიშხალი და ღელვა ატყდა, როგორც  
ამ სურათზეა დახატული: ჯერ ცოტეო-  
ტათი აიქოჩრა ზღვა, მერე შემზარავი  
ღმუილი მართო (ზღვა უცბად გაიყ-  
ვებდა ხოლმე), სახლისოდენა ტალღები  
აავორა და ჩემს ნავს ნაფოტივით ის-  
როდა აღმა-დაღმა. ჯოჯობნით ღამე გა-  
ვათენე. შორს, ძალიან შორს გამიტაცა  
ზღვამ, მხოლოდ გათენებისას დაცხრა  
და ყულევთან რომ მოვაცურე ნავი,  
მთელი სოფელი ნაპირზე დამხვდა. დე-  
დაჩემმა ერთი შეჰკივლა და გული შე-  
უღონდა...

ჰო, ეს სურათი ძველი ყულევი-  
ქოხნაბიანი, ღარიბი. მაშინ ყულეველი  
მებაღურეები ცალცალკე თევზაობ-  
დნენ, პატარა ნავეები ჰქონდათ და ეში-  
ნოდათ ზღვისა, ამიტომაც ამ სურათზე  
მართლაც შავი ზღვა შავია და შიშის-  
მომგვრელი.

მეორე სურათზეც შავი ზღვაა დახა-  
ტული, მაგრამ ზღვის მრუმე ფერს, რა-  
ღაცნაირი სინათლე დაჰკრავს და ეს სი-  
ნათლე რწმენასა და იმედს ბადებს  
ადამიანის გულში:

„ყულევი.

შავი ზღვა მღვრიე მდინარის შესარ-  
თავთან.

შორს სამეგრელოს მთიანეთის ლუ-  
ჩკი მთები.

დაბლობში და დობერებზე ნარინჯო-  
ვნები ჰყვავიან.

ყულეველთა ფორთოხლის ბაღი თი-  
თქოს ზღვაშია შექრილი.

ნაპირთან მოტორიანი ნავი დგას.

ჩასაფენი ბადეების გორგალზე მება-  
ღური შემდგარა: ნაყვავილარი სახე-  
კაუჭა ცხვირი, შექაღარავებული თმა,

ოდნავ მოქუტუელი მარცხენა თვალი, ღონიერი, გამწლილი მკერდი.

ყულეველი ჰინკა ბიჭები სილაში გაწოლილან და ზღვას კენჭებს ესვრიან“.

ამ სურათებმა როგორღაც გაახსენა რუსუდანს საყვარელი მასწავლებლის შეგონება: ის კი არაა მთავარი, თუ თვითონ რა ფერისაა მთა, მდინარე, ყვავილი და ზღვა, ამასთან უმთავრესია ისიც, თუ როგორის თვალით შესცქერი ამ მთას, ამ მდინარეს, ამ ყვავილს და ზღვას... ხალისიან, სიბარულიან თვალს მხიარული და ლალი ესახება ბუნება. დამშვიდებული ადამიანის ყურთამყნას გალობად ჩაესმის ნაკადულის ბუტბუტი და ზღვის ტალღების შრიალი, — სევდიანი გულისთვის კი — მოთქმა და ტირილია ბუნების მხიარული ბგერებიც.

ჰოდა, ამ ყულეველ თვითნასწავლ მხატვარს სხვადასხვანაირად მხედველი ორი თვალი აქვს... საოცარი—კია, იმ თბილისელი პერიკაცის სახე ვერ გადაიტანა ტილოზე, მთელი ყულევი კი — დაუხატავს წარსულითა და დღევანდელი დღით. მისი თვალი ადვილად არჩევს საპირო ფერებს: ეს მღვრიე მდინარე მართლაც ასე მღორედ მოედინება შავი ზღვისკენ, ამ ტირიფებსაც ასე აქვთ ტოტები წყალში ჩაწვენილი, ბავშვებიც ასე ფრთხილად არიან მომდგარნი მდინარისპირს და ანკესებიც ასე აქვთ ჩაყრილი მდინარეში.

ცოცხალი, ნამდვილი სურათებიასწორედ ასე იღიმებიან ყულეველი ბავშვები, თევზებიც ასე დასრიალებენ მდინარეში, ასე ლიცლიცებს მდინარის ზედაპირი და ყულევზე ასეთი ზღვისფერი ცაა გადმოხურული.

ზღვა ყოფილა ამ თვითნასწავლი მხატვრის სტიქია. მისი ტილოზე ზღვა ხან დინჯია, ხან კიდევ შმაგი და გახელებული, ხან თითქოს პატარა ტალღებს თავშესაქცევად ათამაშებს ზღვა, კენჭობს და ნაპირებს ირეცხს...

მაგრამ, — ეს მერე, ყულევიდან წამოსვლის შემდეგ შეიგრძნო რუსუდანმა, — ის სურათები გვხიბლავენ ყულე

ვში ყოფნისას და უთუოდ იმის გამოც, რომ თვითნასწავლი მხატვრის მიერაა დახატული და ~~ქალღმერთის~~ თავისთავად ვეშადავათებით.

ალბათ ამას ადრევე მიხვდა თვითნასწავლი მხატვარი, ამის გამოც გამოეცქვა თბილისს, გახდა მებაღური და ახლა გულის მოსაოხებლად თავისთვის ხატავს.

როგორც კი თვალს მიეფარნენ ყულეველი მებაღურები, მოტოროიანი ნავეები და მღვრიე მდინარე, ყულეველი ქალები და ბავშვები, ყულევის ფორთოხლის ბაღი, — ღონგი ოდიშარის სურათების ფერები როგორღაც გაფერმკრთალდა, გაიციცა და თანდათან დაჰკარგა უშუალობა და ცხოველყოფილობა... და რუსუდანმა საოცარი მსგავსება აღმოაჩინა ღონგი ოდიშარის და რუსუდან დიასამიძის ნახატებში: როცა რუსუდანის დედის სურათი დიასამიძეთა ბინაზე, თეკლეს სამინებელ ოთახში ეკიდა, სხვა იერი ჰქონდა, სურათს ნატურის ახლოყოფნა ავსებდა, — შეხედავდა დედას, მერე სურათს — და მოსწონდა. როგორც კი სურათმა ადგილი გამოიცვალა და ნატურას დაშორდა, ის სურათი თვითონ შემოქმედისათვის უცხო შეიქმნა, ხოლო უცხო მნახველებში ვერავითარ ინტერესს ვერ იწვევს...

...კოლხიდიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე რუსუდანმა თავისი ესკიზები სახელოსნოდან გამოიტანა და გარაყის ბნელ კუთხეში დამალა.

— აჯობებდა, დაჩითვაში დავხელოვნებულყოფი, ნამდვილად აჯობებდა, — ნადვლიანად თქვა რუსუდანმა და დაცარიელებულ სახელოსნოს მიმოავლო თვალი... მეორე კურსზე იყო, ფერწერის მასწავლებელმა ეს აზრი რომ შეაპარა, მაგრამ მაშინ რუსუდანმა შორს დაიჭირა თავი, რაღაცნაირი შეურაცხყოფა იგრძნო და საყვარელი მასწავლებელი შეიძულა.

ბარე ექვსი წელია, ფუნჯისთვის ხელი არ უხვია რუსუდანს.

თათია და სანდრო დიშარდნენ, და

რეჯანი ჩინებულად ართმევს თავს ოჯახის საქმეს, სასწავლებელშიც ცოტა აქვს გაკვეთილები, მაგრამ როგორღაც სახელოსნო არ იზიდავს. — ზაფხულობით ტექნიკუმის მოსწავლენი ციხიჯვარში დაჰყავთ პრაქტიკაზე და რუსულანის ხათრისათვის ჩაფიჩაძეთა მთელი ოჯახი ციხიჯვარში ბინადვება. შარშანწინ ლილი და ზვიადიც ააბარგა ციხიჯვარში რევაზმა და მათ ისე მოეწონათ ციხისჯვარი, გადაწყვიტეს. პატარა აგარაკის აშენება.

...წელს მათს შვიც დიდი სიციხეები დაიჭირა თბილისში და როგორც — კისკოლებში მეცადინეობა დამთავრდა. რუსულანი, თათია, სანდრო და დარეჯანი ციხიჯვარში წაიყვანა რევაზმა, თითონ — კი ცხელი ივლისიც თბილისში გაატარა და ყოველდღე სოფლის მეურნეობის სამინისტროში დადიოდა. დიასამიძეებთან სადილობდა, მერე — კი გვიან დამემდე რუსულანის სახელოსნოში იჭდა, მის მიერვე შედგენილ ხემალალის რუქას უტრიალებდა და ხელახლა ხაზავდა, — და ხემალალის ცარიელი რუქა ნაირნაირი ნახაზებით დაისერა.

აგვისტოს თვე წინაა. დღეს ციხიჯვარ-

ში წავა რევან ჩაფიჩაძე, არა, დღეს ხემალალში წავა, მამას უკვირებულებს. აგერ მესამე წელია თბილისში არა მოსულა ალექსანდრე, გაუბრაზდა შვილსა და რძალს, — რაკი თქვენ არ ჩამოდიხართ ხემალალში, მეც თბილისი თქვენთვის დამილოცნიაო; ასე არ შემოუთვლია, მაგრამ ასე იგულისხმება. ჰო, უკვე სამი წელი შესრულდა, რაც ალექსანდრე ჩაფიჩაძე ხემალალში ჩაიკეტა, კარგად ვარ და არაფერი მჭირდებაო — ატყობინებს შვილს, ისე, ვინ იცის, როგორ არის! ჰოდა, ახლა მოიცალა რევან ჩაფიჩაძემ; ჰო, მოიცალა და დღესვე მიდის ხემალალში. ეგებ დაიყოლიოს მამა და გაგრაში წაიყვანოს, ერთი თვე მაინც გაატაროს რძალთან და შვილიშვილებთან. აგვისტოში ცოტა კი ცხელა გაგრაში, მაგრამ მოხუცებს სწორედ სითბო უყვართ და ზღვის ჰავა მოუღებება ალექსანდრე ჩაფიჩაძეს, ცოტას მაინც გამაგრდება და გულიც გადაუხალისდება.

...სოქის მატარებელს გაჰყვება, ხვალ ხემალალში ავა. მამას დაიყოლიებს, მერე ციხიჯვარში აფრინდება რევან ჩაფიჩაძე და მთელი ოჯახით გაგრაში გამგზავრება.

### თავი მეოთხე

„ვინ ხარ შენ?“

ვინ ვარ და შარანგია გახლავართ, შადიმან შარანგია!

ეგებ ჩემი სახელი გეუცხოებათ, ან იქნებ გვარს მიწუნებთ, პატივცემული კუკური, ჰა?

და თვითონ ვინ არის?

მე შენ გეტყვი და შესახებადობა უვარგა: ლაფშა ცხვირი, ჩამოყრილი ყურები, დაკუსული თვალები, „თანხმობასავით დაბალი შუბლი“ და ყვეყჩი გამოხედვა.

ვეახელი ამ კაცს, თავმდაბლად და ალერსიანად მივესალმე, გაუღდიმე როგორც ძველ მეგობარს და ის კიდევ,

თითქოს პირველად ვენახე. შეკითხება: — ვინ ხარ შენ?

შარანგია გახლავართ, პატივცემული კუკური. შადიმან შარანგია და სირცხვილი. და შეჩვენება შენს ვასიებულ თავს, შენს ზრდილობასა და შენს ნამუსს...

ვითომ ვერ მიცნო?

მამა უცხონდა! თანაცლასელია, ერთს უბანში ვცხოვრობდით, ორივე „უღელტეხილის“ ფეხბურთელი ვიყავით, მე — სამი ნომერი, ის კიდევ — რვა.

დავიჯერო, კუკურიმ ვერ მიცნო? ჰა, ვითომ ვერ მიცნო?

ისე აუშენდა ოჯახი! ძალიან კარგად იცნო. კაბინეტის კარი შევადე თუ არა, უმაღლეს მიცნო, მაგრამ გამოცნაუ-

რება იჩოთირა... უკანასკნელი მოსწავლე იყო, თრევთრევით მოაღწია მეცბრე კლასამდე და სწორედ მეცბრე კლასში მოიმოჭმედა სასწაული:

გამოსაშვები გამოცდები დაგვეწყო. გვედიან ქართულში — და ჰა, კუკურის ჭერამაც მოაღწია.

— ნუ ლეღავ, — აღერსით უთხრა ქართულის მასწავლებელმა ქალბატონმა ნინომ, — „კაცია მუნჯაძის“ შინაარსი მომიყვიეო. ქალბატონმა ნინომ განგებ შეურჩია იოლი თემა კუკურის, ეგებ ამაზე მაინც მოახერხოს პასუხის გაცემამო, მაგრამ თქვენც არ მომიყვდეთ, საერთოდ ენაქართალა კუკური კაცია მუნჯაძესავით დამუნჯდა.

— ამოიღე, შვილო, ხმა, ნუ გეშინია, აბა, დაიწყეო, — კვლავ დაჟვავებით უთხრა ქალბატონმა ნინომ და ის იყო — კუკურამ ერთი სევედიანად მიმოგვაველო თვალი, მერე უცებ მერხზე შეხტა, სწრაფად გამოაღო ფანჯარა და შურღულივით გადახტა... დიახ, მეორე სართულადან გადახტა ის შეჩვენებული და ქალბატონი ნინო იატაკზე უსულოდ დაეცა. ბიჭები ეზოში ჩავიქერით, ქალიშვილები ნინო მასწავლებელს შემოეხვივნენ, მთელი სკოლა აწრიალდა. ფეხნაღრძობი კუკური შინ წავაბრძანეთ, ნინო მასწავლებელი ძლივს მოასულერიეს და ჩვენი გამოცდა მეორე დღისათვის გადაიდო.

...მერე კუკური სკოლაში არ გამოჩენილა, მაგრამ „სიმწიფის მოწმობა“ ჩვენთან ერთად ებოძა და „გამოსაშვები ლხინიც“ კუკურის სახლში გავმართეთ, რადგან კუკურის მშობლებს დიდი და ლამაზი სახლი ედგათ.

ჰოდა, ახლა ამ კუკურამ ვერ მიცნო მე? თუ სხვანაირად უნდა ვხლებოდი? მაინც როგორ?

„ზოღიში კუკური აბესალომიჩ, შეწყუხებისათვის, მაგრამ ძველი ნაცნობობა მამედვინებს დახმარებისათვის მოგმართოთ...“ და მამინ ვადმომხედავდა მოწყალე თვალით?

„ჰაიტ, შე გლახა! ამას იკადრებს შადიმან შარანგია? ვერ მოგართვით პა-

ტივემეულო კუკური, ვერა! მე პირდაპირი კაცი ვარ — თვალი ხედვად მაქვს და ყური სმენად — ვიცანდი და მიგვინქედი — შენგან არაფერი სიკეთე გამოვა და ამიერიდან უარმიყვიხარ, წამიშლია შენი ნაცნობობა და მჭერა მალე „გიხილავენ თვალნი ჩემნი მიწაზე მლოღავს“.

ქოთქოთობდა, იმუჭრებოდა და ილანძღებოდა ვაქრობის სამინისტროდან სასტუმროში დაბრუნებული შადიმან შარანგია და მას ამოოდ ამშვიდებდა მძისწული გოჩა.

— მე შენ გეტყვი და შეუძლებელს ვითხოვ? ამიყვანე ერთი ადგილიდან და გადაამსვი მეორე ადგილზე, ა, ესაა სულ ჩემი თხოვნა! ისიც რესტორანია და ესეც. რატომ არ მინდა ძველ ადგილზე ყოფნა — არ უნდა მკითხო? ჭერ ვაიგე ჩემი გასაჭირი და მერე მომაგე შენი ბრძნული პასუხი... „არა“, „არა“... სხვა სიტყვას ვერ ამოშაქრავს ამათი პირი! ესმის, კარგადაც ესმის შადიმანს თქვენისთანა ხალხის გასაგისი, მაგრამ უკაცრავად პატივემეულო კუკური, ჩემგან ნუ ელით იმას, რასაც სხვები მოგართმევენ.

მერე, თითქოს გული მოიოხა და თანდათან დამშვიდდა.

ხელპირი დაიბანა, პერანგი გამოიცვალა და მძისწულთან ერთად რესტორანში ჩავიდა.

„საქართველოს“ დიდ დარბაზში ხალხი ცოტა იყო და არც ისე ცხელოდა.

— არისტოკრატია, ჩანს, ქალაქგარეთ სადილობს, — ჩაიბუბუნა შადიმანმა და თავზეწამოდგარ ოფიციალენტ სადილი შეუკეთა.

— აი, ასეთი დარბაზი რომ მომცა ჩემს რესტორანში, მოგეცა ლხენა, ლხინი მექნება გაჩაღებული და სამინისტროს ერთიორად მეტ მოგებას მივართმევი, მაგრამ საშველი არ დაადგა ჩემი რესტორანის რეკონსტრუქციას. რომელიდაც საპროექტო ორგანიზაცია ავირჩიო რი წელიწადია იღწვის რაიონული რესტორნებისათვის ტიპიური პროექტის შესაქმნელად და ჭერ კივი არ უჩანს იმ

პროექტს და დმერზმა უწყის როგორი იქნება ის ტიპური პროექტი... და განა აუცილებელია ყველა რაიონულ ცენტრში რესტორანის შენობა ერთნაირი იყოს? რომელმა ბრძენმა მოიაზრა ეს?

ოფიციალტმა სუფრა გააწყო. შადიმანმა ბორჯომის ბოთლს წაავლო ხელი, ორი ჭიქა ზედიზედ დალია, მერე ბიძამ და ძმისწულმა კონიაკი გადაკრეს და შადიმანმა სუფრის თამადად გოჩა დაინიშნა.

— ორ კაცში თამადაობა? — გაიკვირვა გოჩამ.

— აუცილებელია, — დაიბუბუნა შადიმანმა, — სუფრაზე მარტოხელაღ რომ იჯდე, თავისთავს უნდა უთამადაო, აბა, სხვანაირად ვაგონილა?

— მაშინ თქვენ...

— ახალგაზრდობიდანვე უნდა გაიწყაფო. შენი ხნისა ქორწილში ვთამადაობდი. შეუდექი.

გოჩამ ჭიქები შეავსო. დანაყრდნენ, შადიმანმა დარბაზს მიმოავლო თვალი და ისევ ტიპურ პროექტს შეუტია.

— ფოთში და ხაშურში რესტორანების ერთნაირი შენობის აგება ახლოსაა ჭკუასთან? არავითარ შემთხვევაში! ფოთში ზღვა და ირგვლივ დაეარდნილი დაბლობი, ზაფხული ცხელია და ზამთარი თბილი, ამიტომაც ფოთის რესტორანის შენობა თეთრი და მსუბუქი უნდა იყოს, ზღვის სილურჯეში თეთრი შენობა თვალს ეთამშება და გულს ახალისებს. წარმოიდგინე ასეთივე თეთრი და მსუბუქი შენობა ხაშურში! ზაფხულში — ერთ კვირაში გაიმურება, ხოლო ზამთარში საყინულედ იქცევა და სულ უბრალო მიზეზის გამო: ფოთში ნალექი ჭარბია და ჰაერი უმტვეროა, ხაშურში პირიქით. ფოთში ყინვა იშვიათად ორ-სამ გრადუსს თუ მიადწევს, ხაშურში — კი ხანდახან თხუთმეტსაც გადაჭარბებს. ვასაგებია ხომ? მაგრამ თამადა შენ ხარ, თუ მე? თქვე ერთი სადღეგრძელო.

გოჩა ყასიდად შეიშმუნა, ბიძასთან გრძნობდა თავს უხერხულად, თორემ ამხანაგებში თავქეიფა იყო, და რაკი შა-

დიმანმა წაათამადა, ორკაციანი სუფრის თამადა ფეხზე წამოდგა. *არაქონული*

— თქვენი თანხმობით *მეტრი* სადღეგრძელოს ვიტყვი.

— მიბოძებია თანხმობა.

— ჩვენი მიწა-წყლის სადღეგრძელოს შევსვამ.

— რომელია ეს „ჩვენი მიწა-წყალი“? — გამომწვევად თქვა შადიმანმა და თვალეში ჩახედა გოჩას.

— ითხვისი...

— სიცრუეა! სიცრუე და მეტი არაფერი! დიახ, თავს ვიტყუებთ! ითხვისი რით არის შენი, ან ჩემი? — როგორღაც გახელდა და აღევზნო შადიმანი, ღვინით პირი გაისველა და ისევ შეუტია ძმისწულს.

— ჰო, რით არის ჩვენი ითხვისი? რა გვაქვს ითხვისში ჩვენ? სახლ-კარი? ბაღ-ვენახი? საძოვრები? არა! არც სახლი გვიდგას, არც ბაღ-ვენახი გვაქვს, არც საძოვრები და არც წისკვილი! შენ კი დაგიჩემებია — ჩემი ითხვისი, ჩემი მიწა-წყალიო... გოჩა შარანგიას მიწა-წყალი სტუდენტთა ქალაქია, რუსთაველის და ქავჭავაძის გამზირები, სპორტის სასახლე, სტადიონი, ვაკის პარკი და თბილისის კინო-თეატრები... ჰო, ასეა ეს და შენ სიმართლე უნდა ილაპარაკო, ჩემო გოჩა. დაამთავრებ ახლა შენ უნივერსიტეტს და ითხვისში წახვალ? მეტი არაა ჩემი მტერი! ითხვისი თავისთვისაა, შენ კიდე შენთვის, ამიტომაც ითხვისი არაა შენი და არც შენ არსებობ ითხვისისათვის. — ჩემი მიწა-წყალი? შადიმან შარანგიას მიწა-წყალი?

მცირე ხნით დადუმდა შადიმანი, თვლები მოჭუტა, ჩანდა რალაციის გახსენებას ლამობდა, ხელისგულით შუბლი მოისრისა, თვალეში ფართოდ გააღო და ღიმილიანად, მაგრამ დამცინავად თქვა.

— შადიმან შარანგიას მიწა-წყალი ხერგას რესტორანია, დიხაც რომ ხერგას რესტორანია ჩემი ცა და ჩემი დედა მიწა. ოცდაოთხი საათი რესტორანში ვტრიალებ. ითხვისი კი გალაქტიონ შარანგიამ დაისაკუთრა. გალაქტიონ შარანგიას კერა ღუის ითხვისში, იმისი

ძროხა ძოვს და მისი ძალი ჰყევს, —  
 მას, გაუმარჯოს ვალაქტიონ შარანგიას.  
 ...შადიმანმა საათს დახედა, ოფიციალ-  
 ტი მოიხშო, ნახარჯი გადაიხადა, მერე  
 ბიძა და ძმისწული ფაციფუცით აიჭრ-  
 ნენ სასტუმროს მეორე სართულზე, ჩე-  
 მოდნები აიტაცეს და რკინიგზის სად-  
 გურისკენ გაქანდნენ.

მატარებლის წასვლას არაფერი უკლ-  
 და, როცა გოჩამ საერთაშორისო ვაგო-  
 ნის კუბეში ჩემოდნები შეალაგა და შა-  
 დიმანს დაემშვიდობა.

— მადლობელი ვარ, — აბუბუნდა  
 შადიმანი, — ძმისწული მკერდში ჩაიჭ-  
 რა, შუბლი და ლოყები დაუკოსნა, მე-  
 რე უცებ გაშეშდა, ხელისგული შუბლ-  
 ზე იტყიცა და ფეთიანივით შესძახა.

— ბორჯომი! ბორჯომი, თორემ დაი-  
 ღუბა ბიძაშენი, გოჩა!

ვაგონის ვიწრო ტალანი ხალხით იყო  
 ვაჭედილი და როცა გოჩამ ვაგონის კი-  
 ბემდე მიადწია, მატარებელი დაიძრა და  
 გოჩას ბიძამ ხელახლა შემოირტყა ხელი  
 შუბლზე. ოღონდ ახლა პირვანდელზე  
 უფრო ძლიერად.

— მორჩომილია ჩემი საქმე, — ნა-  
 ღვლიანად თქვა შადიმანმა, ხელი ჩაიჭ-  
 ნია, დაღონებული შევიდა კუბეში და  
 ფანჯარასთან მიმჯდარი მგზავრი რომ  
 დაინახა, რატომღაც უხერხულობა იგრ-  
 ძნო, მოუბოდიშა და მოშორებით დაჯ-  
 და.

სუფრაზე ბორჯომის ორი ბოთლი  
 იდგა.

— ინებეთ, ჯერ კიდევ ცივია, —  
 ღიმილით თქვა რევაზმა და ბოთლი გა-  
 უწოდა.

— არავითარ შემთხვევაში! როგორ  
 გეკადრებათ!

— ნუ გერიდებათ, მიირთვიეთ!

— მაშინ მცხეთამდე! მცხეთამდე ვი-  
 სახსოვრებ და მცხეთაში აუცილებლად  
 გავაჩენ.

შადიმანმა ბოთლი აიღო და ხელის-  
 გულში მოიწყვდია. ბოთლი ცივი იყო,  
 ხელის გულიდან სიგრილე მთელ სხე-  
 ულს სწრაფად მოედო და შადიმანს  
 თვალები გაუბრწყინდა.

— რახან აგრეა, ვიცნობდეთ ერთმა-  
 ნეთს, — შადიმან შარანგია გახლავართ.

— რევაზ ჩაფიჩაძე, შენც მკვლევარს  
 რევაზმა და შადიმანს ხელი ჩამოართვა.

— ჩაფიჩაძე? რევაზ ჩაფიჩაძე? გამი-  
 გონია, კი, ნამდვილად გამიგონია... ჩა-  
 ფიჩაძე... რევაზ ჩაფიჩაძე: — გულში  
 რამდენჯერმე გაიმეორა შადიმანმა და  
 მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუა-  
 თითი შუბლზე ნელიად შემოიტარა,  
 ცდილობდა გაეხსნებია, საღ შეხვედრია  
 რევაზ ჩაფიჩაძეს, მაგრამ ვერ იქნა და  
 ვერ გაიხსენა.

— დალიეთ, თორემ ხელში შემოგათ-  
 ბებათ, — თქვა რევაზმა და შადიმანის  
 შესათამამებლად მეორე ბოთლი თითონ  
 მოიყუდა.

— აგაშენა ღმერთმა, — კმაყოფილე-  
 ბით ამოთქვა შადიმანმა, როცა ბოთლი  
 ნახევრამდე დაიყვანა.

— ასეთი წყალი გეშოვებოდეს და  
 ღვინოს მიეძალო? სიგიჟეა, მარა ხან-  
 დახან ისე მოგიმწყვდევენ... ეპ, ცუ-  
 დი ჩვეულება აქვს ზოგიერთ თამადას  
 — არ მოგეშეება — დედას დაგაფიცებს  
 ცოლშვილს, მკედარსა და ცოცხალს  
 მოიშველიებს და თავისას გაიტანს.

ბოთლი პირწმინდად გამოსცალა შა-  
 დიმანმა, ერთი მაგრად ამოაბოყინა,  
 გულმკერდი წინ წამოსწია, რაღაც ამოი-  
 ხნენშასავით და შეცბა. რევაზს მოუ-  
 ბოდიშა და თითქოს თავისგასამართ-  
 ლებლად განავრძო.

— წუხელ, შემთხვევით ლხინში აღ-  
 მოვჩნდი. ჩემი მეგობრის შვილის  
 დაბადების დღე იყო... ჩემი აზრით  
 — ხმას აღწია შადიმანმა, — ეს უაზრო-  
 ბაა და სიმახინჯე, ჯერ რამე დაიმსახუ-  
 როს ადამიანმა და მერე აღენიშნოთ მი-  
 სი დაბადების დღე, — დიახ... მაგრამ  
 მგონი თავი შეგაწყინეთ და მგონი  
 მცხეთასაც ვუახლოვდებით.

მატარებელმა ზაპვისის ხილს გადაუქ-  
 როლა. შადიმანმა ვაგონის გამყოლი  
 გაიყოლია და მატარებლის გაჩერების-  
 თანავე სადგურის რესტორანს მია-  
 შურა.

კუბეში მარტოდ დარჩენილმა რე-

ვაზმა თავი სავარძელს მიაყრდნო და თვალები მილულა.

... ვაკე იმერეთის ქუჩა. უკვე შებინდებულია და ქუჩებში ლამპიონები აუნთიათ. რევან ჩაფიჩაძის სახლი კარდაკეტილია და ჩაბნელებული. მესობელთა სახლები განათებულია, ფანჯრები ღიაა და სახლებში საღამოს სიგრილე იჭრება. იმერეთის ქუჩაზე მოაბიჯებს ჩაფიჩაძის ოჯახი. წინ რუსულდანი და სანდრო, უკან თათია და დარეჯანი. ჩუმად უხმაუროდ შედიან ეზოში. დარეჯანი და ბავშვები კიშკართან შეყოვნდებიან. რუსულდანი მძიმე ნაბიჯით აპყვავა კიბეს. დაღლილია რუსულდანი, ისეთი დაღლილია, რომ კიბე ძლივს აათავა, კარი უხალისოდ გააღო, მერე სინათლე ჩართო და სახლი გაღამებულა, ჰო, გაიკენა ჩაფიჩაძის სახლმა. რუსულდანმა ყველა ოთახი შემოიარა; ცხადია, რევანს ეძებს, რევანი ვერ იპოვა და რუსულდანმა შუბლი შეიკრა და ჩაფიჩაძის სახლმაც მოიწყინა... სანდრო ფეხაკრეფით შედის რევანის ოთახში და საწერ მაგიდაზე მიმოყრილ წიგნებს ალაგებს.

... მატარებელი შეჯანჯღარდა და რევან ჩაფიჩაძე გამოფხიზლდა. კუბეში მარტო აღმოჩნდა. მატარებელმა ძეგვის სადგურს ჩაუქროლა. რევანი კუბედან გამოვიდა, ვერც ტალანში იპოვა შადიმანი და ხელი ჩაიჭინა.

„ცხადია, მცხეთაში დარჩა შადიმანი და მის ბარგს ახლა მე უნდა ვუპატრონო, კიდევ კარგი, სახელი და გვარი ვიცი, მატარებლის უფროსს გამოვუძახებ, მას ჩაუბარებ ამ ჩემოდნებს და მერე პატრონი მოიძვეს, ერთ ბოთლ ბორჯომის წყალს ვადაპყვავა პატივცემული შადიმან შარანგია“.

კართან მიდგმული შარანგიას ჩემოდანი ზედა საწოლზე შემოედვა, სავარძელში ჩაჭდა და თვალები მილულა თუ არა, ვაგონის კარი ჯახანით გაიღო და შადიმანის როზროზი შემოესმა.

— ხომ არ შემიშინდით, ბატონო რევან?

შადიმანი აღჭურვილი მოადგა კუ-

პეს — მარჯვენა ხელში მოხერხებულად ეჭირა ორი ბოთლი შამპანური, მარცხენა იღლიაში ქალაღის კი მოზრდილი პარკი მოემწყვდია. მარჯლის ჯიბეებიდან კონიაკისა და ბორჯომის ბოთლისთავეები იშვრებოდნენ.

— სადგურის დიქტორმა გვილაღატა, რევან ბატონო, — ისე ნახად ჩაუფუჩუნა მიკროფონში, რომ რესტორანში არავის გაგვიგონია მისი ხმა. კიდევ კარგი — ვაგონის გამყოლმა იფხიზლა. მაშინათვე იგრძნო მატარებლის დაძვრა და გამოვქანდით, — აქედან, მგონი ე, მეხუთე ვაგონს შემოვასტით. შემიშინდით ბატონო რევან, არა? უნდა მაპატიოთ...

— მატარებლის უფროსის გამოძახებას ვაპირებდი.

— გამოუძახებლადაც გვეახლება მატარებლის უფროსი, იცის სადაცა ვართ, ამა ერთი სუფრა გავაწყობთ!

შადიმანმა ქალაღის პარკი მაგიდაზე დადო, შამპანურის, კონიაკისა და ბორჯომის ბოთლები საწოლზე ჩაამწყრივა და ტალანში გასძახა.

— ხომ არ მოგეშველოთ, ბატონო ნიკოლაოზ?

— ა, მოვედი, — გაისმა კარზემოდგარი ვაგონის გამყოლის წვრილი, რკინიგზელისათვის დამახასიათებელი გაბზარული ხმა და პატარა სუფრა მცხეთურმა ღვეხელმა, შებრაწულმა ვარიამ, თონის პურმა და წითელმა ბოლოკმა დაამშვენა.

— ამა ერთი შენებურად დამიტრიადლი, ბატონო ნიკოლაოზ, — შინაურულად უბრძანა შადიმანმა ვაგონის გამყოლს, — კიქები, ორიოდე სუფთათეფში, ერთი ნამლევა დანა მოგვიძიე და მერე შევეუდგეთ შენის ხელმძღვანელობით...

რევანს როგორღაც არ ესიამოვნა ახალგაენობილ შარანგიას ასეთი გულუხვი მასპინძლობა, სავარძლიდან უხალისოდ წამოედვა და ტალანში გავიდა.

უკვე საღამოს ბინდბუნდში მიჰქროდა მატარებელი და სოფელ-ქვეყანა მირაყევით ჩანდა.

— რევან ბატონო, — კუპედან გა-  
 ეხმიანა სუფრის გაწყობით გართული  
 შადიმანი, — ცხონებული ხახარ ხახა-  
 რიჩის ღვეზელის გემო გასოვთ?

— გამიგონია.

— გაგონება რა სახსენებელია! პირ-  
 ველი კურსის სტუდენტი გაზღლით ხა-  
 ხარ ხახარიჩის ღვეზელი რომ ვიგემე  
 და მისი გემო, თუ დამიჭერებთ, ახ-  
 ლაც პირში მიტრიალებს! ოო, რანაირ  
 ღვეზელს და ნაირნაირ ნამცხვარს აც-  
 ხობდა ხახარ ხახარიჩი, რა ხელი ჰქონ-  
 და მამაცხონებულს! ახლა ამ მცხეთურ  
 ღვეზელსა და ნამცხვარს ხახარიჩისე-  
 ული მხოლოდ ფორმა შერჩა, შინაარსი  
 — კი ჰაიდაა, ფშიიტ, — ხანარ ხახარი-  
 ჩის სულს გაჰყვა... შემობრძანდით  
 რევან ბატონო, მგონი სუფრა გაეაწყ-  
 ყვე.

— მე სწორედ წამოსვლის წინ...

— როგორ იკადრებთ! — აბუბუნდა  
 შადიმანი, — თანაც თქვენი ბორჯომია  
 მიზეზი, იმან გამიხსნა მალა და ახლა  
 მლაღატობთ?

შადიმან შარანგიამ რიღით, მაგრამ  
 მაინც ძველი ნაცნობივით მკლავში წა-  
 ავლო რევანს ხელი, კუპეში შემოიყ-  
 ვანა და სუფრასთან დასვა.

— არ მეკითხებით, მარა ვიცი, ენა-  
 წყლიანობს შადიმანი, — გაინტერესებთ  
 ვინ ვარ მე, საიდან მოვდივარ და სად  
 მივდივარ, — გრძელი ისტორიაა, მაგ-  
 რამ თავს არ შეგაწყენთ და მოკლედ  
 გეტყვით: თავდაპირველად ფილოსო-  
 ფიამ გამიტაცა და ჩაუღრმავდი, მაგ-  
 რადაც ჩაუღრმავდი, მაგრამ საფუძ-  
 ვლიანად ვერაფერი გავუგე და მორჩი-  
 ლად დაუქარი თავი, მერე ისტორიას  
 წავეტანე, როგორღაც მომერგო და ის-  
 ტორიის ფაქულტეტი დავამთავრე. სა-  
 მი წელიწადი ვასწაველიდი სკოლაში  
 ომების, მთავარსარდლების და მეფე-  
 ების ისტორიას. მერე მოწაფეების ერ-  
 თნარმა შეკითხვებმა და კვალიფიკა-  
 ციის ასამაღლებლად სემინარებზე სი-  
 არულმა ისტორია შემაძულა და ისტო-  
 რიასაც უმდაბლესად დაუქარი თავი...  
 ახლა? არ ვაიოცოთ — კი, ახლა საზო-

გადოებრივ სმაქამას ვემსახურები,  
 რესტორნის დირექტორი გახლავართ  
 ხერგაში.

საინტერესოა! — თქვა რევან ჩაფი-  
 ჩაძემ და შადიმანს გაუღიმა.

— თქვენ გასურდათ გეტყვათ — საოცა-  
 რია, არა რევან ბატონო? — ღიმილით-  
 ვე მიუგო შარანგიამ, — ცხოვრებამ  
 მოიტანა ასე. მართალია ფილოსოფიას  
 ბევრი ვერაფერი გავუგე, მაგრამ ფი-  
 ლოსოფიაში კირკიტმა ერთი უტყუარი  
 აზრი შემაგონა, — თუ გასურს იყო გო-  
 ნიერი, მოიქეცი ისე, როგორც ცხოვ-  
 რება ვიკარნახებს:

დაისახე სწორი სამოქმედო გეგმა.

ეცადე ილაპარაკო უშეცდომოდ

და აკეთე სასარგებლო საქმე.

ვერ გეტყვით ეს შეგონება კანტისაა,  
 ჰეგელის, თუ არისტოტელესი, ცხოვ-  
 რებამ კი — დამიდასტურა, რევან ბა-  
 ტონო, ამ შეგონების ჰეგელიანობა და  
 ამჟამად მე ვაკეთებ იმას, რაც ცხოვრე-  
 ბამ მიკარნახა და რაც აუცილებელია  
 ჩემი არსებობისათვის!.. მიირთვით, ეს  
 ვითომ, მცხეთური ნამცხვარი.

ვაგონის გამყოლმა თეფშები და ჭი-  
 ქები მოიტანა.

— ერთი პრეზიდენტიც მიხმე, ჩემო  
 ნიკოლაოზ და გეგმას შესრულებულად  
 ჩავითვლი, — დაიბუბუნა შადიმან შა-  
 რანგიამ და ორ ჭიქაში კონიაკი ნახეუ-  
 რამდე დაასხა.

— ცოტათი აგრილდა, გადაეკრათ,  
 რევან ბატონო!

ჭიქები შეაჯახუნეს და გადაჰკრეს.

შადიმანმა ვარია აქნა და ლამაზაქუ  
 დააწყო. ყველი, ნამცხვარი და პური  
 რესტორნიდან წამოდებულ გამტკიცულ  
 ქალღმერთს დაალაგა, მერე ცივი ღვინო-  
 ნათით შეავსო ჭიქები და ყელი გაიგ-  
 რილეს.

კონიაკმა სახე აუჭრელა რევან ჩა-  
 ფიჩაძეს, თვალბიცი აუციმიმიდა და  
 მორცხვობაც საღდაც გაჰქრა. ქათმის  
 ბარკალი უბოდიშოდ აიღო და ნამ-  
 ცხვარსაც წაატანა ხელი.



შადიმანი გახალისდა და ისევ კონი-  
აკი დაასხა ქიქებში.

ქიქები ისევ შეაჯახუნეს და გადაპ-  
კრეს.

— პა, აგრილდა-კი, დაილოცოს ჩვე-  
ნი ქვეყანა! მგონი გორში შევდივართ,  
რევაზ ბატონო, არა?

— კი, უფლისციხე ვაგვიარეთ.

— ახლა ჩვენი ვაგონის გამყოლი  
რომ მოიხზრებდეს და გორულ ატამს  
მოგვართმევდეს, სწორედ მისწრება იქ-  
ნება... თუმცა ცოტა კი მოაბიჭვს ზა-  
ხარ ზახარჩის ღვეზელისა არ იყოს,  
მარა სხვა კუთხას ატამს მიანც სჯობია.  
რევაზი წამოდგა.

— არავითარ შემთხვევაში, — წამო-  
იქრა შადიმანი, ახლა თქვენ გორის  
სადგურში გინდათ ჩაბრძანდეთ და  
მობიჭვებული ატამი იყიდოთ? რა ოხ-  
რად გვინდა? სიტყვამ მოიტანა, თორემ  
ხილი აგერ გვაქვს...

კუპეს მატარებლის უფროსი და ვა-  
გონის გამყოლი მოადგნენ.

— როგორც იქნა, — გადაბა სიტყვა  
შადიმანმა, — გაიცანით, რევაზ ბატო-  
ნო, ჩვენი მატარებლის პრეზიდენტი  
სამსონ გელაშვილი, — უქველში ხა-  
შურელი, ეს კიდევ ჩემი თანამებრძო-  
ლი და ძმაცაი ნიკოლაოზ გელაშვილი  
და ესეც უქველში ხაშურელი. ჭერჯე-  
რობით გამოურკვეველია გელაშვილებ-  
მა და ხაშურმა გამოიგონეს რკინიგზა,  
თუ რკინიგზამ გამოიგონა ხაშური და  
გელაშვილები, მაგრამ ამ რთულ სა-  
კითხს ეხლა მოვეშვათ... აქეთ სამსონ  
ჩემო, აგერ ბატონ რევაზის გვერდით  
დაბრძანდით, შენ კი მე დამიმშვენე  
მხარი ჩემო ნიკოლაოზ, ა, ასე. დავ-  
სხედით ხომ? დავსხედით. ახლა თამა-  
დობა ვთხოვოთ პატივცემულ რევაზს.

რევაზი მიუხედა, შადიმანი ზრდი-  
ლობისათვის სთავაზობდა თამადობას,  
რევაზმაც ზრდილობიანად იუარა და  
შადიმანი ხალისით მეუღლა „მოვალე-  
ობის აღსრულებას“.

— რახან აგრე ინებეთ, მოგვმსახუ-  
რებით, იმედი მაქვს, თუ შევეცი, შე-  
მეშველებით და გამისწორებთ.

შადიმანმა თვალთ ანიშნა ნიკო-  
ლაოზს ღრჭოდ დარჩენილ კარი მი-  
ხურეთ, თითონ ხელის ვრდო დაკვირით  
ბოლომდე დასწია კუპეს ფანჯარა, მერე  
ქიქები შეავსო, მიიბოდიშა — ფეხზე  
ვერ ავდგებოთ და საესე ქიქა შეათამა-  
შა ხელში.

— უპირველესად ჩვენი დედულ-მა-  
მულის, ჩვენი ადგილის დედის, — სა-  
იდანაც სიყალბე შეიპარა შადიმანის  
ხმაში და შადიმანმა ჩაახველა და ხმა  
დაიბოხა, — დიახ, ჩვენი ადგილის დე-  
დის, ჩვენი კერიის სადღეგრძელოს  
შემოგთავაზებთ, მეგობრებო. ხანდახან  
სურვილი მომიარს ეს ჩემი ქვეყანა  
მთებიან-ხევებიანა, წყლითა და ხმე-  
ლით, ჩემი პატარა სოფელი, ჩემი სოფ-  
ლის პატარა წისქვილი და მეწისქვილე  
გულში ჩაეიკრა და ვიტირო, ვიტირო  
სიხარულის ცრემლით...

და შადიმან შარანგაის თვალები  
აფცრემლდა.

მატარებელი რომელიდაც სადგურს  
უახლოვდებოდა და ნიკოლაოზი წა-  
მოიქრა — წესის მიხედვით ყველაზე  
ბოლოს მე უნდა შევსვა სადღეგრძე-  
ლო, მაგრამ სწორედ წესი და დისცი-  
პლინა მიიძღლებს წინ გაგისწროთო,  
და თუმცა ჩვენს პატივცემულ შადიმ-  
ანს მიანცდამაინც გულზე არ ახატია  
ხაშური და გელაშვილებით, მე მიანც  
გელაშვილების და ხაშურის სადღეგრ-  
ძელოს გვახლებითო, რადგან ჩვენი  
დედულ-მამული ხაშურია და ჩვენ გე-  
ლაშვილები ვახლავართო.

შესვა. ქათმის კურტუმი აიტაცა და  
წაეიდა.

შადიმანს არ ესიამოვნა ვაგონის გამ-  
ყოლის ასეთი სითამამე, წარბები შეპ-  
ყარა და მატარებლის უფროსს ქუშად  
გახედა.

პატივცემულ სამსონს პირი ღვეზე-  
ლით გამოეტენა და მადიანად იცოხ-  
ნებოდა.

— ახლა თქვენ შეგვაწიეთ სადღე-  
გრძელო, ბატონო პრეზიდენტო!

— როგორც ნიკოლაო, — ქოშინით  
ამოთქვა სამსონმა და ღვინო დაუღვ-  
ტა.

ავი ლუკმის გადასაყლაპავად მოიშველია. ნელა, სვენებსვენებით შესვა, ყელი ჩაიწმინდა, მერე ისევ ღვეზელით ამოივსო პირი, პატივცემული თამაღისათვის კი ზედაც არ შეუხედა.

შადიმანს ცივი წყალი გადაესხა გულზე — ეს დედასადღეგრძელო როგორ გამიმასხარეს ამ გელაშვილებმან და სამსონს დამციანავად გაუღიმა.

— შეგიძლიათ უფრო ნელიად მიიროთვით, ბატონო პრეზიდენტი, ვგონებ არსად მიგვეჩქარება!

— თუ კაცი ხარ, ზედმეტ ხუმრობას მოეშვი, — გაცხარდა მატარებლის უფროსი, — არავითარი პრეზიდენტი მე არ ვახლავართ და შენი დასაციინიც არაფერი მჭირს! ეს პურმარაილი თუ გენანება, სხვა სუფრიდან არ უნდა მოგეწვეო და პატივცემული სამსონი ადგა, შამპანურით თვითონვე შეივსო ჭიქა და უწინდელივით სვენებსვენებით გამოსცალა, მკერდზე მიცვენილი ღვეზელის ნამცეცები ხელისგულით მოიბერტყა, ულუაშებში ჩალიმებით თითქოს რევანზ ჩაფიჩაძეს მოუბოდიშაო, კუბედან გავიდა და კარი ჯახუნით გაიხურა.

შადიმანი სახტად დარჩა. მოეჩვენა, თითქოს რევანზი წამოდგომას აპირებდა.

— როგორმე მაპატიეთ, პატივცემულო რევანზ, ეს გაუზრდელი ხალხი რომ განვივით სუფრაზე, დღეს ხუმტურუკი აქვთ შემჭდარი, თორემ... თორემ აღრე ასეთები არ იყვნენ! ისე პრეზიდენტი — კი ჭამის გიყია, უთუოდ ის მეორე სუფრა უფრო ხორავიანია. ერთს მაგრა მოიბალახებს და მერე ბოდიშისათვის გვეახლება.

რევანზ ჩაფიჩაძე ადგა, სიბნელეში გახედა არე-მარეს, მერე შადიმანს გაუსწორა თვალი.

— თუ არ მიწყენთ, მე სოფელ ხემალალის სადღეგრძელოს შევსვამ.

— მაპატიეთ და ვერ მიგიხვდით, პატივცემულო რევანზ!

— ჩემი სოფლის სადღეგრძელო მინდა შევსვა, — თქვა რევანზმა.

— ხემალალია თქვენი სოფელი? თქვენ ხემალალში ცხოვრობთ?

და როცა რევანზმა თავი დაუქნია და ღიმილით უთხრა სიმართლეს მოგახსენებთო, შადიმანმა როგორღაც მოახერხა ადგომა, ვაოცებით ჩახედა თვლებში ჩაფიჩაძეს და ორივე ხელი თამაზად დაადო მხრებზე.

— გამაგიყებთ და ეგ არის! მეზობლები ვყოფილვართ, ყურის მეზობლები, ერთი კერიის შვილები!

უფრო გათამამდა შადიმანი, მარჯვენა ხელი კისერზე შემოდო რევანზს, მიიზიდა და აკოცა.

— გავგიყდი და ეგ არი! ავაშენათ ღმერთმა! მე ითხვისელი ვარ. მაშ სატეველაში გიბანავიათ? სატეველაში ხელობდით? მიხარია, დიდად გამახარეთ პატივცემულო რევანზ! მაშ ხემალალს გაუმარჯოს, შევსვათ ხემალალის სადღეგრძელო...

გახალისდა შადიმან შარანგია. სამსონისა და ნიკოლაოზის მიერ ხელდანიკარები ღვეზელი, პურისა და ყველის ნამცეცები მოაქუჩა და ფანჯარაში ისროლა.

— მაშ, ხემალალელი ბრძანებულხართ! მიხარია, დიდად გამახარეთ, საყვარელო რევანზ!

შადიმანმა ჭიქები შეავსო.

— ჩვენი მეზობლობის სადღეგრძელო შევსვათ რევანზ ბატონო, ხემალალისა და ითხვისის, ხემალალსა და ითხვისს გაუმარჯოს! ღმერთო ჩემო, ყურისმეზობელი ბრძანებულხართ, მე კი ვინმე უცხო მეგონეთ. მაშ ხემალალში მიემგზავრებით? დაგრჩათ რამე ხემალალში? გყავთ ვინმე?

— მამა მინდა მოვიჩახულო.

— ოო, როგორ გაიხარებს მოხუცი! ალექსანდრეო? ალექსანდრე ჩაფიჩაძე! ეიცო! დიახ, გამიგონია და ვიცო! ავაშენათ ღმერთმა, ალექსანდრე ჩაფიჩაძის შვილი ბრძანებულხართ.

შადიმანმა ისევ შეავსო ჭიქები.

— ეს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს გაუმარჯოს, ხემალალის ხევისბერს, მის

თეთრ წვერებს ვენაცვალე მე! ოო, როგორ გაიხარებს მოხუცი...

ხაშურში, თუ შადიმანს ვერწმუნებოდა, უთუოდ გელაშვილების პატივსაცემად, დიდხანს იდგა მატარებელი. მერე მაინც გაახსენდა ექსპრესი რომ იყო და დიდი სიჩქარით გაქანდა, ისე გაქანდა და გასრიალდა, ღონის სადგური აინუნშიაც არ ჩაავლო, ერთი გაბმულად კი მოაკვილა და წიფის გვირაბში შლეგივით შევიარდა.

გვირაბის ნესტიანი სიგრილე და ხმაური შემოიჭრა კუბეში და შადიმანმა ფანჯარა ნახევრამდე ასწია.

აკვანივით დაიჩქრა ვაგონი და ამ რწყევაში ჩაფიჩაძეს რული მოეკიდა.

კი, ნამდვილად მოეკიდა რული რევანზ ჩაფიჩაძეს და შადიმან შარანგია მოიქუტრა.

— ესეც დიდი ბედოვლათი ყოფილა! ჯერ ხაშურელმა გელაშვილებმა წამიბილწეს სუფრა და ახლა ხემალღულმა ჩაფიჩაძემ დაუკრა კვერი: დანაყრდნენ და მოსვეს. გელაშვილები გაიძურწნენ, ჩაფიჩაძე ცხვირწინ მიზის და თვლემს. ღირდა ამათთვის სუფრის გაშლა? ღირდა? აი დედასა, ქეიფის ლაზათი ამათ რა იციან! ვინ თქვა ხაშურელი გელაშვილების ღონის და ქეიფი? მაგრამ ხემალღულმა ჩაფიჩაძემაც კვერი რომ დაუკრა?

აკვანივით ირწყევა ვაგონი და რევანზ ჩაფიჩაძეს თავი ჩაუქინდრავს. შადიმანი იქუტრება და ბრაზდება, მაგრამ ხმას ვერ იღებს, მართალია ხემალღულია ჩაფიჩაძე, ყურისმეზობელი, ორივეს სატეველაში უბანავნით, მაგრამ მაინც უცხოა მისთვის რევანზ ჩაფიჩაძე და შადიმანი გულს ასკდება. აი, დედასა, ვინმე შადიმანის ტოლი იჯდეს ჩაფიჩაძის ნაცვალად ასე თავჩაქინდრული? მარჯვენა ხელის საჩვენებელ და შუა თითს პირდაპირ შუბლში ატაკებდა შადიმანი.

— ეი, მამულიშვილო, ზრდილობიანად მოიქეც, თორემ ამ გაქანებული მატარებლის ფანჯრიდან ვისვრი! დიახ, სუფრას ნუ შეურაცხყოფ შენი თვლე-

მითა და ყვინთვითა, გამოაპატუნე თვალნი შენნი და შემისვი მამულის სადღეგრძელო, ვინდ ხემალღული აღღეგრძელე, ვინდ ითხვისი, ვინდ ლელვა და კოპიტნარი. ამას მოითხოვს ზრდილობა, მამულის სიყვარული, სუფრისა და თამაღის პატივისცემა.

მაგრამ შადიმან შარანგია ხმას ვერ იღებს, მუნჯივითაა შადიმანი, რადგან უცხოა მისთვის ეს ყურისმეზობელი ჩაფიჩაძე... თეთრწვეროსანი მამა კი უღღეგრძელა დიდის ამბით და ეგების შეცდა შადიმანი? ეგების ქოსაა ამ ხემალღელი ჩაფიჩაძის მამა? არა, ნამდვილად გრძელი წვერი აქვს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს, — აკი, როცა შადიმანმა წარმოთქვა — ალექსანდრეს გაუმარჯოს, მის თეთრ წვერს ვენაცვალეო, მაშინ, სწორედ მაშინ გაიღვა ცრემლმა რევანზ ჩაფიჩაძის თვალში და ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა შადიმანს; ნამდვილად გრძელი და თეთრი წვერი აქვს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს, კი დაბერებულ თხასა ჰგავს თავის თეთრი წვერითა, ხოლო მისი პირწმინდად გაპარსული ვაეიშვილი ავტო შადიმანის პირისპირ ზის საერთაშორისო ვაგონის კუბეში და უღიერად ყვინთავს და თვლემს.

შადიმანმა ფანჯარა ღრიჭოდ დატოვა, პურმაროლს გაზეთი გადაათარა, შამპანურის ნაკლულ ბოთლს თავი დაუწყო და ფრთხილად წამოღდა. თქვენი ლოთი ხომ არ გგონიათ შადიმან შარანგია? შადიმანს ღონის უყვარს, ღონითიანი სადღეგრძელოები, შეკამათება და შეხუმრება, ძველი და ძველისძველი ამბების გახსენება, მამაშ, მოსაუბრე და მომლხენი კაცია შადიმან შარანგია და ქეიფის ჭიგარიც ეგ ვახლავთ... და რადგანაც რევანზ ჩაფიჩაძემ მამაპაპურად ჩასთვლიმა, შადიმან შარანგია ღონის დამთავრებულად მიიჩნია და მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ზედასაწოლზე როგორმე აპარჯდება, დაწვეება და დაიძინებს, ძილინებისა პატივცემული კარისმეზობელი.

შადიმანმა შეყვითლებული ზეწარი

გაშალა, მუშტისოდენა ბალიშს მუთა-  
ქად პორტფელი ამოუღო და მოსასვე-  
ნებლად აბრძანება რომ დააპირა, რე-  
ვაზ ჩაფიჩაძე გამოფხიზლდა.

— ძილი ნებისა, პატივეცემულო შად-  
იმან!

შადიმანი შეცბა.

— შეგონა გეძინათ. დარცხვენით  
თქვა შადიმანმა.

— ფიქრმა გამიტაცა. მაპატიეთ.

ყურისმეზობელს არ სძინებია, ეტყ-  
ობა არც აპირებს დაძინებას და შადი-  
მანი დაძინებს? თქვენც არ მომიკვ-  
დეთ! ახლა ნახეთ, როგორ გახალისდებ-  
და შადიმანი.

შადიმანმა ბოთლს საცობი ახადა და  
ჭიქები შეავსო.

თავი მისამდე

ხერგას სადგურზე ნაცნობს ვერავის  
მოჰკრა თვალი ეკატერინემ. ვაგონის  
გამყოლი შეეშველა, ბარგი სადგურის  
მორიგეს მიაბარა და ქალაქში გავიდა.

რესტორანი „უღელტეხილი“ ღია  
იყო. გუშინდლიდან მოყოლებული ხე-  
მსი არ გადასცდენია და რესტორანში  
შევიდა.

ცხელოდა. ვებერთელა სასადილო  
დარბაზის ყველა ფანჯარა ღია იყო,  
მაგრამ ამ ღია ფანჯრებიდან ტალღა-  
ტალღად შემოსული ჰაერი ისეთი სქე-  
ლი იყო, შეგეძლოთ მჯიღში მოგემწე-  
ყვლიათ და გავეწუათ.

მებუფეტე მოკრძალებით მიესალმა  
ეკატერინეს და ოფიციანტს გასძახა  
სტუმარს მოხედეთო — და, როცა  
ეკატერინემ თქვა — რამე წენიანი კე-  
რძი მომიტანეთო, მებუფეტე შეკრთა,  
გაოცებით შეხედა ეკატერინეს და სამ-  
ხარეულოში გაიძურწა.

ყოფილმა მოწაფემ ხმაზე შეიციწო  
ეკატერინე. კი, ძალიან გამოცვლილა  
ქალბატონი ეკატერინე: გამხდარა, სახე  
ნაოჭებს დაუღარავეს, თმა სულ გასთე-  
ორებულია, მხრებშიაც მოხრილია. ხმა — კი,  
ალერსიანი, თან ოღნავ მბრძანებლუ-

— აწი არც ღირს დაძინება, შემ-  
პარავად თქვა ჩაფიჩაძემ, — სულ ორ-  
იოდე საათის გზა დაგვრჩევს.

და შადიმანიც მანდ არის! ხეირიხანად  
ჩათვლემას ვერც მოასწრებ და მატარე-  
ბელი ხერგას მიაკივლებს. მართალი  
ბრძანებაა — არ ღირს დაძინება, მე  
შენ გეტყვი და ნიკოლაოზი დროზე  
გაგაღვიძებს? ელმავალი ცხვირს რომ  
შეჰყოფს სადგურში, მაშინ მოგიკაუ-  
ნებს. კარგადაც იცის შადიმანმა ასე  
რატომ იქცევა პატივეცემული ნიკოლაო-  
ზი, მაგრამ ვერ მოგართვით! შადიმან  
შარანგია ცარიელი ბოთლების მეტს  
არაფერს დატოვებს კუპეში.

რი, აღრინდელი შერჩენია. ეს ხმა ოც-  
ოდე წლის წინ შთააგონებდა აბელ კიკ-  
ნაველიძეს — შენ ნიჭიერი ყმაწვილი  
ხარ, ბეჯითობდი და წარმატებითაც და-  
ამთავრე სკოლა. ახლა შენ თბილისში  
წახვალ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში  
ისწავლი და ინჟინერი გახდები, გზის-  
მშენებელი ინჟინერი... დაბრუნდები  
ხერგაში და ჯერ ხერგადან ხემაღალში  
გამოიყვან გზატკეცილს, ამ ძველი გზის  
ნაკვეთებზე კი არა, სატყველას ხეობი-  
დან შემოიყვან გზატკეცილს ხემაღა-  
ლში, მდინარის ნაპირებს გამოაყოლებ,  
სატყველას ხან მარცხენა ნაპირს, ხან  
კი მარჯვენას... მერე? მერე ხემაღალ-  
იდან ითხვისში გადაჭიმავ გზატკეცილს,  
ითხვისიდან კლდეეთში, კლდეეთიდან  
ნიგვზიანში, ნიგვზიანიდან ხერგაში, და  
მორჩა: ყველა მთაგორიანი სოფელი  
გზატკეცილითაა დაკავშირებული ხერ-  
გას. ამ გზატკეცილებზე იქროლებენ  
ავტობუსები, მსუბუქი და საბარგო მან-  
ქანები. გადაიყვანენ მგზავრებს, გადა-  
ზიდვენ ტვირთს. ხემაღალიდან ხერ-  
გაში ჩაიტანენ ღვინოს და ყურძენს,  
ხილს და ბოსტნეულს, ხორცსა და  
ყველს, აბრეშუმის პარკს, — ხემაღალ-

ში კი — აგურსა და კრამიტს, ხორბალს და ფართლელს, წიგნებსა და ეურნალ-გაზეთებს ამოგვიტანენ... ჰო, ეს გზატკეცილი, მთავორიან სოფლებს ხერგას რომ აკავშირებს, აბელ კიკნაველიძემ განწყვანა და ამიტომაც ლოცავენ მას ხემალღელები, ითხოვსელები, ნიგვზიანელები...

ჰოდა, ის ხმა, ალერსიანი და თან ოდნავ მბრძანებლური, ისევ რომ შემოესმა აბელ კიკნაველიძეს, სული შეუტოვდა... აპავია ხემალღალის ვიწრო ბილიკით გზატკეცილზე ვერ გავიდა ხემალღელი ყმაწვილი. ვიწრო ბილიკმა ხერგას რესტორანში მოიყვანა აბელ კიკნაველიძე, ბუფეტში ჩააყენა, წინ სასწორი დაუდგა და ხელში ალესილი დანა მისცა.

ეუბნება მუშტარი აბელ კიკნაველიძეს: ორასი გრამი ძეხვი, ორასი გრამი ყველი, ორასი გრამი სატვეელას კალმახი, ასი გრამი არაყი, ცოტა მწვანილი და გამალებით მუშაობს აბელ კიკნაველიძის მარჯვენა: ძეხვს, კალმახს, ყველს, არაყს, მწვანილს მოხერხებულად დააკლებს ცოტ-ცოტას, შნოიანად, ქუჩუჩად დააწყობს თეფშებზე, ელიმილება მუშტარს აბელი და ღამით შინ მიმავალს ჯიბე სქელი აქვს მოპარული ფულით.

.. სამი წელიწადი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა აბელ კიკნაველიძე, ერთი პატარა ოთახი გვირა რომელიდაც ხიდაშელის სახლში, მერე სამოსახლო ნაკვეთი ვითომ გამოუყო ხერგას საბჭოთა, ნაკვეთი რკინის ბადით შემოღობა, ხეხილი ჩაჰყარა და ორსართულიანი სახლი აიშენა აბელ კიკნაველიძემ. ცოლად რაიფინგანის რევიზორის ქალიშვილი შეირთო და ახლა აბელ კიკნაველიძეს სამი შვილი ჰყავს — არისტრახო, მთვარისა და გულსუნდა. მუსიკის და ინგლისურის მასწავლებელი შინ დაუდით კიკნაველიძის ბავშვებს: არისტრახო ინგლისურს სწავლობს, მთვარისა და გულსუნდა მუსიკას, აბელის მეუღლე სოფიკო — ინგლისურსაც და მუსიკასაც ეძალება და აბელ კიკნაველიძის

ოჯახი განათლებულად ცხოვრობს. ეახშმად აუცილებლად შემოვიღოს რევიზორი მემკვიდრეული მეგობარი მხარე ჯიგრიანად მოილხენს და მერე მოგვამა ქირი — მთელი დამე საბერველივით ქშენს, შფოთავს, გაუგებარ სიტყვებს წამოისვრის ხოლმე ძილში, ვილაცის ევედრება და ვილაც-ვილაცებს ემუქრება. როცა ნამეტნავად აბორგდება აბელი, სოფიკო მოთმინებას ჰკარგავს და შენაწვრევს.

— აკი გეუბნები, ამდენი არ დალიო, ეს ოხერი-მეთქი.

შიშნაკრავი აბელი თვალებს დააწყეტს და მიმოიხედავს.

— დალევა რა შუაშია, შე ქალო, რევიზორების დედა ვატირე მე!

— აბოდებ. სადაა რევიზორები?

— სიზმარში! სიზმარში და გინდა ამიხადო? შეუბღერს მეუღლეს აბელი და თვალებს უფრო ფართოდ გაახელს.

— ნუ სულელობ! რევიზორები რად მინდა მე? დაიძინე, — დატუქსავს სოფიო.

და აბელი ხვნეშით გადაბრუნდება, ზურგს შეაქცევს პატივცემულ მეუღლეს ცოტახანს იფხიზლებს და იუჯუნებს და მერე ისევ აქშინდება ისევ აბორგდება, ნამეტნავადაც აბორგდება, მაგრამ მეუღლე არ გამოაფხიზლებს, იცის რატომაც ბორგავს, — იყენენ სიზმარში რევიზორები! სოფიკო აღგება და შეილების ოთახს მიაშურებს. ბავშვებს მშეიდად სძინავთ. აბელ კიკნაველიძეს ძილს რომ უფრთხობენ, იმ რევიზორებს არ იცნობენ აბელის ბავშვები და უშფოთველად სძინავთ. სოფიკო კი იცნობს იმ რევიზორებს, ზოგი სოფიკოს მამის მეგობარია, ზოგიც სოფიკოს მამის მეგობრის მეგობარია, ამიტომაც სოფიკოს არ ეშინია იმ რევიზორებისა...

ქალბატონ ეკატერინეს ხმამ ალერსიანმა და თან ოდნავ მბრძანებლურმა, სული შეუტოვდა აბელ კიკნაველიძეს, სამზარეულოში შეაგდო, კუთხეში მიაცუქა და მიაჯანდაბა.

მოსუცდა ქალბატონი ეკატერინე. ცხოვრების გრძელი და მძიმე გზა გაიარა და მოიქანცა... ხემაღლის სკოლა დახურეს. პენსია დაუნიშნეს. არავითარი საბუთი, დახასიათება და წარდგინება არ მოუთხოვიათ, განათლების სამინისტრომ თვითონ გამოაწყო საბუთები და საქმე იოლად მოგვარდა, ორივე ცნობა ერთად უბოძეს ეკატერინე ხიდაშელს. ცნობაში ხემაღლის სკოლის დახურვის მიზეზიც სწერია, — მოსწავლეთა სიმცირე... ეგებ მოსწავლეთა სიმცირე არაფერ შუაშია? დაბერდა ეკატერინე ხიდაშელი? დაბერდა. ამიტომ აუქმებთ ხემაღლის სკოლას? უსამართლობა! ეკატერინე ხიდაშელი თვითონვე დაანებებს სკოლას თავს, ნუ გერიდებათ გეთაყვა, იხინებეთ მისი განცხადება, აიღეთ და წააწერეთ ჩვეულებრივი რეზოლუცია... ცოტა ხელი კი აუქანაქალდა ეკატერინეს ამ განცხადების წერისას, გულიც მომეტებულად უცემდა, ცრემლმაც გამოჟონა თვალში, მაგრამ ეს არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამას, განცხადება ხომ თვითონ დაწერა? დიახაც რომ თვითონ დაწერა განცხადება, თქვენ დააკმაყოფილეთ მისი პირადი თხოვნა, მორჩა და ვათავდა. სკოლა კი დარჩეს. თქვენ რომ ფიქრობთ, ხემაღლის სკოლაში არავინ მოისურვებს მუშაობასო, სიცრუეა! ქალბატონი ეკატერინე თითონ იპოვის მასწავლებელს, ოღონდ თქვენ დანიშნეთ, იმ ახალგაზრდა მასწავლებელს ეკატერინე შეეშველება და გული საგულეს ექნება, თორემ ახლა გული დაკარგული აქვს ეკატერინეს: სკოლის დახურვის ბრძანება რომ უბოძეს ეკატერინეს, წამიერად სინათლე გაუქრა თვალში და გული დაუმძიმდა, მერე გული საგულედან ამოვიდა, სხვა ადგილი მოძებნა ეკატერინეს გულმა და ღღემდე ვერ უპოვნია; ხელით ვერ უპოვნია, გაუყუჩდებოდა, დააყურადებს და გულის ხმა არ ესმის, და ამ სიტყვაში არ ცხელა ეკა-

ტერინეს, ხილული ვერ შეუგვრძნია, გაოგნებულა, მონუსხულა და დაპატარავებულა: ცალკეა ქვეყანა და ეკატერინე ცალკე, და ბინდბუნდად ხედავს — ხემაღლის სკოლაც ცალკე გამდგარა, კიშკარი გადაურაზავს, კარ-ფანჯარა ჩაუკეტია, ზარი ჩამოუხსნია და დუმილი დაუმკვიდრებია ირგვლივ.

და უგულოდ დადის ხერგას ქუჩებში ეკატერინე, ვერც ვერავის ხედავს და არც არავისი ესმის. თბილისიდან ხერგამდეც ასე გამოვლო გზა. მგზავრები ბაასობდნენ და ოხუნჯობდნენ, მერე ყველანი მილაგ-მოლაგდნენ, დაწვნენ და დაიძინეს, მარტო ეკატერინე ეჭდა ღამეს დარაჯად, დაკარგულ გულს ეძებდა, ძებნაში შემოათენდა და ვერადავერ იპოვნა, დაკარგული გული...

...ქუჩა გადაქრა და ბაზარში შევიდა. ხალხს შეერია ეკატერინე, ვიღაცას ეჯახება და ვიღაც ეჯახება. თუ გამოეცნაურება ვინმე, თორემ ვერაფერს ხედავს, არა, ხედვით — კი ხედავს, ოღონდ ვერა ცნობს.

მეშვენილეთა დახლს ჩაუარა, არავინ გასცა ხმა. არც მწვენის, ყველის და კვერცხის გამყიდველებმა გასცეს ხმა.

მერე გოჭების ჰყვირილს გაენაპირა და როცა „მღვინეთა უბანს“ მიუახლოვდა, ნაცნობმა ხმამ დაიძახა „ეკა!“ გულასპირის ხმა იყო.

და ნაცნობმა ხმამ უცებ აპოენინა ეკატერინეს გული, თვალშიც უმაღ გამოახედა და ბაზრის ფერებიც ხილული გახდა: დაცვარული წიწმატი, წითელი და თეთრი ბოლოკი, სოტოლია, გრძელი, ხარის რქასავით წაწერილებული კიტრი, მუხიანის ჩაყვითლებული ნესვი, ვაშლი და მსხალი, საადრიო თეთრი ლეღვი... ყველაფერი დაინახა ეკატერინემ, დაინახა და გული გაუხალისდა, ღიმილი შეაგება გულასპირ ჩაფიჩაძის ღიმილს, მზრებზე ხელი მოუთათუნა, თვალის ჩაუქრა — უჩემოდ ხომ არ მოიწყინეთ ხემაღლის ჰაბუკებმაო.

ჯანსუღ ჩაკვიანი

## და მიგალობენ...

წიგნიდან „მონატრება“

და მიგალობენ შენი რტოები,  
დღად სიმღერებს ცისფერ სავანის,  
უნდა გავეჭვე სიკვდილს დროებით,  
მოგირბენინო ჩრდილქვეშ წამალი.

უნდა გავეჭვე უცნობს და ნაცნობს,  
შენს კურთხეულ ხმებს უნდა გავეჭვე,  
და თუ შემემთხვა ბრძოლაში მარცხი,  
თუ ჭარაფები ვერ გადავრცხე...

თუ შენი შველაც დამრჩა ქადილად,  
თუ განვიძარცვე და დავილაღე,  
ნუ იტყვი: „მოკვდა ასე ადვილად“,  
რადგან არ არის დაღლა სიმხდაღე.

არც ქებულობა, არც ქედმაღლობა  
არ დამაბრალო, შენ გენაცვალე,  
ო, ეს არ გახლავს კაცის დამხობა.  
ჩემი სიცოცხლე შენზე გავცვალე.

## უბრეხა

შენი ედემი დამალოცვინე,  
დამალოცვინე შენი ედემი,  
შენს სიყვარულში არ შეავს მოცილე,  
შენ გენაცვალე,  
შენ გვეედრები.

ჩემს ლზინს გამყარე,  
ჩემს ჭირს გამყარე,  
მტერმა იცოცხლოს ამ ნასუფრალით,  
შენი ძმადი ვარ,  
შენი მამყარი,  
შენი ჭირის და ლზინის უფალი .

ბედთან მორკინალს,  
მტერთან მორკინალს,  
მომეც ძალა და მომეც იმედი.  
მომეცი ხმალი,  
ამხსენ ბორკილი,  
სიყვარულამდე მე ხმლით მოვედი.

სიყვარულამდე მე ხმლით მოვედი,  
ვინც ვერ გაუძლო, იგი მკვდარია,  
ჩემი სიცოცხლე,  
ასე მცირედი —  
შენს სამსხვერპლოზე მიმიტანია.



• • •

ვინა ხარ ასე  
ულგთოდ შექმნილი,  
შეუღწევი და  
შეუღარები,...  
გემუდარები  
მუხლმოდრგვილი,  
ხელაპყრობილი  
გემუდარები.

სხვას ნუ წამართმევ,  
რაც დამრჩენია:  
ტიტანურ ტივილს  
და ხნოვანებას,  
რადგან შენია,  
რადგან შენია,  
ჩემი სუყველა  
აღფრთოვანება

• • •

ახლა შენი მზე გაუხედნავი  
მზედარს ელის და ველზე ჭიხვინებს.  
ვაი სირცხვილო,  
არ სჩანს მზედარი,  
დღე ხვალინდელი ვერდა ვიხილო.

და მწყერისფერი ყანა ღაღანით —  
ღამაშ ყვავილებს ნათლავს მინდვრებზე.

ვაი სირცხვილო, მთანი მალაღნი  
გატრუნულან და თვალს გვარიდებენ,

შენ გისამოთხებ ქვეყნის ბაღნარებს,  
ცას დაგპირდები,  
ზღვას დაგპირდები.  
და თუ ამ მზის ქვეშ ლოცვით დამლაღე,  
აქ დავდგამ კარავს და დავმგვიდრდები.

## გეგრიისა გზაო...

წარწერა თ. ჩხენკელის წიგნზე „ტრაგიკული  
ნიღბები“.

მზისთვალს და ღვთის საბრძენო —  
თავად იცი რა კაცი ვარ...  
გამიშუქე, მკვდრისა მზეო,  
ღირსეულად გარდავცვლილვარ.

წაწყმედილს და ცის ანგელოზს,  
სანამ ეშმა აგვირვესო,  
გამიშუქე, მკვდრისა მზეო,  
ღმერთი გიზღავს მაგიერსო.

გამიშუქე, გამინათე,  
ნდობითა და მოთმინებით,  
არასოდეს არ ვინატრებ  
ფერს საწუთრო მოტივების.

მომეც შუქი მისამართად —  
შენი სვედის გზას გავდიე...  
დაუღლეელი მზისა მადღმა —  
„უშულადუ ბეაშ მარდიმე“.

არასოდეს არ ვინატრებ —  
დიდებას და ვაზის რტოსა,  
ჩემ საკერძო გამინათე,  
რომ შესკნელმა ამხილოსა.

ასე კრეფად მოწვენილო,  
დაღლილო და მკვდრისა მზეო,  
ნუ დამაგდებ მოცელილი,  
„მათხორისა“ მიწაზეო.



## თქვენა ხართ სამნი



თქვენა ხართ სამნი,  
 თქვენა ხართ სამნი,  
 და მე დაგნებდით,  
 რადგან ხართ სამნი...  
 აღქმულ სოფელში  
 წერილებს ვგზავნი —  
 გულთამბილაკი  
 და ჟამთა მგზავრი.

თქვენა ხართ სამნი,  
 თქვენა ხართ სამნი —  
 — შენ ხარ ჰაერი,  
 შენა ხარ წყალი,  
 შენ — დედამიწა —

სიმშვიდის სახლი,  
 დანარჩენები,  
 სხვანი და სხვანი —  
 უკან მისდევენ  
 სიცოცხლის სახნისს.

თქვენა ხართ სამნი,  
 თქვენა ხართ სამნი,  
 დაგნებდით,  
 მაინც აქეთ მომხედეთ,  
 უნდა ილოცოთ,  
 (თუნდ ერთი წამით)  
 უზენაესზე და შემოქმედზე.

## საშბანი

ასე ყველაფრის განსრულება  
 და განსძეება,  
 არ შეიძლება, თვითონ განსაჯე...  
 — არც განჩინება,  
 — არც დაჯერება,  
 მაშ ვინ გააჩენს კაცის გასაჩენს.

სჯობს განერიდო გალაღებას,  
 გულის განდობას,  
 შეხედე? —  
 მზისკენ განემზადა  
 შენი ფარდობა.

შეხედე? —  
 მთვარე შეაძრწუნეს,  
 ღმერთის ოლარი,  
 შენ ვინ დაგაგდებს ოხრამუშად,  
 ასე მწოლარედ.

მე თუ ვკადაგებ,  
 მე თუ ვშიშობ —  
 ბევრი ვითრთოლე...  
 შუა ზაფხულში  
 გამიადრეს და გამითოვლეს.

მაგრამ შევედევქ ორთავე მხარით  
 დვირეს მამულის,  
 ღონე კი არა,  
 ჩამაგრება  
 ტრფობა ფარული.

ანლაც ასეა,  
 მხრებზე მაწვეს ძელი საძირკვლის  
 და ირმებს მიჰყავთ საქართველო —  
 ოქროს მანჯიკით.



## ა მ რ კ ა ლ ი

### ლომუხი თიხიდან

პლუტარქმა აღნიშნა, როცა პომპეუსი გაქცეულ შითრიდატეს მისდევდა, მას კავკასიის მთებში ამორძალებიც ეწინააღმდეგებოდნენო... რომ ძველი ამორძალების კვალი ამ ქვეყანაში დღესაც დარჩენილა, თუმცა არა პირვანდელი სახით, ეს ცხადი და უდავო-ლია... როცა კოლხიდაში ვიყავი, მთავარს ამბავი მოუვიდა, რომ ერთი რომელიღაც ხალხი სამ ნაწილად გაიყო. უფრო დიდი ნაწილი თავს დაესხა მოსკოვის სახელმწიფოს, დანარჩენი ორი ნაწილი კავკასიისაკენ წამოვიდა სვანებისა და ყარაჩაელების დასარბევადო. ხოლო ყველა ამ ადგილებიდან უკუ-აედეს და შრავალიც მოკლესო. როცა იქაურებმა მკვდრებს ტანსაცმელი გახადეს, მათ შორის შრავალი ქალი ნახესო.

არქანჯელო ლამბერტი

1

ერთხელ ამორძალთა და მამაკაცთა ურდო მოულოდნელად თავს დაესხა ყალმუხეთს, იქ ქვა-ქვაზე არ დატოვა, მერე სამად გაიყო, უფრო დიდი ნაწილი მოსკოვის სახელმწიფოს დასალაშქრად გაეშურა, მეორე სვანეთისა და მესამე — ყარაჩაის.

ეს ამორძალები თიოროპატები ანუ კაცისმკვლელები არ იყვნენ, როგორც ძველმა ბერძენებმა შეარქვეს და თიოროპატები კაცისმკვლელს ნიშნავდა. არც ჰარმონიისა და არეიის ძეთა ნაშვირები იყვნენ. თიოროპატებს მხოლოდ იმით ჰგავდნენ, რომ მარჯვენა ძუძუ მოშანთული ჰქონდათ, რათა შუბის კვრა, ისრის ტყორცნა და

ხმლის ხმარება არ დაეშალა. ამორძალი ძუძუმოშანთულს ნიშნავდა.

ურდოში ქალსა და კაცს ერთი მეუფე ჰყავდა. ერთნაირად მორჩილებდნენ და შიში ჰქონდათ მისი. ურდოს კარგი ცხენისა და კარგი აბჯარ-აბგარის გარდა არაფერი გააჩნდა. მხოლოდ იმისათვის, ილწვოდნენ და იბრძოდნენ, აული შერჩენოდათ, იმიტომ იპყრობდნენ სხვა ერს, იკლებდნენ, ძარცვავდნენ. სხვის ღლეტაში იბადებოდნენ და სხვის ღლეტაში იღუპებოდნენ. ასე გრძელდებოდა ჟამიდან ჟამამდე და ვერსად იკიდებდნენ ფეხს.

მათ კვალს ადგა მათი მოდგმა. ისინიც სხვის ღლეტაში იბადებოდნენ და

ახვის ღლეტაში იღუპებოდნენ, მცირედებოდნენ, უქლურდებოდნენ. ვადიოდა ქამი და კვლავ მრავლდებოდნენ, ძლიერდებოდნენ. ასე დიოდა მათი ცხოვრება. არ ჰქონდათ დაფიქრების და გააზრების დრო, რომ სხვა კვალს, სხვა ზნეს, სხვა ცხოვრებას დადგომოდნენ. არ იშურებდნენ სიცოცხლეს და სიკვდილისაც არ ეშინოდათ. ამიტომ იბრძოდნენ უშიშრად, არ ინდობდნენ არც ერთ ტომს, არც ერთ რჯულს, არც ერთ ერს.

ოდესღაც ამორძალები ხნავდნენ და თესავდნენ, ცხოვრობდნენ სახლებში, ჰქონდათ სოფლები და ქალაქები, მაგრამ მას შემდეგ, თრაკიელებმა რომ დაარბიეს, დედამიწის სხვადასხვა მხარეს გადაიხვეწნენ. ერთი ნაწილი კავკასიაში შემოვიდა, აქ მამაკაცთა მომთაბარე ტომს შეუერთდა. დაფიქვა არ შეეძინათ სახლი, ეცხოვრათ უჩვეულებზე და ცხენებზე, ექამათ ხორცი, ესმიათ: ზავშეებისათვის რძე, ისეთი საკმელო ჰქონდათ, რომლის გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში არ გაუჭირდებოდათ. ბინადარი ცხოვრებიდან მსხემურ ცხოვრებაზე გადასულიყვნენ.

ურდოში არეული იყო სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა ტომის, სხვადასხვა ზნის, ქცევის, გუნებისა და ბუნების, სხვადასხვა შენაყადი და შენაერთი. ამიტომ არ ერქვა ერთი სახელი, არ წამდა ერთი ღმერთი, გარდა თავისი მეუღლისა. არ ერიდებოდნენ არავის და არაფერს, არ მოარჩილებდნენ არც მიწის და არც ზეცის გამგებელს.

მეუფე ტანად მორჩილი იყო, სულით ძლიერი. თვით არ იბრძოდა, არ ედო ხელი ხმლის ვადაზე, არ ეცვა ბექთარი. ერთგულთან გულთბილი იყო, ორგულთან გულშავი. მოლაღატე, ქვესკნელში რომ ჩასულიყო, ამოიყვანდა, ზესკნელში რომ ასულიყო, ჩამოიყვანდა. ცოცხლად გაატყავებდა და ზეზე დაკიდებდა.

ურდოში არც კაცმა იცოდა, რა იყო ღალატი და არც ქალმა ყველას ერთი პირი ჰქონდა. მხარს უწერდნენ ერთმანეთს, კვალში ედგნენ ერთმანეთს.

სვანებმა მტრის განზრახვა აღრე შეიტყვეს. გაგონილი ჰქონდათ, რე სწორუბოვარი მეომრები მიყვანენ სამორძალებში. სვანეთის მთავარმა ვაჩე დადემქელიანმა ფიქრა, მტერს ჩემი მცირე ლაშქრით ვერ გაუუმკლავდებო. ოდიშის მთავარს დადიანს, აფხაზეთის მთავარს შარაშიას და რაქის ერისთავს დახმარება სთხოვა. მათ ფიცხლად შეერიბეს ლაშქარი და ექვსი ათასი ქართველი მხედარი სხვადასხვა მხრიდან სვანეთისაკენ გაეშურა.

დადიანმაც იცოდა ამორძალთა სიმამაცის, მათი ეელური დაუნდობლობისა და შეუპოვრობის ამბავი. ანდაზა ამბობს — ორჯ ერთზე ლაშქარიანო. ერთ სვანზე ათი მომხდური მოდიოდა, ესეც იცოდა დადიანმა. თან უნდოდა ენახა, დედაკაცი მამაკაცს, როგორ შეებრძოლებოდა. ას ოქროს პირდებოდა, ვინც თუნდ ერთ ამორძალს მიბგვიოდა.

ოდიშელთა ლაშქარმა მაშინვე გაიგო მთავრის წადილი. ცალკე თავის გამოჩენის, ცალკე ასი ოქროს მიღების წყურვილმა ფრთა შეასხა მეომრებს. არც ოდიშელთა, არც აფხაზთა და რაქველთა ლაშქარი სვანეთში არ შესულა, რომ მტრის მსტოვრებს არ დაეზვერათ. დღისით ისვენებდნენ, ღამით გზას ადგნენ.

სვანეთიდან მოშორებით მტერს სამ მხარეს ჩაუსაფრდნენ და საომრად გაემზადნენ. ვაჩე დადემქელიანს მარტო სარდლები ეახლნენ, სვანურად გადაცმულები, უაბჯროდ, უცხენოდ და უმზლებლოდ.

მთავარმა და სარდლებმა სწრაფად შეადგინეს საომარი გეგმა. შეთანხმდნენ, ვის როგორ ემოქმედა. ოთხივე ლაშქარს ყველა საპირო ცნობა ჰქონდა მიღებული მტრის სიმრავლეზე, საქურველზე და სარჩოზე.

ურდო ქარიშხალივით მიჰქროდა სვანეთისაკენ, არ ერიდებოდა კლდესა და ღრეს, წყალსა და ტყეს. გზად სოფლებს, ყანებს, ბაღებსა და ვენახებს კალიასავით აცხრებოდა და პირწმინდად ხვეტდა მიწის პირიდან.

ოდიშელთა მხედრონი სვანეთის მი-

სადგომებთან ხელმარჯენი, მდინარეში იყო შენიღბული. მდინარის თოვლიან და ყინულიან მთებში მოქცეულ, ირგვლივ შორს გაშლილ ტაფობს ერთკმოდ საში მხრიდან. მტერი მეოთხე მხრიდან ხეობიდან ტაფობში უნდა შემოსულიყო.

გამოჩნდებოდა თუ არა ურდოს მოწინავე რიგები, ოდიშელები პირველნი დაეშვებოდნენ მდინარიდან ყუიინ-ყუიირილით, დგრიალითა და ზათქით, ბუკნალარის ყუიირილით, შემდეგ მარცხენა მხრიდან აფხაზები დაატყდებოდნენ წივილ-კივილით, მერე რაჰველები დააცხრებოდნენ იერიჰონის საყვირებივით მაღალი ღრიალ-ზრიალით, და ბოლოს — სვანები ჯრგვინვა-ქუხილით.

ოდიშელები არ იცნობდნენ მტერს. ცოტა ჰქონდათ გაგონილი, როგორ იბრძოდნენ ამორძალები, რა ხერხი და ფანდი იცოდნენ. არ სჯეროდათ რომ დიაცს კაცთან შებრძოლება, თავის გატოლება შეეძლო. მხოლოდ ის ჰქონდათ გაგონილი, ოდიშელებივით ისინიც ბრძოლას ერთი შეტაკებით ამთავრებენო.

ურდოს თავბრუდამხვევი სარბოლით ავარდნილი ცხელი, შავი მტვრიანი ქარი ტაფობზე შეიჭრა. ოდიშელები ამხედრებულნი იყვნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ ეხმარათ ამჯარი — მოექნიათ ხმალი, ეტაკებივით შუბი, დაეკრათ გურზი, ეტყორცნათ ისარი, თუ დაეძვრებინათ ცხენი. ბრძოლის დაწყების, მტრის გამოჩენის მოლოდინში ცხენებიც მხედრებივით დაყურადებული იყვნენ, არ ფრუტუნებდნენ, არ ჭიხვინებდნენ, მიწას არ ტორავდნენ, ისინიც მტერს ელოდნენ, თითქოს ტყეც მტერს ელოდა, ტყეც დაყურადებული იყო, კლდეც დაყურადებული იყო.

მხოლოდ გიორგი ზარქუა არ იყო დაყურადებული, არ ფიქრობდა მტერზე, ბრძოლაზე. თვალწინ ციკა ედგა. ციკაზე ფიქრობდა, ციკას ხმა ესმოდა.

— სხვის ომში მიდიხარ, გიორგი.

— მეგობრის ომში მივდივარ, ციკა.

სალამო იყო. ალისფრად შეიღება ცისკიდური. მდინარის პირეს ედგნენ. მდინარე სოფელს შუაზე წყითდდა. ხეების კენწეროების კრიალა ფოთლებსაც ალისფერი დაკრავდა. სოფელში მოახლოვებული მწუხრის სიმყუდროვე ეშვებოდა.

— მაინც სხვისი ომია, გიორგი. — უთხრა ციკამ.

გიორგის ხელი ციკას წელზე ედო.

— ძმების ომია, ციკა.

— სხვისთვის წირავ თავს, გიორგი.

— ძმებისთვის ვწირავ თავს, ციკა.

შეკაზმული ცხენი შორიახლო იდგა.

— სხვისთვის წირავ თავს, გიორგი!

— უთხრა ისევ ციკამ.

— ძმებისთვის ვწირავ თავს, — უთხრა ისევ გიორგიმ.

ცხენი თავაწეული იდგა და ყურებდაცქვეტილი უსმენდა გიორგისა და ციკას. ცხენსაც ალისფერი ეცემოდა სახეზე და თვალებზე.

— ქორწილისათვის ემზადებოდი, გიორგი და მტოვებ!

— ცოტა ხნით გტოვებ, ციკა. — გიორგიმ მეორე ხელიც შემოსდო წელზე.

ციკას ტანი მდინარის გრილშიც თბილი იყო.

მწუხრი სწრაფად იკიდებდა ფეხს. გამუქდა ცისკიდური.

— გადადებული ქორწილი არ ვარგა, გიორგი. — უთხრა ციკამ.

— ვიცი, ციკა, გადადებული არაფერი არ ვარგა.

— ერთი დღით გადადებული საქმე, ერთი წლით გადადებულია, გიორგი.

— მართალია, მაგრამ რა ექნა, ძმების ბედს ვერ ვუღალატებ.

— ჰო, ვერ უღალატებ, გიორგი, ძმების ბედს, — უთხრა ციკამ.

— მთავარი თურმე ას ოქროს პირდება, ვინც ამორძალს მიგვრის.

— ოქროში მცვლი, გიორგი? — გაუცინა ციკამ.

— ასი ოქრო შენთვის მინდა, ციკა, თუ ბედმა გამილიმა.

— მე ოქრო არ მინდა, გიორგი. ჩვენ ბედმა უკვე გაგვილიმა.

— ის ასი ოქრო ჩვენს შვილებს წაადგება, ციცა, — უთხრა გიორგიმ და ქალის თბილი ტანი მკერდზე მიიკრა.

„ნეტა გიორგის დაემსგავსონ ჩვენი შვილები“.

მზე სწრაფად იწეოდა მალა. უშბის, შხელის, თეთნულდისა და შხარას თოვლიდან და ყინულიდან აკრილ სხივები იმ მხარეს ეცემოდა, საიდანაც მტერი ტაფობზე უნდა შექრილიყო. მზე მტერს თვალს მოკრიდა. ერთი პატარა ლაშქრის საქმეს მზეც გააკეთებდა. ამაზე არ ფიქრობდა ახლა გიორგი, მაგრამ მზე ერთი პატარა ლაშქრის საქმეს მაინც გააკეთებდა.

— შვილებს ჩვენი შრომა ეყოფათ, გიორგი.

ესმოდა ციკას ხმა.

— ვერც ჩვენს ლაშქარს ვუღალატებ. გობეჩიას გუნდი ჭვარის ხიდთან მივდის, ციცა.

— არ დაგაგვიანდეს, გიორგი, — შეშინდა ციცა.

— არ დამაგვიანდება, ციცა.

— მე რომ მღალატობ, გიორგი, — გაულიმა ციცამ.

— შენს მღალატეს, ღმერთმა უღალატოს, ქვეყანამ უღალატოს, ციცა.

— ჩვენ ბედმა უკვე გაგვილიმა, — უთხრა ისევ ციცამ. — სიყვარულზე დიდი ბედნიერება, ვინა თქვა, გიორგი!

— სიყვარულზე დიდი ბედნიერება მართლა არ თქმულა, ციცა.

— არ დაგაგვიანდეს, გიორგი.

— არ დამაგვიანდება, ციცა.

— შენს ლაშქარს ვერ უღალატებ, გიორგი.

— ვერ ვუღალატებ ჩემს ლაშქარს, ციცა.

გიორგიმ თავი გადაუწია. მთვარე იხედებოდა ციკას თვალებში, ციცა სულში. სიყვარული იხედებოდა ციკას თვალებიდან, ბედნიერება იდგა ციკას სულში.

ცხენი თვალანთებული უყურებდა გიორგისა და ციკას.

ქალი მალალი იყო, ტანსაცემს გიორგის გულადმა ეკავა მისე ტანზე უფროც მკლავები მოხვია ღონებურ, მალადაკისერზე. მთვარე იხედებოდა ციკას თვალებში, სიყვარული შესცქეროდა გიორგის ციკას თვალებიდან, ბედნიერება შესცქეროდა გიორგის ციკას თვალეზიდან. ტოვებს გიორგი ამ თვალებს. იქ, სვანეთში ასე თვალი ელოდება, ათასი, ათი ათასი, ქალი და ბავშვი, დიდი და პატარა, სვანეთის ლაშქარიც ელოდება, აფხაზეთის ლაშქარიც, რაჭის ლაშქარიც. ვერ უღალატებს გიორგი მათ.

ხეობაში შორს გაისმა ურდოს მოახლოების ხმა. შეემატა ფლოქვების თქრიალი, ცხენების ჰიხინი, ქალისა და კაცის კვილ-ყიენი. თითქოს ამ ველურმა ხმებმა გასწიეს ხეობა, ვერ დაიტიეს მალაღმა, საღმა კლდეების კედლებმა და უკან დაიხიეს, უფრო ხმამალა გაისმა ფლოქვების თქრიალი, ცხენების ჰიხინი, ქალისა და კაცის კვილ-ყიენი, ხეობამ უფრო ფართოდ დააღო პირი და ურდო ტაფობზე გაიჭრა.

გაბრწყინდა თოვლიდან და ყინულიდან ატყორცნილ სხივებზე მტრის აბჯარ-აბჯარი, გაბრწყინდა ცხენთა თავები, სამკერდეები, რახტ-უზანგები, გაბრწყინდა ცხენთა გაქაფული სხვადასხვა ფერის ბეწვი. გაბრწყინდა ჩაჩქნები, გაბრწყინდა სატევრები და ხმლები, შუბები და გურბები. სხვადასხვა ფერად ბრწყინავდა და ელავდა სხვადასხვა აბჯარი, ცხენი და მხედარი.

თვალი მოსჭრა მზემ მხედრებსა და ცხენებს. ბრმად მოჰქროდა ტაფობზე განიჭრად გაშლილი ურდო.

ჩაილიმა გიორგიმ, — „ნახემდის, ციცა! — აილო ციკას მკლავები კისრიდან და ძირს დაუშვა. — გამარჯვებული დაბრუნდი, გიორგი!.. მალე დაბრუნდი, გიორგი!..“ — გიორგიმ ქუსლი ჰკრა ცხენს და მოწყვიტა მიწას.

დაეშვა ტაფობისაკენ ოდიშელთა ლაშქარი.

დაეშენენ ორ მხრიდან აფხაზები და

რაქველები, ჩაკეტეს ხეობა სვანებმა. ყოველ მხრიდან ეკვეთა მტერს ქართველთა ლაშქარი. თითქოს მთები ჩამოიქცაო, თან ჩამოიტანეს ტყე, მიწა, ღორღი. მტრის კვილი-ყიენის, ჭიხვიინსა და თქარუნს შეერთო ქართველთა ლაშქრის ზარი, ზათქი და ზანზარი.

„მალე დავბრუნდები, ციცა... შენ მიცდი და ამიტომ მალე დავბრუნდები, — ფიქრობდა გიორგი. მტრის ლაშქრის შუაგულში ტრიალებდა. ჩეხდა, ცემდა, კვეთდა, ტყორცინდა ისარს, მარჯვედ ხმარობდა შუბს და თვალწინ ედგა ციცა. — მალე დავბრუნდები, ციცა... შენ მიცდი და ამიტომ მალე დავბრუნდები... — ფიქრობდა გიორგი და თვალწინ ედგა ციცა. ამ ბრძოლის ველზე, ამ ჯოჯოხეთში, ზოცვა-ელეტაში, ყიენიში, ყვირილში, ჭიხვიინში, თქარუნში, სისხლსა და ოფლში, თვალწინ ედგა ციცა...

და აი, აღარ ედგა ციცა თვალწინ, აღარ ესმოდა ყიენი, ყვირილი, კენესა, ჭიხვიინი, თქარუნი. ყურები დახშული ჰქონდა, ტანი მძიმე, გახევებული, ძარღვებში სისხლი დამდგარი, მაგრამ ფიქრი მაინც შეეძლო — ბუნდოვანი, აბნეული, უთავბოლო ფიქრი. ახსოვდა, როგორ შეთხელდა მტერი, როგორ ეძებდა ამორბალს, ეძებდა და ვერ პოულობდა. ჩაჩქანი ფარავდა მტრის სახეებს, არ ესმოდა ფოლადის რეკვაში, ჭიხვიინში, თქარუნში ქალის შეკივლება, ქალის კენესა, ვერ არჩევდა, ქალისა და მამაკაცის ხმას ბრძოლის ხმაურში. ქალი და კაცი, ყველა ერთნაირად იყო აღჭურვილი და მხოლოდ ხმით შეეძლო ეცნო, რომელი იყო ამორბალი, რომელი იყო მამაკაცი.

ახსოვდა, რომ მტერი მარცხდებოდა, იმ ხეობისაკენ იხევდა, საიდანაც მოიქრა. ახსოვდა, რომ მტერს მისდევდა, ეძებდა ამორბალს, უნდოდა ცოცხლად შეეპყრო. ასი ოქრო უტრიალებდა თავში და ეძებდა ამორბალს. ისიც ახსოვდა, რომ მტერმა გურზი დაჰკრა თავში და ცხენიდან გადაუვარდა. მერე აღარაფერი ახსოვდა, არ ახსოვდა მართლა

დამარცხდა თუ არა მტერი, გაქცა თუ არა მტერი. გრძნობდა, რომ მიწაზე იწვა დაჭრილებს შორის, მკვდრებს შორის, თავისიანებსა და მტრებს შორის. მხოლოდ გრძნობდა და ვერ ხედავდა.

მზე ტაფობს დაადგა. ბრძოლა დამთავრებული იყო. ტაფობი დაჭრილი და მოკლული დამხდურისა და მომხდურის შემოშრებით იყო მოფენილი, დაჭრილი და მოკლული ცხენებით იყო მოფენილი. ტაფობი ცოტა ხნის წინ საშინელი ბრძოლის ზათქით რომ აზანზარებდა გარშემორტყმულ მთებს, ახლა მკვდარ სიჩუმეში, უფრო საშინელი და საზარი იყო. სიჩუმეს დაჭრილ მეომართა კენესა-გოდება, დაჭრილ ცხენთა ხვნეშა არღვევდა

ქუთუთოები შეკრული ჰქონდა, წამწამები — ერთმანეთზე შეწყებებული. თავი ტყიოდა. რა მაგრად დაჰკრა თავში. ტყვიელმა თავით ფეხამდე დაუარა და გრძნობა დაჰკარგა. ახლა მარტო თავი ტყიოდა, ფეხებს არ გრძნობდა. წელს ქვევით სისხლი კი არა, თითქოს ტყვია ესხა ძარღვებში. გონება თანდათან უბრუნდებოდა. მცხუნვარე მზე სახეზე აჰერდა, შიშველ თავზე აჰერდა, შუბლიდან დადენილი ოფლი თვალელებში ჩასდიოდა და წვავდა, თაკარა სხივებიც თვალელებში ჩასდიოდა და ქუთუთოებს ვერ ახელდა.

დიღხანს იწვა თვალდახუჭული. მერე ტყვიის მაგივრად სისხლი ჩაუდგა ძარღვებში, იგრძნო ფეხები, იგრძნო ქვედატანი, დაუბრუნდა სმენა, გაიგონა კანტი-კუნტი ჭიხვიინი, გაიგონა დაჭრილი ცხენების ხვნეშაც. დამსკდარ, გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა, ხაოიანი, გახურებული ენა. ძლივს ასწია მკლავი რომ თვალელებზე დაეფარა, მაგრამ ვერ შეიკავა, გვერდზე გადაუვარდა და მაგრად დაეცა გამხმარ, გაქვავებულ მიწას. ასე ეგონა მას, თითქოს გამხმარ. გაქვავებულ მიწას დაეცაო. მაშინვე გაიგონა კენესა, ნელი, მძიმე კენესა.

ხელი ვილაცას მზით გახურებულ ჯაჭვის პერანგს დაეცა. მაშინვე გაახსენდა, მტერს რომ შუბი აჰგერა, გა-

ახსენდა რომ მხედარი ცხენიდან გადაეარდა. ის მხედარი იწვა მის გვერდით, იმას ეცვა მზით გახურებული ჭაჭვის პერანგი, ის კვნესოდა ყრულ, დახშულად. ხელი მოუფათურა ჭაჭვის პერანგს. ზგვით-ჭვევით ადი-ჩადიოდა დაქრილის მკერდი. ყრულ, დახშულად კვნესოდა. გიორგიმ ყურადღება დაძაბა. მამაკაცის კვნესას არ ჰგავდა. გიორგი მიხვდა, რომ მტერი მკერდში იყო დაჭრილი. ამიტომ კვნესოდა ყრულ, დახშულად. კვნესით მიხვდა, სადი იყო დაჭრილი მტერი. ის კი ვერ გამოიციო, ქალი იყო, თუ კაცი.

თავის ტკივილი ცოტა ხნით შეუწყლდა, მაგრამ პირი შხამივით მწარე ჰქონდა, აზიდებდა. კვლავ მოისვა ტუჩებზე ენა. წყურვილი ახრჩობდა. მათარით წყალი ქამარზე ეყიდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა, მოეხსნა მათარა. მთელი მისი ყურადღება დაჭრილისაკენ იყო მიქცეული და ამიტომ არ ცდილა მათარის მოხსნას. ვერაფრით ვერ გამოიციო, ქალი იყო, თუ კაცი. იქნებ ამორძალი! გაუღელვა ფიჭრმა. კვლავ მოუფათურა ხელი და უცებ მის მესსიერებამი ნათლად აღსდგა, როგორ აძგერა შუბი, მაგრამ მტერმა მაინც მოასწრო გურზის დაკერა და ცხენიდან მერე გადაეარდა. მათი ცხენები ერთმანეთს შეასკდნენ და მაშინ ერთდროულად გადავარდნენ ცხენებიდან.

ისევ გაიგონა კვნესა. ისევ ყრუ, დახშული. შეწყებებულ წამწამებს ძალა დაატანა, ძლივს გაახილა თვალი და წამწამებიდან ცაში მოტრიალუ ყვავ-ყორნები დაინახა ბუნდოვნად, მკრთალად, როგორც მოჩვენება. მაშინვე სისხლის მწკლარტე სუნი ეცა, მზეზე გახურებული სისხლის. გაიგონა ყვავ-ყორნების ჩხავილი, ისიც ბუნდოვნად, მკრთალად, როგორც მოჩვენება.

ახლოს დაეშვა ერთერთი ყორანი და მოკლულ მხედარს დააფრინდა. გიორგიმ არ იცოდა, ვის დააფრინდა, მტერს, თუ თავის ლაშქრის მხედარს.

გიორგიმ სახე იქით მიაბრუნა და დაინახა, როგორ ჩაკორტნა ყორანი-

მა გვამი. ყორანი სახეს უკორტნიდა მოკლულს. გიორგი შეზარა ამ სურათში. გვამის გვერდით ცხენი ეკლდა. „რატომ ცხენს არ ცეცხლაეს! — გაიფიქრა ჯავრით და თვალი დახუჭა. — რატომ ცხენის ლეშს არა ქამსა — სახეზე ოფლი ასკდებოდა და საყელოში ჩასდიოდა. უკვირდა, ოფლი ცივი იყო. სიცხისაგან ტვინი უღულდა, ტანზე ცეცხლი ეკიდა და ოფლი კი ცივი იყო. — უნდა ავდგე... შუბი ვაძგერე მკერდში, მაინც მოასწრო გურზი დაეკრა... კაცია, ქალი ვერ დამკრავდა ასე ღონიერად... მეგონა თავი გამიხეთქა ამ ურჯულში...“

თავი ტანზე უფრო მძიმე ჰქონდა. წამოჯდომა უნდოდა, უნდოდა თავისი თვალით დაენახა, ვინ გაიმარჯვა, ვინ დამარცხდა, მაგრამ წელი ვერ ასწია.

ტაფობზე ყვავ-ყორნების ჩხავილი ისმოდა. ცაში მოტრიალუ ყვავ-ყორნების ჩრდილებით აჭრელებული იყო ტაფობი. იმდენი ჩრდილი ეცემოდა მეომართა გვამებსა და დაჭრილებს, ცხენებსა და მიწას, რამდენი ყვავ-ყორანი ტრიალებდა ტაფობის თავზე ჩრდილი გიორგისაც ეცემოდა, იმ მხედარსაც, გურზი რომ დაჰკრა თავში, შავი ჩრდილები მოძრაობდა, მოძრაობდა ისე, როგორც ყვავ-ყორნები ტაფობის თავზე.

მოიკრიბა ის მცირე ძალა, სული რომ შეურჩინა და იმ მხარეს მიიხედა. ის დაჭრილი მხედარი რომ იწვა. მისი ხელი გიორგის მხართან ახლოს იდო, იქვე იდო გურზი. გურზი არც ისე დიდი იყო. არც ხელი იყო დიდი.

იმ მხარესაც დააფრინდა ყორანი მოკლულს. არ იცოდა გიორგიმ, მტერი იყო თუ თავისი ლაშქრის მხედარი. იმ ყორანმაც ჩაკორტნა გვამი. — „უნდა ავდგე!“ — სისხლის მწკლარტე სუნთან ერთად ოფლის მყავე სუნიც ეცა. ისევ ახედა ცას. ყვავ-ყორნებს ვეღარ ხედავდა. ცა ყორნისფერი ეჩვენებოდა. იფიქრა, ალბათ თვალს ვეღარ ვახელ და ამიტომ ვერ ვხედავ ცასო. თვალს ისევ

დაატანა ძალა, ფართოდ გაახილა. ცა მაინც ყორნისფერი ეჩვენებოდა. თვალები სისხლით ჰქონდა საცეც და ამიტომ ეჩვენებოდა ცა ყორნისფერი. ცივმა ოფლმა ტანსაცმელი ყინულივით შემოაკრა ტანზე.

დაჭრილი ყრუდ, დაზულად კენესოდა, მკერდი მძიმედ აუღ-ჩაუღიოდა. ძლივს დაეყრდნო ხელებზე და წამოიწია. მოკლულები და დაჭრილები თითქმის ყოველ ნაბიჯზე ეყარნენ. ზოგი ცხენი პატრონს ადგა თავზე, ზოგი თავაწყვებილი, გააგებული დარბოდა მოკლულებსა და დაჭრილებს შორის.

ტაფობს შემოჭარულ მთებიდან და კლდეებიდან სვანი ქალები და ბერიკაცები ჩამოდიოდნენ, შუშოდიოდნენ ხევებიდან, მორჩქაროდნენ, მორბოდნენ, დაჭრილიდან დაჭრილთან გადადიოდნენ, მკვდრებიდან—მკვდრებთან, თავისიანებს ეძებდნენ ჭირისუფლები, სხვებსაც ჭირისუფლობდნენ. დაჭრილებს ჭრილობას უხვევდნენ, მკვდრებს დასტიროდნენ.

მოთქვამდნენ ქალები, კიოდნენ, დაწვებს იზოკავდნენ, მუხლებს იბეგვავდნენ, თმას იგლეჯდნენ. ბერიკაცები მკერდზე მჯიღს იცემდნენ, შუბლზე ხელისგულს. ვინც თავის შვილს, ძმას, ქმარს ვერ პოულობდა, ოდიშელს, აფხაზსა და რაჭველს უხვევდა ჭრილობას, სხვის მკვდარს დასტიროდა, სხვისი ღედის, მამის, ძმისა და დის მაგივრად დასტიროდა.

ტაფობზე აქა-იქ თითო-ოროლა მოთარეშეები გამოჩნდნენ. სვანი ქალებისა და ბერიკაცების მრშორებით დაძრწოდნენ, მკვდრებს ძარცვავდნენ — ხსნიდნენ აბჯარს, ხდიდნენ სამოსს, სდედნენ ცხენებს, მოკლულ ცხენებს უნაგირს, რახტს და სამკერდეს ხსნიდნენ.

გიორგიმ არ იცოდა, ვინ იყვნენ მძარცველები. სვანი ქალები და ბერიკაცები დაინახავდნენ თუ არა, გაედევნებოდნენ, არ ანებებდნენ ძარცვას, არც თავისიანებისას, არც სხვებისას. ემუქრებოდნენ, წყევლიდნენ, კრულა-

ვდნენ. ქალები ქვასა და კეტს ესროდნენ, ბერიკაცები სატევერჭოჭოჭუნული გზას უღობავდნენ.

ყვავ-ყორნები — ეს მოლეშეები, მკვდრებს რომ ასხდნენ, კორტნიდნენ და ძიძგნიდნენ, მაშინლა აფრინდებოდნენ უნდომლად, სვანი ქალი და ბერიკაცი ან მძარცველი ზედ რომ წაადგებოდა.

ხელები დაეღალა, უღონოდ მიესევნა მიწაზე. თვალდახუჭული იწვა და მაინც ხედავდა მოთარეშეებს. სიმწრისაგან ტუჩებს იკვებდა. — „ვინ არიან, ძაღლის შვილები!.. ასე უცებ საიდან მოვიდნენ!.. ასე უცებ ყვავ-ყორნებივით როგორ აიღეს გეში!.. — თვალდახუჭული იმ სვან ქალებსა და ბერიკაცებს ხედავდა თავიანთ მკვდრებს რომ დასტიროდნენ, იმათაც ხედავდა, ვინც დალახრულებს ჭრილობას უხვევდნენ. — ამასთანაც მოვლენ... მაგრამ იგი მტერია, არ შეუხვევენ ჭრილობას. — შეებრალა დაჭრილი. — მტერი იყო და დავჭერი. — ამ ფიქრმა დაამშვიდა. — ვინ იცის, რამ მოიყვანა სამტროდ... რა მნიშვნელობა აქვს, რამ მოიყვანა!.. მტერი იყო. და დავჭერი... მტერს მტრულად დავხვდი“.

ცხენებიც დასტიროდნენ პატრონს. მძარცველები არ აცლიდნენ ტირილს, ქამანდს ესროდნენ, სადავით იჭერდნენ. ცხენები გაჯავრებული ჭიხვინებდნენ, ტორებს ჰყრიდნენ.

უფრო მეტი მტრის ცხენები იყვნენ. უფრო მეტი დაჭრილი და მოკლული მტერი იყო, მტრის ცხენებს დასდევდნენ მოთარეშეები. მტრის ცხენები უფრო კარგი ჭიშისა იყვნენ, კარგი უნაგირი ედგათ, კარგი თოქალთოფინათ, კარგი რახტი ედოთ, კარგი სამკერდე ეკეთათ, ვერცხლოთა და რკინით მოჭედილი, კარგი ტყავისა და ღვედისა მოისრმული და მოხატული.

— ამასთანაც მოვლენ. აბჯარს ახსნიან, ტანთ გახდიან... მტერია და არ მოერიდებიან. — დააკვირდა მის ხელს. მამაკაცის ხელს არ ჰკავდა და ამიტომ დააკვირდა. — ამორძალია!.. — გაუელვა თავში. — ასი ოქრო!.. — ხელი



მოკიდა. ასეთი ლამაზი ხელი არ უნახავს. — ასი ოქრო!... — ამ ხელმა დაძვრა ასე ძლიერ ეს გურბი! — რა ნაზი და სუსტი ეჩვენა ახლა ეს ხელი. — ამორძალია!.. — ახლო მიიწია და სახეზე დახედა. თავიდან გადავარდნილი ჩაჩქანი გვერდზე ედო. ლიწაბლოსფერი თმა ლოყებზე და მხრებზე ეფინა. — ასი ოქრო!.. ასი ოქრო! — იმეორებდა მისი გონება. ამორძალს არ უყურებდა, ას ოქროს უყურებდა. ხედავდა, თავის დღეში არ უნახავს ოქრო. არც ასი ერთად, არც ერთი ცალკე. ასი ოქროს შოვნის სიხარულმა ძალა დაუბრუნა, ერთბაშად, ჰარბად.

ამორძალს სახეზე მიტკლისფერი ედო. სახეზე მზე აჭერდა და მიანიც მიტკლისფერი ედო, სახე ცივი ჰქონდა. ხელი მოუსვა და ოფლი მოწმინდა. ამორძალს ტუჩები შეერხა. პირით სუნთქავდა. ჰაერი არ ყოფნიდა. იმიტომ კი არა, რომ ჰაერი სიცხისაგან გახურებული სისხლისა და ოფლისაგან დამძიმებული იყო. იმიტომ არ ყოფნიდა ჰაერი, რომ მკერდში, მარცხენა ძუძუს ქვევით იყო დაჭრილი.

ძუძუს ქვევით ჯაჭვის პერანგიდან გამონაჯონი სისხლი შედედებულიყო და ჯაჭვის თვლებში ისე იჯდა, როგორც თავლი ფიჭაში. — რატომ ვაძგერე შენი? — ისევე შეებრალა ამორძალი და გაუკვირდა, რატომ შეებრალა. — „აბა, რა უნდა მექნა!.. რაღა მას შევეტაკე!“ — დასწვდა, ფრთხილად შეხსნა ქამარი, ხმალოთ და სატევართან ერთად გვერდით დაუდო. ხმალი მძიმე იყო. ხმალი, სატევარი და ქამარი ვერცხლით იყო მოზარნიშებული. ქამარი რომ შეხსნა, ამორძალმა მშვიდად იწყო სუნთქვა. მკერდი მძიმედ აღარ აუღ-ჩაუდიოდა.

გიორგის იმედი მოეცა — იქნებ გადავიჩინოვო. ამ იმედმა, სიხარულმა ხელ-ფეხის საძრაობა დაუბრუნა. გადაწყვიტა ჯაჭვის პერანგი აეკეცა და პრილობა ენახა. მამამისი სოფელ ჩხოროწყურში განთქმული დასტაქარი იყო. შუაზე გაჭრილ კაცს არჩენსო, ამბობ-

დნენ ბექა ზარქუაზე. გიორგისაც შესწავლა ეს მაღლიანი საქმე. ამორძალს ჯაჭვის პერანგზე, მკერდზე, ბული შალის ღია წითელი ფერის ქვედატანი ეცვა. კაბა ძირს დაცემისა აეცოდა და მზემოკიდებული, ხორბლისფერი სავსე ბარძაყები მზეზე კრივლებდა. ქვედატანი ნადირთა გამოსახულებით იყო მოქარგული. ტყავის კოხტა მოყვანილობის ფეხსაცმელი ეცვა, მოქარგული თითბრის მძივებით.

ჯაჭვი და ქვედატანი კისრამდე აუკეცა. აუკეცა კვართიც. კვართი ძუძუსთან ისე გაეტეცა გამხმარ სისხლს, რომ ქსოვილი გაფიცებული მეშვივით ხრიკინებდა. ჯაჭვის პერანგითა და კვართით მკერდზე მიკრული, სისხლით შესვრილი, ოფლით გაბრწყინებული, ასევე ხორბლისფერი მარცხენა ძუძუ მკერდზე გამართულად და მკერივად იდგა.

მარჯვენა ძუძუ მოშანთული არ ჰქონდა. ამორძალი ბავშვი იყო, ჩანებდა რომ მოსტაკეს. მაშინ არავის გახსენებია მისთვის ძუძუს მოშანთვა. როცა წამოიჩინა, ისეთი ლამაზი მკერდი დაუდგა, აღტაცებული ტბაში და მდინარეში ახედებდა. სხვას რომ არ შეენიშნა, ძუძუ მოშანთული არ ჰქონდა.

თხელი ტყავით გაიკრა. ისე მკიღროდ, რომ შიგნით, მარცხნით ჰქონდა გადაწყული და გაბრტყელებული.

გიორგიმ სწრაფად შეხსნა სახვევი. ძუძუ მარცხენასავით გაიმართა და მკერივად დადგა მკერდზე. გიორგი გააოცა მკერდის სალამაზემ. თვალი ვერ მოაშორა.

ამორძალმა იგრძნო თავზე ვილაყადგა. შეეშინდა, მოუშანთავი ძუძუ არ დამინახოსო, მკერდის დაფარვა უნდოდა, მაგრამ ხელი ვერ ასწია, ვერც გვერდზე გადაბრუნდა.

გამხმარი სისხლი სოკოსავით ეხურა პრილობაზე. გიორგი ყოველთვის თან ატარებდა მალამოსა და სხვა წამლებს, თიკესა და სახვევს. ამოალაგა ისინი აბგიდან, ქამარზე ჩამოკიდებულ წყლის მათარას თავი წახსნა, თიკვი დაასველა და პრილობაზე დააფინა, ცოტახანს ხე-

ლით ეჭირა, გამხმარი სისხლი რომ მომბალიყო, მერე პრილობას პირი მოუწმინდა.

პრილობა არც დიდი იყო და არც ღრმა. მკერდიდან ჩამოდენილ სისხლს მუცელი შეედება. ბრტყელი, რბილი მუცელი. მძიმე ხმლისა და სატყვერის ტარებისაგან წელზე ქაპრის სიგანე გაუხეშებული მოყვითალო ზოლი აჩნდა. პრილობაზე თხლად წაუსვა მალამო, ზედ თიკვი დააფინა და შეხვევას შეუდგა. სახვევი ზურგქვევიდან უნდა ამოეტარებინა. წელზე ხელი ამოაღო და ფრთხილად ასწია.

ამორძალი თვალს ვერ ახელდა. თვალი დაბინდული ჰქონდა. ზინდს იქით რაღაც შავი ჩრდილის მაგვარი ედგა, ის ჩრდილი გაბლანდული, უფორმო იყო და თანდათან იღებდა გამოსახულებას. ისევ სცადა ხელის აწევა. გიორგიმ არ დაანება, რომ შეხვევაში ხელი არ შეეშალა. მორჩილი, დამყოლი იყო ქალის წელი. გიორგი ცდილობდა თვალი მოერიდებია, მაგრამ მაინც ხედავდა ამორძალის ყინჩად მდგარ ხორბლისფერ ძუძუებს, ხელში ეჭირა მიაივიწრო წელი, ისიც ხორბლისფერი. მოათავა თუ არა შეხვევა, ჩამოუწია კვართი, ბეგთარი. ქვედატანი მხოლოდ მუხლამდე წვდებოდა, მუხლები მომრგვალებული, სასე და გადატყეცილი ჰქონდა. გიორგიმ თავი მიაბრუნა. იქდა და ისვენებდა. უნდოდა თვალიდან მოეშორებინა ამორძალის შიშველი ტანი. თვალი დახუჭა, მაგრამ ისევ ხედავდა მის მკერდს, მუცელს, ბარძაყებს, მუხლებს. გული მოაღიოდა თავის თავზე, რომ ამდენ მკვდრებსა და დაჭრილებში თვალწინ ედგა ამორძალის შიშველი ტანი და ვერ იშორებდა. დაძაბა ყურადღება, ფართოდ გაახილა თვალები და გახედა ტაფობს.

მოთარეშეებს თანდათან ემატებოდნენ მძარცველები. ისინი უფრო ცხენებზე ნადირობდნენ, მხოლოდ მტრის ცხენებს დასაღვედნენ დასაჭერად. მტრის ცხენებს ჯიშითა და მოკაზმულობით ცნობდნენ. ქართველთა ცხენ-

ნებს ახლოს არ ეყარებოდნენ. არც ქართველ მკვდრებსა და დაჭრილებს მარცვავენენ. ამას კარგად ხედავდა სკამბოგი და მაინც ეწოდა გული — ერთნისტირიან, მოთქვამენ, გოდებენ, მეორენი ძარცვავენ, არც მკვდრებს ინდობენ, არც დაჭრილებს. ვინ ტირის, ვინ ძარცვავს. შუბლი შეიკრა. გადაავიწყდა ამორძალი. ბოლმით აუვისო გული ამ სურათში.

ქართველთა ლაშქარი უაუტყუალ მტერს დაედევნა. გახურებული გვამების სუნმა უფრო დაამძიმა, გაასქელა, მოშხამა ჰაერი. ტაფობი თონეავით ჩახურდა. სვან ქალებსა და ბერიკაცებს უნდა დაემარხათ მკვდრები, ეშველათ დაჭრილებისათვის — ახლობლებისა და შორეულებისათვის, გაეყვანათ ტაფობიდან, მოეველოთ, ეპატრონათ. ისევ და ისევ ჩამოდიოდნენ მთებიდან ქალები და ბერიკაცები, ჯგუფ-ჯგუფად, ცალ-ცალკე, შემოდიოდნენ ხევებიდან.

ამორძალმა მისუსტებული ძალი მოიკრიბა და თვალი გაახილა, გარკვევით დაინახა მკერდზე დახრილი მამაკაცი. გაკვირებული, წყრომით შეაჩერდა უცხო ყმას. იცოდა, მტერი იყო. არ იცოდა, რატომ შეუხვია პრილობა, რატომ მოეხმარა, უპატრონა, რა უნდოდა მისგან. მიაი ურდო არც დაჭრილებს ინდობდა, არც მოკლულებს. დაჭრილებს კლავდა, მოკლულებს არ მარხავდა. ნადირსა და ფრინველს უტოვებდა საძიძვნად.

გიორგიმ ამორძალს ხელებიდან სამკლავეები, საფუხარები მოაძრო, ხმალთან და სატყვეართან დადო.

ამორძალი თვალს არ აშორებდა.

— ნუ გეშინია! — უთხრა გიორგიმ.

ამორძალმა დამცინავად გაიღიმა:

— მეშინია?!

— ჰო!.. რომ მოგვლა!

— მომკალი, — უთხრა მშვიდად ამორძალმა.

— შენ კინაღამ მომკალი.

— ვერ მოგკალი.

— ნანობ?

— ვნანობ.  
 — მე ჭრილობა შეგიხვით.  
 — რატომ შემიხვით?  
 — ლამაზი რომ ხარ იმიტომ. — ამ მოულოდნელ კითხვაზე სხვა ვერაფერი მიუგო და უხერხულად გაიცინა გიორგიმ.

— გამშორდი! — უთხრა მკაცრად ამორძალმა.

— რატომ?!

— მტერი ხარ და იმიტომ.

— მტრად შენ და შენი ურდო მოვიდა, — უთხრა გიორგიმ.

— ჰო, მტრად მე და ჩემი ურდო მოვედით და ვერ მოგკალი.

— რა გქონდათ ჩვენთან სამტრო?!

— ვინ გაიმარჯვა? — პასუხის ნაცვლად ჰკითხა ამორძალმა.

— თქვენები გაიქცნენ.

— ჩვენები არასოდეს არ გაქცევინა მტერი! — ზიზღით აენტო თვალები ამორძალს.

— ჩვენ არ ვიყავით მტერი, — უთხრა გიორგიმ. — ჩვენს მიწას ვიცავდით. სამტროდ თქვენ მოხვედით.

— სამტროდ მოვედით და ვერ დაგარბიეთ.

გიორგი თვალს ვერ აშორებდა ამორძალს.

ლამაზი იყო ქალი. პატარა, სწორი ცხვირი, მსხვილი, ჭროდა თვალები, სქელი, ალისფერი ტუჩები, გრძელი წამწამები, დაქარული, მზემთავადებული ზორბლისფერი სახე.

— თქვენი ლაშქარი დიდი იყო, — უთხრა ამორძალმა.

— ჰო, ჩვენი ლაშქარი დიდი იყო. — უთხრა გიორგიმ. ქართველთა ლაშქარი მტერზე დიდი არ იყო და მაინც ასე უთხრა გიორგიმ.

— ჩვენ ყოველთვის ვამარცხებდით ჩვენზე დიდ ლაშქარს.

— ჩვენ დიდზე დიდი ვიყავით, — უთხრა გიორგიმ.

ამორძალი მიხვდა, რომ ყმამ განგებ გაიდიდა თავისი ლაშქარი.

— ჩვენ დიდზე დიდსაც ვამარცხებ-

დით, — უთხრა ამორძალმა და სახე გვერდზე მიაბრუნა.

— ახლა ბედმა გიმტყუნათ, — ბედი არ იგებს ომს. — მწარედ გაიღიმა ამორძალმა.

— სიმართლე იგებს ომს, — უთხრა გიორგიმ.

— არც სიმართლე იგებს ომს... ძალა იგებს ომს.

— ძალამ გიმტყუნათ.

— გვიმტყუნა, — დაეთანხმა ამორძალი. თვალი დახუჭა. დიდხანს იწვა მღუმარედ, ყვავ-ყორნების ჩხავილს უგდებდა ყურს. ესმოდა ცხენების ჭიხვინი, ესმოდა ქალების კივილი და ბერიკაცების მოთქმა. ასეთი ხმები ბევრჯერ სმენია ბრძოლის ველზე, დარბეული ქვეყნის ბრძოლის ველზე, დარბეულ სოფელში, ქალაქში და გულზე არასოდეს მოხვედრია, წარბი არ შეუხრია, არასოდეს ჩაფიქრებია სხვის ჭირვარაშ, არც ახლა ფიქრობდა, არც ახლა ხედებოდა გულზე, არ შეუხრია წარბი. თავისი ურდოს დამარცხებით შეჭირვებული იწვა.

მოთარეშეები ყოველ მხრიდან ჩამოდიოდნენ მთებიდან, ყვავ-ყორნებით ედებოდნენ ტაფობს, აცხრებოდნენ მოკლულებსაც და დაჭრილებსაც. ცხენების დაჭერას მორჩნენ და მკედლებისა და დაჭრილების ძარცვადღეტას შეუდგნენ. ქართველებსაც მიდგნენ, არც იმათ ინდობდნენ. ისმოდა კენესა, წყევლა, ვინება. ისმოდა ჭიხვინი, თქარუნი.

— მძარცველები მოდიან. — უთხრა გიორგიმ ამორძალს.

ამორძალმა არ მიიხვდა, არც უბასუხა. სულ ერთი იყო, მოვიდოდნენ, თუ არ მოვიდოდნენ, ვინ მოვიდოდა და რისთვის მოვიდოდა.

— ტყეს შევაფაროთ თავი, — უთხრა გიორგიმ.

ამორძალმა არც ახლა მოიხვდა გიორგისაკენ. რატომ უნდა შეეფარებინა ტყისათვის თავი! სულ ერთი იყო, ეს ყმა დაატყვევებდა, გაძარცვავდა, მოკლავდა თუ სხვა. მისი ურდო ძარცვავ-

და, კლავდა, არბევდა განურჩევლად ყველა ერსა და ყველა რჯულს, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას. არ ინდობდა დაჭრილს, დავრდომილს. ახლა სხვები ძარცვავდნენ მისი ლაშქრის მკვდარსა და დაჭრილს. არ უნდოდა ამაზე ფიქრი. დაინახა, მაგრამ არ განიცადა, რა არის დამარცხება, რა არის კვლა, რა არის ძარცვა.

გიორგის ას ოქროზე დახარბებულს, ეშინოდა, სხვას არ წაერთმია ამორჩალი. „ბევრნი არიან მოთარეშეები. წამართმევენ ამორჩალს. დავკარგავ ას ოქროს, დავკარგავ ას ოქროს! — ამ ფიქრმა წამოაყენა, ამ საშიშმა ფიქრმა მუხლში და გულში ძალა ჩაუყენა. მიწა არ დაერწა ფეხქვეშ, არ ქანაობდა. თავბრუ არ ეხვეოდა, ტვინი აღარ უღუღღა. — ასი ოქრო!.. ასი ოქრო!“.

ამორჩალმა თავი მოაბრუნა, ცივად, მკაცრად შეხედა. რაც გონზე მოვიდა. ერთი არ დაუქენესია. მტრულად შესცქეროდა კაცს, რომელმაც ჭრილობა შეუხვია, თვითონ დაშავებულს, საშველს, მისი შველა უნდოდა.

გიორგი დასწვდა, ქვეშ ხელები ამოსდო და ასწია. ემძიმა მის ღონედაცლილ სხეულს ამორჩალის არც ისე მძიმე ტანი. იმიტომ ემძიმა, რომ ამორჩალი არ შეეშველა, არ შეიმსუბუქა ტანი. წაბარბაცდა გიორგი, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი, მაგრად დააღდა ფეხები მიწას, დააბაბა სხეული, მოიმარჯვა ხელებზე, ნელა შებრუნდა და მალნარისაკენ წავიდა.

სიმძიმისაგან წაიხარა. თავი ეტკინა, გაუბრუვედა, დარეტანდა, თვალეში ფერადი ვარსკვლავები აუთამამდა და ისევ წაახვდა. ცდილობდა ამორჩალი არ გავარდნოდა ხელიდან. ტატით მიდიოდა, მკვდრებსა და დაჭრილებს გვერდს უვლიდა. ცდილობდა, ფეხი არ დაედგა მათთვის. ყვა-ყორნები მკვდრებიდან მხოლოდ მაშინ აფრინდებოდნენ უკმაყოფილო ჩხავილით, გიორგი რომ ზედ წაადგებოდა, როცა ჩაივლიდა, ისევ დააფრინდებოდნენ მკვდრებს.

მალნარამდე მანძილი შორი არ იყო და მაინც გზა ისე გაგრძელდა, ეგონა დასასრული არ ექნებოდა. ამორჩალი ტანი თანდათან მძიმდებოდა. ხელება უგრძნობი გაუხდა. ტანზე, სახეზე, თავზე ოფლი ასკდებოდა და აღარ იყო ცივი. — ასი ოქრო!.. — ამ ფიქრს მიჰყავდა წინ. ტატით არა, ბარბაცით მიდიოდა, თავს ველარ იმაგრებდა და მკვდრებსაც აბიჯებდა და დაჭრილებსაც.

მიდიოდა წელში მოხრილი, მაგრამ თვალს მალნარს არ ამორებდა. უნდა მიეღწია ტყისპირამდე, სანამ მოთარეშეები დაინახავდნენ, უნდა მიეღწია ტყისპირამდე, თორემ ამორჩალს წაართმევდნენ. — ასი ოქრო! — ითვლიდა ნაბიჯს, ნაბიჯთან ერთად ერეოდა თვლაც. უნდა მიაღწიოს მალნარამდე, ასი ოქრო!

მოთარეშეები იმ მხარეს მიიწევდნენ, საითაც გიორგი მიდიოდა. უნდა ეჩქარა, თორემ დაინახავდნენ, დაეწეოდნენ. შედგა და უკან მოიხედა. ვერ იცნო ვინ იყვნენ, დაინახა, რომ სვანები არ იყვნენ, არც აფხაზები, არც რაქველები და ოდიშელები. მათ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ მკვდრებისა და დაჭრილების გაძარცვა.

სვანი ქალები და ბერიკაცები ფეხდაფეხ მისდევდნენ მძარცველებს, არ ანებებდნენ მკვდრებისა და დაჭრილების გაძარცვას, არც ქართველებისას, არც მტრისას. უფრო ახლოდან ესმოდა გიორგის კივილი, წყველკრულვა, გინება, შეძახილები. მალაოდ უახლოვდებოდა ყველა ეს ხმა. უნდა ეჩქარა, უნდა გაესწრო მოთარეშეებისათვის, შეეღწია ტყეში.

ჭერი არ ყოფნიდა, ნესტოები გასკლომამდე ებერებოდა, ხრიალით აუნთქავდა, გაუშრა პირი, გაუშრა ყელი, მიწისაკენ იხრებოდა, მუხლზე ეცემოდა, ყოველ დაცემისას ეგონა, ველარ წამოდგებოდა. გაუვარდებოდა ხელიდან ამორჩალი და მაინც მიდიოდა, არ იცოდა რა განგებას მიჰყავდა, არ ჰქონდა ძალის ნატამალი, ვერ სუნთქავდა,

ველარაფერს ხედავდა და მაინც მიდიოდა. თავიდან, შუბლიდან, ლოყებიდან ჩამოდენილი ცხელი, მწველი ოფლი ნიკაბზე უერთდებოდა და ამორძალის მკერდზე ეცემოდა.

ქალი თვალდახუჭული იწვა, უმოძრაო, თითქმის უგრძნობი, მხოლოდ მაშინ გაახელდა თვალს. გიორგი რომ წაბარბაცდებოდა, მხოლოდ მაშინ დაიკვნესებდა ტკივილისაგან, გიორგი რომ მუხლზე დაეცემოდა. მერე, გიორგი რომ წამოდგებოდა, შემაგრდებოდა, სულს მოითქვამდა, შეისვენებდა, ისევ დახუჭავდა თვალს.

ცდილობდა არ ეჩვენებინა, არ ეგრძნო გიორგის, რომ ტკიოდა, იტანჯებოდა. ძალა აღარ ყოფნიდა, თორემ გაუძალიანდებოდა, დაუსხლტებოდა ხელიდან, სულს დაღევდა, ტანჯვას ბოლო მოედებოდა, ტკივილს ბოლო მოედებოდა. ყველაფერს შერიგებული იყო, ოღონდ მალე მოედებოდა ბოლო.

გიორგის უცებ თავისი ბედაურის ჭიხვინი შეესმა. მარჯვნიდან უახლოვდებოდა თქარათქური. ცხენს კისრიდან გადავარდნილი სადავისათვის ფეხი რომ არ დაედგა, თავაწეული მორბოდა. შეშინებული, დამფრთხალი იყო. გიორგიმ მაშინვე შეატყო, რომ დიდი ხანი ეძებდა მას და ახლა გახარებული მოეშურებოდა მისკენ ფაფარის ფრიალით და ჭიხვინით. მოიჭრა ცხენი, გაბრუნდა შემორბინა და შეჩერდა. დაქანცული იყო, გაოფლიანებული, აღზნებული, მაგრამ შედგა თუ არა პატრონის წინ, უცებ დამშვიდდა.

გიორგიმ გაუღიმა, დაქანცული, მტკიცეული ღიმილით. არ იცოდა, რატომ მოატოვა ცხენმა, უნაგირიდან რომ გადავარდა, დარწმუნებული იყო, ცხენი თვითონ არ მოატოვებდა. ახლა გიორგის შეჰყურებდა და თვალს შიშით აქეთ-იქით აცეცებდა.

მძარცველები გიორგის მხარეს არ მოიწვედნენ, ეტყობოდა სხვა კიდი: უფრო მეტი იყო სამარცვი და საღლეტი, უფრო მეტი იყო მტრის დაპირილი და დახოცილი მეომრები.

გიორგიმ შორს მოიტოვა ტაფობი, გავიდა ბრძოლის ველიდან, ახლავდნენ მას დაინახავდნენ მთავარმთავრად ვერც მის ცხენს. ვერ წაართმევდნენ ამორძალს.

ახლო იყო მადნარი, ახლო იყო ტყით დაფარული მისი მისადგომი, უფრო ახლო იყო მაღალი ბუჩქნარი, ახლო იყო ასი ოქროს მიღების იმედი. გაუქრა შიში და ღონემ მაშინვე უღალატა. თურმე ფეხზე აქამდე შიშს ეკავა, თურმე აქამდე შიშს მიჰყავდა წინ, ასი ოქროს დაკარგვის შიშს.

დაეშვა მუხლზე და ამორძალი ბალახზე მიაწვინა. არ დაუხედავს, რა დღეში იყო, აღარ ჰქონდა ამის თავი. ამორძალის გვერდით დაეცა და გონება დაკარგა.

## 3

თვალი რომ გაახილა, სავსე მთვარე დაჰყურებდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოქედილი. გიორგიმ მხოლოდ მთვარე დაინახა. ვარსკვლავებს ვერ ხედავდა, ვერ ხედავდა მათ ბასრ ციმციმს. სავსე, მოკაშკაშე მთვარესაც კი ბუნდოვნად, მქრქალად ხედავდა. თავი ისევ ისე მძიმე ჰქონდა, ტანზე მძიმე, ისევ ისე უსკდებოდა ტკივილით გაბრუნებული, დახშული ჰქონდა. არ ახსოვდა სად იყო, რა მოხდა, რა გადახდა, არაფერი არ ახსოვდა. არ ახსოვდა რომ მის გვერდით მის მიერ დაპირილი, დატყვევებული ამორძალი იწვა, ჭრილობა რომ შეუხვია, ხელით ატარა ტანჯვით, წამებით, დაგვიტ, მთავრისათვის რომ უნდა მიეგვარა, ასი ოქრო რომ უნდა მიეღო და ის ასი ოქრო მის შვილებს, მის ოჯახს წაადგებოდა.

თავზე ხელები წაიეღო, რათა ტკივილი შეეჩერებინა, ეგონა, თავის ქალა ნაწილ-ნაწილ ერღვეოდა. ხელები წაიჭირა. ეამა, თითქოს ტკივილი შეუნელდა. თავზეხელებწაჭერილი იწვა და ცდილობდა გაეხსენებია, სად იყო, რა დაემართა, მაგრამ გონებას, აზრს ვერ იკრებდა, ვერაფერს იხსენებდა, მი-

წა ერწოდა ტანქვეშ და ტკივილთან ერთად თავბრუ ეხვეოდა, უნდოდა დალაპარაკება და ენა არ ემორჩილებოდა.

თავს ვერ აბრუნებდა და მთვარი მეტს ვერაფერს ხედავდა. მთვარე ნელ-ნელა იზრდებოდა, ფართოვდებოდა, ძირს ეშვებოდა, გიორგისაკენ მიიწევდა. მთვარის მიახლოებისდაგვარად თავის ტკივილი ემატებოდა. სულ უფრო და უფრო იჭერდა თავზე ხელებს, რომ თავის ქალა არ დარღვეოდა. ეგონა, რომ იჭერდა, ხელებში ძალა არ ჰქონდა.

თავიც ნელა ეზრდებოდა, ზევით იწევდა და მთვარეს უახლოვდებოდა. თვალი დახუჭა, ვერ გაუძლო მოჩვენებას. მაინც ხედავდა, მთვარე როგორ უახლოვდებოდა, თავი როგორ უახლოვდებოდა მთვარეს. ის იყო ერთმანეთს უნდა შესკდომოდნენ თავი და მთვარე, რომ დაიყვირა, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა. ისევ დაკარგა გონება.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. არ ირხეოდა ბუჩქი, არ ირხეოდა ბალახი, ფოთოლი, აღარ ისმოდა ტაფობიდან ჰიბინი, თქარუნი, არც კივილი, არც მოთქმა, არც გინება. სულ ახლო, ბუჩქებს იქით ცხენი ძოვდა და დროდადრო ფრუტუნებდა.

გიორგის ირგვლივ ყველაფერი მკვდარი იყო.

არ ეძინა ამორძალს, დაყურადებულ იწვა, ყურს უგდებდა ცხენის ძოვის ხმას, ფრუტუნს და ეს ხმები ამშვილებდა, იმედს ჰკვრიდა, იმედს, რომ წამოდგებოდა, ცხენთან მივიდოდა, შეჯდებოდა და გაიქცეოდა.

რამდენჯერმე სცადა წამოწევა. ვერ შესძლო. ოდნავი განძრევებისა ტკივილი ელვისავით უვლიდა მთელს ტანში. გადაწყვიტა, თუ ვერ წამოდგებოდა, ხობვით მისულოყო ცხენთან. იწვა და იცდიდა, როდის გაუვლიდა ტკივილი, როდის მოიკრებდა ძალას, მაგრამ ტკივილი არ უვლიდა, ძალას ვერ იკრებდა. პირიქით, ტკივილი ემატებოდა, ძალა ენელებოდა, უძლიერდებოდა ტანჯვა და გვემა, რომ გაქცევა არ შეეძლო.

ტყვეობას სიკვდილი ერჩია და უნდა მინებებოდა სიკვდილს. — რატომ შემიხვია ჰრილობა?! რატომ გამომწყვდნა ტაფობიდან?! რატომ მატარა ასეთი ტანჯვა-წვალებით ამ სიგრძე გზაზე?! — გზა არ იყო გრძელი, გიორგისავით ამორძალსაც გრძელად ეჩვენა. — ჩემი ხმალ-სატყვარი და ქმარი იქ დატოვა, ჩემი ფარცა და შუბიც იქ დატოვა, იქ დატოვა თავისი აბჯარიც, ჩემი აბჯარიც დატოვა და თავისიც... ჩემიც დაკარგა და თავისიც... რატომ? რა უნდა?! იმიტომ დატოვა, რომ ჩემს ტარებაში ხელი არ შეშლოდა, სიმძიმე შეემსუბუქებია.. ტყეს შევაფაროთო თავი... რა უნდა ჩემგან, თუ არა აბჯარი!.. მეტი რა შეება, მეტს რას ელის დაჭრილი ტყვისაგან? — გაუთავებლად იმეორებდა ფიქრში ამ კითხვებს და ვერც ერთი კითხვისათვის ვერ პოულობდა პასუხს. სიცხისაგან თვალეზი ამღვრეული ჰქონდა, უვარვარებდა, შუბლი უხურდა, ერთი წვეთი წყალი ქვეყნად უღირდა. ახსოვდა, იმ ყმამ წყლით რომ მოუწმინდა ჰრილობა. არ იცოდა, უნდა ეთხოვა, თუ არ უნდა ეთხოვა წყალი. წყურვილი კლავდა. გონება ერეოდა. ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრები უტრიალებდა გაბრუებულ, დაბინდულ თავში. არ უნდოდა ეფიქრა და ცას შეაჩერდა. იწვა უსასო, უიმედო და ცას შესცქეროდა.

მთვარე არ იდგა მის თავზე, მთებს იქით გადავიდა, ცა მუქლურჯად ლივილებდა, ვარსკვლავები ქრებოდა და ენთებოდა, ხტოდა და ციკვავდა და თავბრუს ახვევდა, რეტს ასხამდა.

თვალს მაინც არ ხუჭავდა. უნდოდა მორეოდა მოჩვენებას — თავის ადგილზე დამსხდარიყო ვარსკვლავები. არ ებტუნა, არ ეცეკვა, არ ანთებულო და არ ჩამქრალიყო, გრძნობდარომ ეს მოჩვენება მისი სისუსტის, უღონობის, სიცხის ბრალი იყო. ცდილობდა მორეოდა სისუსტეს, უღონობას, სიცხეს, წყურვილს, მოეკრიბა ძალა და სიმხნევე და ვერ ახერხებდა. მაინც არ

კარგავდა გაქცევის იმედს. ტყვეობას სიკვდილი ერჩია, გულშევიდად შეხედებოდა სიკვდილს.

შეესმა გიორგის ხშირი სუნთქვა, შეესმა კენესა და მერე ჩუმი ძახილი:

— ციცა!.. ციცა!..

„ცულათაა“. — გაიფიქრა, სახე გიორგისაკენ მიაბრუნა.

გიორგის ხელები დამუშტული ჰქონდა, აქეთ-იქით გადაყრილი და მიწას უღონოდ ურტყამდა სიმწრისაგან, ძაბაგებდა, იკრუნჩხებოდა.

— ციცა!.. ციცა!..

— ცულათაა, — ისევ გაიფიქრა ამორძალმა. გურზი დაეკარი და ცხენიდან გადაეარდა... გურზი თავში!.. როგორ არ გაუსკდა თავი!.. ამ სიგრძე გზაზე ხე-ღრბ მატარა... როგორ შეძლო, რა ჯანი ჰქონია!.. ეცემოდა და დგებოდა, არ უნდა ვეტარებინე, ძალით მოიკლა თავი. — ერთხელ ბრძოლაში თვითონ დაერეს ბორძალი. მთელი კვირა იწვა, მერე ურდოს დასტაქარმა ოცი დღე არ ააყენა სარეცელიდან. შერყევა გაქვსო, უთხრა და განძრევის ნებასაც კი არ აძლევდა. — ხელით მატარა ამ სიგრძე გზაზე... არ უნდა ვეტარებინე... ძალით მოიკლა თავი.. მძარცველებს გამაჩრია. — შეებრალა. მხოლოდ ერთი წამით შეებრალა. ვერ შეიბრალებდა იმას, ვისაც ებრძოდა, ვის დასალაშქრად მოვიდა, ვინაც დაამარცხა, დაატყვევა. მაგრამ მან სიკვდილისაგან იხსნა. არა, მაინც ვერ შეიბრალებდა იმას, ვინაც დაამარცხა. არც იცოდა მისმა გულმა, რა იყო შებრალება, შეცოდება.

უცებ თითქოს ჩანჩქერის ვარდნის ხმა შეესმა. ყურს არ დაუჭერა. იფიქრა, ალბათ შეჩვენებოდა. არა, არ ეჩვენებოდა. — „წყალი!“.. — იგრძნო წყალი, მთელი სულით, მთელი სხეულით იგრძნო წყალი. ტუჩებზე ენა მოისვა. გამშრალი, ცხელი ენა. — წყალი!.. — წყალი კლდეზე ეცემოდა, იმსხვრეოდა. ხმით იცნო, რომ კლდეზე ეცემოდა. — რატომ აქამდე ვერ გავიგონე! ნუთუ ყურები დახშული მქონდა!.. წყლის

მტვერი სახეზე ეფინებოდა. ცხელი იყო წყლის მტვერი. მისი შუბლივით, მიაი ტანივით ცხელი. სულს უხედავდა, წვავდა.

ამ წვაში, ტყვიელში და ჰილილში შემოათენდა. მთელი ღამე არ შენელებია სიციხე, ტყვიელი, არ უგრძენია ოდნავი შეება, არ მოუხუტუვს თვალი. მთელი ღამე ბორგავდა, კენესოდა გიორგი. მაგრამ ამორძალი ერთხელ არ მიბრუნებულა გიორგისაკენ. კვლავ შეესმა გიორგის ხმა.

— ციცა!

„ვის ეძახის!.. ვინ არის, ციცა?“ — არ უნდოდა მიბრუნებულიყო, მაგრამ გული მაინც ქალისა ჰქონდა და მიბრუნდა.

დილის ბროლივით ანკარა სხივები ანათებდა გიორგის დაქანცულ სახეს, გაფითრებულ სახეს, გაკვირვებულ თვალებს. ამორძალი მიხვდა, რომ გიორგი სხვას ეძებდა, სხვას ელოდა მის გვერდით და ამიტომ უყურებდა გაკვირვებით, იმ სხვის მაგივრად, იმ ციცას მაგივრად სხვა რომ იწვა მია გვერდით. დაინახა, რომ თანდათან იკრებდა გონებას და შეშფოთებულ, აღზნებულ თვალებში აზრი ებადებოდა, სიმშვიდე უბუდდებოდა, ნელი ღიმილი ეხატებოდა.

ამორძალმა ღიმილით არ უბასუხა. თავი ისევ მიაბრუნა. არ უნდოდა ტყვეს, გამარჯვებულის, დამტყვევებლის ღიმილი დაენახა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ის ღიმილი გამარჯვებულის ღიმილი არ იყო და მაინც არ დაიჯერა, არ ირწმუნა. ვის უნახავს მტრის ამგვარი ღიმილი.

ერთმანეთისაგან ბალახი არ ფარავდათ. დაცემისას ქვეშ მოჰყვით მაღალი ბალახი და გაითელა. ახლო იწვენენ, ისე ახლო, რომ ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ.

გილვიდა ქვეყანამ. ატყდა ბუჩქებში, ბალახებსა და ხეებში ყივყივ-ჰიკიკი, გაისმა სტვენა, ქახქახი და ჰიკიკი. ფარფაში, ტყლაშუნი, შლიგინი.

მხოლოდ გიორგი და ამორძალი იწე-

ნენ უმოძრაოდ, უხმოდ. არ ესმოდათ ფრინველთა ხმა, ფართქალი, ფარფალი, ტყლაშენი და შლიგინი, არ ესმოდათ ჩანჩქერის ვარდნის ხმა. გიორგის არ ესმოდა იმიტომ, რომ მისი გონება დაბინდული იყო, შეკრული იყო. ამორძალს არ ესმოდა იმიტომ, რომ მისი გონება გიორგიზე ფიქრით იყო მოცული. გრძნობდა, იგი მას შესცქეროდა, დალაპარაკება უნდოდა და არ შეეძლო.

ასე იწვნენ დიდხანს.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ბოლოს გიორგიმ.

ამორძალმა არ უპასუხა. გიორგიმ დაიცადა და კვლავ ჰკითხა. მას შემდეგ, რაც დაეცა და გონება დაკარგა, პირველად შესძლო ხმის ამოღება, პირველად დაუბრუნდა გონება. გაეხარდა, რომ გონება დაუბრუნდა, დალაპარაკება შეძლო. უნდოდა დაეყვირა, კარგადა ვარო, მაგრამ თავი კვლავ ტეხდა, კეთხზე მწვავე ტკივილი აწვებოდა, თითქოს უამრავი სადგისით ჩხვლეტენო, აუტანი სიმძიმით აწვებოდა ტკივილი.

— რატომ ხმას არა მცემ?.. — მე შენ ტვინი შემირყიე.

— უნდა მომეკალი. — გადმობრუნდა და უთხრა ამორძალმა. თვალეზი მტაცებელი ნადირივით აენთო.

— მეც უნდა მომეკალი. — უთხრა გიორგიმ.

— რატომ არ მომეკალი? — ჰკითხა გამომწვევად ამორძალმა.

გიორგიმ უცებ ვერ უპასუხა. არ მოელოდა ასეთ კითხვას.

— ვერ მომეკალი. — უთხრა ღვარძლიანად, დაცინვით ამორძალმა.

— ვერ მოკალი. — უთხრა გაკვირვებით გიორგიმ.

— უნდა მოგეკალი. — უთხრა მკაცრად ამორძალმა. — მე კი ისევ ვეცდები მდგვლა.

— მე კი კმაყოფილი ვარ, რომ ვერ მოგეკალი.

— რატომ? — გაოცდა ამორძალი. — აქ ხომ ამისათვის მოვედით.

— არა, — უთხრა გიორგიმ, — მე ძმების დასაცავად მოვედი.

— ჩვენ შენი ძმების მსასჯელად მოვედით.

— რას ერჩოდით ჩემს ძმებს?!

— რას ვერჩოდით? რომ სხვა მოგვეცლა და თვითონ გვეცხოვრა.

— სხვა მოგვეცლათ და თვითონ გეცხოვრათ?! — ყურს არ დაუქვრა გიორგიმ.

— სხვა მოგვეცლა და თვითონ გეცხოვრა. — გაუმეორა ამორძალმა.

— ადამიანი სიყვარულისათვის ცხოვრობს. — უთხრა გიორგიმ.

— რა არის სიყვარული?!

— ადამიანი სიკეთისათვის ცხოვრობს.

— რა არის სიკეთე?!

— ნუთუ არ იცი რა არის სიყვარული და სიკეთე?!

— არ ვიცი.. მე მხოლოდ სიძულვილი ვიცი. რა არის სიყვარული და სიკეთე?

გიორგიმ ვერ უპასუხა, რა არის სიყვარული, ვერ აუხსნა, ისე ძლიერ უყვარდა, არ შეეძლო მისი ახსნა.

— რა არის სიყვარული?

— სიყვარულმა კვლა არ იცის. — ესლა უთხრა გიორგიმ.

— მაინც რა არის სიყვარული.

— სიყვარული სიკვდილის მტერია.

— სიკვდილის მტერი?!

— სიყვარული სიცოცხლეა.

— ყველამ რომ იცოცხლოს, მიწა ვერ დაიტევს. — უთხრა ამორძალმა.

— მიწა დიდია, ყველას დაიტევს.

— მიწა პატარაა. — უთხრა ამორძალმა.

ამორძალის ურდოსათვის მიწა პატარა იყო. მიწა არ ჰქონდა ურდოს და ამორძალს ეგონა, მიწა პატარა იყო. ამორძალი თავის ურდოსთან ერთად იბრძოდა, იპყრობდა, კლავდა, ძარცვავდა, არბევდა, რომ თვითონ ეცოცხლა, ეცხოვრა. ეგონა ამისთვის იყო გაჩენილი, რომ ეკლა, ერბია, ეღლიტა. ამას აგონებდნენ სიყრმიდან, ამას ასწავლიდნენ. ამას ავალებდნენ. ეგონა,



სხვებიც ასე ფიქრობდნენ, ასე იღწვოდნენ, ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ.

სხვა ცხოვრება არ ჰქონდა, სხვა ფიქრი არ ჰქონდა, სხვა აზრი არ ჰქონდა. ამიტომ აკვირვებდა გიორგის სიტყვები, არ ესმოდა, გაუგებარი იყო გიორგის სიტყვები. — „ადამიანი სიყვარულისათვის ცხოვრობს... ადამიანი სიკეთისათვის ცხოვრობს... მიწა დიდია, ყველას დაიტევს“. — არ უნდოდა ანუ ეფიქრა, ვერ იფიქრებდა ასე. უნდოდა მოეშორებინა ეს უცნაური, ახირებული აზრი. პირდაპირ შეხედა გიორგის.

გიორგიმ გაუღიმა, მაგრამ ღიმილის მაგივრად სახეზე ტკივილი გამოეხატა.

— რა არის სიკეთე? — ჰკითხა ამორძალმა.

— კარგის ქმნა.

— რა არის კარგის ქმნა?

— დახმარება. გაპირვებაში შეველა, დალხინებაში მხარის ახმა, ერთად ყოფნა...

— ერთად ყოფნა?

— ერთად ყოფნა ჰქონდა და ლხინში, — ჩამოართვა სიტყვა გიორგიმ. — აი, მე და შენ ერთად ვართ გაპირვებაში, ერთ მტკაველ მიწაზე ვწვევართ და ვეტყვით.

— არა, არ ვეტყვით. მე და შენ ერთად არა ვართ. მე და შენ მტრები ვართ. უნდა მოგკლა.

— მე არა ვარ შენი მტერი. — უთხრა გიორგიმ.

— მე და შენ მტრები ვართ. უნდა მოგკლა. — უთხრა ჯიუტად ამორძალმა და თვალეები იწვევ მტაცებელი ნადირივით აენთო.

— მე არ მოგკალი შენ. — უთხრა გიორგიმ.

— მე შენ ვერ მოგკალი.

გაჩუმდნენ. იწვნენ სხვადასხვა აზრით, სხვადასხვა ტკივილით, სხვადასხვა გრძნობით მოცულნი. გიორგის სიზმარში ეგონა თავი. მე მხოლოდ სიბუღვილი ვიციო. არ იცის, რა არის სიყვარული, რა არის სიკეთე. უნდა მოგკლაო. მე მის გადარჩენაზე ვფიქრობ. ის ჩემ მოკვლაზე ფიქრობს.

ამორძალს არ ჯეროდა გიორგის სიტყვების, უნდობლად მტრულად შეჰყურებდა. გაპირვებაში შეველა დალხინებაში მხარის ახმაო. ადამიანი სიყვარულისათვის ცხოვრობს, სიკეთისათვის ცხოვრობსო.

ფიქრი წყურვილმა შეაწყვეტინა. ჩანჩქერის ვარდნის ხმა ზატყად ჩაესმოდა, წყალი თითქოს ზედ ესმოდა, ცხელი, მღუღარე წყალი. მისი ნაკადი თვალეებში ჩაუღიოდა, პირში ჩაუღიოდა, სულში ჩაუღიოდა, წვეადა, ბუგავდა.

გიორგიმ მათარა მოიხსნა და გაუწოდა.

ამორძალმა არ გამოართვა.

— გამომართვი! — უთხრა გიორგიმ.

ბევრჯერ აუტანია წყურვილი. ახლაც აიტანს. მაგრამ რატომღაც წყალი ცხელი, მღუღარე! ნუთუ მართლა ცხელია ჩანჩქერი! თუ მე მეჩვენება!

— გამომართვი! — უთხრა გიორგიმ.

მამაკაცი თხოვს! მტერი თხოვს! მაინც არ გამოართმევს. არ დალევს, სული რომ გავარდეა, მაინც არ დალევს. მტრის მოწოდებულ წყალს არ დალევს. იცის, რომ წყურვილი კლავს და წყალს აწოდებს, თხოვს გამომართვიო.

გიორგი ხედავდა, გრძნობდა, რა დღეში იყო, ხელში ჩაუღო ცივი მათარა.

ამორძალმა ვერ გაუძლო ცდუნებას. პირი მოკუმული ჰქონდა. ეშინოდა არ დაეყვირა, ვიღრჩობი წყურვილითო. ნერწყვი გაუშრა, ყელი ეწოდა. წყალი ხელში ეჭირა, ცივი წყალი. თითქოს მისი ბუყბუყიც ესმოდა, თითქოს მის გემოსაც გრძნობდა. ერთი ყლუპი!.. ერთი ყლუპი!.. ერთი ყლუპი! შეუჩერებლად იმეორებდა მისი გონება. წააძრო საცობი. ხელეები უკანკალებდა, ძლივს მიიტანა პირთან მათარა, დაუცდა ტუჩზე მათარის პირი. მეორე ხელი შეაშველა მათარას და მოსვა ის ერთი ყლუპი. მაშინვე მიწყდა ჩანჩქერის ვარდნის ხმა და შხუილი, გაქრა ჩანჩქერის სიმბურვალე. — მიწა დიდია, ყველას დაიტევს. — შეესმა გიორგის ხმა. არა, იმ ხმამ მის ფიქრში გაიფლვა. ისევ მოსვა წყალი. — მიწა დიდია, ყველას დაი-

ტევს. — აღარ ბუყბუყებდა წყალი, არ იყო ცხელი ჩანჩქერი, მდულარე, არ ესხმოდა ზედ, არ ჩაუდიოდა თვალეში, პირში, სულში, არ წვეავდა, არ ბუგავდა.

— ქართველები ქვეყანას დედამიწას ვეძახით, — თათქოს ფიქრს მიუხვდაო, უთხრა გიორგიმ. — დედისათვის ყველა შვილი შვილია. დედის გული ყველა შვილს იტევს, დედის კალთა ფართოა.

ამორძალმა არ იცოდა, რა იყო დედა, არ იცოდა, რა იყო დედის გული, დედის კალთა.

— მალამოს გამოგიცვლი. — უთხრა გიორგიმ.

ამორძალმა ზურგი შეაქცია.

გიორგის განძრევა უჭირდა, მაგრამ მაინც მიიწია მისკენ, მხარზე ხელი მოკიდა და თავისაკენ გადმოაბრუნა. ამორძალმა რისხვით შეხედა, ისევ აენთენ მტაცებელი ნადირის თვალეში. პირველად ხედავდა ასე ახლო მამაკაცს, მტერს. გიორგის თვალეში არ იყვნენ მტრის თვალეში. ისინი თბილად და ზრუნვით დასცქეროდნენ. ამორძალმა არ იცოდა, რა იყო თბილად, რა იყო ზრუნვით, მაგრამ მისთვის უცნობი, ჯერ განუტდელი, უცხო გრძნობით ხვდებოდა, რომ ამ თვალეში რაღაც სხვა იყო. ხედავდა ამ თვალეშს მისი შველა უნდოდათ, სული კბილით ეჭირა მტერს და მისი სიცოცხლისათვის ზრუნავდა. ძლივს იკავებდა თავს, რომ არ დაეცემულაყო, ირწვოდა. თავს ძალას ატანდა შემავრებულიყო.

— რა გინდა ჩემგან?

— მალამო უნდა გამოგიცვალო, -- უთხრა გიორგიმ. — სიცხისაგან იწვი...

— გამოშორდი! — უთხრა ამორძალმა, მაგრამ მისი კილო აღარ იყო ისეთი მკაცრი, ისეთი ცივი, მტრული, მისი თვალეში არ ენთენ მტაცებელი ნადირის თვალეში.

გიორგიმ ჯერ ჯაჭვი წააძრო ფრთხილად, რომ ჰკრილობა არ ტყენოდა, მერე კვართიც აუქცია.

ამორძალი აღარ უძალიანდებოდა, არ

უნდოდა დაენებებია გახდა და მაინც არ უძალიანდებოდა. არ იცოდა, რატომ... არ იცოდა, რა ემართებოდა, რატომ მიწებდა, რატომ არ კრავდა ხელს. რატომ არ უყურებდა რისხვით, მტრულად.

კვართიც კისრამდე აუქცია. გაშიშვლდა საოცრად ლამაზი მკერდი. გიორგის ეჩვენებოდა, რომ ის მკერდი ძუძუები გამომწვევად იდგნენ. აბგიდან მალამო და თიკვები, ქინკში გახვეული ხმელი ბალახი და არაყი ამოიღო. ხელები არ ემორჩილებოდა, თავის ტკივილისაგან ტუჩს იკნეტდა.

ამორძალი ხედავდა, რა დღეში იყო, რა დიდ ტანჯვას ჰგვრიდა, ხელის განძრევა, ძირს დახრა, თავის მიბრუნება, ხედავდა, თვალს რომ არიდებდა მის მკერდს.

გიორგიმ წინ დაიდო არყის პატარა მათარა, მალამო, ქინკში გახვეული ხმელი ბალახი. მერე სახვევის შეხსნას შეუდგა. წელზე ხელი ამოსდო. ამორძალმა თავისდა გასაოცრად თვითონ ასწია წელი, რათა გიორგის ძალა არ დადგომოდა. უცებ, როგორღაც ბუნდოვნად იგრძნო, რომ სიცოცხლე უნდოდა, არ უნდოდა სიკვდილი. არ იცოდა, რატომ არ უნდოდა სიკვდილი, რატომ უნდოდა სიცოცხლე. ამ ყმას შეეძლო შეენარჩუნებია მისთვის სიცოცხლე. ნუთუ მხოლოდ იმიტომ უნდოდა სიცოცხლე, რომ ამ ყმას შეეძლო შეენარჩუნებია სიცოცხლე. რატომ?! რატომ მოუნდა უცებ სიცოცხლე? — „მიწა დიდია, ყველას დაიტევს... მიწა დიდია, ყველას დაიტევს.“ — ისევ გაიმეორა მისმა ფიქრმა გიორგის სიტყვები.

სახვევი შეხსნა, ააძრო თიკვი. მალამო ჰკრილობას მთლად შეეწოვა, თიკვი გაეხურებინა, სისხლს გაეშრო, გაეპოხა. ჰკრილობას მღვრიეწყლისფერი ედო, ნაპირი გალურჯებულ-გამწვანებული ჰქონდა, ჩაყანგული, ჩახურებული ჰქონდა. არყით მოწმინდა პირი. ისე ფრთხილად, ისე მსუბუქად მოწმინდა დაუმორჩილებელი, დაუძღურებულ

ხელით, ამორძალს ტყვილი არ უგრძენია.

გიორგი დაიღალა. სახეზე ფერი არ ედო, ოფლი ასკდებოდა, თავბრუ ეხვეოდა, მის თვალში ჭრილობა გაიწეოდა, გაფართოვდა, გაბრტყელდა, გაიზარდა. ამორძალის მკერდმა, სახემ, თვალებმა უკან დაიწია, დაკარგა ფერი, გამოსახულება, ნელა, ტაატიტ გაუჩინარდა ბურუსში და კვლავ ისე ნელა, ტაატიტ გამოვიდა ბურუსიდან, მოიკიდა ფერი, მიიღო გამოსახულება და ამ გამაწამებელმა ხილვამ, მოჩვენებამ რეტი დაასხა, სუნთქვა შეუქრა. — რისთვის ვიკლავ თავს? — ფიქრობდა გიორგი. — რისთვის ვირჩები?.. ასი ოქროსათვის. — გააბსენდა, რომ ასი ოქროსათვის ირჩებოდა, იკლავდა თავს, მაგრამ ისიც იგრძნო, რომ მარტო ასი ოქროსათვის არ ირჩებოდა. ციცასათვის უნდოდა ასი ოქრო, მომავალი ოჯახისათვის უნდოდა ასი ოქრო. სიყვარული მკედარსაც გაანძრევინებს ხელს. არა, მარტო ამისათვის არ ირჩებოდა. კიდევ ამ ველური ქალისათვის ირჩებოდა. თვალს ვერ აშორებდა ამორძალის სიციხით ანთებულ სახეს, სიციხით ანთებულ თვალებს, მტაცებელი ნადირის თვალებს რომ აღარ ჰგავდნენ და მშვიდად შეჰყურებდნენ.

მალამო აიღო, ხელისგულზე დაიდო, ხმელი ფოთოლი დაფშენა, ზედ დააყარა მალამოს და აზილა: იქ ციცა უცდის, სიყვარული უცდის, ბედნიერება უცდის. მაშ რატომ ვერ აშორებს თვალს ამორძალს, სიციხით ანთებულ მის სახეს, სიციხით ანთებულ მის თვალებს, მტაცებელი ნადირის თვალებს რომ აღარ გვანან და მშვიდად შეჰყურებენ. ამ თვალებისთვისაც ირჩება, ამ სახისათვისაც ირჩება, ამ სიცოცხლისათვისაც ირჩება, აღარ იცოდა, რისთვის უფრო ირჩებოდა, რისთვის უფრო იღწვოდა. მალამო ფრთხილად წასცხო ჭრილობაზე იმ დაუმორჩილებელი, უღონო ხელით. ახალი თიკვი დააფინა და შეხვევას შეუდგა.

შეშლილა გააღვიძა თავბრუ მალამო ეხვეოდა. არ იცოდა, რამდენი ხანი ეძინა, რა ღრო გავიდა. მზე გადახრილი იყო. ამორძალისაკენ მიიხედა. ქალ პირით მისკენ იწვა. მეს გაღვიძებან უცდიდა.

გიორგის გაახსენდა, მალამო რომ გამოუცვალა. — „ნუთუ მას აქეთ მეძინა?! — წამოჭდა, სახეზე ხელი მოისვა, თავი გაიჭნია. თავბრუ აღარ ეხვეოდა, მაგრამ ტყვილი კი იგრძნო. ყრუ თითქოს ცივი ტყვილი. მზეს ახედა, გაიგო რა ღრო იყო, მაგრამ არ იცოდა, რამდენჯერ დაღამდა და გათენდა მას აქეთ, ამორძალს მალამო რომ გამოუცვალა. — მშია... იპაპე ეშვიება“.

ამორძალს სახე ისევ წამონთებული ჰქონდა, თვალები ამღვრეული ჰქონდა. გიორგიმ დაინახა, რომ იგი ცუდად იყო, სიციხე არ შენელებია.

— დიდი ხანი მეძინა? — ჰკითხა ამორძალს.

— არ გეძინა.

— არ მეძინა?!

— ძილღვიძილში იყავი ორი დღე და ღამე.

— ორი დღე და ღამე?!

— ორი დღე და ღამე ბორგავდი, კენსოდი, შამფურივით ტრიალებდი.

— ახლა კარგადა ვარ.

— კარგადა ხარ. — კმაყოფილებით უთხრა ამორძალმა.

— შენ როგორა ხარ?

— არ ვიცი.

— ჭრილობა გტკივა.

— არა.

— გტკივა, — უთხრა გიორგიმ. სიციხე გაქვს. არა გშია?

— არა მშია.

— გშია. ხურჩინში მაქვს საკმელი.

— შენი ცხენი აქ არის. — უთხრა ამორძალმა.

— სად?!

— იმ ბუჩქების გადაღმა.

— რა იცი, რომ ჩემი ცხენია?!

— ცხენმა იცის თავისი პატრონი.

— პო, ცხენმა იცის თავისი პატრონი.

— იმ ბუჩქებს არ გამოვრებიო, — უთხრა ამორძალმა. — მოვიდოდა, დაგხედავდა, იღვა, ხენეშოდა, ტიროდა, დიდხანს იღვა. მერე ისევ იმ ბუჩქებს იქით გავიდოდა. იქ ტიროდა, იქ ხენეშოდა. არ ძოვდა. ცხენი ადამიანივითაა.

— ადამიანივით?!

— ადამიანივით.

„სხვა მოვეკლათ და თვითონ ვიცხოვროთო, თქვა მან. ის კი მოაწონს, ცხენი ადამიანივით რომაა“, — გაიფიქრა გიორგიმ და ამორძალს დააკვირდა.

— რა არის იმაში კარგი, ცხენი ადამიანივით რომაა?!

— პირუტყვსაც აქვს გული. — უთხრა ამორძალმა.

გიორგი გაოცდა:

— ადამიანს?!

ამორძალმა არ იცოდა, რა ეპასუხა. გრძნობდა, ისე აღარ ფიქრობდა, როგორც წინათ, ორი დღის წინათ გიორგისთან ლაპარაკისას. ახლა გიორგიში ხედავდა იმას, რაც არც ერთ ადამიანში არ უნახავს.

ამორძალი შემფოთებით, დაბნეულად უყურებდა და აღარ გაუმეორა კითხვა.

— რა გქვია?

— ელა. — უთხრა ამორძალმა.

გიორგის მოეწონა ამორძალის სახელი.

— ელა, — გაიმეორა და გაუღიმა.

ამორძალი სამი დღე-ღამის უძინარი, სიცხიანი თვალებით შეპყურებდა, ტყვილით, შიმშილით, სისუსტით გატანჯული სახე ჰქონდა.

გიორგი დიდი წვალებით წამოღვა და ბუჩქებისაკენ წავიდა. მუხლი მკეცებოდა, წონასწორობას კარგავდა, მაგრამ მაინც მიდიოდა, რომ ცხენისათვის ხურჯინი მოეხსნა.

ცხენი ბუჩქებს იქით იღვა, ეტყობოდა, გიორგისა და ამორძალის ლაპარაკს უსმენდა და დაყურადებული იცქირებოდა. დაინახა თუ არა პატრონი, ლაღად დაიჩივინა, მიეგება. გიორგიმ

კისერზე ხელი დაუსვა, მიუაღერსა. პატრონი რომ ფეხზე დაინახა, ცხენი სიხარულისაგან აკანკალდა. აფრტუხუნდა, მაგრამ გიორგიმ ყურადღება აღარ მიაქცია, არ ჰქონდა ამის თავი. უნაგირის კეხზე მიბმული ხურჯინი და დახვეული ნაბადი მოხსნა, იქვე დადო, მერე მოსართავები მოუშვა. ცხენმა შვეზით ამოიპუნთქა. მოხადა უნაგირი, წახსნა ლაგამი.

— წადი! — უთხრა ცხენს, გავაზე ხელი დაჰკრა. — იბალახე.

ცხენი შეტრიალდა, ჯირითითა და კუდის ფრიალით გაიჭრა მინდორზე. ამით გამოხატა სიხარული, კმაყოფილება. პირუტყვსაც აქვსო გული. გიორგის წარმოუდგა ამორძალის სიცხით ანთებული თვალები, შიმშილით, ტყვილით გატანჯული სახე. რამდენადაც შეეძლო, სწრაფად მიტრიალდა, ამორძალისაკენ გაეშურა, მიიტანა მასთან ხურჯინი, ნაბადი, უნაგირი. ნაბადი გაშალა და გვერდით დაუფინა.

— აი, ლოგინი, ელა. — ფრთხილად გადააწვინა ნაბადზე, თავქვეშ უნაგირის ბალიში დაუდო. სახვევს გამოგიცვლი და მერე გაქმევე.

ამორძალს შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, მაგრამ არ უთხრა, მშაო. გიორგიმ ჯაჭვი და კვართი აუქცია. ამორძალმა ძუძუებზე ხელები დაიფარა. — „ეს იმის ნიშანია, რომ უკეთაა“. — გაიფიქრა გიორგიმ. სახვევი შეხსნა, თიკვი ააძრო.

— ოპო, პირი შეუტრავს. კიდეც რამდენიმე დღე და შეზორცდება.

— არ დავიციდი რამდენიმე დღეს. — უთხრა ამორძალმა.

— აბა რას იზამ? — გაუკვირდა გიორგის.

— წავალ.

— სად წახვალ?

— ჩემს ურდოში.

— არ გავიშვებ შენს ურდოში.

— რატომ არ გამიშვებ?

გიორგი შეყოყმანდა. ვერ უთხრა, შენში ამა ოქრო უნდა მივიღოვო.

— არ გავიშვებ შენს ურდოში. — უთხრა ისევ.

— გავიქცევი, თუ არ გამიშვებ. — არ უნდოდა არც წასვლა, არც გაქცევა და მაინც უთხრა, გავიქცევიო.

— ვერ გაიქცევი.

— რა გინდა ჩემგან?!

— ადამიანის კვლას უნდა გადაგაჩვიო.

— ვერ გადამაჩვევ, — უთხრა ამორძალმა. — არ გადავეჩვევი.

გიორგიმ ჭრილობა შეუხვია, ჩამოუწია კვართი.

— რატომ არ გადაეჩვევი?! — ჰკითხა გიორგიმ. არაყი, მალამო და თიკვები აბგაში ჩადო და ხურჯინს თავი წახსნა. — ისევ კვლა გინდა, რბევა და თარეში გინდა?

— მინდა, — უთხრა ჭიუტად ამორძალმა და განაგრძო: — წინათ თურმე ჩემი ხალხი არ კლავდა, არ არბევდა, არ თარეშობდა. გექონდა მიწა, ბალი, ვენახი, გექონდა სოფელი და ქალაქი... ქალები შეიღებს აჩენდნენ, ოჯახს უვლიდნენ, ჭმრებს უვლიდნენ. კაცები ხნავდნენ, თესავდნენ... არ კლავდნენ, არ არბევდნენ, არ თარეშობდნენ... იწყევდნენ ხორბალსა და ყურძენს, უვლიდნენ ჭოგებს, ფარებს, ცხენთა რემას... გვეყოფნიდა მიწა, ჩვენი სარჩო-საბადებელი, — გაცხარებით, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, სიცხემ აუწია და უფრო აღაგზნო. — ერთხელ ჩვენს მიწაზე სხვები მოსულან, დაუნგრევიათ სოფლები და ქალაქები, გადაუწვიათ ყანები, აუჩეხიათ ვენახები, ბაღები, წაურთმევიათ ჭოგები, ფარები, ცხენები, გადაუბუგიათ მიწა... ამოუწყვეტიათ მამაკაცები, — დაიღალა, გული ყელში მოაწვა. მაინც სწრაფად ლაპარაკობდა, ემზინოდა არ დავიწყებოდა, რიბი თქმა უნდოდა. — რატომამო? ტიროდნენ ქალები, რატომამო? სხრიალეზდნენ ბავშვები... თურმე იმ სხვებს არ ყოფნიდათ სარჩო-საბადებელი, არ ყოფნიდათ მიწა... სარჩოსათვის კლავდნენ, არბევდნენ, — ტუნზე ენა მოისვა, სული მოთქვა და განაგრძო: — არ ყოფნიდათ

მიწა და მიწისათვის კლავდნენ, არბევდნენ, კლავდნენ, რომ თვეთონ ეცხოვრათ... ჩვენი მიწიდან გვერდობდა მას შემდეგ აღარა ვხნავთ, აღარა ვთესავთ, აღარ ვაშენებთ ბაღსა და ვენახს, აღარ ვაშენებთ სოფელსა და ქალაქს... ჩვენ არ დაგვინდეს და არც ჩვენ ვინდობთ სხვებს... შენ თქვი, მიწა დიდიაო. ერთ დროს ჩვენთვისაც დიდი ყოფილა მიწა, ახლა ჩვენთვის პატარაა იგი, ახლა გვძულს, ჩვენი არ არის და გვძულს...

— ჩვენ არ გვძულს მიწა, — ნაბაღზე ხურჯინიდან ამოღებული ჭვავის პური, მათარით წითელი ღვინო, ატმისა და ვაშლის ჩირი, გამხმარი სულგუნი და თევზი ელაგა. — მიწა გვაკვებავს, მიწა გვაკმევს ამას.

— მიწა იმას არ ძულს, ვისაც აქვს, ვისაც კვებავს, ვისაც აკმევს, — უთხრა ამორძალმა. — ასე ამბობს ჩემი ურდო, — ამორძალმა არ იცოდა რატომ ჰყვებოდა ამას, რა რჯიდა, რა აიძულებდა. სიტყვები თავისით ამოსდიოდა პირიდან და არ ძალუძდა მათი შეკავება. — ჩვენი გვაკმევდა მიწა... პურს, გვეზრდიდა შეიღებს, ჩვენს ფეხქვეშაც ჰყვავდა მიწა... ახლა მიწა ჩვენს ფეხქვეშ იწვის... ვიპყრობთ მას, ვარბევთ, ვბუგავთ ისე, როგორც ჩვენ დაგვარბიეს და გადაგვბუგეს და ვხარობთ ამით... ამაში ვხედავთ ცხოვრების აზრს, ამაში ვპოუვებთ სიხარულს.

გიორგი გაოცებული იყო ამ ახალგაზრდა ქალის, სიცხით გათანგული, მშვიერი, ჭრილობით გაწამებული, დასუსტებული ქალის, ასეთი დალაგებული, აზრიანი ლაპარაკით, არ ელოდა ამ გველურებული ქალისაგან ასეთ სიტყვებს.

— ბრძოლით ნაშოვნით ეცხოვრობთ, — განაგრძობდა ამორძალი. — ამ შენს საქმელს ჩემთვის გემო არ ექნება, იგი ჩემი ნაშოვნი არ არის, ნაძარცვი არ არის, წართმეული არ არის, მაგრამ მე მაინც შევეჭმე, რომ ვიცოცხლო, რომ კვლავ შევეძლო ბრძოლა, წართმევა, ძარცვა, ხმლისა და შუბის აღება, რომ

ისევ მოვიდევ ამ მიწაზე და მოვარბიო, ეკამო ძალით, ბრძოლით წართმეული, — გაჩუქდა, სახეზე ხელი ჩამოისვა, გახურებული ხელი. შეისვენა და მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძო: — ჩვენ არ ვცხოვრობთ, თუ არ ვიბრძვივით, არ ვხარობთ, თუ არ ვიმარჯვებთ, — გამოართვა ღვინოში ჩამბალი პური — ბოლიწო და უკბიჩა. არ იგრძნო გემო, გრძნობდა ტკივილს, უბნელდებოდა თვალი, ეშვებოდა უფსკრულში, ეშვებოდა ნელა, მსუბუქად, რწევით. უჭრებოდა სიცოცხლის შუქი, უცივდებოდა ხელ-ფეხი, უცივდებოდა ტანი. უხვედებოდა და მაშინ, ვარდნა რომ თავდებოდა და უფსკრულის ფსკერზე უნდა დაცემულიყო, კვლავ აუციმციმდებოდა სიცოცხლის შუქი და ის შუქი კი არ იყო, გიორგის სახე იყო, ის შუქი გიორგის თვალებიდან მოდიოდა, უთბობდა ტანს, სულს, ხელ-ფეხს. — „ადამიანი სიყვარულისათვის ცხოვრობს... სიყვარულმა კვლა არ იცის... — ესმოდა გიორგის ხმა და მისი ტანი ისევ ნელა ამოდიოდა უფსკრულიდან, მსუბუქად, რწევით. არ იცოდა, რამდენი ხანი გრძელდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი. ის სიცოცხლის შუქი ხან აციმციმდებოდა, ხან უჭრებოდა, ის შუქი გიორგის სახე იყო, ის შუქი გიორგის თვალებიდან მოდიოდა, ესმოდა გიორგის ხმა: „ადამიანი სიყვარული-სათვის ცხოვრობს... სიყვარულმა კვლა არ იცის...“

## 5

თვალი გაახილა. გიორგი ისევ ისევ ეჯდა წინ, ის შუქი ერთო თვალებში. ამორძალი მიხვდა, მთელი ღამე ასე იჯდა გიორგი, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭია, არ მოშორებია. ამას ამბობდა მისი დადლილი, დაქანცული სახე, თვალები, მისკენ მიპყრობილი, მისთვის მზრუნველი.

მთელი ღამე დარაჯობდა მის სიცოცხლეს გიორგი.

## 6

რამდენჯერმე დაღამდა და გათენდა. აღარ უბნელდებოდა თვალი, არ იძირებოდა უფსკრულში, არ უცივდებოდა ხელ-ფეხი, არ უცივდებოდა ტანი. სიბო ედგა სულში, ტანში, გულში. ხელი ასწია. რა მძიმე იყო ხელი და რა მსუბუქია ახლა, სახეზე მოისვა. აღარ იყო გახურებული სახე, აღარ იყო გახურებული ხელი. დღე იდგა მის თვალებში, მზე იდგა მის თვალებში.

შორს თოვლიანი და ყინულიანი უშბა მოსჩანდა, შხელდა, თეთნულდი და შხარა მოჩანდა. თეთრად, ცისფრად, მწვანედ, ალისფრად ბრწყინავდა თოვლი და ყინული, რუხად ბზინავდა უშბას ალაგ-ალაგ შიშველი პიტალო. არასოდეს არ უნახავს ასე აჭრელებული თოვლი, ყინული და პიტალო. ასევე აჭრელებული იყო, აფერადებული იყო მწვერვალების თავზე დაკიდებული ღრუბლებიც.

ისევ მოისვა სახეზე ხელი. გაჰჭრა ფერები. მაშინვე გიორგი გაახსენდა.

თეთრად გათენებული ღამეების შემდეგ გიორგის მკვდარივით ეძინა. სიზმარს ხედავდა. ელას თითები სახეზე ეხებოდა, შემოხაზეს ბაგე და რბილად შეჩერდნენ. იგრძნო თბილი, თითქმის ცხელი სუნთქვა, იგრძნო ელას ბაგის გაუბედავი შეხება. სული შეუკუბდა. დამათრობელი სურნელი ჰქონდა ამ გველურებული ქალის ბაგეს, პატარა, მრგვალ ბაგეს. უნდოდა დიდხანს შეჩერებულიყო ელას ბაგე მის ბაგეზე.

იცოდა, რომ ეს სიზმარი იყო და მაინც ეჭიდებოდა სიზმარს. ტკბილ სიზმარს, თავბრუდამხვევ სიზმარს, ჭერ განუცდელ სიზმარს. სიზმარი წასვლას აპირებდა. უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო სიზმარი, მაგრამ ნელ-ნელა ნელდებოდა თბილი სუნთქვა, ნელა შორდებოდა ელას ბაგე მის ბაგეს... წავიდა, გაუსხლტა სიზმარი. შეწუხებულს, შეშინებულს, მაშინვე გაეღვიძა. იწვა განაბული, შემკრთალი და სიზ-

მარს უღიმოდა, მერე ელასაყენ გადაბრუნდა.

ელას თვალები ცივად აღარ უყურებდნენ, ვერ ფარავდნენ სითბოს, ვერც ბაგე ფარავდა სითბოს, ვერც გული ფარავდა სითბოს.

გიორგი შეჰყურებდა მის თვალებს, მის ბაგეს, გრძნობდა მისი ბაგის სურნელს და ეგონა, კვლავ სიზმარში იყო. ლამაზი, დამატყვევებელი იყო დილის ციმციმით განათებული ელას სახე, მისი კრიალა თვალები, ოდნავ გაპოხილი მოციმციმე ბაგე.

— შენ სიზმარს ხედავდი. — უთხრა ელამ.

— კარგ სიზმარს.

— რა ნახე? — ჰკითხა ელამ.

— შენ მორჩენილი იყავი.

— მე მართლა მოვრჩიი. — უთხრა ელამ.

— ჰო, შენ მორჩენილი ხარ. სულ არ გტკივა ჰრილობა?

— სულ არ მტკივა.

ახლო იწვნენ ერთმანეთთან. ელა ნაბაღზე, გიორგი — მიწაზე. ელა კაცთან ასე ახლო არასოდეს წოლილა. არც გიორგი წოლილა ქალთან ასე ახლოს. აქამდე თუ სიძულელი იდგა ელას თვალში, ახლა კარგი შიშით შესცქეროდნენ გიორგის.

— ნუთუ ეს შენი თვალებია, ელა?! — ჰკითხა გიორგიმ.

ელა ვერ მიხვდა, რატომ ჰკითხა, ეს შენი თვალებიაო.

გიორგიმ ხელი ხელზე მოკიდა.

ელამ არ გამოაცალა ხელი, სული განაბა, უნდოდა თვითონაც მოეკიდა ხელი და ვერ ბედავდა. იწვნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ, ორივე შემკრთალი, ორივე შეშფოთებული, ორივე აღტაცებული და გალამაზებული.

„ნეტა ხელი არ გამიშვას“, — ფიქრობდა ელა და ეს რომ ხმამაღლა არ ეთქვა, რა გქვიაო ჰკითხა.

— გიორგი მქვია.

— გიორგი, — გაიმეორა ელამ. ასეთი სახელი არ გაეგონა თავის ურდოში. — გიორგი! — ისევ გაიმეორა.

დახარეს თვალი, ველარ უსწორებდნენ ერთმანეთს და გრძნობდნენ, რომ ეს კარგი იყო. თვალების მაგივრობას ხელები წვედნენ, გულის მაგივრობას ხელები წვედნენ, ბაგეების მაგივრობას ხელები წვედნენ, გონების მაგივრობას ხელები წვედნენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს იწვნენ ასე ხელჩაკიდებულნი.

— მთელი კვირაა მიწაზე წევხარ, — დაარღვია ბოლოს დუმილი ელამ.

კვლავ შეხედეს ერთმანეთს. ელამ გაიწია, გიორგის ნაბაღზე აღგილი დაუთმო.

— ცივია მიწა, გიორგი.

გიორგი ნაბაღზე გადაწვა.

— ჰრილობა სულ აღარ გტკივა? — ჰკითხა ისევ გიორგიმ, რომ უხერხული დუმილი დაერღვია.

— სულ არ მტკივა. — უთხრა ელამ.

— კარგია.

— რა არის კარგი? — ჰკითხა ელამ.

— რომ სულ არ გტკივა.

— რომ მომეკალი, ვინ მომარჩენდა, გიორგი?

— მე რომ მომეკალი, აქ არ იწვებოდი, ელა.

— რა იქნებოდა, აქ რომ არ ვიწვებოდი? — ჰკითხა ელამ.

— კარგი არ იქნებოდა.

— რატომ არ იქნებოდა კარგი?

— არ ვიცი.

— რატომ არ იცი, გიორგი?

— არ ვიცი, ელა... კარგი არ იქნებოდა.

— ერთ ნაბაღზე დავეტიეთ, გიორგი.

— შენ მიწა გეპატარაებოდა, ელა.

— უთხრა გიორგიმ. — ვისაც ერთმანეთი უყვართ, თონის ტარზედაც დაეტყვიან.

— მართლა, გიორგი?

— მართლა, ელა.

ელამ გაუღიმა.

— მასწავლე სიყვარული, გიორგი.

გიორგიმაც გაუღიმა.

— სიყვარული არ ისწავლება, ელა.

— რატომ არ ისწავლება სიყვარული?

— არ ვიცი.

— აბა, როგორ შეუყვარდებათ ერთმანეთი?!

— თავისით.

— თავისით?!

გიორგიმ თავი დაუქნია და ისევ გაუღიმა:

ელასათვის არავის გაუღიმა ასე.

— როდის ვისწავლი თავისით, გიორგი?

— ვერ გეტყვი, ელა.

— რატომ ვერ გეტყვი, გიორგი?!

— სიყვარული თავისით მოვა, ელა.

— თავისით?!

— თავისით.

ელა გაკვირვებული უყურებდა.

— რომ არ ელი, ისე მოვა, უცებ.— უთხრა გიორგიმ.

— უცებ?!

— უცებ, — უთხრა გიორგიმ. — არ ელოდები და უცებ მოვა ერთ მშვენიერ დღეს.

— როდის იქნება ეს უცებ, ეს მშვენიერი დღე?

— ვერ გეტყვი, ელა. ეს არავინ იცის... შეიძლება ერთი დღის შემდეგ, მოვიდეს, შეიძლება ერთი წლის შემდეგ მოვიდეს, შეიძლება სულ არ მოვიდეს.

— რატომ არ უნდა მოვიდეს სულ?!

— შეკრთა ელა.

— ისე, სიტყვაზე ვთქვი... ზოგთან შეიძლება მართლა არ მოვიდეს. შენთან მოვა, ელა.

— რა იცი, რომ ჩემთან მოვა?!

— იმედით ჰკითხა ელამ.

— ვიცი. უსათუოდ მოვა შენთან...

— როდის, როდის? — მოუთმენლად ჰკითხა ელამ.

— ავი გითხარი, შეიძლება ერთი დღის შემდეგ მოვიდეს, შეიძლება ერთი წლის შემდეგ მოვიდეს-მეთქი.

— არ მინდა ერთი დღის შემდეგ. არ მინდა ერთი წლის შემდეგ. — უთხრა უცებ ელამ.

— ელა!

— არ მინდა ერთი დღის შემდეგ, არ მინდა ერთი წლის შემდეგ.

გიორგიმ გაუცინია.

— ახლა მინდა. — უთხრა ელამ.

გიორგიმ ისევ გაუღიმა.

— რატომ იცი, განსტეგი?

— კარგია სიყვარული ელა.

— კარგია. — გაიმეორა ელამ.

— ძალიან კარგია სიყვარული, ელა.

— ძალიან კარგი ყოფილა სიყვარული, გიორგი.

— სიყვარულს ქვეყანაზე არაფერა შეედრება, ელა.

— არაფერი, გიორგი.

— სიყვარული ბედნიერებაა, ელა.

— შენთან უცებ მოვიდა სიყვარული, გიორგი?

— უცებ... ოღონდ სხვა დამეხმარა.

— მე ვინ დამეხმარება, გიორგი?

— არ ვიცი, ელა.

— მე ვინ დამეხმარება, გიორგი?

— ვინმე დაგეხმარება.

— შენ დამეხმარე, გიორგი, — უთხრა ელამ თავისდამოულოდნელად.

— მე?!

— შენ დამეხმარე, გიორგი!

— მე?! მე ვერ დაგეხმარები, ელა.

— რატომ?! — შიშით ჰკითხა ელამ.

— არ ვიცი, ელა.

— რატომ არ იცი, გიორგი?

— არ ვიცი, ელა.

— მითხარი, რატომ ვერ დამეხმარები!

— მე სხვა მიყვარს, ელა.

— მეც შემეყვარე, გიორგი.

— ორის შეყვარება არ შეიძლება, ელა.

— რატომ არ შეიძლება ორის შეყვარება, გიორგი?!

— არ ვიცი, ელა.

გიორგიმ ვერ უპასუხა, რატომ არ შეიძლებოდა ორის შეყვარება.

— რატომ არ შეიძლება ორის შეყვარება, გიორგი?

— მთავარს უნდა მიგვევარო, — უთხრა გიორგიმ, რომ არ ეთქვა მიყვარხარო. უყვარდა. ეს დღეები თურმე იმიტომ ევლებოდა თავზე, არ ეძინა, არ ჰამდა, არ სვამდა. ელასათვის ინახავდა საჭმელს.

— რატომ უნდა მიმგვარო მთავარს, გიორგი?



— მთავარმა ბრძანა, ვინც ტყვე ამორძალს მომგვრის, დიდ ჭილდოს მიეცემო.

— იმიტომ გადამარჩინე სიკვდილს, რომ მთავარს მიმგვარო?! — ჰკითხა ჩავარდნილი ხმით ელამ.

— იმიტომ. — უთხრა მოჩვენებითი სიმშვიდით გიორგიმ.

— რომ ჭილდო მიიღო?! —

— რომ ჭილდო მივიღო.

— გიორგი!

გიორგიმ თვალი აარიდა.

— გიორგი!

თითქოს შორიდან შეესმა ელას ხმა.

— რას მიიღებ მთავრისაგან ჭილდოდ? — ჰკითხა ელამ.

გიორგიმ ვერ იცნო მისი ხმა.

— რას მიიღებ მთავრისაგან ჭილდოდ, გიორგი?

— არ ვიცი, — უთხრა გიორგიმ. არ უთხრა, ას ოქროს მივიღებო.

— რას მიიღებ ჭილდოდ, გიორგი?

— არ ვიცი, — უთხრა გიორგიმ ისევ.

— იარაღს?

— შეიძლება.

— ცხენ-უნაგირს?

— შეიძლება.

— ვერცხლს?

— შეიძლება.

— ოქროს?

— შეიძლება, — უთხრა გიორგიმ და გაიფიქრა — ასეთი ტყვისათვის ათას ოქროსაც არ დაიშურებს ჩემი მთავარი.

— მაშ იმიტომ გადამარჩინე სიკვდილს, რომ ჭილდო მიიღო?

— იმიტომ გადაგარჩინე. — უთხრა გიორგიმ და წამოდგა.

— არ წახვიდე, გიორგი.

გიორგი ელასაკენ მიტრიალდა. ისეთი თხოვნით უყურებდა ელა, ისეთი ვედრება ედგა თვალებში, ეხატა სახეზე, გიორგიმ ნაბიჯი ვერ გადადგა.

— ჩემთან უცებ მოვიდა ის სიყვარული, გიორგი. — უთხრა ელამ.

გიორგის გაქცევა უნდოდა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა.

— ჩემთან უცებ მოვიდა ის სიყვარული, გიორგი.

გიორგი თავჩალუნულნიღბა.

— შენ დამეხმარე, გიორგი და უცებ მოვიდა ის სიყვარული.

— მე არა. — უთხრა მკაცრად გიორგიმ და თავი ასწია.

— შენ არ იცი, გიორგი... შენ დამეხმარე, გიორგი.

— მე სხვა მიყვარს, ელა.

— სხვაც გიყვარდეს, გიორგი.

— მთავარს უნდა მიგგვარო...

— ნუ მიმგვრი მთავარს, გიორგი.

— მუდარით უთხრა ელამ.

— ჭილდოზე უარს ვერ ვიტყვი... ასი ოქრო უნდა მივიღო შენში.

— ას ოქროში ნუ გამცელი, გიორგი. გიორგის მოეჩვენა, რომ ციკამ დაილაპარაკა იქ, მდინარის პირას.

— გაჩუმდი, ელა.

— ას ოქროში ნუ გამცელი, გიორგი. გიორგის ციკა დაუდგა თვალწინ.

— მე სხვა მიყვარს, ელა.

— სხვა გიყვარს! — ელა შეშფოთებით შესცქეროდა ქვევიდან.

— სხვა მიყვარს, — უთხრა ისევ გიორგიმ. — სიყვარულს ვერ ვუღალატებ, ელა.

ელა წამოჭდა.

— მეც შემეყვარე, გიორგი, — უთხრა გიორგის სასოწარკვეთილებით.

— ქალი არ თხოვს მამაკაცს სიყვარულს.

— რატომ?

— ეს სირცხვილია, ელა.

— მე არ მრცხვენია, გიორგი.

— ეს სირცხვილია, ელა.

— მე არ მრცხვენია სიყვარულის, გიორგი. — დაიყვირა ელამ.

გიორგიმ სახე მიაბრუნა.

— ორი დღეა ლუქმა არ ჩავსვლია პირში, — სიტყვა ბანზე აუგდო გიორგიმ. — ტყიდან ფუტკრის ბზუილი ისმის. ხეში იქნება ჩაბუდებული. წავალ, იქნებ მივაგნო. თაფლს მოვიტან.

— არ წახვიდე, გიორგი! არ მინდა თაფლი... არ მშობი, გიორგი.

— მე მშია. — უთხრა გიორგიმ, შეტრიალდა და წაივინა.

ელამ არ დაუძახა. იცოდა, არ მობრუნდებოდა.

გიორგი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, თითქმის სირბილით. გრძნობდა, ელა უყურებდა იმ მკვედრებელი თვალებით, ეშინოდა, არ შეეჩერებინა იმ თვალებს, იმ სახეს, და გაიქცა, ხეებს მიეფარა.

7

ტყე მეჩხერი იყო. ერთმანეთში არეული მუხა, წიფელი, ცაცხვი, თელა და ბზა შორიშორს იდგა. იმის გამო, რომ ტყე მეჩხერი იყო, მიწა ბალახითა და სხვადასხვა ყვავილებით იყო აჭრელიბული.

გახურებულ ბალახსა და ყვავილებში მსხვილი, რუხი ფუტკრები ფუსფუსებდნენ, ღრმად იყვნენ ჩაფრენილები გრძელი ხორთქმით ყვავილების გულში. ჩემი, ყრუ ბზუილი იდგა შუადღის სიციხით გარინდულ ტყეში, ყვავილებსა და მწიფე ბალახის სურნელით გაბანვულ ტყეში.

მუხლებამდე ბალახსა და ყვავილებში მიაბიჯებდა. ფეხის ყოველი გადადგმისას უკმაყოფილო ბზუილით აფრინდებოდნენ ფუტკრები. გიორგი არ ხედავდა ფუტკრებს, არ ესმოდა მათი ბზუილი. მისი გონება ელაზე ფიქრით იყო მოცული. შიოდა, მაგრამ მაინც არ ხედავდა ფუტკრებს, არ ეძებდა თაფლს.

ვერ გაიგო, როგორ მოექცა მდინარის თავზე. შედგა და ტაფობისაკენ მიტრიალდა. იქ, ქვევით ელა იწვა. „მეც შემოყვარე, გიორგი... მე არ მრცხვენია სიყვარულის, გიორგი!“ — შეესმა ელას ხმა. ხელი აიჭნია, რათა მოეშორებია ელას ხმა, მაგრამ ელა გაშმაგებით იმეორებდა: — „მეც შემოყვარე, გიორგი... მე არ მრცხვენია სიყვარულის, გიორგი!“ — მოწყდა ადგილს და გაიქცა. გაექცა ელას ხმას, გაექცა ისე, როგორც იქ, ქვევით გაექცა ელას.

მირბოდა და უკან მისდევდა ელას

ხმა, მირბოდა და უძილო ღამეებისაგან, სიციხისაგან, შიმშილისაგან, თავის ტყვილისაგან, მღელვარებისაგან დასუსტებული ფეხები ებლანდებოდა, მუხლები ეკეცებოდა, სული ყელში აწვებოდა, გული ყელში აწვებოდა, სახეზე ოფლი ასკვებოდა. თავი ველარ შეიკავა და პირქვე დაემხო მიწაზე.

იწვა, სულს ითქვამდა, გახურებული ბალახი სახეს უწევდა, მაგრამ არ გრძნობდა. — „მეც შემოყვარე, გიორგი... მე არ მრცხვენია სიყვარულის, გიორგი!“ — შეესმა ისევ ელას ხმა. თავი ასწია.

— ციცა?! ციცას რა პასუხი გავცე? — აღმოხდა ხმამალა.

მთებმა, ხევებმა, ტყემ გაიმეორა მისი სიტყვები, მაგრამ პასუხი არ მიიღო.

— ციცას რა პასუხი გავცე?! — დაიყვირა. თითქოს მთებისაგან, ხევებისაგან, ტყისაგან ელოდა პასუხს.

მთები ღუმდა, ხევები ღუმდა, ტყე ღუმდა.

მხოლოდ ფუტკრების ბზუილი ისმოდა ჰაერში.

არც ეს ხმა ესმოდა გიორგის, არ ხედავდა ფუტკრებს, ცხვირწინ რომ ესხდნენ ყვავილებზე. ელა ედგა თვალწინ. — „მეც შემოყვარე, გიორგი... მე არ მრცხვენია სიყვარულის, გიორგი!“ — უხმოდ ირხეოდნენ ელას გაფითრებული ტუჩები.

— ციცას რა პასუხი გავცე? — უხმოდ შეირხნენ გიორგის ტუჩებიც. შეესმა ნაბიჯით შერხეული ბალახის შრიალი. თავი ასწია.

ციცა მოდიოდა მისკენ.

წამოდგა გიორგი.

შედგა ციცა მის წინ.

— არ მილაღატო, გიორგი! — უთხრა ციცამ იმ ხმით მდინარის პირას რომ უთხრა.

გიორგიმ თვალი დახარა.

— მეც შემოყვარე, გიორგი!

გიორგიმ თვალი აახილა.

ციცას გვერდით ელა იდგა. ორივე მოლოდინით შეპყურებდა თვალში.

— გიორგი! — შეირხნენ ციკას ტუჩები.

— გიორგი! — შეირხნენ ელას ტუჩები.

გიორგი კრიჭაშვილი იდგა. იავე დახარა თვალი. დიდხანს იდგა ასე, ეშინოდა ახედვის. მერე გაიგონა ფუტკრების ბზუილი და გამოერყვა, თვალი აახილა.

ციკა და ელა აღარ იდგნენ მის წინ. სატეხე ხელი ჩამოისვა, ოფლი ჩამოშვინდა და შვებით ამოისუნთქა.

## 8

ელა პირით მალნარისაკენ იწვა, იმ მხარეს, გიორგი ხეებს რომ მიეფარა. ასე იწვა გიორგის მოსვლის შემდეგ, მის მოლოდინში. თვალი არ მოუშორებია ხეებისათვის. — „წავიდა... აღბათ, სულ წავიდა... არა, არ წავიდოდა... ჯილდოსათვის მთავარს უნდა მიმგვაროს. — იიმედებდა გულს. — დაბრუნდება... თაფლს მოიტანს, თაფლის სატეხნად წავიდა“. — დაიღალა ამ ფიქრით, დაიღალა შიმშილით, მოლოდინით, მღელვარებით, წუხილით. თვალი მაინც ხეებისაკენ ექირა.

მალნარზე ბინდი ეშვებოდა. ნელა, ზღაპრით ეშვებოდა.

„დაბრუნდება... თაფლის მოსატანად წავიდა“.

ხეების იქიდან ნაბიჯის ხმა მოესმა. ხეები შორს იყო. ელამ მაინც გაიგონა ნაბიჯის ხმა. ასი ყური ჰქონდა გამობმული, გული იქით ჰქონდა მიპყრობილი და გაიგონა ნაბიჯის ხმა.

მზე სწრაფად იწვედა დაბლა, თოვლიან მთებს იქით ეშვებოდა. მზის ყვითელი სხივები ზვიდან ქვევით მიცურავდა მალნარის ხეების ტანზე.

გიორგი ელასაკენ მოდიოდა.

— მოდის, — კინალამ დაიყვირა ელამ. წამოჯდა, წინ წაიწია, მთელი სულით წინ წაიწია. — მოდის!.. მოდის!..

მზის ყვითელი სხივები გიორგის

მხრებს ქვევით მიცურავდა, მიწისაკენ მიცურავდა.

ელას ეჩვენებოდა, გიორგი მდორე ყვითელ წყალში მოდიოდა. ყვითელი წყალი ნელა ირწყოდა. გიორგი დინჯად, მძიმედ მოარღვევდა ყვითელ წყალს.

ელას ეჩვენებოდა, თორემ გიორგი სწრაფად მოდიოდა.

მზე დაბლა იწვედა.

გიორგი წელამდე ყვითელ წყალში მოდიოდა.

ელას უნდოდა დაეძახა, ფეხი გადმოდგო.

გიორგი ფეხს სწრაფად აღგამდა. გიორგი მუხლებამდე ყვითელ წყალში მოდიოდა.

— თაფლი მოიტანე? — ისე ჰკითხა ელამ, გიორგი მის წინ რომ შედგა, თითქოს თაფლს ელოდა და არა გიორგის ასე მოუთმენლად, ასე სულწასულად, ასე გულისხეთქით. თვითონვე გაუკვირდა, ასე რატომ ჰკითხა, რატომ არ უთხრა გულისხეთქით გელოდიო. — დაბრუნდი, გიორგი? — შეხედა დაუფარავი სიხარულით.

— თაფლი მოგიტანე, — უთხრა გიორგიმ, წინ დაუღო წვრილი წნელით სახელდახელოდ შეკრული მომცრო ჩელტით თაფლის ფიჭა. — ისეთია, მარტო სუნი გავაძლებს, — დაჯდა, ფიჭა მოუტეხა და მიაწოდა, — ჭამე!

— დაბრუნდი? — თვალს ვერ აშორებდა ელა, თაფლისათვის არც დაუხედავს.

— დაბრუნდი, თაფლი მოგიტანე.

— თაფლი მომიტანე?

— ჭამე!

ელას ფიჭის ნატები ხელში ექირა. დახედა და უკბიჩა.

— ტკბილია? — ჰკითხა გიორგიმ.

— ტკბილია. — უთხრა ელამ.

— ჭამე! — უთხრა ისევ გიორგიმ.

ელამ ფიჭას ისევ უკბიჩა.

— სად იყავი აქამდე, გიორგი?

— ფუტკარს ვეძებდი ხეებზე.

— ამდენი ხანი?

— ამდენი ხანი. — უთხრა გიორგიმ.  
 — ვიფიქრე არ დაბრუნდებოდი.  
 — ცხენს ხომ არ დავეტოვებდი.  
 — ცხენისათვის დაბრუნდი?!  
 — ცხენისათვის დაებრუნდი.  
 — კიდეც რისთვის დაბრუნდი, გიორგი?  
 — კიდეც?.. არაფრისათვის.  
 — აკი მთავარს უნდა მიგგვაროო.  
 — ჰო, კიდეც მთავარს უნდა მიგგვაროო.  
 — ამიტომ დაბრუნდი?  
 — ამიტომ დაებრუნდი?  
 ელამ პირთან მიტანილი ფიჭა უკან დადო ზელტზე.  
 — ჭამე! — უთხრა გიორგიმ.  
 — მეტი აღარ მინდა.  
 — არ მოგეწონა.  
 — არ მომეწონა. — ელას არც უგრძენია თაფლის გემო.  
 შშის ყვითელი სხივები ხეების ქირამდე ჩამოცურდა, ბალახსა და ყვავილებს დაეფინა და გაქრა.  
 ტყე სიბნელემ მოიცვა.  
 სიბნელეში გაეხვივნენ ელა და გიორგი.  
 სიჩუმემ დაისადგურა მიწაზე.  
 ელა და გიორგი ერთხანს დაყურადებული ისხდნენ, ხმას არ იღებდნენ.  
 — დალამდა. — დაარღვია დუმილი ელამ.  
 — უცებ დალამდა. — თქვა გიორგიმ.  
 — ჩემთვის დალამდა.  
 გიორგიმ ყური მოიყრუა.  
 — კიდეც რამდენიმე დღე, კიდეც რამდენიმე ღამე და ფეხზე დადგები, — უთხრა გიორგიმ. — სულ მორჩები.  
 — არ მოვრჩები. — უთხრა ელამ.  
 — რატომ არ მორჩები?  
 — არ მოვრჩები.  
 ხეზე ჰოტმა იკივლა.  
 — ჰოტი. — თქვა გიორგიმ.  
 — ჰოტის ხმა ცუდის ნიშანია.  
 გიორგი ჩუმად იჯდა.  
 სიბნელეში ერთმანეთს ვერ ხედავდნენ.

ელა ნაბაღზე იჯდა, გიორგი მიწაზე. ჩუმად ისხდნენ. ელა შეშინებული, გიორგი დაფიქრებულად. ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრადელი ყოფდათ. მათ გულებს არაფერი ყოფდა. ერთმანეთისაგან სიბნელე ყოფდათ. მათ გულებს არაფერი ყოფდა. გახურებული ბალახი და ყვავილები თავბრუდამხვევ სურნელს აფრქვევდა, მაგრამ ისინი არ სუნთქავდნენ ამ სურნელით.

— ნაბაღზე გადმოჯექი, გიორგი! — უთხრა ელამ.

ბალახში და ყვავილებში ციცინათელები ციმციმებდნენ.

გიორგი არ გადაჯდა, ციცინათელებს უყურებდა, რომ ელაზე არ ეფიქრა.

— ნაბაღზე გადმოჯექი, გიორგი!

— ციცინათელები. — თქვა გიორგიმ.

— რაა?!

— ციცინათელები.

ელა გიორგის უყურებდა, მაგრამ სიბნელეში ვერ ხედავდა. გიორგი მაინც იღგა მის თვალებში. კუნაპეტა ღამე იყო, ჩუმი. წყნარი, განაბული, არ ირჩეოდა ფოთოლი, არ ისმოდა სულდგმულის ჩამჩუმო.

— სადაა ციცინათელები? — ჰკითხა გიორგის ელამ.

— ბალახებში და ყვავილებში. შეხე, რამდენია.

ელას გიორგი ედგა თვალებში.

— ბალახი და ყვავილები ციცინათელებს დაუნთხათ. — უთხრა გიორგიმ. ელას გიორგი ედგა თვალებში.

ციცინათელები ერთად აფრინდნენ ბალახიდან და ყვავილებიდან.

— შეხედე, ელა!

ციცინათელები ელასა და გიორგის გარშემო დაფრინავდნენ. ინთებოდნენ და ქრებოდნენ, ინთებოდნენ და ქრებოდნენ.

— ლამაზად ციმციმებენ. — თქვა გიორგიმ.

— ა?

— ლამაზად ციმციმებენ. — თქვა ისევ გიორგიმ.

— ჰო, ლამაზად ციმციმებენ. —  
ოქვა ელამაც, მაგრამ ციციანათელებს  
არ უყურებდა.

— თითქოს ჩინჩხლებს ისვრიანო.

— ჰო, თითქოს ჩინჩხლებს ისვ-  
რიან.

— მოგწონს ციციანათელები? — ჰკი-  
თხა გიორგიმ.

— მომწონს, — უთხრა ელამ. — მე  
ახლა ყველაფერი მომწონს, ყველაფე-  
რი მიყვარს. ეს ბალახი, ეს ყვავილები,  
ეს ნაბადი, ეს მიწა, ეს ცა, ეს უუუნე-  
თი ღამეც.

„რატომ ვკითხე? არ უნდა მეკითხა“.

— რად გაჩუმდი, გიორგი?

— გაჩუმდი?!

— რად გაჩუმდი, გიორგი?

— ციციანათელებს ვუყურებ. — სხვა  
ყველაფერი მიუგო გიორგიმ.

— ლამაზად ციმციმებენ, — ელამ  
ციციანათელებს შეხედა, ხელი გაიწვ-  
დინა და ციციანათელა დაიჭირა. — და-  
ხედე გიორგი! — ციციანათელა ხელის-  
გულზე ეჭდა.

გიორგიმ დახედა.

— გამომართვი.

გიორგიმ ხელი გაუწოდა. ელამ ხელ-  
ზე დაუსვა ციციანათელა. ხელები ერთ-  
მანეთს შეეხნენ. გიორგიმ უკან გას-  
წია ხელი.

— ციციანათელის შეგეშინდა?

— შემეშინდა. — უხერხულად გაი-  
ცინა გიორგიმ.

— ციციანათელა არ იკბინება, გიორ-  
გი.

გიორგიმ ხელი დაიჭინა და ციციან-  
თელა დააგდო.

— რატომ დააგდე?!

გიორგიმ არ უპასუხა. უნაგირის თო-  
ქალთო დაკეცა, დაწვა, თავჭვეშ ამოი-  
ღო.

— დაწევი! — უთხრა ელას.

ელა არ დაწვა.

— ნაბადზე გადმოწევი, გიორგი.

გიორგიმ ზურგი შეაქცია.

სიბნელეში ციციანათელები ირეოდ-  
ნენ. ციმციმებდნენ და ქრებოდნენ.  
ელას თვალწინ დაფრინავდნენ. ელა არ

ხედავდა. მის გონებაში სხვადასხვა  
ფიქრები ირეოდა და ამიტომ არ უპასუ-  
ხა, მის გონებაში სხვადასხვა ფიქრე-  
ოდა.

— გიორგი, — უთხრა ჩუმად ელამ, —  
სიხარული ციციანათელას ციმციმივით  
ხანმოკლე ყოფილა.

„ჰო, სიხარული ციციანათელას ციმ-  
ციმივით ხანმოკლე ყოფილა“. — გაიმე-  
ორა ფიქრში გიორგიმ.

— ჩემთვის აქამდე სიხარული მხო-  
ლოდ ომში გამარჯვება იყო, სხვისი და-  
მარცხება იყო.

გიორგი ვულაღმა გადაბრუნდა. ცდი-  
ლობდა, ელას ხმა არ გაეგონა, ცას შეჰ-  
ყურებდა. ცა შავი იყო, დაბალი იყო,  
ცვონა ზედ აწევებოდა, სულს უხუთავდა.

— სხვა სიხარული რა იყო, არ ვიცო-  
დი... ნუ წამართმევ ამ სიხარულს, გი-  
ორგი!... ნუ წამართმევ ამ სიხარულს გი-  
ორგი!

ჰოტ!... ჰოტ!... — კიოდა ჰოტი.

— ხმა გამეცი გიორგი!

გიორგი ციცაზე ფიქრობდა. მდინარის  
პირას იდგნენ. ხელი ციცას წელზე  
ედო. მდინარის სივრცელშიც კი თბილი  
იყო ციცას ტანი. თავი გადაუწია გიორ-  
გიმ. მთვარე იხედებოდა ციცას თვალე-  
ში. ახლა აქ მთვარე არ ჩანდა, შავი  
ღრუბლები ფარავდა მთვარეს, შავი,  
მძიმე ღრუბლები.

ჰოტ!... ჰოტ!... — კიოდა ჰოტი.

— ხმა გამეცი, მითხარი რამე, გიორ-  
გი. — ეუბნებოდა ელა.

გიორგის ციცას მკლავები ეხვია კი-  
სერზე და ელას ხმა არ ესმოდა. მე ოქ-  
რო არ მინდა, ეუბნებოდა ციცა.

ელას ნიკაპი მუხლებზე ედო, ხელები  
წვივებზე ჰქონდა შემოხვეული.

ჰოტ!... ჰოტ!... — კიოდა ჰოტი.

დილით შიმშილმა გააღვიძა და მაშინ-  
ვე ელასაკენ გადაბრუნდა.

ელას ეძინა. მთელი ღამე თვალი არ  
მოუხუტუკავს და ახლა მშვიდად ეძინა.  
მთელი ღამე შფოთავდა, უხმოდ ტირო-  
და, რომ გიორგის არ გაეგონა, გიორგი

არ გაეღვიძებია და ახლა მშვიდად ეძინა დაღლილ-დაქანცულს, გატანჯულს სასოწარკვეთილს.

გიორგი წამოჭდა. თვალს არ ამორებდა ელას. ელას ეძინა და ამიტომ თამამად დაკუთრებდა. არა, არ იცოდა უყვარდა თუ არა. აბა რატომ ფიქრობს ელაზე, რატომ სწუხს? რომ არ უყვარდეს, არ იფიქრებს, არ იწუხებს. — „ისაა ჩემი ტყვე, თუ მე ვარ მისი ტყვე?... მე ვარ მისი ტყვე... მე ვარ მისი ტყვე... მიყვარს, ელა... ციცა?...“ — შეეშინდა ასეთი ფიქრის. არ მიღალატო, გიორგი! გაიგონა ისევე ციცას ხმა ისეთი, როგორც იქ, მდინარის პირას, ისეთი როგორც იქ, მდინარის თავზე. — მეც შემიყვარე, გიორგი! გაიგონა ისევე ელას ხმა ისეთი, როგორც აქ, ნაბაღზე, როგორც იქ, მდინარის თავზე.

— შშია, — დაიჩურჩულა, რომ მოეშორებია ეს ფიქრი. უნაგირსა და ხურჯინს დასწვდა, — ელასაც შია, — ცხენისკენ გაიქცა, — ელასაც მოაშვიებდა თავლი: საკმელი უნდა ვიშოვო, — გადაწყვიტა მახლობელ სოფელში ასულიყო. შეკახმა ცხენი, ზედ მოეცლო და აღმართზე მიუშვა.

მიჰქროდა მთაზე გაქრილ მიხვეულ-მოხვეული ბილიკით. ელას მარტო დატოვების ეშინოდა. იცოდა იქ კაცისშვილი არ გაივლიდა და მაინც ეშინოდა ელას დატოვება. შიმშილისაგან თავბრუ ეხვეოდა, მუცელში ნაღვერდლები უღვითდა. — „ელასაც შია.“

პირველსავე სოფელში შეავლო ცხენი. მიჰქროდა ერთიმეორეზე მიჯარულ მაღალ, რუხ კოშკებს შორის, საუკუნოვან კოშკთა ტყეში.

სოფელი ციხე-ქალაქს ჰგავდა. კოშკებს მაჩუბები ჰქონდა მიშენებული. ხალხი მაჩუბებში ცხოვრობდა. მიჰქროდა ვიწრო შეკაში, მაჩუბების წინ. კოშკების ძირში და მაჩუბების კარებთან სვანი ბერიკაცები ისხდნენ. ჩოხის ქილები შავი ნაჭრით ჰქონდათ აკრული, სატევარზეც შავი ეხვიათ. ქალებსაც შავი ეცვათ, შავი თავსაფარი ეხურათ.

სიწყნარე იყო სოფელში. გლოვის, ურვის, ვაების სიწყნარე ეტყობოდა ბიდან, გალაგნებს იქით და მარტოვან კარს იქით ქალების ხმამაღალი და კაცების ხმადაბალი მოთქმა ისმოდა.

— ვოი, მუხბემ!

— ვოი, ბუაშ!

— ნარპი მიშგუ, ციოყ!

მამაკაცთა ტირილი კიდევ უფრო ამძიმებდა გლოვის ზარს.

ცხენიდან გადმოხტა, არ უნდოდა ცხენით შესულიყო მოზარე სოფელში. სადავით გაიყოლია ცხენი და ისე განაგრძო გზა.

რუხი, უშბის კლდისფერი დაჰკრავდა ციხე-ქალაქს: კოშკებს, მაჩუბებს, გალაგნებს, ლობეებს, შუკებს. რუხი და შავი ფერი ერთმანეთში ირეოდა. მაჩუბების კარებთან და კოშკების ძირში ბერიკაცები ისხდნენ მღუმარედ, გაუპარსავეები, გლოვით გალახულები.

მხარზე კოკაშედგმული შავოსანი ქალები ისეთი მძიმე ნაბიჯით მოდიოდნენ წყაროდან თითქოს მიცვალებულს მიყვებოდნენ, შავოსანი ქალები ლანდებივით მიმოდიოდნენ შუკებში და ეზოებში, გამოჩნდებოდნენ კარებში.

„რამდენი სვანი დაცემულა ბრძოლაში, — გაიფიქრა გიორგიმ. მისი ლაშქარი პირველი შეეტაკა მტერს, წარმოიდგინა, რამდენი ოდიშელი დარჩა ბრძოლის ველზე. — რა ძვირად დავეჯდომია გამარჯვება... რა შეუპოვრად უბრძოლიათ ამორძალებს, — გადაწყვიტა არავისთვის ეთხოვა საკმელი. არ შეეძლო ჭავრით შეკმული ხალხისათვის ეთხოვა საკმელი, მაგრამ ელა გაახსენდა და შეყოყმანდა, — ელასაც შია, მეორე დღეა ლუკმა არ ჩასვლია პირში.“

სვანებმა იცნეს, რომ ოდიშელთა ლაშქრის მხედარი იყო. გაუკვირდათ, საიდან მოვიდა, აქამდე აქ რას დაურჩაო. ოდიშის, აფხაზეთის და რაქის ლაშქარი ბრძოლის დამთავრების მესამე დღეს გაბრუნდა უკან. დამარხეს დაღუპულები, წაიყვანეს დაჭრილები. ეს მხედარი რათ ჩამორჩაო. ცხენით, კაშმულობით

იცნეს მხედარი. ისიც გაუკვირდათ, სა-  
ქურველი რომ არ ესხა.

შედგნენ წყაროდან მომავალი ქალე-  
ბი, შედგნენ ქალები ეზოებში და შუ-  
კებში, თვალი მოიჩრდილეს, წამოდ-  
გნენ ბერიკაცები, მიეგებნენ და შეაჩე-  
რეს, შინ მიიპატიეს.

## 10

ელას მზე რომ დაადგა, მაშინ გაედ-  
ვიძა. ვიორგი ახალი ამდგარი იყო. ეს  
იმით შეატყო, რომ ვიორგის ტანით გა-  
თელილი, მზით გახურებული ბალახი  
ახლა იმართავდა ტანს.

მიმოიხედა. ვიორგი არ ჩანდა. არც  
მისი უნაგირი, სადავე, თოქალთო და  
ხურჯინი იღო ნაბდის გვერდით. მხო-  
ლოდ ვიორგის უნაგირის ბალიში ედო  
თავქვეშ. თავლის ფიქსა კიანჭველები  
დასეოვნენ და ფუთფუთებდნენ.

დაფეთებული წამოხტა. იქით გაიქცა,  
საითაც ცხენი ეგულებოდა. არც ცხენი  
ჩანდა. გაიქცა ბურქებისაკენ, გაიბრინა  
ბურქები. არა, არ ჩანდა ცხენი. უკან  
გაბრუნდა და იმ ხეებისაკენ გაიხედა,  
გუშინ ვიორგი რომ მიეფარა, საღამოს  
ისევ იმ ხეების მხრიდან რომ დაბრუნ-  
და.

ისევ გუშინდელმა შიშმა აიტანა. მი-  
ვიდა ხეებთან. დიდხანს იდგა, მალნარი-  
საკენ თვალმიპყრობილი. — „არა, ცხე-  
ნით არ წავიდოდა თავლის მოსატა-  
ნათ... წავიდა... ახლა კი ნამდვილად წა-  
ვიდა... სულ წავიდა... ცხენი წაიყვანა  
და წავიდა... აღარ დაბრუნდება, აღარ  
დაბრუნდება... — მიტრიალდა, ნაბაღ-  
თან მივიდა და უღონოდ ჩამოვდა. —  
აღარ დაბრუნდება... — ნაბაღზე დაემ-  
ხო, იკავებდა ტირილს, კუმავდა ტუ-  
ჩებს, კბილს კბილზე აპყრდა და მაინც  
წასკდა ქვეთინი. არასოდეს არ უტირია.  
ცრემლი ღამაღღუპით ჩამოსდიოდა ლო-  
ყებზე, ჩასდიოდა პირში, ჩამოსდიოდა  
ნიკაპზე. არასოდეს არ ჩამოვარდნია  
ცრემლი. ბევრის ტირილი უნახავს,  
თვითონ არასდროს ატირებულა, ბევ-  
რის დარდი და ვარაში უნახავს, თვი-  
თონ არასოდეს უდარდნია და შეწუხე-

ბულა, ბევრის ტირი და გვემა უნახავს,  
არ იცოდა რა იყო ტირი, და გვემა —  
სულ წავიდა... ცხენი წაიყვანა და წავი-  
და... აღარ დაბრუნდება“.

არ იცოდა რა ხდებოდა მის თავზე,  
ანგარიშს ვერ უწევდა უეცრად, მოუ-  
ლოდნელად მოვარდნილ გრძნობებს,  
აზრებს, ფიქრებს. ვერ იკავებდა ქვი-  
თინს, ხელები სახეზე აიფარა, რომ ქვი-  
თინი შეეკავებინა, შეეკავებინა გვემა.  
მაგრამ ძალა არ ეყო, თავი ნაბაღზე  
დაუფარდა და უფრო ხმამაღლა აქვი-  
თინდა.

## 11

ბურანში ცხენის ფლოქვების თქარუ-  
ნი შეესმა, შორეული, ყრუ, გაურკვე-  
ველი. ცხენი სწრაფად მოჰქროდა, მაგ-  
რამ ელას გონებაში მძიმედ, ბუნდოვ-  
ნად შემოდიოდა თქარუნი, ასევე მძი-  
მედ ეწმინდებოდა, უნათლებოდა აზრი  
და მერე ერთბაშად, უცებ გამოფხიზლ-  
და, მკვეთრად შეესმა ცხენის ფეხის ხმა,  
გამალეებით ახლოვდებოდა ბელატრი.  
ფლოქვებს ისეთი ხათქახუთქი ვაჰქონ-  
და ელას ყურში, თითქოს უზარ-  
მაზარ ჩაქრჩებს სცემდნენ უზარმაზარ  
გრდემლს.

ელა მიხვდა რა თავქუდმოგლეჯილი  
მოიჩქაროდა ვიორგი, მაგრამ არ გაუ-  
ხარდა, ისე იყო იმედგატეხილი, დაქან-  
ცული, გატანჯული, ეგონა, სულ ერთი  
იყო, დაბრუნდებოდა თუ არა ვიორგი.  
არ წამოვდა, არ გაიხედა, თავიც არ ას-  
წია.

გაიგონა ცხენის შეჩერების ხმა, ცხე-  
ნიდან გადმოხტომის ხმა. არც ახლა ას-  
წია თავი, არც ახლა მიიხედა, არც ახლა  
წამოვდა. ნაბაღზე დამხობილი თვალ-  
დახუჭული იწვა და უნდოდა ასე წო-  
ლილიყო სულ, არ აეწია თავი, არ გაე-  
ხილა თვალი, არასოდეს არ გაეხილა  
თვალი, და თვითონაც არ იცოდა, რა-  
ტომ უნდოდა ეს. ვიორგი დაბრუნდა,  
მოვიდა, მასთან დაბრუნდა.

ვიორგიმ კეხს ხურჯინი მოხსნა, უნა-  
გირი მოხადა გაქაფულ ცხენს, ლაგამი  
წაუგდო და ელასაკენ გაეშურა. ელას  
ესმოდა მისი ღონიერი ნაბიჯის ხმა, მაგ-

რამ როგორც გუშინ აღარ ეჩვენებოდა, რომ გიორგი ნელა მოდიოდა, აღარ უნდოდა გუშინდელივით დაეძახა, ფეხი გადმოდგო. ადრათფერი აღარ უნდოდა ამ ქვეყნად და ებრძოდა თავს უკუეგლო ეს უცნაური, ეს საშინელი გრძნობა, ეს ვიყური ფიქრი.

გიორგი ბუჩქებიდან გამოვიდა. ელას გუშინდელივით არ გაუფიქრებია, მოდისო, არ წამომჯდარა, წინ არ წაწეულა მთელი სულით, არ იმეორებდა, მოდის!... მოდის!... გიორგი თავზე რომ წაადგა, არ უკითხავს, დაბრუნდი გიორგიო.

— რა დაგემართა, ელა?! — ჰკითხა გიორგიმ.

ელამ არ უპასუხა.

— რა დაგემართა, ელა?!

— არაფერი არ დამემართა, — ისე უთხრა ელამ, გიორგისკენ არ გადაბრუნებულა.

— ალბათ, შიმშილმა მოგწყვიტა, — უთხრა გიორგიმ, ცალ მუხლზე დაეშვა. ხურჭინიდან პური, ყველი, მოხარშული ხორცი, დოქით რძე ამოალაგა. — შეხედე, რამდენი საქმელი მოგიტანე.

ელამ არ შეხედა.

გიორგიმ რძე ხის პატარა ჯამში ჩამოსახა, ელა თავისკენ გადმოაბრუნა, თავი აუწია და რამდენიმე ყლუპი ჩააყლაპა.

რძემ მუცელში საამო სითბოდ დაუბარა. ერთხანს მშვიდად იწვა, თითქოს არაფერი აღელვებდა, არაფერი აშფოთებდა, შეურჩვდა თავის ბედს. მაგრამ გიორგი ხედავდა, გრძნობდა რომ ეს გარეგნულად ჩანდა ასე, თორემ ელა წუხდა, ღელავდა, შფოთავდა, და საოცარი სიმტკიცით ცდილობდა დაეფარა გიორგისათვის.

გიორგი თვითონ უფრო მეტად ღელავდა, წუხდა, შფოთავდა, მაგრამ რა ექნა? რითიმე მაინც უნდა მიშველებოდა, გაემხნევებია, გაემაგრებია. წამოსვა, ზურგით მკერდზე მიიწვინა, ხელი წელზე ამოსდო. რომ არ ჩაცურებულყო მისი უღონო, მოშვებული ტანი.

ელას თავი უკან გადაუვარდა გიორ-

გის მხარზე. ასე იჯდა, ისვენებდა, დაძაბულობა უნელდებოდა, დონე უბრუნდებოდა. ესმოდა გიორგისკენ უნუქვა, გულისცემა. მშვიდად სუნთქავდა გიორგი, მშვიდად უცემდა გული. ასევე მშვიდად უცემდა ელასაც გული. რაც უნდა მომხდარიყო, სულ ერთი იყო მისთვის. თავს არწმუნებდა, რომ სულ ერთი იყო, მაგრამ არ ჯეროდა, არა, არც თავის გული სცემდა მშვიდად და არც გიორგის გული.

გიორგიმ ყველი მოუტეხა. ყველი ისეთი ჰყინტი იყო, რძე გასდიოდა. შენ ჰამეო? ჰკითხა ელამ. გიორგის ელასთან მოუჩქაროდა. ბევრი თხოვეს სვანებმა ექამა და ისე გაბრუნებულყო. ელას შიოდა, ელასთან მიუჩქაროდა და არ ჰამა.

ელამ ყველის გემო იგრძნო. გუშინ თავლის გემო არ უგრძვნია, ახლა ყველის გემო იგრძნო. რა არის ეს? ნუთუ თავს ვერ მოერია? სულ ცოტა ხნის წინათ, თითქოს სულ ერთი იყო მისთვის, დაბრუნდებოდა თუ არა გიორგი. ალბათ არ იყო სულ ერთი. გაუღიმა ამ ფიქრს. ალბათ არ იყო სულ ერთი, გაუცინა ამ ფიქრს.

— რა გემრიელი ყველია, — უთხრა გიორგის. — კიდევ მომიტეხე, — ალბათ არ იყო სულ ერთი, იმეორებდა ფიქრში. ისევ იგრძნო ის, რაც მაშინ, ხელეზ-ჩაქიდებულები რომ იწვნენ, რომ ნატრობდა, ნეტა არ გამიშვას ხელიო. ნეტა არ გამომეცალოს და ასე ვიყო მიყრდნობილი მის მკერდზეო, ფიქრობდა ახლა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიყო მიყრდნობილი მის მკერდზეო.

უცებ დაუბრუნდა ყველა ის ფიქრი, ის აზრი, ის გრძნობა, გიორგის ხელის შეხების შემდეგ რომ დაებადა. — „ნუთუ იმისათვის შემყარა მასთან ბედმა ასე უცნაურად, რომ დავშორებოდი?... ნუთუ განგებამ იმისათვის მარგუნა ეგზომ დიდი სიხარული, რომ ასევე დიდი მწუხარებით შეეცვალა?... არა, არა!... — ფიქრობდა და უღიმოდა იმ სიხარულს, ზურგს აქცევდა იმ მწუხარებას. გიორგის ხელს ახლა მისი ხელი კი არა,



ზისი ტანი ეკავა, მისი გული ეკავა და ისევე ისე ფიქრობდა, ნეტა არ გამიშვასო ხელი, და უღიმოდა ამ ფიქრს.

— გიორგი, შენ თქვი, ქალი და კაცი თოხის ტარზე დაეტევით.

— ვთქვი, — უთხრა გიორგიმ.

— შენ წუხელ ჩემთან ნაბაღზე ვერ დაეტევი.

— მე გითხარი, ვისაც ერთმანეთი უყვართ, თოხის ტარზე დაეტევიან-მეთქი.

— ვისაც ერთმანეთი უყვართ, — უხმოდ გაიმეორა ელამ.

— ვისაც ერთმანეთი უყვართ, — ფიქრობდა გიორგი. ელას ტანი ხელთ ეკავა, თბილი, დამყოლი, მინდობილი, ელას თავი მხარზე ედო, ელას ლოყა ლოყაზე ეხებოდა. — რატომ დაებრუნდი?... არ უნდა დაებრუნებულყავი... მშვიერი როგორ მიმეტოვებია?... უპატრონოდ როგორ მიმეტოვებია ტყე-ღრეში? — გაძნობდა, მთელი სულით. მთელი სხეულით, თავს რომ იტყუებდა, რომ მარტო ამ მიზეზით კი ვერ მიატოვა. არა, მარტო ამიტომ კი ვერ მიატოვა. უყვარდა და ვერ უმხელდა თავის თავს. უყვარდა, იმეორებდა ამას გული. გონება ეუბრებოდა, მაგრამ გული ჯიუტად იმეორებდა. იგრძნო, როგორ აუძგერდა გული. შეეშინდა, ელას არ გაეგონა, როგორ უძგერდა გული, რას იმეორებდა გული. გამოეცალა ელას, უხანგის ბალიშზე მიაწვინა.

— მშია, ელა, — უთხრა, რომ ელა არ მიმხვდარიყო, რატომ მოიშორა, რატომ მიაწვინა ბალიშზე. შიმშილი არ ახსოვდა, ელას გარდა არაფერი ახსოვდა.

## 12

სამი დღე გავიდა. გიორგიმ სახვევი შეუხსნა. ჭრილობა შეხორცებული იყო. ელა სწრაფად იკიდებდა ჯანსა და ღონეს. დილით ერთად იღვიძებდნენ, ხელპირს ერთად იბანდნენ ჩანჩქერზე, ერთად ჭამდნენ, ერთად არბოდნენ მდინარეზე ხელმზაკიდებულები, ერთად ებებდნენ სოკოებს — ნიყვს, ჩოხაშავას, მანკველს, ერთად ბრუნდებოდნენ

უკან შეღამებულზე. ელა ნაბაღზე წვებოდა, გიორგი — მიწაზე.

ღამე ერთმანეთზე ფიქრობდნენ. ერთვარო ღამეები იდგა და ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ გრძობდნენ როგორ იწვნენ, რაზე ფიქრობდნენ. სულგანაბულები თავს ძალას ატანდნენ ერთმანეთს არ გამოლაპარაკებოდნენ, ერთმანეთისაკენ არ გადაბრუნებულყვნენ, ერთმანეთს არ შეხებოდნენ.

„რატომ აქამდე არ ვიცოდი, რა არის სიყვარული! სინანულით ფიქრობდა ელა. — რატომ აქამდე არ ვიცოდი, რა არის სიყვითე! რატომ აქამდე არ ვიცოდი, რომ მიწა არც ისე პატარა ყოფილა... რატომ აქამდე არ ვიცოდი!... რატომ!... რატომ!“.

ერთხელ გიორგიმ ელაზე გვიან გაიღვიძა. ელა არ იწვა მის გვერდით. ელას ჯაჭვის პერანგი და ფეხსაცმელი ნაბაღზე იდო. — „სად წავიდა კვართის ამბარა?! — გაცოცდა გიორგი. — „სად წავიდა შიშველი?!“ — ის იყო უნდა წამოდგარიყო და საქმენად წასულიყო, რომ ჩანჩქერის მხრიდან ელამ გამოირჩინა.

გიორგი რომ გაღვიძებული დაინახა, შეკრთა, ნაბიჯი შეანელა, შერცხვა თითქმის დედაშობილა რომ მოდიოდა, მაგრამ მაინც ჩქარა გაეშურა, რათა მალე მისულიყო ჯაჭვის პერანგთან და გადაეცვა.

მიდიოდა ახალგაზრდა ნადირის მოქნილი, მოხდენილი მოძრაობით, ღონივრად მიჰქროდა თეძოები. ის იყო ჩანჩქერზე ებანავა და სველ ტანზე ჩაეცვა კვართი. გულსპირი გაღვიძილი ჰქონდა და მკერდზე მკერივად მდგარ ძუძუებს აქეთ-იქით მიკრული. კვართის თხელი ქსოვილი ეკრა მხრებს, წელს. ტანი ნათლად ისახებოდა ხის ტოტებიდან ჩაქრილ დილის მზეზე.

შეციებულ სახეზე წყლის კრიალა მძივები ეყარა, სველი, ღიაწაბლისფერი თმა ლოყებზე და კისერზე ეკრა, ოდნავ დაქანებულ მხრებზე ეკრა. მხოლოდ შუბლი, თვალები, პირი და ცხვირი უჩანდა თმიდან, თითქოს სახე ჩარჩოში

ეჭდა და იმ ღიაწაბლისფერ ჩარჩოდას  
ჭროდა თვალუბი, შავი წამწამები და  
წარბები ისეთი ეშხით ბრწყინავდნენ,  
რომ გიორგის თვალი მოსჭრა.

წამოიწია რომ მიგებებოდა, მაგრამ  
ვერ წამოდგა, წამოიჩოქა და უცდიდა.  
ელა სწრაფად ახლოვდებოდა. ახლოვ-  
დებოდა ლალად, ბოშად. ახლოვდებოდა  
შეუკავებელი სიცოცხლე და სიყვარუ-  
ლი. ელა მასთან არ მიეშურებოდა. ასე  
ეგონა თვითონ, რომ მასთან არ მიეშუ-  
რებოდა. ჭაქვის ასაღებად მიდიოდა.  
ასე ეგონა თვითონ. და აი, სამიოდე ნა-  
ბიჯზე რომ მიუახლოვდა ჭაქვის პე-  
რანგს, უცებ გულმა გვერდი აქცევია.  
გიორგისთან მივიდა და მის წინ ჩაიჩო-  
ქა, მის წინ ჩაიჩოქა შეუკავებელმა სი-  
ცოცხლემ და სიყვარულმა.

ისე ახლოს ჩაიჩოქა, სველი, შიშვე-  
ლი, მუხლებით მუხლებზე შეეხო, ისე  
ახლოს ჩაიჩოქა, სველი, შიშველი მკერ-  
დით მკერდზე შეეხო, სველი, შიშველი  
მხრებით მხრებზე შეეხო, ისე ახლოს  
ჩაიჩოქა, სველმა ტანმა ჩანჩქერის სიგ-  
რილე შეფინა ტანზე, ისე ახლოს ჩაიჩო-  
ქა, ცხელი სუნთქვა შეფინა სახეზე.

ცხელი თვალებით შეჰყურებდა თვა-  
ლებში, მაგრამ გიორგის თვალები არ  
ხედავდნენ მის თვალებს, გიორგის თვა-  
ლები სხვის თვალებს ხედავდნენ, სხვა  
ედგათ წინ, ელას კი შიშით შეჰყურებ-  
დნენ. ელას თვალებიც შიშით შეჰყურ-  
ებდნენ, იმტიომ რომ, გიორგის თვა-  
ლები სხვის თვალებს ხედავდნენ, სხვა  
ედგათ. წინ.

მერე ორივემ თვალები დახარეს. ერ-  
თი წამით შიშმა უკან დაიხია, ხელები  
უნებლიეთ, თავისით შეეხნენ ერთმან-  
ეთს და მერე თვალების მაგივრობას  
ხელები წვედნენ, გულის მაგივრობას  
ხელები წვედნენ, სულის მაგივრობას  
ხელები წვედნენ, გონების მაგივრობას  
ხელები წვედნენ და დიდხანს, ძალიან  
დიდხანს იდგნენ პირისპირ მუხლებზე,  
ხელებჩაკიდულები, მკერდით, მხრე-  
ბით, სულით, გონებით ერთმანეთს მიკ-  
რულნი.

მერე შიშმა კიდევ უფრო უკან დაი-

ხია, შეუთრთოლდათ ბაგე და თავისით  
შეეხნენ ერთმანეთს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

13

არასოდეს არ ძინებია ასე ტკბილად,  
ასეთი ღრმა ძილით, ასე მოშვებულად,  
არ წოლილა ასეთ ჰაეროვან სარეცელ-  
ზე, არ გახვეულა ასეთი ალერსის ბუ-  
რუსში. ისევ ისე ეხებოდა ელას ბაგე,  
მკერდი, მხრები, ისევ ისე იხედებოდა  
ელას თვალები მის თვალებში, მაგრამ  
არა შიშით, არ იყვნენ ისეთი ცხელი,  
მშვიდნი იყვნენ, ცივი იყო ელას ბაგეც,  
სუნთქვაც, მკერდიც, მხრებიც და ამ სი-  
ცივემ გააღვიძა.

ელა არ იწვა ნაბადზე, არ იღო მისი  
ჭაქვის პერანგი და ფეხსაცმელი ნაბად-  
ზე, არ იღო უნაგირის ბალიში.

ელა რომ ნაბადზე არ იწვა, იქ არ  
იყო, არ იღო მისი ჭაქვის პერანგი, ფეხ-  
საცმელი, უნაგირის ბალიში, არ იღო  
უნაგირი, ეს თითქოს მოეჩვენა და უცებ  
იმედი მოეცა, დამშვიდდა და ისევ და-  
ხედა ნაბადს, მაგრამ დარწმუნდა, არ  
იყო ელა, და კიდევ უფრო შემფოთდა.

— ელა!

პასუხად ერთბაშად, მკვეთრად,  
მტკივნეულად გაისმა ფლოქვების თქა-  
რული.

ზეზე წამოიჭრა.

თქარული სწრაფად იწევდა უკან.

— ელა! — დაიხურჩულა იმედგატე-  
ხილი ხმით.

თქარული სწრაფად იწევდა უკან და  
უცებ მიწყდა. თქარულთან ერთად გაქ-  
რა ყოველგვარი ხმა. ყველაფერმა უკან  
დაიხია, ფლოქვების თქარულს გაჰყვა.

აღარ ეივეივებდნენ ბუჩქებში, ყვავი-  
ლებში, ბალახში და ხეებში ფრინველე-  
ბი. არ სტყენდნენ, არ ისმოდა ჭახჭახი  
და კივიკივი, არ ისმოდა ფართხალი,  
ფარფაში, ტყლაშუნი, შლიგინი, არ წრი-  
პინებდნენ ყვავილებში და ბალახში  
მწერები, არ ბზუოდნენ ფუტკრები, არ  
ხმაურობდა ჩანჩქერი. ყველაფერმა და-  
კარგა ხმა და საძრაობა.

შალვა შორაჩიძე

## მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს...

მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს  
და შენი ნაზი მზერა მშველიდეს,  
რომ ისეთ სიზმრით გამომეღვიძოს,  
ეს იმერეთი უფრო შევნოდეს.

მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს,  
ამ სიჩუმეში, სიმყუდროვეში,  
რომ ისეთ სიზმრით გამომეღვიძოს,  
ვიძირებოდე ფურთა მორევში.

მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს,  
რომ ამ იდუმალ სიმყუდროედან  
ჩემ სულს იმგვარი რამე შევძინო,  
ახლად ვიწყებდე ქვეყნად ცხოვრებას.

მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს,  
შენ სასთუმალთან მეჯდე მღიმარე,  
შენი პეშვიდან ვსვამდე თეთრ ღვინოს,  
მალწრობდეს ამ ნაზ ფურთა მდინარე.

მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს,  
რომ დღე უმიზნოდ არ მელოდეს,  
ამ ცამ იმგვარი რაღაც შემძინოს,  
რომ უკვდავება აქვე მელოდეს.

მე ამ ღურჯ კორდზე უნდა მეძინოს,  
რომ უხილავის ხელი მშველოდეს,  
და ისეთ სიზმრით გამომეღვიძოს,  
ეს საქართველო უფრო შევნოდეს...

• • •

დედა, როდემდის გაატანს ასე!  
მატარებლით რომ გავცდები  
მოლითს და წიფას,  
გამიცოცხლდები  
იმერეთის წიფობელების  
ნაზი ფერებით და ხმებით საგზე.

და გამოკრთება  
ხის ტოტებში, თითქო ცრემლებით,  
შორს ჩვენი სახლის კრამიტი წითლად...

ჩამოვიტოვემ  
მარტოთუბანს,  
ბოსლევს,  
სალიეთს,  
კაცხის კორდებზე სიხარული  
გადმომატარებს...

მაგრამ  
შევხედავ ვზოს, ცარიელს,  
და ჭიჭრის კარბას ხელს ვერ ვაკარებ.

## ბაგავა ზიკოს...



გადავალ რიკოს... კოლხთა, იბერთა  
ძველ შორაპანთან მოვარდევ სამანს...  
მოვა ჰეკატე ნაზ ფერიებთან,  
დაემგვანება ცა იასამანს.

ატორტმანდება სულში ფაზისი  
და ქარიშხლები უშორეს წარღვნის!  
ჰეკატეს ბალის ლურჯი ნარგისი  
გამოანათებს ბურუსიდან და ნათელს  
დაღვრის...

შეირხვეიან სასახლენი ფაზისის მხარის  
და ძველი ვანის წითელ კრამიტებს  
დაათოვს შუქი ჰეკატეს მოვარის,  
რათა უცხონი უფრო გაკვირდნენ...

შემომანათებს მზე სამაჯურთა  
და გვირგვინები თეთრი სვეტების,

ისმენენ კოლხნი რჩევას მსაჯულთა  
და მტერს გასდევენ თავგამეტებით...

არა ფაზისში, ლეგენდებში ჩაეძირები,  
და იმერეთის ლამაზ კორდებით  
ცისკენ მეწევა ბიბლიური რტონი  
გვიმრების  
და თითქო წარღვნის ქარებს მოვყვები.

დაეცქერი ჩემი ლურჯი მთების  
ხალოცავიდან  
ფაზისის ჭალებს, ქალაქ ვას და  
მერვენება,

თითქოს სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან,  
უნაზეს მხარის პირველადქმნილ ვზედავ  
მშვენებას...

## ამ უნდა მოვკვებ და დავიძარხო...

როგორც კი მოქსოვს მზე ძოწეულებს  
და ლურჯ კორდებზე გაჰკიდებს მიწყვი,  
ამ იმერეთის ნაზ ბროწეულებს  
წაგვიდება ცეცხლი და იწვის.

გვიან კი მყუდრო მოდის საღამო  
და მინდა მონა ვიყო ცრემლების.  
განა ამ მინდვრებს, ბორცვებს ამაოდ  
შეფარებიან წიფობელები.

ისინი მე ხმებს მასმენენ დღემდე  
იმგვარს, რაც არვის სმენია ჯერაც,  
ყოველ ბილიკზე შექებენ, მსდვეენ,  
ხელუწიფობა ჩემი არ სჯერათ.

და მალა, როგორც გასაწყვეტ თოკზე,  
მიმაქანებენ თეთრი ქარებით.  
სალამოისას ავდივარ კორდზე  
და ხაგსმოდებულ ქვებს ვეფარები.

მინდა, ბინდ-ბუნდში რომ დაგინახო,  
უსახო ხატი სათნო და ნაზი,  
შენს მშვენებასთან მოვიდე ახლო,  
ვიყნოსო სუნი უკვდავი ვაზის.

და მომწყურდება თავზე დამგტყვს  
ეს ცა ესოდენ შორი და ახლო,  
აქედან სიკვდილს არსად გავექცე,  
ამ ცის ქვეშ მოვკვდე და დავიძარხო...

## მე ისე ჩუხად წავალ აქედან...

მე ისე ჩუხად წავალ აქედან,  
ვერ გაიგებენ მწვანე სერები...  
თეთრი ქარები ღრუბელს გაქვლავს  
და ბურუსებში გაგახსენდები!

მე ისე მშვიდი წავალ აქედან,  
როგორი მშვიდიც იყო ველები...

და ჩემი ნაზი სულის ნათელად  
შენთან იფრენენ წიფობელები!

მე ისე ჩუხად წავალ აქედან,  
ვერვინ გაიგებს ფეხის ხმას ჩემსას...  
ვიდაც ბილიკზე ბალახს დათელავს,  
ჩემი ლექსების დადგება მწყემსად!

მე ისე წმინდა წავალ აქედან,  
როგორი წმინდაც იყო ველები...  
და ამ უნაზეს ფერთა საჭებად  
ლოცვებს იტყვიან წიფობელები!

მერე ნისკარტით მწვანე კორდებზე  
მიმოაბნევენ ჩემს ნაზ სტრიქონებს,

შენ ჩამოჯდები, ნაცნობ კბოდეზე,  
დაგენანები და მომიგონებ;  
როგორი ნაზი ბუნება მქონდა,  
როგორ გეძებდი ტყეების მიღმა,  
სალამოს მუდამ ნიავეი ჰქროდა  
და უხილავის მწყუროდა მირქმა!...

## გაფიცვაზე ნაზ ივერეთს ნაკნები გზაზე...

ჩაცხვებულა ბალახებში ცაცხვების  
ჩრდილი,  
დაღლილი ქორი ისვენებს სერზე...  
დგას კრუალების გაბმული ზილი,  
გაფიცვებია ნაზ ივერეთს ნეკნები მზეზე!

ლუში ფერები გადაედო მინდვრებს  
თანდათან,  
შუქნიშანივით სერზე წითლად ანთია  
შინდი...  
სალამოს მუდამ თაღმორღვეულ სოფლის  
საცდართან  
ყვითელ ფოთლებში ღვთის ენაზე  
ლოცულობს ჩიტი.

ასე დაიწყო უშურველი ჩემი ცხოვრება,  
ასე გაივლის სიცოცხლე ჩემი.  
ჩემს დაფნის ხეებს ემახსოვრებათ,  
როგორ მიყვარდა ხილვა ჩვენი პატარა  
თემის.

არ მასვენებენ ბურუსებში შორი  
სიზმრები,  
და საფლავები ცხრაასხუთელთა...  
სალამოს ლურჯი მოაქვს ბინდები  
და მინდა ჩუმად ატირება დედის  
მუხლებთან.

## გათიბულ იყო ყანები ქერის...

ცას რომ დაუნდა ფერი სადაფის  
და მზე ჭალებზე წამოიფოფრა,  
შევაწრიალეთ წერილი წარაფი,  
სულს იზიდავდა მალლა წიფორა.

ყანებში მწიფდა  
შემოდგომით ნათესი იფქლი,  
და ოდეს  
მწვანე ფოთლებზე წიფლის  
მზემ მოამცვრია  
შინდის მარცვლის სისხო სხივები,

მდინარის პირას  
წამოფრინდა გუნდი ისვების.

სადღაც ანაზდად  
გავარდა თოფი,  
მდინარის გაღმა, როგორც აფრა,  
შეირხა ფოფრი...

მერე, თოფის ხმის რომ მიწყდა ექო,  
სულში ამღერდა ათასი ფერი...  
თითქო აგვისტოს კოცონი ენთო,  
გათიბულ იყო ყანები ქერის!..

## ნიჟოზაძეთან ვმღეროდი



ჭილოფის ქუდი მებურა,  
წყალს ვსვამდი ლერწმის ღეროთი...  
ასე ვცხოვრობდი მეფურად,  
წიფობელებთან ვმღეროდი.

ეს იმერეთის სერები  
გარს მენთნენ, როგორც ლოცვები,  
ვამწიფე ლურჯი ფერები  
მწვანემორეულ ბორცვების.

მეძინა მაღალ მთაზედა,  
ღრუბელთბატონი ვხდებოდი,  
ვგორავდი ბროლის მკლავზედა,  
ბროლის მკლავზედვე ვკვდებოდი.

ქვეყანას მეც ვჭირდებოდი,  
მეც ჩემებურად ვხატავდი...  
უხილავს ვეჭიდებოდი,  
არ მახსოვს, როდის გავთავიდი.

ამინთეთ ლერწმის ღერონი,  
ფერები გარს რომ მებურა,  
წიფობელებთან ვმღერდი,  
ჭილოფის ქუდი მებურა!...





# მეც დღეა ჩვენი

მოთხრობა

1

ნინომ წუთით წათვლიმა და ეგონა ერთი პირი ძილი უკვე მოვათავეო. გაციდა, ჩურჩული რომ შემოესმა.

— დიდება შენდა, ღმერთო, კიდევ ლაპარაკობნენ! რა აქვთ ამდენი საჩუმათო და საჩურჩულო?!  
თვალი გაახილა. ოთახში ჩამოწოლილ სიბნელეს მიაშტერდა. მოეჩვენა, თითქოს შორიდან თეთრი ლანდი წამოვიდა, წამოიზღაზნა და სადაც არის, თავზე უნდა წამოემხოსო. თვალი კვლავ დახუჭა და გაისუსა. ჩურჩული ერთხანს კიდევ ისმოდა. მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმემ კიდევ უფრო გააღიზიანა. იდაყვს დაეყრდნო და წამოიხედა. თეთრი ლანდი მოსულიყო და კედლად აღმართულიყო. ამ კედლის დანახვზე გული მწარედ ეკუმშებოდა ხოლმე. ისეთი გრძობა აქვს, თითქოს სხეულზე რაღაც ნაწილი მოგლიჯეს და იმ კედლის იქით მიუჩინეს ბინაო.

— არ უნდა გამეტიხრა. — გაიფიქრა და გვერდი ირბუნა, თეთრ კედელს ზურგი შეაქცია.  
ნინოს სახლი სამოც წელიწადზე მეტს ითვლიდა. მუხის კედლები ისე გაშავებოდა, იფიქრებდი კვამლში სახელდახელოდ გაულანჯიათო. ბევრი კარგი დღე ახსოვს ამ სახლში ნინოს: თვრამეტიოდე

წლის გოგო იყო. სავლემ მაყრიონის ყიყინსა და ჟრიაშულში რომ შემოიყვანა და მშობლებს დიდის ამბით წარუდგინა. მამამთილმა მაშინვე კერასთან მიიყვანა და ბუხარზე ფეხი ჩამოასმევინა: რძალი სახლ-კარის ერთგული მეყოლებათო.

ქმრის კერის ერთგული მართლაც ისეთი უნდა, ნინო რომ არის. კრუხივითაა ოჯახს გადაფაფრული.

— მე და ჩემი ქმარი მამამთილთან და დედამთილთან ერთად თუ ვაუტიხრავ სახლში ვცხოვრობდით, ვითომდა რით ვიყავით ამათზე ნაკლები? თუმცა ჩემი ბრალიცაა, სახლის გატიხვრა მე ვურჩიე ვურაშს. ან კი რა მექნა, ამ ქარხანა სახლში ცოლის ნათესაეები არ შემოიყვანებოდა...  
უკვე წელიწადზე მეტია, ნინო თეთრი კედლის აქეთ ათევს ღამეს მარტოდ-მარტო, იქით კი ახლად შეუღლებული შვილი და რძალი წვანან. პირველ ხანებში ორივე ოთახს ერთი შესასვლელი ჰქონდა. სულ მალე გურამმა დედის ბინას უკანა მხრიდან საკუთარი კარი გაუკეთა.

ნინოს ჯერ მძიმე ფშვინვა შემოესმა. მერე — ხმადაბალი ხვრინვა.  
— მარცხენა გვერდზე წევს. მე შენ გეტყვი, მშია გააღვიძებს. დიდი ძილის გუდა და მომჩვარული ქალია, ერთს რომ

ნინოს სახლი სამოც წელიწადზე მეტს ითვლიდა. მუხის კედლები ისე გაშავებოდა, იფიქრებდი კვამლში სახელდახელოდ გაულანჯიათო. ბევრი კარგი დღე ახსოვს ამ სახლში ნინოს: თვრამეტიოდე

წაიძინებს, მერე ყურთან თუ გინდ თოფი დაუცალო, ფეხს აღარ გაანძრევს.

გურამს თორმეტ-ცამეტ წლამდე დედასთან ეძინა. შემდეგ ნინომ თავისი ლოგინის გვერდით ცალკე ლოგინი გაუშალა. სულ ჩასჩინებდა, მარცხენა გვერდზე არ დაიძინო, არ დამლუპო, გული არ დაგიმანკიანდესო. გურამი აკრძალულ ხილს ეტანებოდა, როგორც კი დროს მოიხელთებდა, მაშინვე მარცხნივ გადაბრუნდებოდა. მაგრამ ურჩობა არ ვასდიოდა: დედა ოთახშიც რომ არ ყოფილიყო, მაინც დაბარებულოვით გაჩნდებოდა, თავზე დაადგებოდა.

თითქოს უნდა წამოდგეს და შვილი გააღვიძოსო, ნინომ მხრები წამოსწია, მაგრამ იმ წამსვე ისევ ბალიშზე მიესვენა. არა, ახლა ვერ გავა გურამთან. იმ ოთახში დღისითაც აღარ ვადის და მძინარ ცოლ-ქმარს ამ შუალამისას როგორ დაადგება თავზე!

— ჩვენთან რატომ არ შემოდინხარო, ისე მაინც მისაყვედურონ, პირის მოხაწვენდა... ჰო, გაბედონ და მითხრან! მაშინვე მივახლი, თქვენთან ჩემი მისვლა-მოსვლა რომ ვდომოდათ, ცალკე შემოსასვლელსაც არ გამოიკეთებდითო. ვანა მოვერიდები. ესლა მაკლია, ჩემს ნაწევად-ნადაგ ბალანას მოვეხათრო!

ხვრინვა შეწყდა. ახლა ფანერის კედლიდან ნებიერი სუნთქვა ისმოდა.

— მადლობა ღმერთს, გადაბრუნდა მგონი, — გაიფიქრა ნინომ და საბანი ამოიკეცა, თვითონაც დასაძინებლად გაემზადა.

## 2

ღილით ნინოს თავის ტკივილი აჰყვა. თავსაფარი ოთხად დაკეცა და შუბლზე მაგრად შემოიჭირა, ეშელავათა. სამზადიდან ვედრო გამოიტანა და საჩეხს მიაშურა. ძროხა მოწველა, რძე ქვაბქოთანში ჩაწურა და ღვრიტა ჩაუკიდა. მერე ძროხა მეზობლის ბიჭებს საძოვარზე გაუდენა. ეზოში რომ შემოვიდა,

საკალოვე მსხალს ვახედა. ახლა გაახსენდა, კვირადღე რომ ეყურებოდა.

— მსხალი დღეისწორს კვლავ ვეზავიდა. დღესაც წავიღებ. ორიოდ გროშე რომ ავიღო, მაინც კაია!

ნინომ უცებ წარბები შეკრა და სახე მოუნაღვლიანდა.

„ის პირშივე რომ დამადგეს კიდეც თავზე და დამიწყოს ტილატობილა? სამკუდლოს სათოფეზეც არ მივეკარები და სად მომნახავს. მეხი კი დაეცეს გამურულ პირზე. ვინ ვგონივარ მე!

მსხლის ხეს კიბე მიადგა და კრეფა დაუწყო. ოციოდე წუთში საზურგე კალათი უკვე სავსე იყო.

„ახლა ყველს ამოვიყვან და კიდეც გაუღებები გზას“.

ყველი რომ ამოიყვანა, ცეცხლი გააჩალა და ზედ კეცები შედგა: ორიოდ მჭადს გადავაკრავ, თორემ ბიჭი რომ წამოდგება, მაშინვე თაროს მივარდებო. სანამ მჭადს გამოაცხობდა, მზემ უკვე იმ სიმაღლეზე წამოიწია, რომ პირდაპირ სამზადის სარკმელში შეიჭყიტა.

— რას შერება ეს ქალი, აღარ აპირებს ადგომას. პატარძალი ჩვენც ვყოფილვართ, მაგრამ ჩიტი წამოფრენას ვერ გვასწრებდა, თუმცა რალა დროს მაგის პატარძლობა... — კიდეც გაიფიქრა ნინომ და ოთახის კარიც გაიღო. გურამი გამოვიდა, იდაყვით ღვრეფნის ღარბას დაეჭინა და ეზოს ვახედა. მსხლის ძირას სავსე კალათს თვალი რომ მოჰკრა, დედას შეეხმინა:

— როდის მოასწარი მსხლის მოკრეფა?

ნინომ სამზადიდან გამოიხედა:

— რა მკითხე, შვილო?

— მსხალი მოგიკრეფია.

— ჰო, მოკრიფე. ტყუილა გაფუქვბას, ერთი თანაქა ნავთი რომ მიყიდლოს, ესეც საქმეა!

— მე რომ მშია?

— ქამე, შე კაცო. კეციდან მჭადი ამ წუთში ავრეკე!

„აბა თუ მკითხა, დედა, თავი რატომ



გაქვს შეხვეული? სანამ დაქორწინდებოდა, სულ წარბებში მომჩერებოდა, მიფრთხილდებოდა. რამ შეუცვალა გუნება ასე ერთი ხელის დაკვირვით?”

ნინომ ხელ-პირი დაიბანა, კაბა გამოიცვალა. სარკეში იშვიათად იხედებოდა ხოლმე. ახლა კი თავის ორეულს კარგა ხანს უმზირა.

— ჰე, ჰალარა როგორ შემომეპარა, ებერდები და ეს არის! — თავი გადაიქნია სინანულით.

ნინო ბალაობიდან ისეთი ჭანსალი და ფერხორციანი იყო, დიდმა ჭაფამ და ჭავრმაც ვერ გასტეხა. ჰალარა კი შეეპარა, მაგრამ ჭერ სიბერე მაინც შორს არის. მაღალიაო, ვერ იტყვი, მაგრამ არც დაბალი ეთქმის. ქალწულივით სავსე მკერდი აქვს შემორჩენილი. თეთრ სახეზე შავი გადაკალმული წარბები ისე უჩანს, იფიქრებ ხელოვნურად მიუხატიაო. ოღონდ ეს კია, ფართო, ლამაზ თვალეში ღრმა სევდას ერთი შეხედვისთანვე შეამჩნევ. ბარე ოცდახუთი წელიწადია განუქარვებელი დარდ-ნაღველი უხმოდ ყვირის მისი თვალეზიდან. ეს თვალეზი შვილის ქორწილზეც ისე საწყალობლად იყურებოდნენ, იფიქრებდი პირმშოს გაბედნიერება სწყინსო.

ნინომ კალათი მხარზე შეიდგა და ის იყო ქიშკარს გასცდა, მზიაც გამოჩნდა ღერეფანში.

— დედაშენი სად მიდის? — ჰკითხა ქმარს.

— ბაზარში.

— რამხელა კალათს მიაფრიალებს! ღმერთმა შეაძლებინოს. მე რომ იმოდენა ტვირთი ავწიო, წელ-გული ჩამწყდება და ქალად აღარ ვივარგებ. — თქვა მზიამ და ზანტად გაიზმორა. გურამმა ხელი მოხვია, მკერდზე მიიხუტა და გაუცინა:

— ტვირთს შენთან რა უნდა!

## 3

ერთ დროს ბაზარში ყოველი ფეხის გადადგმავზე იყო სამქედლო, გრდემლზე უროს ცემას დილაუთენია რომ და-

იწყებდნენ, საღამომდე ყურთასმენა აღარ იყო. ახლა კი მთელ რაიონულ ცენტრში ორი სამქედლოდ შემოჭრა: ერთი სანდროსი, მეორე — ნიკასი. სანდროს სამქედლო ბაზარში დგას ზედ გზაჯვარედინთან. მის წინ მუდამ უამრავი ხალხი მიდი-მოდის, ამიტომ ხილულისა და არაყის გამყიდველები სამქედლოსთან ჩამწყრივდებიან ხოლმე. იმ კვირას ნინომაც სამქედლოსთან დაიკავა ადგილი და მსხლის გაყიდვას შეუდგა.

— უჰ, ეს რა მომსილი მწყერი მოგომანდა, სანდრო! — გაიცინა თავმოშვლებილმა კაცმა, ხელეზი უკან რომ შემოეწყო და მქედელს ისე შეყურებდა, თითქოს უროს ცემას გაფაციცებით ითვლისო. სანდრომ რკინის ნაქერი კარგად გააბრტყელა, მერე ისევ ნახშირი წააყარა, საბერველი დაუბერა და როდის-როდის იკითხა:

— აბა მწყერი?

— აგე, მსხალს რომ ყიდის.

— მწყერები თვითონ შენა გყავს და წყვილ-წყვილად აფრენ! — შემოუძახა თავმოშვლებილს ჯოხზე დაყრდნობილმა ბერიკაცმა.

— ვაჰ, როგორ მოგხვდა გულზე, შენი ნათესავი ხომ არაა, მიხა?

— იცნობ? — დაინტერესდა მქედელიც.

— ჩემი თანასოფელია. მას რომ ეუყურებ, პატიოსნებამ და სიწმინდემ ფეხი აიდგაო, ასე მგონია.

— ბიქოს, ეგ ყოფილა, რაც ყოფილა! — ნინოსკენ ხელი გაიქნია თავმოშვლებილმა და მქედელს თვალი ჩაუყრა.

— რა გვარია? — ჰკითხა სანდრომ.

— ქველაძე.

— მოიცა, მოიცა! მაგი სავლე ქველაძის ქერივი ხომ არაა?

— ჰო. — დაემოწმა ბერიკაცი. — სავლეც დიდებული ვაჭაკი იყო. ფერი ფერსაო... სწორედ მაგათზე იყო ნათქვამი.

— კაი ღვინის ნაძროვალი, კაი კაცის ნაცოლარიო, ხომ გავიგონია, სანდ-

რო?! — ხელი დაჰკრა მხარზე თავმოშვლებილმა. — აბა შენ იცი, როგორ ვამ საკალოვე მსხალს!

მკედელმა თავმოშვლებილს ყურით არ ათხოვა, ბერიკაცს მიუბრუნდა და ნაღვლიანი ხმით წამოიწყო:

— საელეს მეც ვიცნობდი, მართლაც კაი კაცი იყო. ჯარში ერთ ნაკადს გაგვყოფლეს, მაგრამ თბილისის გამანაწილებელ ბუნქტშივე დაგვაშორიშორეს.

— კავკასიონთან დაიჭრა საცოდავი. — ამოიოხრა ბერიკაცმა და მცირე ხნის შემდეგ ნინოსკენ გაიხედა. — ამ ბუნჩულა ქალს რომ უყურებთ, რა ჭნა იცით? იმ მეორედ მოსვლაში წავიდა და ფრონტის ხაზს შიდალწია, მომაკვდავი ქმარი ინახულა, მერე თავისი ხელით დამარხა, გააპატიოსნა და მისი ნატყვიარი ფარაჯა შინ ჩამოიტანა.

— ეგ ყოფილა, რაც ყოფილა! — ჩაილაპარაკა მკედელმა. ქურიდან გავარეარებული რქინა გამოიღო და ურო თავგამეტებით დაუშინა.

— საღდათებმა რომ არაფერი მაკადრონო, იცით რა ხერხი იხმარა? — წამოიწყო ისევ ბერიკაცმა, სანდრომ უროს ხელი რომ უშვა და ისევ საბერველი დაუბერა. — ბებრულად გამოეწყო, სახე მოიბუღნა, წელში მოიხარა, ხელჯოხი დაიბჭინა და გაუდგა გზას.

— თქვენი თვალის ასახევეად აუხვევია პირი. რაიონს გაშორდებოდა თუ არა, ყელსაც კარგად მოიღერდა და გზადაგზა კიდევ... ჰი, ჰი, ჰი! — აქირქილდა თავმოშვლებილი. ბერიკაცმა შეხედა და გაბრაზებით ხელი ჩაიქნია:

— შენ რა უნდა გელაპარაკო!

— მაგას ყურს ნუ უგდებ, მიხა! — გადახედა სანდრომ ბერიკაცს. — შენ ჩემთან გქონდეს საქმე. ხომ გაგიგონია, კაცს ელაპარაკე და ფული მიეციო?!

— შე თუ კაცი არა ვარ, მაგასაც ვიკითხავ! — თქვა თავმოშვლებილმა მოჩვენებითი სიბრაზით და სამკედლოდან გაგარდა.

— რალაც გინდოდა კიდევ გეთქვა. — უთხრა მკედელმა მიხას.

— ჰო, ამ ქალზე ვლაპარაკობდი. — უბასუხა ბერიკაცმა და წინოსკენ წავიხედა, თითქოს საუბრის ნებართვას მიასგან ელისო.

ესაო და სიტყვის გამტრინავებელი აღარა მყავსო, მიხა გათამამდა, ნინოზე რაც კი რამ იცოდა, სულ წვრილად ჩამოფქვა. სანდრო ყურადღებით უსმენდა და მოწონებით თავს უქნევდა.

მიხა რომ წავიდა და სამკედლოდან სხვებიც გაიკრიბნენ, მკედელმა ხელი დაიბანა, ფეშტამალზე შეიწმინდა და გარეთ გავიდა. ნინო ჯერ შორიდან შეათვალიერა, მერე მიუახლოვდა, წინ ერთ-ორჯერ აღარ-ჩაუარა.

— მართლაც კარგი ჩანს, — გაიფიქრა მან. — ქალს რომ ხორცი უყვავის, არა მგონია კაცისკენ არ წასძლიოს გულმა. ალბათ არც ისეა საქმე, როგორც მიხა ბრუტუნებდა. ოღონდ ფრთხილად უნდა მიუდგე. — უთხრა მან თავის თავს. — ისე კი არ უნდა ჰქნა, ლილის ქორივით რომ ეცი. ხომ აღარ მიგიკარა სათოფზე? ესეც შენ! ჰოდა, თავგზიანად უნდა იმოქმედო. ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველა, გინებით კი ძროხაც-ვერაო. როგორი ფეროვანი და ეშხიანია. წარბებიც კარგად გამოუქნია! ლილის თუ სჯობია, თორემ ნაკლები მაინც არ არის. მივალ, გამოველაპარაკები, ვნახოთ რა კბილისა!

— რა ღირს შენი მსხალი? — სანდრომ ხმა ვერ მოზომა და ყვირილივით გამოუვიდა. ნინომ ფასი ისე უთხრა, თავი არ აუღია.

— შე ქალო, როგორ დაბლა იყურები. ხომ არაფერი დავიკარგავს?

— ვილაც ხარ, დაუკვირდი და ისე ილაპარაკე. შენი „ქალო“ შინ გეყოლებია! — გაწყრა ნინო.

მკედელი მიხვდა, ქალს უნდოდა ეთქვა „ვილაც ოხერი ხარო“, მაგრამ თავი შეიკავა. ეს თავშეკავება ერთგვარ თანაგრძნობად ჩათვალა და გათამამდა.

— შენ რომ არ მყავს „ქალო“, ეს მაწუხებს სწორედ!

— აი დარდი!

— არ იტყვი მაინც რა ღირს?

— ხომ ვითხარი!

— მე მსხალს კი არ გეკითხები, შენი ერთი შემოხედვა რა ღირს?

— თავს ნუ იგდებ ვილაც ოხერი ხარ, თვრა წამოვიდა რიყის ქვა! — შეპყვირა ნინომ და სიბრაზით სახე წამოვინთო, თვალეში სისხლი მოაწვა.

— უკაცრავად, ქალბატონო. სულაც არ მინდოდა თქვენი წყენინება. — მოუბოდიშა სანდრომ. მერე ჯიბიდან ფული ამოიღო, ფეშტამალი აიწია, მსხალი შიგ ჩაიყარა, ერთი გაკბინა, ორიოდვე ნაბიჯი გადადგა და ნინოს ღიმილით მიუბრუნდა:

— ენის რა მოგახსენო და მსხალი კი ტკბილი გქონია!

## IV

დილა მშვიდობისა, ნუცა ბებო! — გადასძახა ნინომ ლობის იქით და კალათს მხარი შეუნაცვლა. დედაბერმა სალამი დაუბრუნა, მერე ხელი მოიჩრდილა და შარავზას გახედა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ბადიშს, ეზოში ჯოხის ცხენს რომ დააქენებდა და „აჩუ-აჩუს“ გაპყვიროდა.

— ნინო.

— რომელი ნინო?

— წმინდა ნინო. — უპასუხა ცეროდენამ და „ცხენს“ მათრახი გადაუჭირა.

— ღმერთმა წალმართიანად ატაროს — დალოცა მოხუცმა.

იმ სოფელში სულ ცხრა ნინო იყო. ერთმანეთისგან რომ გაერჩიათ, ყველას თავთავისი ზედწოდება ჰქონდა. გურამის დედას წმინდა ნინოს ეძახდნენ.

„ჰე, რა ყოფილა სიბერე?! ნუცა თუ ასე მოტყდებოდა და მოიხავსებოდა, ვინ იფიქრებდა!“ — გაიფიქრა ნინომ. — მე რომ მომიყვანეს, როგორი ჭოხმაკა და ენასხარტი იყო! ქორწილის მესამე დღეს მე და სავლე მამიდასთან მივდიოდით. შარავზაზე ტალახი იყო და ერთმანეთი რომ არ დაგვეთხვარა,

ცოტა შორი-შორს მივაბიჯებდით, ნუცამ ეზოდან მოგვკრა თვალუქდა სიცილით მოგვაძახა: ისე არა გამოგვიყვანა, შევიღებო, თუ ერთმანეთს არ მიუახლოვდებითო.

ნინომ ამოიოხრა.

— შე საცოდავო, თუ გრძნობდით როგორი ბედნიერი იყავი, სავლეს მხარდამხარ რომ მიაბიჯებდი?! — უთხრა მან თავის თავს. — დიდი კეთილი გულის კაცი იყო ის სულგანათლებული. იმ დღეს რა ჰქნა, ჰა?

ქმართან გათეული უკანასკნელი დამე გაახსენდა ნინოს. სავლეს თურმე ომში გასაწვევი უწყება ელო ჯიბეში და თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი. გამომშვიდობების საათმა რომ ჩამოკრა, ცოლს მაშინდა გაუმხილა. გადაირია ნინო: დროზე ვეთქვა, საგზალს მაინც მოვიმზადებდიო. დარდ-ვარამი ერთი დღე და ღამით შევიმოკლე და ეს ყოველ საგზალს მირჩევნიაო, უთხრა სავლემ.

მოსახვევში ქალი გამოჩნდა. ნინო რომ დაინახა, უკან აჩქარებით გამოედევნა.

— ნინო!

— ბატონო!

— მოიცა, შე ქალო, ველარ დაგეწიე!

ნინო შედგა.

— კაი გამარჯობა!

— გამარჯობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ჩემო ცაცა!

— ბაზრისკენ, არა?

— ჰო, ბაზარში მივდივარ. ცოტა შემავიანდა და...

— წაიღეთ, მეც იქით მოვდივარ.

— უთხრა ცაცამ და წინ გადაუსწრო. მერე მოუბრუნდა:

— დღეისწორსაც ყოფილხარ ბაზარში.

— ჰო, ვიყავი.

— სხვამ მითხრა. — ჩაიღიმა ცაცამ. ეგონა, ნინო მკითხავს ვინ ვითხარო, მაგრამ ნინომ სულ სხვა რამ ჰკითხა:

— დღეს დიდი სიცხე იქნება, ხომ ცაცა?

— ამინდისას რას გაიგებ! ამინდი პატარძალს ჰგავს, ამ წუთში მზე რომ გიცინის, იმ წუთში წვიმა წამოგემენს და გაგლუმპავს.

უხერხული ღუმელი ჩამოვარდა. ცაცა მიხვდა, „პატარძალი“ ყურით მოთრეული იყო და გამოსავალი გამონახა:

— ნიკას გომბიროს რა უქნია, გაიგე?

— რა?

— დედამთილისთვის უცემია.

— ასე ხელად როგორ მოასწრო!

— მეც ეგ არ მიკვირს?! ახლახან მოიყვანეს და უკვე გამოაჩინა ბრჭყალები. საწყალი მარო! გადაჰყვა შვილს, წელზე ფეხს იდგამდა, პირმშოს არაფერი გაუქირდესო. როგორც იქნა, წამოზარდა, დაათვინა და რომ იფიქრა მეშველა და ეს არისო, პატარძალმა ტყაპა-ტყუპი აუყენა.

— ჰე, დედის ამაგი ვილას ახსოვს!

— ამოილაპარაკა ნინომ და ენა მოიკვინტა, ეს რა წამომაცდენინაო.

— მართალი ხარ, ნინო. — შეთამამდა ცაცა. — დედის ამაგი ავიწყდებოთ. რაღა შორს წავიდე, აგერ ხარ ცოცხალი მაგალითი...

— მე რა შუაში ვარ! — უცებ შედგა ნინო და მხრიდან კინალამ კალათი გადმოუვარდა.

— ნუკი გეწყინება, შე ქალო. — გაიცინა ცაცამ. — ბიჭი რა ხნისა დაგიტოვა სავლემ?

— წლინახევრის.

— კეთილი და პატიოსანი. წლინახევრის ბარტყი წვა-დაგვით წამოზარდე, დედობაც გაუწიე და მამობაც. მერე იმის ღირსადაც არ ჩავთვალა, რომ ეკითხა: მზიას ხელი ესთხოვო თუ არაო. ადგა და მოულოდნელად მოგაყენა კარზე!

„როგორ ჯიქურ მელაპარაკება, მოგზავნილი ხომ არაა?!“ — გაიფიქრა ნინომ და მოიღუშა: — ბეჩა, ცაცა, მზიას ერთხელ რომ შევხედე, მაშინვე თვალში ავიყვანე. მერე სულ ვნატრობდი, ნეტავ ჩემი რძალი ვახდებოდეს-მეთქი. ბიჭმა ნატვრა შემისრულა და...

გურამი რვაწლიან სკოლაში მშო-

ბლიურ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა, თანაც დაუსწრებელი ფაქულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო. მზიაც იმავე სკოლაში მასწავლებლობდა, ნინო თითქმის გურამის ყველა ამხანაგს იცნობდა, მზია კი არასდროს ენახა. ჰოდა, გურამმა ერთ დამეს სწორედ მზია მიიყვანა შინ და დედას წარუდგინა: იცნობდე, ამიერიდან ჩემი ცოლიაო. ნინომ რძალს რომ ახედ-დახედა, დარდით გაშრა. მეზობლები იმედდებდნენ: მშვენიერი გოგოაო. გოგოს რა უჭირს, ჩემი ბიჭი ყოფილა ბრმაო, ჩურჩულებდა ნინო და გულში ცრემლები ედვრებოდა. მზიას ვინაობა რომ გაიგო, მერე სულ მთლად გადაირია: მშობლები ვანქორწინებული ჰყოლია და არეულ ოჯახში გაზრდილ ქალს რა ჰქუა მოეკითხებო.

— რა ვიცი, მაშინ დანა პირს არ გიხსნიდა და... — მიახალა ცაცამ.

— როდის? — დაბნეულად იკითხა ნინომ.

— მზია რომ გაგიპატარძლდა.

— რას გეტყვი, ცაცა, იცი? ყველამ თავისი სვას, თავისი ჭამოს, თავისი მოიხუთშაბათოს, სხვის საქმეში ნუ ერჩება! — გაწყრა ნინო.

— საწყენად კი არ მითქვამს, შე ქალო! — გაიცინა ცაცამ. — შენი სიყვარული მალაპარაკებს. შინ და გარეთ მოსვენება არა გაქვს, არც რძალი გშველის და არც სხვა ვინმე. აგერ ამხელა კალათი მიგაქვს. მე მეწვის ბეჭი შენს მაგივრად.

— ჩემს მაგივრად ბეჭი შენ ნუ გეწვის. — მიუგო ნინომ. — შრომა-გარჯა აღამიანს არ მოკლავს.

შრომა თუ არ გიფასდება?

— ვინ გითხრა არ მიფასდებაო?! რძალმა ჭიშკრამდე მომდია, ორი შაურისთვის წელს ნუ იწყებტ დედაო.

— თუ გულით გითხრა, ღმერთმა გაახაროს. — გაიღიმა ცაცამ და მცირე ხნის შემდეგ წამოიწყო: — ბიჭი უკვე დაგიოჯახდა, ჩემო ნინო. ზედმეტ ჯაფას ახლა მაინც უნდა მოეშვა. გეყო რაც იწვალე და ითავცემე. შენ ისეთი

ფერ-ხორციანი ქალი ხარ, თავს რომ მოუარო, ერთ ქალიშვილს კიდევ აჯობებ.

ცაცამ ჩაახველა და ხმას დაუწია: — დღეისწორს ჩემს ბიძაშვილს უნახიხარ ბაზარში. ირეოდა შენზე პირდაპირ. ვერ წარმოიდგენ, რა დიდებული კაცია! სახლ-კარიც გვარიანი აქვს, მაგრამ რად გინდა, ცოლი შარშან გარდაეცვალა. პოდა, უქალო ოჯახი გინდ ყოფილა, გინდ არა!

— „აი რა ავიკვირებს თურმე“. — გაიფიქრა ნინომ და ნაბიჯს აუჩქარა, ცაცას გადაუსწრო. ცაცა შედგა და ფეხებზე დაიხედა:

— ღმერთო მოკალი, ჩლატები მცნია. კიდევ კარგი, უცხო არავინ შემხვდა!

ნინომ არც მიხედა, უხმოდ გაშორდა.

— მერე ვნახავ და მოგესაუბრები! — შიამახა ცაცამ.

— რა უნდა მომესაუბრო, შე ალქაჯო! — ჩაილაპარაკა გაბრაზებით ნინომ და თვალზე ცრემლი მოაღდა.

## V

ნინო ბაზრიდან აჩქარებული ნაბიჯით გამოვიდა და შინისაკენ გაჰყვა ფართო გზას. დროდადრო ისე შემკრთალი იხედებოდა უკან, თითქოს ვიღაც მისდევსო. თანამგზავრთან სიარული ყოველთვის უხაროდა, ახლა კი ფრთხილობდა, თანასოფლელი არ წამომეწიოსო. ნაცნობთან შეხვედრა რატომღაც ერცხვინებოდა.

— ჰი, ფოსტალიონიდანაც გამხადა! — ჩაილაპარაკა და ცარიელ კალათში ტუჩაბზუებით ჩაიხედა.

— ვნახოთ რას წერს. — გაიღწო გულში, უკან მიიხედა და მერე კალათიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და გაშალა. სქელ ქაღალდზე აჩხა-ბაჩხა ასოებით ეწერა: „ცაცა, ზეგ გესტუმრები საღამოს. შენ იცი და შენმა მარიფათმა. სანდრო“.

— ორი სიტყვისთვის რამხელა ფუ-

რცელი გაუფუჭებია იმ დაბღურს! — გაიფიქრა და ბარათი უფრევე უხელში მოიქცია. ჩანდა, დახედა უნდოდლა მაგრამ ყოყმანობდა. ერთხანს ასე მიაბიჯებდა წერილზე ხელჩაბლუჯული, მერე ბარათი ისევ ოთხად გაკეცა და კალათში გაბრაზებით ჩააგდო. „როგორ სახლიკაცივით მომიჯდა და გამიბა საუბარი. მეც კიდევ რამ გამომამტერა, თავი რომ გავუცვალე და გამოველაპარაკე?! ალბათ ნაცნობებმაც დამინახეს. ხალხის ენას ათასი საბრუნავი აქვს, ვინ იცის რას იტყვიან“.

ნინო დილას ბაზარში რომ შევიდა, სამკედლოს შორიდან მოუარა, წავიდა და სადღაც მოფარებულში დაჯდა. ერთხანს თვალს მაინც აცეცებდა, მკედელი არ გამოჩნდესო. მერე და მერე კი მსხლის მუშტრებთან ისე გავრთო, მკედელიც დაავიწყდა და სამკედლოც. ის იყო ხელი დაიცალა და წამოდგომას აპირებდა, მკედელიც დაადგა თავზე:

— მსხალი აღარ გაქვთ, ქალბატონო?

— არა. — ისე უპასუხა, თავი არ აუღია.

მკედელი დიხარა, ვეება რიყის ქვა მიაგორა ნინოსთან ახლოს და ზედ ჩამოჯდა.

— თქვენი მსხლის გემო ახლაც მაქვს პირში. აფსუს, რატომ აღრე არ მოგედო! — მკედელმა სინანულით თავი გაიქნია.

ნინომ ახლდა შეხედა. თითქოს ეცნაურა, მაგრამ მაინც ვერ მიხედა ვინ იყო. არც იყო გასაკვირი: სანდრო ისე გაპარსულ-გასუფთავებულყო და ახალთახალ ტანსაცმელში გამოწყობილიყო, სულაც აღარ ჰგავდა იმ მკედელს, ერთი კვირის უკან ნინოსთან რომ მიჩლატუნდა, მსხალი იყიდა და თანაც ცელქი ბიჭივით გაეოხუნჯა.

ნინო წამოდგა, ზურგი შეაქცია და თავსაფრისკენ ხელი წაიღო.

— დაბრძანდით ერთ წუთს, ქალბატონო. — სთხოვა მკედელმა.

— მე თქვენ ვერ გიცნობთ.

— მე გიცნობთ. საველე ქველამის მეუღლე ბრძანდებით. — გაიღიმა სან-

დრომ და უცებ წარბები შეკრა: — მე და სავლე ერთად ვიყავით ჯარში.

— მართლა?! — თვალბად იქცა ნინო.

— ჰო.

— სად?

— დაბრძანდით და გეტყვით.

ნინო მოწყვეტით დაეშვა ქვაზე. ნერვიულობით მხრები უთრთოდა: სანდროს ჯიუტად შესციცივებდა და მუშტრის თვალით ამოწმებდა. „ნამდვილად ჩემი შესაფერია. ვითომ რატომ უნდა მითხრას უარი, კაცად არ ვარგვივარ, თუ ოჯახი არა მაქვს რიგიანი!“

— სად იყავით ერთად? — დუმილი ნინომ დაარღვია.

— სად ვიყავით და... — დაბნეულად წამოიწყო სანდრომ, მაგრამ გულსხმაში მალე ჩავარდა: — ბელგოროდის ფრონტზე მთელი ერთი თვე ვიყურყუტეთ სანგრებში, სანამ კავკასიონის მიმართულებით გვიკრავდნენ თავს.

— ბელგოროდში? — გაიკვირვა ნინომ. — თქვენ გეშლებათ. ჩემი კაცი ბელგოროდში არასდროს ყოფილა.

— აბა სად იყო? — ისევ დაიბნა მკვდელი.

— კავკასიონის ფრონტზე დამელუპა. — ისე გულაჩუყებით ამოიუღულულულა ნინომ, თითქოს ქმრის ცხედარი აგერ წინ უდევსო.

— ჰოდა, მე რა ვთქვი, შე ქალო! — გაიცინა სანდრომ. — ჯერ ბელგოროდში ვიყავით, მერე კავკასიის ფრონტზე გაკვირდა საქმე და იქით გადმოგვისროლეს. სავლე ახლაც თვალწინ მიდგას. დღე ერთი იყო და ასჯერ ამოიღებდა ჯიბიდან სურათს და მიჩვენებდა: ნახე, რა ვეჯაკი მეზრდებოა. სურათიდან ტიტლიკანა ბიჭუნა იყურებოდა. ახლა ის ბალანა მართლა ვეჯაკი იქნება.

— შარშან დაეაქორწინე.

— ბიჭოს, კაი საქმეა, მე და ჩემმა ღმერთმა — შესძახა სანდრომ და მცირე ხნის შემდეგ ისევ წამოიწყო: — სავლეზე ბევრი რამ ვიცი. მერე გეტყვი. ალბათ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. მე აგერ ვმუშაობ.

— სად? — დაინტერესდა ნინო.

— საკითხავი ის კი არ ვიცი, — კაცი სად მუშაობს. როგორც დასაწყისად მუშაობს, ეს არის მთავარი! — გაიცინა სანდრომ. — კვებნით არ ვიტყვი, მკედელი კი ვარ, მაგრამ ჩემი საქმის პრაფესორი ვარ!

„ის ყოფილა... ჩაცმა როგორ სცვლის აღამიანს! — გაიფიქრა ნინომ.

— დღეს შაბათი მაქვს. სულ მუშაობაც არ ვარგა. ვინც დირე მოხსნა, ისიც მოკვდა.. — კიდევ გაიცინა სანდრომ და უცებ საუბრის კილო შეეცვალა: — მე სამკვდლოსთან მეგულებოდი, აქ სად წამოსულხარ

ნინო წამოდგა.

— მიდიხარ? — წამოდგა სანდროც.

— მივდივარ. — ჩაილაპარაკა ნინომ და დაუმშვიდობებლად გაშორდა.

— მოიცათ, ერთი რამ მინდა გთხოვოთ! — მიამახა სანდრომ.

ნინო შედგა.

მკედელმა ჯიბიდან ბარათი ამოაძვრინა, გაუწოდა და უთხრა: ცაცა სხირტლაძეს გადაეცი, ჩემი ნათესავიაო. ნინომ ბარათი ჩამოართვა.

— წერილისთვის ხელი არ უნდა შეხლო. ცაცა სხირტლაძეს ვითომდა სულაც არ ვიცნობდი. თუმცა რას მოატყუებ, მან ყველაფერი იცის. ჯანაბა მის თავს! ცაცას აღარასდროს შევხვდები, ამ წერილს კი დავხვე და ქარს გავატან.

ნინოს წერილი არ დაუხვევია, მაგრამ ცაცას ეზოს ისე გაუარა, იქით ერთხელაც არ გაუხედავს.

VI

ნინო შინ რომ მივიდა და ჰიშკარი შეაღო, გურამი და მზია ისევ დერეფანში იდგნენ, თითქოს დილას აქეთ ფეხი არ მოუცვლიათო.

— რაეა ხართ, შეილებო? — ჰკითხა დერეფანში შესვლისთანავე და ჯერ შეიღს გადახედა, მერე რძალს.

— ისე ვართ, თითქოს თითო ფუთი ინგლისური მარილი შეგვეჭამოს... ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიქირქილა მზიამ.

— რა შეგვექმამოსო? — ვერ ვაიგო  
წინომ.

— ინგლისური მარილი. — ვაიციან  
გურამმაყ.

— რა ინგლისური, რა მარილი, რას  
ამბობთ?

— რას ვამბობთ და ამ დილას გამოუ-  
შუშებელი მჭადები რომ დაგვიტოვე,  
მოგველა პირდაპირ, კუქში აღარაფერი  
შეგვარჩინა!.. — თქვა მზიამ.

— მჭადის გამოცხოვბაც აღარ მცოდ-  
ნია და ეგ არის!... — სახე მოქუფურა  
წინოს.

— ვინ თქვა არ იციო, მაგრამ... —  
აღარ დაამთავრა მზიამ.

— ხომ არ დაბერდი, დედა, ჰა? —  
ვაიციანა გურამმა და წინოსკენ ნაბიჯი  
წადგა. — ამ ბოლო დროს ხელიდან  
აღარაფერი გამოვდის ხეირიანად.

— რომ დაებერდე, რა ვასაკვირია! —  
ამოიხზრა წინომ და უცებ შეტრიალ-  
და, დერეფნიდან გავიდა.

— ეწყინა. რატომ უთხარი — მზიამ  
ხელი წაქრა გურამს.

— რა ვუთხარი?

— ხომ არ დაბერდიო.

— მერედა ეს რა საწყენია? დაბერ-  
დება, აბა რა! სიბერე გარდაუვალა.  
ჩვენც დაებერდებით.

— უიშე! — დაიჟყანა მზია. — სი-  
ბერე საშინელია: დაჰკნები, მოიძვარ-  
ებში, მოიხრები... არა, არ მინდა სიბე-  
რე!

ცოლ-ქმარმა „სიბერეს“ ათასი კუდი  
გამოაბეს და საუბარი კარგა ხანს გა-  
აგრძელეს. წინომ კი ამასობაში საძოვ-  
რიდან ძროხა მოიყვანა, მოწველა, ყვე-  
ლი ამოიყვანა, ყველა, საქმე რომ მია-  
ხელკეთილა, კიდევ დაბინდდა. დაღ-  
ლილობა იგრძნო. ცოტას წავისვენებო,  
თავის ოთახში შევიდა და ლოგინზე  
ტანგაუხდელად წამოწვა. წამოწვა და  
სულ მალე ჩაეძინა. გულის აჩქარებამ  
გამოაღვიძა. წამოჭდა და თვალი მოიფ-  
შენიტა. ფანჯარაზე უმთვარო ღამე ჩა-  
მოწოლილიყო.

— დიდხანს მძინებია. შიმშილია გუ-  
ლი ამიფიფილა, თვარა ახლაც არ გა-

მელეიძებოდა. — ვაიფიქრა და ტიხარს  
იქითა ოთახს ყური მიუგდღო — ჩამოჩუმო  
არ ისმოდა.

შენჯინა

— ძინავთ. იბასეს, ივანშემს და მი-  
ბუსუნდნენ. აბა თუ მომისაკლისეს?!  
ოღონდ თვითონ დანაყრდნენ და დაკმა-  
ყოფილდნენ, ჩემი ჰამაც ფეხებზე ჰკი-  
ლიათ და სმაც! ეს ბიჭი მაინც რამ გა-  
დაარჯულა, ჰა? რას ვაფიქრებდი, თუ  
ასე შეიცივლებოდა. ბალღობიდანვე რა  
ყურადღებიანი იყო!

წინო ფიქრმა წაიღო. თვალწინ ოთ-  
ხიოდე წლის გურამი დაუდგა, გზა-გზა  
და ეზო-ეზო ნახევრად ტიტლიკანა რომ  
დაცანცალეზდა. „კეცების შემოწმება  
როგორღა მოისაზრა ი ღლაპმა, ჰა?“

იმ დღეს წინომ ქვეყანა მოიარა და  
ერთი მჭადის ფქვილი ძლივს იშოვა. გა-  
მოაცხო, მერე პირშოს დაუძახა, მეზო-  
ბლის ბალღებთან რომ დათამაშობდა  
შარავზაზე. გურამი მჭადს ფეთიანივით  
ეცა. ერთი ლუქმა რომ გადაყლაპა, დე-  
დას ჰკითხა, შენ რატომ არ ჰამო. ორი  
მჭადი გამოვაცხვე, ერთი მე უკვე შევ-  
ქამე, ეს ერთი კი მთლიანად შენია, რაც  
მოგრჩება, ხელისთვის შეგინახავო. გუ-  
რამმა კეცებთან მიიბრინა, ყველას ხე-  
ლი დაადო სათითაოდ და მერე დედას  
წყენით უთხრა: თუ ორი მჭადი გამო-  
ცხვე, კეციც ორი რატომ არაა თბი-  
ლიო? მჭადს ხელს აღარ ვახლებ, თუ  
შენც არ ჰამო. ვაოცდა წინო. ბიჭუნა  
გულში ჩაიჭრა და სიხარულით აქვი-  
თინდა. იმ წუთში მასზე უმდიდრესი და  
უბედნიერესი აღარავინ იყო.

წინომ ტურჩები გააწვალაპუნა, ცხელი  
მჭადის გახსენებამ გული კიდევ უფ-  
რო აუქვიანა.

„გავალ სამზადში და წავიხემსებ,  
თორემ ისე ვატყობ, შიმშილი აღარ და-  
მაძინებს.“

წამოდგა, ჩლატებში ფეხები წაპყო  
და კარებისკენ გააბიჯა. უცებ შეჩერდა.  
ერთხანს ასე იდგა შუა ოთახში. „მზია  
ეშმაკის ფეხია. იქნებ დვიძავს. ხვალ  
მთელ სოფელ-ქვეყანას მოფენს: ჩემი  
დედამთილი შუალამისას დგება და სამ-

ზარეულში თავივით მალულად დაფ-  
ხაკუნობსო“.

შემოტრიალდა და ისევ ლოგინს მი-  
ამურა. კაბა გაიხადა, ჩაწვა, თვალები  
დახუჭა და გაისუსა, იქნებ მალე დამე-  
ძინოსო. მაგრამ არა და არა, ძილი აღარ  
ეკარებოდა.

— ჰმ, ხომ არ დაბერდი ღედაო! —  
იმეორებდა გულში ნინო და თანდათან  
უფრო ბრაზდებოდა. — ვთქვით და და-  
ვბერდი? მერე? შენ რომ ჩემი შვილი  
ხარ, უნდა წამომძახო?!

მეზობელი ოთახიდან რაღაც ჩუჩუ-  
ნის ხმა ჩაესმა ნინოს.

— მგონი შუამ ვაიღვიძა. კიდევ კა-  
რგი, სამზარეულოში რომ არ გავედი.  
სინათლეს როგორც კი თვალს მოკრავ-  
და, წამოდგებოდა და დამიდარაჯდებო-  
და. ეშმაკობაში კი უქნია ღმერთს!

სულ მალე ჩუჩუნნი ჩურჩულად იქ-  
ცა.

— ბიჭს ალვიძებს. ასე იცის, ერთს  
რომ წაიძინებს, მერე ჩურჩულად ატყ-  
დება. სამაგიეროდ დილით ძილის გუ-  
ლად იქცევა და წამოდგომას აღარ იფი-  
ქრებს. რა ენაღლეება რა, აგერ არ ვარ  
„ბებერი“?

ნინომ სუნთქვაც კი შეწყვიტა, მაგ-  
რამ ჩურჩული ვეღარ გაიგონა.

— მიაე, მიაე. — გაისმა უცებ.

ნინომ თავი წამოსწია:

— ციფ, ციფ!

კატა ლოგინზე ახტა და ნინოს კრუ-  
ტუნით დაადგა თავზე. ნინომ საბნიდან  
ხელი გამოყო. კატა სწრაფად შეუძგრა  
საბნის ქვეშ.

— მოდი, მოდი, შე ჩემო ერთგუ-  
ლო. — მოეფერა ნინო. — ობლად  
რომ ვარ მიტოვებული, გეცოდები და  
მიტომ მოდიხარ ჩემთან, ხომ? ასე უნ-  
და, აბა რა, პატივისცემა წყალში კი არ  
უნდა ჩამიყარო!

კატა მოალერსებამ გაათამაშა, გაინა-  
ბა და მკერდზე მიეკრა.

— ციც, შე კულიანო, მოგზავნილი  
არ იყო ცაცა სხირტლაძესავით! —  
ჩაიღიმა ნინომ, მაგრამ ისევ მალე შეკ-  
რა წარბები. — ფუჰ, რამ გამახსენა! ეს

მეჭირვებოდა ახლა მე? არ სუშრობს  
ქალი, მაქანკლობას მიპირებ, — ღედა-  
ბეჭდილად ვერ მეუბნება, — შორადან მო-  
ვლის. ალბათ ვაგონილი აქვს ჩემი ამ-  
ბავი:

ომი ორიოდე წლის დამთავრებული  
იყო. კოლმეურნეობის მოანგარიშედ  
ვიღაც უცხო კაცი დანიშნეს. ცოლგა-  
შვებულაო, ამბობდნენ. როგორც კი  
ნინო ერთხელ დაინახა, მაშინვე თვალი  
დაადგა. ყველაზე ენაგალესილი მაშვი-  
ლი შეაჩნია და მიუგზავნა. ნინო თო-  
კით დასაბმელი გახდა: თავში ხელები  
წაიშინა, ეს როგორ გამიბედეთ, ჩემი  
საელეს მეორედ სიკვდილი რამ გა-  
ფიქრებინათო.

გურამი უკვე საქორწილოდ იყო შე-  
ლერებული, ხელის მოხოვნელი ერთხელ  
კიდევ რომ გამოუჩნდა ნინოს. არ დავი-  
ღუპო, ამ ამბავმა ჩემი ბიჭის ყურამდე  
არ მიატანოს, თორემ იმ წამსვე თავს  
მოვიკლავო, გაიფოფრა ნინო და შუა-  
მავალი კულამოძებული გაისტუმრა.

— ვითომ სხვათაშორის ჩამიყრა:  
დღეისწორს ჩემს ბიძაშვილს უნახიხა-  
რო. ვხვდებით, რაც გალაპარაკებს, ცა-  
ცა აქნაქულო! — გაიფიქრა ნინომ. —  
როგორ ენად გაიკრიფა: ასეთი და ასეთი  
კაცია, ოჯახიც სანაქებო აქვსო. როგო-  
რიც უნდა, ისეთი იყოს, მე რაში მიან-  
ტერესებს? თუმცა სიმართლე რომ ით-  
ქვას, როგორც კაცს ურიგობა არ ემჩ-  
ნევა. ურიგობა მე გამოვიჩინე: ადამი-  
ანმა წერილი გამომიტანა და...

საიდანღაც მამლის ყვირილი გაისმა.

— რა დროს წერილია, დიძინე, სა-  
ცა არის გათენდება! — შემოუძახა ფი-  
ქრში ნინომ თავისთავს და გვერდი იც-  
ვალა.

VII

ცაცას ძილში ნინოს ხმა ჩაესმა. თვა-  
ლი გაახილა და გაინახა, ეგონა მომე-  
ჩვენაო. ძახილი განმეორდა. ცაცა წა-  
მოდგა და ფანჯარაში გაიჭყიტა. ლამის  
ბინდბუნდი ჯერ კიდევ არ იყო კარგად  
გაფანტული, მაგრამ ნინო მაინც იცნო,



— ისაა. ბიძაშვილი რომ ვუხსენებ, ისე ცივად გამშორდა, მეგონა საშიდღემჩიოდ დამეუბრა-მეთქი და აგერ არ მომადგა კარზე! — სახე ვაგებდარა სიხარულით ცაცას, ხალათი სწრაფად შემოიცივა და ღერეფანში გაეარდა.

— მობრძანდი, ნინო, როგორ შორეულივით იდგამ ფეხს უკან, შე ქალო! — გაუცინა ცაცამ.

ნინო მიესალმა. ცაცამ სალამი დაუბრუნა და ხელი ჩამოართვა დიდი ხნის უნახავივით. მერე უცებ შინ შებრუნდა, ორი სკამი გამოიტანა, ერთზე თვითონ დაჯდა, მეორე ნინოს დაუდგა.

— დასაჯდომად სად მცალია! — თქვა ნინომ და ცაცას ბარათი გაუწოდა: — შენთან გამომატანეს. გუშინ ვერ გნახე და...

— გუშინაც იყავი? — გაიკვირვა ცაცამ და ბარათი ჩამოართვა.

— არა, გუშინ ვერ მოვახებრებე მოსვლა.

ცაცამ წერილი გაშალა.

— დაჯექი ერთ წამს! — ისე შესძახა ცაცამ, თითქოს ბარათში ამოიკითხაო.

— ჰა, მეჩქარება.

— რა გეჩქარება, შინ ბალლი გიტორის თუ რა! შენი დღე და მოსწრება, სულ ასე გეჩქარება, გარბიხარ და გამორბიხარ. აწი მაინც უნდა დაისვენო, შე საცოდაო, თორემ რა გგონია, რომ მოკვდები მიწას ვაცრილს მოგაყრიან. თუ ვამტკიცულს?

— ეეჰ! — ამოიოხრა ნინომ და სკამზე წელა დაეშვა.

ცაცა ბარათს ხელში ატრიალებდა ერთხანს, მერე უცებ იკითხა:

— ვინ გამოგატანა?

— მშვედელი ვარო. სავლესთან ერთად ვიბრძოდი ფრონტზეო.

— ტანადი, ვაჟკაცური შეხედულების კაცი იყო, ხომ?

— რა ვიცი, მე არ დავკვირვებივარ.

— ხომ შეხედე, შე ქალო?! — გაიცინა ცაცამ. — ფართო სახეზე შავი, ვადამბული წარბები შეენის, ულვაშები კი შეჭადარავებული აქვს. ხომ ასეა?

— მგონი. — უწადინოდ დააქნა თავი ნინომ.

— ასე თქვი, შე კაი ქალონ სანდრო ყოფილა — ჩემი ბიძაშვილი! — ისე შესძახა ცაცამ, თითქოს რაღაც დიდი აღმოაჩინაო.

— რაო, რა მინდაო? — ბარათი ისევ ხელში შეატრიალა ცაცამ.

— მე რა ვიცი, მანდ ეწერება.

— აქ კი ეწერება, მაგრამ ასოებს ვერ ვარჩევ. — ცაცამ ბარათი თვალთან მიიტანა — მოთენდებდა და წავეკითხავ. ისე კი უეპველად სანდროს ხელია. ჩქარა რომ წერს, ბატიფეხური გამოუდის. თუ დაკვირვებით ჩაუჯდა, ასოებს ხატავს პირდაპირ. დახატავს აბა რა, შეათე კლასიდან არის გამოსული. თავი გაუხმეს ომის ამტეხს და კიდეც გაუხმა. ჯარში რომ არ წაეყვანათ, სანდრო ახლა დიდი თანამდებობის კაცი იქნებოდა, ისეთი გონიერი და ხელგამომავალია. ერთი მეოჯახის პირობაზე ახლაც არა უჭირს რა. მგონი ერთხელ უკვე გელაპარაკე. ისეთი ეზო-კარი აქვს, ავთვალს არ დაენახებდა. ცოლის ავადმყოფობამ დასწია, თეარა ორი ვაფრენით წინ იქნებოდა. მაინც ვერ უშველა საცოდავს. შარშან გარდაეცვალა.

ცაცა ცოტა ხანს შეჩერდა და სტუმარს დააკვირდა. ნინო მონუსხულივით იჯდა, თითქოს თვალსაც არ ახამხამებდა. ყურადღებით მისმენსო, გაიფიქრა ცაცამ და ხმას აუწია:

— ჰო, იმას ვამბობდი: სანდროს ცოლი შარშან გარდაეცვალა. ჰოდა, ჯანლონით სავსე კაცი უმეუღლეოდ ხომ ვერ გაჩერდება! ბევრი ეძლევა, მაგრამ გული არ უჯერდება.

ცაცამ ჩაახველა და გაუბედავად ამოთქვა:

— ზუსტად ისეთ ქალს ეძებს, შენ რომ ხარ!

ნინომ თავისდაუნებურად ჩაიღიმა. ცაცა გათამამდა და ხმამაღლა აჭირქილდა. ნინომ ისევ წარბი შეკრა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— მოყევილს მოტეხილი სჯობია. —

წამოიწყო ცაცამ. — პირდაპირ გეტყვი: სანდროს ისეთი თვალით დაუნახიხარ, ჰკუას კარგავს კაცი.

ნინომ გაიცინა.

— რატომ იცინი? — გაიცინა ცაცამაც.

ნინომ ხელზე დაიხედა:

— ორპირი ტყავი მაქვს ამძვრალი, მე ჰკუა ვის უნდა დაეუქარგო?

— ტყავი რომ გაქვს ხელზე ამძვრალი და გამრჯე ქალი ხარ, სულს სწორედ იმიტომ ლევს შენთვის ი კაცი. აბა, ზურზუტა და უქნარა ვის რად უნდა!

ნინო წამოდგა.

— მიდიხარ? — წამოდგა ცაცაც.

— კარგა ხანს შემოვრჩი.

— რა სიტყვას მიტოვებ?

ნინო ერთხანს სდუმდა. ჰიშკარში რომ გადიოდა, უცებ შემობრუნდა და მწყრალად უთხრა:

— ცაცა, თუ ჩემი და ხარ, სანდროზე აღარ მელაპარაკო!

## VIII

მოსახვევში ნინოს ნაცნობი ხმა შემოესმა და ფეხს მოუჩქარა. თავის ჰიშკართან ბრიგადირი დაინახა, გურამს ეძახდა.

— არ გამოგეპასუხნენ, ხომ? — წამოადგა თავს ნინო. ბრიგადირმა დაბნეულად მიიხედა უკან.

— ჰო, ნინო, გამარჯობა შენი! — გაიცინა. — გავვოცდი კაცი: შევეყარე ქვეყანა და შენი სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმის. როდის გახდა ნინო ძილის გუდამეთქი.

— აგერ ვიყავი პატარა საქმეზე.

— აბა, მიშველე, ლობიოს ბარდვას ვიწყებთ და დატრიალდი შენებურად.

— სად იწყებთ?

— ხატიყანაში.

ნინომ ჰიშკარში შესვლა დააპირა. ბრიგადირი წინ გადაუდგა:

— ახლავე წადი. მინადორას გაუარე. ქვემოთბნელი ქალებიც გაფრთხილებული მყვანან.

— ერთ წუთს მადროვე, ძროხას გამოვწველი და...

— ძროხას რძალი მოუვლის. ლობიო ამ დილით თუ არ მოპარდვთ, მერე გაფიცდება და ხელს აღარ მიიკარებს.

ნინო აღარ შეპასუხებია, შებრუნდა და მინადორას სახლისკენ გაეჩქარა.

ქალებმა ყანაში ყურთასმენა წაიღეს, რას არ ლაპარაკობდნენ, რას არ ობუნჯობდნენ. ნინო კი ხმას არ იღებდა. ხან მუჯღუგუნე წაკრეს ხუმრობით, ხან საუბარში ჩაბმა მოუნდომეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ აიყოლიეს.

ცაცას ეხოლან გამოვიდა თუ არა, ნინოს ახირებული ფიქრები აეკვიტა. ჯერ წარმოიდგინა, ვითომ ცაცას ნებას დაჰყვა და სანდროს შეხვდა. მერე თითქოსდა ის დღევ დადგა, ოჯახი რომ უნდა დატოვოს, შვილს და ჩძალს გავპაროს... ამის გაფიქრებაზე გული ეჩუყებოდა და მხრები ციებიაჩვივით უთრთოდა. ერთი სული ჰქონდა შინ მისვლამდე. უნდოდა თავისი კარ-მიდამო ფეხდაფეხ დაეელო, შვილს და ჩძალს მოხვევოდა, მოაღერებოდა...

დაბალი სადილობა იქნებოდა, ნინო ხატიყანიდან რომ დაბრუნდა. მზია დარბასთან იდგა და რალაც წიგნს ჩაკირკიტებდა. ნინო რძლისკენ წავიდა გაღიმებული. რომ მიუახლოვდა, მზიამ უცებ წიგნს თვალი მოსწყვიტა:

— სად წახვედი, სად დაიკარგე! — ხმა ვერ მოზომა მზიამ და ყვირილივით გამოუვიდა.

— რა იყო, ცუდი ხომ არაფერი მოხდა, შვილო? — შედგა ნინო.

— გურამი მშვიერი წავიდა განათლებაში!

— რატომ არ ჰამა?

— რა ეჰამა, გუშინდელი დაობებულის მჰალი?

— ჩემს გამომცხვარს მაინც წუნობთ, უმიო და... — გაიცინა ნინომ და კიდევ აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ მზიამ მუცელმტკივანივით შეჰყვირა:

— უმი იყო, უმი, ხომ გაიგე ახლა!

— კი შვილო, მაგაზე ნერვიულობ?

მე თუ უმსა და უვარგისს ვაცხოვ, შენ გამოაცხვე უკეთესი.

— შენ გამოაცხვეო? მზია შეხტა, შევეიწილადა, წიგნი მაგიდაზე დააბერტყა:

— მე გამოვაცხვე და ის იყო! — შესძახა და ოთახში შევარდა.

ნინო გაშეშებული იდგა. რომ ეგონა რძალი თავის გამოცხვარ მჭადს გამოიტანს და მანახებდსო, მზიამ დიპლომი გამოარბენინა და მადლა დროშასავით აღმართა:

— აი ჩემი გამომცხვარი მჭადი! ხედავ? კარვად დაუკვირდი მაგ...

ნინო მიხვდა: „მაგ დასაბრმავებელი თვალებითაო“.

შარავნაზე ბავშვის ტიტინი ვაისმა. ნინომ მიიხედა. კარის მეზობელი შერჩა ხელში. დედაბერი ნელი ნაბიჯით მიტუსტუსებდა, წინ შვილიშვილი მიუძღოდა და რაღაცას ეჭიკჭიკებოდა.

ნინო გაშრა. „ვთუ ვაიგონა. სოფელ-ქვეყანაზე შავი ბიარალივით გამოფრიალებს. მე შენ ვეტყვი, ენას უგვალავს, თუ სინდისი აკაეებს...“

უცებ ტანში შეახურა. იგრძნო თვალთუნელდებოდა. ძალა მოიკრიბა და თავისი ოთახისაკენ წალასლასდა, ლოგინზე წამოწვა. ერთხანს ჭერს უაზროდ მიშტერებოდა. ბურანში რაღაც ხმა ჩაესმა და გამოფხიზლდა. „მგონი მზია ტირის“, გაიფიქრა და სმენა დაძაბა. გულზე მოეშვა თურმე ძროხა ზმუოდა. „ალბათ სწყურია“.

ცოტა ხანს კიდევ იწვა ნინო. მერე ნელა წამოდგა, ძროხა დაარწყულა და ეზოში გურამმაც შემოაბიჯა. მზიამ ქმარს თვალი მოკრა თუ არა, დაემხო ლოგინზე და აქვითინდა.

— რა მოხდა? — დაადგა თავზე გურამი.

— დედაშენს ჰკითხე! — როდის-როდის ამოასლოკინა. გურამმა დერეფანში გაიბრინა:

— დედა!

ნინო დახრილიყო და ძროხას ბაგაში ვენახის მორჩს უყრიდა. შვილს მიუყრუა, ვითომ არ გამიგონიაო.

— დედა! — ხმას აუწია გურამმა.

ნინო წელში გასწორდა, დედაშვილს მიხვდა.

— რატომ ტირის მზია?

— გაუდის და მიტომ ტირის. — უპასუხა ნინომ და ისევ ბაგაზე დაიხარა.

— ნეტავ არ გადირეოდეთ და მეც არ გადამრეედეთ! — ჩაილაპარაკა გურამმა გაბრაზებით და ისევ ოთახში შევარდა.

## IX

მეორე კვირა იწურებოდა, ნინო და მზია რომ დაუბრუნდნენ. ნინომ ერთ-ორჯერ სცადა რძალთან გამოლაპარაკება, მაგრამ მზიამ ტუჩი აიბზუა და ზურგი შეაქცია. რძალი კი არა, შვილიც გაუბრბოდა ნინოსთან საუბარს. ძალი რომ ბუზს იჭერს, ასე თუ გადაუგდებდა გურამი ერთ-ორ სიტყვას, ეგ იყო და ეგ. ისე, ცოლ-ჭმრის ოთახიდან მუდამ კისკისი და ხითხითი ისმოდა. მზია არასდროს ყოფილა ისეთ კარგ გუნებაზე.

ნინო გოგნებულ იყო. ცდილობდა თავი დაედანაშაულებინა, თავის ნალაპარაკევსა და მზიას საქციელს გულის სასწორზე წონიდა და ყოველთვის მზრებს იჩეჩავდა: ჩემი რა ბრალიაო. „იქნებ უნდათ რომ გამინაპირონ და... მიზეზ, მიზეზ, დოს მარილი აკლიაო. მაგრამ რატომ უნდათ ჩემი განაპირება, რატომ?!“

ვინ იცის რამდენი „რატომ“ წამოყოფდა ხოლმე თავს და ფიქრის გრძელ ძაფს გაუხსნელი ნასკევით შერჩებოდა.

ნინო აღრიანად წვებოდა, ზოგჯერ ქათმის დაზუღრებამდეც კი მიაშურებდა ლოგინს. დახუჭავდა თვალს და ნატრობდა: ნეტა, მზია შემოკისკისდებოდეს, დამადგებოდეს თავზე და შეტყოდეს, წამო ჩვენთან, განდეგილივთ ნუ განმარტოებულხარო. ღვთის წინაშე, გურამი ერთხელ კი შეეხმინა, გამოდი, ვიეახშმოთო. ნინომ თავპატივი გაიღო, ეგონა მეორედ დამიძახებდსო. მერე კი ნანობდა, უნდა გავსულიყავი, აღ-



X

ბათ მზიას სურვილიც იყო, რომ დამიძახაო.

ძილშიც ვერ ისვენებდა ნინო. მზია ხან გაუბრბოდა, მისდევდა და ვერ ეწეოდა, ხან კი ეკარგებოდა, გულგახეთქილი დაეძებდა...

ერთ საღამოს ნინო თავის ოთახში რომ იყო ლოგინზე წამოწოლილი უცებ ფეხის ხმა ჩაესმა. გურამი ეგონა და ვახარებულმა თავი წამოსწია. ცაცა იყო.

— ავად ხომ არა ხარ? — შეიცხადა ცაცამ.

— არა, ისე წამოვწექი. — უპასუხა და სკამი დაუდგა.

— დასაჯდომად სად მცალია, ქვაბი მიდგას ცეცხლზე, მურაბას ვაღუღებ. — მიუგო ცაცამ და ისე დაედრიჭა, თითქოს მთელ საცხოვრებელს სთხოვსო: — თუ და ხარ, წამოდი, მომეხმარე, შენ იცი კაი მურაბის დამზადება!

ნინო წამითაც არ დაფიქრებულა, კაბა გამოიცვალა და გაპყვა.

ის იყო მთვარემ დაივახშმა და ცაცას ჭიშკართან ძველი, დანჯღრეული „პობედა“ გაჩერდა. სანდრო, ვილაც ძონძროხა ქალი და მალალი კაცი ვადმოვიდნენ მანქანიდან და არც დაუძახნიათ, შინაურებივით შეაბიჯეს ცაცას ეზოში.

ლაფასთან თვალცქირილა გოგონაიდგა, ხელში ცარცი ეჭირა და მასწავლებელს შეპყურებდა. გურამმა უკარნახა: „მზე წითლად ამოდიოდა...“

— აბა, გაეარჩიოთ. — უთხრა გურამმა, გოგონამ წინადადება დაფაზე რომ დაწერა. მზე რა არის?

— მზე დედა ჩვენი! — წამოიძახა უკანა მერხზე ბიჭუნამ.

გურამი მღუღარეგადასხმულივით შემოტრიალდა და გაბრაზებით იკითხა:

— ვინ იყო?

ბიჭუნა წამოდგა და გაბედულად წამოიწყო:

— თქვენ არ გვასწავლეთ: „მზე დედა ჩვენი, მთვარე მამა...“

— ჩუმად! — შემოუძახა გურამმა.

ბიჭუნა შეკრთა და სიტყვა შუაზე გაუწყდა.

გურამი ერთხანს ბოლთას სცემდა, მერე ფანჯარასთან მივიდა და სახემოქუფრულმა სადღაც შორს დაიწყო ყურება.

— დედა გაუთხოვდა და მიტომა გაბრაზებული. — წასჩურჩულა ერთმა გოგონამ მეორეს.

გურამს ჩურჩული არ გაუგონია.



## რუმინული დღიური

### მამა მხროჩე

მთებში გადაკარგული,  
მწვანით გადაქარგული  
გზა მიგვიძღვის სად?

ძველისძველი ტაძარი,  
როგორც თეთრი ხანძარი,  
აფარდნილა ცად.

ხმაურს გარინდებული  
იჟდა გარინდებული  
მამა ობრორე.

სქელ კისერზე შეება  
ვერცხლის ჯვარი ვეება  
მამა ობრორეს.

გასცქეროდა მზეს მშვიდად,  
კრილოსნის თვლებს თვლიდა  
როგორც ოქროებს.

— გამარჯობათ, მამაო!  
— ვინ ხართ, საიდანაო...

სახე დაუგრძელდა,  
კიქურ ჩაგვაცქერდა.

— სა-  
ქარ-  
თვე-  
ლო...  
ჩამომარცვლა

კრილოსნის თვლებივით,  
ნაოჭები ჩაენაცრა,  
მიჯარული წლებივით.

მოხუცს სახე გაუთენდა,  
ზეზე წამოიწია:  
— დიახ, დიახ, გამახსენდა,  
ვიცი, ვიცი, ბიძია.

მახსოვს, გეოგრაფიაში  
(მე ჯერ ბავშვი ვიყავ მაშინ)  
გვასწავლიდნენ (და ეს მერე  
სულ მახსოვდა დიდობაშიც) —  
საქართველო არისო  
ლამაზ ქალთა ქვეყანა...

თვალი შუქით აივსო  
და წარბები შეყარა.  
იღიმის კმაყოფილი  
და რაღაცას დუდუნებს.  
(მისი „მაშინ“ ყოფილა  
გასული საუკუნე).

ხელის გულზე შეინთო  
წვერი, თუთრად ნაფერი.

— ჰოი, ღმერთმა შეინდოს  
შენი გეოგრაფები! —  
ეგების იმ ნაწერით  
არ დამშვრალან ამოდ,

მაგრამ ჩვენი კაცები  
სად დაკარგეს, მამაო?

ან რად სდუმდნენ ამაზე—  
პირს რომ ვარდი ჰფენოდათ,  
საქართველოს ლამაზებს  
ვაჭკაცობაც შევწოდებ.

გულზეიადს და მედიდურს  
ქვეყნად იმის მეტი თუ  
არა გავიგია რა,

მაშ ღმერთმა შენც შევინდოს,  
მარტო იმათ კი არა...  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხელივით გაშვერილი  
გზა კვლავ გარბის შველივით  
მას არ უყვარს ცდა.

უკან გვრჩება ტაძარი,  
როგორც თეთრი ხანძარი,  
ავარდნილი ცად.

### „ქარაგზების იჩივი“—ჩესტოკანის ბრძოლაში

ბარში ჩამოვარდნილა კარპატების ირემი,  
საწყალს ალბათ მოსდევდნენ კვალში  
მონადირენი.

სად ეპოვა ხიმშვიდე, სად ელოკა  
მარილი?  
და რესტორნის კარებში შევარდნილა  
ქარივით.

ხონჩა ხორაგიანი შემოუდგამს რქებზე,

მკერდზე ჭრელი წინსაფრით ატოტილა  
ქვებზე  
და რესტორნის კარებთან თვითაც  
გაჭევებულა.  
იმ ხონჩაზე რა გინდა, რომ არ  
დახვავებულა. —

ღვინით, პურით, მარილით — უხვით,  
განა მცირედით,  
გულქვა მონადირეებს ეგებება ირემი.

### ლია ჩვედერე!

ბუქარესტის საღამო-შფანტავს გიშრის  
ფერებს,  
დღეს მივდივარ, გშორდები, როსლა  
გნახავ მერე...

უკვე ვხედავ პაერში ატოტებულ ხელებს,  
ვაპმე, ხელთა ხშირი ტყე გზას ვერ  
შეაჩერებს...

ლიანდაგით დასერილ ველებსა და  
სერებს  
მატარებლის ქოთქოთი აღარ მოახვეწებს.

დღეს მივდივარ, გშორდები, როსლა  
გნახავ მერე...

და ჩამესმის სიმღერად:  
— ლია ჩვედერე!  
ხშირად მომაგონდები, კიდევ  
ამამღერებ...

უკვე მივალ, გშორდები...  
— ლია ჩვედერე!

შენს მუქმწვანე მწვერვალებს,  
ზურმუხტოვან ველებს,  
შენს დახუნძლულ ვენახებს  
— ლია ჩვედერე!

შენს გულლია ვაძვაცებს, ქალებს —  
გულთა მწველებს,  
მშვენიერო რომანია,  
— ლია ჩვედერე!

\* ლია ჩვედერე!—ნახევამის (რეჟინულად).

## შენ ჩემო ღმერთო!

შენ ღვთისნიერი ქალი იყავი,  
 ჯადო სიწმინდის შარავანდედი,  
 და ამ ცხოვრების ვრცელი იგავი,  
 ამოუხსნელი გრჩებოდა, დედი.  
 სიმღერა იყო ჩვენი ოჯახის,  
 სანუგეშო და საყრდენი დიდი.  
 შე თუ გეტყვოდი ტკბილად მოძახილს,  
 შენი ნაზი ხმით სიცოცხლეს გვვრდი.  
 შენ არ იცოდი, რა იყო შური  
 და ჩვენში მუდამ სიკეთეს სთესდი.  
 შენ გვინერგავდი სწრაფვას და წყურვილს,  
 კაცისთვის მუდამ საჭიროს ესდენ:  
 უვლიდი, ზრდიდი ჩვენ ბავშვურ ფიჭვებს  
 და გვიღვივებდი სულში ქარიშხალს

და ძილღვიძილში გინდოდა იქნებ,  
 შეგბრძოლებოდით დელგმას და რისხვას.  
 ჩვენ საყვედური არა გვსმენია,  
 არა გვსმენია შენი წუწუნი,  
 შენ შეუმჩნეველ ურუმარ სვედას,  
 ეფინებოდა კვამლი თუთუნის.  
 თუმც გაჭირვება ბევრი გვენახა,  
 ვცხოვრობდით ქართულ კაცის იმედით.  
 წარმოგვედგინა გაშლილ ვენახად,  
 ადამიანის საწუთროს ბედი.  
 და ახლა როცა შენ ველარ გბედავთ  
 და შენი ხსოვნაც წაშლილა თითქოს,  
 დიდი ოჯახის მზრუნველო დედავ,  
 სამაგიეროს არვისგან ითხოვ!

## ნ უ ხ ი ღ ი

ნეტავ არ გეტყვა შენი სათქმელი,  
 ასე საჯაროდ და ასე გვიან —  
 თავს დამსხვრეოდა სუფთა სარკმელი,  
 დასაბამიდან ზეცა რომ ჰქვია —  
 მე მაინც მინდა მოგვალერსო,  
 ახლა სულ მარტოდმარტო დარჩენილს,  
 მე შენი სითბო მაკლია თორემ,  
 ყველაფერი მაქვს სხვა დანარჩენი.  
 თურმე რა დიდხანს შემომინახავს,  
 ეს უცნაური ტკივილი ყრმობის.  
 ხომ იცი ჩემთვის რა ხარ, ვინა ხარ,  
 მე ვარ მაგ შენი სიჩუმის მცნობიც.

ეს ჩემი მთელი სიცოცხლის სუნთქვა,  
 გადავავლოე შენზე ოცნებას  
 და ახლა ვხედავ და ახლა მივხვდი,  
 შენი სიცივის მაგ საოცრებას.  
 რად არ მითხარი მართლაც უმეცარს,  
 რომ მყუდროებას ასე გპარავდი,  
 რომ რატომ ვწერდი, რატომ ვმალავდი,  
 ლექსსაც, სიტყვასაც და სიჩუმესაც.  
 მაინც ველარ ვძლევ სურვილს თუ განცდას  
 ყმაწვილკაცობას მივდევ ხელახლა,  
 შენ იყავ ჩემი უძილობაც და  
 ჩემი უძირო სვედაც შენა ხარ.

## ნეუნილი



ღამეს სუნი აქვს ცაცხვის ყვავილის,  
ეს სურნელეზა სიბნელეს ავსებს.  
აღარ მაძინებს კნუტის კნავილი,  
სიერცეს რომ შესთხოვს სიცოცხლეს ასე.  
ვინ გადააგდო თვალაუხელი,  
შხისთვის ერთხელაც არ შეუხედავს  
ჯერ არ უზიდავს ქვეყნის უღელი,  
ქვეყნის შერისხვას როგორღა ბედავს!

ნეტავ ვინ იყო მიწიდან ცამდე  
მისთვის ვერ ნახა ადგილი ერთი,  
ნეტავ ვინ იყო რომ არა სწამდა,  
ადამიანის კაცობის ღმერთი.  
ო, როგორ კნავის, როგორ დასტირის  
ამ ქვეყნად თავის უცნაურ მოსვლას,  
სიჩუმისაგან ღამე დაცლილი,  
ჩემ სულს სიმწუხრის ბურუსით მოსავს.

## ნაზიდა ახში

ის დადიოდა და მისი ჩრდილი,  
წებოდა ქვაზე, გვეროდა მიწას,  
ერთ დღეს საოცრად ღონემისდილი,  
სახლში შევიდა და ჩუმად მიწვა  
გამოიკეტა ქარმა კარები,  
ამ სახლს მე ველარ მივეკარები —

სიჩუმე დარჩა გამოკეტილი,  
ადამიანის ფიქრებთან ერთად.  
კაცს დაბადებულს თავიდან ღმერთად,  
იმ სახლში უკვე ვერავინ ნახავს,  
ჭარი პატრონობს სიჩუმეს ახლა.





პროკრი ნახრუშვილი

### სიტყვა და დღეამიწა

თქვენ მეკითხებით. რატომ შევადრთე ეს ორი ცნება? იმით, რომ აღამიანის სიტყვასა და მიწას შორის არის იდუმალი კავშირი. ენა დაიბადა ხნულში: წარმოშობით ის სოფელელია. მართალია, ქალაქმა მას მისცა რაღაც სიფაქიზე და სიღამაზე, მაგრამ მთელი ძაღლიონე მას წამოაყვია მიწდგრიდან, სადაც ის დაიბადა ჩქვილში, როგორც ტორილას გალობა.

ანატოლ ფრანსო

ეს წერილი ერთი მცირე მოგონებით მინდა დავიწყო.

იმ დროს, რომელსაც ეს მოგონება ეხება, გიორგი ლეონიძე საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი იყო. კაბინეტი პატარა ოთახში ჰქონდა, მარჯვენის ქუჩაზე, მწერალთა სასახლის მეორე სართულზე. ღია ფანჯარაში, როგორც სურათი ჩარჩოში, ჩანდა ვეება, ტოტებგაბარჯლული ღიბანის კედარი, მხარდაშვეწეწეული ფათალითი და წერწება პალმებით: მთელი ეს კოჭტა ბაღი-ბეიზაყი, თითქოს საგანგებოდ გამოქვეყნებულ პოეტების ამ მწუღრო ბინისა თუ ეზო-ყურესათვის.

იმ ხანებში, ეს იყო ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, მეც იქვე ვმუშაობდი ლიტერატურული გაზეთის რედაქტორად. რედაქციაც მეორე სართულზე იყო მოთავსებული, იმავე ოთახებში, სადაც ამჟამად.

ერთი სიტყვით, ჩვენ ახლო მეზობლები ვიყავით, და თუ გაიხსენებთ, რაოდენ ღიბი პიროვნული მოჭიხველეობა ჰქონდა ამ უჩვეულო, ფრიად კოლორიტულ აღამიანს, გასაყები ვახლებმა, რომ ყველა იქ მყოფს იმ პატარა ოთახისაკენ მიუწევდა გული; როცა პატრონი იქ გვევლებოდა, არ შეიძლებოდა მთელი დღის მანძილზე ერთხელ მაინც არ შესულყავ შეგ საქმეც რომ არაფერი გქონოდა.

ერთხელ, გაზაფხულზე, შუადღე გადასული იქნებოდა, გიორგის კაბინეტის კარი შევადე. მარტო არ იყო. მისაღმგელ მაგიდასთან ექვ-

ტორ გაბესკირია იჭდა, ხოლო ფიცი და მოუსვენარი მამია ასათიანი ოთახში მიმოდოდოდა და გიორგის უმტიციებდა რომ რაყი-ლა ხელკვირია, ახლა ყველაზე უყეთესი იქნება დღევანდელი საღამო სუფთა ჰაერზე გაატარო, კოჭრის მიდამოებში, იქ, გაშლილ სუფრაზე თითო ტკბილა სიტყვა ვეთხრათ ერთი-მეორესო. ექვტორის აზრით კი, ამ ტკბილი სიტყვისათვის ყველაზე შესაფერი ადგილი იქნებოდა ფუნიცილიორის პლატოს მარცხენა ფერღობი. იქ ერთი ფარდული ეციკი, პირდაპირ ჩემს სახლს გადმოჰყურებს, იქიდან რომ ხელი დაეიქნიო, გოგებაშვილის ქუჩაზე დამინახავენ და საღამს დამიბრუნებენო. მეც ექვტორს დავეუქირე მხარი. ახლა ვისხედით და ვუცდიდით, რომელ მარშრუტს აირჩევდა თვითონ გიორგი — გადაშეყვებო სიტყვა, ცხადია, მას ეუთუნოდა.

გიორგიმ სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა — არც კოჭორი ვეინდა და არც ფუნიცილიორი, ახალსოფელში წავედეთო.

საქართველოში თურმე ოცდაათისი სოფელია, რამელიც ამ სახელს ატარებს. მათგან მე მარტო ერთი ვიცოდი — აღაზანს-გაღმა, ყვარლის შახლობლად ცხადია, გიორგი რომელიცაღაც სხვა ახალსოფელს ვულოცხმობდა.

— საით არის ეგ სოფელი?  
— მთებშია, საცხენისს მაღლა, ლოჭინის ხეობა რომ იწყება.  
ექვტორმა ექვით გალაქინია თავი — შორს

არისო, არც მამიას დაუჭდა კუეაში ისეთი არჩევანი, მაშინ გიორგიმ თქვა, რაკი-ლა ახალ-სოფელი არ გინდათ, ბაზარში წაიღეთო.

— საყიდელი გაქვს რამე? — ჰკითხა შეც-ბუნებულმა მამიამ.

— არაფერი... ისე გავიაროთ!

— ისე რა გინდა, კაცო? — გაიყვირა ვიქ-ტორმა.

ვიცილით, გიორგის უყვარდა ბაზარში ვაგლა, ქინძის, წიწმბატის და ცერტეოს სურნელი დვას, ასე მგონია, იქტარძელში ვარ და ბოსტნის კვლებში დავდივარო, — იტყოდა ხოლმე.

— არ გინდა ბაზარი, გოგლა, შენი შებლის პირიშე, — ევედრებოდა მამია, — ნუთუ ტა-ბახშელა არ მოგწინაა?

— არა, არა, არცერთ შემთხვევაში, — ბუბუნებდა გიორგი, — ბაზარში უნდა წავიდე... სატაგონი, იქტარძელი... ხომ იცი, ერ-ბოში მოშუშული მიყვარს.

ჩაჯახდით მანქანაში და ათი თუ თხუთმე-ტი წუთის შემდეგ უკვე აჭრიაშულებულ ბა-ზარში ვიყავით.

დავდივართ და დავეძებთ სატაგონს, რა მწვანისაა მონატრებე რომ არ იყო, მთელი მუხრანისა და დიღომის ქორჯა წიწმბატი აქ ჩა-მოუზიდაეთ. რეჰანისა და ქინძის დამათრობე-ლი სურნელით გაბრუნებულია აჭაურობა, სა-ტაგონი კი არ არის და არა!

ჩვენ მაინც დავდივართ და დავეძებთ, რო-გორც რაღაც სანუყვარსა და საოცნებო რამეს.

უცებ გიორგიმ ვიღაც შავებში ჩაცმული დე-დაეკი დაინახა, შინ ჩაქსოვი მატყლის წინდე-ბი ეჭირა ხელში; მაშინვე მიუახლოვდა, წინ-დები ჩამოართვა და სადაურობა ჰკითხა, ქალი, არ მახსოვს, სატურამიდან თუ მუხრანიდან იყო ჩამოსული; გიორგი ერთხანს ელაპარაკა, დარ-ღი გამოჰკითხა, მონაწილე გაუხდა და შერე, რაც დაუფასა დედაეკიმა, შეუვაპრებლად მის-ცა. ორი წყვილი წინდა გამოართვა.

— რად უნდოდა ეს თბილი წინდები ამ გა-ზაფხულზე, საცაა ჩამოცხება? — უკვე ბრა-ზობს ვიქტორი, რომელსაც მოეწყინა ბაზარში უთაგებლოდ და უმიზნოდ ხეტიალი.

— წინდები კი არ უნდოდა, ვიქტორ! ვერ მიხედა? — უხსნის მამია, — იმ მოუც ქალ-თან გამოლაპარაკება უნდოდა.

ვიქტორმა ხელი ჩიქნია და მწყრალიდ შეხე-და მამიას, ნუ მიხსნი, უშენოდაც ყველაფერი ვიციო.

დრო კი მიდის, კუნწული აღარ დავკრჩე-ნია მოუხსრეკავი, ლეონიძე მაინც არ ეხსენება აჭაურობას. უცებ ბაზრის ერთ კუთხეში უჩ-ვეულო სურათი დაინახეთ: ხუთი თუ ექვსი ქალიშვილი, პირველსავე შეხედვაზე შეატყობ, უცხოელები არიან — თბილისში ჯერ არავის ეცვა ასე მოკლე კაბა, თმაც ჯერ არავის დაე-ყუნებინა მთისათვის, თბილისელ მოდის ამყო-  
8. „მნათობა“ № 1.

ლებს ყოველივე ეს ჯერ მართო უცხოური ილუსტრირებული ჟურნალების ფურცლებზე ენახათ, — იმ ეს უცხო ქალიშვილებზე შემო-სვლიდნენ ერთ სივლულ ქალს, ჩურობულეში რომ გამოტანა ბაზარზე, ვაოცებულნი დასცე-როდნენ და თან თავიანთ გიღს ეკითხებოდნენ — ეს რა ხილიაო, გიდიც რაღაცას უხსნიდა მათ გერმანულ ენაზე.

— ნეტა ვინ არიან? — აკითხა გიორგიმ.

— გვენი ვენის ყინულის ბალეტის მოცეკვა-ვეები არიან, მოსკოვიდან ჩამოვიდნენ, — ვან-მარტა ყველაფრისმცოდნე მამიამ.

— უნდა მივიღე, გამოვეცნაოთო, — გალა-წყვიტა გიორგიმ.

ამდენი ხეტიალით შეწუხებულსა და და-ლილ ვიქტორს ყოველგვარი ინტერესი ჰქონ-და დაკარგული; ის ქალიშვილები ვენიდან კი არა, მთავარიდან რომ ყოფილაყვენ ჩამოტრე-ნილი, მაინც დანახვაც არ უნდოდა ჩაბო.

— რად გინდა, კაცო, დანახვებ თავი, წავი-დეთ! — ურჩია მან გიორგის.

გიორგიმ კი ერთი თავისებურად შეიძახა — ჰმ, ჰმ, — უელს რომ მაშინდენ ხოლმე ტრი-ბუნაზე გასვლის წინ, მხარბში კიბუტურად გაი-მართა და სულ გამოიცივალა; ჯერ ჩვენ შემო-გვხედა ამყად; მუდამ მოალერსე, მუდამ სიუ-ვარულად დამდნარმა მამიამ უფრო მეტად გა-ახარა, როცა თვითონ გიორგის მიერვე ამოჩემე-ბული ორსტრიქონიანი ლექსი უთხრა:

ლეონიძე კობა ბიჭო,  
შენ კი გენაცავალო!

გიორგი მხრებში გამართული მიუახლოვდა ჯგუფს. თბილისელმა გიღმა უშლა შეაჩნია; გიორგის, ცხადია, ის ძალიან კარგად იცნობდა და მაშინვე წარუდგინა ავსტრიელ ქალიშვი-ლებს:

— საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემი-კოსი გიორგი ლეონიძე.

უცხოელ ქალიშვილებს თვალები გაუბრწყინ-დათ. ეხედავთ, ისე უხარიათ ისე... აღარავი-თარი ოფიციალობა... თითქოს თავიანთ ახ-ლობელსა და ნათესავს შეხვედროდნენ, მტრულეზივით ხევივან ვარს პოეტს და ფარ-ფატებენ მის ირგვლივ, ორი წუთის შემდეგ უკვე მკლავებზე გკონწიალებიან. უცებ მოი-ხიბლნენ მისი მართლაც ვაყკაცური ეკზოტუ-რი ვარგნობით, მისი ბუხუნა ხმით, აღერსი-ანი ღირბლით. ჩვენ შორი-ახლო ედგავართ, ვუცქერთ ამ უჩვეულო სანახაობას, გიორგი საქართველოზე ელაპარაკება სტუმრებს, ქარ-თველ კაცსა და ქალზე, ჩვენს ტრადიციებზე, ისტორიაზე, და რაკი-ლა მისი მსმენელები უც-ხოელები არიან, თითონაც უცხოურ წყარობებს იხსენებს, რამდენი კარგი რამ უთქვამთ დას-ველთის პოეტებსა და მოგზაურებს საქართვე-

ლოზე. აი, რა სანეტარო ქვეყანაში ჩამოხვე-  
ლით თქვენი!

**ძღვის დასცილდნენ ერთი-მეორეს.**

დაღლილ-დაქანტულები გამოედგარათ ბაზ-  
რადან.

სწორედ კიშკართან ვილაც ახალგაზრდა  
ბიჭს გადავეყარეთ. იერზე, მზით დამწვარ  
სახეზე და კიდევ რაღაცაზე ეტუბოა, სოფელ-  
სა. გიორგი დანახა თუ არა, მოკრძალებით  
მოუხადა თუ შური ქუდი, პოეტმაკ ძალიან გაო-  
ხარა, სიყვარულით მოიკითხა და მერე პკითხა:  
— ახალსოფელში როდის უნდა გაბრუნდე?  
— დღესვე მივდივარ, — უბასუხა ბიჭმა.  
— მაშ, ესაა მომიკითხე. ეთხარაი, რომ  
თქვენსკენ გამოვლას ვაპირებ.

— ძია გიორგი, ოღონდ შენ ჩამობრძანდი,  
ოღონდ შენი ნახვით ვაგვაზარე...

— რაღაც საქმე მაქვს იქ, სოფელში...

— მაშ დაგელოდებით!

— აგრე იყოს, ხეალ ჩამოვალ, — გადაწყვი-  
ტა გიორგიმ.

ბიჭი გახარებული დაგვემშვიდობა და წავი-  
და. გიორგი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— იქაური ტრაქტორისტია, ხოლო ესმა —  
მავინი ცოლია, მასწავლებლად არის ახალსო-  
ფელში. დილით ადრე ყველანი მწერალთა კავ-  
შირში იყავით, ნუ დაივიანებთ.

\*\*\*

მეორე დღეს, კახეთის გზაზე, ლოქინის ხევი  
რომ გადავეურთო, გიორგიმ შოფერს მანქანა  
გააჩერებინა, გადმოვიდით თითქოს მუხლის  
გასამართავად, მაგრამ, უფრო იმიტომ, რომ  
რაგორც ვატყობდით, პოეტს ენწელებოდა ასე  
ჩქარა გასცლოდა აქაურობას,

— დაეინახე თუ არა ლოქინის წყალს, —  
თქვა გიორგიმ, — მაშინვე ერთი საწყალი კა-  
ცი გამახსენდება ხოლმე. რაედენა ერქვა. ახ-  
ლაც იმის სოფელში მივდივართ, აქაური იყო.  
გაეთგონე თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე  
მაეხვედ, თუ სად და რისთვის მივდიოდით: მი-  
ეხვება, რომ გიორგი ახალ მოთხრობასა წერდა  
და ეს რაედენაც ალბათ მისი მთავარი გმირი  
უნდა ყოფილიყო. ლეონიძე ამ ხანებში წერდა  
მოთხრობებს, რომლებზეც შემდეგში შეადგი-  
ნეს უმწვენიერესი წიგნი „ნატურის ხე“; ეს  
მოთხრობები თითქმის ზედიზედ იბეჭდებოდა  
გაზეთებსა და ჟურნალებში; მერე, მწერალმა  
ერთბაშად პატარა ინტერვალი ვააკეთა, თურქმე  
მორაგი მოთხრობის დასაწერად ახალსოფელში  
წამოსვლა მისთვის აუცილებელი იყო.

საერთოდ მწერლის ცხოვრებაში ხშირია  
ასეთი შემთხვევა: როცა რომელიმე ნაწარ-  
მოების დაწერას გადაწყვეტს და საფუძვლად  
მას ნამდვილად მომზადარ ამბავს უღებებს, ინ-  
ნამდვილად არსებული ადამიანების ცხოვრ-  
ბას ხატავს, ასეთ დროს არ შეიძლება ხელაზ-

ლა არ მოინახულოს ის ადგილი, ის მიდამო-  
ბა, სოფელი იქნება თუ ქალაქის რომელიმე  
უბანი, მათ თუ ტყე, სადაც მოქმედება ხდება  
და რომლის აღწერასაც ის აპირებს. ეს საჭიროა,  
რათა ადრინდელი, ბავშვობისა თუ ყრბობის-  
დროინდელი შთაბეჭდილება განახლდეს; ნაც-  
ნობი მინდერის დანახვაზე იქნებ უცებ გაცო-  
ცლდეს რომელიმე ისეთი წუთი, რომელიც  
აღარ გახსოვს, მაგრამ ოდესღაც მას რაღაც  
ტუბილად გაურბენია გულში. შენ დაგვიწყებია,  
მაგრამ გულს არა, გულს შეუნახავს. გიორგიმ,  
ცხადია, ეს ძალიან კარგად იცოდა და მწერ-  
ლის ლაბორატორული მუშაობის ამ ტრადი-  
ციას თუ ბერხს არასოდეს არ არღვევდა.

\*\*\*

ვიდრე მანქანა ახალსოფლის მთიან გზებს  
შეუფყება, მანამდე ერთი წუთით შევჩერდით  
და პოეტის ბავშვობის წლებში გადაიხედოთ.

90-იანი წლები.. ლოქინის წყლის სათავეებ-  
თან, მთებში მიუყუდელი სოფელი. პატარა გი-  
ორგის ხშირად უხდება აქ ყოფნა, აქ ცხოვრობს  
ნიკოლოზ ელიაძე, პოეტის შამილის — შარა-  
მის ქმარი, ნიკოლოზის ახლო ნათესავს, ვაი-  
სევანს, ჩარხიანი წისქვილი აქვს ზეარში, და  
პყავს მეწისქვილე, სახელად რაედენა...

ეს რაედენა — ყრმა გოგლას პირველი მას-  
წავლებელია.

საოცარი კაცია რაედენა. თითქოს უბირი  
ვიწმეა, უბრალო და უმუშაო, მაგრამ თურმე  
ფილოსოფოსად არის დაბადებული. ისე კი,  
გულუბრყვილო შემოცქერა აქვს და გამოძცი-  
ნარი თვალები; აჭრილი ეაზის აკიდოს ჰყო-  
ნის, ჭირნახულს აღმერაგებს — წინდააო,  
მართლაც კირნახულიაო. ნიაწამწალა რომ  
ჩამოივლის, პირსიცილი მოსდის — ევრე შე-  
მოიჭროლე ნიაწ, არ დაიდალო, ცოფვა ადა-  
მიანი. ჩვენ რომ ახლა ამ ჩრდილში ვისვენებთ,  
რამდენი მუშაობს მზის გულზე. ძმა მოდის  
ჭარა-ჭარა, ზედ ოფლის წვიმა მოსწვივს, იყო-  
დე!

და აი ეს მეწისქვილე ასწავლის პატარა გი-  
ორგის:

— ყური მოიმახვილე, ყველა სულიერია! მაშ  
მიწა რად ტირის? არ ვინახავს მიწის ტირილი  
დილა ადრინ? ბალახი რომ ნაშს გაუშვებს,  
ის მიწის ტირილია. რა ატირებს, ჩვენი ცოდვა?  
თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემცე  
და ქვეშაც იცის დარდი?

რაედენას სულში ჯერ არ დარღვეულა პირ-  
ველყოფილი პარამონია ცაცსა და ბუნებას შო-  
რის, ჯერ არ დაწყვეტილა მათ შორის ვაბმული  
იღვშელი ძაფები. ამიტომ ელამარაკება ვერ-  
ხვის ხეს და ქვებით ეტუნება — შენისთანა შრი-  
ილი არავის არ გამოუფიო. ხარა უდიერად არა-  
სოდეს დაჰკრავს — გლეჩკაიის ძმა არისო.  
ის ეფერება და ელაპარაკება ვარსკვლავებსაც.

აი, წევს რაჟღერა წისქვილის გვერდით, ახლოს პატარა გიორგი უხის, მეწისქვილე ცაზე ხელით უჩვენებს და ყრმის ეუბნება:

— აი, ის ქუეყნა სამხიარულო ვარსკვლავი მიყვარს, ბლუქა-ბლუქა სიხეებს რომ ჰურის, ის მაკოცლებს. ის კი, მეორე ჩემსავით მიბეჭტულე, გულმამკალი, არ მიყვარს, არა!

მოხუცი მეწისქვილე და პატარა გიორგი, გულამა გაყოლილები მისწერებიან ცაზე ირმის ნახტომს და მისი სანახაობით ტუბებიან. ბოლოს მეწისქვილე წამოძახებს:

— ეს ირმის ნახტომი რომ არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებოდით!

ვინ ამბობს ამა—გულუბრყვილო მეწისქვილე თუ ბრძენი! ამა რას უშველის ამ ბეჩავს მარტო ირმის ნახტომის კი არა, მთელი ცის თანავარსკვლავედის ბრწყინეაც, რა სხივს მიუმატებენ მის ჩაბნელებულ ცხოვრებას, მაგრამ არა, თურმე ამ კაცს ისეთი ძლიერი სანთელი უნთია სულში სილამპზის ტრფილისა, რომ საცოდავ მოქამაგირეს, ბოგანოს ცაც და ქვეყნაც თავისი ჰგონია; აუ ამბობენ სოფლებში მასზე — ცის მეცნიერიო; იმ ცას შეხბარის მეწისქვილე და საცოცხლეს ამათ იადვილებს და არა მარტო შესაძლებელს ხდის, არამედ ღამისაჲც, თორემ მართლაც ვერ გაძლებდა, იმდენი ჭირი და ვაგლახი უჩვენა ცხოვრებამ, მარტო იაბონის ომში ყოფნა რად უღირდა — ორჯერ დაუტრიათ — ღია ოანთან და პორტ-არტურთან... მეწისქვილე პატარა გიორგის უამბობს:

— რა ყოფილა ომი, ნელარ მკითხავ! მე რომ იქ გაუფრთო ხალხი ენახე, გაბრული მკლავები... თავის კენჭო ქვიშაზე მეტი ეყარა. ნეტავ რა სამართალმა უნდა უშველოს ჩვენს ხელმწიფეს — ჩემად იტყოდა, თან სიფრთხილით აქეთ-იქით გაიხრდავდა, — რას ჩადიან ეს ხელმწიფეები. რომ ნათო მათი ნამბუცის, ნაწარის, ნადირიც კი არ იკადრებს. ზოგი სალდათი შავად, ჭონივით დამდნარიყო მიწაზე... ძნელია საიმბოზლად.

ომიდან შინ მობრუნებულ რაჟღერას სახლის მაგიერ პარტახი დაეცდრია, დედა გარდაცვლია, მერე უყვლება ცოლიც, თითონაც ხეტიალი უპატრონოს — კლდე შეპყრია; მის უბედურებას ისიც ემატება, რომ წისქვილის ჩარხში ხელს მოაყოლებს და საკვდილს კი გადარჩება, მაგრამ ხელს დაკარგავს. ცალხელა მეწისქვილე ვილას რად უნდა — გარსევანი დაიხსობს.

და აი, მეგობრების — მეწისქვილისა და შვილი თუ რვა წლის გიორგი ლეონიდის უჯანსაღი შეხედრდა. რაჟღერა დაჩაგრა გარსევანმა, სასამართლოში საკმე მოიგო და ხეიბარ მოქამაგირეს სულ სამთხობროდ გაუხადა საკმე. ერთხელ ვაშლის ქვეშ სხედან გარსევანი და პატარა გიორგი. გზაზე რაჟღერა მეწისქვილე

ჩაივლის. გარსევანი დაინახავს და პატარა ბიჭს ეტყვის — მაინც მეკოცება, დაეწიე... დაეძახე, ტუბილ სიტყვას ვიტყვი... და შეწერა განაგრძობს:

„მეც გამიხარდა, დავეწიე, გეძახის—მეთქი; აქებებულე რაჟღერა წამით მობრუნდა, შედგა და ერთი ისეთი შემოშხედა, ჩვენი გნოლა ხა. რივით, გული კინაღამ გადამიჭანდა. მას მერე აღარ მინახავს.“

ამ ამბავზე სოფელ პატარძელში აა ჩა მოხდა:

„დედაჩემმა ჩემი საყვარელი გნოლა ხარი გავიდა. უღელს ეურჩებოდა, უარშიობდა. ღამაზი იყო ჩვენი ხარი, გნოლისფერი, ღამაზ-თვალედა. მეც ვუყვარდი გნოლას, კისერზე ვეკიდებოდი, ბალახს ვთავაზობდი. მაგრამ რა მქნა. მოვიდა მყიდველი, გახარებულმა ამერი გამოხა, ჩასქიდა ხელი წახვეინა... და უცბა ჭიშკართან გნოლა ხარმა შემომხედა ისეთი თვალებით, რომ კინაღამ იქვე გაეციენე. დღესაც კი მახსოვს გნოლას სამღურავიანი თვალეები, გნოლას თვალის ღრუბელი.“

და აი, ფინალიც: „დავინახავ თუ არა ლოკინის წყალს, მაშინვე საწყალი რაჟღერა მომავინდება! თითქოს ლოკინის წყლის წყნარი ზვირთებიდან რაჟღერას სვედიანი ხმა შეძახისო. ამ ზვირთებიდან ჩემი ყრმობა მეციციეობა.“

გერა, გერასოდეს ვერ დაევიწყებ რაჟღერას შემოხედვას ისევე, როგორც დღემდე არ მსახევენს გნოლა ხარის თვალის ღრუბელი“.

• • •

სულ მალე ჩვენ ახალსოფელში ვიყავით, მასპინძლები გულითადად შემოგვეგებნენ. ვიდრე სუფრას ვაწყობდნენ, გიორგიმ სოფლის დასათვალისწინებლად წავიყვანა: გვიჩვენა ის ვენახიც, სადაც ჩარხიანი წისქვილი მდგარყო და ის კეკლის ხეც, სიღანაც, ჩრდილში მკლამარე, ბავშვობის წლებში გასცქეროდა ერთბაშად დანთებულ ოას ცისარტყელას.

სალამთი სკოლაში მიგვიწვიეს, მასწავლებლებსა და ბავშვებს გიორგისთან შეხედრა უნდოდათ. ნაუცხათევი და იმპროვიზებული საღამო ძალიან კარვად ჩატარდა, ახალსოფელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან გახარებულ იყო თვითონ გიორგიც, ბედნიერად და ვლიმებულად, დაბრუნებულე თავისი სანეტარო ბავშვობის ბურუსში.

ახალსოფლიდან იმავე ღამეს დაებრუნდით. შესამე თუ მეოთხე დღეს გიორგიმ წავიყვანა ახალი მოთხრობა „ორი შემოხედვა“.

სოფლისათვის სახელი გამოეცალა, კლდის წყარო დაერქვა.

\*\*\*

ამ მოთხრობას გიორგი ლეონიძის სამყაროში შევეჯავართ. ვიწროლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ვრცელი და მრავალფეროვანია; აქ მინდა მხოლოდ თარიღე მოსაზრება გამოვთქვა ლეონიძის პროზაზე, უფრო სწორად მისი მოთხრობების მხატვრულ ენასა და სტილზე.

ეს არც ისე პატარა და არც ისე იოლად დასაძლევ თემაა ლეონიძე — მეოცე საუკუნის დიდი პოეტია, კემშირიტი შემოქმედი, რომლის ლექსის ყოველი სტრიქონი სუნთქავს სიციხისაგან სამუდამო განუყოფლობით. იგი დაბადებული იყო პოეტად, მაგრამ არის ერთი მხარე მის პოეტურ სამყაროში, რომელიც ბუნებრივად აღუძრავდა მკითხველს სურვილსა და ფიქრს იმაზე, თუ როგორ გაუმკრივდა მას კალამი პროზაში — ჩვენ ვგულისხმობთ ენის ფენომენს. საინტერესო იყო როგორ გადმოიჭრებოდა პროზაში ეს ლაღი სტიქიონი ესოდენ მდიდარი ენისა. მგონი თვითონ შეერაღდა ეს განძობა აღუძრავდა სტიმულს, ეცადნა თავისი მოქარბებელი ღონე ამ ფარშიც; და ბუნებრივია, რომ მან აქაც პირველთა შორის დაიჭირა ადგილი. ლეონიძის მოთხრობებმა გამოქვეყნებისთანავე საყოველთაო ყურადღება მიიქციეს. როცა მან თავისი პირველი მოთხრობა მოიტანა „ლიტერატურულ გაზეთში“, ის მაშინ სამოცი წლისა იყო. მაგრამ მოთხრობებში უმაღ იგრძნობდით არა მარტო დაბრძენებული კაცის აზრსა და ფიქრს, არამედ ჭაბუკის ხალისსა და გაქანებასაც.

გიორგი ლეონიძის წიგნი „ნატრის ზე“ არის უდავოდ დიდი მოვლენა არა მარტო საზოციანო წლებში, არამედ საერთოდ მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში; ვიდრე ამ მოთხრობების ენას შევვებოდეთ, ვაღიგებდით მათში გამოხატულ ტიპებსა და ხასიათებს. ეს არის საოცარი ძალითა და ოსტატობით ჩამოქნილი ეროვნული ქართული სახეები, განუმეორებელი და თავისებური; ამაზე ღრმად, ამაზე გულშიაშფუღენად მწერლის სიტყვა კაცის სულს ვერ მისწვდება. ზერე და როგორი მრავალფეროვანია სახეების ეს გაღერება — როგორი მოკვეთილი და მძაფრია მათი დახასიათება; აქ ცოცხალი ცხოვრებაა, მთელი თავისი ტკივილებით, ტანჯვით, სიხარულით, ოცნებითა და იმედებით, სასოწარკვეთილებითა და ოპტიმიზმით.

განა ცოტა დაწერილა ჩვენში ძველ ქართულ სოფელზე. მაგრამ თურმე ეს ამოუწერავე თემა ყოფილა; მას კიდევ ჰქონდა ისეთი ვადასახელები, ისეთი ასპექტები, საიდანაც სულ ახალი სანახაობა გადაიშლებოდა. სწორედ ეს ასპექტები მოიქმნა ლეონიძის თვალმა; ქართულმა ეროვნულმა გენიამ მას ძალიან მუდრო მიამაღლა. ამიტომ დავს მისი მოთხ-

რობების წიგნში დიდი და თვალისმომჭრელი სინათლე და სიყვით ქართველი ხალხის სულისა.

გიორგი ლეონიძის მოთხრობებში გადმოიტყუებული ის მაღალი იდეალები, რასაც ხალხი შესტრფის და მიესწრავდეს თავისი გაჩენის დღიდან. ეს არის ჰუმანიზმი, ეს არის სიყვარული სამშობლოსადმი, ტრფიალი მისი სილამაზისადმი.

ლეონიძის სიტყვა — პოეზიაში ზომ უხვი, ბარკიანი და მდიდარია, ხოლო აქ, პროზაში ის გაზაფხულზე მოდიდებულ იორსა ჰგავს, ხმარობანსა და მჩქეფარავს. ენა და სიტყვა — აქ ყველაფრის დამტყვი; მას აქვს ის ჭადოქრული ძალა, როცა ეს განყენებული პირობითი ნიშანი — სიტყვა ხდება საგნობრივი, მატერიალური და მეტე სულს იღვამს, სიტყვა აქ ფერიც არის და ითავსებს ფერმწერლის საღებავებსაც, ითავსებს მუსიკასაც, ითავსებს ყველა უნარს აღამაინისას გარემყართან შესახებად და დასაკავშირებლად და მის გამოსახატავად... ეს იმიტომ, რომ ის — ხალხის ენაა, მას წიალი ხალხის გულში აქვს. იქიდან მოდის ლეონიძის მოთხრობებში სამშობლოს სიყვარულიც, დიდი ზნეობრივი სიწმინდეც, სიბართვის ტრფიალიც და ყველაფერი ეს ხდის ენას უმდიდრეს და უდიადეს საჩკედ მთელი ბუნებისა და ცხოვრებისა, მართალ, გაუზნაჩე საჩკედ, რომელიც ჩვენი გაზაფხულის სხივებს აირეკლავს და ხალხიდან წამოსული, ხალხშივე ბრუნდება.

აქ არის ლეონიძის პროზის ძალა.

ყველაზე დიდი ოსტატობაა სიტყვაში გაციოცხლო სურათი, აღწერილი — თვალდასანახად აქიოა. თვითონ გიორგისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის „მუხლადი, ბედაფტი, მადარი სიტყვა“. წაიკითხავთ ფრანს — „აღჯიან-შამბნარინი, ვერცხლულა იორი“, და თქვენ იგრისპირებზე ხართ, ხედავთ აქ მიღამოებს; აი როგორ აღწერს ის ყველას: „მზის ათასფერა კაბა ფრიალებდა, ბრიალებდა და საესე მინდორზე“.

ახლა ცალკეული აღამაინების დახასიათება: „დიავანი ელუფთერი ლეინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავეიფა, ლხინიცი, ლეინის ხაბია! წირვა-ლოცვაზე საღვთო წერილს სულ უღამამოდ, ლულულეთ ჩაიკითხავდა, მაგრამ ფსალმუნის იმ ათვლის, სადაც წერია — „ღეინო ახარებს გულსა კაცისასო“, დიდი სიყვარულით, რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოსთქვამდა“.

შემდეგ — „ღეიდა ჩახტაურა — მომჩინარი მანდილოსანი, მძლავრი და მკაცი რედაყაი, სოფლის ქალთათაი“; აჯერ კიდევ — „მეცელმწიფთა თლოშიაური, სუტრის მუსუსი, ლეისი მოყავარე ყორანი, მუღამ სხვისი სუფ-

რის მოკავშირე, სხვის პურ-მარილზე ჩაბურებელი".

**შემდეგ** — „კეთილის მოწილე, მოხატურ, უველას შემყენარებელი, თავანჯარა კაცი — გუთნისდგა თარიმანი“.

**შემდეგ** — „თოხიბარა — ნაღვეა კაცი, უღლეურა, უფრთიანო, უეარსკვლავო“.

და მე აღარ ვიცი, რომელი ერთი ამოვწერო, ამ ყველა ფრაზა — სურათია, ცოცხალი და პლასტიკური.

ლუონიძის მდიდარზე მდიდარი ლექსიკონიდან საილუსტრაციოდ სულ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან (ციფრებით ნაჩვენებია გვერდები „ნატერის ხის“ პირველი გამოცემისა).

**ათვალული** — ამ სიტყვას ვერ შევცლის ვერც ათვალწუნებულა, ვერც გათვალული. ეს არის ათე თვლით დანახული და წინასწარ განწირული განსაქიებლად. „სხვათა განწილვა-განქიებაში უველანე შეტად ბასრობდა დალაქის ცოლი. სამყაროს მიმართ ამბობებულს უველა ათვალული ჰყავდა კბილგასაკრავად“ (35).

**ამომღები** — სიმღერის, ლექსის ამომღები „ქერობა ჩიტი ვარ, სიმღერის ამომღები, რასაც გულიდან ამოვიტან, იმას ამოვლექსავ“ (140).

**ამორჩხული სიტყვა** — უცებ ნათქვამი სიტყვა, — გულიდან წამოსული. „ამორჩხულ სიტყვას კილოს უპოვინდა, ხან ისე დააღრმავებდა სიტყვას, გაკვირდებოდი“ (118).

**არდაბრუნებული, შინმოუსვლელი** — „სულ პირველად არდაბრუნებულში ადღეგრძელა“ (186). ცნობილი იყო ხალხური ფრთიანი ფრაზა — „რალა მკვდარი და რალა შინმოუსვლელი“, მაგრამ იშვიათად თუ გაიგონებდით: იმის შემდგომ წლებში ლუონიძემ ეს სიტყვა გააცოცხლა და ძალზე პოპულარული გახალა; ახლა სპორთველის რომელ სოფელში არ შეხვდებით შინმოუსვლელთა სტენდებს, შინმოუსვლელთა სახელზე გაშენებულ ტყეებსა და ბაღებს.

**ბოტროი** — „ადგილი იყო დახამბული, პაერი — ბოტროი“ (19). „ქართული ენის განმ. ლექსიკონში“ დამოწმებულია ქერ საბა (პირველი მნიშვნელობა), მერე ს. მენაბდეშვილის ქიზიურთი ლექსიკონი — „დიდი სიტყ უნიკოლ“.

**გადამბილავი** — „ოვალქიქველი, ვადამბილავი... ქვეყანას აყვდრებდა თავის სილამაზეს“ (152). ამ სიტყვას აქვს თავისი ნითანსი — მომხიბლავზე უფრო შეტო.

**გადაქინძული** — გადაკარგულის მნიშვნელობით. ქინძმა იცის. ბოსტინიდან მინდორში გადაკარგვა, ქარი გადააგდებს თესის და გააქვლურებს. „რამდენი ხანია რაც არ გამოჩენილა, სად რას არის გადაქინძული“ (36).

**დამწინა კაცი** — დიდი კაცი, ქვეყნის იმედი.

„ავაი, ჩვენს უმატრონობას, რადამწინა კაცი დაგვაკლა“ (239).

**დახსაწყისი** — საწყისის არმქონე; უსაწყისო. „ღმერთი დახსაწყისი“ (138).

**ენით მკლემული** — ენით რომ გააფრთხილეს აღმამას; ამას ვარდა, მწერალს ნაჩვენებია აქვს აღმამანთა ხასიათები მათივე ენის მიხედვით: „ენამკლე, ენაგვსლა, ენაჭლარტი, ენამორბუღი, უკალიტო ენა, ენამუხლმალა, ენა გაბუნულ-გამობუნული, სახრიკო ენა, ენამტე, ენაწულო-ნაწუა, ენაქუბილი, ენამახვილი, ორუნა... დაუვმატო? ორკაბა ენა, ენატლყვია, ენაპრიკონა, კიდევი ენის?“ (34). „ამას ვარდა, აქვს კიდევი ენით მოფინდვლა“. „ენადკარგი იყო არ იცოდა ენით მოფინდვლა, მაამებელი არ იყო“ (118). უველადერი ეს მართლაც საოცრებაა: თითო სიტყვით თითო პორტრეტი, თითო ხასიათია დახატული, ჩვენს წინაშეა პორტრეტების მთელი გალერეა: მართლაც უნდა იყო ენის ღმერთი, რომ ეს შეიძლო. თქვენ ზედათ იმ აღმამანებს... აბა დააცირდით, როგორ გამოხდება? აქვს ენით მკლემული — მთელ ქვეყანაზე არაფერი მოსწონს, მუდამ შემართულია ყველა გაქეწლოს, დაციფოსა და გაამწინაროს.

**ერთმავე** — ერთი გზისა, ერთიანი, ერთმაგად ნაქსოვი თუ ნაქვდი. „ნუ იტყვი, მე იმერული ვარო, მე კახელი ვარო, მე შვეტრული ვარო ერთი ძეძულს შეიღები ვარო, ერთმავე უნდა იყოს ერი, რად ვარგა გათვითებული“ (228).

**თავგაზიღული** — „გულდიღობას, გულზეთა დობასაც აბრალეზდნენ, თავგაზიღულიათ. გულრბილი, დამთო კაცი არ იყო“ (207).

**თანამოკირისუფელი** — „მოკო დედა იყო მგლოვარეთა ნუგეშისმცემელი, თანამოკირისუფელი, მათთან ერთად გულდამდნარი“ (185).

**გამოთეთრებით თქმა** — „გამოთეთრებით რომ ვითხრა“ (76), სული და გული რომ გადავიშლო, დამალავად, ყველაფერი რომ ნათელი იყოს.

**გამომცინარი** — „სინაზიანი, ციაგანი, გამომცინარი დილა“ (190). ამას აქვს თავისი ნითანსი მომცინარესთან შედარებით. გამომცინარი ფოთლებიდან, ყველელებიდან, მთელი ცოცხალი ბუნებიდან, ტყეებიდან და მთებიდან, იქიდან აქეთ, შენსკენ, თითქოს შენ შემოგხაროს.

**გასახებუბა** — სახელის განთქმა. „აქედან, დაიწყო მისი გასახებუბა“ (290).

**გახუნთქული** — გაჩუმებულნი, სუნთქვაშეკრულნი რომ უსმენენ ვინმეს ან რამეს. „გახუნთქულუბა უსმენდნენ თამადას, ისეთი სიჩუმე დადგა, როგორც უფრინველო ტყეში“ (134).

**გულისხმისმყოფელი** — ზრტენი, გამგები კაცი; „ასე იტყვის გულისხმისმყოფელი“ (242).

**გუნებებიერი** — ფაქიზი, გუნებას რომ ეკითხე-

ბა. „ნაზი და გუნებისმიერი მჰამელი იყო“ (317).

**დაგულისხმებულია** — დიდი მზნობით აღსავსე. „მიდიოდა შეფოლადებული, დაგულისხმებული, რკინის მთა რომ შეხვედროდა, გააპობდა“ (168).

**მერჩულე** — თვყაი. „უყვარდა ვარჯა სოფლის მერჩულეს, გამგებელსა და და მეუფროსესს“ (206).

**მზისობა, მწვანისობა** — „გაქრება მზისობა, მწვანისობა, გაშავდება სახედველი“ (181).

**მოკრთამენი** — ერთი-მეორის მხარში მდგომნი. „ვადავაყენოთო, ყვიროდნენ ქათათას მოკრთამენი!“ (155).

**მოხმარი** — „ტყელიად რომ მიიჩვენებს, მიიწერს რამეს; „სიყეთის მოჩმარი ქორიაც იყურება — პურადი კაცი ქვეყანაზე არ დაიღვეო, მოყვარესთან ძღვენი მიჰქონდა, მაგრამ თქვენზე უკეთესი მოყვარე ვინა მყავსო“ (326).

**ნაპტერალა** — ოდესღაც ვისმესთან შემტერალებული. „არავისზე ნაწყენი, არავის ნაპტერალა ამ ყოფილა გუთნისდღა ნინია“ (75).

**ნაწყება** — მცენებლ მიღებული. სიტყვა წარმოქმნილია რუსთაველის ნაუბნარისა (სტრ. 326) და ილია ჭავჭავაძის ნაუბნარის მსგავსად. „კაცი პურადი უნდა იყოს, ნადიმნათელი, — ეტყოდა ზოლმე მამარემს ჩვენს სუფრაზე. ეს იყო მისი მთავარი ნაწყება“ (318).

**ნაქარალი, ნაქორალი** — აობრებული, ქარისა და ქორის სათარეშოდ ქვეული მიდამო (267).

**ნაწყეთალი** — „ია მხოლოდ დედის ცრემლის ნაწყეთალზე ამოდის“ (4) „პატარა წიგნი საუბე, ზედ ცრემლის ნაწყეთალზე, ეს ქვათყენი დედოფლის ნაქონ წიგნზეა ნათქვამი, რომელიც ახლა საქართველოს მუზეუმში ინახება და რომელიც ირანში ჰქონდა წადებული დედოფალს.

**საღმიაანი** — „ღარიბი იყო, მაგრამ მხიარულ, ზუპარი, პირსიცილიანი, დიდად საღმიაანი... ქართველი კაცის ყველაზე დიდი სიმდიდრე საღამიაო“ (83). **უსაღმო** — „ჩიკოტელა უსაღმო, ყომრალი, ცადარებული კაცი იყო, გულაკაცი, მზეთობარი... აედრთან დღეს უგაგდა თავპირი“ (84-85).

**საშრომელი, შრომილი სიღამაზე** — „ზაფხულ-შემოდგომის საშრომელმა არ მოგაცალეს“ (122). „როგორ უნდა ვამეტოს აღამიანმა დასაბუვად ეს შრომილი სიღამაზე, მონაგარი კირნახული...“ (336). სიღამაზე არა ბუნებისა, არამედ შექმნილი აღამიანის ზელით, მისი შრომიით; საშრომელი-შრომილი.

**წვიმილა** — გაუთავებული, დიდხანს გაგრძელებული, გადაუღებელი წვიმა. რით შესცელი ამ სიტყვას? ევრაფრით. არა და, როგორ ძლიერ საქირია იგი.

ორივე ეს სიტყვა — შრომილი... წვიმილი...

თითქოს სადღაც უხვევს კანონს — ვნებითი გვარის მიმდევრის წარმოებას, მაგრამ ინარჩუნებს დიდ აზრს და ხალხურ-ისტორიულ-ეტიკურ შენაღ�მწავად გადმოსცემს მათქმელს და ამით რაც — ყურს არ სჭრის პირიქით, ატკობს.

ეს შემოქმედის სითამამეა, რომელიც ჰქონდა ენის პირველქმნელს. ამისი უფლება აქვს მართო იმას, ვინც სრულყოფილად ფლობს ენის დიდ საიდუმლოებას, ვინც შესულია მის სტიქიაში, ვინც ენის კანონს კი არ არღვევს, არამედ ემორჩილება, ემორჩილება არა მარტო გონებითა და ლოგიკის ძალით, არამედ გულითაც, ისევე ბუნებრივად, როგორც ყვავილები და ფაბაზები ემორჩილებიან შვსა და ვახუბულს... ლონიძე აქ ერთსადაიმაცედ როს, ტრადიციის ერთხელიცა და ნოვატორიც არის. მან იცის სიტყვის წიაღი და მადანი, და ამ წიაღში ჩამარხული ამოაქვს, ამოაქვს ხალხიდან, წარსულის ძეგლებიდან, ხან უკვე არსებულ სიტყვასაც მოკიდებს თავის ლონიერ ხელს და უფრო გამოაჩენს, ფერს აღდგენს, ფორმას შეუცვლის, მაგრამ ისე, რომ სიღამაზეს კი არ დაუვარგავს, შეჰმატებს შესაბამისად იმ კანონებისა, რომელთა მიხედვითაც შექმნილია ქართული ენა. „გრიგაღეთი ზემობდა... ქარი ქარელი ბღღვირს აუენებდა, აფთარიეთი კბილებს აღრკვილებდა...“ (162); „**თოღღეთური** ზარიშხალი მთებზე ჰყოლია, ჰყოლია, მინდვრად ზარიალებდა“ (163). „ნაქარი თოღღე იყორა. სულ აირია ქვემოეთი, ზემოეთი“ (164). **გრიგაღეთი, თოღღეთი, ზემოეთი, ქვემოეთი...** როგორც ზედაეთ-ეთ სუფიქსს, რომელსაც ქართველმა ხალხმა დასაბამითეად იღვილის სახელწოდებათა წარმოების ფუნქცია დაეკისრა (მხედ. კავაბეთი, თელეთი და ა. შ.), ლონიძემ ახალი ფუნქცია შეჰმატა. აბა, დაუგდეთ ყური როგორ ეღერს -ეთ სუფიქსი ამ ფუნქციებთან. არა, მწერალი აქ არ უხვევს ენის კანონებიდან. კითხულობ წიგნს და მწერალს ტყვედა ჰყავხარ, გეჩვენება, რომ ის გრიგაღეთიც ქვეყანაა, ავგილია, სადაც გრიგაღეები იზადებიან და ცხოვრობენ, ალბათ დამძულეებიც არიან, რათა მერე აიწყვიტონ და ქროღეთი, გუგუნით წამოვიდნენ, რათა ააწიოკონ და ააწრიოღონ მთელი სამყარო. ის თოღღეთიც თითქოს ქვეყანაა, თეთრი და თვალგადაუწვდენელი. სიტყვა აქ ვადაღის უმაღლეს პოეზიაში. ლექსიონში ეს სიტყვები არ არის, მაგრამ კითხვისას ამის ვერ გრწმობთ, ყველაფერი ეს ყარჯ ქართულს მიჩვენულ ყურს კი არ ეხამუშება, ტყბილად ჩაესმის და ეს იმითომ, რომ ინსტიქტიცა და გონებითაც გრწმობთ — ასე იტყოდა დიდი დამფუძნებელი ენისა, მაშინ რომ დასკირებოდა. იტყოდა კი არა, ამბობდა კიდევ, ენიანდა ამსოღუტური უმრავლესობა ამ სიტყვებისა ლეონიძის შექმნილი კი არაა, სამზოვზეა გამოტანილი. ის

ქმებს და აღვიძებს უსამართლოდ მიეწვე-  
ბულს, მტვერდაფრის, ფერფლში მიშალულ  
ნაპერწყალს.

ლეონიძის სიტყვას ღრმა ფესვები აქვს გად-  
გზული ქართული მიწაში. ენა და დღეაძიწა! ეს  
წერილი მე დაეწიე ანატოლ ფრანსის სიტყვე-  
ბით იმის თაობაზე, თუ რა კავშირი შეიძლება  
იყოს ამ ორ ცნებას შორის. აქ კი ცოტა უფრო  
დაწერილებათ მინდა გაიხსენოთ ა. ფრანსის წე-  
რილი „ფიქრები სოფლიდან ქალაქად დაბრუნე-  
ბის დროს“.

„პირველივე დაქროლვა ცივი ქარებისა ქალა-  
ქისაკენ გვერეება, — ასე იწყებს თავის წე-  
რის დიდი ფრანგი მწერალი, — დღეები  
სულ უფროდაუფრო პატარავდებიან და ცაც  
სულ ჩამობინდულია. ახლა, როცა ამას ვწერ,  
ვხივარ ბუხართან, განმარტოებულ სახლში.  
საღლა, ზეივნის ბოლოს ამოდის ნათელი მთვა-  
რე და აბრწყინებს დაცენილი ფოთლებით  
მოფენილ მიდამოს. ირგვლივ ყოველივე და-  
დუმებულია. უსაზღვრო სევდას შეუკრავს პო-  
როზონტი. მშვიდობით, მშვიდ, მშვიდობით  
შექიანო, წყრილა დღეებო! მშვიდობით ნა-  
თელ დღეებში ჩაიბრუნო მინდვრებო, მშვი-  
დობით მიწავ, ლამაზო და აუვაგებლო ჩვენი  
დედო მამავ, რომელმაც დაგვბადე და ერთ  
მშვენიერ დღეს კვლავ მიგვიბარებ!“

მე ზეალ მიემგზავრები აქედან, ჩემოდნები  
უკვე ჩაწყობილი მაქვს, ბარგი შეკრული, და  
ამ დამობეზულ სახლში ხელთ შემბრია ერთად-  
ერთი პატარა წიგნავი, რომელიც შემთხვევით  
დარჩენილიყო ბუხარის თავზე. შემთხვევა ჩემ-  
თვის იგივე მოუბრავია — მას აბაჩია მთელი  
ჩემი სიმდიდრე და ქონება. იგი ხშირად ვამ-  
ქურდავს ხოლმე, მაგრამ ეს ვაძევერა სულელი  
როგოა: მას ნუგეშით მოაქვს ჩემთვის და ამი-  
ტომ ყველაფერს ევაპტიებ. თანაც, რაც უნდა  
ცუდად მოიქცეს ის, ვიცო, მე თეთროს უფრო  
კუდად მოვიქცეოდი. ამეყარადაც მან სიყე-  
თე მიყო — მომცა ხელთ ეს ყვითელკანიანი  
წიგნი, რომელიც ამ ზაფხულს წავიკითხე რა-  
ღაც განსაკუთრებული მღელვარებით. ის საე-  
სებათ შეესაბამება ჩემს დღევანდელ ფიქ-  
რებს, ენადიდან მასში ლამაზრავია ენასა და სი-  
ტყაზე, მე კი მიწაზე ვფიქრობ.

ვხივარ ბუხართან, ვეძლევი შემოდგომის  
ფიქრებს, და თან ეს ფიქრი ქალღმრთელ გულ-  
მაქვს. არსენ დარმსტრეტრის წიგნი, ხელთ  
რომ მისუბრია, სამეცნიერო შრომა... ბ-ნი  
დარმსტრეტრი — ლინკვისტი... ის, თითქმის  
დარბინი იყოს გრამატიკისა და ლექსიკის  
სფეროში, იყენებს სიტყვის მიმართ ევოლუ-  
ციის თეორიას და მიდის დასკვნამდე, რომ  
მეტყველება — ხმოვანი მატერიაა, რომელ-  
საც ადამიანის აზროვნება შეუმჩნეველად და  
დაუსრულებლად სახეს უცვლის არსებობისა-  
თვის ბრძოლის და ბუნებრივი შერჩევის გა-

უცნობიერებელი ზემოქმედების წყალობით.  
ასეთ მეთოდურ შრომას მეტოდური გაანალი-  
ზება სჭირდება. მაგრამ დაე, ეს სხებებში გაა-  
კეთონ, უფრო განსწავლულმა ადამიანებმა...  
მე კი, ნელ-ნელა ვადრფუტრულივ მას, ეტი-  
თხავ, და დროს და დროს ვაეხედავ ვაღბნულ  
მინდორს. ის უკვე სანახევროდ დაუფარავს და-  
მეს, ხოლო ზეალ, განთიადამდე მე მას დაეემ-  
შვილობები.

ღიამ, ადამიანის ენა მოდის მიწიდან. მას  
ისევ შერჩენილი აქვს მიწის გემო, როგორი  
სიმართლეა ეს, მაგალითად, ლათინური ენის  
მიმართ. ამ მეფუტრე ენის სიღაღის იქით კვლავ  
იგრძნობა ლათინთა მწყემსების უტეო აზრი...  
მსოფლიოს მზრძანებელი საჩვეულობდნენ  
სიტყვებით, მიწის მზენელ-მთესველმა წინაბრ-  
ებმა რომ უანდერძეს, რომლებიც თავიანთი არ-  
მიების ფლანგებს უწოდებდნენ ხარის ან უპრის  
რქებს (cornu); ლევიონის ნაწილებს — ლო-  
ბეებს ხუტორის ირგვლივ (colours), ხოლო კო-  
პორტების ქვედადასაყრებს — პურის ძნებს  
(manipulus); მართო კემპარტად გლეხის განაში  
შეიძლება ერთიადიამევე სიტყვებით აღინიშნე-  
ბოდეს „პარაქიანი მიწა“ და „ადამიანის სიხა-  
რული“ (laetus); მართო გლეხის ენას შეეძლო  
შეედარებინა ჰეუდაკარგული კაცი იმ გუთნის-  
დღისათვის, რომელმაც ხნელში საქცივი და-  
კარგა და კვალი მრუდელ გაიტანა (lira — კვა-  
ლია; delirare — ბოღვა)!

ეს მაგალითები მე ვესესხე ბ-ნი დარმსტრეტ-  
ტრის წიგნიდან „სიტყვების სიტყვებზე“-  
ფრანგული ენა ზუსტად ასევე წარმოიშვა და  
განვითარდა მხვეწალ-მთესველის შრომისაგან.  
ის საეხეა მეტაფორებით, რომლებიც აღებუ-  
ლთა სიტყვის ცხოვრებიდან, ის მთლიანად აყ-  
ვაებულია მინდვრისა და ტყის ვევილებით.  
რა შეიძლება ჩვენი მხრივ ამას დაეუმო-  
ტო? ის, რომ ქართული ენა ზუსტად ასევე  
აღმოცენდა მიწიდან, მწყემსებისა და გუთნის-  
დღეების შრომიდან იმ განსხვავებით, რომ ეს  
მონება ვაკილებით ადრე, ვიდრე ფრანგული  
ენა წარმოიშობოდა.

ამ გზით იწყებს ენა თავის ისტორიას, რათა  
შემდგომში უმაღლესი პოეზიისა და ფილოსო-  
ფიის, მეცნიერებისა და ტექნიკის ენად იქცეს.

ვინც დაპყვრებინა ქართულ ენას, არ შეი-  
ძლება სიტყვათა მიწიანი ფესვები არ შეამჩ-  
ნოს. აი, მაგალითად, წრფელი, ვაღწერელო-  
ბა. რა საერთო უნდა ჰქონდეს მას მიწისთან?  
თურმე, თანხელი წლების წინ მოწარფელება  
მიწის პირისა ეწოდებოდა ბელტების მოსწო-  
რებასა და ფარცის გატარებას. ამის შემდეგ  
მოხსნული მიწა წრფელი, სწორი ხდებოდა.  
დვარძლიც ხომ ვიღაცე კაცის ცული თვისე-  
ბის აღმნიშვნელ ცნებად იქცეოდა, ჯერ  
იმ მცენარის სახელი იყო (და არის ახლაც),



რომელიც ყანას წაახდენს ზოლზე. თვით სიტყვა **ქვეყანა** განა **ყანადან** არ მოდის, უფრო მეტიც — ძველ ქართულში ხენა-თესვას და ვენახის გაშენებას ეწოდება **„ქვეყნის მოქმედება“**, „საქმე ქვეყანასა“. თვით სიტყვა **გუთნისდგა**? რატომ დგდა და არა მამა? — კითხულობდა ივანე ჯავახიშვილი და ფიქრობდა, რომ ამ სიტყვაში უძველესი ისტორიის საიდუმლოებაა ჩამარხული.

და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი მგალითის მოყვანა შეიძლება. ჭერჭერობით ეს ვიკმარით იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ მკიდროდ არის დაკავშირებული მდიდარი ქართული ვნა მშობელ მიწასთან. ეს უკვე თქვა გიორგი ლეონიძემ, თქვა ისე, რომ უკეთესად კაცი ვერ იტყვის. აბა მოუსმინეთ:

„**კი არ უნდა ეწერდნე, ყვავილებით უნდა ეწნავდე, ჩემი სოფლის ყუავილებით უნდა ექსოვდე იმ წიწვების კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული...**“

ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დიდიდან არის გამოწაფური, იმ წყაროებიდან გამოწაფური, რომელთა თავზე მდგარ ნივთზენათა ხეივანში გულუკეთობა „ბიჟო-გოგას“ მომსახობა, როგორც თანამოსახელსა და მეგობარს...

ეს სიტყვები... იმ ყაყაღგარეულ ჭკვილებში მიმოვნიდა, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხვიმოსილი სიტყბოებითა და იდუმალებით...

რეყიანი და ხშიანი იორი მასწაველიდა ქართული ლექსის მესსაკა.

დღესაც იქით არის ჩემი მუღმივი მისახედავი, იქიდან ველოდები ჩემი სიმღერის ხმებს. ეს სიტყვები იქა მაქვს ავრეფილი, იქ მაქვს ნაბოენი!

დღეანეში უკველ გაზაფხულზე წაგვიყვანდა ზოლზე ყანის დასახედად. მოწინებით ვიდექით ჩუბად ვარინდებულად, ადამიანისა და ბუნების — შრომისა და შემოქმედების ამ საოცნებო ზღვის წინაშე, შევეყურებდით, ეხარობდით, ამაგსა ეგრძობდით და გულში კაცობის ნათელი დგებოდა“.

გიორგი ლეონიძის დიდი საზრუნავი და საწუხარო მუცა ის იყო, არ ვალარიბებულყოფის ეს უმდიდრესი ქართული ენა, ოდნავადაც არ შემოძარცვოდა მის თავისი ფერი, ეშხი და ხშიანობა, აზრი და გამოშხატელობა, სითბო და სიწმინდე. „ნატერის ხეში“ არის ასეთი სტრიქონები:

„დღიად მაკოს ხმის სიტყბო დღესაც ჩამესმის. საოცარი ალერსები იცოდა:

- ჩემო სიცოცხლის ცისკარო!
- თავს შემოგველე!
- ჩემო ვაშლილო იაო!
- წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე!
- ჩემო სულო და სიცოცხლე! ჩემი სულისდგამე!

- სანდომელავ, ჩემო ბაღის კეწეწულავ!
- ჩემო ათასნაირო!
- ჩემო დამტირებულო, **ქვეყნის მოქმედება**!
- იმ ადგილის კირიმე, სადაც შენ მომავონდები!

და ვინ მოსთვლის, ან საღდა მახსოვს? რა იქმნენ, საღ წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში?

რატომ დაქარგვს ჩვენმა ქალბმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ დაურუდნენ, მოკედნენ, ვადაშენდნენ ეს სიტყვები? ნუთუ ისე გახვედა ჩვენი გული, რომ ეს თბილი სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო, რად დავიფიქვს ისინი დღევანდელმა ქართველმა დედებმა? მე სწორედ მათ საგულისხმოდ ვწერ ამას... (175-176).

ხალხისა და მისი ენის დაფლავი მოამავის ეს სიტყვები შარტო იმ მხრივ კი არ არის საინტერესო, რომ პოეტი გულის სითბოსა თხოვლობს, გულის გახვეებას ვერ ურიგდება. ამას აქვს მეორე მხარეც — პოეტი ენის გალარიბებას უჩივის. მისი აზრით, ეს ორა რამ უარსმანეთოდ არ არსებობს: სადაც სიყვარულია, იქ ენაც მდიდარია. მაგრამ შარტო ალერსისა და მოფერებას როდი დაეტყო სიტყვის სილარიბე. დაეტყო ყოფას და, ამ გზით, ლიტერატურასაც. აბა სცადეთ და მინდვრად თუ ტყეში ყოფნის დროს სოფულელებს გამოკითხეთ ბალახებისა თუ ყვავილების სახელები — ბევრს აღარ ახსოვს, რომელია ანავვირობა და რომელია აბრეშუმა, კარანტინს რომ შეუტყავენ ზოლზე; ბევრს აღარ ახსოვს, რომელია თეთრი ქიძო, კომპიანის გამომლეწ აპარატზე რომ ეხვევა და რომელია ტყის ყაყაო, ზოგან გუგულის კაბას რომ ემახიან... თავის თავად ცხადია, უაზრობაა ყველას მოსთვლიო იცოდეს რომ ათასი მცენარის სახელი. ეს შეუძლებელია. არც არის საჭირო. არის პროფესიები, სადაც სულაც ადვილად შეიძლება იცხოვრო და ნაყოფიერადაც იშრომოს, ისე, რომ ეს სახელები არ იცოდეს, მაგრამ არც ის ივარგებს, ყველამ დავიფიქროთ ეს სახელები. საჭმე კი აქვთ მდიდის, ეს მცენარეები, ეს მღმევი მოსახლენი საქართველოს მინდვრებისა და ტყეებისა ბევრს ვეღარ უცენია, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წრიდან. რამდენს შეეკითხეთ — რა ჭქვიამთქი ამ მცენარეს (მეც თვითონ დავიწყებულე მქონდა ბავშვობიდან ნაცნობი ეს სახელები). „რა ვიცი, ბალახია“, ასეთი იყო პასუხი. ზოგადად, ცხადია, ბალახია, მაგრამ ზომისა ყოველ მათგანს ოდესღაც საკუთარი სახელი ქართველმა გლეხკაცმა, საჭირო იყო და იმიტომ მონათლა, რად უნდა დაეუქარგოთ ის სახელი, რად უნდა დავიფიქროთ?

აქ ისევე რადენდა უნდა გაიხსენოთ, მთავარი

გმირი ლეონიდის მოთხრობისა „ორი შემოხედვა“:

„მინდერის თვითმული ყვავილისა და მცენარის სახელი იცოდა; ყველას ესაყვარლებოდა.

—აი, კოკროჭინა, ვარდკაჭუბა, ოქროშინდა, წალკა, ხაქიჭორა, ფერფუშელა, ღრინჭოლა! — აი ფამფარა, ყვავისკულა, ჭორისძეა, ძირტებლა, ზვარტელა, შალვა, სოსანი, დეია, სვია... — ნეტა რომელია მათში უკვდავების წამალი?

— ეს გორველა ვარო; ეს ავშანი ვარო; ეს აბზინდა ვარო“ (62-63).

მოთხრობაში „სახელის მილოცვა“ არის ასეთი სურათი — სასაფლაოზე გასულა მთელი სოფელი. სახელი უნდა მიულოცონ დაღუბულ ვეჯაკეებს (იყო ასეთი აღათ-ჩვეულება):

— „პაი, შე უღროოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა! — ჩასმახოდა პაპა ედიშერი მწყემს გაგნიას...

იკვლევე ფრთავამილი ვახუშტელი ფრიალებს.

— ანე, შვილო, თაფლით შედედებულო, აღე, თვალეში გაკოცო, სახელი მოგილოცო! — ჩაეკერით მიწას ელაპარაკება ჩაბტარა.

— ერთი მოიმწყვდეს ოცთა და ოცდაათთა, მაინც არ ვატყდა, არ შეეხუა... მოკლეს, მაინც შინ მოვიდა! — ღალატებდნენ დედაკაცები. მწყემსი შორს, ჭიჭიანის მთის საძოვრებზე მოეკლა და ამხანაგებს ხურჭინებით ჩამოეტანათ აქუნწლო.

ზოგს „თათარიში“ უსახლებია თავი, ზოგს — იაპონიის ომში, ზოგს — პირველ მსოფლიო ომში, ზოგს ჩვენი მწყემსს, თრიალეთზე, ყაჩაღებთან... იყვნენ, აღარ არიან...

მათ საფლავებზე ზოგან ია მოსულა, ზოგან ავშანი, ზარამბო, ჭინჭრისღვდა, დიდილო, ზოგან აბზინდა, ზოგან სვინტრივით ზალახი ამოხტეილა... თითქოს მათმა სისხლმა აღმოაყენა სხიენარა ყვავილები, თითქოს საფლავში უხარბათ, რომ მათმა მკლავებმა ასეთი ღამაზი მიწა დაუტოვა შთამომავლობას, რომ უფლება მისცა ამ ხილამაზის ყურებისა... (109-113).

დედაკაცების ცრემლიანი ზრინვა გაზაფხულის დილის ნიავს მიაქვს მწვანე ხასხასა — თავანქარა ჭეჩილებსა და კვირტგამოსხმულ ვენახებში და თითქოს ამ სვედის ბოლომ იხსენებინან ვაზისა თუ ხეხილის კვირტები... ცა კი ნახია და წმინდა სიყვარულით“ (109-113).

ეს სვედის ბოლო თუ კვამლი, მწვანე გაზაფხულს რომ დასდებია, არის განსაკუთრებული ხილვა ან ზმანება, დახატული უბადლო მხატვარისა და სიტყვის ოსტატის ხელო...

ესაყვარლება და ვაღერსება ლეონიძე ზალახებსა და ყვავილებს!

ეს ანდერძით ისმის — ნუ დინიფიყვებთის!

\*\*\*

პემინგუეის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ მას შეუცლომლად შეეძლო დაესახელებინა ინგლისური და ლათინური სახელები ორასორმოცდაათი ჭიშის ფრინველისა, რომლებიც მინიგანის შტატის ტყეებსა და მინდერებში ბინადრობენ. მწერალმა მარტო სახელები კი არა, ყველაფერი იცოდა მათი — ფერი, საქციელი, იცნობდა ხმაზე და ა. შ.

„თავიანამორბულებული ბეგო თანანა ბერი ქედანივით იმზირებოდა“ (127), წერს გორგი ლეონიძე. მოდი და მიხედი რას ნიშნავს ეს ფრაზა, თუ არ იცი რომელია ბერი ქედანი! არა და, როგორ გინდა სწერო უამისოდ?! განა შორს წახვალ ორნითოლოგიური ცნობარით, რაც უნდა მდიდარი იყოს იგი!

ისევ რადენა მინდა გაიხსენო. იგი ასე არივებდა ექვსი თუ შვიდი წლის პატარას, მოშავა დიდ პოეტს:

— აგერ, ლბეზე წიფლისჩიტა, კიდეც პატარა ჭიხოლა, მისხლა, შიშიშქარა. მასზე საწყალი არავინაა, ბუდე არ აუნჯრიო!“

და შემდეგ პოეტი განაგრძობს: „უყვარდა კალისი მუამელი ტარბი — აღამაანს ეხმარებაო. წაბლია ხარი გლეხის ძმამო! ჭიანჭველის გორალას დააქვრდებოდა: ერთ დღეს ცოცხლობს ჭიანჭველა და ექვსი თვის ცხოვრებისთვის ცდილობსო“; (63).

უზარმაზარი სამყარო, ოსიანეს საიდუმლოებებით, დასახლებული აღმინებებით, ფრინველებით, ცხოველებით, მცენარეებით—ეს არის აღამაანის სარბიელი, და მასთან ახლო ნაცნობობის, შეგობობისა და სიყვარულის გარეშე ცხოვრება უფერულიც იქნება და ძნელიც. ამ გარეშე არის შეცნობა აუცილებელია ყვედასათვის, იქნება ის სოფელი თუ ქალაქელი, მხენელ-მთიეველი თუ მასწავლებელი, ფოლოლოგი თუ პოეტი; შფოთიან და ართულ დროს ცხოვრება გოეთე — XVIII-XIX საუკუნეების მიწანზე, როცა ნაპოლეონის არმიებმა გადათქერეს მთელი ევროპა და თვითონ გოეთეს სამშობლოც ის გულდასმით აეკრდებოდა ისტორიული ამბების მსუელლობას, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებს, მაგრამ \* იმავე დროს, არასოდეს დამცხრალა მის სულში ინტერესი ბიოსფეროსადმი, იმისადმი, თუ რატომ არ ვღებდა ტროტლა ბუჩქზე და რატომ ირჩევს მუდამ მალალი ხის კენწეროს (თუ ტყის ტროტლა), ან ყანას (თუ მინდვრისაა), როდის იწყებენ გარეული ფრინველები ფერის აყრას; ვახსენეთ როგორ ედავება გოეთე ეკრმანს, გუგუ-

ლის თაობაზე, ან იმაზე, მიეკუთვნება თუ არა ბუღუღული შაშვეების გვარს.

ხოლო ვიყავ-ფშაველა? სახელები რა სათქმელია, მან იცოდა ჩიტების ენაც და ყვავილეების ენაც, მან იცოდა რას ჩურჩულებენ ფესვები, რას ფიქრობენ მთები, რას მოსთქვამს ბენტეკა ქუჩი, რას ღარღობს კლდის პირზე მოსული პირიშვე...

ჩვენ კი ნელ-ნელა ეწყდებოდა მიწის, ვივიწყებთ ამ ლამაზ სახელებს. ბევრი ჩვენგანი ტყეში ველარ არჩევს რომელია იფანი და რა-შელია არჩილა, ბევრი ჩვენგანი ვერ გეტყვის არა მარტო ტყის მცენარეთა, არამედ იმ ხეთა სახელებსაც, რომლებიც თბილისის ქუჩებზე იზრდებიან და დღედაღამ ჩვენს ფანჯრებში იქიჩებიან.

მთელ მსოფლიოში იმეამდ ყველა უდილობს მხატვრული ლიტერატურის შესწავლა საქმიანად დაუკავშიროს ბუნებას შესწავლას. პენრი თორთ ბრწყინვალე მწერალი იყო და მისმა წიგნმა „უოლდენი ანუ ცხოვრება ტყეში“ ბუნების მრავალი საიდუმლოება გაუმხილა მკითხველთა მთელ თაობებს. მაგრამ თორთ ვიყავ-ფშაველას სად მოსწოდებდა! მიუხედავად ამისა, მის სამშობლოში ყოველწლიურად ეწყობა თორთის წიგნის შემსწავლელი საზოგადოების ურილობა, ამ საზოგადოებაში გავრთიანებული არიან სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მოსწავლეებიცა და მსწავლეებულებიც, სხენებული საზოგადოება უშვებს სპეციალურ ბიულეტენებს, მასში იბეჭდება წერილები, სადაც განხილულია თორთის დაკვირვებანი ბუნებაზე და წერილის ავტორის დაკვირვებანიც სამყაროს საიდუმლოებებზე. ამას გარდა ციკატები წიგნიდან „უოლდენი ანუ ცხოვრება ტყეში“, ცალკე ფურცლებად დაბეჭდილი, გაქრულია ავტობუსებში და რაც ყველაზე საინტერესოა — თურმე ამ ფურცლებს ავტობუსის მგზავრები იმარავენ...

მომარებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვანა არ იქნებოდა კარგი საქმე, რომ ჩვენი სკოლების ერთი მხრით ბიოლოგიისა და მეორე მხრით ლიტერატურის მასწავლებლებმა დაამყარონ კონტაქტი, ერთად წაიყვანონ თითო ან ორ-ორი საათობით თავიანთი კლასები ტყესა და მინდორში, სადაც მოსწავლე თვითონ, თავისი თვალთ წაიკითხავს ბუნების დიდ წიგნს, ბრძნულ სახელმძღვანელოს. ეს შეტეს მისცემს მოზარდის გულსა და გონებას, ქვეყნის პატრონის ვრძნობას განუმტკიცებს.

მაგრამ დავეტრუნდეთ ისევ ლენინძეს. ენის რა ხფერობეს არ სწევდებოდა პოეტის თვლი და ყუჩი! აი, თუნდაც ონომატოლოგია. პრითფ. ალ. ლენინძეა „ნატვრის ხისადმი“ მიძღვნილ თავის მშვენიერ წერილში („მწერლის სიტყვა ქართული, შენიშვნები „ნატვრის ხის“ ლექსიკაზე“) აღნიშნა, რომ ლენინძის შოთხრობე-

ბის წიგნში „პირველად არის დამოწმებული ათეულობით სრულიად უცნობი ან ნაკლებად გავრცელებული ონომასტიკური ტერმინი — ქალ-ვიათა საყეთარი ან შერქმეული სახელი, რის ტრადიცია უსოფარი დროიდან არის დამყვილდრებული ხალხში. მაგრამ არცერთ ლექსიკონში არ ასახულა“. (ალ. ლენინძე პირველმა აღნიშნა, ისიც, რომ ლენინძე სიტყვათწარმოების მოქმედი კანონების შესაბამისად ქმნის ზმნებისა და სახელების ახალ ფორმებს, ხალხური ენის კილოზე მართაჟს ეპითეტურ გამოთქმებს და ვთავაზობს ბუნებრივ ადიეტურ წყვილებს).

მარტო მხატვრული სიტყვით რომი იბრძოდა ლენინძე ქართული სახელების აღდგენა-გავრცელებისათვის, მშობლებისა და „მამის“ ბიუროკრატისათვის სინ შეადგინა ქართული სახელების ვრცელი მია, რომელიც „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა. იქვე ავტორი იხსენებდა უმართებულოდ გავრცელებულ გონჯ სახელებს (რიგოლტა, დუგლასი, ვალტა და ა. შ.) და შემდეგ წერდა: „საიდან შემოგვებარა ეს სიმახინჯე, რატომ არ ვებრძვით ამ სენს, რად ვინწუნ უფარდებლობას? ზნირად მადარაღებს ხილმე ეს კითხვა. „მერმელა უღარესი მოყადღეს უღარესხა და... შემეიარდების ენა ქართული“, — ვანა არ წაგიკითხავთ ჩვენი მოქირანახლუე სულან-სახას ეს სიტყვი? ყარელი გულისწყრომა, დარეილება და წუწუნი, მხრების აიჩა საქმეს ვერ უშველის“.

\*\*\*

საუწყუნზე მეტი ხნის წინ, 1861 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა „ციკასის“ ფურცლებზე:

„ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგვარი სიტყვები, ზმარებული ჩემს აპრილის სტატევიში, თქვენ უტოპ სიტყვებად მიგილიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ზმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტადღენ განვითარებულსა და ფეხშედგმულს ევროპის ვანათლებამში, შემოტუნია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის დეიძლე ენის ლექსი. მაშასადამე, არც ჩვენი თვის არის დასამარხისი, რომ ჩვენც ვიზმაროთ... მე რომ ახალი სიტყვები მომიგონა და შემედგინა მაგ სიტყვების მნიშვნელობისათვის, ისინიც ისე გაუგებარნი იქნებოდნენ ყველა-სათვის, როგორც ახლა ეგენი არიან ვაუგებარნი ზოგიერთისათვის; ვანათლებულს კაცს მაინც ესმის ეგ სიტყვები და იმ ქართულსა, რომელსაც მე შევაადგენდი, ვერც ვანათლებული გაიგებდა და ვერც გაუნათლებელი, თუნდ რომ მე არ ვიზმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდეე უთუოლ შემოგვებარებიან, როგორც შემოგვებარენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოლიკა და სხვანი მრავალი. ეგ არა ხალხს არ

დედაბავა, ის ცრუობს, — რომელიც ძრახავს მიგვეკარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (ტ. 3, გვ. 52-53).

როგორ იბადება სიტყვა, ან როგორ შემოდის ეტსო ენიდან, როგორ ხდება მისი „გაქართულება“, ან როგორ ჩნდება მისი შესატყვისი — ეს ფრიალ საგულისხმო პროცესია. ამ კონტექსტში საინტერესოა სიტყვა **ქვემების** წარმოქმნა. ეს სიტყვა შეტანილია ლ. ცაგარლის სამხედრო-ტექნიკურ ლექსიკონში როგორც შესატყვისი რუსული *опытные*; ლ. ცაგარული თავისი ლექსიკონის წინასიტყვიერებაში აღნიშნავს: „... გადავითხვა დამკვირდა ბევრი ძველი წიგნების და არსებული ლექსიკონებისა... პირადად შეთხუელი ან შედგენილი სიტყვა-ტერმინები მხოლოდ ისეთებია ჩართული, რომლებიც ვერ ვიპოვე ჩვენს ლექსიკონ-წყაროებში, ვერც კიბეა-კიბეთით ხალხში და რომლებიც შეიძლება ვიფიქროთ, არც მოიპოვება სადმე, რადგან შევნიერებაშიც და ჭარბიარლის ტექნიკაშიც მეტად დიდი ნაბიჯი წარსდგეს წინ სწორედ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში“. ლ. ცაგარელს დიდად ავტორიტეტული დამხმარები და კონსულტანტები ჰყოლია. წინასიტყვიერებაში იგი წერს: „უღიღესი შრომა იყო თავზე და შესარულა პატივემულმა პროფესორმა ივანე ყავახიშვილმა მით, რომ არ მიგვაღებინა არცერთი სიტყვა, ვიდრე პირადად თვითონ არ შეამოწმა“. ივ. ყავახიშვილის „სიტყვების საკუთარი კრებულიც“ უხიბვნიან ცაგარლისათვის და ნება მიუცია გადმოეღო იქიდან, რაც დასჭირდებოდა. შემდეგ ლექსიკონი უნივერსიტეტის სამეცნიერო სამუშაოს განუხილავს და დაუმტკიცებია.

ლ. ცაგარელი, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს, რომ მან ტერმინების ძიების დროს ძველი ქართული წყაროებიც შეამოწმა. არ ვიცი ამ კვლევა-ძიების დროს მან მოაქცია თუ არა ყურადღება, რომ დავით გურამიშვილს ნახსენები აქვს იარაღი, რომელსაც **ხელმეხას** უწოდებს. პოეტს აღწერილი აქვს ერთი უცნაური ნაღირი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის 20-იან წლებში, დიდი განსაცდელის დროს მომარაგებულა საქართველოში და რომელიც ცოცხლებსაც ეტევებოდა და მკვდრებსაც საფლავიდან აღებდა. (აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია აფთარზე. ცნობა ამ მხედის მომარაგებაზე საქართველოში, იმავე წლებში გვხვდება ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებაშიც“). ამ ნაღირს პოეტი ამბობს:

ხმალ-კაპარკთ რიდი არ აქვდნის,

არცა ხელმეხას ტყორცისა.

რა არის ეს ხელმეხა? „თოფი — ცეცხლის სასროლი. ხელმეხა ქართულად ჰქვიან“, წერს საბა და იქვე უმატებს: „ქვემები ქვიან“ (ტ. IV, 314), სხვა ადგილას: „ზარბაზნი“ — დიდი

თოფი, ქართულად **ქვემები** ქვიან“ (ტ. IV, 1, 280); შემდეგ: „ხელმეხაი — დაბანჯი; ხელმეხი — თოფი; ხელთოფი“ (ტ. IV, 2, 437); ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს, აღვადგინოთ მთელი სურათი, თუ როგორ იქმნებოდა ძველი ქართული საომარი ტერმინოლოგია. საბამ თურქული სიტყვა **თოფი** და სპარსული **ზარბაზნი** შეცვალა ქართული **ქვემებით**, ხოლო იმ იარაღისთვის, რასაც დღეს **თოფს** ვეძახით, დაადგინა ქართული **ხელმეხი**. გურამიშვილი იყენებს როგორც ხელმეხს, ასე უცხოურადან ნახსენებ თოფსაც („ავიუსენ თოფი და ხმალი, მიეყუდებ მუხის ძირად“).

ძველ ქართულ ძეგლებში დადასტურებულია **ხელთოფი** ახლანდელი **თოფის** აღსანიშნავად. „აწ ხელთოფები ვახსენოთ“, ამბობს ფერხანე „შაჰნავაზიში“ (XVII ს.); ხოლო ფარსადან გორგიჯანიძის მატრიანეში ნათქვამია: „ქალაქის ციხეს **ხელთოფი** დაეყარეს და ციხიღამაც **თოფი** დაუშინეს“ (XVII ს.). აქ საქმე შემდეგშია: ფარსადანი აქ **თოფს**, თურქულის მიხედვით, უწოდებს **ზარბაზნს**, ხოლო რათა ის იარაღი, რომელსაც დღეს **თოფს** ვეძახით, **ზარბაზნისაგან** განასხვავოს, ამიტომ უმატებს კომპოზიტის წინა ნაწილს — **ხელს** (**ხელთოფი**).

ტერმინი **ქვემები** ან საბას შედგენილია, ანაც აღებულია იმ დროის მეომართა მეტყველებიდან. პირველ შემდგენელს ამ ტერმინისას სიტყვათწარმოების ხერხისთვის მიუშარათავს — მე-ხი, რომელიც ვრცელნავს არა ცაზე, არამედ ქვევით, მიწაზე — **ქვემები**; **ხელმეხი** კი არ შე-რჩა ენას, რაც საწყენია, რადგან ვერ ერთი, ქართულია და ამიტომ უპირატესობა უნდა მისცემოდა უცხოურის წინაშე, მეორეც — მეტად ზატოენია: საერთოდ, როცა ცნება ქართულში არა გვაქვს და საჭირო კი არის, სად გაეჭკეიო უცხოურ სიტყვას, მაგრამ მაშინ როცა ქართული და უცხოური უნიოსირ-დებიან ერთი-მეორეს, როცა ისინი ორივენი ზუსტად გამოხატავენ სათქმელს, საგანს, მოვლენას, — და, მაშასადამე, საქმე არჩევანზეა, უპირატესობა, ცხადია, ქართულს უნდა მივანიჭოთ. ჩვენ კი ყოველთვის ასე არ ვიჭკეივთ და ხანდახან უცხო სიტყვასაც ტერმინს ვხმარობთ, იქ, სადაც ქართულითაც შეიძლება იოლას წავიდეს კაცი. ასე, მაგალითად, რა საჭიროა იხმარო სიტყვა ერთი **ვგუშმალი**, როცა ერთი ცალი წიგნი გვირდება, ან რატომ უნდა ვიხმაროთ **ოკუპაცია**, **ოკუპანტი** და **ოკუპირებული**, როცა ქართულია არის **დაპყრობა**, **დაპყრობე** და **დაპყრობილი**. როგორც ჩანს, გერკე-რობით არაფერი მოუხერხდა ძნელად წარმო-სათქმელ სიტყვას **ევაკუაცია** და **ევაკუირებუ-ლი**, თუმცა მისი ზუსტი შესატყვისისა **გადმო-ყვანილი** და **გადმოყვანილი**, რაც იმ ნიუანს-საც შეიცავს, რომ მავანი და მავანი კაცი ან

ადამიანთა ჯგუფი ორგანიზებულად გადმოყვანილები არიან სახიფათო ადგილებიდან (მუდამ ომის ასპარეზად ქვეულ ძველ საქართველოში სახიფათო რაიონიდან **გადმოყვანდა, მოსულა ძალზე წვეულებრივი ცნება იყო**); ხოლო რაც შეეხება მავალითსათვის თუნდაც ზემო წინადადებაში ნახმარ სიტყვებს **ნიუანზი** და **ორგანიზება** — აქ, მე მგონია, შესატყვისების ძებნა ამაოა; ეს სიტყვები, ისევე როგორც **ერნალი**, **ვაზეთი** და **ათიათასი სხვა**, სამუდამოდ არიან შესტლნი ქართულში და გადაქცეულნი არიან ქართლის **ადვილ ლექსებად**, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს. ამიტომ მათი რვეიზია აღარ არის საჭირო. ან ვის ახსოვს ყოველდღიურ ცხოვრებაში რომელი სიტყვა საიდან არის აღებული, თუ გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობა არ ვაგოტაცებს, ან საქმის ინტერესს ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ ჩაგზავლებს.

\*\*\*

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა... ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

#### იოანე-ზოსიმე (X საუკ.)

დამარხული თანამედროვე ენაზე ნიშნავს შენახულს, დამარხველი — შენახველს.

#### ძვ. ქართ. ენის ლექსიკონიდან.

იქდა თითქმის ათასი წლის წინ ერთი ჭკვიანი ბერი პალესტინაში, სანას მთაზე და ფიქრობდა ქართულ ენაზე, მის მოშავალ ბედზე. თავის ჩანაწერებში, რომელსაც ეწოდება **ამებაჲ** და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ — მას ორი დღედალ საველისხმო რამ გამოთქვამს: პირველი — ესა აზრა ქართული ენის უკვდავებაზე, იმაზე, რომ იგი გასძლებს „მეორედ მოსლვამდე“, ანუ თანამედროვე ენით რომ ეთქვას, მანამდე, სანამ ქვეყანა იარსებებს; მეორე — იოანე-ზოსიმეს იმის თქმა უნდა, რომ არ არის და არც იქნება არაფერი ქვეყნად, არც ახლა მოიძებნება და არც მერე გამოჩნდება ისეთი საიდუმლო რამ, რის ენასნაც, გამოხატეც და გამოთქმაც ქართულ ენას არ შეეძლოს. ცხადია, აქ ძველი ავტორი გულისხმობს მდიდარ გრამატიკულ სტრუქტურასა და ზღვისაგეთ დაუღვეულ ლექსიკის ფონდს, რომელიც დროთა ვითარებაში, როგორც ყოველგვარი ფონდი და საგანძური, განახლებას განიცდიდა, მდიდრდებოდა, იცვლებოდა დროის შესაბამისად, გულისხმობს ქართული ზმნის განსაკვირვებელ მოქნილობას, ქართულ სინტაქსს, მთელ არსენალს, რაც ჩვენს ენას მოეპოვება.

მომდევნო საუკუნეებმა და ჩვენმა დრომაც მთლიანად დაადისტურა X საუკუნის ქართული მწერლის ლინგვისტური მოსაზრებანი. ქართუ-

ლი ენა მუდამ მზად იყო დახვედროდა და გამოეხატა ყოველი დიდი თუ მცირე ძეგრა, ყოველი დიდი თუ მცირე ნატროში — კაცობრიობის ისტორიაში იმიტომ, რამე იგი პოტენციურად შეიცავს ყველა საიდუმლოს, როგორც ხორბლის ერთი მარცვალი თავის თავში შეიცავს და ინახავს მომავლის თვალგადაუწყვეწელ ჭეჭილებს. ასე, ისტორიის ყოველ დიდ მოსაბრუნვე, შემოძირათან იღვენენ ადამიანები, თუ მთელი თაობები, რომლებიც წარმართავენდენ არა მარტო ერის სულიერ ცხოვრებას, არამედ მისი ენის განვითარებასაც. ასე იყვნენ ჯერ მოაწმინდლები, მერე — რუსთაველი, შემდეგ — სულხან-საბა და გურამიშვილი, მეცხრამეტე საუკუნეში — ჯერ ბარათაშვილი, შემდეგ — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ჩვენს დროში — კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, დემან შენგელია, სერგო კლიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რვაჯ ჯაფარიძე... ყველა ისინი, ერთსა და იმავე დროს, ნოვატორებიც არიან და არქაისტებიც, ახლისათვის მებრძოლნიც, მამიებელნიც და ტრადიციის ერთგულნიც და ქომაგნიც. ეს პარადოქსი არ არის — ენის სფეროში ნოვატორი ხანდახან არქაისტის პოზიციაზე დგება. ვერ დაასახელებთ XX საუკუნის რუსულ პოეზიაში უფრო დიდ ნოვატორს, ვიდრე მაიაკოვსკი იყო. მაგრამ საბჭოთა პოეტებს შორის სწორედ მან გაუსწრა ყველაზე ფართოდ კარი თანამედროვე რუსულ ლიტერატურულ ენაში არქაულ საეკლესიო-სლავურ ცნებებს, სიტყვებსა და მთელ გამოთქმებს. ეს ნათელზყო ილ. იუგოვმა თავის საინტერესო წერილში „არქაიზმები მაიაკოვსკის პოეტიკაში“.

ქართული ენის მიმართ ასე ითქმის კონსტანტინე გამსახურდიაზე, ვიორგი ლეონიძეზე, კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე, ბევრ სხვაზე, ყველას ვერ ჩამოეთელი. ძველიდან, არქაულიდან ისინი იღებდნენ ცოცხალს, ჯანსაღს, სიცოცხლისუნარიანს და რაც მთავარია — საჭიროს და აუცილებელს, ზოლო ებრძოდნენ მას, რაც უკვე მკვდადი იყო და ხელს უშლიდა და წინსვლას და განვითარებას. გრძელდებოდა ზალხის წიაღში სალიტერატურო ენის დაბრუნების ის დიადი პროცესი, რომელსაც ესოდენი ენერგია შეაღია ილიას თაობამ, რომელსაც მართლაც ცხარე ბრძოლა დასჭირდა ანტონ პირველის, ე. წ. დვლარკინილი, მიმღობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, ძნელად გასაგები ენის უარსაყოფად.

ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი და ჩვენ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ახლა, ზემოთქმულის შემდეგ უკვე დროა წამოვიკრათ საკითხი, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი და მტკივნეულია ქართული ენის

სიწმინდის დაცვის, მისი განვითარებისა და მომავალი გაფორმების-გაძლიერების თვალსაზრისით.

ჩვენს ქვეყანაში მოხდა უდიდესი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომლის მასშტაბები ქალაქადაც და სოფლადაც სულ უფრო და უფრო ფართოვდება, კერძოდ, ხდება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ტექნიკური აღჭურვა, მისი მექანიზაცია და ქიმიზაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული მეთოდების დანერგვა ყველა უზანზღ, ახალი მანქანებზე, ახალი ტექნოლოგიური პროცესები — რაოდენ პრობლემას არ აყენებს მთელი ეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია! და მათ შორის არა მარტო საერთაშორისო და ტერმინოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიურიც. და ეს პრობლემები დგება არა მარტო ენათმეცნიერებისა და მწერლის, არამედ მექანიზატორის, კომბაინერის, მწყემსის, მწველავის, მეზაიეს, მევენახის წინაშე. ქართულ ენაში იყო უმეცნიერესი მეტაფორა ბრძოლაში მიმავალი ვეჯკაცის ერთი სიტყვით დასახატავად — იარაღში ზისო, — იტყვოდნენ. აი ასე იარაღში ზის ახლა მთელი საქართველო, ოღონდ ეს იარაღი საომარი კი არ არის, შრომისაა. მერვე ხუთწლეულში საქართველოში შემოიზიდა და მიეყიდა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სხვა ორგანიზაციებს 528 მილიონი მანეთის ტექნიკა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონელი. ამ დროის მანძილზე საქართველოში ექსპედიტორების რაოდენობა, აღრინდელთა შედარებით, გაიზარდა 21 პროცენტით, ბუღალტერებისა 94 პროცენტით, სატვირთო ავტომანქანების — 34 პროცენტით, ტრაქტორის მისაბმელი მანქანებისა — 50 პროცენტით. დაახლოებით 8.000-მდე ტრაქტორისტ-მექანიზატორი მიემატა მექანიზატორთა არმიას. ახლა გაითვალისწინეთ მეცხრე ხუთწლეულის მასშტაბები და თქვენ დარწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი დამახვა ძალებისა და სახსრებისა სჭირდება ქართულ ენას, რათა ეს უმძლავრესი ტექნიკა და ყოველი მისი დეტალი კი არა მარტო, ყოველი მოძრაობა კაცისაც და მანქანისაც ქართულად მონათლოს. როგორც დიდი ნიადაგარი, ისე ტალღა-ტალღა მოსდევს უამრავი ცნებები ამ ახალ ტექნიკას, იჭრება ყოფაში, ენაში და აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ენა, რომლითაც ლაპარაკობს დღეს სოფელი, არ შეიძღვრეს, არ აჭრედეს, არ დანაგვიანდეს...

ურთულესმა მანქანებმა მოიცივეს სოფელი. ცხოვრება ახლა მათს ირგვლივ ტრიალებს. ნუ დავხუპავთ თეალებს და ეთქვით პირდა-

პირ: თუ ეს დიდი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ენამ არ გამოხატა, ქართული სოფლის მეტყველებას თავისი ეროვნულ-რბა დამკარგავა.

და რომ ეს არ მომხდარიყო, ჩვენმა მეცნიერებმა ძლიერ დიდი შრომა გასწიეს ინფრასტრუქტურული და სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიის დასადგენად. საერთაშორისო ლიტერატურაში მიმდინარეობს დავა იმ მიჯნებსა და თავისებურებებზე, რომლებიც ცალკე ზონებად პყოფენ საყოველთაოდ სახმარებელ ლექსიკასა და ტერმინოლოგიას ანუ ტერმინოლოგიას. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს სფერო, სადაც ეს მიჯნები აღარ იგნორება — ამ ტერმინების დადგენისა და შექმნის სფერო შორს სცილდება მიწისპირა ფარგლებს, სამეცნიერო ნაშრომებს — ეს უკვე საყოფაცხოვრებო საუბარია ოჯახშიც და კოლმეურნეობის კანტორაშიც, როცა ეთქვით ტრაქტორისტმა ვერ მოასწრო ტრაქტორის გამოსახმარისება და ამის გამო ჩინშალა კარგად დაეგვილი საქმე, ახალი ტრაქტორი მიღებულია ქარხნიდან, მაგრამ რაჟი-ლა ვერ მოასწრეს ძრავასი და ტრაქტორის მოძრაობა ნაწილების ურთიერთ მიმუშავება, დაირღვა ხუნისა და თესვის განრიგი.

ჩვენ განზრახ, სანიშნოდ წარმოვადგინეთ აქ ორი ახალი ქართული სიტყვა — გამოსახმარისება და ურთიერთ მიმუშავება. ეს ტერმინები ჩვენ მოგვყავს „ტრაქტორისტის ცნობა“ რომიდან, რომელიც შედგენილია ე. მახალაიანის, პ. მიქელაძის, ვ. ოქრობირძის, გ. ხანთაძის და ი. ხობლოვის შიერ. არ ვიცო, ეს ტერმინები ვისი შექმნილი თუ მოქმენილია, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოქმნილი არიან „ლუონიძის მეთოდით“, უკეთ, ქართულად ენის კანონების შესაბამისად, ე. ი. იღებულია ფუძე-სიტყვა სატერმინოლოგიის მანძილზე შენახული ოქროს ფონდიდან და წარმოებულია საესებით ბუნებრივად. საერთოდ, მსოფლიოს ყველა ენა ამ გზით ჰქმნის ახალ ცნებებს. ან იღებს საერთაშორისო სიტყვებს, რომელთა შეცვლას აზრი არა აქვს, ანდა თავის ფუძესიტყვას იღებს და ასე წარმოქმნის ახალ ტერმინს. სატერმინოლოგია, რომ მარტო მწერალი და ენათმეცნიერი კი არა, გლეხკაციც ასე ჰქმნის ახალ სიტყვას. ერთხელ, გარეკახეთში ასეთ ამბავს შევესწარა. საუზმის დროს მოხარული ვიყავი ჯამის აქნა იყო საჭირო და მოხუცმა კოლმეურნემ უცნაური დანა ამოიღო ჯიბიდან — როგორღაც ახალმოდურად დაქრებული და ინტუსტირებული ტარიო. იმ დანას ყველამ რომ ყურადღება მიაქცია, ბერკაცმა თითქოს დაირცხინა და რომ ხუმრობით გაქპარწყლებინა თავისი შეკრთობა, თქვა:

— შაშ რა გეგონათ, ამ სიბერეში მეც სტალიაჲ ვაგვხდომ!

შეუცნაურა ეს სიტყვა, მაგრამ მერე მივხვ- დე: ამ კაცს ინსტინქტმა უკარნახა ის, რასაც მეცნიერი ვინს ურდევდა შინაგანი კანონების მიხედვით ვაყვებოდა. აიღო უცხოური ფუძე და დაუმატა შესაფერი აფექსი — **გლახაკი, მუსაიკი** და ა. შ. მსგავსად. **Стиляга რუსულ- ში** ხომ ასე **Бродяга-ს** **Работяга-ს** ანალო- გიით წარმოაქმნა.

ახლა დაუბრუნდეთ ჩვენს მთავარ საოქ- მელს — სოფლის მეურნეობის ცნებებსა და ტერმინებს. კომბაინი პირველად ინგლისელებ- მა ვაყვითეს. ახლა მისი მონათელა იყო სავი- რო. და რაყი-ლა ეს რთული მანქანა **ავრთი- ნებდა** რამდენიმე პროცესს — შვას, ლეწვას, მარცვლეულის შეგროვებას, ბზის გამოცალკე- ვებას, აიღეს ლათინური ვაგრთიანება, **Combination**, **combine** და საკითხიც გადაჭრი- ლი იყო. გერმანელები, სიერათოდ, არ კადრუ- ლობენ სესხებას, ლათინურს სიტყვას მათ გვერდი აუხვიეს და კომბაინს უწოდეს **Mährescher** — მკელ-მღაწეველი, **Mähen** — შვა, **Dresch** — ლეწვა). ხოლო რუსულ- სა და ქართულში ეს სიტყვა ინგლისურიდან გადმოვიდა, როგორც **საერთაშორისო ტერმინი**. ეს ნახესხები სიტყვა ქართულში მშვენიერად და ხმაშეწყობილად დამკვიდრდა, იქცა **ქართულ სიტყვად**, ისე როგორც ოდესღაც უცხოურიდან ნახესხები **გვიმი, თავლა, ფქვი**, რომელთა ქარ- თულობაში უჭვი არავის შეუვა.

ეს ერთი პრინციპია, ერთი ხერხია, რომლითაც ინგლისელებმა სიტყვა **კომბაინი** შექმნეს. არის მეორეც, რომელიც მათვე გამოაყენეს კომბაინ- ნის წინა ნაწილისათვის სახელის მისაცემად. აქ უბრალოდ აიღეს და მანქანის ამ ნაწილს **Header** — თავი უწოდეს. ინგლისურში ამ სიტყვას დაახლოებით ცხრა მნიშვნელობა მანდ აქვს: 1. წყალში თავით გადაბტომა; 2. მოთავე ან წინამძღოლი; 3. თავში ჩარტყმა; 4. კოლექ- ტორი (ტექნი.); 5. ვინაყუობა (შშენ. ტექნიკა); 6. საყვალვი მანქანა (სამთო საქმე); 7. ნაცპი, საცპი (ტექნი.); 8. შავისტრალი, და ბოლოს მე- ცხრე მნიშვნელობა — **ჭედერი, კომბაინის თავი**. გერმანელები არც აქ დასჭერდნენ ამჭერად უკვე არა ლათინურ, არამედ ინგლისურ სიტყ- ვას, არც თარგმნისა და კალკირებისათვის მიუ- მართავთ, მათ შეადგინეს ახალი სიტყვა — **Mähapparat** (სამკელი აპარატი); რუსულ- ში ეს სიტყვა გადავიდა ინგლისურიდან რო- გორც **хедер-ი**, ქართულში კი როგორც **ჭედერი** (ეს სიტყვა ასეა შეტანილი ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში, უკანონოდ ვაგრ- ცელებული **ხედერის** ნაცლად). რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვეძლო, გერმანელების მსგავსად შეგ- ედგინა **კომბაინიუ** და **ჭედერიც**, მაგრამ არ აღმოჩნდა ეს საჭირო, მშვენიერად შეეწყვიენ

ისინი ქართულ ენას. ვარდა შავისა, გრუნლ ტერმინს **სამკელ აპარატს** მუდამ აყოლებს მოკლე და სხარტი **ჭედერი** და **მანქანა** **შა- ტარა** მნიშვნელობა როდესაც **საქმის** **საქმის**

მაგრამ კომბაინი — ურთულესი მანქანაა და მისი დეტალების სახელები მუდამ ისმის ჰინდურად — თეფში, ხუფი, ბაღე, ირიბანა, ჭოკის ბენი, ხახა, საყვდური, საფეხური, წი- ბო, ლოყა, ჯიბე, მარჯვენა თათი, მარცხენა თათი, თამასა, სათიბელას ქუსლი, წინა საფარ. ცხელა, ბარბაცია და ა. შ. არაფერი არ არის ეფრო ადვილი, ვიდრე მათი დამკვიდრება წარმოებამში, მიხედრად, ვინაიდან ისინი ქარ- თული ყოფიდან არიან აღებულნი და ამას მე- ტად ხატოვნად წარმოგვიდგენს თუნდაც ბარ- ბაცა, ნამდვილი ხალხური წიალიდან წამოსუ- ლი სიტყვა, თუმცა ქართული ბარბაცია და რუსული **шапун-ი**ც გერმანული **Triebstange-ს** კალკები ვახლავთ. აქ საჩოთირო არაფერი არ არის, ყველა ენა ასე ქმნის საწარმოო-ტექნი- კურ ტერმინებს, ე. ი. სიტყვებს კი არ იღებს, მეთოდს იღებს, ზერს იყენებს და თავისი ლე- ქსიყიდან, ამ შემთხვევაში ქართულიდან, უცხო- ურის ანალოგით იღებს იმავე ფუძეს და აწა- რმოებს ტერმინს.

მაგრამ აქ მუდამ ტაქტი და სიფრთხილე გემართებს. რა საჭიროა ეთარგმნით ან კალკე- ბი ვაყავითათ ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ქართულში უკვე გააქვს? მაგონდება ასეთი შემთხვევა: ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში რომელ ვახეთს აიღებდი ზღში, რომ არ შეგხვედროდა ასეთი გონჯი ფრაზა: **რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტადიაში მყოფი სიმინდი**. ველარ მოვიტამინე, დავერე- პატარა სახუმარო ფელეტონი და **ალტერა- ტურულ ვახეთში** გამოვქვეყნე. იმ ფულე- ტონში ერთი მოხუცი გულხეცაყი დასკინიდა ქალაქიდან ჩამოსულ ორატორს — რა საჭიროა ისეთი ქაჭური ტერმინი, არა სჯობია უბრალოდ სიტყვა — **ტყინტი სიმინდომ!** მოუღოდნენად ერთ ავტორიტეტულ ვახეთში გამოქვეყნდა ზღმორწერილი პასუხი ჩემს ფელეტონზე, სადაც აღნიშნული იყო თითქოს არ შეიძლე- ბოლდ დაფუნება ტერმინისა, თუ ის რომელი- მე დადგენილებაში მოხვდა. ასეთმა ულოგეო და უაზრო გამოხმაურებამ ძალიან გამაყვირა. ბედზე, ზუსტად იმ ხანებში მიმიწვიეს ერთ თათბირზე, სადაც პარტიისა და მთავრობის სემპლვანელები ესწრებოდნენ. თათბირი რომ დაშავრდა, ვიხელთე დრო და ჩემი გუ- ლისტიკიელი უფროს ამხანაგებს შეეჩივილე, და აი რა პასუხი მივიღე:

— სიმართლე თქვენს მხარეზეა. ენა ხალხი ჰქმნის და ყველა ვალდებულია დაემორჩი- ლოს მას. ასეა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც: როგორ შეიძლება უარყო ასეთი ხატოვანი და მშვენიერი ცნება — **ტყინტი სიმინდი**, რა-

მელოც უაღრესად ზუსტიც არის და გასაგებიც...

ეს ნათქვამი იყო ყველას გასაგებად, და მართლაც იმ დღიდან რძივებარცვილები სიმწიფის სტადიაში შეიჭრი სიმინდი გაჭირა ქართული ვახუთების ფურცლებიდან და მისი ადგილი ნორმალურმა ქართულმა სიტყვამ დაიკავა.

აქედან ჩანს, თუ რაოდენი მნიშვნელობა ჰქონია ლექსიკის სიმდიდრეს, ამ საგანძურის მოგროვებას, ყველა დიალექტში უხედავად განსაზღვრული მარგალიტების თვითმოყვას, რამაც შემდეგ სალიტერატურო ქართულმა ცხრილმა უნდა გაიაროს.

არსებობს მშვენიერი წიგნი „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია“, რომელზეც, როგორც წინასიტყვაობიდან ვეგებულობთ, უმუშევრა ქართველ მეცნიერთა მთელ ჯგუფებს — უნათმეცნიერების, მეზინდურების, აგროქიმიის, მელორაიციისა და ა. შ. სპეციალისტებს. არსებობს ცალკეული დარგების ლექსიკონებიც, ქართველ მეცნიერებს ბევრი სიძნელე ვადლობებიათ წინ შესადგერი და ყოველმხრივ ზუსტი ტერმინის ძიების გზაზე, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფი გვარწმუნებს, რომ ეს საქმე დაუძლეველი და შეუძლებელი არ არის. თითო-ოროლა ახალი ტერმინი თვითონ შემდგენლებსაც არ მოსწონთ. „შენახვისობა“ (сохраняемость) სავსებით მარჯვე არ უნდა იყოს... მაგრამ ამ ეტაპზე მკითხველს უყეთეს ვერ ვთავაზობთ“. სწორია: ვერ იყოს ეს, მერე უყეთესი მოინახება. ცუდი და მახინჯი თავისთავად ვერ გაიხარებს. ენა არ მიიღებს... და შემდეგ: „ხალხში მოჩხრეკა კიდევ მრავალი მარჯვე ტერმინით გაგვაზღვიდრებო“, და იქვე მოყვანილია მავალითიც: „ამ უკანასკნელ დღეებში ერწოში ჩაიწერა „ზან-ზანა“, რომელიც трясина-ს ზუსტი შესატყვისია“, და, თანაც ძალიან ქართული და ხატოვანია, დაუფიქრებელი ჩვენ.

ერთი სიტყვით, კარგი სიტყვისა და მადლობის მეტს ვერაფერს ვტყვი ქართული ენის პატარონებსა და მოჭირახულებს, ჩვენს ენათმეცნიერებს, დღედაღამ ამ სიტყვებს რომ ჩამკირკიტებენ, ვუბნებ, აგროვებენ, ჰქვნიან, და მარგალიტის მძივებოვით ასხამენ ლექსიკონებში. მაგრამ განა შეიძლება მალაზიაში თაროები იზინებოდეს საქონლისაგან, მომხმარებელი კი დაძებებული დადიოდას მის სამებნელად? ეს არა შეიძლება. მასსადავმ, სიტყვამ, ტერმინმა, ნეოლოგიზმმა თუ ვაყოლებულა მა არქაულმა ენებამ მეცნიერებათა აკადემიიდან და მწერალთა კავშირიდან უნდა გააღწიოს შირაქამდე და ტრაიფონამდე, თრიალეთის იალაუბამდე და კოლხეთის ველებამდე, ვინაიდან მწერლებსა და მეცნიერებს ეს სიტყვები კი არ გამოუგონიათ, იმავე მიწიდან, იმავე

სოფლიდან, ყანიდან, ქეჩილადან, კალაღან და ხნულიდან წამოუღიათ. იქ არიან ისინი დაბადებულნი და როგორც ძველ მკვლევრებზე ისე ახლანდელ განმარტებით ულექსიკონსა მათ მწერლის მოთხოვრებაში იქიდან არიან შესულნი.

მაშ რატომ უნდა გვესმოდეს წამდაუწუმ მინდორში, თუ სოფლად ასეთი ფრაზები:

1. ტრანტროსტი (თავს იმართლებს თავმჯდომარის წინაშე);

— ნარიადი ხელში მეჭობა, მაგრამ რათ გინდა პრიცემნიცი არ მოვიდა!

2. შოფერი (ვაშვხაერების წინ);

— დაუღე კულაოზე, და შენც ზედ აღი, კაბინკაში ადგილი არა მამეს.

3. კოლმეურნეობის თავმჯდომარე (თავის მდივანს მიმართავს):

— მისწერე რაიონის სოფლტექნიკას: პერდოცა გვირდა, კანიტკე, ტრაინკო... მოიცა, შონახე რა ჰქვიან ქართულად და ისე ჩაწერე, თორემ უხერხულია.

— სად მოვინახო?

— შეხანკაა ჰეიოხე.

მექანიკოსი კარგა ხანს იფხანს კეფას:

— ჰო, რა ქვიან, კაცო? ნეტავი რა ვერქმევა?

4. ბრიგადირი (უხევეუბა საწყობის გამგეს):

— შენი ჰირამე, შკოტენი უნდა მომცე.

— გამოაწერინე კანტორაში და მოვცემ...

სკადეთ და შეეცოხეთ შოფერს:

— ნუ თუ არ იცი, რა ჰქვიან ქართულად

**შკოტენი?**

არ იცის. მაგრამ ის კი იცის, რომ არიან ვილაყ მოკლილი ადამიანები, რომლებიც სხედან სადღაც, თავიანთ კაბინეტებში, და ჩვენს საწვავლებლად იგონებენ რაღაც ქაჯურ სიტყვებს, ისე ფიქრობს: ამიტომ მისი პასუხი ირონიით სავსეა:

— რა ჰქვიან? ვერქმევა ალბათ ჭლიბურტა, ან ცქრიალა. სულ ერთია, მავას არავინ არ იხმარებს, რათ გინდა, თუ კაცს ვერ ვაგებინებ!

ასე ფიქრობს ფიქრობს ამიტომ, რომ ტვინის განძრევა ეზარება, თორემ არაფერია უფრო ადვილად წარმოსათქმელი, ვიდრე ეს სიტყვა, რაც ქართულად шворень ან шкворень-ს ჰქვიან. ათასეული წლების მანძილზე არ უფიქლა არცერთი დღე, როცა ქართველ ვაჭრებს ეს თუ შეტყარ არა, ათქვარ მინც არ ესხნებოდნო. ეს ხომ ტაბიკა, თაგბიკა და ურისოლ გლეხთა ენებს ვერ გადასდგამდა. ქართულმა ენის განმარტებით ლექსიკონში ტაბიკა ილუსტრირებულია ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „ტაბიკი ხომ რა არის, უბრალო ჩხირია, უმისოდ კი ურემს ვერ შეიბამ“. ილიას ეს სიტყვა მჭაურ პუბლიცისტურ პოლემიკაშიც კი გადაქცა: „აქ ვატყუარ ტაბიკა იქ გამოეწევა სურათე სობრძის უღლიდან“. აქ-



ვეა ტაბიკის ახლანდელი მნიშვნელობაც — გერტიკალური ღერძი, რომელზეც მოამარობთაც მიმართულა ეძლევა თელვებს.

ასეთია საქმის ვითარება. გავიხილა ამგვარი თავის მოჭრა — სიტყვა ტაბიკი ვერ გამოუთქვამს ქართულელ კაცს! მაგრამ ეს მართო მისი ბრალი არ არის; რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ საქმე აქამდე არ მისულიყო? ამას წინათ „ნედლეობა“ (№ 30, 1971 წ.) გამოაქვეყნა წერბრის სლოვო ბ სლოვახ რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორ ესტუმრა ფურნალისტი სატრაქტორო ქარხანას და ესაუბრა იქაურ მთავარ კონსტრუქტორს, თუ რა ეს კონსტრუქტორი არასოდეს არ მიიღებს თავისი თანამშრომლებისაგან საქმიან ქალაქს, თუ ის უწევს და არის შედგენილი; ის მართო იმას კი არ თხოულობს, რომ მძიმეები და წერტილები თავთავის ადგილას იყოს დასმული, არამედ, იმასაც, რომ სიტყვა ზუსტად იყოს ნახმარი და არაფერი არ ბღალავდეს ენის კონსტრუქტორს. არ ფიქრობთ, რომ ეს კონსტრუქტორი ერთი ახირებული ვინმეა და სტილიზობასაც იჩენებს. ის არ სურსდება თავის სპეციალობას და ენის დამცველის როლშიც გამოდის. ან რატომ არ უნდა გამოვიდეს, როცა ამისი უნარი შესწევს. და რას ვახდებთ მართო მწერალი ან ენათმეცნიერი, თუ მას მხარს არ დაუჭერენ ინჟინერი, ჰიმეოსი, მელორატორი, ყველა დარგის სპეციალისტი და ყველა დარგის ხელისანი. ეგვი არ იყოს, იმ კონსტრუქტორს ფურნალისტიანათვის უთქვამს ერთი მეტად საგულისხმო აზრი: **შრომის კულტურა ვერ შეუთავსდება ენობრივ უკულტურობასა და უმეცრებასო.** მაშასადამე, ის მართო ენას კი არ იცავს, არამედ თავისი ქარხნის ინტერესებსაც და საბოლოოდ კი საქვეყნო საქმეს.

დაბ, შრომის კულტურა დედად არის დამოკიდებული ენის კულტურისაგან. ცნობილია, რომ აღამიანსა და მანქანას ან იარაღს შორის მუდამ მყარდება, თუ სულიერისა და უსულის ურთიერთობაზე შეიძლება ეს ითქვას, ერთგვარი „ინტიმი“, რაღაც ურთიერთგაგებათ შე შეწყობა და შეხმატბილება. ასე იყო ძველად. კარგ მთიბავს მუდამ ესმოდა მუსიკაცულის შრილობისა ბალახში, და გული არ დაუწყნარდებოდა, ეიდრე საპირო და ნამდვილ ნოტს აიღებდა და რიტში ჩაეარდებოდა. ურემი რომ დაიპირაილებდა, კარგმა მწერმემ იცოდა, რა სტილია მას, რომელი ანწილი გაუტყდებოდა სულ მალე, სადმე, მოსახვევში თუ აღმართში. ასევე არიან კარგი მოფრები, ტრაქტორისტები, კომბაინერები. ურთულეს მანქანის გუგუნსა და ზრიალში მათი სმენა გამოარჩევს უცხო ხმას, უჩვეულის და ავის მომასწავებელს... ასე ეჩვენებიან ერთმანეთს კაცი და უსული რკინა. დაეუძახოთ ამას თუნდა შრომის ფსიქოლოგია, თუნდაც მადლი შრო.

მისა, აღრე კალოზე რომ ამღერებდა კაცს, ან ხნულში რომ დაილიდინებდა მაშვრალი: „შენი ქირიმე გუთანო, გათლილთ წმინდა ხმასო, შენ აქმევე ბურსა ცოცხალსა, — დამმარხველი ხარ მედრისათ“.

მაშ, როგორც ჩანს, მართო ნიკორა კამჩის კი არა, გუთანსაც ეფერებოდა ქართული კაცი, ეალერსებოდა, ევედრებოდა. ვთქვით, დაჯანბოთ თავი ალერსსა და მოფრებას, ბულდოზერს ვერ მოფრებები, მაგრამ ახლანდელს, ახალს თავისი ფორმები აქვს იმ შრომითი ინტიმისა, რაც კაცის მარჯვენას ნახვალეს ბარაქის მატებს. ამიტომ იყო, დაწყებული უხსოვარი დროიდან გლეხკაცის მეტყველება — ეს ასე ორგანულად შესული ერქვან, **ორნატი, ფერისო, უბე, კული, კოფო** და ა. შ. უამალოდ, უამუნებოდ მას არც ერთი დღე არ შეეძლო ეცხოვრა. ეს სიტყვები მართო ყოფაში კი არა, ღოცვაში იყო შესული, რელიგიაში, პოეზიაში, სიტყვისა და საქმის ყველა სფეროში. X საუკუნეში იოანე ზედაზნელი შიშო მეუღაბნოეს ასე მიმართავს: „ნეტარ ხარ შიშო, რამეთუ დასდევ ხელი ერქუანსა და უკან არ მხედველობდა, არამედ კეთილად წარმართე ორნატი შენი“; ხოლო თვითონ იოანეზე აგიოგრაფი ამბობს: „ფრთოვან ექმნებოდა სულითა... ერთ გზის დამდებელი ხელისა ერქუანსა ზედა ანუელ მყოფელსა სულთაა მიმტეველი იყო მართლ უკუნ, რამეთუ მოშიშვებდა, ნუ სადა შებრკოლებისა ღოდსა წარკუთნეს სასუფეველისა და ღმრთისა მიმართ სელანო“. აქ იოანე გუთნისდგა სასუფეველისაგან რომ მიჰყავს კული და შიშობს, ღოდმა არსად შებრკოლოს სელა ღვთისაგან. გუთნისდგა ქრისტეც: „საკუთრეველსა მას სიყუარულისა შეერქუნეს, ორნატისა მას ქრისტესისა მიზიდვადეს ერთობით“. დავით გარეჭელიც „სულთა მწყემსისა“, ყამეზ რომ უნდა „განამობოს“, „ვითარ ნილოსი დაკარდებულთა და განამელთა მიწათა განამობებს“.

რაზე მეტყველებენ ეს მაგალითები? როცა აგიოგრაფს დასჭირდა ყველაზე უფრო გამომხატველი, ყველაზე უფრო ფართოდ დამტევი და მრავალმეტყველი მეტაფორები, ის მიწას, ხნულს, კვალსა და გუთანს მიუბრუნდა, როცა საქართველოს ისტორიული ტრაგედია უნდა გამოეხატა, დავით გურამიშვილმა მოძებნა ყველაზე ფართოდ დამტევი მეტაფორები:

ქართლის ქირსა ვერვინ მოსთელის,  
თუ არ ბრძენი, ენა მქვერი,  
იჭული ღვარძლად გადაიქცა,  
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.

შეიძლება გაგვეხსენებინა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ქვეყნისათვის ყველაზე თავდადებულ აღამიანებს გუთნის თავში შებმულ

ხარებს აღარებდა, მაგრამ მავალითება საყმარისია ანატოლ ფრანსის იმ დებულების დასადასტურებლად, რომ თვით ფილოსოფიისა და პოეზიის ენა დაბადებულია ხნულსა და ჭეჭილში.

ამიტომ პირველ რიგში, ხნულსა და ჭეჭილში უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა:

რა ვიღონათ ამისთვის? ყოველ მექანიზატორს, ბრივადირსა თუ კოლმეურნეს ვერ მოსთხოვ, შინ იქონიოს უზარმაზარი რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი და კიდევ სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონები... მამ რა ზომები მივიღოთ, რომ ქართული ტერმინოლოგია მტკიცედ დამკვიდრდეს უოფასა და წარმოებაში? აქ გადაშფვეტი რალი უნდა შეასრულოს სკოლაში, მასწავლებელმა, განსაკუთრებით ტექნიკუმებმა და იმ სპეციალურმა კურსებმა, სადაც მექანიზატორთა ტრაქტორისტთა, ზოოტექნიკოსთა კადრებს ამზადებენ. აქედან უნდა წაიყრიოს ყფრსდამთავრებულმა მთელი ეს ტერმინოლოგია. ყველაზე დიდი საქმის გაკეთება კი სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელს შეუძლია. საკადრებულ საშუალო განათლების პირო-

ბებში მთელმა ამ მექანიზატორებმა მის ხელში უნდა გაიარონ, უნდა ისწავლონ ეს წყარმიდან და ჩაუნერგოს; ხოლო ტვიდტრეს შემთხვევაში, უკვე საუესთან მსხდომთ ჩამოვეწერდი ამ ტერმინებს, და მათსავე საეველ ვაგონის კედლებზე გავეუკრავდი, რომ ყოველდღე თვალწინ ქქონოდათ ყველაზე ხშირად სახმარი სიტყვები შაინც...

ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს ყველა სოფელში და ბარაჭალა მას, ვინც ამ საქმეს ითავებს!

• • •

ეს წერილი ჩვენ გოორგი ლეონიძის გახსენებით დაეიწვეთ. გზა და გზა მის სახელს, მის ნაწარმოებებს ბევრი გადაუჭრელი თუ გადაჭერილი საკითხი დაუკავშირდა. ეს მოხდა თავისთავად, ვინაიდან ლეონიძე მთელი ეპოქაა არა მარტო ქართულ პოეზიაში, არამედ ქართულ ენაშიც; ის იყო დიდი მოჭირანაბულე, ერთგული მსახური ქართული ენისა, მისი ერთგული მონა და დაუცხრომელი მოტრფიალე, ჰკეიანი მოტრფიალე, იგი უნდა დარჩეს ჩვენთვის იმის მავალითად, თუ როგორ უნდა ვუეღიდეთ ჩენს მშვენიერ ქართულ ენას.



## ხელოვნების განვითარების ლოგიკისათვის

(„ანტიპროგრესიზმის“ კრიტიკისათვის)

„ნაცნობმა, რომელიც ბატონ კას დიდხანა არ ენახა, ასეთი სიტყვები შეაგება:

— თქვენ სრულებით არ გამოცელილხართ!

— ო! — წამოიძახა ბატონმა კ.-მ და გაფითრდა“.

(ბ. ბრეშტი)

„...მხოლოდ სულელი არ იცვლება, რადგან დროს არ მოაქვს მისთვის განვითარება“.

(ა. პუშკინი)

ხელოვნება... ვითარდება თუ არა იგი დროთა განმავლობაში?

რა არის მხატვრული პროგრესი, — მითი თუ რეალობა?

„არის საკითხები, — თქვა ერთხელ ედვარდ პომ, — რომელზეც დავობენ, რადგან ისინი რთული საკითხებია. მაგრამ არის საკითხები, რომლებიც რთული ხდებიან იმიტომ, რომ მათზე ცხარედ დავობენ“. ჩვენი საკითხი კი ამ მხრივ გამოწვევის შედეგად იქნება. რადგან რთულია, ამავე დროს, მისი სირთულე დროდადრო გაპრობებულა მწვავე დისკუსიურობით. სამაგიეროდ ამ საკითხის დისკუსიურობის მიზეზები სადაც არაა. ჩვენს დინამიურად-წინააღმდეგობრივ დროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ხელოვნებაში განვითარების პრობლემა, იგი დღეს „წმინდა მეცნიერული“ პრობლემა როდია. დღევანდელი მას აძლევს სრულიად მკაფიო პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მნიშვნელობას.

„ძველი თეორეტიკოსები, — წერდა ამასწინათ ე. შკლოვსკი, — ...შეშობდნენ ლიტერატურული ნაწარმოების (და არა მარტო ლიტერატურისა — ნ. ჯ.) გარკვეული ნაწილების ანალიზზე; განიხილავდნენ თბრობის ხერხების ცვლილების, პარალელურობის შექმნის, თავით გამოის ევოლუციის საკითხებს.

ლიტერატურის ისტორია (და არა მარტო ლიტერატურისა — ნ. ჯ.) თითქოსდა იქცეოდა კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების ნემსის ყუნწში გაშვებული ნაირფეროვანი და ცალკეული ხაზების კონადა“.

ძველი თეორეტიკოსები, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არ გამოდიოდნენ პრობლემებზე წმინდა ან ვიწრო აკადემიური წარმოდგენის ფარგლებიდან. „ნაირფეროვანი და ცალკეული ხაზების კონა“ მდებარეობდა კონკრეტულ, ცალკეულ მხატვრულ ფაქტში და იძლეოდა მხოლოდ მის ახსნას. ახლანდელი თეორეტიკოსები გვთავაზობენ სხვა, გაცილებით დიდ მასშტაბებს; ისინი ცალკეულ მხატვრულ ფაქტს აფასებენ თავისი დროის კონტექსტში, ადვანსულ მთელი მისი ტრადიციით და დამახასიათებლობით, იმ სოციალური და მორალური ტენდენციის კონტექსტში, რომლითაც, მათი აზრით, გამსჭვალულია ახლანდელი დრო. ისინი გამოდიან იქედან, რომ „სამყაროს კანონზომიერებანი ხელოვნებაში ხორციელდება როგორც ხელოვნების კანონზომიერებანი, დაკავშირებული ცნობიერების კანონებთან“<sup>2</sup> ხელოვნების კანონზომიერებათა აღმოჩენა მათ სჭირდებათ არა მარტო ხელოვნების ისტორიული ლოგიკის გასაგებად; მხატვრული აზროვნების ისტორია ეხმარება მათ აგრეთვე სამყაროს კანონზომიერებათა, ადამიანის ცნობიერების კანონების გაგებაშიც. უფრო ზუსტად: ახლანდელი თეორეტიკოსები, გვთავაზობენ რა ლიტერატურის ან ხელოვნების ისტორიის კონკრეტულ ვარიანტს, ამით საჭიროდ გამოაქვთ აგრეთვე განსაზღვრული წარმოდგენა საერთოდ ისტორიაზე, მის კანონზომიერებებსა და ჩვენი აზროვნების კანონებზე. სწორედ ამით უნდა იხსნას დღეს მხატვრული პროგრესის პრობ-

ღემაზე კეშპარიტად საერთაშორისო დისკუსიის ცხადი გაშფავება. სწორედ ამით — პრობლემების სოციალური „გულშემატკიერობით“, მისი იდეოლოგიური „ასოციაციურობით“ — უნდა აიხსნას „მხატვრული ანტიპროგრესიზმის“ იდეების დაყენებული ესკალაცია.

ხელოვნებაში განვითარების შესახებ ავად. 2. ხრამჩენკო საუბრით სამართლიანად წერდა: „არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, თათქოს მხატვრული პროგრესის მოწინააღმდეგენი უპირატესად არიან ისინი, ვინც იზიარებს ესტეტიკაში ანარქალისტური მიმდინარეობების, სხვადასხვა ბერძენაზიული თეორიების პრინციპებს, იმ დროს, როცა მის დამცველებად გამოდიან მხატვარ-რეალისტები... საქმე ასე მარტივად როდია. ცნობილია, რომ ზოგიერთი თანამედროვე ბერძენაზიული თეორეტიკოსი აღიარებდა ხელოვნების წინსვლით განვითარებას. მეორე მხრივ რეალისტური ფაილის ყველა მხატვარი როდი ეთანხმება იმას, რომ პროგრესის კრიტერიუმს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ლიტერატურასა და ხელოვნებასთან“<sup>2</sup>. ეს ასეა, მაგრამ არ იქნებოდა სწორი იმის მიჩნევა, რომ, მუშაობს რა ამ პრობლემაზე, თანამედროვე მეცნიერა მუდამ იღწეოს მხოლოდ წმინდა აკადემიური ინტერესებისათვის. ძალიან ხშირად ხელოვნებაში განვითარების უარყოფაში იმალება ცხოვრების სუბიექტურ-იდეალისტური აღქმის დადასტურება, ან აგნოსტიციზმისა და ფატალიზმის „დალოცვა“, ან ყველაფერი არსებულის შინაგან კანონზომიერებათა ჩაწვდომის ყოველგვარი ცდის „შერცხვენა“, ან იმის მისწრაფება კი, რომ „ჩახშობილ იქნეს“ კულტურაზე ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დაწყებული მსოფლიოს რევოლუციურ-პროგრესული სოციალური გარდაქმნის კეთილი გველნის იდეა. აი, ამიტომ დღეს ცხადი მნიშვნელობა აქვს ამ მეთოდოლოგიური პრინციპების კრიტიკას, რომლებიც მხარს უჭერენ „ანტიპროგრესისტების“ იდეებს.

სანამ ჩვენი წერილის ამოცანას დაეაზუსტებდეთ, აღბათ, საჭიროა გავიხსენოთ შემდე-

გი. „ანტიპროგრესისტების“ ძირითადი ნაშრომების გახზრება საშუალებას გაძლევს დაგსკვნათ, რომ თეზისები, რომლებსაც იხსენებენ უპირისპირებენ მხატვრული კულტურის კონსერვული გეოლუციის იდეას, საბოლოო ანგარიშით დაყენებულია ორ მომენტამდე:

1. ხელოვნება ვითარდება, მაგრამ, მიღწეეს რა თვისი განვითარების უშაღლეს ფუნას (განვითარებელი კაპიტალიზმის ეპოქა), იგი იწყებს „შევეცას“. მომავლის სულიერ სამყაროში ხელოვნება დაიღუპება, უარყოფილი და „შერცხვნილი“ ცნობიერების სხვა ფორმებით (გეორგ ე. ფ. ჰეგელი, ფრიდრიხ ნიეშე, ისვალდ შენგელერი, ზოზე ორტეგა-ი-გასეტო, ფეე მარტიენი, რაიმონ უიგი, გვიდო კალთერო დ. სხვ.).

2. ხელოვნების წარმოება არ „წერდება“, მომავალში მისი არსებობა არაა უარყოფილი, მაგრამ მხატვრული პროგრესის გაგება ანუ რღულია: ხელოვნების ისტორიას არ განინიცოვლურობა, ლოგიკური თანამიმდევრობა, კანონზომიერება: ევოლუცია არაა (ბენედეტო კროჩე, პიტერიმ სორიკინი, ტომას შინრო, ჰერბერტ რიდი, არნოლდ მაუზერი, რინარდ კოლინგვუდი და სხვ.).

პირველმა თეზისმა ჩვენს დროში უკვე დაკარგა წინანდელი პოპულარობა. შეიღლება ითქვას, დღეს ვერაიენ გაბედაეს, ნეოთომისტების გარდა, იმის მტკიცებას, რომ ახლოა თვით ხელოვნების გარღვეული დაღუპვა უფრო რთული მდგომარეობა მეორე თეზისთან დაკავშირებით. „ევოლუცია არაა“, — სწორედ ეს იდეაა ფართოდ გავრცელებული დასავლეთის თანამედროვე ესთეტიკოსთა შორის. ცხადია, მხოლოდ ერთ წერილში უბრალოდ შეუძლებელია ამ თეზისის კრიტიკული განხილვა ყველა მის განზომილებაში. შევეცდებით მხოლოდ ერთ-ერთად გაეაზროთ რამდენიმე ყველაზე უფრო პოპულარული და „დამარწმუნებელი“ საბუთი, რომლებიც ბერძენაზიულ ფილოსოფოსებს საშუალებას აძლევენ უარყოფ განვითარება ხელოვნებაში.

1. რას იხიბს საკითხი?

„...საკითხი ეხება არა იმას, არის თუ არა მოძრაობა, არამედ იმას, თუ როგორ გამოვხატოთ იგი ცნებათა ლოგიკაში“.

(ვ. ა. ლენინი)<sup>4</sup>

უდავოა: ხელოვნების მარადიული ცხოველყოფილობა ვარანტირებულია. ცხადია ისიც, რომ ისტორიულ პროცესში იგი განიცდის რელაციალებებს. უეშველია მხატვრული კულტურა მუდმივ მოძრაობაშია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელოვნებას ამ ცვლილებებში, ხე-

ლოვნების ამ მოძრაობის მიმართ სრულიად გამოუსადეგარიყო „პროგრესის“ ცნება. აი, ეს იდეა, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარულია თანამედროვე „ანტიპროგრესისტებს“ შორის. ხელოვნების ისტორიული მოძრაობის წინსვლითი ხასიათის უარყოფა, მასში გარჯე-

უღო „ცელინგების“ პროგრესულობის უარყოფა, არსებითად, ბადებს განვითარების აშკარად მდებარეობის კონცეფციას, მის იმ თანამედროვე ფორმას, რომელსაც დღერქვა „შემოქმედებითი ევოლუციის“ თეორია. ლენინს წერდა: „XX საუკუნეში (XIX საუკუნის ბოლოში) განვითარების პრინციპს“ „ყველა ერთმანადაა“. — დიახ, მაგრამ ეს ზერღვე, მოეფიქრებელი, შემსხვევითი, ფილისტერული „თანხმობა“ იმ სახის თანხმობაა, რომლითაც ახლობენ და აღმგავანებენ კეშმარტივებსა<sup>6</sup>. „შემოქმედებითი ევოლუციის“ თეორია „აღსამსებს კეშმარტივებს“; განვითარება ფაქტურად არაა — შემოქმედების ახსენება აქტის წყალობით წარმოიქმნება რადე ახალი, რომელიც მხოლოდ განსხვავდება ძველისაგან. სახელდობრ „განსხვავდება“, რადგან ახალი და ძველი არ შეიძლება ერთდროულად დაკავშირებული იყვნენ პროგრესის ან რეგრესის კატეგორიებით... ამერიკელ ესთეტიკოსთა ლიდერმა, პოზიტივისტმა ტ. მანრომ ერთ-ერთი თავისი წერილი ასე დასათურა: „არის თუ არა განვითარება ხელოვნებაში?“ ამ კითხვაზე მან დაქრებით უპასუხა, რომ „შხატერულ სტილთა ისტორიული ანალიზი ვერ პოულობს ევოლუციას, დეგოლუციას ან ინვოლუციას. განვითარების ნაცვალად ხელოვნებაში ადვილი აქვს მხოლოდ ყვლინება<sup>7</sup>. ხელოვნების ისტორიისათვის, წერს იგი, უცნობია რაიმე საერთო კანონზომიერება; ყოველი ეპოქის შხატერული ცხოვრება „გამოითვლილა“ სრულიად საწინააღმდეგო შოვლენებით. „ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ხელოვნებაში შეიძლება აღმოჩენილ იქნეს როგორც ევოლუცია, ასევე დეგოლუცია, — ამბობს ტ. მანრო. — ზოგჯერ ასეთი შოვლენა ახასიათებს შემოქმედების რომელიმე ერთ სახესაც კი, ზოგ შემთხვევაში ცალკეულ ხელოვნებას შეუძლია განვითარდეს სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით“<sup>8</sup>.

ფრანგი მეცნიერი ეორე კოზე აცხადებს: „ხელოვნებაში არავითარი გარკვეული აზრი არა აქვს პროგრესის ცნებას“.

იტალიელი ბ. კროჩე წერს: „არ არის და არც შეიძლება იყოს კაცობრიობის რაიმე ესთეტიკური განვითარება...“<sup>9</sup>.

რის გვაფაზობენ აქ „ანტიპროგრესისტები“ ბირითად საბუთად? როგორ იცავენ ისინი ამ თეზისს?

უფრო ხშირად ვაივანებთ იმ საბუთებს, რომლებსაც ასახელებს ბ. კროჩე. იგი იწყებს იმით, რომ ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოების დაზადებას მიაწერს მხოლოდ შხატერის ინტელიციას. (ხელოვნება — ეს „ყოფიერების არარეალისტური ინტელიცია“ არის). იგი ახვადებს შემოქმედების პროცესში ინტელტური ნაწილის მნიშვნელობას, აფერტობებს მის და ამის შედეგად თბზავს ასეთ სილოვებს: ინტელიცია. — ინდივიდუალურია;

ინდივიდუალობა — განუყოფელია. მამსადამე, ასევეის ბ. კროჩე, ისტორიულ პლანში შხატერულ ფასეულბებაში შორის არ შეიძლება იყოს მეშვედრეობითი; კანონზომიერი, ლოგიკურად გააზრებული კავშირი. შემდეგ: თუ ინდივიდუალობა — ეს არის აბსოლუტური განცერთებულობა, თუ იგი „არ მეორდება“, არ ცითარდება, მაშინ შხატერული სიმდიდრე, შექმნილი სხვადასხვა ინდივიდების მიერ, შეუძლებელია განვითარდეს რაღაც ერთიან, საერთო რიგში. „...თითოეულ ინდივიდს, — წერს იგი, — ინდივიდის სულოერი ცხოვრების ყოველ მომენტსაც კი აქვს თავისი შხატერული სამყარო და შხატერულობის მხრივ უფრო ეს სამყარო არა ჰგავს ერთმანეთს“<sup>10</sup>. ევფრა გასაგებად რომ ეთქვას, ბ. კროჩე გამოირიცხავს საზოგადოების შხატერული ცხოვრების პროცესის ციკლურობის თვით გაგებასაც კი. თუ უარყოფთ შხატერული პროცესის ციკლურობას, ასევეის იგი, „მაშინ ადვილი არა აქვს პროგრესის ციკლურობასაც“<sup>11</sup>.

სწორედ ასე მსჯელობს თანამედროვე ინგლისელი ესთეტიკოსი რ. კოლინგუელი: „ყოველი შხატერული ნაწარმოები — ეს არის თავისი შიგნით დასრულებული მონადა, და ორ ასეთ მონადას შორის არაა არავითარი ისტორიულ-მეშვედრეობითი კავშირი“<sup>12</sup>. ხელოვნებას, როგორც ისეთს, არა აქვს ისტორია, — წერს რ. კოლინგუელი და ამას ხსნის იმით, რომ შხატერული შემოქმედება არის მხოლოდ „წარმოსახვა“, „ინდივიდუალური წარმოდგენა“. მაგრამ „წარმოსახვა“, „ინდივიდუალური წარმოდგენა“ არასდროს არ გამოდის თავისი „მონადრის სამყაროს ინდივიდუალური შინაარსის“ ფარგლებიდან, რომელიც არ მეორდება და ატარებს მხოლოდ „ერთეჭრად“ ხასიათს: ნაწარმოების დამთავრებისთანავე იგი ჰქრება საუდამოდ<sup>13</sup>. სხვათა შორის, ბ. კროჩე და რ. კოლინგუელი იმეორებენ ხელოვნების ისტორიული ბედის კანტაანური კონცეფციის საკენანსო დებულებებს. ცნობილია, რომ კანტი, შხატერულ შემოქმედებას განიხილავდა როგორც გენიალურ ერთეულთა ხედვებს, რომლებიც თავიანთ „მუშაობას“ ამოქმედებს მხოლოდ საკუთარი პოეტური ინტელიციით, სახეებით აზროვნების საკუთარი ინდივიდუალური კანონებით. არ არის შემოქმედების არავითარი საერთო, უცვლელი წესები, რადგან ნამდვილ ხელოვნებას ცალკეული გენიოსი ჰქმნისო. მაგრამ, კანტის თქმით, გენია — ეს არის ყოველგვარი პოეტური კანონების უგულვებელუოფის ნიჭი, შემოქმედების საკუთარი, ახალი, გუნემორებელი პრინციპების „შეთხვისათვის“ შხადყოფნა. აი, ამიტომ ხელოვნების ყოველი კეშმარტივი ნაწარმოები უკვე თავისი ბუნებით არ შეიძლება შედარებული ან დამირისმირებული იქნეს სხვა ნაწარმოებთან. გენია — ეს არის ადამიანის სულის განსაუთრებელი, გ-

ნეშეობებელი კონსტრუქცია, და, ისევე როგორც შეუძლებელია პოვნა ორი გენიალური მხატვრის საერთო „პიროვნებითი“ მნიშვნელობა, შეუძლებელია მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შედარება. „ნიტოზონს. — წერს ი. კანტი, — ყველა თავისი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაეღა გეომეტრიის პირველი საწყისებიდან თავის დიფერენციალსა და ღრმა აღმოჩენებამდე, შედლო წარმოედგინა სრულიად თვალსაჩინოდ და ასევე თვალსაჩინოდ ეჩვენებინა სხვებისათვის და წინასწარ განეკუთვნა ისინი მემკვიდრეობითობისათვის (ხაზგასმა ჩემია — ნ. ყ.), მაგრამ არც ერთ პომეროსსა და ვილანდს არ შეუძლია აჩვენოს, თუ როგორ იბადება და ერთდება მის თავში იდეები, — ეს იმიტომ, რომ თვითონ არ იცის ეს და, მამაადავამე, არ შეუძლია ასწავლოს ეს სხვას. ამგვარად, მეცნიერების დარგში უდიდესი გამოგონებელი საბრალო მიმბაძველისა და შეგირდისაგან განსხვავდება მხოლოდ ხარისხით, მაშინ როცა იმისაგან ეხსიაც ბუნებამ მისცა ხელოვნების ნიჭი, იგი განსხვავდება სპეციფიკურად“<sup>14</sup>. გენიალური მხატვრის ქმნილება დამთავრებულია თავის შიგნით, შეუძლებელია მისი „გაუმჯობესება“, „მისთვის გასწრება“<sup>15</sup>. იგი წარმოადგენს ისეთ მთლიან სტრუქტურას, რომლისთვისაც არ გამოდგება ხარისხის არავითარი შედარებითი საზომი; იგი ისეთია, როგორც არის და მასში უკვე ვერაფერს შეეცვლით, რადგან უჩინარი „რედაქტირება“ კი მთლიანად შლის მის არსს. იმ, ამიტომ არ შეიძლება გენიალური მხატვრების ნაწარმოებთა ერთმანეთთან შედარება, თუნდაც მათ „ემუშაოთ“ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში... მამაადავამე, გენიალობა — ეს არის ინტელიცია, რომლის თვით არსი გამოიხატება პროცესის ერთობას, მთლიანობას, მონაცვლეობას, ერთგვარობას, ციკლურობას.

რასაცვირველია, თუ მხატვრული შემოქმედების პროცესს დაეყვანთ ინტელიციურ საწყისსამდე, თუ გამოთვლიცხვთ ვინების როლს როგორც ადამიანის ცოდნათა მძლავრ „აქტიულატორს“, როგორც საშუალებას, რომელიც ეშუალოდ ხელს უწყობს ცხოვრებისეულ მოვლენათა განზოგადებასა და მხატვრულ სიმბოლიზებას, თუ ყოველ ესთეტიკურ ინფორმაციაში დაინახავთ მხოლოდ სუბიექტური საწყისის გამოვლინებას, რომელსაც არ გააჩნია საერთო მინარსობლივი მომენტები, მაშინ კარგანული ესთეტიკის დასყვნები იქნენ რაღაც

ლოგიკას. ხაზი ვაფუსვით: რაღაც, მაგრამ არა წუნდაუდებელ ლოგიკურ სისწორეს, რადგან შემოქმედება ვინებამკერტითაც, რომელიც დაეყვანით მხოლოდ სუბიექტურ საწყისსამდე, ამ შემთხვევაში კი არ შეიძლება იმის თქმა, რომ არ არსებობს ობიექტურად ნიშნადი კრიტერიუმი სხვადასხვა ეპოქების ხელოვნებათა შედარებისათვის. სამეც ის არის, რომ სამეყაროს ბნაოი მუდამ პოეტის გულზე ვადის, ეფრო ზუსტად რომ ვთქვათ — შემოქმედების სუბიექტი, მხატვარი, არის „საზოგადოებრივი ორგანიზმი“, ეპოქის ამა თუ იმ ობიექტური თვისებების „შეფუთვა“. თავისთავად ინტელიცია საბოლოო ანგარიშით, აღმოჩნდება ხელმეადმიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური კონსტრუქციის შედეგი, იმ კონსტრუქციისა, რომელიც ისევე ობიექტური საწყისით განისაზღვრება. ამ, ამიტომ ამზობდა გორკი, რომ „სულს განვითარების პროცესი წარმოადგენს უწყვეტ ხაზს, და ყველა მწერალი ემორჩილება ობიექტურად მემკვიდრეობითობის კანონს“. გორკი ვარაუდობდა, რომ „ახალი ავტორის თითქმის ყოველი წიგნი შინაგანად დაკავშირებულია მის წინამორბედ ნაწარმოებებთან, და ყოველ ახალ წიგნში არის ძველის ელემენტები“, რომ „სტენდალი, ბალზაკი, ფლობერტი და მოპასანი წარმოუდგენელი იქნებოდნენ უერთმანეთად, — თუ პირველი ორი ვერ დამთავრებდა თავის სამუშაოს, ეს სამუშაო უნდა შეესრულებინათ ფლობერტსა და მოპასანს“<sup>16</sup>.

თუმცე იღია ილფმა ერთხელ ძალიან სერიოზულად და ბრძნულად იხუმრა: „რასაც უნდა აკეთებდეთ, სულ ერთია მაინც ჩემს ზოგადი ფიას აკეთებთ“. მამაყოფსეი წერდა, რომ „ნატორმორტად დადებულ პრილა ემპლზე“ მხატვარი ხელდას „კალიშში ჩამობრუნობილი“. არ შეიძლება ხელოვნების ისტორიული ყოფიერების ერთიანი ციკლურობის, უწყვეტობის ურავიფა, რადგან ყოველი ესთეტიკური ინფორმაცია შეიცავს ობიექტურად-მნიშვნელოვან ელემენტებს. ოსკარ უაილდი დაყენებით ამზობდა: „სიყვარულით დახატული ყოველ პორტრეტი — ეს არის თვით მხატვრის პორტრეტი და არა იმისა, ვინც პოზში იდგა“. მაგრამ თვით უაილდმა ისეთ ფრიალ „სუბიექტურ“ რომანშიც კი, როგორცაა „ღორიან გრეი“, მოკვცა არა მარტო და არა იმდენად თავისი პორტრეტი, რამდენადაც სახე იმისა, ვინც ედგა მას პოზში—გასულ სუვერის ბიქტრული არისტოკრატისა... „გენიალური განჭერტანეი კი, — წერდა ს. ვიზნაშვილი, — დამახინჯებული და გათვლილი იქნენ იმ წყობილების ცნობიერების უშუალო ანსახით, რომლის წინააღმდეგადაც ისინი შეგნებულად ილაშქრებდნენ. მაგრამ იმ ანსახისაგან თავის დაღწევა მათ ეწობიერებას აღარ შეუძლია...“<sup>17</sup>. კ. მარკსი ამზობდა, რომ ინგლისელმა რეპლისტიმმა „მსოფლიოს დაინახეს... პოლიტი-

ური და სოციალური ტეშპირიტებიანი<sup>18</sup>. ფუნველსმა შენიშნა, რომ ბალზაგმა თავის რომანებს მეცნიერული ღირებულება მიანიჭა. ლენინი წერდა, რომ ლ. ტოლსტოის წიგნები რეალურ რეოლოგიის საჩუქრს არისო, განახილავდა რა ს. ვიხრესტეინის ლენტებს, რ. ჩაპლინიმ აქვია, რომ „ხელოვნების ნაწარმოებნი ზოგჯერ ნეტ ისტორიულ ტეშპირიტებას შეიცავენ, ვიდრე სპეციალური ტრაქტატები“<sup>19</sup> და ეს იმიტომ ხდება, რომ თავით ხელოვნების ბუნება არ აღდგეს მას საშუალებას „გაეჭვოს“ ობიექტურ ნაწყისს. აი, სწორედ ეს ვარკოვება აამყარა აქვას, არსებითად, კონკრეტული კონცეფციის ნაწყისი საბუთის სიყალბეს...

ამასობაში ჩვენ უკვე უშუალოდ მოუახლოვდით ხელოვნების განვითარების სპეციფიკის საკითხს, უფრო ზუსტად, პოეტურ შექმნელობაში ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის ანალიზი უკვე საშუალებას გვაძლევს გამოავარკვიოთ მხატვრული პროგრესის სპეციფიკა.

სავსებით გასაგებია, რომ იგი განისაზღვრება თავით ხელოვნების, თავით მხატვრული სახის სპეციფიკით. მაგრამ ამ სახის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ობიექტურ მომენტებთან ერთად მასში მუდამ არის სუბიექტური საწყისი, რაც შეპირობებულია მხატვრის ინდივიდუალური განუმეორებლობით. აი, ამიტომ არის, რომ ცნობიერების სხვა ფორმების განვითარებასთან შედარებით მხატვრული პროგრესი ხანმოკლეა მგერ სირთულთა და წინააღმდეგობრიობით, არასწორხაზობრიობითა და ჩუაროსნული არათანმიმდევრობით. არაფერ დაძვობს იმის შესახებ, რომ XV საუკუნის გამოჩენილმა მექანიკოსმა და ფიზიკოსმა ლეონარდო და ვინჩიმ პიოავორისა და არქიმედეს მერ იყოდა და მეტის გაყვებმა შექცო. სავსეოდ მიანიათ ის, თითქოს იგი, როგორც მხატვარი, როგორც მოქანდაკე მიჩიონხე ამ ფილიასზე მალა დგას. მაგრამ აქედან გამოდის მხოლოდ ის, რომ ხელოვნების განვითარება რთული მოვლენაა, და ეს სირთულე შეპირობებულია მხატვრული შინაარსის სპეციფიკით, მისი სტრუქტურული თავისებურებებით — ობიექტური და სუბიექტური საწყისის ერთობით.

მაგრამ არც იმას თქმა შეიძლება, თითქოს შეცნობებას (ან ცნობიერების ყოველ სხვა ფორმას) სრულებით არ გაჩნდეს სუბიექტური საწყისი. ა. ანშტაინი ამტკიცებდა, რომ შეცნობურულ შექმნებაში გამუდმებით არის პოლზის ელემენტი. მაგრამ საქმე ის არის, რომ შეცნობურებაში სუბიექტური საწყისი დაყვანილია შინააღმდეგობრივად და „ინთქმება“ ობიექტურის მიერ. თუ ერთ ძველ ხელნაწერს ისტორიულ ტრაქტატს ეძახიან, მეორეს კი — მხატვრულ ნაწარმოებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შეთხვევაში გამომდინარეობენ სწო-

რედ ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობიდან, ათანასე ნიკიტინის მოგზაურობას სამ ზღვის იქეთ“ დღეს ჩვენ უფრო მხატვრულ მოვლენად მივიჩნევთ, ვიდრე შეცნობურულ ნაწარმოებად, თუმცა ტვარული ვაჟარი თავის დღიერებას წერდა როგორც ეთნოგრაფიულ ნარკვევს, საიმდლისო მოხსენებით ბარათს. ჩვენს განსაზღვრაში გამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ ამ დღიერებაში ძალიან ძალუმაღ, „წონადად და ხილულად“ მოცემულია სწორედ სუბიექტური საწყისი: „რუსეთის მიწას ღმერთი მუარავდეს! დედამიწაზე არაა ქვეყანა მისი მსგავსი, თუმცა რუსი ბოიარები არ არიან გულკეთილი. დაე, გახდეს რუსეთის მიწა კეთილმოწყობილი და დამკვიდრდეს მასზე სამართლიანობა“ და ა. შ.

მასმასადავ, ხელოვნებაში, ისევე როგორც შეცნობურებაში, ამასავალ მომენტს არც სუბიექტი წარმოადგენს დამოუცილებლად, არც ობიექტი, არამედ მათი პრაქტიკული ერთეობით მოქმედება. შეცნობურულ გაგებაში სუბიექტურის, პირადადლის ხვედრითი წონა თითქმის სულ უმნიშვნელოა. მაგრამ ხელოვნება — ეს სახეობით აზროვნებაა, და თითოეულ მის ნაწარმოებში, ობიექტური საწყისის სახის ვარადა, კიდევ არის ერთი სახე — ნაწარმოების ავტორისა. მხატვრული შინაარსის სტრუქტურული სირთულე, თავის მხრივ, განსაზღვრავს ხელოვნების განვითარების სირთულესა და წინააღმდეგობრიობას. შეცნობურებაში პროგრესი ატარებს უბრალო, არითმეტიკულ ხასიათს: იგი წარმოადგენს „შევიდ“ შეჯამებას ახალი მონაცემებისა. შეცნობურებაში ახალი ნიშნავს ძველს, და, ხელოვნებისაგან განსხვავებით, მასში ახალბუტრად ერთი და იგივე ერთდროულად თუ არავითარბოულად შეუძლია თქვას სხვადასხვა ადამიანი. ხელოვნების ისტორიასთან შეფარდებით უარყოფის უარყოფის უნავერსალური კანონი იქნეს განსაუთობებულ, სპეციფიკურ ხასიათს: უარყოფილია მხატვრული აზროვნების ძველი ნაწარმოები, მაგრამ თავით ნაწარმოები მთელი თავისი შექმნებით — ერთეობით დამახასიათებლობით ინარჩუნებს ქმედობობასა და სიცხოველეს. მართალია, ბირთული ფიზიკის წარმატებებმა სიცხოველე წართვეს ძველი მატერიალისტების გაგებებს, მაგრამ ბრეტკის პიესები როდი „აუქმებენ“ არისტოტელის ქმნილებებს. ვილყ ოლესენმა, რომელიც არც იცნობდა ნეტონის ნაშრომებს, XX საუკუნეში „აღმოჩინა“ მისი საშივე კანონი, მაგრამ ერთი და იგივე სცენარით თარი რეჟისორი შექმნის სხვადასხვა ფილმს...

ახლა კი დაუბრუნდეთ „ანტიპროგრესის ტებს“.

ინტელიგენცმა მიიყვანა ბ. კრონე ხელოვნების ნაწარმოებთა არამეობისპირადობის იდეაზე, მისგან კი ასეთ დასკვნაზე: „შექმნიარი არ წარმოადგენს პროგრესს დანტოსთან შედა-

რებით, ისევე, როგორც გოეთე — შექსპირთან შედარებით<sup>20</sup>.

აქ უკვე საჭიროა ითქვას, რომ ეს თეზისი, თავის მხრივ, აღმოჩნდა ყველაზე „ეფემერული“ და „უცილობელ“ სახეთად ხელოვნების ევოლუციის არასტაბილური იდეის დასაცავად. მაგალითად, ჩეხოსლოვაკელი მეცნიერი შარო ნოვაკი უკვე მთავარ არგუმენტად ასახელებს კრთინადი მსჯელობის სწორედ ამ საბოლოო ფრაზას: „ჩემი აზრით, ძნელია ხელოვნებაში პროგრესის დამტკიცება, იმის დამტკიცება, რომ სოფოკლეს ხელოვნება ნალებ მოწინავეა, ნალებ იდეურია, ვიდრე შექსპირის ხელოვნება, რომ აკროპოლის შემქმნელები რენესანსის არქიტექტორებზე დაბლა დგანან“<sup>21</sup>. ანალოგიურ საბუთებს იმეორებს პერბერტ რიდიც: „არა მგონია ვინმემ გახედოს იმის თქმა, ტენისონი ან შექსპირი კი პომპროსზე უფრო პროგრესული იყოს“<sup>22</sup>.

და მართლაც, ერთი შეხედვით ეს საბუთები თითქმის დამარწმუნებელია: არავის შეუძლია ვაღპურით იმის მტკიცება რომ შექსპირი დანტეზე უკეთესია, რომ ტრალტიო შექსპირზე მაღლა დგას. მაგრამ გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ უკვე ასეთი უბრალო გარემოება არ გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ მხატვრულ პროგრესზე.

...საქმე ის არის, რომ ყოველგვარი განვითარება ხასიათდება „დროებითობა“ და „მარადიულობა“, „მდგრადობა“ და „ცვალებადობა“ დიალექტიკით, ასეთივე დიალექტიკა ახასიათებს მხატვრული განვითარების პროცესსაც. თვითონ ხელოვნების ნაწარმოებიც, მისი შექმნის პროცესიც, მისი აღქმის პროცესიც თითქმის მრავალი მხრიდან ითოვება წინააღმდეგობებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით ხელოვნების ნაწარმოებში, მისი შექმნის ან აღქმის პროცესში არის ელემენტები, რომლებიც „მარად ცოცხლობენ“, არიან ისეთებიც, რომლებსაც აქვთ „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“. თი, ამიტომ, ვიკვლევთ რა ხელოვნების განვითარების პრობლემას, საჭიროა გამოვავლინოთ კონკრეტულ-ისტორიული, დროებითის, „წარმავლის“ ანდა „წარმავლის“, მუდმივის დიალექტიკა, „თანადროულია“ და „მარადიულის“ დიალექტიკა.

ხელოვნება მარადიული თავისებურება, წარმავალი მომენტი არის მისი მხატვრულობა, გაგებული არა მარტო როგორც საშუაროს სახიზანი შეცნობის სპეციფიკური ფორმა, არამედ როგორც ნაწარმოების სრულყოფილების, მის შინაარსსა და ფორმის შორის პარამონის საზოპი. კემპარიტი ხელოვნება დამოუკიდებლად იმისა, თუ როდისაა შექმნილი, მდებამ მხატვრულია. შეიძლება ვინა იმის მტკიცება, რომ რენი ხელოვნება უფრო მხატვრულია, ვიდრე

წარსულის რელიზში?! ცხადია, არა. ასევე არაა სწორი მსჯელობა ასეთ თემაზე: ვინ უფრო მხატვრულია — შექსპირი თუ „დანტე“? უფრო სრულყოფილია თუ არა „მამლუტის“ მინამსისისა და ფორმის პარამონია „ლეთებრივი კომედის“ პარამონიასთან შედარებით? თი, ამიტომ არის, რომ, როცა ეთანხმება მისაზრებას — შექსპირი არ დგას დანტეზე მაღლა, — მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის, რომ მისი პიესის მხატვრულობა არ წარმოადგენს პროგრესის დიდი ფლორენციელის პოემის მხატვრულობასთან შედარებით. მაქსიმ გორკი ხელოვნებაში პროგრესის იდეის დაქვერებული დამცველი იყო, მაგრამ იმისათვის, რომ ხაზი გაესვა დამტოვესწი სილიადისათვის, იგი რუს მწერალს აღარბდა შექსპირისა და დანტეს. არა გვგონია, რომ გორკის უნდობა დამტკიცებინა — გასული საუფუნე წინ არ წასულა რენესანსის ევლტურასთან შედარებითო. მან თქვა მხოლოდ ის, რომ „ილიოტის“ ავტორის ნიჭი უღრის, ტლფასია წინანდელი ეპოქების უდიდესი მწერლების ტანანტისა; მას მხედველობაში ჰქონდა დოსტოვესკის რომანების მხატვრულობა.

მისმალამდე, „ძველი“ ხელოვნება არანალებ მხატვრულია, ვიდრე თანამედროვე. დღეინადი შემოქმედება გემინდებლზე უფრო მხატვრული არაა, მაგრამ ეს როდი გვაძლევს უფლებას უარყოთ ხელოვნების განვითარება, რადგან იცვლება, ვითარდება თვით კრიტერიუმი მხატვრულობისა. გამოიღიან რა ამ კემპარიტებიდან, „ანტიპროგრესისტები“ მიღიან უიმედო დაქვენამდე; თუ ახალი ხელოვნება გეთოვარობს მხატვრულობის ახალ კრიტერიუმებს, მაშინ სხვადასხვა ეპოქების შემოქმედება შეუპირისპირებელია. ხოლო თუ იგი შეუპირისპირებელია მაშინ მხატვრულ პროგრესზე ლაპარაკიც ზედმეტია...

თი, აქ კი „ანტიპროგრესისტებს“ შეიძლება უსაყვედუროთ „სიბევე“. იმინი უარყოფენ მხატვრულობის კრიტერიუმის ცვლილების თვით ხასიათს, არ „ანგარიშობენ“ მის. მხატვრულობის კრიტერიუმი იცვლება, მაგრამ საჭიროა გამოვავლინოთ ამ ცვლილებათა მიზეზები, გავიანალიზოთ მათი ხასიათი. ამ შემთხვევაში ხელოვნების განვითარების წინსვლითობა შედარებით უფრო ცხადი ხდება.

მსჯელობდა რა რენესანსზე, ი. ერენბერგე წერდა: „არა, მხატვრული მეთოდების მკვეთრ ცვლილებებში როდია მნიშვნელობა იმ ეპოქისა, რომელსაც პირობითად აღორძინება შეაქვეს. ანტიური ხელოვნება, ლიტერატურა... დაგვემარინე, თუ გაქვერებული დოგმების სუფობებაში არა, ყოველ შემთხვევაში, მათ მნიშვნელოვნად უნან დაწვევაში, აზრისათვის მტი ვისაქანის მიცემაში... მაგრამ აღორძინე-



ბამ მხატვრებსა და მწერლებს მეტი თავისუფლება მიანიჭა<sup>23</sup>, რენესანსის ეპოქაში მხატვრობის კრიტერიუმი იცვლება: „ახალი იდეები, ახალი გრძნობები მოითხოვენ ახალ მხატვრულ ფორმებს“<sup>24</sup>, მაგრამ ანტიკური და რენესანსის ეპოქების ხელოვნების მხატვრობის კრიტერიუმებს შორის განსხვავება განსაზღვრულია XV-XVI საუკუნეთა ისტატივის „მეტი თავისუფლებით“. „მეტი თავისუფლება“ — ეს უკვე ესთეტიკური პროგრესის პირობაა, რადგან თავისუფლების გაფართოება მსოფლიოს უფრო ღრმა და ქმედითი მხატვრული შეცნობის საშუალებას იძლევა.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ როგორც კი წინადა თვითილი, განმარტავებული მსჯელობიდან გადახვალ კონკრეტულ ისტორიულ-მხატვრულ ფორმულორებზე, მაშინვე ირღვევა და ფერხდება კვლევითი აზროვნების მწყობრი სელა, რადგან აუცილებელი ხდება აღიარება ერთი შეხედვით აბსურდული დასკვნებისა. ადვილი დასამტკიცებელია, რომ შექსპირის ხელოვნებისა და განვლილი საუკუნის კულტურის მხატვრობის კრიტერიუმებს შორის განსხვავება შეპირობებულია XIX საუკუნის „მხატვრებისა და მწერლების მეტი თავისუფლებით“. მხატვრული პროგრესის ლოკომოტივის წარმოადგენს სოციალური პროგრესი: შექსპირის ეპოქასთან შედარებით წინა საუკუნე გამოირჩევა სოციალური სრულყოფილებით; ადვილი დასამტკიცებელია, რომ ამ გარკვეულ საზოგადოებრივ პროგრესს უნდა შეეპირობებინა იგრეთვე თვით მხატვრული აზროვნების პრინციპების მძლავრი განვითარება. ამის დამტკიცება ადვილია, მაგრამ ჭერ კიდევ ძნელია იმის თქმა, რომ ტოლსტოი უკეთესია შექსპირზე, ეს კონკრეტული დასკვნა ლოგიკურად შემოწმებულია და თანამიმდევრულია, თუმცა იგი თითქოსდა თვითონვე გვეუბნება — ასე არისო, ტოლსტოის ეპოქა შექსპირის დროზე უფრო მოწინააღმდეგეა და ესთეტიკურად უფრო გამოყვანილი, მაგრამ ინგლისელი მეცნიერის რ. კოლინგვუდის მოსწრებული თქმით, „უბანი არ იყო სწავლადემთავრებული ბეთხოვენი, პლატონი კი — განვითარებადურსრულბული არისტოტელე, მიუხედავად იმისა, რომ მეორე აღმოცენდა პირველისაგან“<sup>25</sup>.

სწორედ ეს საბუთი, ვიმეორებთ, არის კოხორი სექტიკოსების — მხატვრული პროგრესის იდეის დამამხობელთა ხელში. შეიძლება განა იმის თქმა, თითქოს ტოლსტოი ან ჩეხოვი შექსპირზე მაღლა დგას? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, და თუ ეს ასეა, მაშინ ხელოვნების განვითარე-

ბის პრობლემა დახტრულად ცხადდება მართლაც, ასეთი მსჯელობის სასარგებლოდ მტყვევლებენ ფორმალური ლოგიკის ქმედუნტრული პრინციპები, რადგან ამ ქმედუნტრული რიტეზანი თითქოს აბათილებენ საერთო დასკვნას ხელოვნების წინსვლითი განვითარების რეალობის შესახებ. მაგრამ უფრო ღრმა ლოგიკური აზროვნება ჩვენ გვარწმუნებს ამ საერთო დასკვნის ქვეშაირიტებაში. მამასადაშე, შეცდომა უნდა ვეძებოთ დასავლეთის ესთეტიკის თვით ამ „ემპირიულ“ საბუთში.

ღმამდე ჩვენი მკვლევარები იფარგლებოდნენ იმით, რომ აცხადებდნენ — თვით საკითხის დაყენება „ეინ უფრო მაღლა დგას“ პრინციპულად არაკანონზომიერიყო. ვფიქრობთ, რომ პაექრობის ასეთი „ეარიანტი“ ნაყლებუფქტურია; უფრო მეტიც, უბრალოდ არაპროდუქტიულიც არის. არა გვგონია, ვინმეს შეეძლოს დამარწმუნებლად დამტკიცოს, რომ მხატვრული პროგრესის რეალობის პრობლემაზე მსჯელობისას მეცნიერს არა აქვს უფლება დაისახოს ყველაზე უბრალო და ცხადი საკითხი: შეიძლება თუ არა წარსულის დიდ ოსტატებთან შედარებით ჩვენი ეპოქის დიდი მხატვრის პროგრესულობის მტკიცება. რასაკვირველია, ასეთი კითხვა პრინციპულად ლოგიკური და კანონზომიერია. შეცდომა სხვაგან უნდა ვეძიოთ. გვთავაზობენ რა პრობლემებისადმი ევრეთწოდებულ „ემპირიულ მიდგომას“, დასავლეთელი ფილოსოფოსები არ ითვალისწინებენ მხატვრული აღქმის გარკვეულ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, უგულვებლყოფენ ყოველგვარი მხატვრული მოვლენის დიალექტიკურ ბუნებას და მსჯელობენ რა კონკრეტულ ესთეტიკურ ფაქტზე, აღქმული სუბიექტის ცნობიერებისაგან მოწყვეტით, ამვლანებენ თავიანთი კვლევის მეთოდის ამჯარა მეტაფიზიკურობას.

მხატვრული აღქმის კანონზომიერებებში, აღმონის ესთეტიკური უნარისა და ნიჰის ისტორიული განვითარების ლოგიკაში ჩაწვდომა სიციხოველესა და დამაჯერბლობას უყარავს როგორც „ანტიპროგრესისტების“ საბუთებს, ასევე დასკვნას იმის შესახებ, რომ ადვილი არა აქვს საზოგადოების მხატვრულ განვითარებას. ამას გარდა, ესთეტიკური აღქმის ზოგიერთი თავისებურების გამოაშქარავება ჩვენ მოგვიყვანს იდეამდე არა პრინციპულ, არამედ სწორედ ფაქტიურ არაკანონზომიერებამდე საკითხისა — „ეინ უფრო მაღლა დგას“.

2. რა არის შექსპირი?



«Века прошли, [и] поныне [он] целым миром [был] в звание Шекспира возведен».

ყოველგვარი ცვლილებების პროგრესულობის, წინსვლითი ხასიათის დადგენა შეიძლება მხოლოდ მათი დაპირისპირებით, მათი თანაფარდობით ანალიზით. მაგრამ ყოველგვარი მოვლენების შედარებით ანალიზს წინ უნდა უსწრებდეს მათი აბსოლუტური, ობიექტური, არათარდობითი, «წმინდა» ღირებულების გამოტყვევა. ასე, მაგალითად, როცა შექსპირის ედუარდთ ჩვენი დროის მხატვარს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა დადგინდეს მისი ნაწარმოების «წმინდა», უღერო ზუსტიად რომ ვთქვათ, «სასტარტო» ღირებულება. ცხადია, რომ თანამედროვე მკითხველის ან მკურნებლის წინაშე შექსპირი წარმოადგება შეუდარებლად გაუმჯობესებელი, ამალბული სახით. და აქ საქმე მარტო იმ უდიდეს პიეტეტში კი არაა, რომლითაც ჩვენ ვეპურობით წარსულის დიდებულ სახელებს. «საიდუმლოება» მდგომარეობს იმაში, რომ მხატვრული აღქმის პროცესის დროს მკითხველს ან მკურნებელს თვით ნაწარმოებში შეაქვს არა მარტო თავისი პირადი, სუბიექტური ესთეტიკური და ცხოვრებისეული გამოცდილება, არამედ აგრეთვე ის გამოცდილება და ცოდნა, რომლებიც მოცემული მომენტისათვის საერთოდ მოპოვებული აქვს ადამიანის გონებას. სუბიექტის მხატვრული აღქმა გამეშვეობითებულია მისი ცხოვრებისეული და ესთეტიკური გამოცდილებით, რაც მას მოპოვებული აქვს როგორც ონტოგენეტიკურ, ასევე ფილოგენეტიკურ პროცესებში. ამ იდეას ჩვენ კიდევ დაეხებოდნებით, ახლა კი, სანამ ახალ მონარებაზე გადავალთ, მოვიყვანოთ საკმაოდ დიდ ამონაწერს ა. პოტებნიას ცნობილი წიგნიდან «აზრი და ენა»:

„ხელოვნება არის მხატვრის ენა, და როგორც სიტყვით ვერ გადასცემს სხვას შენს აზრებს, არამედ მხოლოდ აღტრავ მასში მის საკუთარ აზრებს, ესევე მას ვერ გადასცემს ხელოვნების ნაწარმოებში; ამიტომ ამ უკანასკნელის შინაარსი (როცა იგი დამთავრებულია) უკვე მხატვარში კი არ ეთარაღება, არამედ შინაარსის გამკვებში. მსმენელს შეუძლია მოლაპარაკებუ ევთ გაიგოს, თუ რა იმალება სიტყვის უკან, და მკითხველს შეუძლია თვით პოეტზე უკეთ ჩასწვლდეს მისი ნაწარმოების იდეას. ასეთი ნაწარმოების არსი, ძალა იმაში კი არაა, თუ რას გულისხმობდა მასში ავტორი, არამედ იმაში, თუ როგორ მოქმედებს იგი მკითხველზე ან მკურნებელზე, მამასადავ, მისი შინაარსის უღვე შესაძლებლობაში. ეს შინაარსი, პროეტირ-

ბული ჩვენს მიერ, ესე იგი ჩაქსოვილი თვით ნაწარმოებში, ნამდვილად დათქმული მისი შინაგანი ფორმით, შეიძლება არ შედიოდეს მხატვრის ანგარიშში, რომელიც ქმნის, აკმაყოფილებს რა თავისი პირადი ცხოვრების დროებით, ხშირად შეზღუდულ მოთხოვნილებებს. მხატვრის დამსახურება შინაარსის იმ მინიმუმში კი არაა, რაც მან მოიღებრა შექმნისას, არამედ სახის გარკვეულ მოქნილობაში, სხვადასხვა შინაარსის აღქმის შინაგანი ფორმის ძალაში. მარტივ გამოცანას: «одно также «свѣитъ Боже», друге также «не дай Боже», трете также «менѣ все одно» (оно, двери и сволок) შეუძლია დაბადოს აზრი პოლიტიკური, ზნეობრივი, მეცნიერული იდეების გაორიგონისადმი ხალხის სხვადასხვა ფენების დამოკიდებულების შესახებ, და ასეთი განმარტება მცდარი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ვგავსალებთ გამოცანის ობიექტურ მნიშვნელობად, და არა გამოცანით აღზუნებულ ჩვენს პირად მდგომარეობად. მარტივ მოთხრობაში იმის შესახებ თუ როგორ უნდოდა ღარიბს აშოლო წყალი სავიდან, (მღინარის სახელი — ნ. ყ.) არაა თავის ფინქანში ვანეზაუბინა ერთი ყურში რძე, როგორ უყვაროდ წაიღო ტალამ მურქლიდან რძე, და როგორ თქვა ღარიბმა: «Саво, Саво! Себе не заблнлелн, а мене зачрнл» (ესე იგი, დამაღონე), ამ მოთხრობაში, შესაძლოა, ვინმეს მოეღანდოს მხოლოდო მოვლენების ნიაღვრის უღმობელი. სტიქიურ-დამანგრეველი მოქმედება ცალკეულ ადამიანების ბედნიერებისათვის, ქვითინი, რომელიც გულის სიღრმიდან მოდის დატბრუნებული და, პირადი თვალსაზრისით, დაუშახტრებელი დანაჯარგის გამო, შეიძლება ადვილად შეცდეს, თავს მოახვევ რა ხალხს ამა თუ იმ გაგებას, მაგრამ ცხადია, რომ მსგავსი მოთხრობების საუკუნეების მანძილზე ცოცხლობენ არა თავიანთი ზუსტი მნიშვნელობისათვის, რაც მათში შეიძლება იქნეს ჩაქსოვილი... როგორც სიტყვა თავდაპირველად არის ნიშანი ძალიან შეზღუდული, კონკრეტული გარნობადი სახისა, რომელსაც, მიიწე, წარმოადგენს გამო (ინუ, როგორც სხვაგვარად გამოთქვამს ა. პოტებნია, შინაგანი ფორმის გამო — ნ. ყ.) მაშინვე ეძლევა განზოგადების შესაძლებლობა, ისევე მხატვრული საბე, მიეკუთვნება რა შექმნის წუთში გარნობადი სახეების ვიწრო წრეს, ერთბაშად იქცევა ტიპად, იდეალად...»<sup>26</sup>

შესანიშნავი რუსი მეცნიერის ნარკომიდან

ამოღებული ეს მასაჲ შეიძლება ორნაირად იქნეს განმარტებული. უფრო ზუსტად რომ ეთქვათ, მასში მოცემული იდეის გაგარტებამ და განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს ორ, თავიანთი ხასიათით სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე.

ა. პოტენციას საერთო მიზანდასახულობის ზოგიერთი მომენტის აბსოლუტობებით, პიპერტროფიებით შეიძლება, მავალითად, მისი ახსნა აშკარა იდეალისტური სულსკვეთებით: ხელოვნების ნაწარმოებს არა აქვს არავითარი ობიექტური მხატვრული ან იდეური შინაარსი. შეუძლებელია აგრეთვე ნაწარმოების თვისს უტყუარად დადგენა რადგან, როგორც ასეთი, მას არ გააჩნია თვითაღიერება ვანსაზღვრებაც კი. ყველაფერი — იდეა, თემა, შინაარსი ე. წ. მთლიანად შეპირობებულია აღქმული ინდივიდის და მხოლოდ მისი ცნობიერებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხატვრული ნაწარმოები — ეს მხოლოდ ჭამია პერსექციებისა (აღქმებისა). ასეთ თვალაზრის იყავს, სხვათა შორის, ამერიკელი ესთეტიკოსი — კონტრესტულიტი ს. კ. პეპერზე. მხატვრული ნაწარმოები, წერს იგი, ბუნებაში ფუნქციონირებს ორ ასპექტში: მატერიალურ და სულიერ. მაგრამ, ნაწარმოების მატერიალური ყოფიერება სრულიად „არაგამომსახველია“, ეს მხოლოდ რაღაც ფიზიკური საგანია, რომელიც თავისთავად არაფერს გამოხატავს და თავის ყოფიერებას ამართლებს მხოლოდ იმით, რომ იწვევს, ღმრავს აბსოლუტურად ნებისმიერ „მხატვრულ განწყობილებებს“. „ფსიქოლოგიურ მდგომარეობებსა“ და იდეებს. ამ ფრზიერ საგანში სულიერი შინაარსი აერთოს კი არ შეიძებს, არამედ „მონაცვლეს“ — აღქმულ სუბიექტს, მომხმარებელს. ამასთან, სულიერ შინაარსს შეიძლება ჰქონდეს ზუსტად იმდენივე ვარიანტი, რამდენ „პოეტურად კითხვის შექმლ“ დამიანსაც ურთიერთობა აქვს ნაწარმოებთან. აი, ამიტომ მხატვრულ ქმნილებას არ გააჩნიათ კონკრეტული ობიექტობის შინაარსი; რასაკვირველია, შეიძლება ლახარაკი ნაწარმოების ეგრეთწოდებული გარკვეული განმარტების შეფარდებითი ობიექტურობის შესახებ, მაგრამ ამ შეფარდებითი ობიექტურობის დადგენაც შეუძლებელია ზუსტი მეცნიერული მეთოდებით. ს. კ. პეპერის აზრით, არსებობს პოემის ან ფერწერული ტილის შეფარდებით ქუშმარტი აზრის გამორკვევის მხოლოდ ერთი — კონვენციონალური ანუ ართიმეტრიული ხერხი: იდამიანები ყველაზე უფრო ხშირად გამოთქმულ შეფასებათა საფუძველზე უსიტყვოდ უთანხმდებიან ერთმანეთს ნაწარმოების კონკრეტული მნიშვნელობის შესახებ... ვფიქრობთ, ამ პოზიციის წმინდა ფილოსოფიური უსტურობის ვრცელდ მტკაცებაც კი არ ღირს, ხელოვნების ნაწარმოები, — როგორდაც არ უნდა წარმოვიდგინოთ იგი ჩვენ — მხატვრია-

ლურ“ თუ „სულიერ“ გაფორმებაში — უწინარეს ყოვლისა არის მთლიანი და დამოუკიდებელი ობიექტი, თუ გნებავთ, სუბიექტი. მაგრამ ხომ უკვე დიდი ხანია ვვკვრის საგნის რეალური პირველადი არსებობა მთელი თავისი თვისებებით დამახასიათებლობით და დამოუკიდებლად დამიანის ცნობიერებისა. რასაკვირველია, შეიძლება დავიმოწმოთ ხელოვნების განაყუთრებული ემოციურ-სახოვანი ხასიათი ან მხატვრული აღქმის განუყოფრებელი თავისებურება და ამ საფუძველზე განავცხადოთ „ესთეტიკური მოხმარების საგნების“ სპეციფიკური ყოფიერების შესახებ. შეიძლება ელამაზაკოთ იმაზეც, რომ საკმაოდ ხშირად შეუძლებელია აბსოლუტური უტყუარობით დადგინდეს მხატვრული ნაწარმოების „კონკრეტულ-ცალკეული“ შინაარსი, მაგრამ საყუბით ცხადია, რომ, ასე თუ ისე, იგი მაინც სთავაზობს ჩვენს აღქმას საკმაოდ ვანსაზღვრულ და მოხაზულ კალაპოტს იდეურ-ემოციური „ძიებისა“ თუ განმარტებისა. ხელოვნების ყოველი ნაწარმოები — ეს არის „საგანი“, რომელიც როგორც ასეთი, საერთოდ წარმოუდგენელია თავისი შინაგან-დამოუკიდებელი თვისებრივი ხასიათის გარეშე, ამიტომ ხელოვნების ნაწარმოები უკვე თავისი ბუნების გამო გამოიჩნება უსაზღვროდ ნებისმიერი განმარტების შესაძლებლობას. შესანიშნავ ქართულ მხატვარს ლადო გუდიაშვილს აქვს საკმაოდ ცნობილი სურათი „მანანას მორთვა“. მიწაზე ფეხმორთმული ზის ტურტა ქართული ქალი და ხელში უკავია დიდი მოკტროსფრო სარკე; მის მარცხნივ — მხარავიშვლებული მომხიბული ქალიშვილია, რომელიც თმებს უვარცხნის ტარფას; მარცხნივ ჰაწაინა შველი მანანას წელს იაღურებს; ოდნავ მოშორებით, უკანა პლანზე — მალალი, — ხასხასა ყვავილები და მოლერკო-ვარდისფერი ცა... მართალია, მხატვარმა ამ სურათს ფრიად ლაქონური საბული შეარქვა—„მანანას მორთვა“, და მაინც თითქმის შეუძლებელია მისი „კონკრეტულ-ცალკეული“ მხატვრული შინაარსის უტყუარად განსაზღვრა. „ვინ არის იგი? — ამბობს გუდიაშვილი თავის მანანაზე. — ქართული ვენერა? ზღაპრიდან მოსული დედოფალი? თუ თანამედროვე ქალიშვილია, ხორცშესხმული თავის არსში?“. თუმცა ეს არტუთ ისე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სურათის აღქმა განსაზღვრულია „სახვითი საშუალებების დახმარებით ჰარმონიული და შესანიშნავი იდეალის მიღწევის მისწრაფებით“<sup>29</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იძლევა რა უტყუარად ზუსტ აზრობრივ ინფორმაციას, გუდიაშვილს სურათი ასე თუ ისე ჩვენს აღქმას სთავაზობს განმარტებათა გარკვეულ დიპაზონს. ესე იგი თვითონ სურათი, მისი ობიექტური შინაარსობრივი მონაცემები აღცვეთენ მისი აბსოლუტურად ნებისმიერი აღქმის შესაძლებლობას და

წარმართავენ ჩვენს მხატვრულ წარმოსახვას...  
 ამგვარად: მხატვრული აღქმის თავისუფ-  
 ლება ატარებს შეფარდებით ხასიათს, და ეს  
 შეფარდებითობა შემპრობებელია თვით ნაწარ-  
 მოებით. აი, რა უნდა გვეწოდეს მხატვრობა-  
 ნაში, როცა ვაწინაღობთ და ვაზუსტებთ ა.  
 პოტებნიას იდეებს. როგორც ჩანს, მხოლოდ ამ  
 შემთხვევაში შევძლებთ სწორად — მატერი-  
 ალისტური პოზიციებიდან — წარმოვიდგი-  
 ნოთ მხატვრული აღქმის ლოკაცია.

„შემენლის შეუძლია მოლაპარაკებე უკეთ  
 ვიყოთ, თუ რა იმპლება სიტყვის უკან, და  
 მკითხველს შეუძლია თვით პოეტზე უკეთ ჩას-  
 წვდეს მისი ნაწარმოების იდეას“. აქ ა. პოტებ-  
 ნია მართლზე მართალია: ეს პარადოქსი აღ-  
 ვილი ასახსნელია, რადგან, როგორც ლენინი  
 წერდა, აღქმისათვის ცნობიერება არა მარტო  
 ასახავს სამყაროს, არამედ კიდევ უკმის მას, რა-  
 იმე ობიექტის (მხატვრული ნაწარმოების) აღ-  
 ქმისას ჩვენ არა მარტო ავსახავთ ჩვენს ცნო-  
 ბიერებაში, არამედ შემოქმედებითად გვწვდ-  
 ვით მას, სახეს ეუცვლით და ვანვიითარებ ჩვე-  
 ნი ინდივიდუალური ცნობიერების ელემენტე-  
 ბის, ჩვენი ცხოვრებისეული და ესთეტიკური  
 გამოცდილების ხარჯზე. იმ შემთხვევაში. თუ  
 მკითხველის მხატვრული აზროვნება აღმოჩ-  
 ნდება უფრო ღრმა და მდიდარი, ვიდრე „თვით  
 პოეტისა“, — მას იმაზე გაცილებით მეტი  
 ესმის, რაც უნდოდა ეთქვა ავტორს, ესე იგი  
 უკეთ წიდება „მისი ნაწარმოების იდეას“. აი,  
 აქ კი უკვე, აუცილებელია დაზუსტდეს ა. პო-  
 ტებნიას უკანასკნელი ფრაზა. საქმე ის არის,  
 რომ მოყვანილ შემთხვევაში პოეტური შინაარ-  
 სი იმ იდენტია, რომელსაც აღიქვამს მკითხველი,  
 უკვე მეტად თუ ნაკლებად განსხვავდება თავი-  
 სი „აწარმოებისა“. „პერსპექტივაში“ ვარიანტი-  
 სიდან. მხატვრული აღქმის პროცესში ნაწარ-  
 მოების პოეტური იდეა იქნის, ახალ გლერადო-  
 ბასა და ვანაზიონებს; აღქმული, იგი უკვე იქ-  
 ცევა შეფარდებით დამოუკიდებელ იდეად, რო-  
 მელიც არა „სიკვან“, განსხვავებულია თავისი  
 „პირველი სახისაგან“. ფილოსოფიურ რვეუ-  
 ლებში“ ე. ი. ლენინი წერდა: „ყოველი კონ-  
 კრეტული საგანი, ყოველი კონკრეტული რაიმე  
 განსხვავებულ და ხშირად წინააღმდეგობრივ  
 მიმართებაშია ყოველივე დანარჩენთან, აგრც,  
 არის თავისთავად და სხვადაც“ (ხაზგასმა  
 ჩემია — ნ. წ.). სწორედ თავისთავად“ და  
 ამავე დროს „სხვადაც“ აღმოჩნდება ყოველთ-  
 ვის მკითხველის მიერ აღქმული პოეტური  
 იდეა. თავის პირველსავე ვარიანტში  
 — თვით ავტორის მიერ ნაწარმოებში ჩაქსო-  
 ვილი — იგი „სხვადასხვა ურთიერთობას“ აწ-  
 ვარებს მკითხველის ცნობიერებასთან, და  
 რჩება რა „თავისთავად“, გადაიზრდება ბოლო  
 კიდევ რაღაც „სხვად“. აი, ამიტომ ფრაზა —  
 „მკითხველს შეუძლია თვით პოეტზე უკეთ  
 ჩასწვდეს მისი ნაწარმოების იდეას“ — საქი-

რობეს გარკვეულ დაზუსტებას: იდეა, გამო-  
 ტანილი მკითხველის მიერ მხატვრული ქმნილი-  
 ბიდან, უკვე მარტოდენ პოეტს არა ეუც-  
 ვინის, რადგან თავისთავად იგი უკვე განსხვავ-  
 დება „მისი ნაწარმოების“ იდენტიაგან.  
 ჩვენი აზრის საკმარის დამადასტურებელ არ-  
 გუმენტს წარმოადგენს მხატვრული თარგმანის  
 მთელი მდიდარი და საინტერესო პრაქტიკა.  
 სამილი მარშალს სწორედ უთქვამს, რომ ლექ-  
 სის თარგმნა შეუძლებელია; ყოველი თარგმ-  
 ნი — ეს გამოცდილიაა წესიდან. ამ ფრაზაში  
 ს. მარშალსა ლაიონური და პარადოქსული მა-  
 ნერით გამოთქვა ფაქტიურად იგივე აზრი, რა-  
 საც ჩვენ ვიცავთ. მართლაც, შეუძლებელია  
 ლექსის თარგმნა, რადგან მოცემულ შემთხვე-  
 ვაში (ისევე, როგორც საერთოდ, ჩვეულებრივ  
 აქვთ წარმოადგენილი) ტერმინი „თარგმანი“ გა-  
 ვებულია რაღაც კონკრეტული პოეტური სახე-  
 ბის ერთი ენობრივი სტრუქტურიდან მეორეზე  
 უბრალო გადატანა-გადაღებად. მაგრამ აბსო-  
 ლუტურად ადეკვატური, „უმანკო“ თარგმანი  
 უბრალოდ არარსებელი და განუზოტყენი-  
 ბელია. ამის მიზეზი სხვადასხვა ენების რუსუ-  
 რების გარკვეული შეუსატყვისობა კი არაა,  
 არამედ ის უბრალო გარემოება, რომ, სანამ  
 სახეს ერთი ენიდან მეორეზე გადათარგმნით,  
 მას ჩვენს მხატვრულ აზროვნებაში ვწერავთ,  
 რომელიც თავისებურად იყენებს პოეტური მა-  
 სალასა. (მხატვრული პროზის ან პოეზიის მთა-  
 რგმნელი — ეს უწინარეს ყოვლისა მკითხველია,  
 მისთვის შეთავაზებული სახეების განმარტებუ-  
 ლია, ამასთან შემოქმედებითად განწყობილი  
 განმარტებელია. ყოველი მოყვანისაგან, რო-  
 მელსაც გააჩნია ესთეტიკური ცნობიერების გა-  
 ნვიითარების ანალიტიკური დონე, მთარგმნელი  
 განსხვავდება მხოლოდ ორიგინალისაგან მიღე-  
 ბული შთაბეჭდილებების „გამოთქმის“, „საქ-  
 ვენოდ თქმის“ სპეციფიკური ნიშით).  
 ამიტომ გარკვეული კანონზომიერებანი, ნაპო-  
 ვნი მხატვრული თარგმანის ლოკალურ დარგში,  
 იქნენ განსაზოვადებულ მნიშვნელობასა და ხა-  
 სიათს. გოეთე ამბობდა, რომ „პერსიანისა და  
 დორითისა“ ლათინური თარგმანი ორიგინალზე  
 გაცილებით მაღლა დგას. ამასვე წერდა იგი  
 თავისი „ფაუსტის“ ერთ-ერთ ფრაგულ ვარი-  
 ანტზე. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მკითხველს  
 ან მკითხველს შეუძლია ყოველი მხატვრუ-  
 ლი ნაწარმოები „გააუყოფოს“ საკუთარ  
 აღქმაში, რადგან მასში აქოვს დამატებით,  
 საკუთარ ფილოსოფიურ და მხატვრულ აზრს. ამ  
 აქამდე, ვისკელობით რა მხატვრული აღ-  
 ქმის თავისებურებებზე, მხედველობაში გვეჩ-  
 და ყველაზე მწელი და ყველაზე რთული შემ-  
 თხვევა: შერალი („მთქმელი“) და მკითხველი  
 („მმენელი“) არიან თანამედროვეები, ე. ი. მ-  
 თი თანამემოქმედება შემოფარგლულია ერთი  
 და იგივე ეპოქით. მაგრამ როგორც შეცნობი-  
 ლი ლოკაცია და მხატვრული პრაქტიკა მოწმობა.

ამ შემთხვევაშიც კი „მშენებელს“ შეუძლია მოისპიოს იმაზე მეტი, რის თქმაც სურდა „მშენებელს“. ეს თვალნათლად ჩანს, განსაკუთრებით, განვლილი ეპოქების ხელოვნების აღქმისას. აქ უკვე, პირადად, ინდივიდუალური მხატვრული ნიჭის ვარდა, მკითხველს მის მიერ აღქმულ ნაწარმოებში შეაქვს უაღრესად ეპოქალური, იმ დროის განათლების დამახასიათებელი იდეურ-ესთეტიკური ელემენტები. ამასთან, საკულისხმაოა, რომ ძველი ნაწარმოების სტრუქტურაში ახალი ელემენტების „შეტანის“ ამ პროცესს არავითარ შემთხვევაში არ ვანიჭდის, არ იტყობს მკითხველი. სწორედ ამ აზრს ადასტურებს თავის შრომებში ესთეტიკური აღქმის ბუნების გამოჩენილი მკვლევარი პოლ. ჯ. ოლსკემპი. ესთეტიკური განცდის თერთმეტი დამახასიათებელი ნიშნის თავის ცნობილ სიას ამერიკელი მეცნიერი იწვევს შემდეგი მსჯელობით: „მე ვთვლი, რომ ესთეტიკური აღქმა და გავება განსხვავდება სხვა ფორმების აღქმისა და გავებისაგან და სხვა დამოკიდებულებებისაგან იმით, რომ მასში გაუცნობიერებელია აღსაქმელსა და აღმქმელს შორის, კონტროლდაქვემდებარებულსა და მავტორობულს შორის არსებული განსხვავება“<sup>34</sup>. ფაქტურად მსგავსი შეხედულება აქვს ამ საკითხზე ფრანკ სოციოლოგს ანტონიო კანდიდოს: „მკითხველი ხედავს მხოლოდ სიტყვას და საერთო თავს, მაგრამ არ აღიქვამს მწერალს“<sup>35</sup>.

მხატვრული აღქმის სტრუქტურა თავისში ავლენს სუბიექტისა და ობიექტის, მკითხველისა და ნაწარმოების განსახლებულ ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთზემოქმედებას. ისტორიულ პროცესში ეს დამოკიდებულება მტკიცედ ვითარდება, რამდენადაც სრულყოფილი ხდება თვითონ სუბიექტი, მკითხველი: იზრდება და მდიდრდება მისი სოციალური და სულიერი გამოცდილება. თავის მხრივ, რჩება რა სუბსტანციონალურად უცვლელი, თვისობრივ დინამიკას განიცდის, აგრეთვე, აღქმის ობიექტი (მხატვრული ნაწარმოები), ვინაიდან მისი შინაარსი მდიდრდება და იზრდება იმ ახალი ელემენტების ხარჯზე, რომელსაც იღებს მკითხველის „შესაღწერების საწყობიდან“ (ი. სენენოვი)<sup>36</sup>. აი, რატომღაც, რომ ხელოვნების ნაწარმოები ისტორიულად წარმოგვიდგება როგორც პროცესი და ამასთან ისეთი, რომელიც ავლენებს მუდმივი განვითარებისადმი აშკარა ტენდენციას. დიდ მხატვრულ ქმნილებებს სწორედ იმიტომ გააჩნიათ მარადიული უკვდავება, რომ დროის სიბოლახთან ერთად ჩვენს შგნებაში უფრო და უფრო მეტად იწვევენ მდიდარ ასოციაციებს. ისინი ყოველი ეპოქის წინაშე წარსდგებიან ხოლმე უფრო მრავალმხრივ „განზომილებიან“; ახალი თაობის ცხოვრებისეული და ესთეტიკური გამოცდილება განაპირობებს რა მათ განვითარებას, ეს ქმნილებანი ვა-

ნუწვევებლად აფართოებენ „საერთო“ პრობლემების წრეს და უფრო ღრმა და რთულ შინაარსს აძლევენ მას. ამიტომ არ შეიძლება არ დაეთანხმო გამოჩენილ უცხოელ ლიტერატორს — ალბერტ ერერს, როცა იგი აცხადებს: „სხვადასხვა დროს შეიძლება გავითვას ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა თარგმანი, რომლებიც სრული უფლებით შეიძლება მივიჩნიოთ „ილბლიან“ თარგმანებად“<sup>37</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიქვაში რა რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს, ყოველი ეპოქა გვიჩვენებს თავის დონეს „მის“ ესთეტიკური შინაარსში „აწვედომისა“ (ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს სწორედ ასოციაციურ-ესთეტიკური აზროვნების ესა თუ ის დონე და არა ძველი ნაწარმოების მორალურ-ფილოსოფიური აღქმა). ყოველი ახალი ეპოქა ძველ ნაწარმოებს ითვისებს ესთეტიკურად უფრო ღრმად, უფრო რთულად და მრავალმხრივად. მაშასადამე, ხელოვნების ნაწარმოები, არსებობს რა როგორც ისტორიული პროცესი, მუდმივად „უმჯობესდება“ მსმენელთა ესთეტიკური შეგონების უნარის განვითარების ხარჯზე. წარსულის ყოველი მხატვრული ქმნილება, დღეს აღიქმება უფრო „ამაღლებული“, სრულყოფილი სახით. ეს გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნას, რამდენადაც იგი იძენს განსაკუთრებულ მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას მხატვრული პროგრესის პრობლემაში ე. წ. „ეპიპირილი“ მიდგომის დროს.

შექსპირი თუ ტოლსტოი, — რომელი დგას მაღლა? ეს ამოცანა, — ერთი შეხედვით, თითქოსდა უბრალო და ელემენტარული, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას შექსპირის ქმნილებაში „სასტარტო“ ლირებულების წინასწარი შესწავლის ვარჯიშს, იმის ზუსტად განსაზღვრის ვარჯიშს, — თუ რა არის შექსპირი<sup>38</sup>.

უკვე ნათელი უნდა იყოს, რომ შექსპირზე ჩვენი დღევანდელი მსჯელობანი უბრალოდ არ შეიძლება მივიღოთ მხედველობაში, რამდენადაც „ორგანულად“, შეუმჩნეველად შექსპირისეულ ნაწარმოებთა მსოფლიო ჩვენს გვაქვს მთელი ის მხატვრული კოდნა, რაც დაავროვა კაპობრიობამ უკანასკნელ სამას წელიწადში. თანამედროვე მაცურებელი ესთეტიკურად ვაიცილებთ ბევრადღაც განვითარებული, ვიდრე დღეოფილ ელსაბედის დროის მაცურებელი, — ამას არ შეუძლია ზემოქმედება არ მოახდინოს შექსპირის შემოქმედების ობიექტურ შეფასებაზე.

ამერიკელმა შექსპიროლოგებმა „მოსიწეს“ მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისელ მაცურებელთა ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურებანი. აღმოჩნდა, რომ ისინი აღიქვამდნენ მხატვრული სიტყვის მხოლოდ ე. წ. „შეკადვებულ“ სტილს, ისინი მიეჩივნენ მკვერთმეტყველების ე. წ. „სასამართლოებრივ“ მანერას,

საუბრის „პირდაპირ გულახილობას“, და ამავე დროს ისეთ მეტაფორებსა და ჰიპერბოლებს, რომლებიც ბოლომდე „ღუპვდნენ“ და განმარტავდნენ უოველივე „მხატვრულ პასაჟს“. მაგრამ დღეს, იწყება რა „ჰამლეტის“ კინოფორმზე ვადატანას, რეჟისორი გ. კოზინცევი დღევანდელში წერს: „...უცნობებია ფილმი ყველაზე მეტად მისაწვდომი და გასაგები იყოს: ეს ცხოვრებისეული, ადამიანური ისტორიაა. მაგრამ ცუდია, თუ იგი იქნება... უკანასკნელ სიტყვამდე თქმული“.

უნდა ვისარგებლოთ მიკროდოზებით გამომსახვლობით საშუალებებში“.

და მართლაც: თანამედროვე მსურველისათვის საკმარისია მიკროდოზი, რამდენადაც მისი ესთეტიკური აზროვნება გაიკლებით უფრო ასოციაციურია, რამდენადაც ესთეტიკურად იგი უფრო „საზრიანია“, მხატვრულად უფრო გავრცელებულია. „თქმა უკანასკნელ სიტყვამდე“ სპობს ამ ჰემსპირიტ ესთეტიკურ სიხარულს, რაც მდგომარეობს ავტორის პოეტური იდეის, მისი შემდგომი განვითარების გამოცნობაში. სრულიად ბუნებრივია, რომ ახლანდელ მსურველებს შეეწყოს ძალა „გაიკონოს“ იმაზე მეტად, რის თქმაც სურდა შექსპირს.

ამ აზრების შექმნა ნათელი ზღვება, რომ ტოლსტოის ცნობილი სიტყვები შექსპირზე არ შეიძლება მივითხოვოთ „ერესიად“ იმავე ეპიტეორიულობით და ვადატონო, როგორც ეს ბერნარდი შოპე გააკეთა. ნ. ჩერნიშევსკი წერდა: „შოპე შექსპირის ყველა დრამის ნახევარი გახდა ჩვენს დროში ესთეტიკური ტუბოზისათვის უფარვის... არც ფერწერაში, არც მუსიკაში, არც არქიტექტურაში არ მოპოვებია თითქმის არც ერთი ნაწარმოები, რომელიც შექსპირისა 100 ან 150 წლის წინაა და არ წარმოადგენს ახლა უსიცოცხლოს ან სასაცილოს, მიუხედავად მასში აღბეჭდილი გენიის უდიდესი ძალისა“<sup>39</sup>.

„ექვი არ არის, — ამბობდა ჰეგელი, — რომ სახეები და შედარებები შექსპირთან ხშირად ტლანქი და შერტისმეტად დახორავებულია“<sup>40</sup>.

მაგრამ თუ დღეს, როგორც თქვა გ. კოზინცევი, შექსპირის ყოველი სიტყვა — წმინდათაწმინდაა, მაშინ გასაღები მართო საუკუნეებით განსხივონებული ინგლისელი პოეტის ავტორიტეტს როდი იმალება, არამედ ჩვენი აქტუალური თავისებურებებში, ჩვენს განვითარებულ ესთეტიკურ აზროვნებაში. კსენოფონტე პოლუვოი, იგონებდა რა თავის „შეხვედრას ა. პუშკინთან, მოგვიხსნობდა, რომ იგი გავრცელებული იხსენებდა იმ თავის თანამედროვეებს, რომლებიც „ეძებდნენ შექსპირთან, ღმერთმა იცის რას“, მაშინ როცა ინგლისელი დრამატურგი ლაპარაკობდა მარტივად, „ყოველგვარი დახლართულობის გარეშე“.

სამკოთა შექსპირილოგებმა მ. და დ. ურნო-

ვებმა მეტად გონებაშავილურად შეინიშნეს, რომ „ჰამლეტი (და თვითონ შექსპირიც — ნ. ჟ.) თავისი მაღალი ავტორიტეტის გამო იძულებულია მის მიერ წარმოთქმულ სველ-სიტყვაში ეცაოს ბრძანება სიღრმე, თვითონ კი შესაძლებელია ვერ ხედება ბოლომდე საკუთარი რეპლიკების აზრს“<sup>41</sup>. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ რეპლიკების აზრს განვსაზღვრავთ ჩვენ, უფრო ზუსტად — ვანეითარებთ, ვართულებთ, ვაუწყობსებთ — სწორედ ჩვენ.

შექსპირი თუ ტოლსტოი, — რომელი დგას მაღლა? საკითხის ამგვარი დამა არათუღბამოსილი იქნება იქამდე, ვიდრე ჩვენ არ გავიარკვევთ დიდი ინგლისელის დრამატურგიის ჰემსპირიტ („თეოდორიველი“) ესთეტიკურ აზრს. მაგრამ თუ ეს ასეა, — მაშინ საკითხის ასეთ დასმას, უფრო მეტად მართალია უფრულობა უწერია, რადგან დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია გააღწიო დროის ურთიერთისაწინააღმდეგო, რთულ, თითქმის ქოიტურ ფენებში და აბსოლუტური დამაყარებლობით უზამსო რა კითხვას: რა არის, უფრო სწორად — რა იყო შექსპირი? რომენ როლანმა თქვა როგორცა: „როცა ჩვენ წარსულის ნაწარმოებებს ვებრუნდებით — ეს წარსული კი არ აღდგება ჩვენში მკვდრებით; ეს ჩვენ გადავიცვართ წარსულში ჩვენს ჩრდილს—ჩვენს სურვილს, ჩვენს კითხვებს, ჩვენს წესსა და ჩვენს დღესას...“<sup>42</sup> მაგრამ ამ შემთხვევაში, „ვეებრუნდებით“ რა შექსპირის შემოქმედებას, უბრალოდ წარმოუდგენელია განავალკვევით ეს „წარსული“ „ჩვენი ჩრდილისაგან“, რამდენადაც თვითონ ესთეტიკური აღქმის ბუნება არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად შევიცნოთ „აღსაქმელსა და ამქმელს შორის არსებული განსხვავება. და მიუხედავად ამისა, მინც, „შეუიარაღებელი თვალთაც“<sup>42</sup> შეიძლება შევიწმინოთ აქ რამდენიმე საერთო ნიშანი და მომენტი, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ „ნაღვლილი“ შექსპირი საქმის არის მიხედვით დღას გაცელებით დაბლა იმ შექსპირზე, რომელსაც იცნობს ჩვენი თანამედროვე. აქ გავიხსენოთ მხოლოდ შექსპირის „ჰამლეტს“ აღქმის ზოგიერთი ეტაპი, რომლებიც საბუნებრივად აზრს იმის შესახებ, რომ დანიელი პრინციის სახის „გაღრმავება“, „გაუმჯობესება“ მიმდინარეობდა ადამიანის საზოგადოებრივ-ესთეტიკური შეგნებულობის ისტორიული განვითარების პარალელურად (განპირობებული პარალელი).

რითაოდ ბერბევი (1567--1619), ჰამლეტის როლის პირველი შემსრულებელი, თამაშობდა „ახალგაზრდა“ პრინცს, რომელიც „სიუყარულისაგან არც ჭეუდიან შეშლილი იყო“ და არც „ნაღვლიანი შეყვარებული“! მხოლოდ და მხოლოდ!

ბეტერტონმა (1635-1710) შექმნა სახე „იმე-

დით საესე, ცოცხალი და ფხიანი ახალგაზრდა კაცისა“.

მუთარამეტ საუენენში თომას შერიდანმა ისევ აღადგინა ჰამლეტის შვევეცილი მონოლოგი, რომელსაც ფეი ფორტინბრასის ქარების გამოჩენის შემდეგ კითხულობდა. ამ მონოლოგში მსახიობი სრულად არ დაინტერესებულა გმირის ჩაფიქრებებზე ნებისყოფისა თუ უნებისყოფისაზე: „ომი იყო კანადაში“. სიტყვამ იმის შესახებ, რომ დასაძახი როდია დაღვართ სისხლი თუნდაც ერთი მტკაველი მიწისათვის, პატრიოტულ ოვაციებს იწვევდა“<sup>43</sup>.

იმავე საუენენის ბოლოს, ნ. კარაშინმა, რომელიც წინდღინის თეატრში „ჰამლეტს“ უყურობდა, წამოიძახა: „ჰამლეტის რომელმაც სკენამ იმოქმედა ყველაზე მეტად საზოგადოებაზე? იმან, სადაც საფლავს უთხრიან ოფელიას...“ იმ ეპოქის მავურებლებს იტაცებდათ სწორედ სიუჟეტის სენტიმენტალური პერიპეტეზიები. იმ დროის ადამიანების მიუთარებასა თუ მიწერ-მოწერებში როდის შეზღუდვებით გმირის რთული განცდებისადმი რაიმე ინტერესს. ისეთი ადგილებიც კი, როგორცია „ყოფნა არყოფნა“ აღიქმებოდა ჩვეულებრივად. თანამედროვეებმა ამ მონოლოგს მიუხადაგეს მუსიკა და რომანსისებურად ასრულდნენ ვიტარაზე“<sup>44</sup>.

მეტარამეტ საუენენმ განსაკუთრებულად წამოაწია წინ ესთეტიკური აზროვნება. მკითხველებსაც და მავურებლებსაც თვითნათი ყურადღება გადაექთ ძირითადად არა იმდენად ფაბულისა და მოქმედების განვითარებაზე, რამდენადაც პიესის გმირთა გრძნობებისა და აზრების მოძრაობაზე. შექსპირის შემოქმედების გერმანულ მკვლევართა (გოეთეს, აგუსტ შლეგლის, ფრიდრიხ შლეგლის) თხზულებანი ნათლად მოქმედებ იმან, რომ გასულ საუკუნეს ინტერესებს ეყუკ არა პიესაში გამოხატული „ამბები“, არამედ გმირის ხასიათი, არა ელსინორის ციხე-სამაგრიში მომხდარ ამბავთა ქრონიკა, არამედ ჰამლეტის სულის ისტორია. ახალი მკითხველები და მავურებლები „ეძებენ“ პიესაში, უფრო ზუსტად, ანიჭებენ პიესას უფრო ღრმად, დიდმნიშვნელოვან პოეტურ შინაარსს. როგორც გ. კოზინცევი თვლის, ამ შემთხვევაში უბრალოდ ყურადღებას იპყრობა „შინაარსის სხვა მხარეები“ (?), მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს „შინაარსის სხვა მხარეები“ პირველყოფილისა განაირობებელია „მსმენელთა“ საზოგადოებრივ-ესთეტიკური შეგნების პროგრესით.

ინდურა ღმერთის შივას მრავალხელოანობა შეიძლება აისხნას მთელი კონკრეტულობით: ღმერთს შეუძლია მეტი, ვიდრე ადამიანს; მის ხელოვან ქმნილი აურაცხავია, ამტომ ხელუბიყ მეტი აქვსო, ასე მსჯელობდნენ ძველ მითთა შემთხვევები. მაგრამ დღევანდელი მკვლევარი, რომელიც იცნობს კინემატოგრაფს, სხვა-

გვარად ამტკიცებს; იგი ძველ ინდურ მითებში დაკვირვებს თვლის დიდ წინასწარმეტყველებად და მათ სულბტურულ ნამუშევრებში მხედრებს ადამიანის სურვილისა და უნების განხორციელების — გადმოსცეს სხეულის მოძრაობა, მისი გარეგნული დინამიკობა. ლეგენდარული შივას მრავალი ხელი, სხვადასხვა პოზიში გადმოცემული, სწორედ მოძრაობის ნათელ ილუზიას ბაღებს... იმის მსგავსად, როგორც ინდოელი მოქანდაკეები, რა თქმა უნდა, არ წუხდნენ კინემატოგრაფის ესთეტიკურ პრინციპებზე, შექსპირიც, აგრეთვე, არ ფიქრობდა „ჰამლეტის“ პოეტური შინაარსის იმ ახალ თვისებებზე, რასაც ზედადენდ გასულ საუენენის მავურებლები. სწორედ და ფაქტობრივად ამის შესახებ წერდა. გ. კოზინცევი: „ეს სახე (ჰამლეტისა — ნ. კ.) — ისეთი, როგორც დიანახა ახალმა დრომ, არ შეიძლებოდა წარმოედგინათ არა მარტო „დრაკონის“ მგზავრებებს (შექსპირის თანამედროვენი, „ჰამლეტის“ პირველი მავურებლები — ნ. კ.), არამედ თვით რჩხარდ ბერბეციც კი ცოტას თუ გაიგებდა მსგავსი როლისაგან“<sup>45</sup>.

ამ გავებით შექსპირის თანამედროვეთა სახელებს, ბერბეცისა და სტრადფორდის თეატრ „გლობუსის“ პირველ მავურებელთა სახელებს უნდა მიუვამტოთ თვით დრამატურგის სახელიც, ცხადია, ასე თუ ისე, შექსპირის უდიდესი პოეტური ნიჭის მიუხედავად, მისი ყველა პიესა და მათ შორის „ჰამლეტიც“ (არ წარმოადგენდა რა ზემუნებზე მიგნებას და არ იყო თავის დროზე მღლა მდგომი მოვლენა) იყო თავისი, ელსახედისეული ეპოქით დაღდასმული. და „გლობუსის“ ყველაზე მეტად განათლებული მავურებლები შექსპირის პიესებსა და სპექტაკლებს თვლიდნენ უსაქმრობისა და თავგანთვლობისაგან მდაბიოთა ხსნად ეფექტურ საშუალებად, რამაც, შეიძლება ითქვას, მდგომარეობდა იმდროინდელი თეატრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი (დიდაქტიკურ-აღმზრდელი) ფუნქცია. შექსპირის თანამედროვე მკვლევარები ამოიღ როდეს ამტკიცებენ დოკუმენტურად, რომ, მაგალითად, დღეში ინგლისელმა არა მარტო ჰამლეტის ცნობილი ამბავი გამოიყენა, არამედ მასზე თხრობის იმდროინდელი მანერაც კი (ისტორიის ცრურწმენითი გააზრება). დაბოლოს, ის ზნეობრივ-ფილოსოფიური საკითხები, რაც ტანკაედა შექსპირს, წარმოადგენდა „საუენენის საერთო პრობლემას“, რითაც დაინტერესებულ იყო აგრეთვე შექსპირის ეპოქის სხვა მწერლებიც. განა შეუძლებელია ყიროლაში ყარდანის ასეთი მსჯელობაში მოისმინო „ჰამლეტისეული მოტივები“: „უფრობესთა იყო არაზვი, ვიდრე ადამიანი. ერთიც და მეორეც მუდმივ სადროხეშია. ერთიც და მეორეც სისტემატურად ეწევიან რისკს, რომ მოკლულ იქნენ. მაგრამ

ადამიანი ცხოვრების უარეს პირობებშია, რამდენადაც უფრო ადვილია მისი შეპყრობა და ხანგრძლივად და შეკარად წამება... უმჯობესი იყო არ გვეცხოვრა სრულიად, ვიდრე დავბადებულყავით იმისათვის, რომ ასე გვეცხოვრა და ასე დავღებულყავით... და ვაჩა დღამი-წაზე არის ისეთი კუთხე, სადაც ადამიანს არ აძებლუბენ აკეთონ ბრძოლები და სადაც სუფევდეს უსაფრთხოება? („საყუთარ წიგნებზე“).

...დაბა, შექსპირი იზრდება და ვითარდება საუკუნეებში, ამასთან, ეს ზრდა და განვითარება არ იგრძნობა, რადგან ისინი განპირობებულნი არიან თაობათა ესთეტიკური და სპეციალური ცნობიერების „შეუმჩნეველი მემკობით“<sup>46</sup>.

ამასწინათ გ. კოზინცევი მიმართავს ასეთი კითხვით: როგორ შეიძლება ჩამოყვანილობით თქვენი ფილოსოფიის „მეფე ღირსი“, მთავარი თემა? აი, რა უნდასაუბროს რეჟისორმა: „თემა, როგორც იგი ჩვენ ჩვეულებრივ გვესმის, „მეფე ღირსი“ არცთუ ისე იოლია... ადამიანი და ისტორია — აი, ტრაგედიის თემა. შემდეგ კი შეიძლება დაესრულებიდა ჩამოყვანილობა სხვადასხვა თემაში: ადამიანი და ხელისუფლება, საზოგადოება და ადამიანი, სიბერე და სიკვდილი, ადამიანთა მოდგმისა და ცალკე ადამიანის ბედი, არა მარტო ადამიანთა წვეულის ბედი, არამედ ადამიანის აზრის ბედიც... მე შენინებს წამყვანი იდეის შემკრევის განსაზღვრა, ვერ ვაგებდავდი მის მოცემას. 1941 წელს, როცა თეატრში ვივარდნი „მეფე ღირსი“, მე ყველაფერი უფრო ცხადი შეგონა. ახლა კი ჩემთვის ნათელია, რომ მაშინდელი „სიკვადე“ ხანდახან მიიღწეოდა გაუბრალოების ანგარიშზე. ეს ბუნებრივია: 41 წლის ვითარებაში ტრაგედიაში შეიტანა ბერის სიახლე, მას შემდეგ კი უკვე მოთხებულ-საუკუნე გაეღო...“

აქ ჩვენს ოპონენტებს შეიძლება წამოუჭრას ასეთი კითხვა: თუ შექსპირის ფიგურა არ აბალოლებს ძირფესვიანად მხატვრული პროგრესის რეალურობის იდეას, თუ „სამღეობი“ ან „მეებტეი“, უკვე თავის „საწიფის“ მდგომარეობაში არ წარმომადგენენ ზეუბნებრივს, თანამედროვეებზე მადლამდგომ მხატვრულ მოვლენას და ამით არ აღმოგვიჩენია ხელოვნების ისტორიული განვითარების კონცეფციის ალოგიურობა, — მაშინ რით შეიძლება ახსნას ის ფაქტი, რომ შექსპირი და არა სხვა მისი თანამემამულე აღმოჩნდა „ყველა დროს“ შემოქმედი, „ყოველი დღის პოეტი“. რატომღა, რომ სწორედ შექსპირს „ვაუმჯობესებთ“ ყოველდღიურად?

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ ამასთან დაკავშირებით, — ესაა შექსპირის განსაკუთრებული პოეტური ნიჭი. მაგრამ, არის კიდევ სიმართლის სხვა მხარე და, შესაძლოა უფრო ნიშნულადაა: მისი მხატვრული აზროვნების

თავისებურება, მისი ნიჭის განსაკუთრებული (სპეციფიკური) ხასიათი.

დასაწყისისათვის მოვიყვანოთ გ. კოზინცევი-ვის ნახევრადსერიოზულ ანტირეჟისორულ სტრასს, რომ მას შთამომავალი კითხულობდნენ, უნდა ისწავლონ გადაკრული სიტყვების თქმა, რომლებიც გამოსადეგი იქნება მთელი წიგნების შესაქმნელად, წიგნის ამა თუ იმ თავის რომელიმე უმნიშვნელო ნაწილში ჩართვა აზრებისა, რომლებიც მთელ დისკუსიებს გამოიწვევენ<sup>47</sup>.

როგორც არ უნდა იყოს, — ამ სიტყვებში არის ჰუმანიტების მარცხალი: ძალიან ხშირად ხელოვნების რომელიმე ძველ ნაწარმოებში ჩვენ აღგვაფრთოვანებს არა რომელიმე კონკრეტული იდეა, რომელსაც იგი უნდა უმაღლოდეს თავის შემქმნას, არამედ ის თანამედროვე, რთული აზრები, რომელთაც ჩვენ ვანვითარებთ ავტორის მიერ „გადმოსროლილი“ „გადაკრები-საგან“ და „ქარაგმებისაგან“. ასეთი „ქარაგმები“ ახასიათებს სწორედ შექსპირის შემოქმედების მხატვრულ ქსოვილს.

ა. პოეტუნის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ ისე, შეიძლება ვთქვათ, რომ შექსპირის ნაწარმოებები ხასიათდებიან ისეთი „შინაგანი ფორმით“, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ჩველით შეგ „ყოველდღიური“ შინაარსი, დროის პროგრესული სელით განპირობებული. რა შეიძლება ამ „შინაგანი ფორმის“ ძირითად კომპონენტს? სახეთა მოქნილობა, ნახევარტონები, ძირითად სენტენციათა და დიდაქტივის არაპირდაპირი გადმოცემის ხასიათი. კონკრეტულ დიდაქტიკურ ჰუმანიტებთა უდიდესი ნაწილი თავისი მნიშვნელობით შეზღუდულია დროის გარკვეული ჩარჩოებით. „დიდაქტიკური ნაწარმოებები, — წერს ა. პოეტუნია, — მათთვის დამახასიათებელი თავდაპირველი ჩანაფიქრის სიღრმის მიუხედავად, მალე დაიწყებენისათვის გაწირულია სწორედ სინთეზის ძნელად შესაძრევი ნაკლოვანებების, ერთხელ ჩამოყალიბებული მასალის უსასრულო (ახალი) განმსაზღვრელობის ჩანასახის ნაკლოვანებების გამო“<sup>48</sup>.

ამ გაგებით შექსპირი არადიდაქტიკურია, როგორც არადიდაქტიკურია ფოლკლორის ყველა სახეები, რომელთა მარალიული სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია, სხელოდობა, მასალის უსასრულო განმსაზღვრელობის შინაგანი მზადყოფნით.

ეს არადიდაქტიკურობა, ე. ი. შექსპირის მასალათა უდიდესი „გადაწყვეტის უნარიანობა“ განპირობებს სწორედ მისი პოეტების თითქმის სრულიად საპირისპირო აღქმას, მიუხედავად იმისა, რომ აღქმის ყოველი ეტაპი მიდროდა დაკავშირებული განმსაზღვრეულ დროსთან, სპეციალურად იგი და ესთეტიკური შეზღუდულებების განვითარების კონკრეტულ დონესთან. ვასულს საუკუნის შეახანებში, როცა „დამთარდა მა-



ღალ სიტყვათა ეპოქა», ბელნისკი აღერთვება-ცნობილი იყო მოზალოვის თამაშით: ჰამლეტის ენობლი მოზალოვს იგი „კიხებულობდა“ ზერ-ჩულობით. უფრო გვიან ა. ჩხივი სწერდა ერთ-ერთ თავის რეცენზიაში: „იენოვ-კოზელსკი (ჰამლეტის როლის შემსრულებელი — ნ. გ.) სისინებს, როგორც ბრძოლი სოფლური ბატი“.

ასე მკვეთრი განსხვავება სხვადასხვა ესთეტიკურ მანერებს შორის დანიელი პრინცის სახის შექმნისას მდგომარეობს, პირველყოფლისა არა მსახიობთა ნიჭში, არამედ „მათ ჰამლეტთა კავშირში თანამედროვეობასთან. სტვენისებურ სისინსა და „ქვეა-ქვეხალს ხმაში“ უკვე აღარ ძალუძთ გამოხატონ ცხოვრებისეული მოვლენები.

შეგნებულო, „ღაპროგრაფებულო“, ან, შესაძლოა, სავსებით ბუნებრივი, ვაუცნობიერებელი „გაქცევა“ აკოატებული დიდაქტრობისაგან მდღაენდება აგრეთვე შექსპირისათვის არცთუ იშვიათად დამახასიათებელ წინააღმდეგობებში, ურთიერთგამორიცხებულობაში ზოგიერთ მის ხეობრივ-ფილოსოფიურ სენტენციებში.

შექსპირის ნაწარმოებებში დიდაქტიკურობის არარსებობა, უფრო ზუსტად — თავისებური არადიდაქტიკურობა არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ის ნაწარმოებები „მუდამ სახმა-რია“, მუდამ ცხოველმყოფელია.

შექსპირი თითქოსდა „იწვევს“ შთამომავლებს თავისი მეშვიდრეობიდან შეარჩიის სწორედ ის კონკრეტული „მოტივები“, რომლებიც აქმონივლებენ მათ სულიერ და ესთეტიკურ ინტერესებს. ის თითქოსდა სთავაზობს მათ გამუდმებით „რედაქცია“ გაუფოთო ზემს სახეებს.

აი, სწორედ ამის გამო სწარმოებდა შექსპირის პიესების გადაკეთება და „დაბეჭვა“. მაგრამ არც ერთი ის „ვარიანტი“ ჰამლეტის აღქმისა, რომელსაც „აიხადებდნენ“ ნამდვილად ჰემარიტ და კანონიერ ვარიანტად, დიდხანს ვერ უძლებდა დროით გამოცდას. ამის მიზეზი იყო სწორედ შექსპირის სახეების არაივეულებრივი მოქნილობა, მათი ორგანული არადიდაქტიკურობა. როცა XVII საუკუნის მიწურულში, განათლების ეპოქაში, ლიტერატურაში სწორედ დიდაქტიკური აზროვნების დამკვიდრების ეპოქაში, უნდოდათ ჰამლეტის სახე ძალით „დააწვინათ“ კონკრეტული, პრაქტიკულად სასარგებლო ჰემარიტებითა მღადადბლის პროგრესის სპერეკლეზე, ეს წამოწყება იმდენად გაუმართლებელი აღმოჩნდა, რომ შექსპირის პოეტური „ღირსება“ ვერ იხსნა დევიდ ვარიის უდიდესმა აქტიორულმა ნიჭმაც კი. თეოფილუს სიბერმა ვარიის ჰამლეტს გამო-ეხმარა შემდეგი სიტყვებით: „დაე მოვლინდეს ანდროლი შექსპირისა და თავისი რისხვა თავს დაატეროს პოეზიის დამღუპველს, რომე-ლიც სამარცხვინოდ გლჯეს, სტებს და აზრს

ართმევს მის პიესებს“. ძნელია, რასაკვირვე-ლია, „ჰამლეტის“ ან შექსპირის სხვა ნაწარ-მოებთა „კანონიერი ტექსტის“ დადგენა: სხვა-თა შორის, ეს გაერმოება „გარკვეული ოდენო-ბით ხელს უშლის შექსპირის შემოქმედების „წმინდა“, თავდაპირველი, „სასტარტო“ ლირე-ბულებს სწორად შეფასებას. აი, ამიტომ თვით საკითხის დაყენება — „შექსპირი თუ ტოლ-სტრი — რომელი დგას მათ შორის უფრო მაღლა?“ აღმოჩნდება ფაქტიურად უმართებუ-ლო, ისევე როგორც არ არის სწორი, მაგა-ლითად, წარსულის გამოჩენილ პოეტთან ან მწერალთან ჩვენი დროის დიდი შემოქმედის შედარება...

ერთი კი ნათელია: წარსულ საუკუნეთა მზა-ტერულ ნაწარმოებებს ჩვენი აღვიქვამთ მნიშ-ვნელოვანად „გაუმჯობესებელი რედაქციები“. მიუხედავად ამისა რა მას დღევანდელ, რთულ, ბევრად უფრო სრულყოფილ მოთხოვნებს თა-ნამედროვე ადამიანისა, ესთეტიკურად „გაეთთა-ნადროულეთ“ მას. ეს განპირობებულია თა-ნამედროვე ადამიანის მზატერული აღქმის დო-ნის მაღალი განვითარებით, მისი ესთეტიკური შეგნების პროგრესით. მაგრამ, თავისთავად, „მსმენელს“ ესთეტიკური აზროვნების წინ-სულით ხასიათი ხელოვნების ნაწარმოებთა პოეტური შინაარსის ახალ სიღრმეთა აღმოჩე-ნისადმი უნარის განუზრტელი განვითარება, მართალია, არამზარდობით, მაგრამ სავსაოდ და-მაყრებელი საბუთია საუკუნოვან მზატერული პროგრესისა. ამ აზრის ლოგიკურობა მტკი-უნდება უკვე იმ აქსიომით, რომ ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარება და გამდიდრება განასაზღვრება პირველყოფლისა თვით ხელო-ვნების წინსვლით, იმ ნათელი ჰემარიტებით, რომ „მხოლოდ მუსიკა აღძრავს ადამიანის მუ-სიკალურ გრძნობას“ (ე. მარქსი)...

<sup>1</sup> В. Шкловский — «Тетива. О несходстве сходного», М., Сов. пис., 1970, стр. 170.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 224.

<sup>3</sup> «Вопросы литературы», 1970, № 5, стр. 126.

<sup>4</sup> В. И. Ленин — Полн. собр. соч., т. 38, стр. 260.

<sup>5</sup> თავისთავად განვითარების მეტაფიზიკური კონცეპცია შეიცავს რამდენიმე ისტორიულ ფორმას. მაგალითად, „შემოქმედებითი ევო-ლუციის“ თეორიას წინ უსწრებდნენ პ. სპენსერის უძებლო ევოლუციონიზმი, ე. ბ. რობინსონი, რ. ბრედლისა და შ. ბონეს პრეტორიზმისტული მოძღვრება.

<sup>6</sup> В. И. Ленин — ПСС, т. 38, стр. 259.

<sup>7</sup> The Journal of Aesthetics and Art Criticism, New-York, 1961, № 4, p. 411.

<sup>8</sup> Th. Munro — «Evolution in the Arts and

Other Theories of Culture History», Cleveland, 1963, p. 509.

<sup>9</sup> В. Кроче — «Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика», М., 1920, стр. 156.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 155.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>12</sup> R. Collingwood — «Essays in the Philosophy of Art», Bloomington, 1964, p. 152.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>14</sup> И. Кант — Собр. соч., т. 5, М., «Мысль», 1966, стр. 324—325.

<sup>15</sup> ყველაზე უფრო მკაფიოდ, შეიძლება ითქვას, ეს თვალსაზრისი გამოთქმულია ცნობილი ნეოკანტიანელის იონას კონის ნაშრომში „ზოგადი ესთეტიკა“. გამოდის რა მხატვრული პროგრესის იდეის წინააღმდეგ, იგი გვთავაზობს ასეთ ლოგიკურ სქემას: როცა შეშინებული ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები. თუ ნაწარმოები ესთეტიკურად სრულყოფილია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დასრულდა თავისთავში, მიაღწია თავის თავდაპირველ მიზანს. როცა ეს ასეა, „მაშინ გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვაში მას ვერც „გააღწერებ“ და ვერც მასზე „დადი ვაჩრდილები“. ერთი შეხედვით ი. კონის მსჯელობას დამაჯერებლობაც გააჩნია, მაგრამ მისი კონცეფციის გარკვეული სისუსტე უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს მხატვრული შემოქმედების მიზნის მეტაფიზიკურ განმარტებაში. რასაკვირველია, ძნელია გენიალური ნაწარმოებისათვის „გასაწერებ“, რომელსაც დასახული აქვს რაღაც კონკრეტული მიზანი და კიდევ აღწევს მას. ამ შემთხვევაში იგი შეუდარებელია. მაგრამ საქმე ის არის, რომ მხატვრული შემოქმედების მიზანი არ არის რაღაც უცვლელი, გაქვავებული თავის შინაარსში. თეორიულ ისტორია ყოველთვის იცვლება, ანვითარებს ჩვენს წარმოდგენას საერთოდ მხატვრული შემოქმედების მიზანზე, და უწყვეტ ხელოვნების მიზნის გამუდმებით „განახლება“ გვაზიარებს ჩვენ მხატვრულ შემოქმედების, როგორც ასეთის, სრულყოფის იდეას...

<sup>16</sup> «М. Горький об искусстве», М.-Л., «Искусство», 1940, стр. 150—151.

<sup>17</sup> С. Эйзенштейн — Собр. соч., в 6 тт., М., «Искусство», т. 2, 1965, стр. 399.

<sup>18</sup> «К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве», т. 1, стр. 529.

<sup>19</sup> Ч. Чаплин — «Моя биография», М., «Искусство», стр. 321.

<sup>20</sup> В. Кроче — «Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика», стр. 154.

<sup>21</sup> Н. Прасаданов — «О поступательном характере развития искусства», М., «Советский художник», 1966, стр. 60.

<sup>22</sup> „მნათობი“, № 1.

<sup>22</sup> H. Read — «To Hell with Cultures», London, p. 176.

<sup>23</sup> Н. Эренбург — Собр. соч., в 6 тт., ИХЛ, 1965, стр. 315.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> R. Collingwood — «The idea of History», London, 1966, p. 322.

<sup>26</sup> იხ.: «История эстетики, Памятники мировой эстетической мысли», т. 4/2, «Искусство», 1968, стр. 49—50, 51.

<sup>27</sup> იხ. S. Pepper — «Principles of Art Appreciation and «The Basis of Criticism in the Arts».

<sup>28</sup> ნაწარმოების „კონკრეტულ-ცალკეული“ შინაარსის განსაზღვრის სიმძნელეს მტკნოლ შემთხვევაში ვეჩვენებით ხელოვნების ზოგიერთ თანარში (ლირიკა, პეინაჟური ფერწერა, ნატურმოტიკა), ან საბეჭდოშიც კი (მუსიკა, ბალეტი, არქიტექტურა)...

<sup>29</sup> იხ. «Наравне с веком», т. 2, «Молодая гвардия», 1969, стр. 409.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> В. И. Ленин — Соч., т. 38, стр. 131.

<sup>32</sup> ცნობილი საბჭოთა მთარგმნელი ა. დეიჩი სამართლიანად წერდა: „თითოეული მთარგმნელი მუდამ გავლენას ახდენს სათარგმნ ნაწარმოებზე, რადგან იგი თარგმანში აქსოვს ან ნაწარმოების აღქმას“ (იხ. კრებ. «Актуальные проблемы теории художественного перевода», т. 1, стр. 66).

<sup>33</sup> ინგლისელებს ექვთ ფრაზა, რომელიც ყველაზე უფრო კარგად გამოხატავს ამ მოვლენას — to read own thoughts into a poet's words. სიტყვასიტყვით იგი ასე ითარგმნება: „პოეტის სიტყვებში საკუთარი აზრის კითხვა“.

<sup>34</sup> იხ. «The Journal of Aesthetic and Art Criticism», New-York, 1965, 2, p. 257.

<sup>35</sup> იხ. «Cahiers internationaux de sociologie», Paris, vol. XXXVII, p. 146.

<sup>36</sup> „ხილული და გავიანილი ყოველთვის შეიცავს თავისთავში ჩვენს მიერ აღრე დანახულისა და გაგონილს ელემენტებს. ამის გამო, ყოველგვარი ახლის დანახვისას და გაგონებისას, ან უკანასკნელის პროდუქტებს შეუერთდება მსგავსი ელემენტები მემორირების საწყობიდან“ (ი. შ. სენგნოვი — „ჩრეული თხზულებანი“, ტ. 1, სტკ. ბ, 1952, გვ. 325).

<sup>37</sup> იხ. «Актуальные проблемы теории художественного перевода, т. 1, стр. 100.

<sup>38</sup> ამ შემთხვევაში, შექსპირთან შედარებით ტოლტოის ჩვენ განვიხილავთ, როგორც ჩვენს თანამედროვეს.

<sup>39</sup> Н. Г. Чернышевский — «Избранные

философские сочинения», М., Госполитиздат, стр. 110—111.

<sup>40</sup> Гегель — Соч., т. 12, стр. 426.

<sup>41</sup> М. и Д. Урновы — «Шекспир», М., «Наука», 1968, стр. 15.

<sup>42</sup> შეენიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენს, შედარებით მოუწიფებელ ეტაპზე ექსპერიმენტული ლიტერატურათმცოდნეობის ექსპერიმენტული ესთეტიკის განვითარებისა, ჭერ კიდევ არაფრით შეგვიძლია ჩვენი თვალის „შეიარაღება“.

<sup>43</sup> Г. Козинцев — «Наш современник: Вильям Шекспир», М.-Л., «Искусство», 1967, стр. 137.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> შექსპირის „გაუმჯობესების“ ნათელი დოკუმენტურ-ფელსაჩინო მაგალიტები არც ისე ბევრია. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, კსენ. პოლევიოს მიერ თარგმნილი „ჰამლეტის“ რამდენიმე პასაჟი. მთარგმნელმა დანიელ

პრინცს აქმევიცა სიტყვა, რომელიც სწორედ შექსპირს არ ჰქონია: „Страшно мне человека страшно мне!“

ამ ფრაზას აღტაცებაში მოჰყავდა ბელისკი, რომელსაც სურდა რა ღირსეულად შეეფასებინა მისი ღრმა ფილოსოფიურ-პოეტური აზრი, უწოდა მას ჰემარიტად შექსპირისეული... ასეთი მაგალიტები შეიძლება ბევრი ვიპოვოთ ზ. პასტერნაკის თუ ი. შანბლის შესანიშნავ თარგმანებში „ჰამლეტისა“. გულახდილად რომ ვთქვათ, პასტერნაკისა, შანბლისა და კ. პოლევიოს თარგმანთა ზერეულ შედარებას კი გვარწმუნებს ჩვენი ესთეტიკური აღქმის უნარის ზეადმეველ განვითარებაში.

<sup>47</sup> Г. Лихтенберг — «Афоризмы», М., «Наука», 1965, стр. 183.

<sup>48</sup> იხ. «История эстетики. Памятники мировой эстетической мысли», т. 4/2, стр. 50.



## ლენინის სახელობისათვის

სახელწოდება „ლენინის“ ეტიმოლოგიის საკითხს არაერთხელ მიუძღვევია მკვლევართა ყურადღება.

მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა პირველმა სცადა სახელწოდება „ლენინის“ ახსნა. მან ეს სახელწოდება ეტიმოლოგიურად ხვამლა დაუკავშირა. ეს შეხედულება შემდგომში მეცნიერებმა არ გაიზიარეს და სხვა მოსაზრებები წამოაყენეს.

ნ. მარის შეხედულებით ლენინი უკავშირდება სობულის აღრიხდელ სახელწოდებას ცხუმს, რომელიც ნაირსახეობაა სეუ, სხე ეთნიკური ტერმინია. ამ უკანასკნელთა კი ავტორი სატომო სახელწოდებად მიიჩნევს. ნ. მარის აზრით „ლენინი წინათ, უმკველია, აღნიშნავდა განსაკუთრებულ ტომის ტერიტორიას“. მას მიიჩნდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ტომობრივი გავრთიანება, რომელიც თევზის (მეგრულად — ჩხომი) ტოტემის შატარებელი უნდა ყოფილიყო.

პ. ინგოროყვაე იზიარებს ნ. მარის შეხედულებას ამ საკითხზე და დასძენს რომ „ამჟამად არსებული ფორმა ჭალაჭის სახელისა სობუმში, სხუმში მომდინარეობს ამ პირველადი ფორმადან: ცხომი, ცხუმი. ... სახელწოდებასთან ცხომი, ცხუმი, ჩანს, კავშირში იმყოფება აგრეთვე სახელწოდება მხარისა „ჩხუმი“.

ა. ყიფშიძე „ლენინს“ მეგრული სიტყვა ჩხომიდან (თევზი) წარმოებულად მიიჩნევს, ხოლო მ. ჩიქოვანი მას სოფ. ჩქუმს (მდებარეობს ლენინში — ქ. მ.) უკავშირებს.

ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩიტაია თვლიან, რომ „ლენინში“ წარმოშობილი უნდა იყოს სეანური სიტყვისაგან. მ. ალაიძესაც შესაძლებლად მიიჩნია, რომ ეთნიკური სახელი ლენინში, წარმომდგარი იყოს სეანური სიტყვისა-

გან ლეცუმ, ლეცვიმ, რაც რეცილიზმს ნიშნავს.

როგორც ვხედავთ „ლენინის“ ეტიმოლოგიის საკითხში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომელიც ამ ტერმინს მეგრულ-სეანური წარმოშობის სახელწოდებად მიიჩნევს. ლენინური დიალექტის განვითარება მუდამ მიმდინარეობდა მეგრულ და სეანურ ენათა გარემოცვაში, მათთან მჭიდრო კავშირში. ამით იხსნება ის ვარკმობა, რომ ლენინური ენოლოში შრავალი სეანური და მეგრული სიტყვა და სახელწოდებაა დამკვიდრებული.

ლენინში ფართოდაა გავრცელებული სოფლებისა და სახანო ადგილების სეანური წარმოშობის სახელწოდებანი. მგვალთად: ლეშედა (სოფლის სახელწოდებაა) იგივეა რაც ლეშედა სეანურში და ნიშნავს ჩრდილიან ადგილს. სეანური წარმოშობისაა აგრეთვე ლუსინდი, ლეშეში (სოფლებია), ლეშეში (სახანო ადგილი) და სხვა.

ლენინური ტოპონიმიკური სახელწოდებანი იყურებენ, ოფიტარა, ტეში, ჩქუმი და შრავალი სხვა მეგრული წარმოშობისაა. სახელწოდება სოფლისა ჩქუმი მეგრულ ჩხომს (თევზს) შეესატყვისება. მასში ადგილი აქვს ფონეტიკურ ცვლილებებს: 1. ყრ ბგერა ბს უნაცვლება ქ. ანალოგიური მოვლენა დასტურდება ლენინურ დიალექტურ ფორმებშიც, შავ. წისხელი (აქ პირიქითაა: ქს შეეწაცლა ხ). 2. ო ხმოვანს უნაცვლება უ ხმოვანი. ანეთივე დიალექტური ფორმებია ლენინური შერკვი (შორკვი), ბულქვი (ბორქვი) და სხვა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, უ ხმოვანს უნაცვლება ო ხმოვანი. ლენინური დიალექტიდან ცნობილია ახალხი (ახალხი), კროხი (ყრუხი). შ-

შსსადამე, ჩქუმის პირვანდელი ფორმა უნდა იყოს ჩხომი (თუხუი).

რაც შეეხება ლე პრეფიქსს (ლე-ჩხუმი), იგი სვანურში და ქართულ სა პრეფიქსს შეესაბამება. ამრიგად, მეგრული სიტყვის ჩხომი-სა და სვანური ლე პრეფიქსის შეერთებით ვღებულობთ ლეჩხუმს, რაც ქართულად სათბურის ნიშნავს. ლეჩხუმში მართლაც დიდი რაოდენობით მოიპოვება სათბურე ადგილები, ჭონოული და ლაქანური, რომელთა დინება ლეჩხუმში იწყება და მთავრდება, მდიდარია ვალშაშით.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ლეჩხუმის პირვანდელ სახელწოდებად მიჩნეულია „თაყუერის“. ამ ტერმინს პირველად ქართულ საისტორიო მწერლობაში იხსენიებს ლეონტი მროველი (XI საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსი) მე-4 საუკუნის ამბების აღწერის დროს. იგი წერს: „ოსებმა ვარდმოვლეს ვზა თაყუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ვერისათა“ (ქართ. ცხ., I, 1955, გვ. 57).

შემდეგ თაყუერს იხსენიებს ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი ჯუანშერი, რომელიც აგრეთვე XI საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი V საუკუნის სხვა ქართულ საერისთავოთა შორის ასახელებს თაყუერს, როგორც ერთ-ერთი საერისთავოს ნაწილს. „...და ბაქრ ერისთავი მარგვისა და თაყუერისა“ (იქვე, გვ. 185). ჯუანშერი სხვა ადგილასაც იხსენიებს აღნიშნულ ტერმინს. ევროპელ იქ, სადაც ისტორიკოსი მოგვითხრობს მოხუცებული შირის ანდერძის შესახებ, რომელიც დაუტოვა თავის ძმას არჩილს. იგი წერს: „ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემა შენდა, და გქონდეს საუხუცესად: ეგრისი, სუანეთი, თაყუერის, არგუეთი და გურია“ (იქვე, გვ. 241).

თამარის პირველი ისტორიკოსი თავის თხულებლაში რამდენჯერმე ასახელებს „თაყუერს“. იგი თამარის ვამფრების ცერკშიწიალზე აღმწერს წარჩინებულ პირთა შორის ასახელებს კახაბერს, რომლის ტიტულია „ერისთავი რაჭისა და თაყუერისა“ (იქვე, II, გვ. 27). იგივე ისტორიკოსი ჩამოთვლის რა თამარის დროინდელ საერისთავოსა და მათი ერისთავების გეაგრაფულ, მათ შორის ასახელებს რაჭისა და თაყუერის საერისთავოს, რომლის ერისთავად მჭადრა ვინმე კახაბერ კახაბერის ძე (იქვე, გვ. 33), თხულებს სხვა ადგილას იგივე ისტორიკოსი თაყუერს იხსენიებს სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად. „შეკაყრა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგრიო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაყუერის და არგუეთი“ (იქვე, გვ. 49).

თაყუერი მოხსენიებული იქვს აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც, როგორც ჩანს, ევრდნობა ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილ ადგილს. აღწერს რა ლეჩხუმის მხარეს

ვახუშტი, წერს: „...ხოლო გორდიდამ ვიღრე კაცასამდე არს ხეობა ლეჩხუმისკენ ჭომელსა უწოდებენ თაყუერად. არმედ მოყოფი სახელი ესე ვაჭრეთა მთათაგან, კვერსათი მღებარისა. ... ხოლო ლეჩხუმი უწოდა ხომლის კლდის გამო — ესე არს ლეჩხომი“ (გვ. 148). ვახუშტი „თაყუერს“ მიიჩნევს ლეჩხუმადეულ სახელწოდებად.

აქად. იე. ჭავჭავიძე იქ, სადაც ეხება თაყუერის მღებარეობის საკითხს, სწერს: „თუ ვაჭრებთან სხვა სანახებთა მღებარეობას, ერთადერთი თავისუფალი, ჭკარ ვანუსაზღვრული ქვეყანა ლეჩხუმი იყო და უნებლიედ აზრი იბადება, რომ შესაძლებელია თაყუერი ლეჩხუმის ძველი სახელი ყოფილიყოს“. ამის დასამტკიცებლად აქად. იე. ჭავჭავიძე მოჰყავს ვახუშტის ზემოთ მოტანილი დებულება.

როგორც ჩანს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვაბატონებულ ამ აზრს, გვერდი ვერ აუარა საქართველოს სსრ ატლასის შემდგენელმა კომისიამ და IX, X და XIII საუკუნეების ისტორიულ რუკაზე ლეჩხუმის ტერიტორია აღნიშნეს თაყუერის სახელწოდებით, ხოლო მომდევნო საუკუნეების ისტორიულ რუკებზე ეს ტერიტორია ლეჩხუმის სახელწოდებითაა დატანილი.

გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომების XV ტომში დაიბეჭდა კ. ანთაძის „რაქა-ლეჩხუმი ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი“. ამ ნარკვევის ავტორსაც, შრავასად სხევისსა, თაყუერი მიაჩნია პირვანდელ ტერმინად.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ზელმისაწვდომი გახდა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ჩვენთვის საინტერესო საკითხზედაც გვაქვს ახალი მასალა, რომელიც იმის საფუძველს ქმნის, რომ ახლებურად გადაწყვიტოს სახელწოდებების „ლეჩხუმისა“ თუ „თაყუერის“ მონაცვლობის საკითხი.

ამ საკითხის გადაწყვეტისათვის პირველ რიგში უნდა გაითრეკოს პროკოფი კესარიელთან მოხსენიებული „სკვიპისა“ და „ლეჩხუმის“ ურთიერთობა.

სკვიპია (სკვიპინია, სკვიპინია) მოხსენიებულია პროკოფი კესარიელთან ჭანებისა და ლაზეთის აღწერის დროს. პროკოფი კესარიელი განსაზღვრავს ლაზეთის მღებარეობას, აღწერს მის საზღვრებს და შემდეგ განაგრძობს: „ამით შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიპია და სვანია. ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვითკომთაგანი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულს დღე მიადგება, მათ ჩვეულბრძე მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის შიგარ“ (კვირგია, II, გვ. 126).

ტერმინი „სკვიპია“ მოხსენიებულია აგრეთვე პროკოფის თანამედროვის იუსტინიანეს „სო-

ველებში“. აქ გვითხრობთ: „ამ ქვეყნის შემდეგ ჩვეულისხმება ქანეთი — ქ. შ.) დამკვიდრებული არიან სხვა ტომებიც; სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწევნით, ჩვენს მეგობარი ტომები“ (იქვე, გვ. 37).

პროკოფი კესარიელი მეორედ იხსენიებს „სკვიმას“ ციხე-სიმაგრე უქიმეროონთან მგრმე-როცს მიერ გამართული ბრძოლების აღწერის დროს. „აი აქ დაბანაკდა მგრმეროე მთელი თავისი ჯარით. კოლხიდის საეკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებას ექმნოდა, რომ უქიმეროონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ, ამ სენიასა და ეგრეთწოდებულ სკვიმინაში ველოთ“.

ამრიგად, ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს ქართული და ბერძნული წყაროები, რომლებიც მოიხსენიებენ, როგორც „თაყურს“, ასევე „სკვიმას“.

ესლა ვასარკვევია საკითხი: უდრის თუ არა ტერმინი „სკვიმია“ ტერმინ „ლენხუმს“ და ამ ტერმინებში იგულისხმება თუ არა თანამედროვე ლენხუმის ტერიტორია.

საქართველოს ისტორიის მკვლევარებმა, რომლებიც პირდაპირ თუ სხვა რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ეხებიან სკვიმია-ლენხუმის იგივეობის საკითხს, აღიარებს რომ პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენებული „სკვიმია“ უდრის „ლენხუმს“ და სკვიმის სახელწოდებით აღნიშნულ ტერიტორია იგივეა, რასაც ვიცნობთ ჩვენ ლენხუმის სახელწოდებით. გამორიცხული არ არის გეოგრაფიული საზღვრების შიორედი ვადადგილება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სკვიმია-ლენხუმის იგივეობის საკითხს პირველად შეეხო აკად. ს. ყაუხჩიშვილი.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „აღწერალობის მიხედვით (იგულისხმება პროკოფი კესარიელის ცნობა — ქ. შ.) ეს პროვინცია უნდა უდრიოდეს ლენხუმს, რომლის ძირეული ნაწილი ჩხოვ/ცხუმ-ის მთაწობების ვადმოცემას წარმოადგენს ბერძნული „სკვიმ“. თუ სკვიმია უდრის ლენხუმს-ს, მაშინ იქ „ნ“ სრულიად ზედმეტია და, მაშასადამე, კანონიერად უნდა ჩაითვალოს ზელნაწერებში ამ ადგილას მოცემული ფორმა, ხოლო სხვა ადგილებში მოცემული „სკვიმია“ შედეგი უნდა იყოს ამ ფორმის (ლენხუმს-სკვიმას) ვაზრებისა ბერძნულ ნიადაგზე, სადაც აჩსებობდა სახელა „სკვიმოს“ (როგორც საზოგადო, ისე საკუთარი). რომლის ნ არიან ფორმას ვაუჩენია „ნ“ ლენხუმს-სკვიმია-ში“.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება სკვიმია-ლენხუმის იგივეობის შესახებ ვაიზარა აკად. ს. ჯანაშიამ. ჩვენ დამაჯერებლად მივაჩნია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ „სკვიმია“ ფორმა ლენხუმის ბერძნული ვადმოცემა, წერდა იგი. ცოტა უფრო გვიან აკად.

ს. ჯანაშია ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს და ცოტათოდნი შესწორებაც შეიტანა არსებულ მოსაზრებაში, იგი წერს: „პროფ. ს. ყაუხჩიშვილიც საამართლიანად შენიშნა, რომ ქართულ პროვინციანა შორის მოხსენიებული ბიზანტიულ მწერალთა მიერ „სკვიმინა“ იგივე ლენხუმია. ჩვენ ვეძიებოთ, რომ „ნ“ ამ ფორმაში ზედმეტი არ არის; პირიქით, მის გარეშე ჩვენ ვერც ვხსნით, თუ რატომ არ არის წარმოდგენილი ბერძნულ ვადმოცემაში „ლენხუმს“-ის ლენ-პრეფიქსი; ჩანს, რომ შეგრულსკანური ფორმა „ლენხუმს“-ის გვერდით არსებობდა მისი შესატყვისი ქართული ფორმა „ჩხუმს-ნი“, სადაც „ნ“ მრავლობითი რიცხვის სუფიქსია. ეს ქართული ფორმა აქვს დადასტურებულა (გამბერძნულბული სახით: — ია) ბიზანტიურ მწერლობასაც. არა ქართული ავტორთაგან, როგორც ამას აკად. ს. ჯანაშია შენიშნავს, აღნიშნულ საკითხს შეეხო. შინორსკი.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა 1960 წელს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და დაწერა დღიურები „ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის“. დღიურებში ავტორი შენიშნავს, რომ „ქვილიშორიდან (წყალტუბის რაიონის უკიდურესი სოფელია ჩრდილოეთით) გზა მართლაც ვადავა გონამაღლით ლენხუმისაკენ. ... მაგრამ ეს არის ეიწრო საცალფეხო შთის გზა, „ცხენის გზა“, ასე რომ საძვეკოა, რომ ეს მნიშვნელოვანი შემართო ტრაქტი ყოფილ იყოს ლაზიკ-სკვიმინის შორის“. აქ მოტიანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი იზიარებდა შეხედულებას სკვიმია-ლენხუმის იგივეობის შესახებ.

პროფ. ნ. ლომოური თავის წიგნში „ეგვიპტის სამეფოს ისტორია“ მრავალ ადგილას იხსენიებს სკვიმია-სკვიმინას, როგორც ლენხუმის ტერიტორიის აღნიშვნულ ტერმინს.

მოტიანილი მეცნიერული მასალა, ვფიქრობ, საეხებთი საეგარისია იმისათვის, რომ გადაწყვეტილად ჩაითვალოს საკითხი სკვიმია-ლენხუმის იგივეობის შესახებ. ნათელია აგრეთვე, რომ როგორც პირველ, ასევე მეორე ტერმინში იგულისხმება ლენხუმის დღევანდელი ტერიტორია.

ესლა ვასარკვევია საკითხი „ლენხუმისა“ და „თაყურის“ პირიანდლობის შესახებ. ეს საკითხი ვასარკვევია იმიტომაც, რომ ლომონტოშოვილი და ჯუანშვილი „თაყურს“ იხსენიებენ IV-V საუკუნეების ამბებთან დაკავშირებით, მაშინ როცა პროკოფი კესარიელი VI საუკუნეში მოიხსენიებს სკვიმია-ლენხუმს და არა თაყურს.

ლომონტოშოვილი მრაველი წერს: „მაშინ ვადგვს ერთსავანი დასავლეთისანი ზეთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრობისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა, ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამანასისი. მაშინ სო-

მეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად, და შიართო ძალი საბერძნეთითაცა. და უბრახნე ოვსთაცა, ხოლო ოცნსი სიხარულთა წარმოვიდეს, რამეთუ მესისსლე იყო ამასაჲ მათი, და ვარდმოელეს გზა თაყურისა და მოვიდეს ეჩისთათთა თანა ეგრისთა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 57).

პროკოფი კესარიელი კი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სკეიშია-ლენხუმს მოიხსენიებს იორჯი — ჰენეთისა და ლაზეთის აღწერასთან და უქიმერიონთან მერმეროსს მიერ გამართული ბრძოლების გადმოცემასთან დაკავშირებით.

ამ ორი ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ერთი შეხედვით თითქმის „თაყუერი“ უფრო ადრინდელი სახელწოდება უნდა იყოს „ლენხუმთან“ შედარებით. მაგრამ, როგორც ჰეგმოთ დავინახეთ, ეს ასე არ არის.

ამ საკითხის გარკვევისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ როდის იწერებოდა ის თხზულებები, რომლებშიც მოხსენიებულია ჩვენთვის საინტერესო ტერმინები.

პროკოფი კესარიელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VI საუკუნეში, იგი თვითმხალველი იყო იმ ამბებისა, რაც შეეკვეს საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოში ზღვებოდა. პროკოფის თავის ფეხით აქვს მოკლული მთელი ლაზიკა. ამიტომ მის შრომებში საქართველოსათვის პირველადი წყაროების მნიშვნელობა აქვს.

აქად. ს. ყუბხიშვილი პროკოფი კესარიელის ცნობების ავტორიტაობის შესახებ წერს: „პროკოფი კესარიელის ცნობები შეიცავენ ძვირფას მასალებს საქართველოს ისტორიისათვის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პროკოფი კესარიელის ცნობები რომ არ ვგვინოდა, ძალიან გაჭირდებოდა საქართველოს VI საუკუნის ისტორიის დაწერა“. იმაღება კითხვა, რატომ არ მოიხსენია თავის თხზულებებში პროკოფი კესარიელმა ნაეღად „სკეიშიისა“ „თაყუერი“ თუ კი ეს უკანასკნელი ნამდვილად იმხარებოდა IV-V საუკუნეებში როგორც „შერმინდელი“ ლენხუმის ტერიტორიის აღმნიშვნელი ტერმინი? პროკოფი კესარიელი რამდენჯერაც ჩამოთვლის ლაზიკის ტომებს, იმდენჯერაც ამ მხარეს იხსენიებს სკეიშიის სახელწოდებით. არა მარტო პროკოფი, არამედ მისი თანამედროვე იუსტინიანე თავის „ნოვლებში“ ამ მხარეს ასახელებს სკეიშიის სახელწოდებით.

ჩვენ მივხანია, რომ პროკოფი კესარიელისა და იუსტინიანეს დროს ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის აღმნიშვნელი სახელწოდება იყო „ლენხუმი“, „სკეიშია“ ლენხუმის ბერძნული თარგმა, როგორც ეს ენახეთ ზემოთ.

ლენტი პროველა, როცა თავის თხზულებებს წერდა, ეყრდნობოდა სპარსულ, ბერძნულ

და ქართულ წყაროებს. ქართული წყაროებიდან მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „მოქცევის ქართლისაი“. ამ თხზულებებში კი არასდროს არ არის მოხსენიებული „სკეიშია“ ტერმინი არ იხსენიება აგრეთვე არც აგოგრაფიულ თხზულებებში, რომელთაც პროველისათვის წყაროების მნიშვნელობა აქონდა.

ივ. ჯავახიშვილს და ე. კეკელიძეს მიიჩნიათ, რომ ლენტი პროველა სკოლის ბერძნული ენა, მიუხედავად ამისა მას ვერ გამოუყენებია ყველა ბერძნული წყარო, რომელიც საქართველოს ისტორიის შევებებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას არასდროს მოხსენიებული არა აქვს „სკეიშია“. მისთვის რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო პროკოფი კესარიელის თხზულება, მაშინ იგი IV საუკუნის ამბების გადმოცემისას მოიხსენიებდა „სკეიშიას“.

რაც შეეხება ლენტი პროველის მიერ IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით „თაყურის“ მოხსენებას, ის უნდა აიხსნას შემდეგნაირად.

ლენტი პროველი XI საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსია. მის დროს ლენხუმის ტერიტორიას მართლაც ეწოდებოდა თაყური, ხოლო როგორც ზემოთ დავინახეთ, მისთვის ცნობილი არ იყო ქართული ტერმინი ლენხუმი და არც ამ ტერმინის ბერძნული თარგმა „სკეიშია“. ამიტომ ლენხუმის (სკეიშიის) ტერიტორია თავის თხზულებაში წარმოადგინა XI საუკუნეში არსებული სახელწოდება „თაყურით“ და XI საუკუნის ამ ტერმინით აღწერა IV საუკუნის ამბები. ეს გასაკვირო არ არის, რადგან ლენტი პროველს არა თუ სკეიშია-ლენხუმის შესახებ, არამედ მას ხელთ არ ჰქონია ცნობები აგრეთვე აფხაზეთისა და სვანეთის შესახებაც. აქად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „როგორც ჩანს, შეგრელთა და ბერთა ტომების შესახებ საჭირო ცნობები არ ჰქონია (იგულისხმება ლენტი პროველი — ქ. 2). ამისთანავე არაფერია ნათქვამი აფხაზეთზე და სვანებზეც“.

ლენტი პროველისა და ჯუანშერის მიერ სახელწოდება „თაყურის“ XI საუკუნიდან IV-V საუკუნეებში გადატანამ შეუძლოდებოდა შეიყვანა მკვლევართა ის ნაწილი, რომლებმაც უკარტიკოდ მიიღეს აღნიშნული ცნობა და „თაყური“ მიიჩნიეს ლენხუმის მხარის პირვინდელ სახელწოდებად, ხოლო „ლენხუმი“ — გვიანი შუა საუკუნეების ტერმინად.

ამ მსჯელობის შედეგად, რაც დამყარებულია პირველწყაროებზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ „სკეიშია-ლენხუმი“ პირვინდელი სახელწოდება იმ ტერიტორიისა, რომელიც XI საუკუნიდან მართლაც „თაყურად“ იწოდებოდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მხარის სახელწოდებას „თაყურის“ ისევე ცვლის წინაით არსებული ამ კუთხის სახელწოდება „ლენხუმი“.

## გიორგი მთაწმიდელის ანღარკის უხსოვი ვარიანტი

XI საუკუნის უდიდეს მოღვაწეს, ქართული ენის ღრმა მკოდნეს, დიდ ტექსტოლოგსა და რედაქტორს გიორგი მთაწმიდელს განუზომელი ღვაწლი მიუძღვის სალიტერატურო ქართული-სათავის, ქართული ოთხთავის კანონიზებული ტექსტის დამუშავების საქმეში.

რ. ბლეიკის აზრით, აღნიშნისა და ოპიზა-ტუ-თის ოთხთავები შესამე საუკუნის კესარიულ ტექსტს შეიცავენ და უფრო ადრინდელ ხანას განეუთვნებიან, ვიდრე სომხური ტექსტები. ამიტომ იყო, რომ სამხა უცხოელმა მკვლევარმა — ვ. ლეიჟმა, რ. ბლეიჟმა და ს. ნიუმ კესარიულ ოთხთავის აღდგენის დროს მარკონის სახარების, I, VI და XI თავებისათვის ქართული ვერსიები გამოიყენეს.

ქართული ოთხთავის მსოფლიო მნიშვნელობის გამო თავიდანვე დიდია ის ღირებულებები, რომელსაც იჩენენ ქართული, რუსი და უცხო მკვლევარები მისდაში. ამ საკითხის ირგვლივ ბევრი ნაშრომა გამოქვეყნებული სპეციალურ ლიტერატურაში, ბევრჯერაც არის დაბეჭდილი ოთხთავის სრული ტექსტი თუ ცალკეული თავები — დაწყებული ვახტანგ VI-დან დღევინდელ სინოდის გამოცემამდე. მაგრამ მათ ნაკლებმეცნიერული მნიშვნელობა აქვთ. დღეს ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის უკონლობა მწვავედ იგრძნობა.

ამიტომ სრულიად ვასაგებია, თუ რაოდენ დასაფასებელია სახელოვანი მეცნიერისა და დიდი ტექსტოლოგის პროფ. ა. შანიძის ზრუნვა ქართული ფილოლოგიის მიმართ, კერძოდ, ქართული ოთხთავის მეცნიერული შესწავლის საქმეში.<sup>1</sup>

გიორგი მთაწმიდელის მიერ ჩატარებულმა დიდმა შრომამ გარკვეული მეცნიერება შექმნა, მის მიერ დამუშავებულმა, სხვადასხვა წყაროებთან შეკერების საფუძველზე მიღწეულმა ქართული ოთხთავის სრულმა ტექსტმა იმთავითვე დიდი გავრცელება პოვა. ამის დამადასტურებელია, რომ დღეს ჩვენამდე მოღწეული გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის ძველი საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერის რამდენიმე ვარიანტი გვაქვს. ამ ვარიანტებს, როგორც ცნობილია, იყენებდნენ და იყენებენ მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის და სწორედ, მათი მეშვეობით ხერხდება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა. ეს ხელნაწერები X, XI, XII სს. განეუთვნებიან და სახელწოდებანი მიღებული აქვთ იმ გეოგრაფიული ადგილებისა, სადაც მათი გადაწერა წარმოებდა, ან სადაც დაცული იყო თითოეული მათგანი, მაგალითად, ვ. წ. გელათური ანუ გელათის, ვანის, ლეჩუმის, ლაფსჯალდის, ბრეთის, ახალციხის, მოქვის, ენშიაძინის და უბისის ოთხთავები. ამ უკანასკნელად კი ამ დასახელებულ 9 ნუსხას მიემატა აქამდე შეუსწავლელი XI საუკუნის ხელნაწერი, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია დაცული.<sup>2</sup>

დასახელებული ოთხთავის სრული ტექსტი თხელსა და ოდნავ გამჭვირვალე ტაყვის ფურ-

<sup>1</sup> ა. შანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 1922-23 წწ; გვ. 398-424; „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“, თბილისი, 1945 წ., მეცნ. აკადემია.

<sup>2</sup> სირა ჭიჭინაძე, ვახ. „ქომუნისტი“, 11. VI, 1970 წ., „900 წლის ხელნაწერი“.



კლებზეა ნაწერი და ჩასმულია ტყავადარკულ ტვიფრულ ხის ყდაში. იგი ნაწერია კლასიკური ნუსხური, ვადწერის ადგილი და ვადამწერი არ იხსენიება; მრავალი წლის მანძილზე ის ინახებოდა ძველი ათონის მონასტრის წიგნისაცავში, მის უფაზე ათონის ბიბლიოთეკის პირველი ნომერია მიკრული, ზომით მცირეა (6X8), ე. წ. უბის სახარების სახით გაერთელებული, ტექსტი დაშვებულა ფერადი კაპარებით, ახლავს ოთხი ფერადი მინიატურა, რომლებიც XVI საუკუნის ქალთაღვების გადმოხატული უფრო აღრინდელი ძეგლებიდან, დაახლოებით IX, X საუკუნეთა ხელნაწერიდან. ამიტომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული მხატვრობის ისტორიისათვის.<sup>1</sup>

შეცნიერებაში ცნობილია გიორგი მთაწმიდელის ანდერძი, რომელიც დართული აქვს მისი რედაქციის ოთხთავები ტექსტებს. ეს ანდერძები რამდენჯერმე აღიბეჭდა სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვა დროს: მარია ბროსემ იგი გამოსცა — 1851 წელს (გელათის სახარებიდან), დ. ზაქარაძემ — 1864 წელს (ლაფსკალის სახარებიდან), ბ. საბინინმა — 1882 წელს (გელათის სახარებიდან), გ. წერეთელმა — 1891 წელს (გელათის სახარებიდან), თ. ურდანიამ — 1897 წელს (ახალციხური და მოქვის სახარებებიდან), მ. ჯანაშიელმა — 1899 წელს გადმობეჭდა შემოკლებით მ. საბინინსგან, ე. თაყაიშვილმა — 1907 წელს (იანის სახარებიდან), ნ. მარმა — 1912 წელს (ენშიაძინის სახარებიდან).

ამჟერად ზევნ ვაქცევებთ ზემოთ დასახელებული ათონური ოთხთავიდან გიორგი მთაწმიდელის ანდერძის ტექსტის უცნობ ვარიანტს, ქარაგმების დაკვირვა და ქარაგმების გახსნილი:<sup>2</sup> „ესე საცნაურ იყენ ყთა რ ესე წა ოთხთავ ახლად გვთარგმნია ფდითა იძულებითა ძმთა ევლთმე სლიურთათა: და ბერძელთა სტრებათადა შეგვწამებია ფდითა გამოწულილჳთა: და ვინცა ვინ დასწერიდეთ. ვითა აქა ჰმოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგნ ჯერ ვინდეს დაწერაჲ: ლისათს სიტყთა ნუ სცლებთ ვა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ: და თუ არა რამე გაჴუნდეს ჩინი ყნი სტრბანი. პლითგნ ვწმდ თარგმნილნი არიან და კთლად ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა: მუნთ დაწერეთ: და ლისათს ერთმანერთსა ნუ გაჴრეთ: და გლხაიკსა ვისთს რნ ესე დიდითა ლეაწლითა ეთარგმნი: ლცვა ყეთ“.

„ესე საცნაურ იყენ ყოველთა, რამეთუ ესე წმინდა ოთხთავ ახლად გვითარგნია ფრადითა იძულებითა ძმთა ევლთმე სლიურთათა—

და ბერძელთა სახარებათადა შეგვწამებია ფრადითა გამოწულილჳთა. და ვინცა ვინ დასწერიდეთ. ვითა აქა ჰმოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ვინცა ვინ ვინდეს დაწერაჲ, ლთისათს სიტყთა ნუ სცლებთ, ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რამე გაჴუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა. მუნთ დაწერეთ. და ლთისათა ერთმანერთსა ნუ გაჴრეთ და გლხაიკსა გეორგისათვის, რომელმან ესე დიდითა ლეაწლითა ეთარგმნი. ლცვა ყეთ“.

პირველყოფლისა უნდა აღინიშნოს, რომ ათონურ ხელნაწერში ვადამწერის კვალი არ მოიპოვება. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ანდერძის ტექსტის ბოლოს მცირე მინაწერის ამოხაზვკ ნაკლებებს. ტექსტის დასასრულს მოთა. ვებეჭდია წინამდებარე ანდერძი, დასმულია წერტილი, ჩვეულებრივად, გიორგი მთაწმიდელის მიერ მკითხველისადმი ლოცვის გამოსვთხოვარ სიტყვასთან. შემდეგ, დატოვებულია საკმაო ოდენობის ცარიელი არე, სადაც ვადამწერს თავისუფლად შეეძლო დაეწერა რამე — ვადამწერის ვინაობისა ან ვადამწერის ადგილის შესახებ და იქვე იწყება ოთხთავის ზანდუკი. ანდერძის ტექსტის გამსწორებელი არ. სად ჩანს, მაშასადამე, ტექსტი ურედაქციოდ არის მოცემული, მაშინ, როდესაც დანარჩენ ნუსხებში ეს ანდერძი ნასწორებულ არის გაღატანილი და შემდგომ ვადამწერი ან რედაქტორი დასძენს ხოლმე ავტორიზაციული თუ ხელნაწერის ისტორიის შესახებ მერნალეზი ოდენობის ცნობებს. ამრიგად, ადრიდან ცნობილ დასახელებულ ცხრა ოთხთავიდან აღებული ანდერძების ტექსტები ასწორებენ წინამდებარე გიორგი მთაწმიდელის ტექსტს. აგრეთვე ასწორებენ ერთიმეორეს და ჰქმნიან ვაკცევულ სახესგამობას.

ათონური ოთხთავის ეს ანდერძი შევაჯერეთ გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის ზემოდასახელებულ 9 ანდერძიდან ჰროფ. ა. შანიძისეულ დაჯგუფების A და B ვარიანტებს და გამოირკვა შემდეგი:

1. ზვენი ტექსტი განსხვავებულია ქარაგმათა სტიპრებით. ანდერძის 78 სიტყვიდან 28 სიტყვა ქარაგმით არის დაწერილი, მაშინ, როდესაც ვარიანტების 71 სიტყვიდან მხოლოდ 7-10 სიტყვაა ქარაგმიანი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარაგმათა ფორმებიც საყუთარია, მაგ., აქაურთა ქარაგმებიდან ვანდენილია მხოვების უმრავლესობა, ვარიანტებში კი თითო-ორილა ხმარავნია ქარაგმებიდან ამოღებული, მაგ., „ვისათს“, ფარიანტში — „გეორგისათს“ და ასე შემდეგ.

2. მოიპოვება წაკითხვათა სხვაობანი: მაგ., „რ ესე წა ოთხთავი ახლად გვთარგმნი“. ვა-

<sup>1</sup> ს. ჰვინაძე, „სახჭოთა ხელოვნება“, 1971 წ., № 12, „უცნობი ქართული მხატვარი“.

<sup>2</sup> ქარაგმინი სიტყვები იბეჭდება ზაზევის ვარშე.

რიანტებში: „რ ესე წმიდა ოთხთაეი არა თუ ახლად გვითარგმნია“, „ნუ სცელბთ, ვა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“, ვარიანტებში: „ნუ სცელბთ არამედ ვითა აქა სწერია ეგრე დასწერეთ“, — „თარგმნილი არიან“, ვარიანტებში: „თარგმნილია“, „დასწერდეთ“, ვარიანტებში: „სწერდეთ“ და სხვა.

3. გიორგი მთაწმიდელის ტექსტი გამსწორებელთაგან შემოკლებულია, მაგ., ბოლო სტრიქონიდან ვარიანტებში ზუთი სიტყვა — „რომელმან ესე დიდითა ღუაწლითა ვთარგმნე“ ამოღებულია. ივარაუდება, რომ ეს ჩაღენილია გიორგი მთაწმიდელის არათანამედროვეთაგან ედნიერებით, მისი დიდი ღუაწლის ერთგვარი გაუფერულების მიზნით, რასაც, ვფიქრობთ, გიორგი მთაწმიდელს სიცოცხლეში ამას ვერ გაუბედადნენ.

ამრიგად, ეს ანდერძი ქარაგმათა ხასიათითა და სიჭარბით, რაც ძველი ტექსტების დამახასიათებელია, წაკითხვათა სხვედშიც სტრიქონური სიძველით, პალეოგრაფიულ-ორთოგრაფიული თავისებურებებით, ტექსტის მოცულობითა და, რაც მთავარია, იმით, რომ არ განუცდია რედაქციული სწორება, უპირატესია დანარჩენი ვარიანტების ტექსტებთან შედარებით.

ზემოაღნიშნულ საფუძველს ვეაძლევს ეს ანდერძი, როგორც დედნისმიერი ტექსტი, გიორგი მთაწმიდელისეული ნუსხებიდან ამოღებულ 9 ანდერძთა მწკრივში პირველ ადგილზე მოვათავსოთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ოთხთაეის ტექსტიც ერთი პირველთაგანი ვარიანტის სახელს დაიმკვიდრებს მომავალში დაქართული ოთხთაეის კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.





## საქ აგვაკი კანთერისტყაოსნისა

მას ტანსა კაბა ემოსა,  
გარე თმა ვეფხის ტყეისა...

ვეფხისტყაოსანი, 88

### შენიშვნები ბუდენზიგისეულ თარგმანზე

კანთერისტყაოსანი? რას არ გაიგონებს კაცის უფრი!

ჩვენ ვავეყანით ვეფხისტყაოსნის ახალ გერმანულ თარგმანს, რაც პერმან ბუდენზიგს შეუსრულებია და გამოუქვეყნებია ეურნალში „Sinn und Form“. ჩვენს ხელთაა დაბეჭდილი ტექსტის 500 სტრიქონი, მაგრამ თარგმანის ავტორიანობაზე წარმოდგენის შესაქმნელად ზეთი სტროფიც იკმარებდა. საკმარისია ითქვას, რომ შოთას პოემა თარგმნილია ურითმოდ, ძველ ბერძენთა და რომეულთა ჰეგზამეტრების საზომით, რაც ყარგია პომეროსის, პორაციუსის, ოვიდიუსის ურითმო ქმნილებათა სათარგმნელად, მაგრამ ვერაერთად გამართლებას ვერ პოულობს ქართული სილაბური ლექსის სამყაროში.

ბუდენზიგი სარგებლობდა მიხაკო წერეთლის ბრწყინვალე მწკარედით, მით უფრო საოცარია ზოგიერთი აზრობრივი გადახვევა და საკუთარ სახელთა სწორი ქართული დაწერილობის უფულებელობაც.

ვეფხისტყაოსნის პროზაული, ურითმო თარგმანი, თუნდაც სტენდალს სტილი დაიკვან, ზელს არ ვეძღვეს, რადგან ესაა მისი რითმის, რიტმის, შინაგანი პარმონიის, მოკლედ—სულის გამოცლა, და რა უნდა შემოგვთავაზონ სამაგიეროდ ისეთი, რომ კმაყოფილი დაერჩეთ?

მაგრამ ზეპირი მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს და წინასწარ აღებული აზრით ლაპარაკი არ დაგვამონ, იმასაც ვიტყვი, რაც შედარებამ მოგვცა.

\* \* \*

ჩვენი ხალხი არასოდეს არ ყოფილა უმაღლესი. პირიქით, მუდამ ედღესებო და ერთს ორად ვიღებო, თუ ვინმე გარეშემ ჩვენი ქვეყნისა და მისი ღირებულების, მისი კულტურისა და ადამიანებისადმი კეთილი გული ინტერესი გამოიჩინა. გამოჩალიკი არც ბუდენზიგის შრომაა. მის კეთილშობილურ დაინტერესებას, შოთას ქმნილების სიუყვარულს დიდად ვაფასებო, მაგრამ ეს ქმნილება მთელი კაცობრიობის კეთონილება და თუ აქ რამე არ მიგვანინა სწორად, ესეც გულახდილად უნდა ვთქვათ.

ბუდენზიგი არ წერს, ეთარგმნო. მან ვეფხისტყაოსანი გერმანულად გადაიღო და ტერმინსაც შესაფერისს ხმარობს: *Nachdichtung* ეს მისი უფლებაა. ლეთაბრივი კომედიის გერმანულ ასლს „თარგმანი“ აწერია, ოდისეას—*verdeutsch* და ა. შ. მთავარი ეს როდია. ჩვენ ის გეინტერესებს, რას წარმოადგენს იგივე თარგმნილი თუ გადაღებული ტექსტი.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ პატივცემულ ბუდენზიგის მიერ არჩეული გზა საერთოდ არასწორად მიგვანინა და მისი თარგმანიც მხოლოდ სტრიქონთარგმანების რიცხვს ამდიდრებს.

ამ დასკვნას ორი მოსაზრება უღვეს საფუძვლად:

1. დიდი პოეტური ქმნილების ღირსეულად თარგმნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მთარგმნელი ფლობს ღედნის ენას. ამ მოსაზრებას მტკიცებაც არ უნდა სჭირდებოდეს.

დეს, მაგრამ საერთოდ ჩვენ ხშირად იძულებული ვართ შევერიგდეთ იმ ანბანს, რომ ქართული პოეზიის ნიმუშებს სხვა ენებზე თარგმნიან პოეტები, რომელთაც ქართული არ იცინ, რადგან დიდი სურვილი, თუნდაც როგორც ვაკანოთ ჩვენი კულტურა სხვა ხალხებს, სწავლა დონის პოეზიის თარგმნის დროს შეიძლება არც ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა დედნის ენის უმკველ კონას, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს უმაღლესი რანგის პოეზიასთან, აქ დათმობაზე წასვლა უფრო ძნელია, რადგან ასეთი ენა მუდამ შეტანაყლებად განიჭორღვრა: ოსტატი ხელთ იღებს შასალს, რომლის თვისება და შედგენილობა მისთვის უცნობია.

მ. წერეთლის პუკარედი იდეალურია, მაგრამ ჩვენ შედეგადეთ თავი ბუდენზიგის ადვილზე დავეყენებინა და ვეფხისტყაოსანი ამ სტიქონთარგმანის ქსოვილში დავეყენა. მაშინ ასეთი სურათი წარმოვიდგა: სალა! ის დინამია და არტიტული სიმეტრეზე, რომელშიაც იფარება სიღრმე ქმნილებისა ეს, ცხადია, სიმნელის უქმნის მთარგმნელს, და მისი შემართება თაერთავად გმობობა... მაგრამ, ცხადია, ბუდენზიგისთვისაც არ არსებობს ქართული სიტყვის სილამაზე, რუსთაველის გენიის წყალობით რომ ასეთ ჯადოვანურ ჩექქრომას ქმნის; არ არსებობს ის პოეტური სამაყელი, რასაც საუკუნეების მანძილზე, როგორც თვალს პართოსამს, ეანგი არ ეკარება, და ის გამოჩაყლისი რაღია.

გერმანელი მთარგმნელისათვის მისაწვდომია მხოლოდ პუკარედი. ცხადია, მან ვერ განიცადა, ვერ იგრძნო ვეფხისტყაოსნის სიდიადე და თავისებურება, ამიტომ ვამბობთ, რომ მას თუორიულადაც ვერ მოვთხოვთ შეუძლებელს, მტრად რომ მას დასახული მიზნის სრულყოფაში თვით არჩეული პრინციპი ხელს უშლის.

ჩვენი პირველი მოსაზრება თაისი კატეგორიულობით თითქოს აღარ საჭიროებს სხვა დებულებას მოშველდებას, მაგრამ რაკი არსებობს სიტყვა „გამოჩაყლისი“, უზიარებთ საერთო მოსაზრებას, რომ პოეტური ნაწარმოების თარგმნა მინც შეიძლება მიენდოს ისეთ ადამიანს, რომელმაც არ იცის ორთიანლის ენა.

2. „ვეფხისტყაოსნის“ დირსეულად თარგმნას შესძლებდა რუსთაველის რანგის პოეტი, მაგრამ რაკი ეს არარეალურია, ნამდვილი, კუშმარიტი პოეტური ნაწარმოები ლექსად მინც უნდა ითარგმნოს. მთარგმნელი, დედნის ენის უყოლინარობის შემთხვევაშიც კი, პოეტურის ნიჭის წყალობით ზორის შესახმად პუკარედს, და თუშეა ადეკვატურობა არც ახლა გვექნებოდა მიღწეული, მაგრამ ლაღად, პოეტურად მინც დაუქვენებდა თვალწინ მიიხვედს დიდი პოეტის შედევრს.

ვის რა უფლება აქვს ურიოზოდ შესთავაზოს სხვა ერს გოეთე და რუსთაველი? **ქვეყნის**  
ჩვენს მეორე დებულებას დასაბუთებზე ქვეპირობა.

დაიწყოთ სატიტულო ფურცლიდან.  
აეტორის სახელი ხომ მინც სწორად უნდა დაიწეროს? ბუდენზიგი იცავს მელარ ტრადიციას და წერს Schota Rustaveli. — შოთა რუსთაველი. რატომ? რუსულად გაააგებია, მაგრამ გერმანულ ენას აქვს ბრწყინვალე შესაძლებლობა გააჩიოს ტ და თ. უნდა დაიწეროს: Schotha Rusthaveli.

ახლა ისევ პოემის სახელწოდებას დავებრუნდეთ. ბუდენზიგი „ვეფხისტყაოსნის“ ასე თარგმნის Der Mann im Pantherfell ამით მთარგმნელი პირდაპირ უგულვებელყოფს პუკარედსაც. — არა მარტო აღჩინდულ მთარგმნელთა და საერთოდ გერმანულ ენაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ დაწერილობას „Der Mann im Tigerfell“, რალა საჭიროა ეს აღრევა, და რის მიღწევა ეწადა ამით მთარგმნელს?

„პანთერ“ არ არის ვეფხვი. მისი ხმარება სწორია მხოლოდ იმ ადგილას, სადაც რუსთაველი ამბობს „უწეალო, ვითა ჭიჭია“ (Unbarmherzig gleich einem Panther). მაგრამ რა ვამართლება აქვს მეელს პოემაში ვეფხვის გაიგივებას ჭიჭთან, გინდა ლუობარდთან და პანთერასთან?

იქნებ „პანთერა“ მხოლოდ პოემის სახელწოდებაშია დიქსირებული, თვითონ ტექსტში კი მთარგმნელი იმ ცნებას ხმარობს, რაც აეტორის უხმარია? რაკი თარგმანი ორიგინალობის პრეტენზიას აცხადებს, ბოლომდე ორიგინალური უნდა იყოს „ვეფხვი“ პანთერად უნდა შეიკვილოს ვეელა ცნობილ სტიქონში: „მას ტანსა აბა ემოსა, გარე თმა ვეფხვის ტყავისა, ვეფხვის ტყავისა ქუდივე...“ აქვს და სხვაგანაც ნახმარია „პანთერის ტყავი“, „პანთერის ქუდი“. მოკლედ, ეს იგივეა, რომ „ფესტი“ ვთარგმნოთ და „ეაგნერ“ ვეწოდოთ, ან „მეფისტოფელი“. ან იქნებ რუსთაველი ვეფხს „ავაზის“ მნიშვნელობით ხმარობს და ამას მხოლოდ პატივცემული მტკოვანი მთარგმნელი ჩასწვდა? მაშინვე მივყვით ვეფხვის კვალს.

59. „სამათა საპაპეტი ჩაუქი, ვითა ვეფხვი

1 ასეა ჩაწერილი მიიერის ენციკლოპედიის უახლეს გამოცემაშიც. „მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონში“ (ლაიპციგი, 1965), „უცხოეთიდან შვერალთა ლექსიკონში“ (ლაიპციგი, 1971), პუბერტის თარგმანში და სხვ. უფრო სწორად კი მიივანია „Der Recke im Tigerfell“ „ვეფხისტყაოსანი გმარი“, როგორც პუბერტმა თარგმნა. „აკი ვეფხის ტყავში“, უხეშად რომ ეთქვათ, ქმნის ასოციაციას არა გმარ ვეკაეთან, არამედ უბრალო კაცთან, რომელსაც ვეფხვის ტყავი მოუსხამს.

და ლომი... ამ ვეფხი და ლომი ერთ სიბრტყეზეა ნახმარი. ამა ვინ დააყენებს ერთ ღონეზე ავაზას და ლომს, ჩქისა და ლომს? ამ ვეფხვის კვალა.

232. „ვეფხისა ტყავე მინიშნა“... აქვე ვეფხვი იგულისხმება.

565. „ქვე წვა, ვით კლდისა ნაბრალსა ვეფხი პარგამებულა“... ამა ვინ იხმარს ასეთ ეპითეტს პანთერასზე, როცა არსებობს ვეფხვი?

703. „რომე ვეფხი მშვენიერი მისად სახელ დამისახავს“... სწორედ მშვენიერებისა და ძაღლის სინონიმია ვეფხვი აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში. ავაზა კი ვერავი და სისხლისმშველია, არა ვეგომ მშვენიერი.

966. „ერთად ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს“... ამ ლომი და ვეფხვი მიყრუები არიან. რა ღუჭიერი და დაჩაინაყებულნი უნდა იყოს ლომი, მიყრუად ჩიქი აირჩიოს? ან რომელი პანთერა შეეხმოს ლომს?

იქვე: „ქედსა გარდავდე, ლომ-ვეფხი მოვიდეს, ერთად რებულნი... სახელ ვამსახავსენ მიყნურთა...“ შეიყარნეს და შეიხმნეს.“ განა სასაცილო არ არის „ლომ-ვეფხის“ შეცვლა „ლომ-ჩიქით“?

1239. „ვეფხი იყო ანუ გმირი“. — ამ ვეფხი გმირის სინონიმია.

„ერთა ვეფხსა წაყარა და ქვაბი აქვსო“, — მარტო ამ ერთ სტრიქონშიც იგრძნობა, რომ საქმე გვაქვს ვეფხვთან, რომელიც ვეფხვის ბილიზე დადის, ვეფხვის ბუნავში წვეს, და არა ცბიერ ავაზასთან, რომელიც წერილზეა ავაზავით დამაწმალებს, ფრინველთა ბუდეებს ეძებს. რაა ეს, გვითხს „ცხოველთა მებრძოლთა ვეფხვი“?

ამ მოგვიყვანა ვეფხვის კვალმა. წუთით მოვსვენით ბუნავში ვეფხვი. ჩვენ იღბით ვერც ავხსნივთ, როგორ მოხდა „მარადილი ღელის“ ნების მინალმდეგ ვეფხვის გადაქცევა პანთერად, მთარგმნელი აღბათ შეცდომაში შეიყვანა ცხოველის ლათინურმა სახელწოდებამ „პანთერა ტიგრის“. რომელი „ტიგრისი“?

პანთერა, ლეობარდი — ქართულად ჩიქი ან ავაზა (барт) — ჟნა ვეფხვთან შედარებით სავარძნობლად მომკრი და სუსტი მტაცებელი, რომელსაც არც სიმძლავრით, არც მეფერი სილამაზით ვეფხვთან გატოლება არ შეუძლია. სხვას რომ თავი გათენებოთ, რისთვის უნდა ეაქციოთ სინონიმად „ვეფხვი“ და „ჩიქი“? არსთაველის ვეფხვს მრავალნირთა სიმპოლური გამართლებაც აქვს, აზიტომ ის ყველა შემთხვევაში „ვეფხვად“ უნდა დარჩეს: **Der Mann im Tigerfell** ან კიდევ **•Der Recke... •Der Held...•**

პანთერა ბერძნულ-ლათინური სიტყვაა. ბრემის დახასიათებით. „ლეობარდი ანუ პანთერა აფრასია და ახალი მობნარდრ კატა. ცნობილია მისი მრავალი ქვესახეობა, რომლებიც

ერთიმეორისაგან ოდნავლა თუ განსხვავდებიან. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ლაქები, რომლებიც უმთავრესად რგოლების, სახით შევიპანთერის ტყაზეც კი შესაჩვენია. ტანად მომკრი, ვერავი და სიშიში მტაცებელია. (Rrehms Tierreich, Lcipzig - Lena, 1956, S. (568).

ვეფხვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანი კი არის არა ლაქები, არამედ გრძელი შეყვიითელი ზოლები (შეყვიითელს ეამბობთ, რადგან ძნელი სთქმულია, შევხვა ყვიითელი ზოლები თუ პირქითი, ყვიითელ ფონზე შევიზოლები). ესაა „კატებს შორის ყველაზე უფრო დიდი, მძლავრი და სიშიში მხეცი, რომელიც არც დღისით ერიდება გამოსვლას, და ელვისებური ნახტომით ისე ზაფხინდება ხერხმადღში თუ მხარ-ბეჭში, რომ უღონიერეს ცხოველსაც ანაზღუდად ძირს ავლებს“. ეს უძლიერესი კატა, „ძალის, ველურობისა და სისხლის-მშველობის პირველსავე“, საგრძობთ კედლიანად 3 მეტრს აღწევს და 320 კილოგრამამდე იწონის. პანთერა, რომელსაც ჩვეულებრივ ლეობარდთან, ჩიქთან, ავაზასთან აიგივებენ, სიგრძობით ერთნახევარ მეტრს არ აღემატება, წონით — 75 კილოგრამს. ლეობარდის ლაქებს დალიც კი ამჩნევდა თავის ძველ ლექსიკონში, ეს აღნიშნულა მათერასა თუ ყველა სხვა ენციკლოპედიაში, ზოოლოგიის სახელმძღვანელოებში, მონადირეთა ყოველ აღწერაშია. „ვეფხვის სასარგებლოდ“ მეტყველებს ზოოგრაფთა: ინდოეთის მთავარ ნაწილში, სადაც პომის გმირები მოქმედებენ, ყველაზე უფრო გავრცელებულია ვეფხვი, პანთერა კი უფრო სამხრეთის ქვეოლქში და კენჭულევაზე.

ინდოეთის ვეფხვს სავანეებო სახელწოდებაც კი აქვს; „სამეფო ვეფხვი“ (Königstiger). ცხადია, სწორედ ამ სამეფო ვეფხვის ტყავს ატარებს მეფის ძე ტარიელი და არა წერილზეა ჩაქისას.

ცხოველთა სამყაროს ამ მეორე მისიხანე მბრძანებლის სახელწოდება სწორედ ქართველებს გვაქვს ასე მშვენიერი და ორიგინალური, თორემ მისი ვერობული შესატყვისი **der Tiger** (გერ.), **le tigre** (ფრანგ.), **tiger** (ინგ.), **тигр** — სულ ძველი სპარსული ძირიდან მომდინარეობს ბერძნულ-ლათინურის მეშვეობით. საველისხ-მოა, რომ გერმანელებს აქვთ სიტყვა „გერმან-ვერტ“ — „ვეფხვიით ზოლებიანი“, და გერმანიაშიც ეს სიტყვა ისევეა ძლიერებისა და მშვენიერების სიმბოლო. როგორც ჩვენში — ეს უნდა ვთქვათ ერთი ლიტერატორის საყურადღებოდ, რომელიც „პანთერულობას“ იმით „ასაბუთებდა“, გერმანიაში ლეობარდი ითვლებოთ უფრო საპატიო ცხოველად, რაც ახირებული პარადოქსია.

მაგრამ რა საქირთა კომენტარები? ვეფხვი არის ვეფხვი! როგორ გაუტოლდება პანთერა ვეფხვს? ვისაც უსარგებლო დაეა უყვარს, შეუ-

ძლია წაიფიქსონო ერთი გამოჩენილი მონადირის მოვლენებანი და ნახოს, როგორ დაგვიჯა ერთმა დაპრილმა ვეფხვმა ერთდროულად ორი ვათე-ბედებული ლომარდი.

\* \* \*

**მაგრამ ვანა მარტო ტერმინებზე ვდავობთ?**

პროლოგის პირველივე სტრიქონები გვიჩვენებენ, რომ შთარგმნელი პოეტური აღმადრენით ვერ ვაღმოგვეცემს იმას, რაც შეუქმნია რუსთაველს „ძალითა მით ძლიერთა“. მთავარი ლოდი შებრკოლებისა აქ არის ჰეგზამეტრული, პროზაულად ვაჭიანურებული საზომი.

რუსთაველი:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა.

ბუღენზივი:

**Er hat dank seiner gewaltigen Macht das Weltall geschaffen.**

ეს არის პროზაული სტრიქონი, მოკლე-ბული ყოველგვარი რიტმისა და ენერჯიას: „მან (ვინ?) შექმნა სამყარო თავისი ვანუზომელი ძალის წყალობით“. იმის ნაცულად, რომ თავშივე ეხმარა შესაბამისი სიტყვა „wer“ და ამით უზრუნველყო შემადრთებელი ხილის შენარჩუნება სტროფის სტრიქონებს შორის, შთარგმნელმა მარტივი თხრობის მეოთხედი აირჩია და უბრალოდ გვეუბნება: მან შექმნაო. ამის გამო, თავისი აღნაგობის წყალობით, ეს სტრიქონი დანარჩენებს გამოეთიშა, ამრავად დაიბრუნა პოეტური ქსოვილის მთლიანობა, ერთიანი ამოსუნთქვიც და დიდებული გააზრებაც, რადგან რუსთაველი გვეუბნება:

რომელმან (ე. ი. ვინც) შექმნა სამყარო...  
(ვინც) ზეგარდში არსნი სულითა ყვნა...  
(ვინც) ჩვენ კაცთა მოგვეცა ქვეყანა..., —  
მისგან არს ყოელი ბელშიფე...

თარგმანში კავშირი დაიკარგა მეტიც. მეოთხე სტრიქონი, რომელიც აკარდია პირველი საზინა, ბუღენზივმა სრულიად გამოაცილაკევა, რადგან წერტილი მესამე სტრიქონის ბოლოს დასვა. სწორედ იმის გამო, რომ სტროფის საერთო არქიტექტონიკას ვერ ჩასწვდა, უნებურად დაამახინჯა ბოლო სტრიქონის აზრი. რუსთაველი ამბობს: მისგან არს ყოელი ბელშიფე სახითა მის მიერთა, ე. ი. ყოელი ბელშიფე ღვთისხვან არის და სახეც მისგან აქვს მონიჭებულიო. ეს აზრი შესაძლოა თამარის ან საერთოდ ბელშიფეთა ღვთაებრივი ჩამომავლობის პოეტური დიდებაა. სწორედ ამიტომ მიუტყევებელა ბუღენზივის შეცდომა: ბელშიფეს კვლას სიტყვით „Herr“ — ბატონი, და ამით აცლის ცენებას მალად გაზრებას. აქ ბწყარულს ვერაფერს დაუბარებლბთ: შ. წერეთელს ვარკვევით უწერია „Herrscher“ — მბრძა.

ნებელი, ბელშიფე. თარგმანში ის იქცა უბრალო ბატონად და ამით დაიარტყა ღვთის აზრი, ნიუნისა, გამიზნულბა.

ბუღენზივის ვანრახვა, რომ ვეფხვისატყოსანნი ურთომოდ ეთარგმნა, მას ერთ დიდ უპირატესობას აძლევს: რომ ღვთის აზრი მაინც ზუსტად ვაღმოსცეს. მაგრამ ამ უპირატესობას ის ძალიან ხშირად ვერ იყენებს. პოეტი ვადაუხვევდა, ასო-ასო არ მიჰყვებოდა ღვთის, მაგრამ ღმერთს იწამებდა, უზუნაესს ბელშიფით არ შეცვლიდა, ბელშიფეს — ბატონი, და მისი თარგმანი პრინციპულად უფრო სწორიც იქნებოდა, უფრო ლამაზიც. ცხადია, ვარკვეული ღირსებები ბუღენზივის თარგმანსაც ვაანინია, მაგრამ ორი მთავარი კომპონენტის — სიზუსტისა და პოეტური სიმოტივის შემოძარცვა მას იმთავითვე უკარგავს წონას.

ქვეყნად ყველაფერი შედარებითია. ჩვენც ვერ ავირიდებთ თავს ზოგ შედარებას თუნდაც მეორე პოეტურ თარგმანთან, რაც ჰუპერტში შეასრულა. პოეტური სინატიფის და ხშირად სიზუსტის თვალსაზრისითაც ვერც ჰუპერტის თარგმანი ქმნის მთუბადივი ნიმუშის შთაბეჭდილებას, მაგრამ ჰუპერტმა შექმნა პოეტური თარგმანი. მას აქვს დიდი შემოქმედებითი და მთარგმნელობითი გამოცდილება, კულტურა, ფლობს ლექსის ტექნიკას და რაც მთავარია, უფრო ახლო იცნობს როგორც რუსთაველს, ისე მის ხალხს, ეპოქას და თვით პოემას. აქ იმყოფებოდა წლების მანძილზე, დაიარა მთელი საქართველო, გვეკითხებოდა, გვეთათბირებოდა, გულისყურით ისმენდა შენიშვნებს, ვაწყობდით ბელნიჭრის ვანბილვებს, ვამოდიოდნენ სპეციალისტები, პოეტები... მოკლედ, მან შეასრულა ვოეთეს ანდერძი:

ვისაც სურს მართლა ლექსის ვაგება,  
უნდა წაიღვს ლექსის მზარეში,  
და ვისაც უნდა მგოსნის ვაგება,  
წაიღვს მგოსნის შრობელ მზარეში,  
იქ ვახარებს აზრი მალაო,  
რომ მარად ძველი არის ახალი.

\* \* \*

ერთის განდიდებით მეორის დამცირება არც ჩვენ გვესაქიროება და არც საქმეს მოუხდება, მხოლოდ ჰეგზამეტრის პატივისცემა ვვაიფულებს საგნებს თავიანთი სახელი ვუწოდოთ.

ბუღენზივის შრომაც უდავოდ ანვარისვასაწევი და პატივისცემა, თვით მისი ასეთი დანტერესებაც ჩვენი ბელბილ სავოგმანები წიგნით მხოლოდ კეთილშობილური სურვილითაა ნეკარნახევი, ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ რუსთაველის უმდიდრესი პოეტური მოზაიკის დამლან ვერავის შევენდობთ, ასეთია მისი რითმა და მყამბა. ვისაც სტრიქონთარგმანი აინტერესებს, აქ საქმოდ ძვირად მასალას იპოვის, მა-

გალითად, „მიწნდომნი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რაზეზიან“, გერმანულად სწორადაა გადატანილი:

•Die auf die Welt bauen, fristen ihr Dasein mit irdischen Dingen. მაგრამ განა გადატანა კარა?

ცხადია, ბუდენზიგს არ ევდავებით, როცა თამარს უწოდებს შიორ დედოფალს (Sonnen-Königin — „მზის თამარისა“). „ლაწე-ბადახშ, თმა გიშერისა“ ქებას შოთას მიხედვით ვაღმარეკუმს (achathaarig und rosenwangig), როცა მას თაფლსა და ყანდს მიართმევენ; მოვითმენთ იმასაც, რომ კრისტალივით ჩამოსხმულ სტრიქონს „გასტეხს ქვესაცა მავარსა ვრდემლი ტყვიისა ღბილისა“. ერთი ეჭის სიგრძის თოკით ზომავს: Auch diamantnen Kristall zerbricht noch der Bleischwerer Hammer (ალმასის კრისტალსაც კი ვატეხს ტყვიასავით მძიმე ურო), რადგან ძირითადი აზრი და სიტყვიერი მასალა აქაც და ფრიად ბებრვანაც სწორად და გულმოდგინედაა გადატანილი, მაგრამ როცა შოთას ყვავილებს რაგვს არა მინაში, არამედ თიხის ქოთნებში, სადაც მათ ვერ ვხედავთ, — ხმას ეიღებთ და შეენიშნავთ: მთარგმნელი მეტოქე და თანავეტორი უნდა იყოს თავად ვენიოსებისა, ჩვენ თამაში მეტოქე გვიჩვენვინა ყურმოჭრილ ყმას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ ლალი პოეტური თარგმანი ვვინდა და არა შეცნიერული ტრაქტატი, ფერგადასული ყვავილი. ჩვენ ვვინდა პოეზია უპირველეს ყოვლისა. ეს უნდა გერმანულ მეოთხეულსაც.

აეილოთ ცნობილი, სტროფი (386, ჰიჭინაძის გამოკვეთით):

ასმით ფარდაგსა აზიღნა, გარეთ ეღებ  
მოფარდაგულსა.

ქალსა შეეხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და  
გულსა.

მოვიდა, მივსენე დურაგნი, მთხოვა  
ციცხლითა დაგულსა.

ეამე, მას აქეთ სახმილსა დაეუწყავ  
ნიადგულსა!

ბუდენზიგი:

Da hob Asmat den Vorhang, ich stand  
draussen vor der Türe;

Ich gewahrte Jungfrau: ein Speer traf  
Verstand und das Herz mir.

Dann kam Asmat und bat um die  
Hühner den Feuerverbrannten.

Weh mir! Seitdem verzehren mich  
unauslöschliche Gluten.

(აქ ასწია ასმათმა ფარდაგი, მე კარის იქით (გარეთ) ვიღებ; მაშინ ეიხილე ქალწული: ჩემს კულსა და გონებას მახვილი მოხვდა. მერე მოვიდა ასმათი და ქათმები მთხოვა მე დანწევარს. ეი მე! მას შემდეგ ჩაუჭობული ციცილი

მწევარს). სწავლულს მოეწონება, პოეტს კი...  
ჰუპერტი:

Und Asmat nun teilt des Vorhangs  
leichtgerafften Faltenfall.

Ich gewahr die Maid. O Wunder, dass  
ich nicht zu Baden prall.

Wie Asmat das Jagdgut aufnimmt, trifft  
mein Herz Feuerschwall.

Weh! Seit damals nun umfängt mich  
dieser ewige Flammenwall.

აქაც დაახლოებით ყველაფერი ისეა, როგორც დედანში, მხოლოდ „მახვილი მეცა ცნობასა და გულსა“ შეცვლილია: „ო, საოცრება, როგორ არ დავეცი დაბნა!“ ნელდება პოეტური გამოშხატელობის ძალაც, მაგრამ მაინც პოეტური თარგმანია, ლექსია, და გვაქვს ზუსტი რითმა: Fall-prall-Schwall-Wall. ჰუპერტის „Jagdgut“—ნანადირევი იმავე სტროფში ვერ არის „დურაგის“ შესატყვისი, რაც გერმანულსა არა აქვთ ასე მოკვეთილად, მაგრამ აქვთ Königsrebhuhn „სამეფო კაკაბი“, ლათ. ტიტროვალეს კაცკასიკეს. ჰუპერტსაც ეს სიტყვა უნდა ეხმარა, მაგრამ მისი „ნანადირევი“ უბრალო „ქათამს“ მაინც სჯობს. დურაგი კაკაბისაირი დაწინწყლული კედმოკლე ზონიველია მკავს ხობობსაც. შეიძლება მთარგმნელს შესატყვისად გამოეყენებინა კაკაბი (Rebhuhn) ან ხობობი (Fasan), ამით არაფერი დაშავდებოდა, როგორც არაფერი დაშავებულა არც იმით, რომ „მეციერ ნადირთა ხოცეა“ „მწყურთა ხოცვით“ შეცვალა. პეტრენკოს, ზამოლოცკის და ნუცუბიტეს დურაგი სწორად აქვთ თარგმნილი: ან «ИТТИА».

ბუდენზიგი თმობს რითმას, ამიტომაც ის ხსენებულ მთარგმნელებზე მეტ სიზუსტეს უნდა აღწევდეს. ბუდენზიგს თვალწინ ჰქონდა ჰუპერტის პოეტური თარგმანი. ვიმეორებთ, მასაც აქვს სუსტი მხარეები, გაქონარებული სტრიქონები (მაგალითად: „კოკაში რაცა ღვას, იგივე გადმოღინდება, და არა ის, რაც არ ღვას“). მაგრამ მას შეუძლო იქვე ენახა ათასობით დამაკმაყოფილებელი სტრიქონიც. ა. თუნდაც ეიღე ერთი სტრიქონი: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?“ ჰუპერტს ეს პირდაპირ რუსთაველისებურად აქვს თარგმნილი:

Was heisst Weisheit? Wer ist Weise?  
Kann der Wahnsinn Weise sein?

• • •

რუსთაველის თარგმანთა სასიხე ქველ მისი აფორიზმები ეამოდგება, როგორ არის ამ მხრივ საქმე გერმანულ თარგმანებში? ლისტთან-უნუ-

ვემოდ, მარია პრტიცითან — საქმოდ კარგად, პუბერტთან აფორიზმების ნაწილი უდავოდ მაღალ დონეზეა თარგმნილი, ელერს, როგორც აფორიზმი, ბუდენიზთან კი, თუ სანუგეშოდ გოეთე-შილერის ურთიშო ქსენიებს არ დავი-მორწმუნებთ, აფორიზმებს ვერ ვხედავთ და მაშა-სადაშე, ვერც შოთას. მრავალი პარალელი ამოვ-წერეთ, მაგრამ აქ ერთს მოვიტანთ.

ესა კაცსა ავი სიტყვა ურჩენია სულსა,  
გულსა.

ბუბერტი:

Hohn und Schmähung sind dem Unhold  
mehr als Leib und Leben lieb.

მარია პრტიცი:

Böse Worte zu verkünden ist der bösen  
Herzen Trieb.

ბუდენიზი:

Böses Wort liebt der Böse mehr als die  
eigene Seele.

ეს უკანასკნელი ზუსტად მიპყვება ბუბერტს, თორღვ გამოუტყვებია „გული“ (მიხაკო წერე-თელს აქვს: „...als die eigene Seele und das eigene Herz“). ამით აფორიზმის აზრი არ დარღვეულა, მხოლოდ ოდნავ შესუსტ-და ისევ პოეტური ექსპრესია. ისევე კითხვა: მიინც მიღწეულა თუ არა მიზა-ნი აფორიზმის ამ თარგმანში? რა მოგთხო-ვება ქმნილება! კარგ პოეტურ თარგმანს? ორი რამ მიინც: დედნის აზრის სწორად, ნათლად გა-დატანა, და ნათარგმანეის პოეტური გააზრე-ბა, მშენიერების ქსოვილში გახვევა, რათა პოე-ზიამ შეინარჩუნოს თავისი ღირსება, რამდენა-დაც მთარგმნელი — პოეტის ნიჭის ხარისხი აშის საშუალებას იძლევა.

აფორიზმის ბუდენიზიციულ თარგმანში არ იგრძნობა დედნის პოეტური გააზრება და თარგ-მანი ისე გამოიყურება, როგორც კარგი სტრი-ქონთარგმანი.

ამრიგად, რუსთაველის სტრიქონს თარგმანში, თუნდაც ის აფორიზმად არ ჩაითვალოს, აქლია პოეტური ღირსება, რაც მის დიდ ნაყლად უნდა ჩავთვალოთ. რატომ მიგანიათო ასე, გვეითა-ვენ „ბუდენიზიციულები“, თუ ასეთები ჩვენში აღმოჩნდებათ. იმტომ, რომ სტრიქონი ისე ელერსა, როგორც საშუალო პროზად ნაწარ-მოებანი: „ბოროტ კაცს საეთარ სულზე შეტად უყვარს ავი სიტყვა“, ასე ყველა იტყვის. ესაა დედნის ლანდი. ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვჩნება, რომ გერმანული თარგმანებიდან ისევ

პრტიციის გამოუქვეყნებელი თარგმანი გრძს. ის პოეტურადაა გააზრებული და „მოქმედული“, სხარტია, ამეღავენებს მთარგმნელს სტრიქონსაც და ძალსაც, რომ ჩასწვდეს დედნის არს.

\* \* \*

როგორაა გერმანულად იმ ტერმინების გადა-ტანის საქმე, რომელთაც ისტორიული თუ ეროვნული კოლორიტის შექმნაც ვეისრებათ? გერმანულ და საერთოდ უცხოელ მთარგმნე-ლებს სწორად სჩვევიათ თავისუფალი მოაზრობა ქართული ენის დამახასიათებელი ცნებებისად-მი. მაგალითად, ბრეხტი „კავკასიური ცარცის წრეში“ აუარებელ შეუსაბამობას უშვებს, თა-ვისუფლად ხმარობს „გუბერნატორს“, „ეფრეი-ტორს“, „პოლიციელს“ და ა. შ. ცარცის წრეში შეიძლება ასეთი ანაქრონიზმიც მოვითმინოთ, მაგრამ რუსთაველის წრეში უცხოა „ეასალი“. ბუდენიზიციის ავთანდილი თავის ვასალებს სწერს წერაღს, თითქოს ფრანკი პერკოფი იყოს. ასე-თი ცნებების შეჭრა ევროპულ ენებზე თარგმ-ნილ აღმოსავლურ ქმნილებებში უცნაურ შთა-ბეჭდილებას ტოვებს. პუბერტის თარგმანში ავ-თანდილი ანდერძს უტოვებს ქვეშევრდომებს. (an seine Untergebenen).

ბუდენიზიცი პროზაულ სიტყვებს ხმარობს იქ, სადაც პოეტური შესატყვისის გამოჩნება შეიძლებოდა. ის გურბის კომპლექსს „th“ და წერს Tinatin, Asmat, Awtandil, Rustaweli... ნაცელად იმისა, რომ დაწეროს ისე, როგორც ქართულშია: თინათინი, რუსთაველი, ასმალი, შოთა რუსთაველი. იგივე იტქმის კომპლექსზე „ქს“. წერს „Parsadan“ სწორი კი იქნებოდა „Pharsadan“ (შეადარეთ ფიდიასი, ფარაონი, ფაეთონი...).

შოთა რუსთაველის სწორი დაწერალობა დამ-კვიდრებულა ახალ გერმანულ ლიტერატურაში ყველგან, სადაც საქმეს გულისყურით ეკლდე-ბიან, ხოლო სადაც ეს გულისყური არ ჩანს, იქ უნდა გაეაგებინოთ, თუშეცა ეტ-ყობა, ეს ძნელა, რადგან არაერთხელ მივეი-წერია, და გერმანულ პრესაში გამოუქვეყნებულ სტატიებშიც ასე გვიხმარია Schotha Rusthaweli, ასე წერია დიდ ქართულ-გერმანულ ლექსიკონ-ში, რაც ცერბოში გამოდის (ნაკვეთი V, 375, 1962 წ. ივეე სწორადაა ნახმარი ეფუხისტყაოს-ნის სახელწოდება).

ასეთია ჩვენი შენიშვნები ბუდენიზიციულ „ეფუხისტყაოსნის“ თარგმანზე.



მიხაილ კვასილაძე

## ას ერბასის დღე

წიგნი III

როცა ნიურნბერგში ერთ-ერთი ბრალმდებელი ლაბარაკობდა ამაზე, ითანეს სახარების შეგონებაც მოიშველია:

— და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ...

... დეკლარაციაში მოკავშირეები აცხადებდნენ, რომ შესრულებული იქნებოდა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილება გერმანული მილიტარიზმისა და ნაციზმის ძირფესვიანად აღმოფხვრის შესახებ და მიიღებდნენ იმგვარ ზომებს, რომ გერმანიას კვლავ ვერასოდეს შეძლებოდა დამუქრება მეზობელ სახელმწიფოებსა და მშვიდობისაღმა მთელ მსოფლიოში...

იქვე სრულიად აშკარად იყო ნათქვამი, რომ „მოკავშირეებს განზრახული არა აქვთ მოსპონ ან დამონონ გერმანული ხალხი, რომ გერმანელ ხალხს შეეცემა საშუალება მოეზადოს მომავალში თავისი ცხოვრების დემოკრატიულ და მშვიდობიან ნიადაგზე გარდასაქმნელად და თუ მისი მონღოშობა განუხრევლად იქნება მიმართული ამ მიზნის მისაღწევად, რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ დაიკავენთ თავის ადგილს მსოფლიოს თავისუფალ და მშვიდობიან ხალხთა შორის.

ჩამოვალბდა აგრეთვე „პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპები“, რომლის შესაბამისად უნდა მოპყრობოდნენ გერმანიას საკონტროლო პერიოდის დასაწყისში, ამათგან „პოლიტიკური პრინციპი“ ითვალისწინებდა, რომ

გავრძელება. იხ. „მნათობი“, 1971 წ. № 10, 11, 12.

უმაღლეს ძალაუფლებას გერმანიის ზონების მიხედვით განახორციელებდნენ ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლები, თავიანთი მთავრობების მიითეთებათა მიხედვით, ხოლო გაერთიანებულად გადაწყვეტდნენ იმ საკითხებს, რაც მთელ გერმანიას შეეხებოდა.

საკონტროლო საბჭოს დაეკისრა: გერმანიის სრული დემოლიტარიზაცია და სამხედრო მარეველობის იმგვარად მოსპობა, რომ გერმანიას არასდროს არ მისცემოდა საშუალება კვლავ აულორქინებინა მილიტარიზმი და ნაციზმი. იქვე ნათქვამი იყო:

— საკვირაო საკონტროლო საბჭომ დაარწმუნოს გერმანული ხალხი, რომ მან განიცადა ისეთი ტოტალური სამხედრო დამარცხება, რომ არ შეუძლია აიცილინოს პასუხისმგებლობა იმაზე, რა დღემდე თვითონ ჩაივლო თავი იმით, რომ ომის უმოწყალო წარმოებითა და ნაცისტების ფანატიკური წინააღმდეგობით დანგრეულ იქნა გერმანული ეკონომიკა, რამაც აშკარა ქოხი და ტანჯვა გამოიწვია...

... ამის შემდეგ მოკავშირეთა მთავრობებმა საკონტროლო საბჭოს დააეკლეს: ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების დაშლა, ყველა ნაციისტური კანონის გაუქმება, სახელმწიფო დაწესებულებათა სრული გაწმენდა ყოფილი ნაცისტებისაგან, სასამართლო ორგანოების გარდაქმნა და კანონიერი მართლმსაჯულების აღდგენა, კვლავ აღორძინებული დემოკრატიული პარტიების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

დეკლარაციის „ეკონომიური პრინციპი“ მოითხოვდა გერმანიის სამხედრო პოტენციის მოსპობას, ეკონომიკის დეცენტრალიზაციას,

სოფლის მეურნეობისა და სამშენებლო მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფის და სხვ.

როცა ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ლონდონში სპეციალური დელეგაციები არჩეულდნენ საკითხს 1943 წლის მოსკოვის დეკლარაციის საფუძველზე იმ მთავარ სამხედრო დამსწვეფთა სამართალში მიცემის თაობაზე, ვისი დანაშაულიც არ ექვემდებარებოდა გეოგრაფიულ პრინციპს. მოკავშირენი გამოთქვამდნენ იმედს, რომ ლონდონის კონფერენცია წარმატებით დამთავრდებოდა და 1945 წლის პირველ სექტემბერს გამოქვეყნდებოდა მთავარ სამხედრო დამსწვეფთა სია...

ამასთანავე მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის საკონტროლო მექანიზმის შესახებ: ოთხი მთავარსარდალი კმნიდა უმადლეს საკონტროლო ორგანოს, ანუ „საკონტროლო საბჭოს“, რაც ანბორცილებდა სრულ ძალაუფლებას გერმანიაში. მთავარსარდლებს ჰყავდათ ე. წ. „პოლიტიკური მრჩეველები“, რომელნიც საკონტროლის მიხედვით ესწრებოდნენ საკონტროლო საბჭოს სტრატეგიას, რაც ყოველ ათ დღეში ერთხელ მაინც უნდა გამართულიყო. იმავე დიდებულებში შეიქმნა საკონტრინაციო საბჭო, რომელსაც ევალებოდა საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება, საკონტრინაციო წინასწარი შეთანხმებების მიღწევა და სათანადო რეკომენდაციების მოწოდება. ამის შესახებისად შედგა საკმაოდ დიდი საკონტროლო აპარატი, სხვადასხვა განყოფილებებით. ყოველ განყოფილებას მეთაურობდა ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს პასუხისმგებელი მოხელე. განყოფილებათა შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები. რაც შეეხება „დიდი ბერლინის“ მართვას, ამისთვის დაარსდა სამოკავშირეო კომენდატურა, ოთხი კომენდანტის შემადგენლობით (თითო ყოველ სახელმწიფოდან), მთავარი კომენდანტის მოვალეობა სრულდებოდა რიგ-რიგობით...

საკონტროლო საბჭოს მიერ გამოცემულ სპეციალურ მიმართვაში გერმანულ ხალხისადმი განმარტებული იყო, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები და ორგანიზაციები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ოკუპაციის პერიოდში...

როცა ბერლინის მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებში დაედოდი ამ დადგენილებებს ცეცხლით გარუჯულ კედლებზე ვხედავდი გაჯარულს...

**მეანდიაური მკვ...**

უკვე ბინდებოდა რომ კარლსპორსტში დაებრუნდით. ბინა დასუფთავებული და დალაგებული დამხვდა. მქეარტლით გაშურული ლილი მარლენი სამზარეულოში ტრიალებდა, რომ

დამინახა, ვითომ სახლოთი მოიწმინდა მტრი სახეზე, მაგრამ უფრო კი მოიხსენებდა: „შერე ფართე თეთრი კბილები გააქვდა“ და: „მკითხა“

— მოგწონთ?  
 — კარგია, რა უშავს!  
 — სხვა ოთახებიც დივანაგე, ნახეთ! სასადილო, სასტუმრო, სამუშაო კაბინეტი — ყველაფერი დაეკრიალებინა.  
 — რად მინდოდა, მე ხომ მთელი დღე სამსახურში ვიქნები, აქ მხოლოდ დასაძინებლად მოვალ.

— კარგია, ასე სკობია, ხომ შეიძლება სტუმრებიც მოვივიდეთ.

მალღამო მოახსენე. მერე კედლებს შეეხედე. გერინგისა და გებელსის სურათები ჩამოგხსნი; ჰიტლერისა და შირახის კი დაეტოვებინა. ლილის დავუძახე:

— სურათები რატომ არ ჩამოხსენი?  
 — გერინგისა და გებელსის ხომ ჩამოხსენი, ავტო საკუქნაოში შევაგდე, — აარიდა თავი პირდაპირ პასუსს.

— რატომ მარტო გერინგისა და გებელსის?  
 — იმიტომ რომ გერინგი მოლაღატა, გებელსი კი მატყურა.

— შენ რა იცი?  
 — ვიცი, გერინგს რომ არ ელაღატა ფიურერისათვის და გებელსს არ მოეტყუებინა, ომს მოვიგებდით.

— შენ გგონია გერინგი და გებელსი უშველიდნენ ამ საქმეს?  
 — აბა, რა, მაშინ ფიურერს ჯადოსნური იარაღი ექნებოდა.

— ეს ზღაპარია!  
 — სულაც არ არის ზღაპარი. ბაბუამ მოთხრა ასე.

როგორც ჩანდა, ბაბუას ნათქვამი მისთვის ჭეშმარიტების უცლობელი სახუთი იყო. მე მაინც არ მოვეშვი.

— ეს სურათებიც ჩამოხსენი, ხომ იცი, ჩვენ არ გვიყვარს ასეთი რამები!

— ვიცი, მაგრამ მე მაინც ვერ ჩამოვხსნი!

— რატომ?  
 — იმიტომ, რომ ფიცი მაქვს დადებული ბოლომდე ერთგული ვიყო.

სხვა გზა არ იყო. ჩხუბს ხომ არ დავეწყებოდი. მე თითონ მოგებშია „ფიცის მოშლაში“, სურათები ჩამოხსენი და საკუქნაოში გავიტანე. ლილი მარლენი დამცინივად მომჩერებოდა და თვალები ისე ბოროტად უღელავდა. სურათები რომ „გავასვენე“, ლილიმ ისევე აბრიატუნები და მოთხრა:

— მერე რა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, სურათებს ჩამოხსენით თუ არა.  
 — ალბათ აქვს მნიშვნელობა!

ისევე დამცინივად მომჩერდა და ნიშნისმოგებით მოთხრა:

— გეშინიათ ხომ, სურათების გეშინიათ!

მაშ რა გგონიათ, ასეთი იყო ჩვენი ფიურერის მიზნობა სამაგიერო მიძელო და გერმანული ანდაზა გამოიყენე:

— რისი უნდა მეშინოდეს, ზომ იყო მკვდარი ძალი არ იკმინება.

ამის გაგონებაზე ჯერ გესლიანად შემომხედო, მერე უკვე შეტრიალდა და სახელეწილი გაეარდა სამხარეთლოში, მაგრამ ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ისევ დაბრუნდა.

— თქვენ როგორ გგონიათ პიტლერი შართლა მკვდარი?

— პო, ასე ამბობენ.

— ეს ნამძვლია?

— ალბათ!

— მაშინ შართლაც ყველაფერი დაღუბულია, — ამოიხტა მან... ახლა არც სხვებს დაადგებათ კარგი დღე.

— რატომ გგონია?

— ბებუამ თქვა, ხე რომ წაიქცევა, ტოტებს მოცივდებათ. განა ვერ მიხვდით რას ნიშნავს ეს...

...ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა გერმანიის „ადგილობრივ მოსახლეობასთან“. ყველაფერი მაინტერესებდა. ამ „ჭერათთან ბესტიას“ ვინწობობდებოდა. ნელ-ნელა გამოავითხე. მამამისი რულოდები, მძალი რანგის ესესელი ყოფილა. „ნამძვლილი ესესელი“, ხაზგასმით თქვა ლილი მარლენმა. აღმოსავლეთის ფრონტზე გაუგზავნიანო, მაგრამ უკვე მეორე წელია მისგან წერილი არ მიგვიღია. დედა ვილაც ოფიცერს გაუოლია და დასავლეთის ზონაში დაბრუნდა.

ბაბუა იოჰანი „ვერსალის კატასტროფამდე“ თურმე პრუსიული არმიის ოფიცერი იყო, მერე ერთხანს ვიოლიონზე დაკვრით იჩინებდა თავს, ბოლოს როცა ებრაელი ორკესტრანტები დაარბიეს, ისე დაწინაურებულა, რომ ოპერის თეატრში მიღლიათ, ახლა კი საღამოობით კარლსპორტის ვარიეტეტში უკრავდა, ხოლო დღისით ამ სკვერს უღლიდა და საბჭოთა კომუნდატურას ეხმარებოდა ახალწამსულ ოფიცრების დაბინავებაში.

თეთონი ლილი მარლენი „პიტლერული ახალგაზრდობის“ წარმომადგენელი იყო, „არბიული რასის მშვენიება“; სწორედ ისეთი ვარგუნობის, პიტლერული რასისტები რომ სანიშნოდ თვლიდნენ. ლილი მარლენის საამაყის მთავარი საუფქველი მისი ეს „არბიული ანატომია“ იყო. ამითვე დაწინაურებულა „პიტლერულ გოგონასა“ კაჟირში. ჯერ ჩვენი სკოლის შტანდარტების მეთაური იყავი, მერე რაიონის გოგონების დროშების წინამძღოლია. ყველაზე უფრო იმით იამაყობდა, რომ ერთხელ ბალდერ ფონ შირახმა პირადად ვიდმოშვა დროში და ეს სურათი ეურნალში იყო დაბეჭდილი.

„არ დამცალდა თორავ შეიძლება ფიურერ-

რის რძალიც ვამბობდარჩევი“, — დაასრულა მან თავისი „გმირული ბიოგრაფიის“ კმეცხელია. მე ვერ გავიგე, როგორ უნდა ვამბობდარჩევი პიტლერის რძალი.

— პიტლერს ზომ შეილი არ ყავდა, მისი რძალი როგორ უნდა ვამბობდარჩევი? — ვეითხე გავირეგებულმა.

ვაიცნია, ეს რა სულელური კითხვა მომცათა: — ნამძვლილი ესესელების ცოლები ყველანი პიტლერის რძლები არ არიან?

ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. პიტლერი ზომ ამ გზითაც ცდილობდა მომავალი ქარისკაცების მომრავლებას აგრესიული ომებისათვის.

ამგვარი იდეების პროპაგანდას შირახი ეწეოდა ახალგაზრდობაში. ეს მან გამოაცხადა „ჩემი ბრძოლა“ ბიბლიად და სავალდებულო საიუქრად ახალდაქორწინებულთათვის. „ჩემ ბრძოლას“ მე ზეპირად ვსწავლობდი, რომ აღვლად გამეცა პასუხი ნაცონალ-სოციალისტური იდეების კრტიკოსებისათვის. — წერდა შირახი. შემდეგ მან თვითონაც გამოსცა წიგნი „პიტლერული ახალგაზრდობა“. ამ წიგნით „ადფროთიანებულმა“ მოწაფეებმა საჯაროდ დასწვეს სასკოლო ქუდები. შირახი აღტაცებული იყო „არბიული ბუნების“ ამითი გამოვლენით და აცხადებდა, ბუნების წაიღებდა ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის სპეციალობა. იგი თავს ისე უტენიდა ახალგაზრდებს პიტლერული დოქტრინებით, რომ სულ ვდააჩევა დამოუკიდებელ ფიქრს, აზროვნებას, მოქმედებას. ყველგან მზამხარეული ფორმულია, განარჩიე, შეუბრძო, რიგები, კოლონები, მანქანური სიზუსტე და დაეალებების მექანიკური შესრულება... ეს იყო მათი აღზრდის მთავარი მეთოდი.

ესლა სწორედ ერთი მათგანი იღვა ჩემს წინაშე; ლილი მარლენი. ჯერ რაღაც 17-18 წლისა, მაგრამ უკვე წარჩინებულ, დაფასებულ, აღიარებული და ამით ზომზე მეტად გაამაყებელი; თანაც ფანატური, ღიმილის მომგვრელი იყო მისი მსჯელობა. როცა იგი ლამაზაკობდა, ყოველთვის ვფიქრობდი: ეს საღდად წამიკითხავს, ეს საღდად წერია. თავი სულ „მისი ფიურერის“ მზა ფორმულითა და ლოზუნგებით ჰქონდა გამოტენილი...

...ერთხელ ფრანგი მწერლის ვილიე დელილ ადანიის მოთხრობა „მომაელის ევა“ წავიკითხე. ამ მოთხრობის მიხედვით ცნობილმა გამოგონებულმა ედისონმა არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი — აეტომპა შექმნა თვით შემოქმედის სურვილით, როგორც დემოთმა ბიბლიური ევა. ტენის მავიერად მას თავში ფონოგრაფი ედო, რომელზეც გამოჩენილი ადამიანების აზრები იყო ჩაწერილი, მას შევქმნიყო ფილიელი ისეთი, როგორსაც სხვები მოიხურ-



ვებდნენ, წარმოეთქვა ისეთი აზრები, როგორც სხვებს უნდოდათ და რაც მისი ტვინის ფონოგრაფიაზე იყო ჩაწერილი...

ლილი მარლენმა მე სწორედ ეს „მეჭანიური ენა“ მომავინა...

**ბრუნაილდის ძაბარია...**

მერე დღეს მან კარი შემოაღო და ჯერ ისე ლოგინში რომ მნახა, სწრაფად გაბრუნდა უკან.

კერა დღე იყო და მინდოდა კარგად დამესვენა, მაგრამ რაღაც ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვიდა, მაშინვე ავღვიძე. ლილი სამზარეულოში მუშაობდა. მერე ჩემთან შემოვიდა და მითხრა:

— რატომ საღარბაზო კარებს არ კეტავთ, არ გეშინიათ?

— რისი უნდა შემინოდეს?

— რომ მოკვლათ ვინმემ?

— ვინ უნდა მომკლას?

ჯერ ვაივინა, მერე თვალეში ბოროტმა ნაპრწყალმა გაკერა და პირდაპირ მომახალა:

— თუნდაც მე!

— თქვენ რატომ უნდა მომკლათ?

— ისე, აზრი არა აქვს, თორემ...

— კარგი, აწი შეეცოდინება და კარებს ჩაეკეტავ?

წინა ღამით დიდხანს შევრბი ბიბლიოთეკაში წიგნების თვალყურებას და დამაინტერესდა, თორემ მერე უოველთვის ვეკეტავდი. მართლაც, რა იცი სად რა ფაფურაა შეგხვდება კაცს ამ არეულ-ღარეულ ქვეყანაში. გაფრთხილებული ვიყავი პარასიოზოზონი ექსცესებს „კლდე აქვს ადვილიო. მით უმეტეს, მთელ ამ სახლში მე ერთი ვეპოვრობდი. თანაც ჩემი თანამგზავრი მთარგმნელი გოგონები, ვინც ბერლინში დარჩა, შეეჩვივნენ ამ ბიბლიოთეკას და გვიან ღამემდე ფურცლავდნენ წიგნებსა და ილუსტრირებულ ექრნალებს. საღარბაზო კარები რომ ადრე ჩამეკეტა მათ ცოდვამი ჩაედგებოდი.

ლილი მარლენს, როგორც ჩანს, ეწყინა მისმა მუქარამ ჩემზე შობაეკიდობა რომ ვერ მოახდინა და თვითონ „შემიბრალა“:

— ვიხუმრებ, კიდევ რომ მინდოდეს, თქვენ მაინც არ მოკვლათ...

— რატომ, ერთიმ მე რითი დავიშახტრე ამგვარი წყალობა?

— იმიტომ, რომ გერმანულად ლაპარაკობთ. მე აქ პირველად შეხვდი რუს ოლიცერს, რომელმაც გერმანული ენა იცის. ბაბუაც დაინტერესებულა. ძალიან ვთხოვიათ, თუ დრო გექნებათ რამდენიმე წუთით შემოიაროს თქვენთან.

— რა უნდა, თუ იცი?

— მე რა ვიცი, ალბათ მამარეზე თუ გიათხავთ რამეს?

— უთხარი მოვიდეს, დღეს ზომ კვირაა,

სულ სახლში ვიქნები.

— მართლა! — გაეხარა და უღრმესად ამ საღამოს მოვიყვან.

— კეთილი, მოიყვანე!

ლილი სამზარეულოში გაეარდა და რამდენიმე ხანში საუზმე გამოიტანა.

— თქვენ სად ისწავლეთ გერმანული ენა?

— ჩვენთან, უნივერსიტეტში...

— თქვენს უნივერსიტეტში განა გერმანულს ასწავლიან? — გაუკვირდა ლილს.

— გერმანულს კი არა გერმანიის ისტორიას, ლიტერატურას, ფელაფერს, რაც თქვენ ქვეყანას შეეხება.

რამეღი ვევი რომ შეეპარებოდა, ცალ თვალს მოხუცავდა და ისე გაიკინებდა. ახლაც უნდობლად შეხვდა ჩემს ნათქვამს.

— არა გვერა ხომ, აბა მეთხე რაც გინდა გერმანული ლიტერატურიდან, თუ არ ვიპასუხო.

— გათამამდა. მანს იოსტა თუ იციოთ, მკითხა,

ეს მანს იოსტი ერთი საშუალო ნიჭის პიტლურული მწერალი იყო, რომელიც ნაციისტური დიქტატურის დროს გერმანიაში დარჩა. გუბელისს პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობდა მის განდღვებას და ლილი მარლენსაც ალბათ ამიტომ ჩაუქდა ტვიზი.

— გერმანულ ლიტერატურაში სხვა უფრო დიდი მწერალი ვერ ნახე, რომ მანს იოსტზე მეეთხები?

— გერმანიის არა ქვეყანა მანს იოსტზე დიდი მწერალი. უფრო დიდი პირსტ ვესელი იყო, მაგრამ იგი მოკლეს ებრაელებმა, — ამუშავდა მის თავში ფონოგრაფა.

გამოცდა მაინც ადვილად დაეკვირვ, მერე თვითონ ვადავედი შევითხვებზე და გააწითლე. უხერხულ მდგომარეობაში ჩაეარდნილა ისევე მოხუცე, თვალის, დამცინავად გაიღმა და მითხრა:

— ჩვენს ლიტერატურას იმიტომ სწავლობდით, რომ მერე გერმანია დაგვეგრიათ?

— მე სულაც არ დამინტერესია თქვენი გერმანია!

— აბა ამდენი ორდენები რატომ გაქვთ?

— გერმანიაში ახლა ჩამოვედი პირველად, უწინ რემინდუთში ვიყავი, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში...

— სულერთია, იქაც ხომ ჩვენების წინააღმდეგ ებრაელებით?

ამდელზე ცერცვის ყრას რა აზრი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— გერმანია ჩვენ კი არა, თქვენმა პიტლურმა დაანგრია. მისი ბრალია, თუ ეს არ უნდოდა, რას იწყებდა ომს?

— ომი პიტლერს არ დაუწყია.

— აბა ვინ დაიწყო?

— ებრაელებმა!

— შენ იცი, ვინ არიან ებრაელები?  
 — ვიცი, გერმანიის მტრებია.  
 — თვალთ თუ ვინახავს ერთი ებრაელი  
 შინი?

— არა, მე ბევრეი ვიყავი, ფიურერმა რომ  
 მოსპო ისინი. ახლა, მაღლობა ღმერთს, ერთი  
 ებრაელიც არ არის გერმანიაში.

— ამა რა გიჭირთ, აწი შინიც წაეა თქვენი  
 საქმე კარგად.

— არაფერიც, ჩვენი საქმე ვითავებულია.

— რატომა ვითავებული?

— იმიტომ, რომ ჩვენ არსებობას აზრი არა  
 აქვს. რისთვის უნდა ვიცხოვროთ?

— მომავლისათვის.

— სისულელეა, ვის რა მომავალი შეიძლე-  
 ბა ჰქონდეს ამ კატასტროფის შემდეგ?

— შენ რა გაწუხებს, ახალგაზრდა ხარ, გა-  
 ახოვლები, ოჯახს შექმნი, შვილები გვყოლება.  
 გაეცინა.

— მე არასოდეს არ გავთხოვლები.

— ვითომ რატომ?

— ვის უნდა მივთხოვდე?

— ვინმეს, ვინც შენი აზრით ღირსეული  
 აქნება?

— ასეთი არაფერ დაჩაა გერმანიაში.

— დიკადე, ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდა  
 დაბრუნდება ტყვეობიდან.

ზიზლით შემომხედა.

— მე არასოდეს არ მივთხოვლები კაცს, რო-  
 შელიც ფრანტიდან დამარცხებული დაბრუნ-  
 დება!

— ასე თუ არის, მართლაც ჩაბერდება ნა-  
 ცარში. ამა, ფრანტიდან გამარჯვებით დაბრუნ-  
 ნებულ გერმანელს სადღა ნახავი!

— ამიტომაც სჯობია ერთბაშად დაიღუპოს  
 ყველაფერი, — სთქვა მან და დაუღმატა:

— ფიურერმა ბრძანა დამარცხებულ გერ-  
 მანიას დაღუპული გერმანია სჯობიაო.

თუ სახელმწიფოს მეთაური ასეთ აზრებს  
 ჰდაგებდა, რა გასაკვირია თუ ეს ქერათმიანი  
 კაცები იმასვე იმეორებდა!

— მე შეზიზლება ყოველი გერმანელი მამა-  
 კაცი, რომელიც ახლა ცოცხალია, — კატეგო-  
 რიულად განაცხადა მან.

— მაშ ყველა გებელსივით უნდა მოიქცეს?  
 ცოლშვილი დახოცოს და თვითონაც თავი მო-  
 იყოს?

გებელსის ხსენება არ ეხიამოვნა.

— მიგითხვის ახია ყველაფერი! — სთქვა  
 მან ზიზლით.

— რატომ?

— ხომ ვითხარით, რომ მატყუარაა.

აქ მგონია სიმართლეს მიუახლოვდა, მაგრამ  
 შინიც თავისებურად:

— ის ატყუებდა ფიურერს ყველაფერში.

— შერე ბავშვებს რატომ ხოცავდა?

— იმიტომ რომ არ უნდოდა მოწინააღმდეგე  
 რდილუენენ.

— ეისი მოწინააღმდეგე?

— თქვენი, წითლები.

— შენ ეისი შონა ხარ?

ლაიზნა, შერე დაფიქრდა და სთქვა:

— არაფერი, მე მარტო იმისი შონა ვიქნები,  
 ვინც მომტრევა.

— ბრუნვილდე! — წამომცდა უნებურად.

— თქვენ საიდან იცით ბრუნვილდე ვინ  
 არის?

— „ნიბელუნგები“ წამოიკითხავს.

იმან რა იცოდა, რომ ეს პოემა ქართულა-  
 დაც იყო თარგმნილი. საქართველო არც გაე-  
 გონა. „ნიბელუნგების“ ხსენება კი შინიც გსი-  
 მოვნა. უცებ წამოხტა და გაიქცა. შერე ბიბ-  
 ლიოთეკიდან შესანიშნავად გამოცემული „ნი-  
 ბელუნგები“ ჩამოიტანა.

— ამა, ისევ ვადაიკითხებთ, ბრუნვილდე თუ  
 თქვენი დასაციანია, სასაცილო გუნთერია,  
 ბრუნვილდე რომ ზელფეხშეკრული ჩამოყიდა  
 კედელზე ქორწინების დამეს, — სთქვა მან და  
 სიცილი აუტყდა.

— შენ შეგიძლია ასეთი რამ გააკეთო?

— რა თქმა უნდა, თუ იგი ზემზე სუსტი  
 აღმოჩნდება!

არ ვიცი ეს „იგი“ ვინ იყო, მაგრამ შინიც  
 ვკითხვ:

— თუ არ აღმოჩნდა?

— აღმოჩნდება!

— ეთქვათ, არ აღმოჩნდა!

— აღმოჩნდება-მეთქი!

ეს რომ თქვა, თვალბში ისევ ბოროტმა  
 ელვამ გაპკრა, სახე ცეცხლივით აუბრიალდა,  
 მთელი სხეულით დაიძაბა. შერე წელზე ქაშარი  
 შეისწორა და თვალბს ისე გარეულ კატასა-  
 ვით აყვესებდა, გევგნებოდათ მართლაც  
 ბრძოლას ამირებსო...

ესეც მისი „არიული სიამაყე“, გადამტეხუ-  
 ლი თვითდაჭერება, თანაც ტევტონური ფინი  
 და „ქლიერი წინააღმდეგობის“ ბრუნვილდესე-  
 ბური სურვილი, თორემ ქაშარს რა ჯაღო უნდა  
 ჰქონოდა ასეთი?! თუმცა აღუგორიულად ათა-  
 სი რამ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა:

წყალს შინი ქაშარი მამქონდა — ნეტავ ღე-  
 და რააო?

შვილო, შენი სული არის, — ვაი შენს ღე-  
 დასაო...

გამახსენდა ჩვენებური ხალხური ლექსი და  
 ლილის კვითხვ:

— შენ მართლა გჯერა ჯაღისი?

— მჯერა, ამა არა! ქაშარი რომ არ გაწყვე-  
 ტილიყო, არც არაფერი მოხდებოდა.

არ ვიცი ამ „არც არაფერში“ რას გულისხ-  
 მობდა, მაგრამ ამ აღუგორიას შინიც შევუცვა-  
 ლე მიმართულება:

— თქვენმა გერმანიამ ქაშარი თვითონ შე-

მოხსნა, როცა უსიტყვო კაბიტულაციას მოაწერა ხელი...

ამაზე არაფერი უთქვამს, საღამოთი ბაბუას მოვიყვანო და წავიდა...

**ჩვენი და შენი...**

ამბობენ, სიბერეს საბუთები არ სჭირიაო, თუმცა უსაბუთოდ ვერც მიხედვბოდით ბაბუა იოპანი თუ ოთხმოც წელს გადაცილებული იყო. მეც მაინტერესებდა მასთან საუბარი, რადგან ვარდა იმ თავქარიანი ლილი მარლენისა, ეს პირველი გერმანელი მოქალაქე იყო, რომელსაც ველაპარაკებოდი. ოპის დროს მე ხომ მხოლოდ სამხედრო ტყვეებს ვხვდებოდი. ეს კი, რაც არ უნდა იყოს, მიინტერესებდა. ამ თხზუცს დროც ვერჩოდა და ხანაც უწერდა ცხოვრების გამოცდილება მიეღო. ამიტომაც მინდოდა მისგან შემეტყუო რამე. ისედაც სიმათიური კაცი ჩანდა. ეტუობოდა, აღრე კარგ ცხოვრებას იყო მიჩვეული. ახლა კი ნირწამხდარი გაყოფიერებოდა. საკონცერტო ფრაკოსათვის ბეგევით „მერცხლის კედელი“ შეეპირა და ჩვეულებრივ კოსტუმად გადაეკეთებია, რაც ოდნავ კომიკურ იერს აძლევდა მის გოლიათურ აღნაგობას.

დიდი მოკრძალებით შემოვიდა და მხოლოდ რამდენიმე თხოვნის შემდეგ ჩაქდა საჯარტელში. ლილი მარლენს ეთხოვე ვაგემასპინძლებოდა. მაშინვე დატრიალდა და წინ პატარა მავიდა გაგვიწყო. დიდი არაფერი, მაგრამ ოპანისთვის ესეც საკმარისი იყო, აკი გერმანელები ამბობენ, რაც სტუმარია, ძებვიც ისეთი შეიწყებო.

მოკრძალებულმა იოპანმა ბერგი იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც სიამოვნებით გადაკრა ერთი ჰიჭა რუსული არაყი. მეცე მეორეც მიაყოლა და საუბარს ძლივს მოება თავი. იმას ანდაზევით უყვარდა ლაპარაკი, მეც შემქლო მისთვის მხარის აბმა, რადგან ვერმთელს რომ ვსწავლობდი, ერთმა მასწავლებელმა უამრავი გერმანული ანდაზა გავაზუბირებინა. ისე კი, სალაპარაკო არაფერი შექონდა, ვერც ის ბედავდა გულის გადაშლას, ამიტომაც დაიწყო შორიდან:

— სასიამოვნოა ჩვენი ენა რომ იციან, — ძლივს წარმოსთქვა მან და თითქოს მძიმე ტვირთი მოაშორაო, ისე ამოიხენეშა. ლილის სიცილი წასკდა. მე უკვე აღარ მიკვირდა მესამე პიროთ რომ მომმართა, მაგრამ როცა სჯვის ენაზე ლაპარაკობ, ამჯავრ „გრამატიკულ თავისებურებებს“ ასე ადვილად მაინც ვერ ვწყობ.

ერთხელ სოფლიდან ახალგაზრდა აბიტურიენტი შესტუმრა. რაღაც განსაკუთრებული მოწიწებით მომესალმა და უნდოდა რაც შეიძლება ზრდილობიანად მოემართა, მაგრამ, როცა ვკითხე, როგორ ბრძანდებით-მეთქი, ასე მიპასუხა:

— ჩვენ კარგად ვბრძანდებით ბატონო, შენ როგორ ხარ, გენაცვალე? მეშინოდა მეც ასეთივე კონფლიქტი არ მომსელოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და როგორღაც აუყუვეი ამ ყოფილი ოფიცის გრამატიკულ თავისებობას...

— ჰო, როცა რომელიმე ხალხის ენა იციან მათ ხასიათსაც ადვილად სწავლობენ, — ეთქვა მე.

— აღრე გერმანიაში თუ უცხოვრიათ?

— არა, პირველად ვარ.

— საკვირველია, მაშ ჩვენი ენა როგორ უსწავლიათ?

— რატომ, განა ამისათვის აუცილებელია იმ ქვეყანაში იცხოვრონ, რომლის ენის შესწავლაც უნდათ?

— შე ასე შეგონია. ჩემი უფროსი ვევი კომერსანტი იყო და ინგლისურის შესასწავლად ერთი წლით ლონდონში დასახლდა. პერტრუდას ოპმა მოუსწრო, თორემ პარტიზში უნდა გავვებხავნა.

— ჩვენ მაინც წავლენ პარიზში, — ჩერიცა ლილი მარლენი, და იმანაც „გრამატიკულად“ დაითმას თავი.

— კი, ძვირფასო, წახვალ თუ შეგიშვებენ, — მიესიყვარულა ბაბუა.

— რატომაც არ შემისვებენ? — გაიკვირვა ლილიმ და ისევე ჩვეულებრივ გრამატიკაზე გადავიდა.

— გულმოსული იქნებიან, საყვარელო, ჩვენი, ამ წყუელ ოპში რომ დაეამარცხებ.

— გულზე გამსყდარან და ეშმაკების ძვლებიეც უმტკრევიათ თუ უნდათ. მათი ბრალია, ჩვენ თუ პოლონელებს ვეომებოდით, ისინი რას ვჩრებოდნენ?

იოპანს არ მოეწონა ლილი მარლენის ასეთი სითამამე, არც ის, უცებ პოლიტიკაზე რომ დაიწყო ლაპარაკი და ამიტომაც დატუნსა.

— ეს შენი საქმე არ არის, ზომ ხედავ, პოლიტიკამ როგორ დაღუბა ქვეყანა...

ლილი ვაჩერდა, მაგრამ მაინც მშვილდითი მოზლიდული იქდა.

— ახლა სად მუშაობენ, — ვკითხე იოპანს და მე თითოთნ გამიკვირდა როგორ უცებ შევეწყნე ამ ახალ „სტილს“.

— საღლა ვმუშაობთ ჩემო ბატონო, ვმუშაობთ კი არა, ჯონს ვაკეენებთ ვილინოზე, აქაურ ვარიეტეში. თუმცა ამას რა დაკვრა ქვია, მუსიკა არავის აინტერესებს, ვეველა რაღაც გიქურ ცეკვებზეა გაღარეული, ჯანებზე, ხმაურზე. ჩვეიც ვლაღობობთ იმ ცხოვრებულ სტრადივარიუსს და ჯოხით ვაკეენებთ მისი მგალობელი ინსტრუმენტის სიმებზე... რას იზამთ, ასეთი შოდაა ახლა. უწინ ბეთოჰენის ვუკრავდით, ვაგნერს, ეხლა ეშმაკმა იცის, რას არ გვიჩიან ხელში...

— ბაბუ, შე რამდენჯერ გირჩიე საშხედრო

ორკესტრში ვადადი-მეთქი, აი, იქაა ნამდვილი მუსიკა, — ჩაერია სუბარში ისევ ის მეტრიანაა ლილა.

— თქვენც ხომ ხედავენ, ბატონო, — მომიბრუნდა იოჰანი — ეს არის ახალგაზრდების მუსიკა... სამხედრო ორკესტრი...

— ეს ძველი პრუსიული გატაცებაა, ჩემო ბატონო, — ვუთხარი მე. თქვენებისაგან გამივინობია, როგორც ბებრები მღერიან, ახალგაზრდებიც ასე კიციკებენო...

ზახუა იოჰანი მიხედა ამ გადაკრულად ნათქვამის აზრს, მაგრამ გაჩუმდა. ლილი მარლენი კი მაშინვე მოახტა თავის ბედაურს:

— ამა რა, სამხედრო მუსიკა რაზმავს იდეალიზმს, თქვენი გულისგაშუქლებელი სიმფონიები კი ძილს გვეგვირან!

— ეჰ, ბატონო, — ამოიხვეწა იოჰანმა — ქვეყანას ტვინი ვადაუბრუნდა. ყველა იმაზე ფიქრობს, რა გატეხოს, ამოთხაროს, ან დაანჯროს. საბარკეღის ჩაყრა და გამაგრება კი არავის უნდა ეს მოუმიწყებელი ბალებიც სულ ნგრევასა და მოსპობაზე ფიქრობენ. ასე უფრო გატეხილდა, სად წავა, ბატონო! იდეალიზმი ერთმანეთს ამოწყვეტენ და ვინ-ღა იტყვობს ამ გაოხრებულ ქვეყანაზე?

მე რა უნდა მეთქვა? ასეთ დროს სტუმარს ნამომარს ვერცვიან. მეც რაღაც ამის მსგავსი ვუთხარი და ნუგეშისათვის დავემატე:

— რას იზამთ, მოთმინება ანდამატზე მტკიცეაო, — ასე ამბობს თქვენებური ანდაზა. დრო გაივლის, ტკივილები დაუწრდება და ისევ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებით. აღმაზნი იმედით ცხოვრობს.

— ეჰ, ჩემო ბატონო, ჩვენებური ანდაზა იმასაც ამბობს, იმედით თოკია, რომლის ბოლო სიკვდილს უჭირავსო.

— გული მაინც არ უნდა გაიტეხო, ვინ იცის, რა მოხდება.

— რა ვიცი, ჩემო ბატონო, ჩვენ კი ამოვწვლით და აწი რა უნდა მოხდეს, სულერთია, მდინარე მთავრე ვერ ავა, ისევ დაღმართს უნდა ღუეყვეს და თავის დასასრულისაკენ გასწიოს. ისეც ბედისწერაა. მშვიდობის დროს შეიღობი მარხავენ მამებს, ომის დროს კი მამები შეიღობს. მე არც ერთისა ვარ და არც მეორისა. ეს ერთი შეილიშვილი შემარჩა მხოლოდ. ჩემს მეტი ყურისმიწვდები არავინა ჰქავს, არც დედა, არც მამა, ყველანი დაიღუპნენ ან გადააყარგნენ. ცოცხლებიც რომ იყვნენ, ამ ნაცარგანიანებულ ქვეყანაში ვინ მიაგნებს მათ კვალს. უფროსმა შეიღმა სამოც წელს რომ ვადააიღლა, მაშინ იხოვია ცოლი, თანაც ისეთი როკაბი დედაკაცი ჩვენში რომ იტყვიან, ბოსელში რომ შეიხედოს ბოები დაბრმავებდიანო. ვარდა ამისა, სამოცი წლის კაცი რომ ახალგაზრდა ცოლს მოიყვანს, ბატონო, შინ სიკვდილს ეპატივება... ასეც მოხდა, ორი წლის შემდეგ ის ჩემი ბივი

ისე მოკვდა გულის დამბლით, რომ შეილი არ დარჩენია. უმცროსის შესახებ ორი წელია არაფერი ვიცი. მისი ქალბატონი, ამ ჰედეს დედა, სადაღც გაქრა უცხო მამაკაცი ერთად. ნათესავები შემომეფანტნენ და დაფრჩი მართო, სულ მართო, აი ამის ამარა ახლა იმისიც მემინია, ესეც დედის კვალს არ გაყვეს. ხომ გავიგონიათ ანგელოზი რომ დაბერდება, ვშმაკად იქცევაო. ჰოდა, რაც ფრინველია კვერცხსაც ისეთს სდებს.

ერემლი მოერია, ჰედა გვერდზე მოისვა და მიუთარესა.

— რა უნდა ვქნა? სიბერე ჩამიწირდა, ცხოვრებამ წამხაზად ვადამაქცია. ამდენი უბედურების ვადამტანი ვზოგარ და ვუცრავ რაღაც სახტუნაო მელოდებს. თუმცა რა გვებტუნება, ბატონო, ქვეყანა დანგრეულია. თქვენც ხომ ხედავენ, ჩვენი ბერლინი რა დღეაო; მის ნანგრევებში კი ვარიეტები გამართეს, სადაც ისევე ტიტველი გოგოები ცეკვავენ. მეც ვითომ ვუცრავ, სინამდვილეში კი თითებს ვაბარტუნებ სიმღერე. მე, ბერლინის ოპერის პირველი მემეიონი! უნდა ამაზე მეტად რითი დასცინებს იდეალიზმს? ჰედა არ სჯობდა მეც მომკვდარიყავი? მაგრამ რას იზამ, თავი ვერ მოვივალი. ასეთია კაცის ბუნება, ისე არავინ არ ბერდება, რომ კიდევ ერთი წელი სიცოცხლე მაინც არ უნდოდეს. მეტი რა გზაა, თუ ისე არ შეგვიძლია ვიცხოვროთ, როგორც გვინდა, უნდა ვიცხოვროთ, როგორც შეგვიძლია.

### პრინსტლის ლამი...

შემეცოდა ეს გაუბედურებული მოხუცი, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ვეუბნებოდი და ისევ ქიკა შეუძსე. უხმოდ ვადაქრა, ეტყობოდა ძალან ესიამოვნა, „გამადლობთ“ — მოთხრა და ერემლი მოიწმინდა...

— ბოდიში, ბატონო — თქვა მერე, — შეგაწუხებ ჩემი წუწუნით...

— ასეთმა წუწუნმა დაღუპა გერმანია, — ჩავევრია ამის ლილი. ომი მსხვერპლს მოითხოვს, ვინც ესიამოვნებს მზად არ არის, არც ნამდვილი გერმანელია. ყველამ რომ ასე იწუწუნოს, საშობლოსათვის ვინდა გასწირავს თავს?

— თქვენ გგონიათ საშობლოსათვის ზრუნვა აუცილებლად ომსა და თავის ვაწირავს ნიშნავს? — შევეკითხე მე.

— ამა როგორ? — გააკვირვა მან, — ომის ვარეშე რას მოვიპოვებთ.

ეს მე ეხმარობ ამ სიტყვას „მოვიპოვებთო“, თორემ ჰედამ krieg-en-ო თქვა. ქართულად ეს „ომით მოპოვებას“ ან, ასე რომ შეიძლება ვამოთქვას, „მოვიპოვებო“ ნიშნავს. მე ყოველთვის მაღიზიანებდა გერმანულში ორი სიტყვის krieg-en-ისა და kämpfen-ის მოჭარბებული ხმარება. საქმე ერთი ნა-

ჭერი ძეხვის შოვნას რომ ეხებოდეს, გერმანელი მაინც იტყვის „habe gekriegt“, ე. ი. ომით მოვიპოვე, ანუ „მოვიომო“. მე-დასაც ამიტომ ვეთხარი, სხვისი რამ რატომ უნდა „მოვიომო“-მეთქი. გვეყვირდა. როცა ჩვენი არა გვეოფნის, უნდა სხვისი „მოვიომო“, ანა რა უნდა ვწათო.

— ჰედა! სისულულეებს ნუ ლაპარაკობ, — დატუქსა ბაბუამ თავისი „მექანაყერი პოლიტიკოსი“.

— სულაც არ არის სისულულე! — გაიბუტა ლოლი, მაგრამ თავი მაინც ბაბუას მხარზე დადო და ვატირუნა. მე მაინდოდა სიუბარო ჩემთვის საინტერესო საკითხებისათვის მიმეხალა ვეზინა, ამიტომაც დავიწყე:

— თქვენ ბრძანეთ მსხვერპლის შესახებ. მეტი და განა მარტო გერმანელებმა გაიღეს მსხვერპლი? ყველაზე მეტი მსხვერპლი ჩვენ გავიღეთ... და მე მოვუყვები თუ რა საშინელ დანაშაულს ჩადიდონენ ისინი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; უფაზე მათი თანამეგობრელების თარეშობასა და ავკაცობაზე, „გაზუგუნებას“ და საკონცენტრაციო ბანაკებზე. ბევრი ისეთი რამ ვეთხარი, აღამიანს თმა უღაყზე დაუდგებოდა...

მთელი ამ წნის განმავლობაში ლილი მარლენი ალტაცებით მომწერებოდა, თვალები უბრწყინავდა. ამჟამად ეტყობოდა, რომ ყველაფერი ეს დიდ სიამოვნებას გვკრიადა. მოხუცი იოჰანი კი პირველს ისახავდა და შეშინებულად ბურტყუნებდა:

— შეუძლებელია, შეუძლებელია... როგორ შეიძლება აღამიანმა ასეთი რამ ჩაიდინოს... მით უმეტეს, გერმანელმა... ჩვენ კულტურული ვართ, ბატონო... როგორ გვეკადრებათ... ამას გერმანელები როგორ ჩაიდინდნენ?!

— განა თქვენ არაფერი იცოდით ამის შესახებ? — ვკითხე მე... უკვე ჩვეულებრივი გრამატიკით.

— არა ბატონო, როგორ გვეკადრებათ... ეს რა ესმის ჩემს ყურებს... ასეთი რამე ზღაპრადაც არ გამოვიჩინა!..

ლილი მარლენმა რატომღაც ემშაყურად ჩაიყინა, მაგრამ მერე შეშინებული თვალებით შეხვდა ბაბუას და გაიხრდა. იოჰანი კი განავრძობდა:

— ეს რომ ასე იყოს, მე თვითონ დავწყველიდი, ბატონო, ჩვენს მოღმას.

— რატომ? — აღელდა ლილი მარლენი — მტერი იმის მტერია, რომ მოსპო.

— ვინ არის მტერი? — ვკითხე მე.

— თქვენ, ებრაელები და წითლები!

შეშინებულმა იოჰანმა სცადა ლილის გაიყვება, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. იგი მეტად აღვზნებული ჩანდა, არ ვიცი ამ უსიამოვნო ლაპარაკით, თუ იმ ერთი ჭიჭა არაყის ზე-

ვავლენით, ბაბუას დიუქითხავად რომ გავაქარა.

— თქვენ ხომ არც გინახავთ ებრაელები? — ვკითხე მას.

— აკი ვითხარით, რომ არა, მაღლობა ღმერთს, ისინი უკვე აღარ არიან გერმანიაში!

— რატომ? ადრე ხომ იყვნენ? ანა, სად წავიდნენ!

— ფიურერმა მოსპო ისინი!

— რამდენი?

— რამდენიც იყო!

მე ისევ იოჰანს მივებრუნდი:

— არც ამის შესახებ იცოდით რამე?

— არა, ბატონო, როგორ გვეკადრებათ... — გაასავსავა მან ხელები — გამიგონია, ებრაელები გადაასახლეს სადღაც, მაგრამ მე არ მყოლია ებრაელი ნათესავები და არც არაფერი გამიგია მათი მოსპობის შესახებ, ან იქნებ არ დაინტერესებულვარ...

— „კრისტალის ღამე“ ხომ გაგიგონიათ? — არ მოვეშიე მე.

— ეს, ჰო, მგონი რაღაც კი გავიგონე, მაგრამ ჩვენში ამბობენ, ერთ თვალს უფრო დეკრება, ვიდრე ორ უფროსო. დანახვით კი არ დამინახავს, თან იმის შემდეგ დიდი ხანი გავიდა...

— საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ თუ იცით რამე?

იოჰანი ისე აღელდა, რომ თვითონ დაისხა არაყი, მერე გამოტრკეა და შეშინებულად წამოიძახა:

— ბოდიში, ბატონო!..

— მიირთვით, მიირთვით, — შევაგულდიანე მე.

არაყი კი მიირთვა, მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკებზე რომ შევეკითხე ის ეთომ დავიწყედა. იძულებული ვიყავი შემეხსენებინა.

იფიცა ყველაფერი. საკონცენტრაციო ბანაკი მე შრომა-გასწორების დაწესებულება მეგონა, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულებს ათავსებდნენ, თორემ იქ თუ ხალხს ზოცავდნენ, ეს რა ვიციოდით...

თოქსა გრებდა თორემ, როგორ არ იცოდა რა ხდებოდა. თუმცა სხეებიც ხომ ასე იქცეოდნენ კალტენბრუნერიდან დაწყებული რიგით მოქალაქეებამდე. ნათქვამია, სადაც ყველა ტყუის, ყველა მართალიაო, მაგრამ როცა მართლმსაჯულების საკითხი დადგა, ეს „ბრძნული“ სენტენცია ნაკლებ გამოსადეკი აღმოჩნდა. მეც ამიტომ ჩავილაპარაკე:

— ფსალმუნში წერია — თვალები აქვთ და არა ხეღვენ, ყურები აქვთ და არა ისმენენ.

ლილიმ სიცილი შეიკავა და საშპარელოში გაიტყა. იოჰანმა შეშინებული თვალები გაყოლა მას.

— ვერც წარმომიდგენია, გერმანელმა როგორ უნდა ჩაიდინოს ასეთი სისასტიკე, — გა-



ნაგრძობ მან. ჩვენ ბატონო, როგორც მოგვხსენებთ, სანტიმენტალური ხალხი ვართ, მუსიკა და ოჯახი გვიყვარს, სამსახური, ზელობა — ესაა ჩვენი საქმე. ამბობენ, გერმანელებს გონება ხელგამო აქვთო. ჩვენს ოჯახში ყველა ხეთისნიერია. ასეთ სისასტიკეს ვინ ჩაიდენს?

— ვთქვათ თქვენს ოჯახში არა, მაგრამ სხვებში?

— არც სხვებში, ბატონო, ამას ვინ იკადრებს! გერმანელი ისე სულით ღარიბი როდია, რომ სიკეთის ფასი არ იცოდეს.

ლილი ისევ შემოვიდა და თავის ადგილას დაჯდა. შე მინდა ლამაზად გავაძწვირო...

— აგერ პედას ვკითხოთ, რას უზამდა ებრაელებს და წითლებს, მისი საქმე რომ იყოს?

— ყველას ჩამოეხარჩობდი, — მაშინვე წამოისროლა მან.

— შენ თვითონ ჩამოხარჩობდი?

„გონიერი“ ხელები წინ წამოსწია, თითები მოკრუნჩხა, ფართო თეთრი კბილები გააღწვა და გველივით გაისისინა:

— ჰო, შე თვითონ, აი ამ ხელებით!

— ჰედა, შენ სისულელეებს რომე! — გაბრაზდა ბაბუა.

— არაფერსაც არ ვროშავ, ეს ჩვენ ფიურერმა გვასწავლა...

— იმ თქვენმა ფიურერმა მოატყუა გერმანელი ხალხი! — თქვა იოჰანმა.

— არაფერიც! — გაწიწმადდა ლილი მარლენი, მაგრამ შე შევაწყვეტინე და იოჰანს მიემართე:

— ხომ გავიგონიათ, ვინც ადვილად იყვრება, ადვილადვე ტყუილებს. გოეთემაც იკითხა, „განა შეიძლება ხალხის მოტყუებაო?“ და თვითონვე უპასუხა, არაო. მისივე სიტყვებია: „აღაშინი თავს იტყუებს თორემ ისე ვერვინ მოატყუებსო“; მით უმეტეს — ხალხს.

იოჰანს ამაზე არაფერი უთქვამს, ჰედამ კი ისევ აუშვა იაღქნება.

— ჩვენს ფიურერს არავინ მოუტყუებდა. იგი იმას აუთებდა, რაც გერმანელ ხალხს უნდოდა.

მერე ბაბუას მიუბრუნდა:

— შენ თვითონ არ ამბობდი, გერმანია ებრაელებმა და კომუნისტებმა დაღუპესო!

— შე? — შეიცხადა მოხუცმა.

— ჰო, შენი — შეუტია ლილიმ.

უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. იოჰანი დაიბნა. ლილი კი ისევ საჩუქრად დასაყამათოდ იყო მომართული.

გერმანელები ამბობენ, სიბრძნე ძალას მატებს მომხიბვლელობასო, როგორც ჩანს, არც სიბრძივე უშლის ამას ხელს. ლილი ისე გულწრფელი იყო თავის სისულელეებში, რომ უფრო მომხიბვლელადაც კი გამოიყურებოდა; მომხიბვლელობა კი, მოგვხსენებთ, მშვენიერებაზე უკეთესია...

ლილი ვერც ბაბუას მუქარამ გააჩერა, ვერც თხოვნამ და ისევ თავისას გაიძახოდა:

— ახლა სხვაე ბევრი ამბობს, ფიურერმა მოგვატყუაო. ისინი მხდალები არიან და ვშინიათ. ამიტომაც სტეხენ ფიცს და ლალატობენ ფიურერს.

— სადღაა თქვენი ფიურერი?

— სადაც არ უნდა იყოს, იგი მინიც ფიურერია!

— მაშ ყველანი საფლავში უნდა ჩაყვით მას!

— თუ ფიურერი მოგვიხმობს, არც ამისი შეგვეშინდება!

— ჰედა, გაიუშდი! — ახლა კი ხმას აფშალდა იოჰანმა. უნდოდა როგორმე გაეჩერებინა ის ენაქარაიანი კაჭკაჭი, მაგრამ რა უნდა ექნა?

— ჰო, კარგი, გაეჩუშდები, — თქვა ჰედა და ისევ ბაბუას დაადო მხარზე თავი. ალბათ მიხვდა რომ აწყენინა.

ამის შემდეგ საუბარს თავი ვერ მოება. იოჰანმა მკითხა, რამე იმედი თუ შეიძლება მჭონდეს, შეილი რომ დამიბრუნდებო.

— ამბობენ, მოკავშირეთა ჯარებმა მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაატყუვესო, — შესაძლებელია, თქვენი შეილიც მათთან იყოს და დაბრუნდება-მეთქი, — მივუგო მე.

ლილი მარლენმა ისევ იფეთქა:

— მაშინვე არ შეიძლება ტყვედ იყოს!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ესესელია და ფიურერის ერთგული!

იოჰანმა გაეცა ამკობინა. სტუმარი მანამ უნდა წავიდეს, ვიდრე მასხინძელს თავს მოაბეზრებდესო, — თქვა, მადლობა ვაღაშინადა საუბრისათვის და ფეხათრევიტ გავიდა ოთახიდან...

## ქართული ასოეთაპრული

მედიცინა

ივანე ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელია. სახელთანავე მეცნიერმა უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული დამწერლობათა-მცოდნეობისა ანუ პალეოგრაფიის მეცნიერულ დარგს. თავისი ფუნდამენტალური ნაშრომის წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„წინამდებარე გამოკვლევა ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ დაწყებული მქონდა 1914 წ., როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შევუძღვებ, მაგრამ შევსებული და დამთავრებული მაქვს 1918-1921 წწ. ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ, სადაც ამ ხნის განმავლობაში, სხვათა შორის, ქართული პალეოგრაფიის კურსსაც ვკითხულობდი“.

სამწუხაროდ ისე არ მოხერხდა, რომ 1921 წელს, ივ. ჯავახიშვილის მიერ, უკვე დასრულებული ეს გამოკვლევა 1926 წლამდე გამოქვეყნებულიყო.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილი ამის გამო, თბილისის უნივერსიტეტის მოამბის მეორე ტომში, გულსტიკივლით აღნიშნავდა:

„ჩემ მიერ დაზარალებული ქართული პალეოგრაფია რომ გამოქვეყნებული იყოს, ან იმედი მქონდეს, რომ მისი ახლო მომავალში გამოცემა მოხერხდებოდეს, მე შემეძლო სიტყვა მოკლედ მიმეპრა“-ო.

როცა 1926 წ. ივანე ჯავახიშვილის ქართული პალეოგრაფია გამოქვეყნდა, ბოლოსიტყვაში დიდმა მეცნიერმა თქვა:

„ჩემი მიზანი იყო ქართველ მეცნიერთა და მკითხველთათვის ცხად-მყოფი, რომ ქართულ დამწერლობას თავისი მრავალსაუფუნო-

ვანი საგულისხმო ისტორია აქვს, რომელიც ჩვენი ერის ინტენსიური კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედების ნაყოფია და რომლის შესწავლასაც ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც კულტურის ისტორიის სხვაგვარი გამოხატულებას. მინდოდა საისტორიო მეცნიერებათათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენი საფუძველი დასდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევა-ძიების საგნად ქცეულიყო“.

ესე სწამდა ივანე ჯავახიშვილს, ასეთი იყო მისი რწმენა და სურვილი.

მას შემდეგ 50 წელიწადმა განვლო. მთელი ეს დრო აღბეჭდილი იყო ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული თვალსაზრისის ლოგიკური დამაჯერებლობით; ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის ივანე ჯავახიშვილისეულმა კონცეფციამ გაუძლო დროსა და გამოცდას. უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის წყალობით, ქართულ ისტორიულ მეცნიერებას უოველთვის მქონდა იმის შესაძლებლობა, რათა დაეცვა ქართული დამწერლობის თვითმყოფადობისა და ეროვნულობის ზოგადი პრინციპი.

უველა ერთი თავის დამწერლობას, ავად თუ კარგად, თვითვე მქმნის. ეროვნული დამწერლობა იქმნება მაშინ, როცა ამისი მოთხოვნილება არსებობს. სხვა საკითხია, თუ რომელი დამწერლობის საფუძველზე ზდება ეროვნული დამწერლობის შემოღება. ქართული დამწერლობა, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მთუხედავად იმისა, რომ ქართული დამწერლობის კვლევის საქმეში გაწეულია ესოდენ

დიდი შრომა, ამ დამწერლობის წარმოშობისა და სადაურობის საიდუმლო თავის საბოლოო ამოცნობას თხოვლობს. ამ საიდუმლოს ამოცნობას, კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, არა მხოლოდ ვიწრო ეროვნული, არამედ ზოგად-კაცობრიული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ასომთავრული დამწერლობის კვლევისას, მე მივყვები იმ გზას, რომელიც

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გაცვალა. მეტსაც ვიტყვი, ივანე ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“ ჩემი ნაშრომის „საფუძველთა საფუძველია. ეს გარემოება დიდი მეცნიერისადმი ჩემი უღრმესი პატივისცემის გამოხატვის უფლებას მანიჭებს, ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ ეს ნაშრომი მის სხვადასხვა ექვძენა.

ქართული ასომთავრული“ ივანე ჯავახიშვილის ეძღვნება.

## შესავალი

კაცობრიობამ ხანგრძლივი ისტორიული გზა განვლო, ვიდრე დამწერლობის ყველაზე მეტად სრულყოფილ სისტემას — ანბანურ ანუ წმინდა ფონეტიკურ დამწერლობას შექმნიდა.

ანბანური დამწერლობა ენის ფონეტიკას, საერთო ენის სტრუქტურას გაცილებით უკეთ ასახავს, ვიდრე სხვა სახის რომელიმე დამწერლობა. ამდენად ენასა და დამწერლობას შორის დიდმნიშვნელოვანი ურთიერთკავშირია. დამწერლობა ცდილობს შეძლებისამებრ ზუსტად ასახოს ენის ფონეტიკური თავისებურებანი, ენის ფენომენი. რაც უფრო უკეთ ახერხებს ამას დამწერლობა, მით უფრო სრულყოფილია იგი.

დამწერლობა მეტყველების გრაფიკულ ფიქსაციაა. მაგრამ დამწერლობის ადრეულ საფეხურზე მეტყველების ფონეტიკური ფიქსაცია არ არსებობდა.

ე. წ. პიკტოგრაფიული დამწერლობა — დამწერლობის ყველაზე უფრო ადრეული და პრიმიტიული სტადიაა. პიკტოგრაფიული დამწერლობა სურათ-ხატოვანია: სხვადასხვა სურათ-ხატოვან გამოსახულებათა ერთობლიობა ერთ გრაფიკულ კომპოზიციად ერთიანდება და რაიმე შინაარსის შემცველია. ასეთ დამწერლობას მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების შინაარსის გადმოცემა შეეძლო. პიკტოგრაფიული დამწერლობის ნიშანდობლივი თვისებაა: იკითხება, მაგრამ არ გამოითქმის, ასეთი სახის დამწერლობა შეიძლება ნებისმიერ ენაზე წაკითხულიყო. ეს

იყო მეტყველების გადმოცემის არა ფონეტიკური, არამედ სემანტიკური საშუალება.

პიკტოგრაფიული უნდა ყოფილიყო არქაული ხანის ე. წ. დინასტიამდელი ეგვიპტური დამწერლობა<sup>1</sup> აგრეთვე აცტეკებისა, ამერიკელი ინდიელებისა და ჩრდილო პოლარეთის ხალხთა დამწერლობანი<sup>2</sup>. პიკტოგრაფიული ხასიათის წარწერებს თითქმის ყველგან პპოულობენ. ასეთ წარწერებს ქმნიდნენ როგორც პრეისტორიული ხანისა და ადრეული ცივილიზაციის ხალხები, აგრეთვე ჩრდილო ამერიკისა, ცენტრალური აფრიკისა და ავსტრალიის თანამედროვე აბორიგენი ტომები.

დამწერლობის განვითარების მომდევნო საფეხურზე, წმინდა სახის ე. წ. იდეოგრაფიული დამწერლობა მეტყველებას უკვე სიტყვებად ანაწევრებდა, იცავდა სიტყვების სინტაქსურ თანამიმდევრობას. იდეოგრაფიულ დამწერლობაში ხატოვანი ნიშანი არა მხოლოდ საგნის, არამედ ცნების აღმნიშვნელიცაა. მიუხედავად ამისა იდეოგრაფიული დამწერლობა თავისი არსით პიკტოგრაფიული დამწერლობის მხოლოდ და მხოლოდ რამდენადმე უფრო სრულყოფილ ნაირსახეობას წარმოად-

<sup>1</sup> იხ. სპეც. ლიტ-რა: Н. С. Петровский. Египетский язык. М., 1958. М. А. Коростовцев. Египетская филология. М., 1963.

<sup>2</sup> В. А. Истрин. Возникновение и развитие письма. М., 1965. гл. 62—77; Эрнст Дольхофер. Знаки и чудеса. М., 1963. гл. 31—38.

გენს და მეტყველების ფიქსაციის სემანტიკურ საშუალებად რჩება.

მაგრამ თანდათანობით, დამწერლობის განვითარების შემდგომ გარდაამავალ ეტაპზე ცნების აღმნიშვნელი ნიშანი ე. წ. იდეოგრამა ბგერულ, ფონეტიკურ მნიშვნელობასაც იძენდა. ამ თვალსაზრისით იდეოგრაფია იმ პროცესის საწყისია, რამაც სემანტიკური დამწერლობა ფონეტიკურ დამწერლობად აქცია.

დამწერლობა ფონეტიკურია, როცა პირობით გრაფიკულ ნიშნებს არა საგანთა ან ცნებათა, არამედ რომელიმე კონკრეტული ენის ბგერათა მნიშვნელობა აქვთ. ასეთ შემთხვევაში გრაფიკული ნიშანი გამოითქმის. მაგრამ გრაფიკულ ნიშანს შეიძლება ჰქონოდა სიტყვისა, მარცვლისა ან ბგერის ფონეტიკური მნიშვნელობა.

ამ თვალსაზრისით უძველეს ცივილიზებულ ხალხთა დამწერლობა რთულ ფონეტიკურ პრინციპებზე იყო აგებული. ძველი ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა იყენებდა როგორც იდეოგრამას — ცნების აღმნიშვნელ ნიშანსა და ლოგოგრამას — სიტყვის აღმნიშვნელ ნიშანს. აგრეთვე სილაბოგრამებსა და ცნების განმსაზღვრელ დეტერმინატივებს. ძველი ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა თავისი ფონეტიკური არსით ლოგოგრაფიულ-სილაბური დამწერლობა იყო, ოღონდ სილაბოგრამებში ხმოვნები არ აღინიშნებოდა. ნიშანთა რაოდენობა ეგვიპტურ იეროგლიფიკაში 600 აღწევდა.

ძველი შუამდინარეთის შუმერულ ლურსმულ დამწერლობაში მიღებული იყო რამდენადმე მსგავსი ფონეტიკური პრინციპი. ერთიდაიგივე გრაფიკულ ნიშანს შეიძლება ჰქონოდა როგორც ლოგოგრაფიული მნიშვნელობა, აგრეთვე სილაბური მნიშვნელობაც ან ცნების განმსაზღვრელი დეტერმინატივის ფუნქცია შეესრულებინა. ძველი შუმერული ლურსმული აგრეთვე ლოგოგრაფიულ-სილაბური დამწერლობა

იყო, ოღონდ შუმერული სილაბოგრამა ეგვიპტურისაგან განსხვავებით შეიცავდა როგორც თანხმოვან, ასევე ხმოვან ბგერებს.

შუმერული ლურსმული დამწერლობა პირველებმა აქადის სემიანებმა გადაიღეს. შუმერულ-აქადურ ლურსმულში 600-მდე გრაფიკული ნიშანი იყო.

მოკლედ შეიძლება მოვკრათ: ეგვიპტის, შუამდინარეთის, მცირე აზიის, ინდოეთის, ჩინეთის, ცენტრალური ამერიკის ძველი ცივილიზაციის ხალხებს დიდად განვითარებული დამწერლობა ჰქონდათ, მაგრამ ამ დამწერლობათა არსი არ გასცილებია დამწერლობის ლოგოგრაფიული სისტემის ფარგლებს. მხოლოდ ზოგიერთ ხალხთ ზვდათ წილად შეემუშავებინათ უფრო სრულყოფილი, დამწერლობის წმინდა სილაბური სისტემა, მაგრამ ანბანური დამწერლობა მხოლოდ ერთმა ერმა შექმნა.

დამწერლობა ანბანურია როცა გრაფიკულ ნიშანს ცალკეული ბგერის მნიშვნელობა აქვს. ანბანურ დამწერლობაში გრაფიკული ნიშანი (გრაფემა) არც იდეოგრამაა, არც ლოგოგრამა და არც სილაბოგრამა, არამედ ენის უმცირესი ფონეტიკური ერთეულის ბგერის აღმნიშვნელია.

დამწერლობის წმინდა ანბანური სისტემის შემოღებას კაცობრიობა ჩრდილო-სემიანებს (ფინიკელებს) უნდა უმადლოდეს. არც ერთ სხვა ერს მსოფლიოში დამოუკიდებელი ანბანური დამწერლობა არ შეუქმნია. უფრო სწორად რომ ითქვას: დამწერლობის ანბანურ სისტემას მხოლოდ ერთმა ერმა მიაგნო და ამდენად ანბანური დამწერლობა კაცობრიობამ მხოლოდ ერთხელ შექმნა *«C'est la une invention qu'on ne peut faire deux fois»* — ეს არის მიგნება, რაც არ შეიძლება ორჯერ მოხდეს. ამბობს ცნობილი პალეოგრაფი მორის დიუნანი.

ყველა სხვა ერთა ანბანურ დამწერლობას, საბოლოო ჯამში, ჩრდილო-

სემური ანბანური დამწერლობა დაედო საფუძვლად.

ახლა ვასარკვევია ფინიკური დამწერლობის ანბანური სისტემის არსი და რაობა.

ფინიკურ დედა-ანბანში სულ 22 ასო-ნიშანი იყო. ფიქრობენ, რომ ჩრდილო-სემური ანბანი უნდა წარმოშობილიყო დაახლოებით XV-XIV სს. წელთაღრიცხვით. საკუთრივ ფინიკურმა დამწერლობამ ახალი წელთაღრიცხვის დამდევამდე იარსება. თავისი არსებობის მანძილზე ფინიკურ ანბანურ მწკრივს, ასო-ნიშნების რაოდენობისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით, ცვლილება არ განუცდია; არც წერის მიმართულება შეცვლილა, იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. დროთა განმავლობაში რამდენადმე მხოლოდ და მხოლოდ ასო-ნიშნების გრაფიკული მოხაზულობა იცვლებოდა.

აქვე რამდენიმე წინადადებით აღრე აღვნიშნე, რომ ანბანში ასო-ნიშანი ანუ გრაფემა იდეოგრამა არ არის მეთქი, ოღონდ იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობის გაგებით, რადგან ფინიკური ანბანის 22 ასო-ნიშანი 22 იდეოგრამაა. მაგალითისათვის: პირველი ფინიკური ასო-ნიშანი ხარის იდეოგრამაა, მეორე—სახლისა, მეოთხე—კარისა, მეთექვსმეტე—თვალისა და ა. შ. შესაბამისად, პირველი ასო-ნიშნის სახელი ალფ—ხარს ნიშნავს; მეორე ასო-ნიშნის სახელი ბეთ — სახლს ნიშნავს; მეოთხე ასო-ნიშნის სახელი —დალეთ — კარს ნიშნავს და ა. შ. (ასო-ნიშნების სახელების პრინციპის შესახებ ცალკე მაქვს საუბარი).

უკველ სემურ ასო-ნიშანს მინიჭებული აქვს საკუთარი იდეოგრაფიული სახელის პირველი ბგერის მნიშვნელობა. იდეოგრაფიული ნიშნის ასეთი წაკითხვის წესს აკროფონიული პრინციპი ეწოდება. სემურ ანბანურ მწკრივში პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამა—აკროფონია; მეორე გრაფემა სახლის იდეოგრამა—აკროფონია. სულ სემური ანბანი 22 იდეოგრამა—აკროფონს ითვლის.

დამწერლობის სემური ანბანური პრინციპიც ეს არის. აკროფონიული პრინციპი რამდენადმე ცნობილი-იყო ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობაში, მაგრამ აკროფონიის იდეა სრულყოფილ ანბანურ პრინციპად პირველად ჩრდილო-სემურ დამწერლობაში განხორციელდა.

სემური ანბანური მწკრივი 22 კონსონანტს ითვლიდა. ცალკე ასო-ნიშნები ხმოვნებისათვის სემურ ანბანში არ იყო. მაგრამ უკვე ძალიან ადრეულ ხანაში ზოგიერთ ასო-ნიშნებს სემიანებმა ხმოვანი ბგერების მნიშვნელობაც მიანიჭეს.

ამდენად დამწერლობის ანბანური სისტემა, რომელიც ჩრდილო სემიანებმა შექმნეს, უმარტივეს და ყველასათვის ხელმისაწვდომ დამწერლობად იქცა. ამ თვალსაზრისით იგი უთუოდ დაუპირისპირდა მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულ ლურსმულ, დამწერლობის რთულ თეოკრატიულ სისტემას. ანბანური დამწერლობის სიმარტივემ მის ფართო გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი.

ფინიკური დამწერლობა საფუძვლად დაედო მის ორ ძირითად განშტოებას: დასავლეთში—ბერძნულსა, ხოლო აღმოსავლეთში სემურ არამეულ დამწერლობას.

ამის შესახებ კარგად წერს პალეოგრაფი ვ. ა. ისტრინი:

«Буквенно-звуковое письмо распространялось по двум важнейшим направлениям. На востоке — на основе финикийского возникло арамейское письмо, от которого ведут свое происхождение почти все буквенно-звуковые и некоторые слоговые системы Азии. На западе — на основе финикийского сформировалось греческое письмо, от которого ведут происхождение все системы письма европейских народов...<sup>1</sup>

ზემოთ უკვე ითქვა ფინიკური დედა-ანბანის კონსონანტიური ხასიათის შესახებ. სემური კონსონანტიზმი ეს იყო დაბრკოლება, რომლის დაძლევა დასავ-

<sup>1</sup> В. А. Истрин. Возникновение и развитие письма. М., 1965 წ., გვ. 303.


ლეთში მხოლოდ ბერძნებმა შესძლეს. რაც შეეხება სემურ-არამეულს, იგი კონსონანტურ დამწერლობად დარჩა, რადგან ფინიკიური კონსონანტიზმი მისთვის, როგორც სემური ენისათვის, უცხო არ იყო.

ანბანური დამწერლობის სხვა ერთა შორის გავრცელების შემდგომი გზები კარგად ცნობილია: ყველა დასავლურ ანბანურ სისტემას, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო ბერძნული ვოკალიზებული (ანუ გახმოვანებული) ანბანი და ასო-ნიშნების ბერძნული გრაფიკა: (ეტრუსკული, იტალიკური, ლათინური, კოპტური, გუთური, სლავური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და სხვ.);

ყველა აღმოსავლურ კონსონანტურ ანბანს, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო არამეული კონსონანტური ანბანი და ასო-ნიშნების სემურ-არამეული გრაფიკა: (ებრაული კვადრატული, ნაბატეური, ახალსინური, პალმირული, ფალაური, სირიული, არაბული და სხვ.).

ეს, რა თქმა უნდა, დამწერლობათა წარმოშობა-წარმომავლობის ზოგადი სქემაა, მაგრამ იმისათვის რომ გაირკვეს ქართული ასომათერულის ადგილი დამწერლობის ისტორიაში, ასეთი სქემა უფრო თვალსაჩინოა.

ამგვარად დამწერლობათა წარმომავლობისა და ურთიერთ-მიმართების უმარტივესი სქემა ასეთი იქნება:



ცხადია, ერთმანეთს ემიჯნება ორი ანბანური სამყარო: დასავლური ანბანური სამყარო და აღმოსავლური ანბანური სამყარო. დასავლურ დამწერლობათა ნიშან-თვისებაა: ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი და ბერძნული გრაფიკა; აღმოსავლურ დამწერლობათა ნიშან-თვისებაა: სემური კონსონანტიზმი და სემური გრაფიკა. გარდა ამისა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში წერის მიმართულება ყოველთვის ერთი იყო—მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო დასავლურ ანბანურ სამყაროში, პირველად საბერძნეთში, დაკანონდა აღმოსავლურის საპირისპირო წერის ერთადერთი მიმართულება: მარცხნიდან მარჯვნივ. აღმოსავლურის საპირისპირო წერის მიმართულების დაკანონებას საბერძნეთში რეფორმის მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მოხდა 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვით.

შეიძლება ითქვას: აღმოსავლური და დასავლური ანბანური სამყარო ბერძნულმა დამწერლობამ გამოიჯანა. ჯერ კიდევ არქაულ ხანაში, როგორც სჩანს იმთავითვე, ბერძნული დამწერლობის შემოღებისას, ბერძნული ვოკალიზმი გაემიჯნა ფინიკიური დედა-ანბანის კონსონანტიზმს. შემდეგ ხანაში თანდათანობით, ხოლო საბოლოოდ 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვით წერის „ბერძნული“ მიმართულება გაემიჯნა წერის „სემურ“ მიმართულებას. რაც შეეხება გრაფიკას, დამწერლობის „ბერძნული“ გრაფიკა საბოლოოდ გაემიჯნა დამწერლობის „სემურ“ გრაფიკას 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვით, როცა საბოლოოდ დადგინდა ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა და არქიტექტონიკა. წერის მიმართულების დაკანონების შედეგად, შემუშავდა ბერძნული დამწერლობის სადა-გეომეტრიული. ხაზოვანი სიმეტრიული გრაფი-

კა, დამწერლობის ე. წ. მონუმენტური სტილი. ბერძნული კაპიტალური ანუ მონუმენტური დამწერლობის შემოღების თარიღად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვისა.

დასავლურმა ანბანურმა სამყარომ ითვისა დამწერლობის ბერძნული ვოკალიზაცია, წერის ბერძნული მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო საბოლოოდ დამწერლობის ბერძნული მონუმენტური გრაფიკაც.

ბერძნული დამწერლობის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის თარიღია 403 წ. ძველი წელთაღრიცხვისა. ამ წელს ათენში ევკლიდეს არქონტობის დროს, არქინოსის გადაწყვეტილებით, შემოღებული იქნა საერთო-ბერძნული, ნაციონალური დამწერლობა. ზოგად-ბერძნულ ანბანს საფუძვლად დაედო აღმოსავლურ-ბერძნული მილეტის იონური ანბანი. უნიფიცირებისა და სტაბილიზირების შემდეგ ათენის იონური ანბანი თანდათანობით მთელ საბერძნეთში გავრცელდა და „კლასიკურ“ ბერძნულ ანბანად იქცა.

ზოგად-ბერძნული ანბანის შემოღებას 403 წ. უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა: ათენის დიალექტი საფუძვლად დაედო ძველ-ბერძნულ სალიტერატურო ენას, ხოლო ერთიანი ანბანური დამწერლობის შემოღებამ თანდათანობით გზა გაუკვალა ზოგად-ბერძნული „კოინე“ ენის გავრცელებას მთელ საბერძნეთში.

შეიძლება დავასკვნათ: ძველი წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეთა მიჯნიდან ბერძნული დამწერლობა საბოლოოდ გაემიჯნა აღმოსავლურ ანბანურ სამყაროს და თავის მხრივ დასაბამი მისცა დასავლურ ანბანურ სამყაროს.

ახლა უპრიანია ვიკითხოთ, დამწერლობის რომელ ანბანურ სამყაროს განეკუთვნება ქართული ასომთავრული დამწერლობა, აღმოსავლურ თუ დასავლურ ანბანურ სამყაროს?

ცხადია, ქართულ ასომთავრულ ანბანში არა გვაქვს არც სემური დამწერლო-

ბის კონსონანტიზმი, არც სემური გრაფიკა, არც წერის სემური მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ. *მონუმენტურობა*

ანბანური სისტემის თვალსაზრისით ქართული ასომთავრული დამწერლობა განეკუთვნება ბერძნულ და საერთოდ დასავლურ ვოკალიზებულ ანბანურ სისტემებს, უფრო ზოგადად კი დასავლურ ანბანურ სამყაროს.

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია სემური კონსონანტური ანბანური დამწერლობის ვოკალიზაციის ზოგადი ბერძნული პრინციპი, წერის მიმართულება ქართულ ასომთავრულში ბერძნულია: მარცხნიდან მარჯვნივ. მაგრამ ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა დიდად განსხვავდება ბერძნული გრაფიკისაგან.

ქართული დამწერლობის სადაურობა-წარმომავლობის საიდუმლო ჯერ კიდევ ამოცნობილი არ არის სწორედ იმის გამო, რომ ჯეროვნად შესწავლილი არ არის ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკის არსი და რაობა. ვრცლად ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას:

ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელებულია მონუმენტური დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები, მაგრამ ამ პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ბერძნულისაგან სრულიად განსხვავებული გრაფიკული სახეობის მონუმენტური დამწერლობა. ქართული მრგვლოვანი, ასომთავრული ღრმად გააზრებული გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა და ამ თვალსაზრისით იგი ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობას ეტოლება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ ასომთავრულში სრულყოფილად არის განხორციელებული ანბანური დამწერლობის ყველა ასპექტი: ქართული ანბანი ზუსტად ასახავს ქართული ენის ფონეტიკას; ქართულ ანბანში განხორციელებულია ვოკალიზაციის სრულყოფილი პრინციპი, ხოლო ქართული ასომთავრუ-

ლი დამწერლობის გრაფიკა, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ, სრულყოფილია არა მხოლოდ გეომეტრიული, არამედ შინაარსეული თვალსაზრისითაც. ყველა ამ ანბანური ასპექტის თვალსაზრისით ქართული ასომთავრული ერთერთი ყველაზე მეტად სრულყოფილი ანბანური დამწერლობაა მსოფლიოში.

ცნობილია, რომ თავდაპირველი ჩრდილო-სემურის დამწერლობა, ენის ფონეტიკის ზუსტი ასახვის თვალსაზრისით სრულყოფილი არ იყო. ამის შესახებ ინგლისელი პალეოგრაფი დ. ღირინგერი წერს: (ესარგებლობთ მისი წიგნის რუსული გამოცემით)

«Северосемитский алфавит с самого начала его существования не был совершенным, однако не один алфавит в мире не достиг совершенства и поныне, хотя казалось бы, его не так уж трудно достигнуть. Совершенство алфавита предполагает точную передачу звуков речи; каждый звук должен передаваться постоянно одним и тем же знаком, а один знак не должен передавать более одного звука. Но фактически во всех алфавитах отсутствуют знаки для некоторых звуков, и в то же время в большинстве алфавитов содержатся лишние буквы. Общеизвестно, что письменность была прежде всего попыткой точно передать речь, но даже на ранних этапах она была в значительной мере безуспешной» (გვ. 262).

## 2. ბართული დამწერლობის შემოღების ხანა

... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლისისა ნათესაუთჳანი. ამან განაერცო ენა ქართული და არღო იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვისნიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.

ლეონტი მროველი  
ქართლის ცხოვრება

ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულია ერთადერთი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა. ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ სხვა, ამ ცნობის უარყოფელი თვალსაზრისი არ

დ. ღირინგერი დასძენს: «Фонетическая система любого языка слишком сложна, чтобы ее можно было адекватно передать на письме с помощью сравнительно небольшого числа знаков» (იქვე).

მაგრამ ანბანური დამწერლობა სრულყოფილი არ არის არა მხოლოდ ენის ფონეტიკური მიზეზების გამო, არამედ დამწერლობის განვითარების ზოგად ისტორიულ გარემოებათა გამოც.

რაც შეეხება ქართულ ანბანურ დამწერლობას როგორც ისტორიულ წარსულში, ისე ამჟამად, ყველაზე მეტად სრულყოფილ ანბანურ დამწერლობად უნდა ჩაითვალოს.

ინგლისელი მეცნიერის უილიამ დელ-არდ დავიდ ალენის თქმის არ იყოს:

«Грузинский алфавит является весьма совершенным инструментом для передачи всего богатства разнообразных звуков этого языка; буквы передают каждый отдельный звук точно и ясно, и никакой другой алфавит не может сравниться с ним в этом отношении» (დ. ღირინგერის წიგნიდან. გვ. 382).

არცერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორცაა ქართული ანბანური დამწერლობა. ეს ვითარება შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამდენად ეს საკითხი თავის ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

იცის. პირველ, ქართულ ტრადიციას ეს ცნობა უცილობელ ქვეყარტებად მიანია.

ამიტომაც, განუკითხავად ამ ცნობის უარყოფა შეუძლებელია, მითუმეტეს, ფრიაზა ქართული დამწერლობის შექმ-



ნის შესახებ, ცალკე, კონტექსტს მოწყვეტილი კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ ამ ცნობის გააზრება შესაძლებელი ხდება იმ კონტექსტში, სადაც ეს ფრაზა თავის სრულყოფილ მნიშვნელობას იძენს.

კერძოდ, ფრაზა ლეონტი მროველისა „ამან (ფარნავაზ) შექმნა მწიგნობრობა ქართული“... თავის დამაჯერებლობას ჰკარგავს, თუ ეს ფრაზა არ განვიხილეთ, როგორც ამის წინ უკვე ნათქვამიდან გამომდინარე შედეგად.

გამოკვლევის ამ ნაწილს წარემძღვარა ლეონტი მროველის მრავლის მეტყველი ცნობის სრული კონტექსტი ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ. ეს კონტექსტი, რომლის დანაწევრება შეუძლებელია, ასე იკითხება:

„... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლისისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

როგორც ივ. ჯავახიშვილს უკვე გამოორკვეული აქვს, მწიგნობრობა ამ კონტექსტში დამწერლობას ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ამ სიტყვა „მწიგნობრობა“-ს ანბანის ზოგად სახელადაც ხმარობდნენ. ლეონტი მროველს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს ფარნავაზ მეფემ „შექმნა მწიგნობრობა ქართული“ ე. ი. ქართული ანბანის შემომღები იყო“.<sup>1</sup>

ამ გზის ლეონტი მროველის ცნობის ვაშლი უნდა ითქვას შემდეგად: სახელოვანმა მემკვიდრემ ერთმანეთს არ დააშორა ორი განუყოფელი ცნება — ენა და დამწერლობა. ლეონტი მროველი ფარნავაზის შესახებ ამბობს: „ამან განავრცო ენა ქართული“ და იქვე დასძინა: „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“-ო.

ვფიქრობ, ლეონტი მროველის კონტექსტში იგულისხმება ის ვითარება,

რომელიც შეიქმნა საქართველოში ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდგომ.

ქართლის ცხოვრება გვუწყობს: „მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა. ამან ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა... ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა... და წარმოსცა გვირგვინი... წარვიდა ფარნავაზ და მოარბია საზღვარი საბერძნეთისა... მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი... მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა (სამეგრელოსა) ზედა... ესამითი-ესამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხის მეგრელნი და კლარჯნი და განავის ყოველი საქმე დაშლილი...“

საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება დასრულდა.

ასეთია ქართული ისტორიული ტრადიცია, რისი ხელაღებით უარყოფა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდგომ, სავარაუდებელია, უნდა შემოღებულიყო ყველა ქართველ ტომთათვის საერთო-ქართული, სახელმწიფო ენა. ვფიქრობ, ლეონტი მროველის კონტექსტში ფრაზას „ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისისა...“ სწორედ ამ ვითარების ამსახველი მნიშვნელობა ენიჭება და საერთო-ქართულის, სახელმწიფო ქართულის შემოღება იგულისხმება. რა თქმა უნდა, საერთო-ქართულ, სალიტერატურო ენას საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართული ენის აღმოსავლურ-ქართული დიალექტი.

ამის შემდგომ უკვე სავსებით გასაგები ხდება ლეონტი მროველის კონტექსტის უკანასკნელი ფრაზა „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ე. ი. საერთო-ქართული, სახელმწიფო ენის შე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბილისი. 1949 წ., გვ. 26.

მოღება, ქართული დამწერლობის შემოღება-დამკვიდრებასაც მოასწავებდა. საერთო-სახელმწიფო ქართულენას საფუძვლად დაედო ქართული ანბანი, შემოღებულ იქნა ქართული მწიგნობრობა.

სიანს, ფარნავაზ მეფის ზეობის ხანაში, განხორციელებულა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქცია: ქართული დამწერლობა ფარნავაზ მეფემ ზოგად-ქართულ სახელმწიფო დამწერლობად აქცია. უფრო სწორად, ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას, ქართული ისტორიული ტრადიცია ფარნავაზ მეფეს მიაწერს.

აქ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ძველი წელთაღრიცხვის 403 წლის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი ბერძნული დამწერლობის ისტორიაში. საქართველოში, სიანს, განხორციელდა რამდენიმე ანალოგიური მნიშვნელობის აქცია, რაც საბერძნეთში შედარებით უფრო ადრე — 403 წელს მოხდა, როცა შემოღებულ იქნა ზოგად-ბერძნული ანუ სრულიად-ბერძნული დამწერლობა.

შეიძლება დავასკვნათ: ქართულ ისტორიულ მატრიანეში დაცულია უდიდესი მნიშვნელობის ცნობა ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ, რისი ხელ-აღებით უარყოფა შეუძლებელია.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა გავწიოთ ანგარიში: მე-11 საუკუნეში მოღვაწე ქართველ მემატრიანეს — ლეონტი მროველს მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შემოღებულია წარმართულ ხანაში და წარმართული კულტურის ძეგლია და არა ქრისტიანული კულტურისა. ქართული დამწერლობა რომ ქრისტიანული კულტურის ძეგლი ყოფილიყო ვანა მროველ ეპისკოპოსს და ქართველ მემატრიანეს ეს არ უნდა სცოდნოდა?

სიანს მე-11 საუკუნეში კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუნდაც ტრადიციულად, ქართული დამწერლობის შემოღების ხანა და ეპოქა.

რადგან ქართული დამწერლობის შემოღება ფარნავაზ მეფეს მიეწერება, სა-

ჭიროა ვიცოდეთ ფარნავაზ მეფის ზეობის წლები, რათა ამ პერიოდში განისაზღვროს ქართული დამწერლობის შემოღების სავარაუდო პერიოდიც. სამწუხაროდ, ფარნავაზ მეფის ზეობის წლები ცნობილი არ არის. ამ საკითხის თაობაზე არსებობს სხვადასხვა ვარაუდი და თვალსაზრისი. ქართლის ცხოვრება კი ამის შესახებ გვაცნობებს:

„ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა (ფარნავაზ) და სამოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ“. როცა ფარნავაზის გამეფების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, ხოლო მისი ზეობა თუ მართლაც ასეთი ხანგრძლივი იყო, ქართული დამწერლობის შემოღების მიახლოვებით თარიღის განსაზღვრაც, რა თქმა უნდა, ძნელდება.

ამგვარად, საკითხი ასე უნდა დაისვას: არსებობს თუ არა რაიმე ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის შემოღების თარიღის შესახებ?

ასეთი ტრადიციული ცნობა არსებობს.

ქართლის ცხოვრების რამდენიმე ხელნაწერში ლეონტი მროველის ზემოთ განხილულ კონტექსტს ახლავს შედარებით მოგვიანო ხანის კომენტარი, რომელიც ასე იკითხება: „აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული“. ხოლო ერთადერთ ხელნაწერში (S—4770) დაცულია სათარიღო მაჩვენებელიც, რომელიც სრულად ასე იკითხება:

„აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართული ადამს აქეთ ძღიბ წელს“. ამგვარად, ქართლის ცხოვრების ერთადერთ ხელნაწერში ქართული დამწერლობის შემოღების თარიღიც დასტურდება. „ძღიბ“ 3712 წ. ნიშნავს. ახლა საჭიროა „ადამითვანს“ ანუ ქართულ „დასაბამითვანს“ გამოვავლოთ ეს უკანასაკნელი რიცხვი. ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე ანუ დასაბამითვან, ადამიდან ქრისტემდე ქართველები 5604 წელს ითვლიდნენ. ამიტომ 5604-3712=1892 წ. ძვ. წ.

ძველი წელთაღრიცხვით 1892 წელს არათუ ქართული ანბანი, საერთოდ, ანბანური დამწერლობა არ არსებობდა.

ამიტომ, თითქოს უნდა დავასკვნათ, რომ თარიღი მცდარია და კეშმარიტებას არ შეესაბამება. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. როგორც გამოირკვა ეს საიდუმლო სათვალავადია ანუ სათვალავადი კრიპტოგრაფიული ჩანაწერი.

ქართლის ცხოვრების ხელნაწერებში აღმოჩნდა მსგავსი კრიპტოგრაფიული ჩანაწერები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, ჩვენი კვლევა-ძიებისათვის უფრო მნიშვნელოვანი:

1. ადამს აქათ 3233 წელიწადს უკან აღაშენეს რომის ქალაქი.

2. ადამს აქათ 3447 წელს უკან განძლიერდა მეფობა სპარსთა.

3. ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა ადამს აქათ 3662 წელს უკან.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის უკანასკნელი კრიპტოგრაფიული ჩანაწერი, რადგან მისი თარიღი ძალიან ახლოა ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღთან. გარდა ამისა ეს კრიპტოგრაფიული თარიღი ეხება ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენას საბერძნეთში ანუ ელინისტური ხანის დასაბამს და საყოველთაოდ ცნობილი თარიღია. თუ ორივე კრიპტოგრაფიული ჩანაწერი მართლაც კრიპტოგრამაა, ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენა წინ უსწრებს ქართული დამწერლობის შემოღებას ზუსტად 50 წლით.  $3712-3662=50$  წ. ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენისა და ელინისტური ერის დასაბამია 334 წ. ძველი წელთაღრიცხვით. ე. ი. 334 წლის შემდეგ 50-მა წელიწადმა განვლო, როცა ქართველებმა დამწერლობა შემოიღეს  $334-50=284$  წ. ძველი წელთაღრიცხვით.

ამგვარად, თითქოს მიგნებულობა ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი — 284 წ. ძვ. წ., მაგრამ სათვალავადი კრიპტოგრაფია ჯერ კიდევ ამოცნობილი არ არის.

სათვალავად კრიპტოგრამებში ჩემი ყურადღება მიიქცია სიტყვებმა „აქათ“ და „უკან“. საერთოდ კრიპტოგრაფიის არსი ის არის, რომ ჩანაწერი წინა-უკ-

მოდ უნდა წავიკითხოთ. ამიტომაც ამ სათვალავად კრიპტოგრაფიულ ჯერ „აქათ“ უნდა ვიანგარიშოთ; ქრონოლოგიკულად „უკან“. მაგ.: ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა:  $5604-3662=1942$  წელი „ადამს აქათ“. ახლა 1942 წელი „უკან“ უნდა ვიანგარიშოთ. ამისათვის ახალი წელთაღრიცხვის 1942 წელს უნდა გამოვაკლოთ ძველი წელთაღრიცხვის 334 წელი.  $1942-334=1608$  წ. ახ. წ.

ირკვევა, რომ ქრონოლოგიური კომენტარები ქართლის ცხოვრებაში სათვალავადი კრიპტოგრამების სახით ჩაწერილია 1608 წ. ახ. წ.

მეორე მაგალითი:  
ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს:  $5604-3712=1892$  წელი „ადამს აქათ“. თუ ეს კრიპტოგრამაც 1608 წ. არის ჩაწერილი  $1894-1608=284$  წ. ძველი წელთაღრიცხვით.

ამგვარად ირკვევა, რომ ქართული დამწერლობის შემოღების თარიღია 284 წ. ძვ. წ. ხოლო ეს თარიღი სათვალავადი კრიპტოგრამის სახით ჩაწერილია ქართლის ცხოვრებაში 1608 წ. ახ. წ.

მესამე მაგალითი:  
აღაშენეს რომის ქალაქი:  $5604-3233=2371$  წ. „ადამს აქათ“. თუ ეს კრიპტოგრამაც 1608 წ. არის ჩაწერილი  $2371-1608=763$  წ. ძვ. წ.

ახლა შევემოწმოთ ეს თარიღი ქართული დამწერლობის შემოღების თარიღთან:  $763-284=479$  წ. ე. ი. რომის დაარსების 479 წლის შემდეგ ქართველებს დამწერლობა შემოუღიათ. მართლაც  $3712-3233=479$  წ.

მეოთხე მაგალითი:  
გაძლიერდა მეფობა სპარსთა:  $5604-3447=2157$  წ. „ადამს აქათ“, თუ ეს კრიპტოგრამაც 1608 წ. არის ჩაწერილი:  $2157-1608=549$  წ. ძვ. წ. ახლა შევემოწმოთ ეს თარიღი ქართული დამწერლობის შემოღებას თარიღთან:  $549-284=265$  წ. ე. ი. სპარსთა მეფობის გაძლიერების 265 წლის შემდეგ ქართ-

ველებს დამწერლობა შემოუღიათ. მართლაც:  $3712 - 3447 = 265$  წ.

ირკვევა, რომ კრიპტოგრაფიული კომენტარები ჩაწერილია „ქართლის ცხოვრებაში“ 1608 წ. ახ. წ. რა მნიშვნელობა ეძლევა ამ საიდუმლო ჩანაწერებს? ვფიქრობ ამ კრიპტოგრაფიული ანუ საიდუმლო ჩანაწერების დედააზრი შემდეგია:

1. ქართული დამწერლობა შემოღებულა 479 წლის შემდეგ რომის დაარსებიდან. (ლათინები თავიანთ წელთაღრიცხვას რომის დაარსების დღიდან იწყებენ).

2. ქართული დამწერლობა შემოღებულა 265 წლის შემდეგ სპარსთა მეფობის გაძლიერებიდან (550) 549 წწ. არის სპარსეთის სახელმწიფოს დაარსების წლები. აქემენიდი კაროსის გააფრება სპარსეთსა და მიდიასი. სპარსეთის სახელმწიფოს დაარსების წელთაღრიცხვა ამ დროიდან იწყება.

3. ქართული დამწერლობა შემოღებულა 50 წლის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენიდან. (334 წლიდან იწყება ერა ალექსანდრე მაკედონელისა ე.წ. ელინისტური ერა).

4. ქართული დამწერლობა შემოღებულა 284 წ. ძველი წელთაღრიცხვით. უფრო ზუსტად: 284 წ. ძვ. წ. ქართული დამწერლობის შემოღების თარიღია. რა მიმართებაშია ეს თარიღი რომაულ, სპარსულ და ბერძნულ თარიღებთან? შეფარულად, რაიმე უპირატესობა ზონ არ ენაჭება ქართულ თარიღს რომაულ, სპარსულ და ბერძნულ თარიღებთან შედარებით?

ალსანიშნავია, რომ თარიღი 284 წელი ძვ. წ. და მისი რაობა შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ ამოიცნო ცნობაღმა მეცნიერმა ბავლე ინგოროყვამ. (ახ. პ. ინგოროყვა — „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“. უფრს. „მნათობი“ 1939 წ. №1 გვ. 163-188, პ. ინგოროყვა — „ძველი ქართული მათემატიკის ძეგლები“ 1939 წ. №1 გვ. 163-188).

ტიანე მოქცევა ქართლისა და ანტიკური ხანის იბერიის მეფეების ქვეყნის სახ. მუხეუმის მოამბე  $3712 - 3447 = 265$  გვ. 259-317).

3. ინგოროყვა წერს:

„ძველი ქართული კალენდარის შესწავლიდან ირკვევა, რომ... სახელდობრ დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედვა ქართული ქორონიკონის სისტემას“...

საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში მიღებული იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა: „ქრისტესით“; „დასაბამითგან“ და „ქორონიკონით“.

წელთაღრიცხვა „ქრისტესით“ ყველა ქრისტიანულ ხალხთათვის საყოველთაო და ერთნაირი იყო. ეს წელთაღრიცხვა ახლაც კარგად ცნობილია; წელთაღრიცხვა „ქორონიკონით“ 532-წლიანი ციკლია: 532-წლიანი მოქცევა ცნობილია აგრეთვე სახელით „აღჯა“, ეს იმიტომ, რომ ამ სიტყვის ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის გამო — როგორც ბერძნულად, აგრეთვე ქართულად  $532 = 1 + 30 + 500 + 1 = 532$ . 532-წლიანი მოქცევა ეს არის მზას (28-წლიანი) სრული ციკლისა და მთვარის (19-წლიანი) ციკლის ნამრავლი  $28 \times 19 = 532$ . წელთაღრიცხვა „ქორონიკონით“, როგორც ე.წ. „პასქალური“ სისტემა მიღებული იყო ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში, ოღონდ გამოსავალი თარიღი ამ 532-წლიანი ციკლისა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა იყო.

ძველ-ქართული კალენდარის შესწავლის საფუძველზე ბავლე ინგოროყვა აღგვს, რომ გამოსავალი თარიღი ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. მართლაც, როგორც ცნობილია 780 წელს ახ. წ. დასრულდა მე-12 მოქცევა, ხოლო 1312 წელს მე-13 მოქცევა.

(780 + 532 = 1312 წ.) შესაბამისად მე-11 მოქცევა უნდა დასრულებულიყო 780—532=248 წ. ახ. წელთაღრიცხვით. ხოლო მე-10 მოქცევა კი 248—532=284 წ. ძვ. წელთაღრიცხვით.

უნდა დავასკვნათ: 284 წელს დასრულდა ათი 532-წლიანი მოქცევა და დაიწყო მე-11 532-წლიანი ციკლი. ე. ი. ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვის გამოსავალი თარიღი ყოფილა 284 წ. ძველი წელთაღრიცხვისა. ქართულ ქრისტიანულ ქორონიკონულ წელთაღრიცხვას საფუძვლად დასდებია დამწერლობის შემოღების ქართული წარმართული თარიღი. მგონია, ამიერიდან ამ ვარაუდს ამაგრებს ხელნაწერის მრავალმნიშვნელოვანი ჩვენება.

ახლა წელთაღრიცხვის მესამე სისტემის ე. წ. „დასაბამითგანის“ შესახებ. ეს წელთაღრიცხვა აგრეთვე ქრისტიანულია. ეს ერა ანგარიშობს დროს ქვეყნის გაჩენიდან ანუ „ადამითგან“ ქრისტეს დაბადებამდე. ერა დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე სხვადასხვა სახისაა, რადგან ამ ერას სხვადასხვა დროს პერიოდით განსაზღვრავენ. ცნობილია „დასაბამითგანის“ შემდეგი ვარიაციები:

1. 5198 წელი — ევსევი კესარიელისა
2. 5492 წელი — პანოდორე ალექსანდრიელისა.
3. 5500 წელი — ანიანე ალექსანდრიელისა.
4. 5508 წელი — ბიზანტიელებისა (ბიზანტიური ერა).

ქართველებს კი საკუთარი „დასაბამითგანის“, ყველასგან განსხვავებული ერა აქვთ. ქართული „დასაბამითგანის“ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5604 წელს ანგარიშობს. რა არის ამის მიზეზი? ზემოთ უკვე ითქვა, რომ 284 წელს ქრისტეს დაბადებამდე დასრულდა ათი 532-წლიანი ციკლი, მაშასადამე, ქრისტეს დაბადებამდე გასულა დრო ათჯერ 532 წელი და კიდევ 284 წელი:  $5320 + 284 = 5604$ .

უნდა დავასკვნათ: ქართული დასაბამითგანის გამოსავალი თარიღია 284 წ. ძვ. წელთაღრიცხვისა. 5604-წლიან

ქრისტიანულ ქართულ დასაბამითგანს საფუძვლად დასდებია დამწერლობის შემოღების ქართული წარმართული თარიღი — 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა.

ვფიქრობ, ქართლის ცხოვრების კრიბტოგრაფიულ ჩანაწერებში შეფარულად გატარებულია ის აზრი, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამია 284 წ. ძველი წელთაღრიცხვისა ანუ თარიღი ქართული დამწერლობის შემოღებისა. ამ წარმართულ ქართულ წელთაღრიცხვას ლათინურ, სპარსულ და ბერძნულ წელთაღრიცხვებთან ის უპირატესობა აქვს ქართველებისათვის, რომ იგი საფუძვლად დაედო ქრისტიანულ-ქართულ დასაბამითგანსა და ქრისტიანულ-ქართულ ქორონიკონს.

ვფიქრობ, ისიც ცხადია, რატომ არის ჩაწერილი ეს ტრადიციული ცოდნა კრიბტოგრაფიულად. ქრისტიანული წელთაღრიცხვის — ქართული დასაბამითგანისა და ქართული ქორონიკონის გამოსავალ თარიღად წარმართული თარიღი დაუფარავად რომ განცხადებულიყო, ქრისტიანული იდეოლოგიის თეოსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, მკრეხელობა იქნებოდა.

ირკვევა, რომ ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი ქართველთათვის ტრადიციულად ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტს, ვფიქრობ, 1608 წლის კრიბტოგრაფიული ჩანაწერები ცხადყოფენ.

სრულიად-ქართული დამწერლობის შემოღება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქცია იყო. ქართული ისტორიული ტრადიცია ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზ მეფეს მიაწერს, ამიტომ, ცხადია, 284 წელს, ქართული დამწერლობის შემოღებისას, საქართველოს სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ფარნავაზ მეფე ზის.

ქართული დამწერლობის შემოღებას 284 წ. ძვ. წ. ისეთივე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოში, როგორც ბერძნული დამ-

წერლობის შემოღებას 403 წ. ძვ. წ. საბერძნეთში.

მაგრამ აქ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დამწერლობის შემოღება ერთი საკითხია, ხოლო დამწერლობის შექმნა კი სხვა საკითხია. შეუძლებელია ქართული დამწერლობა შექმნილიყო და შემოღებულყო ერთდროულად. ქართველი ტომების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას, უთუოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა წინ. იგივე უნდა ითქვას დამწერლობის შესახებ: იგი არსებობდა უთუოდ მანამდე, ვიდრე მოხდებოდა ამ დამწერლობის საქვეყნო აღიარება, შემოღება.

ქართული დამწერლობის შექმნის მიხედვითი თარიღის განსაზღვრასა და დადგენას ასო-ნიშნების გრაფიკული ანალიზი გაარკვევს. ამჯერად კი შეიძლება მოკლედ ითქვას:

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა, მონუმენტური დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინ-

ციპები. აღმოსავლურ-დასავლურმა ანბანურმა სამყარომ იცის რაოდენი გრაფიკულ-გეომეტრიული სტილის მონუმენტური დამწერლობა — ბერძნული და ქართული. ბერძნული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა საბოლოოდ V-IV საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა. ქართულ ასომთავრულ ანბანში კი უკვე გათვალისწინებულია ბერძნული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკის პრინციპები. შესაბამისად, წინასწარ შეიძლება ითქვას:

ქართული დამწერლობა (ქართული ასომთავრული) შექმნილია არა უადრეს 403 წლისა ძვ. წ., როცა საბოლოოდ ყალიბდება კლასიკური ბერძნული დამწერლობა და არა უგვიანეს 284 წლისა ძვ. წ., როცა ქართული ასომთავრული უკვე შემოღებულია, როგორც სახელმწიფო დამწერლობა. ამგვარად, ვლებულობთ ქართული დამწერლობის შექმნის მიხედვით თარიღს 119 წლის პერიოდით: არა უადრეს 403 წ. ძვ. წ. და არა უგვიანეს 284 წ. ძვ. წ.

გაგრძელება იმდობა



## ნახევარი საუკუნე მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის

ნახევარი საუკუნეა არსებობს საბჭოთა საქართველო და ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი კულტურის განვითარების კვლევას ემსახურება შესანიშნავი ქართველი მეცნიერი და მოქალაქე-პატრიოტის შალვა იასონის ძე ამირანაშვილის მოღვაწეობა.

შალვა ჩეროვანად შევაფასოთ მისი შრომების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთისათვის. მისი მრავალმხრივი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა იმდენ წოდებას და თანამდებობას მოიცავს, მართო უბრალო ჩამოთვლაც მთელ გვერდს დაიჭერდა. შალვა ამირანაშვილი გახლავთ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გამგე; წევრი: — მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსი, ისტორიკოსების ეროვნული კონგრესისა, სრულიად საქავშირო სატესტაციო კომისიისა; საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და ელტერული კავშირის საქართველოს საზოგადოების განყოფილების „საქართველო-ირანის“ თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მე-5 და მე-7 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ა. შ.

ორსამდე დაბეჭდილი შრომა, სამ ათეულზე მეტი ჟღერამენტური ნაწარმოები, სადაც განხილული და გამოქმედულია ქართული და ბიზანტიური, ირანული და დასავლეთ ევროპული, რუსული და საბჭოთა ხელოვნების კარდინალური საკითხები — ასეთია შალვა ამირანაშვილის ნახევარსაუკუნეოანი დაძაბული მუშაობის, დაუმრეტელი შემოქმედებითი ენერჯის, დაუცხრომელი ძიების შედეგები.

ქურნალ „მნათობის“ ამ ნომერში შალვა

ამირანაშვილზე და მის მრავალმხრივი მეცნიერული ღვაწლის შესახებ სიტყვას ვაძლევთ იმათ, ვინც მრავალი წლის მანძილზე შალვასთან ახლო რყი და მის მეცნიერულ მოღვაწეობასთან ახლო კავშირი ჰქონდა. ესენი არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები, ხელოვანი, ხელოვნებისმცოდნენი.

**დადი გუდიაშვილი** (სახალხო მხატვარი): მრავალი წლის მეგობრობა მკაცრად მკაცრად მკაცრად მკაცრად — დიდი სულია და მდიდარი სულიერი კულტურის ადამიანთან. მისი სოციალური მშობლიური კულტურისადმი, ყოველივე ის, რაც მან გააკეთა და რასაც აკეთებდა, იმსახურებს ყოველი პატრიოტის და მათ შორის ჩემს აღტაცებას. მის მუდამ ამოძრავებდა დაუცხრომელი მისწრაფება შეეგროვებოდა და მუზეუმში მოეთავსებოდა ყოველივე ძალზე ძვირფასი და ღირსეული, რასაც კავშირი აქვს ჩვენს ისტორიულ წარსულთან და აწმყოსთან, ენევენებია ხალხისათვის, თუ როგორ ეოარდებოდა და ვითარდება ქართული ეროვნული ხელოვნება; სად და როდის იღებს იგი სათავეს. შალვამ ღირსეულად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა შეეჩერდე ერთს გარემოებაზე.

როგორც ცნობილია, ქაშვეთის კედლის მხატვრობა არ გუემოვრებია არც ერთს სხვა ქართველ მხატვარს.

შალვამ მომანდო მე აღმედგინა კედლის ეს მოხატულობანი, და ამრიგად გასდო ხიდი ძველ და თანამედროვე ქართულ ხელოვნებას შორის.

რაც შეეხება ჩემდამი მის პირად დამოკიდებულებას, იგი იმსახურებს გულწრფელ მადლიერებას. შალვა მუდამ მხარში მდგა ჩემი სიტაცების თვით უმძიმეს წუთებშიც კი. იგი დამხმარა, რათა ჩემი ხელოვნება, უაღრესად პირადული და ინდივიდუალური, გამეტანა

მოდელი სარბიელზე. მთელი მისი შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა გვაძლევს სრულ უფლებას ეწოდოთ შალვა ამირანაშვილის ქართული ხელოვნების მკვლევარად და მესაუბროს.

**საშინა ვახუშტაძე** (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ყურნალ *Византийский временник*-ის რედაქტორის წევრი): აკადემიოსმა შალვა ამირანაშვილმა ბრწყინვალე სკოლა გაიარა: სტუდენტობას წლებში ხელოვნებისმცოდნეობის მისი ტალანტი იწრთობოდა და ვითარდებოდა ქართული მეცნიერების პიონერების — ევკლიდეს აკადემიკოსის (არქეოლოგიის დარგში) და გიორგი ჩუბინაშვილის (ხელოვნებათმცოდნეობაში) ხელმძღვანელობით. ასპირანტურის წლებში მეცნიერების ამ ორ ვეტერანს შეუერთდა ხელოვნების რუსი ისტორიკოსი, პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტის პროფესორი დ. ე. პინალოვი. ჩემის აზრით, ამ მეცნიერება მისეცა მომართულება შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო ველევათა ძირითად ხაზს. საქმე ის არის, რომ დ. პინალოვის მთავარ ეპოქალურ სამართმ წარმოადგენს მისი მონოგრაფია „ბიზანტიის ხელოვნების ელინისტური საფუძვლები“. აქ, ამ შრომაში, ავტორმა სწორად და მართებულად დააყენა საკითხი ბიზანტიური ხელოვნების სათავეებზე, სახელმძღვანელოდ დაგვიტოვა, რომ არ შეიძლება გავიგოთ ბიზანტიური ხელოვნება, თუ არ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთის ქვეყნების (სირიის, სომხეთის, საქართველოს) ხელოვნების მიღწევებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ევროპოლობელ ელინისტურ ხელოვნებას.

აკადემიოს შალვა ამირანაშვილის მთელი რიგი შრომები (უპირატესად კი შრომები ფერწერის ისტორიიდან) მიზნად ისახავს გამოავლინოს ქართულ ხელოვნებაში ის ელემენტები, რომლებიც წარმოადგენს და თვალსაჩინოდ გამოყოფენ ქართულ ხელოვნების საერთო ხელოვნებათმცოდნეობის მნიშვნელობას, ერთობ, ბიზანტიური ხელოვნების მიმართ.

მე ეს მიმართა შალვა ამირანაშვილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ დამსახურებად. ესემა რა ასე საკითხს, ვფიქრობ არ ვიპოვეი სადრეკელს მისაყვედურის მე, როგორც ბიზანტიის, საქმისადმი ცალმხრივი მიდგომა. ჩემი შეხედულებით, შალვა ამირანაშვილის კვლევითი მოღვაწეობა აქვს მხედველობაში საზღვარგარეთულ სპეციალისტებსაც (გ. შილერ და სხვ.), როცა ისინი ესოდენ ცხოველ ინტერესს იჩენენ შალვა ამირანაშვილის გამოკვლევებისადმი. ამ ინტერესს მოწოდებს ისიც, რომ უცხოეთის გამოკვლევლობანი (სადრანგეთში, იტალიაში) დიდი ხალხით და მონდობებით ცალკე გამოკვლევებად ბეჭდვენ

მ. ამირანაშვილის მონოგრაფიებს (მაგ. „საქართველოს მინაწერი“ და სხვ.).

**გიორგი ჩიტაია** (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მხატვრობის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის კათედრის გამგე), როცა სიტყვა შალვა ამირანაშვილზე ჩამოვირდება ხოლმე, უნებურად მაგონდება ჩემი ახალგაზრდობა, ჭ. ფოთი. მე შაშინ პეტერბურგის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, შალვა კი გამნაზიელი. როცა არდადეგებზე ფოთში ჩამოვიდოდი, ჩვენ ეხედებოდით ერთმანეთს. სწორად დაეციინობდით როინის სანაპიროზე, ვსაუბრობდით საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის კულტურაზე. მე მოცუდა შალვას კონცხი და ცნობისმოყვარეობა, მისი ვატყუება ქართული ხალხის ისტორიით, მისი ლიტერატურით და ხელოვნებით. მას აინტერესებდა ძველი ქართული ხელოვნობების შევლება. დიდ დროს და ენერჯიას ახმარდა მათ შესწავლას.

უკვე შაშინე იგრძნობოდა შალვა ამირანაშვილის მაძიებელი გონება, და მრავალმხრივი ცოდნის შექმნის დეუცრომელი წურვილი. გავიდა წლები და მის ამ მისწრაფებას მოჰყვა დიდი ნაყოფი მრავალი მეცნიერული გამოკვლევის სახით ქართული ხელოვნების ყველა დარგში.

ჩვენ გვაერთებდა ისიც, რომ მომავალი მეცნიერი-ხელოვნებათმცოდნე ოცნებობდა სწავლა განეგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც 1917 წელს, გიმნაზიის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა კიდევ აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, მაგრამ პეტერბურგში შალვას აღარ უსწავლა, რადგან დაიწყო ოქრომზრის რეკლუცია. კავკასია, კერძოდ, საქართველო მოწყდა რევოლუციურ რუსეთს. ახალგაზრდობის სახედნიეროდ შალვ, 1918 წელს იანერში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. შალვა შევიდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. იგი აღმოჩნდა აქ ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის ერთადერთი სტუდენტი.

განულო მრავალმა წელმა. თვითოელმა ჩვენგანმა გატაცებით განაგრძო თავისი საყვარელი საქმე მეცნიერებაში. მაგრამ შალვას და ჩემი ურთიერთკავშირი მეცნიერებაში არ შეწყვეტილა. იკვლევდა რა ქართული ხელოვნების საკითხებს უძველეს დროიდან მოყოლებული დღევანდლობამდე, შალვა ავროვებდა და ავროვებს დიდძალ ეთნოგრაფიულ მასალას, კერძოდ, ოქრომზველობის დარგში. ამ მიზნით მას არა ერთხელ უმოგზაურია დასავლეთ საქართველოში, სადაც ოციანი წლების დამდეგს ჯერ კიდევ შემოხმას განაგრძობდნენ ჯელურობის ქართული ოსტატები. მეორე მხრივ შალვას ეთნოგრაფიული ინტერესები დაკავშირებულია ქართული ხალხის უძველესი



მსოფლმხედველობის შესწავლის პრობლემასთან. შალვა ფართოდ იყენებს თავის შრომებში ქართული ეთნოგრაფიების გამოკვლევებს. ეთნოგრაფიასთან შალვა ამირანაშვილის მუდმივ და უწყველ სახლოვებ მეტყველებს ის ფაქტით, რომ მრავალი წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტში იგი მეთაურობდა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების კათედრას.

შალვა მშირად სარგებლობს ქართული ეთნოგრაფიების კონსულტაციებით, ეთათბირება მათ შისტის საინტერესო საკითხებზე. ქართული ფერწერის, ხერათომოდერების, არქეოლოგიის შესწავლასთან ერთად ეთნოგრაფიული მონაცემების კომპლექსური შესწავლა შალვა ამირანაშვილის გამოკვლევებს ანიჭებს ფართო დამახოვნს, სიღრმეს, მასშტაბურობას, რაც მას გამოჩენილ მეცნიერთა პირველ რიგში აყენებს.

**ოთარ ჭაფარიძე** (პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე): ყველაზე შესანიშნავი შალვა ამირანაშვილის შრომებში ის გახლავთ, რომ მან პირველმა თვალს გადაენა და გააჩქავა ქართული ხელოვნების განვითარება ქვის საუკუნიდან შუა საუკუნეებამდე არქეოლოგიური მასალის საფუძველზე. მისი წიგნი „ქართული ხელოვნების ისტორია“ თბილისის კულტურის, მცხეთის და სხვა გათხრების ღრმა შესწავლის და გამოკვლევის შედეგია. ის სწავლობს ქრისტიანობის წინა და შემდგომ ხელოვნებას, კულტურას, ოქროს და ვერცხლის ნივთებს, წერს მთელ რიგ შრომებს, მათ შორის ისეთს, როგორც არის „ვერცხლის ფილა ბორის გათხრებიდან“. მრავალი წლის მანძილზე შ. ამირანაშვილი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ვორის ახლოს (კვდაბერტყის დასახლება, III ათასწლეული) და მდ. ყვირილის სათავეებში, სადაც მოპოვებულ იქნა საინტერესო მასალა, შუაბრინჯაოდან დაწყებული ანტიკური ეპოქით დამთავრებული.

დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი მეცნიერი არქეოლოგიური მასალის შესაგროვებლად გამოფენისათვის „ქართული ხელოვნება უძველესი დროიდან“, რომელიც ამ მოკლე ხანში გაიხსნება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

**ოენგან ფერაძე** (თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრის გამგის მოადგილე, დოცენტი): წარ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტად უოფნის დროს შალვა ამირანაშვილმა დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების და მართკრიალური კულტურის ძეგლების შესწავლა.

1919 წელს მან გამოაქვეყნა დამოუკიდებელი შრომა, ეს იყო ქართული კედლის მოხა-

ტულობათა გამოკვლევა და აღწერა, მათ შორის ყველაზე მეტი უფრადდება მიფეცია ფიბისის მოხატულობაში. ამ ძეგლის საფუძველზე იკვლევა თავდება კაპიტალური მონოგრაფიით, რომელიც გამოიცა 1929 წელს ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ეს ორიენტილი მონოგრაფია, რომელმაც წამოაყენა და გააშუქა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, გახდა ნამდვილი ნიშანსვეტი საბჭოთა ქართველთმცოდნეობის განვითარებაში.

ქართული ფრესკული ფერწერის ხანგრძლივი შესწავლის შედეგების შეყამება შალვა ამირანაშვილის კაპიტალური გამოკვლევა „ქართული მონუმენტური ფერწერის ისტორია“ რომლის პირველი ტომი ცალკე წიგნად 1957 წელს დაიბედა.

ჩვენი მეცნიერი ამ წიგნში განიხილავს ქართული მონუმენტური ფერწერის საკვანძო საკითხებს, იძლევა ყველაზე უფრო ტიპური ძეგლების შედარებით ანალიზს, კვალ და კვალ არქევის ეკონოგრაფიის, მისი გამოსახვითი მხატვრული საშუალების და ფერწერული ტექნიკის განვითარებას, აკენს ეკონოგრაფიის როლს და იხდება შესაბამისი ხელოვნების საერთო ისტორიაში.

ფეოდალური ფორმაციის ფერწერის საკითხებზე მუშაობის დროს, ჩვენი მეცნიერი არ იფარგლება საკულტო ძეგლების შესწავლით, და მარადელურად სწავლობს საერთო ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთაც მეცნიერული კვლევა-ძიება მანამდე თითქმის არ შეხებია.

შალვა ამირანაშვილის კალამს ეკუთვნის კაპიტალური მონოგრაფია XII საუკუნის გამოჩენილ ოქრომჭედულ ბეჭა ოპიზარზე, მონოგრაფია, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე პირველად 1937 წელს გამოიცა. 1956 წელს კი ორივე ენაზე მეორედ გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი დამატებებით. ოპიზარის მეტყველებობის ღრმა და საფუძვლიანმა ისტორიულ-მხატვრულმა ანალიზმა ჩვენს მეცნიერ-მკვლევარს საშუალება მისცა გაერკვია ამ მხატრის ადგილი და მნიშვნელობა ქართულ ხელოვნებაში.

ხანგრძლივი სამეცნიერო კვლევის შედეგია შ. ამირანაშვილის ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნამუშევარი „ქართული ხელოვნების ისტორია“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე.

არსებითად ეს არის პირველი შრომა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში, შრომა, სადაც თანამოდერულად არის შესწავლილი და განხილული საერკითი ხელოვნების ყველა სახეობა, დაწყებული პალეოლითით და დამთავრებული მეოცე საუკუნით.

შალვა ამირანაშვილის ეკუთვნის გამოკლე-

ვა ქართული ტიხრული მინანქრისა, ამ ნაშრომს დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზღვარგარეთის მეცნიერულ წრეებში და პრესაში. 1962 წელს იგი გამოქვეყნდა პარიზში, 1963 წელს — მილანოში, ზოლო 1965 წელს ნიუიორკში.

პრალაში გამოქვეყნდა „არტიამ“ ერთდროულად სამ ენაზე — ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად გამოსცა შალვა ამირანაშვილის მონოგრაფია ქართულ მინანქარზე და ჰედურ ზელოვნებაზე. მონოგრაფია მთავრად პერიოდს ნაადრევი ლითონით და თრიალეთის კულტურის ეპოქით დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასასრულამდე.

პრალაში გამოცემულ ამ ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს აღთმობილი საბერძნეთთან და რომთან დასავლეთ საქართველოს მუდრო ურთიერთობის პერიოდს (ვიდრე IV საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვით).

ათაბაგებს რა ზუსტად ლიონის გამოკვრვის ნამუშევრებს (მათ შორის ბეკა და ბემენ ოპიზარების ნაწარმოებებს), ატორი იძლევა თეთრული ძეგლის მხატვრული ანალიზი, და ამასთან არკვევს ქართულ მხატვრული კულტურის თვითმყოფობას და თავისებურებას; ამასთან, უცვლი პერიოდის მიხედვით იგი აკეთებს ისტორიულ პარალელებს.

პრალის გამოცემა უფროდ იმსახურებს უმაღლეს შეფასებას როგორც მეცნიერული ღირებულების, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. პრალის გამოცემაში მოთავსებულია ცნობები საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ქართული ჰედურობის ძველ ხელოვნებაზე, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია; ამ გამოცემაში აღნიშნულია ისიც, რომ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის შრომა, რომელიც ესოდენ ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მოიცავს, არსებითად არის ამ საკითხისადმი მიძღვნილი პირველი წიგნი. წიგნს დართული აქვს 119 მშვენიერი ფერადი ტაბულა, სადაც გახსნილია ქართული ხელოვნების ძეგლების შინაარსი.

სულ ახლახან ქართულმა გამოქვეყნობა „ხელოვნებამ“ გამოაქვეყნა შ. ამირანაშვილის ცნობილი შრომის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ ერთტომეული. ეს არის ამ წიგნის მეორე გამოცემა ქართულ ენაზე, შევსებული და გადამშავებული. ერთტომეული შეიცავს განყოფილებებს: არქეოლოგია, პალეოლითი, მეგალითური კულტურა, ბრინჯაოს და რკინის ეპოქები, ანტიური პერიოდის ხელოვნება, ხელოვნობა, მონაქარა, ფრესკები, მინიატურა, ჰედური ხელოვნება, მინანქარი, დეკორატიული ქანდაკება, ქვაზე და ხეზე კვეთილობა.

ტიქსტს დართული აქვს 78 ილუსტრაცია, მათ შორის 13 ფერადი, და 231 ტაბულა.

შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ის-

ტორიის“ ერთტომეულს გამოსცემს პოლონეთის სამეცნიერო გამოქვეყნობა ვარშავაში.

დიდ ინტერესს შეიცავს შალვა ამირანაშვილის ისტორიული ნარკვევი „ძველი ქართული მინიატურა“; ესეც მისი მრავალი წლის კვლევითი მუშაობის ნაყოფია; მასში განხილული და გაშუქებულია ძველი ქართული მინიატურის მრავალი ნიმუში, რომელთა უმრავლესობა მის მიერ პირველად იქნა გამოკვლეული და შესწავლილი. წრე იმ საკითხებისა, რომლებიც ჩვენს შეკვლევას აინტერესებს, არ იფარგლება მხოლოდ ქართული ხელოვნების ძეგლებით. საბრტული, არაბული, ძველებარული ენების (რომ არაფერი ვთქვათ გერობულ ენებზე) ცოდნა შალვა ამირანაშვილს საშუალებას აძლევს შეითვისოს და შეისწავლოს ასეო აღმოსავლეთის კულტურა. ქართული შეკვლევარის დიდ ინტერესს იწვევს ეგრედწოდებული „ისლამური“, უმთავრესად, ირანული ხელოვნება.

1935 წელს შალვა ამირანაშვილი მონაწილეობდა ირანის ხელოვნებისა და არქეოლოგიის საკითხებზე მოწვეული მესამე კონგრესის მუშაობაში, იგი გამოვიდა გრცელი მოხსენებით თემაზე „საქართველო და ირანი“, ზოლო 1940 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია ირანული დაზგური ფერწერის იმ ძეგლებზე, რომლებიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და ერთგვარადა დაეცული. 1941 წელს გამოვიდა შ. ამირანაშვილის მონოგრაფია ირანულ ფერწერაზე, მონოგრაფია, რომელიც შეიცავს XVIII-XIX საუკუნეების ირანული დაზგური და მინიატურული ძეგლების პუბლიკაციას. ორივე ნაშრომი მეცნიერული წესისადაა ობიექტად ზღის მნიშვნელოვან ქვეფს პირველწყარობისას, რომელთაც სათანადო ადგილი უჭირავს, მოგვიანო ირანული ხელოვნების ისტორიაში.

საკვებით კანონზომიერია ქართველი მეცნიერის ინტერესი სასანიდების ეპოქის ირანული მხატვრული კულტურისადმი. შ. ამირანაშვილმა შეისწავლა სოფ. ბორის (საქართველო) გათხარების დროს აღმოჩენილი ვერცხლის ფილა, ამოკითხა ზედ დაწერილი და დაადგინა, რომ ფილა ქართველ პიტაიზმს ეკუთვნოდა.

1960 წელს შ. ამირანაშვილმა გამოაქვეყნა სტატია ბრიტანეთის მუზეუმში დაეცულ პორტირტულ გემაზე ფეხლეური წარწერით, და დაამტკიცა, რომ გემაზე გამოსახული პირი არის ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი.

მრავალი წლის მანძილზე შალვა ამირანაშვილი გულმოდგინედ სწავლობდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს. ამ საინტერესო თემას მან რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა, — მათ შორის „ვეფხისტყაოსნის დასურათობა“

ბა", ამინატორები "ევფისტიასონის" XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებში".

შეუნელებელი ინტერესით იკითხება შ. ამირანაშვილის სტატეები ლეონარდო და ეინზზე, ფედოტოვზე, სარანზე, რებინზე და სახვითი ხელოვნების ბევრ სხვა თემაშიანო წარმომადგენელზე.

დიდ მეცნიერს და მოქალაქეს შალვა ამირანაშვილს ცხოვრებად ანტერესებს ახალი საბჭოთა ხელოვნება და აქტიურ მონაწილეობას აღებული მართველ საბჭოთა მხატვრების შემოქმედების ცხოვრებაში.

შ. ამირანაშვილის შრომები, რა საკითხებზე არ უნდა ეხებოდნენ ისინი, გამოირჩევიან საკვლევი ამოცანების სიფართოვით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით, დაცვების სიზხლით და დამაჯერებლობით, ყოველი საკითხის ყოველმხრივი შესწავლით მის ისტორიულ განვითარებაში, იმ გზების ვარკვევით, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს წარსულს და აწმყოს, ტრადიციულს და თანადროულს.

ორივე ფუნქციე (საქარტველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანი, ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატი): უკვე 35 წელიწადია, რაც შ. ამირანაშვილი მეთაურობს საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. ამ ხნის განმავლობაში ეს მუზეუმი იქცა ერთერთ უმნიშვნელოვანეს მუზეუმად საბჭოთა კავშირში.

მასში წარმოდგენილია მსოფლიოს უდიდესი მხატვრების ნაწარმოებთა ორიგინალები, აღმოსავლეთის ქვეყნების და ნაპოლეონის ეპოქის ხელოვნებათა ნიმუშების კოლექციები, ნეოლოის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები, ოქროს ხატები, ქედრობანი, ტიხრული მინანჭრები, რომელთა მნიშვნელობა ცილდება საქართველოს ფარგლებს, ძველ ქართულ ისტატია საიუველირო და სხვა-ნაკეთობანი.

მუზეუმის ფონდები წლიდან წლამდე ივსება, რაც მისი დირექტორის დამსახურებაა.

1922 წელს შალვა ამირანაშვილმა მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის შემოაბაში, რომელსაც ვეალორდა გამოკლინებთა რსდსპ-ის მუზეუმებში დაცული ისტორიული მნიშვნელობის ნივთები და მხატვრული ფასეულობანი. ხანგრძლივი ჯუბნის შემდეგ მან მიიკვლია ქართულ მინანჭრებს, მათ შორის ხახულის ლეთისშობლის (X საუკუნე) ფრამენტებს, რომლებიც 1856 წელს გელათიდან გაიტაცა კეთილის გუბერნატორმა ლევაშოვმა, იმავე წანებში სხვა-მხატვრულ ფასეულობასთან ერთად საქართველოს დებურუნდა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი — საუბრის საკურხეულის ტიხარი (XI საუკუნის პირველი ნახევარი).

საყოველთაოდ ცნობილია შალვა ამირანა-

შვილის ღვაწლი, რომელიც დაკავშირებულია 1945 წელს პარიზში მის გამგებარებასთან რასაც შედეგად მოხუცა ის, რომ ქართველ ხალხს დაებრუნდა მაღალი მხატვრული ღირებულების ერთგული განწეულობა, რომელიც 1921 წელს პარიზში წარღო საქართველოს მენშვეიურმა მთაურობამ.

წერ კიდევ სტუდენტობის წლებში შალვა ამირანაშვილმა რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, გამოიკვლია და აღწერა ტაძრების და მონასტრების კვლევის მასატელობა; სეანეთის, ხევსურეთის, რაქალჩხუმის და სხვა კუთხეების გლხობა იჯახებში იმოცა ძველ ქართულ ისტატია უნიკალური ნაწარმოებები.

შალვა იასონის მე ამირანაშვილმა შეადგინა თბილისში დაცული კოლექციების ნუსხა, ვადასინჯა მისე ქანაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღწერილი ქართული ხელნაწერები, მოგვცა ამ ხელნაწერთა ილუსტრაციების აღწერილობა, შეიტანა ქანაშვილის და თაყაიშვილისეულ ნუსხებში მოსკოვის და ლენინგრადის ხელნაწერთა ფონდები.

ეს მუშაობა, რომელიც ექვს წელიწადს გაგრძელდა, დამთავრდა ოცდაათიანი წლების დამდეგს, როცა შეკრებილი მასალის ბაზისზე თბილისში შეიქმნა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

შალვა ამირანაშვილის მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, მუზეუმის ფონდების ორგანიზაციით არ იფარგლება. იგი დიდ ღრის და ენერჯიის ახმარს გამოფენების მოწეობას მუზეუმში, ცნობილი ქართული მხატვრების ნამუშევართა ექსპონირებას საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

შალვა არის სსრკ-ის მუზეუმების ნაციონალური კომისიის წევრი და მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს ნამდვილი წევრი.

შოთა მეხბია (საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკულტეტის დეკანი): შალვა ამირანაშვილის მთელი ცხოვრება ამ მოღვაწეობა განუერგედა დაკავშირებულია თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან. იგი ამ უმაღლეს სასწავლებელში შევიდა 1918 წელს და დამთავრა 1922 წ.; დაწყებული ამ წლიდან შალვა მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და ენერჯიის ახმარს მოზარდ თობათა აღზრდა-განათლებას. სწავლულ-პედაგოგმა შალვა ამირანაშვილმა დიდი გზა თეორიის — გზა ხელოვნების, ისტორიის და ეთოროის ასპირანტობიდან და ასისტენტობიდან — პროფესორის წოდებამდე, ამავე კათედრის გამგის თანამდებობამდე.

თავის ღროზე ამ უნივერსიტეტის ყელლებში იგი ისმუდა ისეთ შესანიშნავ მეცნიერთა

ლემკოებს, როგორც არიან და იყვნენ ი. ა. ჭავჭავაძე, ე. ს. თაყაიშვილი, ა. გ. შანიძე, გ. ნ. ჩუბინაშვილი და სხვა. ამჟამად მისი ყოფილი სტუდენტები სამეცნიერო უწყებებს ეწევიან უმალეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-საჯგუფო ინსტიტუტებში, მუზეუმებში, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ. როგორც ცნობილია, უკანასკნელ დრომდე თბილისის უნივერსიტეტი იყო ერთადერთი აკრძალული ინსტიტუტი და იზრდებოდა ხელოვნებისმცოდნეთა კადრები ჩვენს რესპუბლიკაში.

1969 წელს შ. ამირანაშვილის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა ხელოვნებათა ისტორიის და თეორიის განყოფილება, სადაც პირველი კურსიდანვე სტუდენტები სპეციალისტებად ამ სფეროში. შალვა ისახონის ძის ხელში გაიარა არა ერთმა დისერტაციამ. იგი მუდამ სტუდენტებს შორის ტრიალებს, გულისხმიერებით გვიდგება მათ ინტერესებს და საჭიროებას, ხელს უწყობს მათ წარმატებას სწავლასა და ცხოვრებაში, ამიტომაც უყვარს შალვა სტუდენტ ახალგაზრდობას.

მამია დუდუჩია (პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სახით ხელოვნებათა ესტეტიკის და თეორიის კათედრის გამგე); ჩემი ნაცნობობა შალვა ამირანაშვილთან დაიწყო 1939 წელს, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში დავიწყე სწავლა. იმ

ხანებში პატივცემული შალვა ხელოვნების ისტორიის კათედრას ვანაგებდებოდი და მუშაობდი ხელმძღვანელობით გავიარე პირველი კურსი, შემდეგ მე მიმავლინეს მოსკოვს, სადაც დავამთავრე ასპირანტურა. სამშობლოში რომ დავბრუნდი, მუშაობა დავიწყე საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, რომლის დირექტორიც შალვა გახლდათ. 1948 წლიდან 1952 წლამდე ჩვენ ერთად ვმუშაობდით თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მე დირექტორად, ხოლო შალვა კათედრის გამგედ.

ამრიგად, მრავალი წლის მანძილზე ერთმანეთს ხვდებოდა ჩვენი ცხოვრების და შემოქმედების გზები. შალვა ისახონის ძემ თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაიწყო მოღვაწეობა 1926 წელს ხელოვნების ისტორიის კათედრის ასისტენტად, 1928 წელს დაინიშნა ლექტორად, ხოლო 1933 წელს ამავე კათედრის გამგედ.

ამ თანამდებობაზე დარჩა 1954 წლამდე. შალვა იყო და არის ამ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი; მუდამ მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ახალგაზრდა მხატვართა აღზრდასა და წრთობაში, მოამზადა არა ერთი და ორი მეცნიერი მუშაიკი ქართული ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში.

ასეთია შ. ამირანაშვილის სამეცნიერო-მეცნიერული მუშაობის შედეგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომლის წინსვლასა და წარმატებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

მასალა მოამზადა გ. ჩაკნელიძემ

## შურნალ „მნათობის“ 1971 წლის ნომრების შინაბარსი

### მოთხრობები, რომანები, პიესები, ნარკვევები

- აბაშიძე ნანო — მზე და ოცნება. მოთხრობა. № 9
- ავალიანი გიორგი — ადათის ტყეები. მოთხრობა. № 1
- ავალიანი ლადო — ხის კოვზი — ნოველა. № 12
- ბეგაშვილი ალექსანდრე — დიღო ალაზნის ქალაქი. ნარკვევი. № 7
- გაწერელია აკაკი — ამხათი ანუ სევილიის დილა მთაში. დოკუმენტური ეპოსიდან „შაშილი“. № 3.
- გიორგაძე ედიშერი — ტოლი სიმაღლის მზრები. მოთხრობა. № 7
- გოგლაძე თენგიზი — ეამი ჩვენი. რომანი. № 6, 7, 8
- გოგიჩაიშვილი ვივი — შესამე სართულის მორბევი. მოთხრობა. № 1
- გვახეა-სანაძე ლამარა — შემამბისყდიანი რვეულები. მოთხრობა. № 1
- ვასაძე აკაკი — კენჭბრუნე გაწოლილი ცა. მოთხრობა. № 4
- ზურაბიშვილი დოდა — სიკვდილისათვის არა გვეკალიან“. მოთხრობა. № 5
- დავითაშვილი შიხელი — გლეხის ქობიდან დივიზიის შტაბამდე. ნარკვევი. № 11
- დევდარაიანი კლავდია — ასე სწობი, შამა! მოთხრობა. № 7
- ზუგუიძე იოსებო — ომმა დაამეგობათ. მოთხრობა. თარგმანი ე. მეცხისისა. № 6.
- თარა ივანე — მზე ჩვენთან იღვიძებს. რომანი. აფხაზურიდან თარგმნის ლადო სულაბე-რიძემ და ჟუჟუნა შაისურაძემ. № 3, 4
- თევზაძე ანდრო — ორლესელი. რომანი. № 3, 4, 5
- იმედაშვილი კობა — პასიონები. მოთხრობა. № 4
- იოსელიანი იაროსლავ — საგანგებო პატაკი. მოთხრობა. № 7
- იოსელიანი ოტია — ტყვეთა ტყვე. რომანი. № 9, 10
- იკაბაძე პოლიკარპე — მეფე დემეტრე მეორე. პიესა. № 9, 10, 11
- კასრაძე ქართლოსი — „ოქვენ დაიპყართ“ პარიზი!“. ნარკვევი. № 1
- კვიციანი დავითი — მშვიდობით, უსიერო ტყეებო! რომანი. № 1, 2
- კობერიძე კარლო — ავარია. მოთხრობა. № 7
- ლომჭარია ნ. — გულის კარნახით. ნაწყვეტი რომანიდან. № 2
- მეხი ლეილა — თოვლიანი გზა. მოთხრობა. № 12
- მიქაე ნაყოლოზი — როცა წვიმა მღერის... ნარკვევი. № 2
- მუჭარიშვილი ბეგლარი — მზე ბილიციდან იწყება. მოთხრობა. № 5
- პაპუაშვილი გიორგი — ლოქო. მოთხრობა. № 5
- ფანჯაძე გურამი — მექსიკა ბურთით და უბურთით. ნარკვევი. № 3
- ქუთათელი ალექსანდრე — სათვალთვალო. რომანი. ნაწ. პირველი. № 9, 10, 11, 12
- ჩაკვაიანი კანდიდი — სამგარი. ნარკვევი. № 7
- ჩხარტაშვილი სერგო — უთანასწორო დუელი. ნაწყვეტი რომანიდან. № 2
- ზარგანი შირონი — მოხუცი ბას სიკვდილი. მოთხრობა. № 7
- ზორგუაშვილი გიორგი — თეთრი ცხენი. მოთხრობა. № 8
- ჭაფარიძე ბეგნა — სიცილი. ნოველა. № 11

### ლექსები და პოეზიები

- ამულაშვილი ანზორი — ლექსები. № 8
- ამარშანი ვიტალი — ბუღბუღი. აფხაზურიდან თარგმნი გივი ძნელაძემ. № 2
- ამისულაშვილი შალვა — ლექსები. № 3, 12
- ახათიანი ლია — ლექსები. № 8
- არაბული ალფა — ლექსები. № 1



- არაზი შამედ (იბრაჰიმი) — ლირიკული ლექსები. აზერბაიჯანულიდან თარგმნა **ხუტა შერე-ლაეაშ, № 11**
- აინჯალი ა. — ვათენება. აფხაზურიდან თარგმნა გივი ძნელაძემ. № 2
- ბახტაძე ანდრო — საბა. № 6
- ბარდაველიძე ბეჟანი — ლექსები. № 11
- ბებია პლატონი — ნაზალი. აფხაზურიდან თარგმნა ემზარ კვიციანიშვილმა. № 2
- ბეგიაშვილი ლერი — ლექსები. № 12
- ბერნის რობერტ — ლექსები. თარგმანი მურმან ლებანიძისა. № 8
- ბერიაშვილი ბერდია — ლექსები. № 8
- ბობოხიძე კალე — რა მარუხებდა, რა მახარებდა. ნაწყვეტები პოემიდან. № 5
- ბულგარული პოეზია — თარგმანი მუხრან შაქავეარიანისა. № 7
- გაბრიჩაძე ნელი — ლექსები. № 9
- გაგუა ხუტა — ლექსები. № 8
- გამახაზურიდია ზვიადი — ლექსები. № 12
- გეგეჭკორი გივი — ლექსები. № 3, 7
- გენაძე აკაკი — პიონი საქართველოს მზეს. № 5
- გორგანელი ვახტანგი — ორმოცდაათი. № 5; ლექსები № 11
- გიგაური გიორგი — ლექსები. № 5
- გუბლია გიორგი — ამხარა. აფხაზურიდან თარგმნა ჟანსუღ ჩარკვიანიშვილმა. № 2
- დავითაძე ემენი — ლექსები. № 9
- დაშველი თამარი — ენთოს შექურად ჩიუქრობელი. № 8
- დიკინსონი ემილი — ლექსები. თარგმნა დალი ინჯკირცელმა. № 8
- დოღბაია ვაჟა — ლექსები. № 8
- ვარშაიძე მამია — ლექსები. № 4
- ივარდუა დილარი — ლექსები. № 6
- კაკუშაძე თენგიზი — ლექსები. № 9
- კვარცხია ნიკოლოზი — როცა იმევეყნად აღარ ვიქნები. თარგმნა ემზარ კვიციანიშვილმა. № 2
- კუხიანიძე ზურაბი — ლექსები. № 10
- ლახურია მუშნი — დოღბები. აფხაზურიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა. № 2
- ლორთქიფანიძე ზურაბი — ლექსები. № 4
- ლომა კოსტანტინე — თეთრი ფეტყარი. აფხაზურიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა. № 2
- მამფორია ოთარი — ერთი მუქა მიწა. პოემა. № 6
- მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 8
- მირნელი მირიანი — ლექსები. № 11
- ნარიშანიძე სილოვანი — ლექსები. № 12
- ნაშანიძე შოთა — აქილეისის ქუსლი და ფარი. ნაწყვეტები პოემიდან. № 4, 5
- ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები. № 8
- სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 11
- სურგულაძე მირონი — ლექსები. № 11
- პეტრიაშვილი გურამი — ლექსები. № 3
- ტაბაძე გალაკტიონი — რევოლუციურ საქართველოს. № 5
- ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები. № 1
- ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 5
- შამანაძე ნოდარი — ლექსები. № 8
- შერაზადიშვილი ზაქარია — ლექსები. № 12
- ჩაჩავა ნიკოლოზი — ლექსები. № 7
- ჩაჩუა მიხეილი — ლექსები. № 10
- ჭილაძე ოთარი — ლექსები. № 1
- ხარაიშვილი ავთანდილი — ლექსები. № 8
- ხედეღიძე ნოდარი — ლექსები. № 8
- ჭანელიძე ჭანო — ლექსები. № 8
- ჭონუა ჭიჭიკო — გოგონა მისხამდა ღვინოს. აფხაზურიდან თარგმნა ჟანსუღ ჩარკვიანიშვილმა. № 2

## 100 ლენინა უკრაინა 100



- ბაქანიძე ოთარი — ლენინა უკრაინა საქართველოში. № 2  
 კუპრაძე ოთარი — შენთვის ანთია ორი სანთელი. № 2  
 უკრაინა ლენინა — პოლარული ღამე. თარგმნა გივი მნელაძემ. № 2

## ზაქრები, მოგონებანი, ხელმოწერა

- ზაქრები თამარი — ჩვენი ვალია. № 2  
 კვებლაძე მიხეილი — ას ერგასის დღე. წიგნი III. № 10, 11, 12  
 ფირცხალაძე საშხონი — „მოგონებათა ფურცელი“. № 6  
 ქორჭია როდიონი — ვერცხავეი საქართველოში. № 7  
 ცაყკიშვილი სიმონ, ხორგუაშვილი გიორგი — პლატონ იაშვილი და მისი რაზმი. № 5  
 ჩინჩალაძე ლამარა — ვახტანგ ონიანი. № 8

## პირიბა, კაზლიცისბრა, ლინარაბერისნომრები

- აბრამიშვილი ვაჟა — მდინარე ლიხვის სახელწოდების განმარტებისათვის. № 1  
 აბრამიშვილი ა. — ივანე გომარტელის ფსევდონიმებისათვის. № 3  
 ავალიანი სერგო — მატერის კატეგორიის ლენინური განსაზღვრება. № 5  
 აღიშინაძე ლერა — იოსებ იმედაშვილის ძეგრი „თეატრი და ცხოვრება“. № 4  
 არეღლაძე ბონდო — მეფე გიორგი XII და საიათნოვა. № 7  
 ბარამიძე რევაზი — უძველესი ქართული მოთხრობა. № 7  
 ბაქრაძე აკაკი — ისტორია და რომანი. № 6  
 ბერძენი ირაკლი — ქვარაზისათა ლაშქრობის ისტორიიდან. № 4  
 ბერიძე თეიმურაზი — ძველი თბილისის მიკროტომონიმიკიდან. № 8  
 ბუენიშვილი ილია — თიანეთის რაიონის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა 1917—1921 წლებში. № 5  
 გაბუნია ელენე — პერმან მელეღის „ტაბი“ და „ომე“. № 10  
 გაბუნიაშვილი დ. — ივანე მანაბლის ძეგრილისტური მოღვაწეობიდან. № 4  
 გაბუნიაშვილი ზაზა — დიან ტომასი — XX საუკუნის უელსელი ბარდი. № 1. დიან ტომასის შემდეგ. № 10  
 გაწერელია აკაკი — ისე პეტრე იბერიელის ქართული „ცხოვრების“ შესახებ. № 8  
 გვარამიაშვილი გურამი — ერთი, მართლაც, კარგი წელიწადი. № 4, „თებერვალი და დეკაბრი...“ № 11  
 გოჯალაშვილი გიორგი — კვლავ „სამი დიდი კაპადოკიელის“ ვინაობის ირგვლივ. № 6  
 გრიგოლაძე დემურა — ქართული საბჭოთა რომანის სათავეებთან. № 12  
 დოლიძე გიორგი — კინოლექსიკონის შესახებ. № 11  
 ვარდოსანიძე ვაჟა — ღიმილი და ცრემლი. № 10  
 თედიაშვილი მურმანი — ვის ეძღვნება ვრ. ბრბელიანის ლექსი „ვამოსალშევა“? № 11  
 თევზაძე დავითი — რევან ინანიშვილი. № 6  
 იოვაშვილი დ. — ლეო ქაიხელის აღმდგომი დრამატურგიული მემკვიდრეობა.  
 ირემიძე აკაკი — ქართველები საბჭოთა არმიის სათავეებთან. № 3  
 კალანდაძე აღ. — ერთი „საეპიდემიოლოგიური მოვალეობის“ გამო. № 9  
 კალანდაძე გიორგი — ქართული პოეზია რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. № 3; ლადო ასათიანი (1917—1943). № 10  
 კვეციანი-კობაძე ნიკო — ერთი მივიწყებული ძველი საგზაო მშენებლობა. № 4  
 კოლტრაძე გივი — საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან. № 1  
 კორსაველი გიორგი — უკვლამხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის საკითხი მარქს-ენგელსის პედაგოგიკურ შეხედულებათა შტაბზე. № 11  
 ირემიშვილი აღ. — ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობა წიგნზე. № 5  
 ლომიშვილი ჭიბო — „ესე ამბავი სპარსული...“ № 6  
 ლომიშვილი ივანე — ქართული წარმართული საეპიტო ტაძრები კაზბეზის რაიონში. № 9  
 მაჩიძე იოსებო — პარტიის XXIV ყრილობა და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის როლის ზრდის ობიექტური კანონზომიერება. № 9  
 მაღულაძე ვიკი — „ვახაასება კაცისა და სოფლისა“. № 4



- მედიკონი დ. — საბრძოლო იარაღებისა და მასალების ფართული წარმოება საქართველოში 1970—1907 წ. წ. № 5
- მეძველია კონსტანტინე — ნამდვილი პოეზიის ძალა. № 6
- მამისთავალიშვილი ვ. — რთი ვინაღეს დე კლავიზოს ცნობები საქართველოში. № 1
- მახათაძე ნინო — აღ. კავშირებზე პეტერბურგში. № 11
- ნორაკიძე ნორა — წინაშეში სამცხის გეოგრაფიულ სახელებში. № 4
- ნოზაძე პროკოფი — საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოფლად. № 12
- რატიაშვილი პროკოფი — ერთხელ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ეპიგრაფზე. № 11, 12
- რეზიაშვილი სპარტაკი — „სიბრძნე აწვეწეს გველად“. № 9
- რუხაძე ნოდარი — ჰაინრიხ მანი. № 4
- სააკაძე შ., შამგლავაშვილი რ. — ნ. ა. ნეკრასოვის მხატვრული სახეები. № 12
- საითაძე გელა — მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები გა-  
ზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ომისმემდგომ ხუთწლეულში. № 5
- ზაგუა ხოსო — ოთარ კილაძის პოემები. № 7
- სირაძე რევაზი — „ესპანეთის ქართველთა“ უძველესი მოხსენიება ქართულ მწერლობაში და  
მისი მნიშვნელობა. № 3
- სურგულაძე აკ. — 1917 წლის ნოემბერი საქართველოში. № 3
- ტუხაშვილი ლევანდი — ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და შავლობელ  
აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის შორე ნახევარში. № 1
- უფორავალი ავალიშვილი — ინტელიგენციის სოციალური ბუნება სოციალისტურ საზოგადოე-  
ბაში. № 10
- უშტაინა დავითი — პროტოტიპის საკითხისათვის კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“.  
№ 1
- ფორნაძე შალვა — პოეტური სიტყვის ხერხთშოძღვარი. № 1
- ცოცხალიშვილი აღ. — ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან. № 3
- ქავთარაძე ივანე — რამდენიმე საკითხი ქართული ენის ისტორიიდან. № 9
- ქორიძე ვილენა — ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების ისტორიიდან. № 10
- ქუთელია აღდესანდრე — დოსტოევსკი და პეველი. № 12
- ღამბაშიძე ნანა — სიტყვა და ფუნქცი. № 1
- ღლონტა აღ. — სიტყვა და საქმე ლარსეული მამულიშვილისა. № 6, ახალი ქართულ-გერმანუ-  
ლი ლექსიკონის გამოცემის გამო. № 7
- შავგლავაშვილი ა., ჭრეგლავაშვილი ჯ. — დ. ვოგოტურის სტატიის შესახებ. № 6
- შალვაშვილი შ. — „ტილის ძმები“. № 4
- ხაფინელი იორანი — ეტრნალი „კრებელი“. № 6
- ჩიჩუა შალვა — ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის განვითარების გზა. № 4
- ჩხეიძე ირაზა — ვალერიან გაფრინდაშვილი. № 4
- ცაიკაშვილი ვიორჯი — ქართული დრამატურგია და თეატრი უკანასკნელი ხუთი წლის მან-  
ძილზე № 9
- ქაკაძე რიანი — გვირგვი ლეონიძის თხზულებების პერსონაჟთა საერთო სახელები. № 7
- ქილაძე თამაზი — გერონტი ქიქოძე. № 6
- ქუშბურაძე ზურაბი — ბავშვების უსაყვარლესი პოეტი. № 4
- ქუშბურაძე ჭუმბერი — „ფლოლიის“ ეპიგრაფისა და ულოგიკო კორექტივის თაობაზე. № 4
- ხუბაშვილი ვიორჯი — ზღაპრის სათავე. № 12
- ჩაშა ნაკოლიზი — ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობის ლენინური პრინციპები. № 5
- ჭიუცი რ. — გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი. № 8

**წიგნების მიმოხილვა**

- ბაკურია შ. — თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მარქსისტული კრიტიკა. № 12
- გამსახურდია გ. — ნაშრომი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საწყისებზე. № 5
- გამყარელიძე ბ. — ნაშრომი მოხვედრა საოყბა ყოფის შესახებ. № 10
- გელაოვანი აკაკი — შოქაშე არს ჩვენდა მატთან. № 8
- დობორჭინიძე ბენო — ვეფ-ფშველას ესთეტიკური მრწამსის მართებული გაგებისათვის. № 3
- დოლიძე ვიორჯი — უცხოური ენციკლოპედიების ლექსელები. № 2
- ნაუტაშვილი გ. — „მწერალი და თანამედროვეობა“. № 6
- თევზაძე ანდრო — ლიტერატურული კრებული „რიწა“. № 1
- ლოპოურა ნოდარი — წიგნი პრინციპული ხასიათის შეცდომებში. № 10





- მამულია ვურამი — ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა, № 2
- მელქაძე ილია — გამარჯობათ, უსიერო ტყეებო! № 9
- მეტრეველი ვ. — ნაშრომი ილია ჭავჭავაძის იერიდიული საქმიანობის შესახებ, № 9
- ნაკაშიძე ნოდარი — მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან, № 12
- რადაძე შალვა — რომანი საქართველოს შორეულ წარსულზე, № 5
- ქავთარია მიხეილ — ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და მათი მეცნიერული აღწერილობა, № 10
- ურუშაძე შვილი სალომე — საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის საკითხი, № 8
- შიშხანაშვილი არჩილ — ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ერთი ადგილის გაგებისათვის, № 5
- ჭიბუჭი ვლ. — შოთა ნინუიანისძის პოეზია, № 12

კონტროლი  
ბეჭდვითი ქარხანა

3360 80 333.



ИНДЕКС  
76128

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**